



პ. იოსელიანი

ცხოვრება

მეფის გიორგი XIII-ის

1895

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
4/77

# ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა

გიორგი, პირმშო ძე მეფისა ირაკლი II-ისა; დაიბადა ქალაქ თფილისს, 1746 წელსა, ნოემბრის 10-სა დღესა, რომელსაცა ქართველთა ეკკლესია დღესასწაულობს წმიდის გიორგისა სასწაულთა.

დედა მისი იყო ანნა, ასული თავადის ზაალ აბაშიძისა, რომელიცა შეირთო მეფემან ირაკლიმ 1745 წელსა, შემდეგ განდევნისა პირველისა ცოლისა ქეთევან, ვახტანგ ყაფლანის-შვილისა ასულისა [1]). ანნასაგან დედოფლისა ჰყვანდნენ ირაკლისა ძე გიორგი და

[1]) საფლავზედა მისსა სწერია შემდეგი: „ქ. უხმოთა ლმობითა გექნებით ყოველთა და მჭვრეტელთა შენდობისა ყოფად არარაი ესე, რომელი ოდესმე ეიყავ ანნა, ასული აბაშიძისა, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა ცხებულისა თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა. არამედ ჩემთვის დიდება ესე ყოველივე აქა დაშრტა. დეკემბრისა 3, ქრისტეს აქეთ ქორონიკოსა, ჩლმთ“.

ვიეთნიმე ანნასა ამას, რომელიცა იყო ასული ზაალისა, უწოდებდენ ფ ხ ე ი ზ ე დ და ვიეთნიმე მ ხ ე ი ძ ე დ. საფლავსა ზედა პირველისა ცოლისა, განდევნილისა მეფისა ირაკლისაგან და დასაფლავებულისა ალავერდსა სწერია ესე: „ . , . . . . . კახთ მეფის ერეკლეს თანა-მემცხედრე დედოფალი ქეთევან, მდებარე ვიქმენ მეფეთა სამარხოსა ამას შინა, რათა საცნაურად იხილვებოდეს ტაგრუცი ესე, და მრავალთა მიერ შენდობა წარმოითხრობოდეს ქორონიკოსა ულძ“. ქორონიკონი ესე არს 1744 ქრისტესიდგან. იტყვიან მისთვის მონოზონად გარდაცვალებასა სახლისა მისისა წევრნი.

ასული თამარ. 6 დეკემბ., 1749 წლის გარდაიცვალა დედოფალი ანნა და დასაფლავდა მცხეთას.

## II

პაპამან მისმან თეიმურაზ, დღე შობისა მისისა გარდაიხადა დღესასწაულობით: აუწყა ეპისტოლეებითა იმერეთის მეფესა და მთავართ; კახეთის და ქართლის თავადთ, კათოლიკოზთა და მღვდელ-მთავართ; მიანიჭა საჩუქარი მრავალნი გლახაკთა, ობოლთა და ქვრივთა, მიეცა მრავალთა პყრობილთა მიტევება ბრალთა, მეუ-დაბნოეთა წარუგზავნა ნუგეშინის-ცემითი სამძო ბოძებანი; მეგო-ბარი თვისი და მახლობელი საბა ნიკო, წმინდელი მოუწოდა თფი-ლისად, რათა ექმნას მიმქმელად წმიდისა ემბაზისა მეფისა ყრმასა გიორგის. მასვე დროსა აცნობა მეზობელთა ხანთა და წარჩინებულ-ნეს სპარსეთის ყაენსა ნადირ-შაჰის დესპანსა, თურქისტანის-შვილი დავით და იბრაიმ ალი მორჩილებული სულთანსა, ქრისტიანი თეიმუ-რაზისა.

გარნა პასუხი და საჩუქარი მოართვეს არა ნადირ-შაჰისა, რო-მელიც მომკვდარიყო, არამედ გაყვანილებულისა შემდეგ მისისა ალიყუ-ლი-ხან ადილ-შაჰისა. ქისყეთისაგან ეპისტოლენი და ძღვენი წარ-მოუვლინეს ოთხთა მართ-მადიდებელთა პატრიარქთა, სინასა და ათონის მთათა წინამძღვართა. ეს ხალხის განმხიარულებულებულისა შექმნა სა-წყალი მწიგნობრის ხელოვნისა, რომელთა ჩვეულობისა გამო მო-ლექსენი უმღერიდნენ ლექსითა ქებითა; მეცნიერნი სიტყვათა წყო-ბითა კატელორიისათა მეორეთ ზედა აღმხებულთა სხოლასტიკო-თა წესითა; მქადაგებელნი — ქადაგებათა; მეუდაბნონი-ლოცვათა, მე-ხოლოენი კურთხევითა ქართათა.

## III

შემდეგ ცხრის დღის, ე. ი. 19 ნოემბერს, დღესა წმინდა

ილარიონ ქართველისა; ნათელ-სცა მას კათოლიკოზმან ანტონი I და მიმქმელად იყო არქიეპისკოპოსი საბა ნინო-წმინდელი, ამასავე დღესა აღყვანილი მეფისაგან მიტროპოლიტობისა ხარისხსა.

წესი ემბაზიდგან აღმოშობისა აღსრულდა არა სასახლესა შინა, არცა სახლის წმინდის ჯვართისა ეკკლესიასა შინა, არამედ მცირესა ეკკლესიასა წმიდისა გიორგისა, აღშენებულისა სვიმონ ჯანიშინისაგან, რომელიცა იყო ძმა ვახტანგ მეფისა და რომელმანცა დასდვა სასახლისა თვისისა ეკკლესიად და უკანასკნელთა მეფისა დროებაში იყო სახლის ეკკლესიად თვით მეფისა გიორგი XIII.

ცხოვრებისა მისისა წელსა მეოთხესა მიუჩინეს მას ლალად თავადი კახეთისა სვიმონ მაყაშვილი და ქართლიდამ ხინ ბარათაშვილი, რომელიცა მალე გარდაიცვალა და გარდა სვიმონ მაყაშვილისა არავინ დაუშთა ყრმასა ჯერეთ გიორგის.

ქართულისა ანბანის მასწავლებლად ჰყვა ისაკ მწიგნობარი, რომელიცა იყო შემდეგ კანდელაკი სიონის საუფლოისა ეკკლესიისა და აღმწერელი ხუცურად მრავალთა წერილთა, მეცნიერი და მცოდნე ძველისა, ვითარცა იტყოდენ ფილოსოფიისა: თათრული ენა ისწავლა კარის მოხელეთაგან და სომხური სომეხთა მღვდლის ტერ-დავითის შვილისაგან შაიკოვისა და ყაითმაზაშვილისაგან. ბერძულისა ენისა მასწავლებლად იყო თეოდორე ეპისკოპოზი ბერძენი ცხეთასა ყოფილი კათოლიკოზისა კარზედ; გარნა ვერ სრულჰყო სიკვდილისა გამო მასწავლებელისა და დროთა გარემოებათაგამო. მასწავლებლად ქართულისა ენისა მიუჩინეს მყოფს მესა მეშვიდესა ცხოვრებისა მისისა წელსა დეკანოზი იოანე. 1751 წელსა მოვიდა იერუსალიმით დროებით მუნ წარსრული დეკანოზი ესე იოანე, ძე გარსევანისა დეკანოზისავე მოძღვრის-შვილად გვარ-წოდებული. ესე იყო კაცი განსწავლული, დიდი მწიგნობარი, მწერალი წიგნთა და მცოდნე დროთა მათ, ფილოსოფიისა და ღვთის მეტყველებისა ძველადგან ქართველთა შორის ნაქონთა: პატრიარქისაგან იერუსალიმისა ქებითისა წერილითა მოსრული ეკედრა კათოლიკოზსა ანტონის

პირველის რიგით მიუბოძოს მას ადგილი დეკანოზობისა ჯვარის ეკ-კლესიასა, იერუსალიმის ჯვარის-მამათა სადგურისა. კათოლიკოზმან ანტონი ამისთვის უბოძა მას გრამოტა შემდეგი:




„ჩვენ ყოვლისა საქართველოისამ დიდმან მწყემს-მთავარმან, მაღალთა მეფეთა მარავანდელმან, კათოლიკოსმან პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისამან იესესმან, პატრიარხმან ანტონიმ. ესე უკუნისამდე ჟამთა, სხვათა და დროთა გამოსადეგი სამკვიდრო და საბოლოვო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჯვარის მამის მონასტრის დეკანოზს იოანეს, ასე და ამას პირისა-ზედან. შენ ერსაჩინოობას და ერსამწყსოობას ჭვრეტდით. მონასტრის-ეპისა, დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და სამწყსოს ბრძანებისა და ბმე-აჯებითა; აწ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ვიგულეთ და ვე-გულისმოდგინეთ. ვითარცა ერსაჩინოდ და ერსამწყსოდ იყავ, ჩვენც შე-გიწყალეთ და გიბოძეთ ქაღალდი ვინც კინ ესეცხეული და მოსე-ული კაცი იყოს, ან ერთგულად სხვას მღვდელს არ ეკუთვნის და მისის ერის გვედრის, შენთვის წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია. ქრისტიანეთის წესით ჰმწყსიდე და ასწავლიდე. და ამის გარდა შენის სახლის სიყვარულსაც შენთვისვე გვიბოძებია, და წყალობა გვიქმნია. არავინ ამის მოშლე და მოდავე არავინ გვიყვანდეს თვინიერ ღვთისა მეტი. აწ ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა; გქონდეს და გიბედნიე-რდეს დიდებამან ჩვენის ღვთისა ქრისტეშ-ნდეტებში. არ მოეშალოს არცა სხვათა მეპატრონისაგან, არც მეფეთა, დიდებულთა და ერისთა წინაშეთგან, არც დიდთა და არც მცირეთაგან. და რომელმანცა ამისა

დამშლად და დაქცევად სულ-ჴორცის ჩვენითა კანონითა ქვეშე განკანონისა. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმრთისაგან აკურთხნოს. აწ შემდგომად ჩვენისა თქვენცა ყოვლად სანატრელნო კათოლიკოზ პატრიარქნო, თქვენცა ისევე დაამტკიცეთ და გაარიგეთ, რათა თქვენცა გაგებული და გარიგებული ღმრთისაგან ყოვლადვე მტკიცე და უნაკლულო ჰყოს. არიან ამისა მოწამენი და მსჯდელნი, და ნებისა დამრთველნი ერთობით მცხეთელნი. დაიწყო ინდიკტიონსა კათოლიკოზ პატრიარქობისა ჩვენისა. თ. ქრისტეს განხორციელებიდგან ვიდრე აქამომდე წელნი გარდასრულ იყვნეს ჩღნზ ქორონიკონს უმ თვესა დეკემბერსა ია. ხელით კარისა ჩვენისა მღვდელ-მდივან-ქადაგ მაღალაძის ნიკოლოზისითა. დასაბამიდგან ვიდრე აქამომდე წელნი გარდასრულ იყვნეს შვიდ-ათასს ორას-სამოცი“.

ესე იოვანე პირველ სწავლის იყო მოძღვარი მეფისა ირაკლისა და დედოფალისა დარეჯანისა. ამას ჰყვანდა ქალი ერთი და რადგანაც მამისწულნი ჰყვანდნენ მრავლად, დედოფალი ექმნებოდა მომნათვლელი შვილთა მისთა, კათოლიკოზი ანტონი I იყოლიებდა მას ვითარცა მეგობარსა და თვისთანა მარადის თანა-მზრახველად.

ამას დღიდგან იყო პატივცემულად მიღებული ყოველგან და მოძღვრად თვით კათოლიკოზისა და მისისა კრებულისა ქ. თბილისსა მყოფობისა მათისა დროსა; ვითარცა მღვდელი განკრძალებული ცხოვრებითა და მოსწავლე ბრძენი და მხნე გონებითა, ექმნა მოძღვრად კათოლიკოზისა იოსებისა და მთავარ ეპისკოპოსისა კირილესი, მეფის მე გიორგი დიდად პატივს-სცემდა მას, და ვითარცა მოწმენი სასოებით ავედრებდა თავსა თვისსა ლოცვათა მისთა. გარდაიცვალა ღრმად მოხუცი 1782 წელსა და დაასაფლავეს მასვე ჯვარის ეკკლესიასა.

## IV

ჯერეთ ყრმასა მეფის ძესა უყვარდა დიდად და ტრფიალებით

კითხვა მსოფლიოთა მამათა ცხოვრებისა; იცოდა ზეპირად საქმენი და ღვაწლნი წმინდათა მარტვილთა, მეუდაბნოეთა, მღვდელ-მთავართა და ესე ვითართა დიდთა ეკკლესიის სვეტთა. დიდის დაწვლილებითა ესმოდა ღვთის-მეტყველება მართლ-მადიდებლობისა, ისტორია ქართველთა, გ. ი. ქართლის ცხოვრება უწყოდა რეცა ზეპირად.

დიდად ეტრფოდა მოღვაწეთა ძველთა და ახალთა ცხოვრებითა ნაზრდი განკრძალული, ჭეშმარიტი, უტყუველი, სიტყვა დაცული; ზნეობითა ზრდილი მაღლად მეფურად, მოწყალე, უხვი, მდაბალი, ობოლთა და გლახაკთა შემწყალებელი, პურადი; არა წმინდების მოძულე; სიწმინდისა დამცველი, ვითარცა მეუდაბნოე, ქრისტეს მოყვარე, ეკკლესიათა მოყვარე, სამღვდელოთა პატივის-მცემელი, უცხოთა შემწყნარებელი, მეტადრე ბრძენთა მართლ-მადიდებელთა თურქთა დამონებულთა და შეიწროებულთა; დღე-ყოველ-ცისკრისა, წირვისა და მწუხრისა მომსმენი დაუზარებელი. უკურთხებელ სუფრისა არა მიმრთმევი არცა სადილისა, არცა ვახშმისა.

ჯერეთ რვისა წლისა, ძველთა დროთა ჩვეულებისა გამო, დანიშნეს ჩერქეზ ბატონის ორჯი ომისა (?) ქალზედ, რომელიცა ახლოდა მეფეს ირაკლის თვისითან, ვითარცა მეგობარი. განსასწავლებელად ქალისა წარუყვანეს მას თავადი მარიდან მალიკაშვილი, 6 მოახლე ქალი და აზნაურ-შვილის ქელივაძისა ქვრივი ნინო სოფლისა კავთისხევიდგან, დედა-კაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვითა და ბრძენი ჭკუითა. დიდი ცხენოსანი იყო, ბრძანებდა სადმე თვით მეფე გიორგი, და გულთვნობისათვის მისისა დიდად პატივ-ჰსცემდნენ მას სასახლეში.

ქალი ესე ჩერქეზთა, დანიშნული გიორგიზედ, შემდგომად ოთხისა დღისა მზადებისა, ჯერეთ მოუნათლავი, მოკვდა უეცარის სენითა სამშობლოსა თვისისა სახლსა და უკუმქცეული ნინა შედგა მონაზონად და მწუხარე თვითცა მოკვდა სამღვდელოთა-მთავრის მრავლისა ეკკლესიის კარზედ სოფელს რუისს.

## V

14 წლისამ მიმოვლო საქართველო: ქართლი, კახეთი, სომხითი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი და იხილა მას-დროს განმგე სომეხთა ეკკლესიისა ორქეკასტორი ანუ კათოლიკოზი იაკობ V (1759—1763) ეგრეთვე, მეფეთა ამასავე დროსა მოხარკენი განჯისა და ერევნისა ხანნი.

განყოფილი მეფედ საქართველო ორ-სამეფოდ ე. ი. ქართლად და კახეთად დროითგან ნადირ-შაჰისა, იქმნა რეცა შეერთებულად, ოდეს გამეფდენ კახეთსა ირაკლი და ქართლსა მამა მისი თეიმურაზ. გარნა კახეთისა ირაკლი იწოდებოდა არა მეფედ, არამედ კახ ბატონად და ქართლისა მეფედ. ოდეს, დროთა გარემოებათა-გამო, წარვიდა რუსეთად (1760 წელსა) მეფე თეიმურაზ, მაშინ მეფისა ძესა გიორგის, ვითარცა შვილი-შვილსა უბოძა სკიპტრა ქართლისა მეფობისა, გარემოზღვა მას თვისი სამეფო ხრმალი, დაჰკიდა მას ძალი მორწმუნეთა ჯვარი ძელ-ჭეშმარიტითა ცმული, ოქროს ჯაჭვითა საკიდარი და თვალ-მარგალიტითა შემკული, მცხეთის ეკკლესიასა შინა, თანა დასწრებითა იოსებ კათოლიკოზისა და ეპისკოპოსთა, თავადთა, აზნაურთა და კარის-კაცთა. აკურთხა იგი ღვთის-მშობლის მცირედითა შემკულითა ხატითა (დღეს მე მაქვს ესე) და კურთხევითითა სიტყვითა და ცრემლითა გამოეთხოვა შვილსა ირაკლის, შვილის-შვილსა გიორგის და სხვათაცა სახლისა თვისისა წევრთა და წარვიდა დუშეთისა აწინდელისა გზით რუსეთად.

სანკტ-პეტერბურღის არხივიდამ (1760 წლისა საქმე, № 202) ჰსჩანს, რომელ მეფესა თეიმურაზსა II მიჰყვა რუსეთს ეპისკოპოსი იოანე რუსთველი და ამისსა ამალაში (სვიტაში) იყვნენ დეკანოზი დიმიტრი და სვიმონი, მღვდელი ამბროსი, იერო-დიაკონნი პართენი და შიო; და მორჩილი აბრაამ.—მასვე დროსა მივიდა მასთანავე წილკნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე, რომელსა თანა ჰყვა ბოდორნის არხიმანდრიტი ფილიპე.—მეფე და ეპისკოპოსნი დას-

დგურდნენ ნეკრესის მონასტირის ქვით-კირის პალატებში. ოდეს იქმნა კრება, იდუმალ განათლებულისა კათოლიკოზ პატრიარქისა ანტონისა, საჭმსჯავროდ მიცემულისა, მაშინ კრებისა განჩინებასა ზედა დაჰსდვეს ბეჭედიცა 9 წლის ყრმისა მეფის ძის გიორგისა. ჯერეთ ყრმამან დღიდგან განდევნისა მისისა რუსეთად (1756 წლისა 4 აპრილისა) და დანიშვნისა მოადგილედ მისა იოსებ მროველისა[2]) შეიძაგა ანტონი I, და თუმცა მამისა მისისა ნებითა უკუ-მოქცეულიცა იქმნა თვისსა ქვეყანად და პატივად, გარნა არა უყვარდა იგი, ვერ იყო კეთილ-განწყობილი მისთანა დღემდე გარდაცვალებისა მისისა.

# VI

1767 წელსა შეირთო ცოლად ქეთევან ქალი პაპუნა ქიზიყის მოურავისა ანდრონიკაშვილისა 13 წლისა. ქორწილი გადაიხადეს ქალაქსა თბილისსა დიდისა დღესასწაულობითა ენკენისთვის 20. იტყვიან ქალისა ამისთვის რომელ, ოდეს მეფის ძე მოვიდა კახეთსა და ეწვია სოფელსა ვეჯინსა ანდრონიკაშვილს რევაზსა, მაშინ მოხდა დევნა ლეკთა, რომელნიცა გამოჩნდნენ ალაზნისა გაღმა. რევაზ და სხვანი თანა დამსწრენი ომისა ლეკებთა თანა, ესრეთ მხნეთ გამოჩნდნენ, რომელ მეფის-ძე თვით, მუნ დამსწრე, გაჰკვირდა ოდეს იხილა რევაზ ანდრონიკას-შვილი მუხლსა მძიმედ დაჭრილი მოვიდა რა სახლსა, მაშინ გამოაცხადა დაჭრილობა თვისი. განკვირვებულმა მეფის-ძემან გამოუცხადა მას გმირსა რევაზს სურვილი ღირსა მისისა ქეთევანისა შერთვა ცოლად. დროსა ამას, ქალსა ამას არღა ჰყვანდა მამა ცოცხლად. ამბავსა ამას მოუთხრობდა ხშირად აზნაური ბერო პავლიაშვილი, რომლისათვისცა დაჰსწერე და დაჰბეჭდეცა სი-

[2]) სხვანი ჰგონებენ მას რუსთველად და იტყვიან მისთვის იყო გვარით ჯანდიერისშვილი.

ტყვა გარდაცვალებისა გამო მისისა, ვითარცა რედაკტორმან გაზეთისა [3]).

18 წლიდამ ცხოვრებისა თანა-ჰყვა მამასა თვისსა სადაცა წარვიდის ანუ საომრად ანუ მოსახილველად სამძღვართა. 1770 იყო ასპინძის ომში და დიდად უსიამოვნოდ მოექცა რუსეთისა ღენერალსა ტოტლებენსა, ოდეს არა ინება შებმოდა ოსმალისა ჯარსა, და გაიმარჯვა ომსა ამას თვით მეფემან ირაკლი თავისისა ჯარითა.

„ღენერალო! სირცხვილია ამისთანა დროსა ღალატი მეფისა, „ჰრქვა მეფის ძემან.—არა მაქვს ბრძანება, უპასუხა ღენერალმან, იმ-„პერატორისა რომ შევება ჯარითა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა „უსარგებლოდ.—მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთისა ჯარსა,—„ეტყოდა მეფის-ძე გიორგი.—და უტეხ სახელსა დიდსა რუსეთისა. „ღმერთი ჩვენკენ იქმნება, ჩვენ შევებმით, გავიმარჯვებთ და მოვახ-„სენებთ იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა“.

მამასა ირაკლის მოახსენეს ესე საუბარი მეფის ძისა ღენერალისადმი; არ მოიწონა ზდილობითა ესე, და უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა საომართა ერიდებოდა რუსეთისა წყენასა, ვგალადცა საიმედოსა ქრისტიანობისა გამო იტყვიან მტერნი მეფის ძისა გიორგისა, არ მიაშველა ჯარი 900 კაცისა მამასაო. რაზედ აფუძნებენ თქმულობასა ამას? არ ვიცი. დროსა ამას ასპინძის ომისა, ჯერეთ არა იყო შფოთი მეფისა ირაკლისა სახლში და არცა ძმანი მისნი, დედისნაცვლისაგან შობილნი, იყვნენ სრულსა ჰასაკსა მოსულნი. ერთობა მეფისა სახლისა იყო მტკიცედ დამყარებული სიყვარულსა ერთისა მეორისადმი ერთობითა.

მეორესა დღესა, მიმავალმან საქართველოდგან იმერეთსა ბაღდადისა გზით ღენერალმან ტოტლებენმა ჰსცნა დიდი გამარჯვება ირა-

[3]) ესე ბერო პავლიაშვილი, მხლებელი მეფის რძლისა და მზითევში მოყოლებული, გარდაიცვალა ქ. თბილისს, 15 აგვისტოს, 1845 წელსა, 107 წლისა. მისთვის დავბეჭდე მასვე წელსა ვითარცა რედაქტორმან ჟურნალსა შინა: «Закавказскій Вѣстникъ», 1845 годъ, № 18, часть неофиц.

კლისა ოსმალისა ჯარზედ, და მართლად სირცხვილეული, დაეშურა და მალე გარდავლო მთა, და გარდავიდა იმერეთს. მეფის ძმამან თვით ითხოვა მეფისაგან ნება, რათა წარავლინოს რუსეთად და მისისა ელჩობით მოახსენოს ყოველივე საქმე საქართველოისა დიდსა იმპერატრიცასა: მეფემან არ ინება და ნაცვლად მისსა წარავლინა სხვანი.

## VII

ვიტყვი კვალად ქეთევანისათვის. ესე ქეთევან იყო თვით იგი, რომელიცა მიმავალმან ქართლად 300 ცხენოსნით ლართის კარისა ვიწროებაში, ჰქმნა სახელოვანი ძლევა ლეკთა ზედა, რომელნიცა იყვნენ ხუთასნი. თვით მიუძღვა ჯარსა და გატეხა სამ-გზის გამაგრებულნი ლეკნი. უკუ-ქცეული, შემდგომად თვისა ერთისა, მუხრანითა, მიიღო ირაკლიმან გმირი რძალი თვისი ქ. თბილისს დიდისა დღესასწაულობითა, ზარბაზნითა ციხიდამ სროლითა და ჩირაღითა. ესე იყო 1778 წელსა. მეფის რძალსა ამას ეშვნეს შვილნი:

ძენი: დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ. ასულნი: ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე. 3 ივნისსა 1782 წელსა მშობიარობისა გამო თეიმურაზზედ, მეფის რძალი ქეთევან, გარდაიცვალა და დასაფლავდა დავით გარესჯისა მონასტერსა იოანე მახარებელისა დიდსა ეკკლესიაში წინაშე ალსავლისა კარისა, მუნ სადაცა მარხია ალექსანდრე მეფე კახეთისა*) მუნვე მონასტერსა ბერად ანუ

*) საფლავი ესე არის დიდსა და ვრცელსა გამოკვეთილსა კლდესა შინა იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესიასა. დღესა არღაა მუნ წირვა, თალო 1830 წლიდამ ჩაიქცა და დიდნი კლდისა დანახეთქნი ღორღად აწევს საფლავსა ამას და კახთა მეფისაცა ალექსანდრესა გარდაცვლილსა მუნ. ზედა წარწერა პირველისა არ ვიცი რა იყო, და მეორისა არის შემდეგი, ადრიდვე ჩემსა ქაღალდებსა შინა შენახული: „ჩვენ ალექსანდრე მეფემან, სახელსაზედა ღვთისასა, აქა შევვარდი საფლავსა, ღირსისა, დავითისასა, სიყვარუ-

მონაზონად შემდგარი და გარდაცვალებული. მეფემან ირაკლი, მწუხარებამან სიკვდილისა გამო ძმისა თვისისა, წარსთქვა ოხვრით შემდეგი სიტყვა: „ახლა დაილეწა ჩემი ოჯახიო". გამიგონია თვით მეფისძის თეიმურაზისაგან: „მომაკვდავმან დედამან ჩემმან ქმნა სიტყვით ანდერძი, ვერცხლეული წარუვლინნა იერუსალიმის პატრიარქსა მოსახსენებლად და აღასრულესცა ესე".—ესრეთ მტკიცედ იყო და განთქმული საყოველთაოდ, სასოება იერუსალიმსა ზედა ქართველთა შორის! შუქი ნათლისა ღვთისა ქალაქით მნათობთა მე-

ლითა შევამკე, მსგავსადვე სამოთხისა და მეოხ-გვეყოს და მფარველ, წინაშე მეფისა".

საქართველოსა შინა მყოფი 1772 წელსა მეცნიერი გულდენ-შტეტი ჰსწერს: „გიორგი 1772 წელსა იყო 28 წლისა. მეუღლე მისი არის ქეთევან ქიზიყის მოურავისა, თავადის პაპუა ენდრონიკაშვილის ასული, შვილი მისი დავით 4 წლისა; იოანე 2 წლისა და ჰყვანან ორნი ქალნიო". (Reizen durch Russland und im Caucasischen Georgie 3. P. B. 1787 часть I стр. 337.

აქვე იტყვის, რომელ დროსა ამას მეორე შვილი ირაკლისა ლეონ ანუ ლევან იყო 20 წლისაო, რომელსაც ჰყვანდა ცოლად ქალი ტიამბეგისა ქაიხოსრო ენდრონიკაშვილისაო; იულონ იყო 12 წლისა, ვახტანგ 10 წლისა, თეიმურაზ იგივე შემდგომად კათოლიკოსი ანტონი მეორე 8 წლისა; მირიან 7 წლისა; ალექსანდრე 2 წლისა და ლუარსაბ ექვსის თვისაო.

ქ ა ლ ნ ი   ი რ ა კ ლ ი ს ა:

1) თამარ, ცოლი სალთხუცისა ორბელიანისა.
2) ელენე, ცოლი არჩილისა, რომელიცა იყო ძმა სოლომონ მეფისა დიდისა;
3) მარიამ ცოლი ქალაქის მოურავისა დავით ციციშვილისა;
4) ქეთევან ცოლი მუხრანის ბატონისა;
5) ხორეშან 4 წლისა და
6) ანასტასია 3 წლისა.

ამასვე დროსა ცხოვრებდაო დედინაცვალი ირაკლისა და ქვრივი თეიმურაზისა მეფისა ანახანუმ თაქალთოიანი, ამისი ასული მოკვდა ვითარცა მეუღლე მეგრელთა დადიანისაო.

დაი ირაკლისა არს ქვრივი ეშიკაღ-ბაშის დიმიტრი ორბელიანისა. დაიბადა 1722 წელსა.

ფეთა სახლსა შინა და გლეხთა ფაცხათა ლექსი „იერუსალიმი“ მჟღერობდა ქართველთა ერისა გულთა და გონებათა შინა.

## VIII

დიდად დღესასწაულობითა იყო დასაფლავება გვამისა ამის ღირსისა, სანატრელისა სამეფოისა სახლისათვის და სასიქადულო ქართველთა ერისათვის.—მეფის ძმან ინება დასაფლავება გვამისა დავით გარესჯისა მონასტერსა, თვე იყო ივნისსა. მწუხარებისა ხმამან შეჰსძრა ქართველთა. ნინო წმინდელი საბა ბავრაყითა თვისითა და დროშითა, დავით რუსთველი და დანიილ ბოდბელი მიტროპოლიტი შეერთდენ და მიეგებნენ ლოცვითა და ვედრებითა ღვთისადმი წინარეს (აწ თაქლა), სადაცა იწყება სივრცე და სიგანე თებაიდისა ანუ გარესჯის უდაბნოთა სადგური. 1,000 ცხენოსანი და 500 ქვეითი მიუძღოდენ მიცვალებულსა: ხაშმი, ნინო-წმინდა და ბოდბე ეკლესიისა სოფელნი და ყმანი უმასპინძლებდენ მიმავალთა უდაბნოდ პურითა, ღვინითა, საკლავითა, თევზითა და ესე-ვითარითა მოსახმარითა.—ნათლის-მცემლისა უდაბნოსა და დავით გარესჯისა ლავრისა წინამძღვარნი ონოფრე და სერაპიონ მოეგებნენ შორს მრავალ მთისა ამის კალთებთა, სადაცა ძველად იყვნენ სამხოლონი მამათა მეუდაბნოეთა (სკიტნი) ხმათათვის და ხმოვანთა მხოლოდ ქურციეთა (ჯეირანი) და პირუტყვთათვის. ნეშტნი სიკვდილისა და სოფლისა ამის ხრწნილებისა,—მეტყველებდენ ადგილთა ამათ არა მეტყველთათვის დანიშნულთა. ენა მეტყველი აქა, იყო ენა სოფლისა მის მერმისა. მეუდაბნოენი არ-მნახავნი სიყრმითგან ქალაქისა და სოფელთა, იხილვიდენ აქა მოქალაქობისა მათისა ჩვეულებათა, მათთვის საოცართა, გაუგებელთა, განუმარტებელთა. სხვაობა სანოვაგეთა მიღებისა, სხვაობა ძილსა მოიყვანდნენ განცვიფრებასა შინა მემხოლოეთა მოსულთა აქა, რათა წარიკითხონ წიგნი იგი ამაოებისა; და სიკვდილისა ხედვითა, შეისწავლონ სიკვდილი, რომელიცა მოელის

თვითეულსა მოსაპოებელად უკვდავებისა გარეთ სოფლისა ამის სრწნილებადისა.

შემდეგ ათისა დღისა, დადუმდა ხმა სოფლისა მეშფოთისა, უდაბნოთა ზედა დაწყნარებულთა. ყოველნივე უკუ-იქცნენ თვისთა საღგურთა და დაშთა მუნ მხოლოდ ნეშტი მეფის-რძლისა სახსენებლად საუკუნოდ.

## XI

მასვე 1782 წელსა მეფის-ძემან შეირთო ცოლად ციცი-შვილის გიორგის ქალი 14 წლისა მარიამი, მშვენიერებითა ქალთა შორის ბრწყინვალე. მეფისა ირაკლისა კურთხევითა დასწერეს ჯვარი არა დღესასწაულობითა იოანე ნათლის-მცემლისა ეკკლესიაში, რომელიცა იყო მეტოქი უდაბნოისა თბილისში. ჯვარის-წერა იქმნა შემდგომად 40 დღისა და ამისთვის დიდად ზრახვიდენ მეფის-ძესა ქსრეთისა დაშურებისა და აჩქარებისათვის. ყოველგნით ჰგმობდენ უგრძნობელობისათვის, რომელ დაკარგა ცოლი პირველი მხნე და გონიერი, და დამტკბებელი ძეთა და ასულთა და არა იგლოვდა საკმაოდ, სხვანი ამართლებდნენ და იტყოდნენ: „მეფემანცა თეიმურაზმან, პაპამან მისმან ჰქმნა ესრეთა, ოდესცა შეირთო შემდეგ თამარისა ცოლად ანახანუმ დედოფალი“. ამა ქორწინებიდამ ესვნენ მას ძენი: მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, სვიმონ, (ეს ორნი მოკვდნენ ყრმად) ოქროპირი, სვიმონ (მოკვდა ყრმად) ირაკლი. ასულნი: თამარ, ანნა (7 წლისა მიიცვალა) ანნა მეორე.

## X

სიმრავლე ძეთა და ასულთა მეფის-ძისა გიორგისა და ესრეთივე სიმრავლე სამთა ცოლთაგან ძეთა და ასულთა ირაკლისა, იყო მიზეზი სამეფოისა სახლისათვის კეთილისა და ბოროტისა. ნაყოფი კეთილი ესრეთისა შვილთა სიმრავლისა იყო ესე, რომელ და-

შორებული ძველად ქართლი და კახეთი შეერთდა უფრო მტკიცედ. სასახლემან მეფისმან მოითხოვა ქართლიდამ რომელიცა უწოდებდა აქამდე მეფესა ირაკლის კახთა-ბატონსა, და არა მეფესა, სასძლონი და მეფისა ასულნი მოიძიებდენ თვისდა საქმროთა ქართლისა თავადთა სახლთაგან. და მეფისა ირაკლისა ანნა იყო ცოლი დიმიტრისა ყაფლანის-შვილისა; მეფის ასული, და გიორგისა, თამარ მიათხოვეს სარდარსა დავით ორბელიანსა; ქეთევან მეფის ირაკლის ასული მუხრანის ბატონსა იოანეს, მეფის ირაკლის ასული მარიამ— დავით ციცი-შვილსა; მეფის-ძის გიორგის ასული სოფიო—თარხნის-შვილსა ლუარსაბსა; მისივე ქალი რიფსიმე—ჩოლოყაშვილსა დიმიტრის. ესრეთვე მიიყვანეს მეფის-ძეთა ცოლად—თეიმურაზმან ოთარ ამილახვრის ქალი ელენე, ფარნაოზმან ელიზბარ ერისთავის ასული ანნა.

ესრეთ დაკავშირდა ქართლი და კახეთი ერთობით თავადთა და სამეფოისა სახლისა მახლობლობითა და მოყვრობითა. ამან კავშირმან დაავიწყა ქართლისა მეფისა გვარი დაშთენილი რუსეთისა 1724 წლიდამ; ამან ერთობამან ნათესაობითმან მოსპო თქმულობა ქართლისა ერისა: ირაკლი მამა კახეთისა და მამინაცვალი ქართლისა. მეორის მხრით სიმრავლემან ძეთა და ასულთა დაბადეს შური და მტერობა ურთიერთისადმი. დაჰყვეს ოჯახები და დაბადეს ურჩება და მედიდურობა სახლსა მწევრთა-შორის, სადაცა იყოფოდა მეფის ასული რძლად და ანუ რომლისაგანცა წარიყვანდიან მეფის-ძენი ქალთა სასძლოდ თვისად. თავადნი ესენი, დამოკიდებულნი მოყვარეობითა მეფეთა თანა, აღარ ემორჩილებოდენ მეფისა მოხელეთა, რომელნიცა იყვნენ მდივან-ბეგად, მდივნად, მოურავად, ციხეთა მცველად და სხვად სამეფოისა საქმეთა განმგედ. დაისუსტდა ჭაზრი და მნიშვნელობა პირმშოებისა; ეცილოდენ მემკვიდრეობასა; არა პატივსცემდენ პირველობასა და თვითეული წევრი სამეფოისა სახლისა ჰგონებდა თავსა თვისსა მეფობისათვის განმზადებულად. საჯული არღა ჰსჯულობდა სამეფოში, სადაცა უფლებდენ მეფის-ძენი და კარის-კაცნი მათნი.

განმრავლებულთა ძეთა თვისთა დაუნიშნა საცხოვრებელად და განსაგებელად ადგილნი და თემნი მეფის-ძეს გიორგის ბორჩალო და ყაზახის საწილი; იულონსა ქსნის ადგილები (რადგანაც ერის-თავისთ მიეღოთ ქსანი); ვახტანგსა ანუ ალმასა-ხანსა არაგვი და სხვა-თა სხვანი ადგილნი. თვით მიზეზი მეფის-ძისა ალექსანდრესი ლტო-ლვილისა საპარსეთად, ჯერეთ პირველად მამისავე თვისა დროსა, იყო ესე, რომელ უბოძა მამამან ირაკლი საგმაო საცხოვრებელად სა-უფლისწულო.

ესრეთსა უსწოროსა განწილვასა შეუდგნენ უწესობანი, შფოთ-ნი და დიდნი ალრეულობანი. მეფის-ძე გიორგი, ვითარცა მემკვიდ-რე, მორიდებული შფოთთა, მიენდობოდა მამისა ნებასა და შორით ხედვიდა ძმათა სისუსტესა მიტაცებისათვის მემკვიდრეობისა და ალ-რეულობათა მათ, რომელნიცა აშფოთებდნენ მოხუცსა მამასა, თვით ირაკლი მოხუცებისა გამო და დედოფლისა-გამო დედინაცვლისა პირ-მშოისა გიორგისათვის იყოფებოდა მერყეობასა და აგრილებდენ გულსა მისსა გიორგისადმი. ესრეთსა მდგომარეობასა მყოფი მე-ფის-ძე გიორგი, დაშორებული ძმათა, ცხოვრებდა ცალკედ და მყუ-დროდ. შთაგონებითა დედოფლისა და ძეთა მისთა, მეფეცა ირაკ-ლი მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ სიძესა მისსა სარდალ-სა და სალთ-ხუცესსა დავით ყაფლანის-შვილსა, თამარის მეუღლესა, მოუღო მეფემან სალთ-ხუცობა და მიუბოძა ესე ძესა თვისსა მუხ-რანის-ბატონის იოანეს [5]). ესრეთმან მეფისა მოქცევამან მოსწყლო გული მეფის ასულისა თამარისა, რომელიცა მწუხარებისა ქლდითა გარდაიცვალა 1786 წელსა.

---

5) მაშინ ისინი მწიგნობარმან შუა მღვიმელმან უქმნა მუხრან-ბატონ-სა იოანეს ზედაუწერილი ბეჭდისა:

ერთი მრწამს ღმერთი,
ერთი ბატონი
სარდალ-სალთხუცესი
მუხრან-ბატონი.

4177
Библиотека-Музей

## XI

ტრაკტატისა ძალითა შორის იმპერატრიცის ეკატერინა II და ირაკლისა, მეფის-ძე გიორგი დამტკიცდა მემკვიდრედ საქართველოისა; მიიღოცა ორდენი ალექსანდრე ნეველისა. ამა ტრაკტატმან სრულიად აღამღვრია გული ძმათა, დედოფლისა და კარის-კაცთა, მეფისა ირაკლის მხლებელთა. მტერნი განძლიერდნენ; ირაკლი ღელავდა; დედოფალი ჴსმულობდა. თვით გიორგი იშვიათად ხედვიდა მამასა თვისსა. 1789 წელსა მოვიდა იმერეთით მეფის-ძე არჩილ. გიორგი თვით მივიდა და ნახა. არ იამა ესე მეფესა და ეძიებდენ მიზეზსა, რომელმანცა განაღვიძა იგი მისთანა სამეგობროდ.—არჩილმან სასახლიდამ ჴსცა თოფი მოლასა, რომელიცა დაჴკიოდა მეჩითიდამ მოედანსა სამეფოსა, შესწყხნა მეფე დიდად; ხოლო გიორგი არა, და იტყოდა სიტყვათა არჩილისადმი სანუგეშოთა. ამანცა უფრო განარისხა მეფე, და ბრძანებდა სიტყვათა მკვახეთა გიორგისათვის.

## XII

შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა სოლომონ პირველისა, ოდეს გამეფდა იმერეთს დავით, მოვიდნენ იმერეთით ეკთიმი გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სალთ-ხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგია-შვილი, ქაიხოსრო ჯიჯავაძე და ფიცის-კაცნი—ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი. ესენი ითხოვდენ, რადგანაც არა-ჴსურს მეფესა ირაკლის მეფე დავით, მიტაცებული ტახტისა, ინებოს და შეიერთოს თვისად სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა. დესპანნი იმერეთისანი არწმუნებდენ მეფესა, რომელ ყოვლადის სამეფო იმერეთისა მოელის **სიქადულით და მხიარულებით** საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისასა და ოდიშისასა ჴსურთ და ჴსწყურიანთ ესე·

მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთისა, მტერთაგან ჯვარისა გაოხრებულსა. მეფემან უგდო ყური და ნაცვლად პასუხისა პირად ბრძანა იქმნას რჩევა საქმისა. დანიშნულსა დღესა კათოლიკოზი, მღვდელთ-მთავარნი, თავადნი, სარდალნი, სალთ-ხუცესნი, მდივან-ბეგნი ქართლ-კახეთისა, შეიკრიბნენ სამეფოსა პალატში და შევიდნენ განჭსჯასა. პირველი და ძრიელი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა ორბელიანისა. მას შეუდგნენ კათოლიკოზი ანტონი, სარდალი დავით ყაფლანის-შვილი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია მოურავი ქიზიყისა, ანდრონიკა-შვილი, ჯარდან ჩოლაყა-შვილი, იოსებ ბარათა-შვილი და სხვანი. მეფე ჰსდუმებდა და ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა; აკურთხევდა ჰაზრთა ამათ, ზეგარდამო შთაგონებულთა დესპანთაღმი და იმერთა ერისა. ნუ ჰყოვნი, მეფეო! იტყოდა ჭაბუა; მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისათვის არ მიიღებს თხოვნასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო! ვითარ მოუღო მეფობა შვილის-შვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყნისა.—ვითარ მოუღო მეფობა ქართლისა, ქართლისა მეფეთა და რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოუღო მეამბოხეთა არაგვსა ერისთავთა საერისთავო არაგვი? ვითარ მოუღო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბედნიერობა ერისა ითხოვს ერთობასა. ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირებისა.—„ბატონო მეფევ მოახსენა წერეთელმან, უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, სავნო ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის,—მაშინ დაუტევეთ იმერეთისა მეფობა, მაშინ თქვენც უბოძეთ იმერთა ნება იყოლონ თვისად მეფე თვისი. ამითი არა დაშავდება რა. ჰსცადეთ რა შეუძლება, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერე თქვენითა.—ირწმუნეთ, მეფევ ბატონო, ხომ ჰსცნობს

ამას მტერი და მიეცემს შიშსა და მოწიდებასა". შემდეგ დუმილისა მეფისაგან, მუხრანის ბატონმან იოანე მოახსენა კრებასა: დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვიგლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნად პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილის-შვილი მეფისა?—სარდალმან დავით განრისხებულმან წარმოსთქვა სიტყვა: მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისის ხრმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მოჰსცემს ღმერთი სხვასა მუხრანის-ბატონისა, რომლისა ხრმალი უფრო მჭრელი იქმნება.—სიტყვამან ამან დაბადა ამბოხი, აწყინა მეფესა და წყინებული მეფე წამოდგა და შევიდა სხვასა ოთახსა. დაიშალა შეკრებილება პირველი.

ჰსცნო დედოფალმან დარეჯან საუბარი ესე ყოველი, განრისხენა და მიაწერა ბრალი ესე მეფის-ძეს გიორგის, რადგანაც სარდალი დავით იყო დისწული მისი საყვარელი და მეტოქი მუხრანის-ბატონისა. დაიბარა ქაბუკა და მრისხანედ უბძანა ყვედრებითა სიტყვითა: არა! ბატონო დედოფალო, ვერ შევიქმნები ორგული, იტყოდა ქაბუკა: მეფისა და სამეფოისა ბრალი ჩემი დარჩება უცვალებელად, მტკიცედ და უმეორე არ აღსრულდება, ჰშთავიტან თან სათვალავსა. რაც მიბრძანებთ—არ ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყანისა. ვიცი რასაც ვიტყვი. არ ვხედავ ვერთილად საქმესა და ესე ვარჩევ: ვიყო და მერქვას მორჩეველი მეფისა და ვურჩევდე რასმე ბოროტისა?—ვჰგონებ იქმნება საქმე ეშმაკისა, ბოროტისა კაცისა და ქვეყნის მტრისა. მამა-პაპათა სისხლი დაუღვრიათ ქვეყნისათვის და მეფეთათვის. ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა, ამისთვის განცხადებით ვიტყვი და უშიშრად მოვახსენებ მეფესა ჩემსა და თქვენ ბატონსა ჩემსა დედოფალსა სიტყვათა ამათ.

მეფის-ძე გიორგი, მოწიდებული მამისა და დედი-ნაცვლისა, არ ინახვინებდა არცა დესპანთა და არცა კარის-კაცთა, რათა არა წარმო-

ჰსთქვან რაიმე სიტყვა და არ მიიღეს ჰაზრი რაიმე ახალი მეფისადმი მას-ზედ გაიჭვიანებულისა.

ქუთათელი და გენათელი, აბაშიძე და სხვანი დესპანნი მიუთხრობდეს დედოფალსა იმერეთისა მდგომარეობასა და სრულიად დაღუპვასა, უკეთუ არ მოისდებს ერთობას ქართველთა თანა. დედოფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისას შვილის-შვილისა ხელითგან.

დღესა მესამესა, შემდეგ პირველისა, იყო შეკრებილება მეორე. ზაბუა კვალად იტყოდა მასვე; კათოლიკოზი ანტონი ამტკიცებდა მათსა ჰაზრსა. მაშინ მეფემან უბრძანა მეფის-ძეს გიორგის; რას იტყვი გიორგი, შენ?—„ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი ვითარცა ჰხედავ, იქმნება მრავალთათვის წინააღმდეგი და მაინც გავბედავ მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყანისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არის უკეთილეს, რა არის მშვენიერ ვითარ ერთობა ძმათა,—იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ, როდესაც განიყო ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, ბრძანებს მაცხოვარი“. სიტყვანი ესენი მოიწონეს შეკრებულთა მსაჯულთა. ზაბუამ კვალად აიმაღლა ხმა და მოსთხოვა მდაბლად, რათა თანახმა იქმნეს მეფე ერთობისა ჰაზრისათვის და აღასრულოს თხოვნა იმერეთისა დესპანთა. მაშინ მეფე აღსდგა და ბრძანა: „თხოვნასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილის-შვილი ჩემი იმერეთის ტახტისათვის განმზადებული.—დესპანნო წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილის-შვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირით თავით-თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“. ესრეთ დაბოლოვდა დესპანობა და ჰაზრი ერთობისა. მასვე წელსა 1790 წარავლინეს ჯარი ქართველთა 4000 და თანა-ჰყვა სარდლად მუხრანის

ბატონი იოანე, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკასშვილი, ჯარ-დან ეშიკაღას-ბაში ჩოლაყას-შვილი; ენდრონიკას-შვილი რევაზ (ცოლის-ძმა მეფის ძის გიორგისა), და მეფის ძე იულონ; გარდაავდეს მეფე დავით და განამეფეს სოლომონ მეორე ქუთაისს.

## XIII

ესრეთ დაბოლოებულსა საქმესა ამას შეუდგა 1790 წელსა მხოლოდ დაკავშირებითი ტრაქტატი შორის ქართლისა და კახეთი-სა, იმერთა და მთავართა ოდიშისა და გურიისა. აჰა ნამდვილი ესე პირობითი მათ შორის წესდება [6]).

### 1.

„ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებუ-
„ლი ქართლისა, კახეთისა, იმერთა ოდიშისა და გურიისა, აღწერი-
„ლი სამეფოსა ქალაქსა თბილისს 1790 წელსა, ვინაიდგან ყოვლ-
„თავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახე-
„თისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ-მორწმუნება, არიან ძენი
„ერთისა კათოლიკე ეკკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქო-
„ნებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით
„ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა-შორის.

„ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მე-
„ფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა
„სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღუვსთქვამთ მტკიცესა
„ამას ერთობასა, რომელიცა თვითოეულად შემდგომთა შინა ჭაზრთა
„ცხად იქმნების.

---

[6]) ესე ვჰპოვე ალექსანდრე ონიკოვისა ქაღალდებში, რომლისაცა მამა ნიკოლოოზ კიკოლა დიაკვნად წოდებული, ახლად მწერლად მეფესა გი-ორგის იყო, მერეთ დეპუტატად რუსეთშიაც და აღწერაცა მოგზაურობა თვისი, არა მოწევნული დროთა ჩვენთადმი, ვითარცა მიამბო შვილმან მის-მან ალექსანდრე.

„უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ქართლისა, კახეთისა და „სხვათა, ირაკლი მეორე ქრისტიანებრითა თანამდებობითა გარწმუ- „ნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა შვილის-შვილსა ჩემსა სო- „ლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა და- „დიანს, გრიგოლს და მთავარსა გურიისას სვიმონს და ერთობით „თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოისა იმერიისა ესრეთ:

მუხლი პირველი.

„შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყოვლი- „სა სამეფოისა ჩემისა, და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მო- „ყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

„მაქვნდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყნისა თქვენისა, და „ყოვლისა შემძლებისა ჩემისაებრ ვიყო შემწე თქვენდა წინააღდგო- „მად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

„ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვათ მეთა „იმერეთისათა, ვითარცა მამა საზოგადო მათი.

მუხლი მეოთხე.

„უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, „მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა „შემძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

„უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღ- „ლესისა კარისადმი, ვითარცა მაქვნდეს შეკრულობა, ვიყო მწადნელი „თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარ- „ველობითა ერთბამად ერთისა ავგუსტესისა კარისათა.

### მუხლი მეექვსე.

„აღთქმასა ამასა შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანა-
„მდებობითა თვით მეთა ჩემთა, თავადთა საქრთველოსათა და საზო-
„გადოდ ერთა ჴსჯულ უდებ, საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას
„ქვემოისა ივერისათანა და ვამცნებ ყოველთავე რათა მტკიცედ ეგნენ
„ჩემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჴსჯულთა — ზედა ეკ-
„კლესიურთა, იყავნ ესრეთ: ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჭვია
„მტკიცედ ხელ-მოწერისა ამისა ჩემისა-ებრ.

„მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.
„დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა დარეჯან.
„საქართველოს კათოლიკოზი ანტონი.
„ვიცე კანცლერი სოლომონ ლიონიძე [7]),

## 2.

### ტრაქტატი მეორე ნაცვლად პირველისა.

„უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ყოვლისა სამერე-
„თოსა შვილის-შვილი თქვენი სოლომონ ქრისტიანებრითა აღთქმი-
„თა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვა-
„თა, მეორისა ირაკლის, უგანათლებულესთა მეთა თქვენთა, თავად-
„თა, კეთილშობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

### მუხლი პირველი.

„შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყოველი-
„სა სამეფოისა ჩემისა და ყოველი მტერი მტრისა თქვენისა და
„მოყვარე მოყვრისა.

---

[7]) ტიტული ესე მიიღო მიბაძვით რუსთა დესპანთა მინისტრობისა, 1785 წელსა ამავე ტიტულით იწოდათ თვით მეფისა ირაკლისაგან სულხან ბეგთა ბეგის შვილი, მამა ისაკ მდივნისა.

### მუხლი მეორე.

„მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდები-
„სათვის მეფენისა თქვენისა და ვიყო მზა ნიადაგ წინა-აღმდგომად
„მტერთა თქვენთა.

### მუხლი მესამე.

„ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და უგანათლებუ-
„ლესთა მეთა თქვენთა, ვითარცა თანა-მდები მეფე დის-წული მათი.

### მუხლი მეოთხე.

„უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე,
„მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა სიტყვითა და საქმითა
„შეძლებისა ჩემისა-ებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

### მუხლი მეხუთე.

„უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღ-
„ლესისა კარისადმი, ვითარცა აქვნდეს უმაღლესობასა თქვენსა შევ-
„რულებს, ვიყო თქვენთანა მქონებელი, თანა-ხმობისა უბედნიერესი-
„სა მდგომარეობისა ჩვენისათვის, მფარველობითა ერთ-ბამად ერთი-
„სა უავგუსტესისა კარისათა.

### მუხლი მეექვსე.

„აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანა-
„მდებობითა თვით თავადთა ყოვლისა იმერეთისათა, კეთილ-შობილ-
„თა და საზოგადოთა ერთა ჴსჯულ-გულებ საუკუნოდ ერთ-გულებად
„შეერთებასა ამას ზემოისა ივერიისათა და ვამცნებ, რათა მტკიცედ
„ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჴსჯულთა ზედა
„ეკლესიურთა, იყვნ. ესრეთ. ვიცი ვითარცა თანამდებობა ჩემი, და
„ვჰგიე მტკიცედ ხელ-მოწერისა ამის ჩემისა-ებრ.
„მეფე ყოვლისა საიმერეთოისა სოლომონ.

„დედოფალი ყოვლისა სამერჳეთოისა მარიამ.
„ვიცე კანცლერი სოლომონ ლიონიძე.

3.

## ტრაქტატი მესამე ნაცვლად პირველისა.

„უფლისა იესო ქრისტეს მონა მე მთავარი ოდიშისა და სხვა-
„თა სამთავროთა დადიან და გრიგოლ, ქრისტიანებრითა აღთქმითა
„გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა,
„მეორესა ირაკლის უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კე-
„თილ-შობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

### მუხლი პირველი.

„შეკრასცხო ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყოვლი-
„სა სამთავროისა ჩემისა და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და
„მოყვარე მოყვრისა.

### მუხლი მეორე.

„მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდები-
„სათვის თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინა-აღდგომად მტერთა
„თქვენთა.

### მუხლი მესამე.

„ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და ძეთა თქვენ-
„თა, ვითარ ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

### მუხლი მეოთხე.

„უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე
„მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმით,
„შეძლებისა ჩემისა-ებრ მზა ვარ შემწედ თქვენდა.

### მუხლი მეხუთე.

„უზენაესისა მიმართ მფარველობისა უმაღლესისა საიმპერა-
„ტოროსა კარისადმი, ვითარცა აქუნდეს შეკრულობა უმაღლესობასა
„თქუენსა, ვიყო თქუენთანა მქონებელი თანხმობისა მფარველობათა
„თქუენთანა ერთბამად ერთისა უავღუსტესის კარისათა.

### მუხლი მეექვსე.

,,აღთქმათა ამათ-შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამ-
,,დებობითა თვით სახლის-წულთა ჩემთა და თავადთა სამთავროისა
,,ჩემისათა, კეთილ-შობილთა და ერთა ჰსჯულ-ვუდებ საუკუნოდ ერთ-
,,გვამად შეერთებასა მას ზემოისა ივერიისათანა და ვამცნებ, რათა
,,მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულ-
,,თა ზედა ეკკლესიურთა. იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა
,,ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელ-მოწერისა ამის ჩემისაებრ.

## 4.

### ტრაქტატი მეოთხე ნაცვლად პირველისა.

,,მე მთავარი გურიისა სიმეონ ქრისტიანებრითა აღთქმითა გა-
,,რწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა
,,მეორესა ირაკლის უგანათლებულესთა ძეთა თქუენთა, თავადთა, კე-
,,თილ-შობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთა.

### მუხლი პირველი.

,,შევრაცხო ყოველი მტერი თქუენი მტრად ჩემდა და ქვეყნი-
,,სა ჩემისა და ვიყო მტერი მტრისა თქუენისა და მოყვარე მოყვა-
,,რისა.

### მუხლი მეორე.

,,მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად სახმარ ყო-

,,ფისათჳს სამეფოჲსა თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინააღდგო-
მად მტერთა თქვენთა.

### მუხლი მესამე.

,,ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათჳს და მეფთა თქვენ-
,,თა, ვითარ ნათესაობითა, თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

### მუხლი მეოთხე.

,,უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე,
,,მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა სიტყვითა და საქმითა
,,შეძლებისა ჩემისა-ებრ მზა ვიყო სახმრად თქვენდა.

### მუხლი მეხუთე.

,,უზენაესისა მიმართ მთავრობისა უმაღლესისა საიმპერატო-
,,როსა კარისადმი, სადაცა და ვითარცა აქვნდეს შეკრულება უმაღ-
,,ლესობასა თქვენსა, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანა-ხმობისა უბე-
,,დნიერესისა მდგომარეობისა ჩემისათჳს მთავრობითა თქვენითა-
,,ნა ერთბამად ერთისა უავგუსტესისა კარისათა.

### მუხლი მეექვსე.

,,აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შეკრული თანა-
,,მდებობითა თვით ხალხის-წულთა ჩემთა, თავადთა, აზნაურთა და
,,ერთა სამთავროისა ჩემისათა, ჴსჯულ-უდებ საუკუნოდ ერთ-გულად
,,შეერთებასა ამას ზემოისა ივერიისათანა და ვამცნებ, რათა მტკიცედ
,,ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჴსჯულთა ზედა
,,ეკკლესიურთა. იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარი თანამდებობა ჩემი და
,,ვჰგვიე მტკიცედ ხელ-მოწერისა ამის ჩემისა-ებრ‟.

ოთხად დაწერილნი პირობანი ესენი, ხელ-მოწერილნი და ბეჭედ-
სმულნი მეფეთა და მთავართაგან, მღვდელ-მთავართა და მოხელეთა-
გან, განაცხადნენ ყოველგან.—კოპიონი მათნი წარუდგინეს იმპერატ-

რიცას ეკატერინას მეორესა. თვით სოლომონ ლიონიძე მისრული ვართასხედა იმერთა მეფისა და მთავართა დადიანისა გრიგოლისა და გურიელის სვიმონისა, მრავლგზის დაშვრა რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთ-ნათესაობა ქართველთა. მეცადინებდა შინა-კავშირითა, გაეუქმებინა გარე კავშირი. ერი დაცული გარეოითა უცხო ნათესავ-თაგან მფარველობითა, არის მარადის დამბადებელი. ერი სხვათა მფლობელობასა შინა ქვეშე შესული არის მონა და მონა მზაკვარი, დაცინებული, მასხარად აგდებული. ვითარცა დამკარგველი თვით მე-ფობისა, ჰკარგავს სულისა თვისისა საკუთარსა ძალსა და ღირსება-სა. უძლური სულითა ჰკარგავს სხეულისაცა ძალსა: ენა და მეტყვე-ლება მისი, მწიგნობა და მწიგნობრობა მოელება. ერსა დამონებულ-სა უცხოისა ნათესავისა ენითა და ჩვეულებითა.

ოთხასითა წლითა განმტკიცებულნი კერძოობითსა უფლებასა ზედა სამთავრონი, მოისმენდნენ ლიონიძისა სიტყვათა ერთობისა-თვის. გარნა სადღა იყო ძალი დამაკავშირებელი მათი? ოდეს მეფე-მან ირაკლი მეორემან დაკარგა ერთ-მეფობისა იმერთა ერისა თხოვა, დაკარგაცა ძალი კავშირისა. ხმა ლიონიძისა იყო ხმა ღაღადებისა უდაბნოისა, ენითა ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა. იხილა ესე ლიონიძემან ადრევე და შორს-მხედველმან ვერღა ჰპოვა ღონე სხვა დაცვისათვის მეფობისა, რომლისათვისცა, გამიგონია მამისა ჩემი-საგან, იტანჯებოდა იგი. ესევე იყო მიზეზი, რომელ შემდგომად მეფისა გიორგისა, წარვიდა იმერეთსა და მუნით სპარსეთსა და მო-კუდაცა მუნ დამტირებული ქვეყნისა და მრავლად დატირებული სო-მეხთა კათალიკოზისა ეფრემისაგან, რომელთანაცა ჰცხოვრობდა რა-ვდენსამე დროსა. სიკვდილი მისი იყო ვგონებ 1840 წელსა ანუ მცირედ შემდეგ.

## XIV

მეფის-ძე გიორგი დროითგან ყმაწვილობისა, ვიდრე 40 წლა-

მდე ცხოვრებისა თვისისა, იყო ტანით წვრილი, მაღალი და ბრგე. 1785 წელიწადიდამ შევიდა სიმსუქნეში; განსქელდა დიდად და თუმცა ესრეთმა სიმსუქნემან უფრო ახოვან ჰყო იგი, გარნა ვეღარ ჯდებოდა ცხენსა თავის-უფლად და ვერცა იქმნებოდა მარდი, ვითარცა პირველ. შემდეგ შეეჩვია შინა ყოფნასა, და მოთხოვნილებისა გამოდიდისა გვამისა მიიღებდა სანოვაგესა მრავლად და მადიანად მარადის. ჩვეულებასა ამას შეუდგა მდიდრად სადილისა-მზადება და ხანგრძლივ მირთმევა სადილისა მეჯლიშისა წესითა. პური სადილისა მისთვის იყო გამტკიცული თეთრი და ყოველ დღე ცხვებოდა სახაბაზოსა. ბრძანებისა-ებრ მისის, აქვნდათ ნება ყოველთა ქალაქისა მცხოვრებთა მხოლოდ სნეულთათვის და ავათ-მყოფთა წარეღოთ პური სახლად თვისისად. ყოველ-დღე ხსნილისა დღეთა, მცნებისა-ებრ მართლ-მადიდებელისა ეკკლესიისა, იკლოდა ძროხა, ფლავი ქათმითა და ზირიშკითა შემზადებული, მიერთმოდა ყოველ-დღე; ეგრეთვე შემწვარი და აფსაზური. დიდად უყვარდა ზაქი წლეული ანუ უფრო მოდიდო, სირბილისა, სითეთრისა, გემოვნებისათვის მისისა ხორცისა; უმეცარნი და მეშურნენი და მტერნი მისნი ჩუმნი, დაფარულნი ეცინოდნენ მას ამისათვის და იტყოდნენ სიტყვით: „მრთელსა ზაქსა ჰსჭამსო“. წესისა-ებრ სადილობისა ძველისა და ახლისა, პირველ მეფეს მიერთმეოდა ვერძი და რადგანაც ზაქისა და საუკეთესოისა საჭმლისა ნაჭერნი მიერთმეოდენ მას მრავლად აქედამ, შედგა ცილისწამებაცა,—მრთელსა ზაქსა შეჰსჭამდაო. აქვნდა მას ჩვეულება, ვითარცა დადიანისა კარზედაც მინახავს, რომელ მიიღებდა ნაჭერსა დიდისა თვით, და სხვათა თვითვე დასახელებითა სტუმართა, უბოძებდა; ნიშნად პატივის-ცემისა და სიყვარულისა. ნაცვლად ხბოისა მიირთმევდა ზაქისა წლეულისა ანუ მეტისა ხორცსა. ზაქის ხორცი არის დიდად ლბილი, ფრიად გემოვანი და ფერით დიდად თეთრი, მრავლით უკეთესი ხბოს ხორცისა.

ღვინო უყვარდა წითელი და აქვნდა უკლებელი ხოდაშნური და ყვარული, რომელსაცა ცალკედ დიდად განმწმედილისა ქვევრში შეამ-

ჰხადებდენ საწელიწდოდ კარისათვის მეფესა. თვით მიირთმევდა არა უმეტეს ერთისა ჩარექისა ანუ თუნგისა მეოთხედი. დათრობა მას ჰსძაგდა ვითარცა სიბილწე, და ხუმრობით და სიცილით დაუწუნებდა სადილსა მისსა მეინახეთა, უკეთუ ვინმე გაურევდა წყალსა და წყალ-სხმულსა დალევდა ღვინოსა: გაიგონე რა გიამბო, იტყოდა განგრძელებულისა ხმისა კილოთი: „თუ გინდა ღვინო წყლიანი, მდაბალი ჰსვი ღვინოდ; კარგი ღვინო არ უნდა წახდეს წყლისა შერევითა". არაყი არ იყო ჯერეთ დიდსა ხმარებაში, გარნა ურჩევდა არა ჰსვან ვითარცა მაწყინებელი აგებულებისა და არცა სასარგებლო, თუმცა მტკბარი თავლითა, მურაბისა მირთმევის დროს,—ქართველთა ჩვეულებისა წესითა. ორაგული უყვარდა დიდად და ჰსწყინდა მარადის მკურნალნიცა აყენებდნენ ორაგულისა მირთმევისაგან და არა ერთგზის განკურნესცა წყინებისაგან ორაგულისა აქაცა შექცევისათვის და ხუმრობითა წარმოიტყოდა სიტყვასა: „ოთახისათვის დარბაზი ვის დაუქცევია?"

სადილი მისი არ იქმნებოდა თვინიერ მღვდლისა, რომელიც მარადის მამაო ჩვენოსა თქმითა, აკურთხევინევდა დაგებულსა სუფრასა, და რადგან იცოდა მცირედ ბერძულიცა, ამისათვის ხშირად თვით იტყოდა ბერძულად „მამაო ჩვენოსა" და აკურთხევდა სუფრასა მღვდელსა. ჩვეულებრივ მეინახენი სადილისა მისისა, იქმნებოდენ ოცი და ოც-და-ხუთამდე კაცი დღე-უკელი.

დიდოს ლეკნი თვით ყოველ მაისიდამ და კვალად ზამთრამდე მოჰგვრიდენ თვისთა ცხვართა და თოხლთა, ვითარცა გემოვანთა დიდად და მრავალთა უკმრიელესთა სხვათა მთათა ზედა ნაკვებთა ცხვართა. მეფე დაასაჩუქრებდა მათ ცხვრებითვე სამჟულად; უბოძებდა სამოსთა მათ და ცოლთა მათთათვის. ოდესმე ზაფხულსა მოსძებნიდენ მეფესა ლილოზედ, ოდესმე ქვემო ავჭალასა, სადაც ხშირად განსტარებდა სახლობითა ზაფხულისა თვეთა აქა. ჰქონდა სადგურად გურჯმის-შვილის ზაკლის სახლი ციხე გალავანიანი მტკვრისა პირისა ნაშენი. სიყრმიდგანვე არ უყვარდა ნადირობა. მონადირეთა დიდ-კაც-

თა უწოდებდა „კაცთა უსაქმოთა, მოცლილთა“.—დევნა მსჯელთა და პირუტყვთა შეაჩვევს მტერობასა და მესისხლეობასა, განაბოროტებს გულსაო“. შვილთაცა თვისთა არ ურჩევდა ნადირობისა შეჩვევასა და მართლაცდა არც ერთი მათგანი, რომელთაცა მე ვიცნობდი არ იყვნენ მონადირენი, გარდა მეფის ძისა ილიასი, და ისეცა შეჰსჩვეოდა ნადირობასა რუსეთში. არ უყვარდა ჯირითობაცა, რომელსაცა უწოდებდა საგანსაცდელოსა ომსამე, და ამისთვის მხდალად ჰხადოდენ მიმადლეულნი მეტოქნი მისნი. დილით, შემდგომად ცისკრისა დღეყოველ მოისმენისა მიირთმევდა ჩაისა ილითა და დარიჩინით მოდუღებულსა; ჩინეთისა ჩაისა რომელიცა მოერთმოდა რუსეთიდამ მიიღებდნენ სნეულებისა დროსა სამკურნალოდ და იშვიათად ყავა თურქეთა წესით. სტუმართათვის იხმარებოდა ხშირად.

შაქარი დროთა ამათ იხმარებოდა ყანდისა, რომელიცა მოაქვნდათ ვაჭართა სპარსეთიდამ და მისირიდამ.—ევროპიისა შაქარსა იშვიათად მოუტანდნენ, რადგან უძვირეს სპარსულისა იყიდებოდა. ქარეთი ევროპიისა შაქარი შემოვიდა სავაჭროდ ახალციხისა გზით ეგრეთვე ყავა და თამბაქო, თალათინის ტყავები, საპონი მარანდული (ზეთისა) და სხვანი ესე ვითარნი.

## XV

მეფემან ქართლისა თეიმურაზ მეორემან; ჯერეთ შვილისა წლისა მეფის ძისა გიორგის, შვილის-შვილისა თვისისა 23 აპრილსა დღისათვის ე. ი. სახელწოდებისა მისისა, ბრძანა მოუმზადონ დროშა საუფლოს-წყლო. მისისავე ბრძანებით მოიღეს ყვითელი ატლასი და მასზედა მოქსოვეს ხატი მეტეხთა ღვთის-მშობლისა ფერადებითა და კილიტითა. მომქსოვი მისი იყო ამირეჯიბისა როინასა ასული და ქვრივი როსტომ ციციშვილისა ანასტასია, რომელიცა ასულდა დედოფალისა ანა-ხანუმს, თეიმურაზ მეფისა მეუღლესა და ამოდ მოჰდებოდა მეფისა სასახლესა; და რომელიცა იყო საფუძველი და და-

ახლოვებული დედოფლისა თამარისა, პირველის ცოლისა თვით თეიმურაზ მეფისა.

კათოლიკოზმან ანტონი უკურთხა დროშა ესე და მიართვა მეფისძესა მეტეხისა ეკკლესიასა შინა, პარაკლისისა გარდახდითა. დღესა ამას იყო დიდი პატიჟობა სტუმართა სასახლის პალატებში, ქალთა და კაცთა. ამასავე დღესა აღსაზრდელად მეფის ძისა, შესწირეს მეტეხისა ეკკლესიასა, ვითარცა კარისა მველად საყდარსა და კათოლიკოზისა მეტოქსა, მცირფასი ბარძიმ-ფეშხუმი, რომელიცა დაიკარგა 1795 წელსა, სამი კომლი კაცი და ერთი ხელი შესამოსელი; და მიუბოძეს წინამძღვართა მისთა ოქმი შეწირულობისა.

ხატნი ესე მველი თვით ნამდვილი დაიკარგა ტფილისის აღებისა დღესა 1795 წელსა სპარსთაგან; ხოლო დროშა დღესაც არის სახლსა შინა ჩემსა დაცული. ბუშტი ვერცხლისა და თვით ხული, რომელზედაც იყო დამყარებული სახე ღვთის-მშობლისა, განაქარვა მამამან ჩემმან 1830 წელსა შიშისათვის რუსთა მთავრობისა: ეშინოდა, არა ჰკითხონ, რად გაქვს დროშა ესეო. მმაცა მამისა ჩემისა მარადის მფოთის ჟამსა აშინებდა და ეტყოდა: ორგულობისათვის რუსეთისა გაქვს დროშა ეგეო.

მაშინ, შეშინებულმან, დასწვა ხე, რომელზედაცა იყო ბმული თვით ხატი. ხისა ამის თავზედ ნაკეთ ვერცხლისა ბუშტი გაყიდა და ფასითა ამით უქმნა კიოტი ფიცრისა დაეკეცა დროშასა ამას სამსხივად გრძელი ფრთები და ჩასდვა კიოტსა შინა მინითა დაფარული; დაისვენა თაყვანის-საცემლად სახლსა შინა თვისსა. ამა დრომდე დროშა ესე იყო ბუდეში ჩადებული, და კრძალვიდა კარის წმიდა გიორგის ეკკლესიისა შინა დღითგან მეფის გარდაცვალებისა.

ხატისა ამის კოპიოსა ანუ პირისაგან ჰსჩანს, რომელ თვით ნამდვილი იყო შემზადებული დომენტი კათოლიკოზისაგან, ამისთვის რომელ, ქვე ხატისა ღვთისა დედისა სატოს იქვით დომენტი მუხლმოდრეკით და ხელთა-განპყრობით ღვთისა დედისადმი მვედრებელი.

# XIV

1790 წელსა, ჯერეთ მეფის-ძეს გიორგის, დადიანმან კაცია მოუგზავნა დესპანად ჭყონდიდელი ანტონი და თავადი ბეჟან დადიანი, რათა მოსცეს შვილსა მისსა გრიგორის, მეგრელთა სამთავროსა მემკვიდრისა, ცოლად ქალი ნინა. მეფის-ძემან არა ჰსთქვა უარი და აუწყა მეფესა ირაკლის, რომელმანცა ბრძანა თანა-ხმობა. აპრილისა თთვესა, შემდეგ ათისა დღისა პასექისა კვირიაკითგან, მოვიდა ტფილისსა თვით საქმრო გრიგორი 50 სულთა თავადთა, აზნაურთა და გლეხთაგან ხლებული. დიდითა დიდებითა სადმე მობრძანდა დადიანი ტფილისს. არც-ერთი არ დარჩა დიდ-კაცთაგანი, რომელსაც არ უბოძა საჩუქარი ვერცხლისა ნივთთა. ორმოცი და მეტიცა გამოჰსცა ქარვისა და მარჯნისა კრიანჩუსული ფასოვანი. მეფესა და დედოფალსა მოართვა ორი ოქროს თასი, თუმცა მუნ მეგრელიაში, გარნა დიახ მშვენივრად ნაკეთი. მეფის-ძეს გიორგის ექვსი ჯორი დიდ-ტანოვანნი, კათოლიკოზსა—ომფორი ძვირ-ფასი.

დასწერეს ჯვარი სასახლის ეკკლესიასა შინა და დიდითა მზვითითა წარიყვანეს მეფის-ასული, მშვენიერებითა სავსე ნინა, მეგრელთა ზუგდიდს. სიხარულისა გამო, რომელიცა მიიღეს ესრეთისა დაკავშირებისათვის საქართველოისა მეფესთან დადიანთან. დადიანმა კაცია შესწირა საყოველწელიწადო ძღვენი მონასტერთა დავით-გარესჯისა, ნათლის-მცემლისა, შუა-მთისა და სხვათა ეკკლესიათა, მოსახსენებელად მათდა. ძველთა დროთა ჩვეულებისა-ებრ, წარუვლინეს ფულად და ვერცხლეულად ოთხთავი მართლ-მადიდებელთა პატრიარხთა და განამგზავრეს მათდა არხიმანდრიტი ხოფის-მონასტრისა ილარიონ და მას დროს მეგრელიაში მყოფი ბერძენთა მღვდელ-მონაზონი მიტროფანე, განმგე იერუსალიმისადმი შეწირულთა მეგრელიაში ყმათა და მამულთა. ესრეთითა წესითა მარადის მოითხოვდენ ქორწინებისათვის კურთხევასა და ეპისტოლესა ნუგეშად სასახლი-

სა. ესე მიამბო თვით მეფის ასულმან და დედოფალმან მეგრელი-ისა, ვითარცა იწოდებოდა იგი თვისსა ქვეყანასა, ნინამ, დროსა ჩე-მისა ყოფნისა მასთანა დაახლოვებულად ს.-პეტერბურღისა 1844 წელსა. წინათ ამის წელიწადისა მიათხოვა ქალი ბარბარე სვიმონ ანდრონიკას-შვილსა, კაცსა მდიდარსა ყმითა და მამულითა, მეფისა ირაკლისა საყვარელსა და ვექილად მჯდომსა განჯას, რომელიცა ამ-ღებდა მეფესა მას ხარკსა (ყოველ-წლივ 3,000 თუმანსა). მესამესა წელსა მიათხოვა ქალი თვისი სოფიო თარხნის-შვილსა ლუარსაბსა. დიდი იყო ლხინი და შექცევა ქორწილისა გამო მეფის ასულისა ნინასსა. მეგრელთა თავადთა უკვირდათ წესი ღვინის-სმისა, და მე-ტადრე როდესაც ერთი მეორესთან მივიდოდა სხვითა და სხვითა სასმელისათვის მომზადებულითა ჭურჭელითა და რა ეტყოდენ „ალა-ვერდი და იახშიოლ“, ნაცვლად ლექსთა ამათ ჭყონდიდელსა ანტო-ნის, კაცსა ცხოვრებითა მიაგებებდა ჭაბუა მდივან-ბეგი, კაცი მეცნი-ერი ჭურ-თასსა სავსესა ღვინითა და ეტყოდა: შეუდგები, ქრისტე-სა? ესე სიტყვა და თქმა, ჯერეთ უცნობი იმერეთსა და მეგრელთა-შორის, შემოიტანეს მეგრელიაში და ამ დროითგან ხმარობენ ლხი-ნისა დროსა, ესე მიამბო მანვე მეფისა ასულმან ნინა.

## XVII

სხვათა და სხვათა ჭურჭელთათვის ღვინისათვის სახმართა სა-ქართველოსა დაწერა ლექსად შაირი მღვდელმან ეფრემ ალექსიევმან, მეფისა გიორგისა სახლობისა მოძღვრისა შვილმან, დაუკარგველო-ბისათვის, და ვურთავ მას აქა:

(„მიველ და ვნახე“—ამ ხმაზედ ითქმის სიმღერა ესე).

ბახუსმა[1]) რანიც მოგვცა სასმური,
ეს არს[2]) აწ ნახე, ლიტლიტად ჭური,

[1]) მარანი. [2]) საწნახელი.

ზენათ ქვე[3]) ჯრიცხოთ ნოეს დასტური,
ცრუმ[4]) ბილწმა მასხმედ, რას დროს ჰყო მური,
არსო ბოროტი[5]) კივის მაცთური,
უმანკო[6]) კარგსა არქვა საცთური,
ჩვენ გურჩა[7]) ფიალი სმა საამური,
ხმობს დიდო[8]), ქისტი, ფშავი, ხევსური
თუ დაგვახელა[9]) დავრთოთ ზედ პური:
მისგანვე თქმული, მარანზედ დასაწერი:
ეს ნეკტარი წყაროა, ყოველთ სასური.
რას იქმს, აწ ნასვე, ლიტლიტად ჭური
ამაზედ ჰსჯულმან მოგვცა დასტური:
მგოდებ შესვი, ვინმე ხარ მწყური,
მუნჯი[10]) ხიხვინებს, სულთ მანიშნურებს,
აჯა[11]) მისმინეთ, მეცა ვარ მწყური;
ჰკრა ბაზარ-ბაზარ[12]) ფუშანამ ყური
ფეროხთა[13]) სიმაღლით იქმნა მაშური.
ჰსთქვან, ვსვამ, თუნდ მარტყან[14]) წიხლი კახური,
მთლივ დასტა[15]) ქანჩით, კერულ-ჰყო ნათსზური
შესვა, იქმნა დრკუ[16]) ლალად ნახული
სმათ[17]) არა ჰსჯერა, ეს უსახური;
კულავ მოდრკა[18]), თსარა ყველა ბანური.
ეს ჰსჯულის ქართულ-კახური
რა რომ შეიქმნა მით განასური,
მეტს ნუღარ იხმევ, მიუშვარ ყური
რომ არ გაგხადოს მან უსახური.

---

[3]) ქვევრი. [4]) რუმბი. [5]) ტიკი. [6]) კოკა. [7]) ჩაფი. [8]) დოქი. [9]) ხელადა. [10]) ჯიხვი. [11]) ჯამი. [12]) აზარფეშა.—ფუშანა იყო ქართველთა აზნაური ყანჩაელი, მეფეთა კაცი. [13]) თასი. [14]) ყანწი. [15]) ჭიქა. [16]) კულა. [17]) მათარა. [18]) კათხა.

## XVIII

აქა სათქმელია, რაიცა ვიცი სიმდიდრისათვის მზითვისა დროთა გაოხრებისა სამეფოსა მტერთაგან. იკითხვენ, სად ჰპოებდენ ესოდენთა ოქროსა, ვერცხლსა და თვალ-მარგალიტსა? დროთაგან ძველთა მრავლად აქვნდათ ესენი შენახულად, დრომდე შემოსვლისა რუსეთის-მთავრობისა, სამკაულნი განაშვენებდნენ ქალთა და დედანი ქალთა და რძალთა უძღვნიდენ უხვად. მოსვლამდე კ. ვორონცოვისა, მოადგილედ ხელმწიფისა იმპერატორისა, მრავალნი ესე-გვარნი ძვირფასნი ნივთნი, ვერ-დაფასებულნი რუსთა მოხელეთაგან, უგვანთა და არა მცოდნეთა მათისა ღირსებისა, მიეფარნენ. ქართველთა დაუდეს იგინი, ჰსცვალეს რუსთა ხელოვნებისა სამკაულთა ზედა და სახმარებლად უგულებელს-ჰყვეს. მოსრულმან 1844 წელსა კ. ვორონცოვმან ვერღა ნახა ქალნი შემკულნი ძველთა წესთა სამკაულითა, რომელიცა ენახა მას 1803 წელსა, ოდეს ჯერეთ, 23 წლისა ახლდა აქა კ. ციციანოვსა, დროთა ამათ საქართველოსა განმგესა. შეჰსწუხდა დიდად და გამოიკითხა, რად ჰქმნეს ქართველთა ესე? მაშინ მოიძიეს კვალად სახლებში, სოფლებში, დიდთა ოჯახთა შინა და სომხთა შორის. ეს გვარნი სამკაულნი კვალად განშვენდნენ, კვალად განაბრწყინეს გულნი, ხელნი, პირი და მკერდი ქალთა. მხლებელნი მისნი კნიაზი გრიგორი გაგარინი, ღრაფი სოლოღუბი, კნიაზი კოჩუბეი და სხვანი, დამფასებელნი სამკაულთა ამათ ღირსებისა, ეძებდენ, მოიძიებდენ თვისდა და სახლობათა თვისთათვის. წარსულსა არღა ეშველებოდა რაიმე. ქართველთა თვით დაინახეს, რაი შეუძლიან ერთსა კაცსა, კაცად ქმნულსა. მისთანა მეოფთაცა შეისწავლეს მისგან მრავალი, და კვალთა მისთა შედგომილი განმგე ქვეყნისა კ. ბარიატინსკი ესაროდა საზოგადოსა კავკასიის მხრისა განათლებასა, იყვნენ ნამდვილ პატრონად ქვეყანისა, მოიძიებდენ სიძველეთა, უქმოდენ კეთილთა, აღამაღლებდენ სულითა, ამხიარულებდენ

გულითა, ეწეოდენ მოკლებულთა, ქველის-მოქმედებდენ; ჰსცემდნენ ნუგეშსა და ჰზრუნვიდენ ყოველთა-თვის, რათა ესრეთ სიყვარულითა, ალერსითა, ღიმილითა და მათთანა დაახლოებითა, დაეკავშირათ ქართველი რუსთანა...... მრავალთა რუსთაგანთა არა მოსწონდათ ესრეთი მათი ჰაზრი. ჰგონებდენ და იტყოდენ—ჰრყვნიან ხალხსაო. უგუნურთა მრავალთა არ ესმოდათ, რომელ შიში მონებისა დაბადებს მონათა და მსახურთა მზაკვართა და არა სიყვარულითა დამოკიდებულთა...... აწ საგნისა ამისთვის ვჰსდუმებ...... ვიტყვი პირველსავე სიტყვასა ქალთა მზითევისათვის და მოვიღებ აქა ნამდვილსა მას მზითვისა სიასა, რომელიცა იპოება დღესაცა ქნეინა მანანა ორბელიანისა სახლში. აჰა პირი ნამდვილისა მის სიისა, საცნობელად შემდეგთა დროთათვის:

,,...................... ვჰგიეთ და აწ............ [8])

,,...................... და მეფე ერეკლე ქართლის გამეფდა......

,,...................... ყამთა შინა ვინებეთ და დავემძახლენით......

,,ერის-თვის ისონის-შვილი ბატონი თეიმურაზ...... შვილი ჩვენი
,,ერისთავი ბატონი ბაინდურ, ძმა ჩვენი ბატონი ედიშერ, შვილი
,,ჩვენი იასონ, ბიძაშვილი ჩვენი ბატონი ზურაბ, ბატონი ოტია;
,,მდივან-ბეგი: ბატონი პაატა: ჯვარის მამა ბატონი არსენი; ხარჭა-
,,შნელი. ბატონი გრიგოლ: ბატონი ვამეყ: ბატონი ვახტანგ: და ბა-
,,ტონი ბეყან: თქვენ ორბელიანის შვილებსა საქართველოში უფრო-
,,სად დადგინებულსა, და დიდად პატივ-ცემულსა, ბატონს ასლან-
,,ბეგს; ძმასა თქვენსა სარდარს ბატონს თამაზს, შვილსა თქვენსა,
,,ჩვენს სიძეს ყულარ-აღას: სარდარს ბატონს ლუარსაბს, ტფილელ
,,მიტროპოლიტს ბატონს დომენტის, ბატონს ქაიხოსროს; ბაზი-
,,ერთ უხუცესს ოთარს, მოლარეთ უხუცესს ბატონს მანუჩარს; მე-
,,ჯინიბეთ უხუცესს ბატონს რევაზს; თქვენსა ძმისწულს: ბატონ
,,სულხანს, ბატონ პაპუას, ბატონს მამუკას: ბატონს ერასტის; ბა-

---

[8]) ესე ირაკლი იყო პირველი წოდებული ნაზარ ალიხანად.

,,ტონს გოჯასპის, ბატონს რამაზს; ბატონს ვახუშტის; ბატონს
,,ზურაბს, ყაფლანს, ფითანს, ნიკოლოზს. მზეჭაბუკს: ზურაბს; რე-
,,ვაზს და დემეტრეს: რადგან ჩვენი მოყვრობა მოინდომეთ, ჩვენც
,,დაგემოყვრენით: და მოგათხოვეთ ჩვენი საყვარელი და სასაფიფო,
,,თვალთა ჩვენთა სინათლე, და გულისა ჩვენისა სიმხიარულე ჩვენი
,,მაპატიოსნებელი და ნუგეშის მცემელი, სამოთხის მსგავსი, განუ-
,,შვენებელი, ჩვენი ბატონი ანნა და გამოვატანეთ მზითვად: პირვე-
,,ლად ხატი წმიდისა სამებისა; მის ნაქსოვი ბუდითა და პირ-სა-
,,ხურავითა; კიდევ ხატი ერთი ყოვლად წმიდისა, მისისა ნაქსოვი
,,ბუდითა და პირ-სახურავითა; კიდევ ხატი ერთი წმიდის მარინა-
,,სი, მისი ბუდითა და პირ-სახურავითა, მისის ერთი ზარბაბის ფარ-
,,დითა: ერთი კარგი ჟამნი, მისის ზარბაბის ბოღჩითა; კიდევ ერ-
,,თი დაუჯდომელი, მისის ლოცვებითა: ერთი იელქანი, ოთხი ათასი
,,ხოშორის მარგალიტითა, მისის პატიოსნის თვალითა, იაგუნდი-
,,თა, ზურმუხტითა და ფირუზითა; კიდევ ქუდი კარგი და პატიო-
,,სანი; თალფაქი თხუთმეტი ათასისა ხოშორის მარგალიტითა; ერ-
,,თის პატიოსნის დიდის ზურმუხტითა; მისის შეფერებულისა ლა-
,,ლითა და ზურმუხტითა და სამი ათასის კილიტითა; პირის მარ-
,,გალიტი კარგი და პატიოსანი ოთხმოცდა-სამი მარცვალი. კიდევ
,,ერთი პატიოსანი საყური ბადახშანის ლალისა, ორის მარგალი-
,,ტითა, მისის: ორის ნიშაბურის ფირუზითა, მისის პატიოსნის
,,ჯინჯილითა; ორმოცის ფრანგი-ფარსანგის იაგუნდითა; მისის ფი-
,,რუზ-ქარითა, ოთხის კაცითა, მისის ოთხის ნიშაბურის ფირუზი-
,,თა; ერთი ყელ-საბამი კარგი და პატიოსანი ას-ორმოცის მარგა-
,,ლიტითა, თორმეტი მეტის ფრანგი-ფარსანგის იაგუნდითა, ცხრა-
,,მეტის ზურმუხტითა, თოთხმეტის ნიშაბურის მისის ხუთის ფი-
,,რუზ-ქარის თითრიმითა, მისის ხუთის იაგუნდითა; მისის ოცის
,,ოქროს თითრიმითა; ერთი მაქარა მარგალიტისა; ყელის ჯაჭვი:
,,ოცდა-თხუთმეტის ნიშაბურის ფირუზითა და თვალებითა; სამოცის
,,მსხვილის მარგალიტითა; მისის მუშაბახის ოქროს-ამბარჩითა და

,,მისის პატიოსნის თვალებითა; კიდევ ოქროს ყელის ჯაჭვი, მისის
,,მურასა მიანქარის ამბარჩითა; სამის პატიოსნის დიდროვანის ყვი-
,,თლისა ფრანგი-ფარსანგის თეთრის იაგუნდითა; ერთის პატიოს-
,,ნის ბადახშანის ლალითა; კიდევ ყელის ჯაჭვი ოქროსი, მისის ფი-
,,რუზ-ქარისა ამბარჩითა; ცხრამეტის ბადახშანის ლალითა; თერთმე-
,,ტის ზურმუხტითა; კიდევ კარგი და პატიოსანი ბეჭედი ალმასისა;
,,კიდევ ოთხი ფრანგი-ფარსანგისა ლურჯი იაგუნდისა; კიდევ ერთი
,,ბეჭედი კარგი და პატიოსანი ბადახშანის ლალისა; კიდევ ბეჭედი
,,სამი ზურმუხტისა; კიდევ ბეჭედი უმრუზულის მარგალიტისა; კი-
,,დევ ბეჭედი ყვითლის იაგუნდის დუნჯისა; გულის პირის ჩამოსა-
,,კლები სამი ათასი ხოშორის მარგალიტითა; თხუთმეტის ფრანგი-
,,ფარსანგის იაგუნდითა; თხუთმეტის ნიშაბურის ფირუზითა: პე-
,,რანგის ლილი ცხრა კარგი და პატიოსანი ფირუზ-ქარისა, კაბის
,,ლილი ათი მურასა, ორასის იაგუნდითა; კიდევ კაბის ლილი ცხრა
,,მუშაბახისა; დანა პატიოსანი მურასად მოჭედილი სამოცის იაგუნ-
,,დითა და ფირუზითა და მინანქრის ტარითა; კიდევ ერთი პატიო-
,,სანი დანა მინანქრისა; კრიელეისონი: ერთი ლალის ცილისა თო-
,,რმეტის ოქროს ბირკითა; კიდევ კრიელეისონი გიშრისა ოცდა-
,,ექვსის ოქროს ბირკითა, თხუთმეტის მსხვილის მარგალიტითა;
,,სამის მარგალიტის გოგრითა, ერთის ფოჩითა; კიდევ კრიელეი-
,,სონი ქარვისა; ერთი კრიელეისონი მარჯნისა; ერთი კიდევ კრიე-
,,ლეისონი ქარვისა, ერთი თმისატანი მურასა კარგი და პატიოსანი
,,ორი ათასის ხოროშის მარგალიტითა, სამოცის ოქროს მილები-
,,თა; თავსაკრავებისაგან: ხუთი თავსაკრავი მუყაშისა; ხუთი თავსა-
,,კრავი ფერად-ფერადი, კიდევ ერთი თავსაკრავი ოქროს კილიტისა;
,,საპირის-ფარეშოსაგან: ერთი ვერცხლით მოჭედილი გოდორი,
,,ერთი ვერცხლით მოჭედილი სადაფი, მისის ბროლის გასაღებსა-
,,ვითა, მისის ზარბაშის ბოხჩითა; ვერცხლის საჩხირე მისის სამის
,,ვერცხლის ჩხირებითა; სასურმე ოქროსი, კიდევ ერთი თმის საყო-
,,ფი; ერთი ჩქიფი; ერთი ვერცხლის ლანბაქი; ერთი სადა თასი ვე-

„რცხლისა, კიდევ ერთი დიდი ჯამ-თასი (ვერცხლისა); ერთი ფეხის
„ქვა მოჭედილი; ერთი კიდევ დიდი ჯამთასი; ერთი ავანი და ავან-
„დასტა: ერთი აბანოს ფერანგი; ერთი ყალამქარის ყათიბა: ერთი
„დარაის ფუშტა; ერთი პირსახოცი; სამი აბანოს ფირანდოზი; ერ-
„თი სუზანი; მიჭვრიტანებისაგან: ერთი მიჭვრიტანი მურასად მო-
„ჭედილი; ერთი კიდევ ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერი-
„ლი; ერთი კიდევ მიჭვრიტანი: სალამანდროსი; სკივრებისაგან: სკი-
„ვრი ერთი სათაბანდისა; მისის წვრილმანითა და ხალასად შეკერი-
„ლებისა ბოლჩებითა; კიდევ სკივრი ერთი მოჭედილი დიდის მიჭ-
„ვრიტანითა; კიდევ კოლოფი ერთი სადაფ-ქარისა; საწერელი ერთი;
„კარგი და პატიოსანი თევზის კბილისა, ოქროს რაზებითა და მი-
„სის იარაღითა და მაკრატლითა და ყალამ-თრაშითა; სუფრის ია-
„რაღისაგან: ერთი ოქროს თასი, სამოცდა ათის ფლურისა; კიდევ
„ერთი ფიალა ვერცხლისა; ერთი კულა ოქროთი მოჭედილი; ერ-
„თი თეფში ვერცხლისა; ერთი ჯამი ვერცხლისა: ერთი სამარილე
„ვერცხლისა; სურა ვერცხლისა; ერთი გულაბდანი ვერცხლისა, ოქ-
„როთი დაფერილი; ერთი ტაშტი-წუნწუმა ვერცხლისა; ერთი სასან-
„თლე ვერცხლისა; ერთი თასების ფირანდაზი:—ქეშაგებისაგან: სა-
„ბანი ორი ზარბაბისა; ორი ნაზბალიში ყურისა, ზარბაბი აკრავს.
„ორი ყურის ბალიში, პირად ზარბაბი აკრავს: ორი სასთაული ხა-
„ვერდისა, ზარბაბი აკრავს; დოშაქი ერთი, ხავერდი აკრავს; ზეწარი
„ორი, ჩარჩამი ერთი დარაისა. ტანისამოსისაგან: ერთი ყირმიზის
„ხარას ტყავი: შავს სიასამურს აკრავს, მისის მსხვილის მარგალი-
„ტის ქურთ-ბალებითა და სირმის ზონრითა და ფოჩითა: კიდევ ერ-
„თი ტყავი თეთრის დიბისა; შავს სასიამურს აკრავს მისის ხოშო-
„რის მარგალიტითა, ოთხის გოზრითა და ოთხის მარჯვნის ფერო-
„ჩითა და თითრბითა, კიდევ ერთი ზარბაბის ტყავი, კურდღლის აკ-
„რავს; ტყავ-კაბა ერთი, ხალასად შეკერილი, შავს სასიამურს აკრავს;
„ერთი ქათიბი, სალასად შეკერილი; შავს სასიამურს აკრავს მისის
„სამის ოქროს ხრიკითა, კიდევ ერთი ქათიბი დიბისა, კურდღლისა

„აკრავს; ერთი ქარა-ქალი საიისა, მისის ვერცხლის ხრიკითა; ერთი
„თეთრის დარაიბაბთის კაბა, მისის ცხრისა ოქროს ჩაფრასტითა: და
„ხუთის ჯუფთისა, ოქროს სასხლისა ხრიკითა; კიდევ ერთი ნარინ-
„ჯისა და საიბაბთის კაბა; კიდევ ერთი თუსტუხის დარაიბაბთის
„კაბა, კიდევ ერთი ზარბაბი შალის კაბა; კიდევ ერთი მწვანე დარაი-
„ბაბთისა; კიდევ ერთი ყვითელი დარაიბაბთის კაბა; კიდევ ერთი მწვა-
„ნე დარაიბაბთის კაბა; კიდევ ერთი იისფერი; კიდევ ერთი დოლ-
„ბანდის ზარბაბი; კიდევ საგულე დოლბანდის ალის-ფერი; კიდევ
„საგულე მწვანე ზარბაბისა; ახალუხებისაგან: ახალუხი ერთი დარაი-
„ბაბთისა, მისის ოქროს ჯაჭვის თვალებითა; კიდევ ერთი ახალუხი
„ყალამქრისა, მისის ნაქსოვნის სახებითა და დარაის ბოღჩითა. სარ-
„ტყლებისაგან: სარტყელი ერთი ფათისა; კიდევ სარტყელი ერთი
„ზარბაბისა; კიდევ სარტყელი ერთი შალისა; პერანგებისაგან: პერან-
„გი ცხრა ფერად-ფერადი; ცხრა მისის ამხანაგითა და მისის ბოღ-
„ჩითა; ჯორაბებისაგან: ჯორაბი ხალარად შეკერილი ორი; კიდევ
„ჩიგინით შეკერილი ერთი; მაშია ცხრა; ჩაქმა ერთი, კიდევ ხალასად
„შეკერილი ერთი ოქრომკედითა; ხელსაგდები სამზეური ერთი ოქ-
„რომკედით ნაკერი; კიდევ რუფაკი ზარბაბისა ერთი; კიდევ გამო-
„გვიტანებია პატიოსანი გამდელი, მისის საყბეურითა, ოქრო ყელის
„ჯაჭვითა; ცხრა ოქროს ღილითა; რვის ბეჭდითა, ზურმუხტისა,
„იაგუნდისა, და ფირუზითა და მარგალიტითა; ტყავითა, ტყავკაბი-
„თა და შვიდის ხელის ტანისამოსითა; ერთის ორხოვითა; ერთის
„ხალიჩითა, ერთის ჯუფთის ფარეშითა, ერთის ზანდუკითა; ვერცხ-
„ლის თასითა; ცხრის პილენძის ჯამითა და თეფშითა; ერთის სპი-
„ლენძის სურითა, ერთის სათბობის თუნგითა; ქვაბითა, ტაშტითა
„და ალთაფითა და ფისაოსითა; კიდევ პირის ფარეში პატიოსანი;
„ხუთის ხელის ტანისამოსითა; ტყავითა, ტყავ-კაბითა, ცალის მაფ-
„რაშითა, ზანდუკითა და ზანდუხჩითა და სამის ჯამითა და თეფ-
„შითა; გამოგვიტანებია კიდევ პატიოსანი მოლარე ხუთის ხელის
„ტანისამოსითა ტყავითა და ტყავ-კაბითა და ერთის მაფრაშითა და

„ზანდუკითა; კიდევ მედოშავე პატიოსანი; ოთხის ხელის ტანისა-
„მოსითა, ტყავითა და ტყავ-კაბითა, ცალის მაფრაშით და ზანდუ-
„კითა; კიდევ პირის ფარეში სამის ხელის ტანისამოსითა, ტყავე-
„ბითა და ტყავ-კაბებითა, ცალის მაფრაშით და ზანდუკითა; კიდევ
„პირის ფარეში სამის ხელის ტანისამოსითა, ტყავებითა და ტყავ-
„კაბებითა; კიდევ ერთი გამდელის გოგო: მერიქიფე გურმი-შვილი;
„სუფრაჯი მტერიშვილი გიორგი; ¦საფარეშოს იარაღისაგან: ¦ორ-
„ხოვა ჯუფთი ერთი; ზანდუკი სამი; მაფრაშა თალათინისა, ჯუფთი
„ერთი; სუფრა ყალამქრისა ჯუფთი ერთი; კიდევ სუფლა ბავრაჯის
„ჩითითა, ჯუფთი ერთი; ფახარი ერთი; ფისოსი ერთი; ფიდანი
„მისის კოვზითა ერთი; მანღალი ერთი; სათბობი თუნგი ერთი; სა-
„აბანოე ქვაბი ერთი; კიდევ დიდი ქვაბი ერთი; ტაფა ერთი; ლანგა-
„რი მისის ზარფუშითა ორი; სუფრა ყაშული ერთი; ცხრა თეფში;
„ცხრა ჯამი; ცხრა ლანბაქი; ერთი სააბანოე ტაშტი; კიდევ ერთი მო-
„მცრო ტაშტი; ერთი ფარეში, ერთი კარგი ცხენი რახტით შემკუ-
„ლი, ოზბეგურის უნაგირითა; ერთი მისი შათირი . . . . . . . .
(ბოლო წერილისა ამის არღა იყო).

ამილახვრიანთში არის ამათზე უფრო მდიდარი მზითვის წიგნი მეფის ასულის ბანგუასი[9]).

## XIX

მოხუცმან 75 წლისა მღვდელ-მონაზონმან ათანასი შიო-მღვიმელმან, გვარითა ამილახვარმან, 1846 წელსა მომითხრო ამბავი მეფის გიორგისათვის შემდეგი:

მეფის-მე გიორგი ექვსის წლის წინათ ქალაქის წახდენისა (1789 წელსა) მობრძანდა შიო მღვიმეს და თან-ჰყვნენ კათოლიკოსი ანტონი, მთავარ ეპისკოპოზი ბესარიონ გარსევანაშვილი (8 თთვე

---

9) თვისსა დროსა ესე ვითართაცა შევაგროებ დაუკარგველობისათვის.

იყო კათედრას) და თეოდორე ბერძენი, წინამძღვარი მთავარ ანგელოსისა ეკვდერისა, მცხეთის ეკკლესიისადმი მიდგმულისა.—მიეგებნენ მთიდამ ჩასავალსა ბილიკსა შემოსილნი მანტიითა წინამძღვარნი უდაბნოისა და მონოზონნი ხატითა, ჯვარითა და საიაზმითა მისრული უდაბნოსა, შევიდა და თაყვანი ჰსცა წმინდისა შიოს საფლავსა და წმინდათა მისთა ნაწილთა. იწყეს მწუხრი დიდი გალობითა იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიასა შინა, და მერეთ შებრძანდა განმზადებულსა მისთვის სენაკსა, აქა მიირთვა გახშამი საყვეღიერო და უბოძა შეკრებულთა მლოცველთა ღვინო თვითონ, მეგომლესა თვითა ხელადა.—მხიარულმან მეფის ძმამ მოუთხრა ცხოვრება წმინდისა შიოსი ესრეთისა დაწვრილებითა, ესრეთიით ტკბილითა ხმითა და მოთქმითა, რომელ მოიყვანა განცვიფრებასა ბერნი, მსმენელნი და თვით ბატონი კათოლიკოზი და მრავლისა არა მცოდნე მთავარ-ეპისკოპოსი. წინამძღვარი თეოდორე მოხუცი და ოდესმე მასწავლებელი ბერძნულად გიორგისა, ბერძნულისა კილოთი ხშირად დაუმატებდა მეფის ძისა საუბარსა სიტყვასა:—გაკურთხოს ღმერთმან! გიორგი განმხნევდებოდა და ესიამოვნებოდა ტრფიალებასა მას, რომელსაც გამოაცხადებდა თეოდორე, და თვით დროთი და დროთი დაამატებდა კვალად ალტაცებისა გრძნობასა ლექსითა ბერძნულითა: კირიელეისონ. დღესა ხუთშაბათსა თვით შებრძანდა ეკკლესიასა ცისკრად და წირვისა ჟამსა თვით წარიკითხა სამოციქულო. თანამწირველი თეოდორე იტყოდა ასამაღლებელსა ბერძნულად, წირვის შემდეგ სადილისა ჟამსა მგალობელთა თანა კათოლიკოზისა, რომელნიცა უგალობდენ სმილის პირთა, დღის კონდაკთა და ტროპართა და წმინდისა საგალობელისა მუხლთა; თვითცა გალობდა მეფის-ძე. მეორეთ მოითხოვა საგალობელნი, რომელნიც ენასა მას სიყრმისა თვისისა დროსა, ოდეს იყო იგი 18 წლისა თვით ამას მონასტერსა შინა ქმნილი და თხზული არსენი მღვდელ-მონაზონისაგან დაყუდებულისა, რომელიცა ჰსცხოვრებდა როსტომ მეფის დროსა და ახლდა სიყრმით დედოფალსა მარიამს მეფისა მის მეუ-

ღლესა. იყო გურული, ემიეს და ვერ ჰპოვეს. რავდენნიმე მუხლი თვით მას ახსოვდენ და წარმოსთქვა, და რავდენიმე ახსოვდა ზეპირად მღვდელ მონაზონსა დომენტის, მოხუცსავე 70 წლისა, გვარით გურამისშვილსა, კაცსა რუსეთშიაც ყოფილსა და განსწავლულსა.— სადაა ესე საგალობელი და ვითარ მიეფარა, არ ვიცი, მეტყოდა ათანასი. მასვე დღესა მწუხრისა წინათ, გამოეთხოვა მეფისა ძე გიორგი მეუდაბნოეთა და წარვიდა მცხეთად. დროსა მას იყვნენ კრებულად 28 მამანი, 4 მწირნი ბერნი, 10 საბერონი, ოცდაოთხნი მსახურნი და 30 მეთოფენი მცველნი. ლეკნი ეკრეოდნენ გარემოთა მცხოვრებთა, და ვერ უძლო უდაბნომან. ამისთვის მეორესავე წელსა დაიცალა უდაბნო, ბერმენნი წარვიდნენ სხვათა მონასტრებში და ხატნი და ჯვარნი წარიღეს, ამილახვარისთა ჭალასა დასაცველად. დღესაცა მისნი ძველნი ხატნი და ჯვარნი მუნ იპოვებიან, თუმცა უდაბნო კვალად გაშენდა და შევიდნენ ბერები 1802 წელსა.

## XX

მოსურული სრულსა ჰაზსა მოისურვებდა ფილოსოფოსთა ძველთა ჰსწავლის მოსმენასა. კათოლიკოზი ანტონი, გარდმომღები რუსულით ქართულსა ენასა ბაუმეისტრისა ფილოსოფიისა, განუმარტებდა ჰაზრთა და ლექსთა მნიშვნელობათა. მეფის-ძესა უნებდა გაგება მათი და ვერა რაი გამოჰსწერა თქმათაგან მათთა მაღალთა, საგანთათვის მაღალთა.—დაუტევა სწავლა ესე და იტყოდა: „არა მესმის ესე; ენაყავ წყალსა.“ ჰსწავლასა და სიბრძნესა, საჭიროსა სახმარსა, სასარგებლოსა და კბილსა ჰკჭოვებთ ქრისტეს მცნებათა შინა ნამდვილთა და განსვენებისადმი გულისა და გონებისა მიმყვანთა და სულისა დამატკბობელთა.—შეუდგნენ მცნებათა ამათ და გვეკმაება.—ესე ვითარი მისი ჰაზრი იყო მიზეზი, რომელ არა უყვარდენ მას არცა ფილოსოფოსად წოდებულნი, დროთა მისთა ზაქა-

რია გაბაშვილი, ამბროსი ნეკრესელი, იოანე ოსეს-ძე და სხვანი სისტემისა მათისა კაცნი, დაღალულნი კატიღორიითა, დიალექტიითა, ტოპიკებითა და სილლოგიზმებითა. „ჭკსწავლა ესე თქვენი“—უბრძანებდა მათ ხშირათ სიცილითა,—ვითარცა ყინული, ხელში დნება, და გასდის, ვითარცა ფლავის საწურავსა წყალი. ესრეთსა მეფისა ამის თქმასა შვილნი მისნი და ძმანი მოიგონებდიან და მეტყოდიან პეტერბურღსა, სადაცა ვჭკსწავლობდი მეცა ფილოსოფიასა მეფის ძმანი მირიან, ფარნაოზ, და ძენი მეფისანი ბაგრატ, თეიმურაზ და მიხაილ.

## XXI

ოთახი საწოლისა მისისა იყო მაღალი და გრძელი და ვრცელი. აღმოსავლეთით დიდსა თახჩაში ესვენნენ ხატნი შემკობილნი ძველად მდიდრად, წმიდანი ნაწილნი, ხელი იოანე მოწყალისა და წინაშე მათსა სამნი ოქროისა შანდანნი. ამათგან ერთი მეცა მინახავს მეფის-ძეს მიხეილთან. ს. პ. ბ., რომელთანაც ვსადგურებდი 1843 და 1844 წელთა. ესე შანდანი ანუ სასანთლე იყო 48 მისხალისა წონისა; ზედა წარწერილი ძელისადმი ჭეშმარიტისა შეწირულობისა ესრეთ: „შენ, ძელო ჭეშმარიტო, შემოგწირე სასანთლე ესე: ეს ძელი ჭეშმარიტი გივმა ამილახვარმან მიართვა დედოფალსა თამარს და მისმა სიმაღლემ მეფემან ირაკლიმ ძესა თვისსა გიორგის მიუბოძა. წელსა 1778 მისხალი არის 48“. სამხრეთის მხრით ეკიდნენ სახენი ანუ პორტრეტნი პეტრე დიდისა, იმპერატრიცა ეკატერინა II, პავლე ხელმწიფისა, თეიმურაზ მეფისა, თვისისა პაპისა, მამისა ირაკლისა პერგამენტზედ ნახატი. ესე მაჩუქა მე თვით მეფის-ძემან მიხაილ და მე მივართვი კნიაზსა მ. ს. ვორონცოვს. ბუხრისა თავსა აღმოსავლეთითვე იდგა ზარიისა საათი, მორთმეული რუსეთით კოვალენსკისაგან.

ჩრდილოეთით იდგა საწოლისა მისისა ტახტი ვრცელი და

გრძელი, მდიდრად მორთული და წითელის ხავერდით მოდებული; კედლის სიგრძეზედ იყო მიკრული ხავერდივე, წინარე ტახტისა საწოლისა იდგა გრძელი სტოლი ხავერდ-ფენილი და იდვნენ მას ზედა საწერელი და ქაღალდები და შუაზედ ყუთი, რომელშიაც იდვა ბეჭედი თვისი ოქმთა საბეჭდი, ფული სახარჯო, ლაქა და საიდუმლონი მიწერ-მოწერისა ქაღალდნი. გასაღები ამა ყუთისა ექ-მნბოდა თვით მარადის ჯიბეში. დასავლეთით იყო გრძელი ტახტი ხალიჩა და ქეჩა ფენილი, მუთაქებით მოდებული, მშვენიერი ნაქ-სოვისა ფარჩებითა გადაკრულნი. იატაკი იყო დაფენილი ერ-თისა მრთელისა, თვით ოთახისა ზომისა მშვენიერისა ორხოი-სათა.

სნეულებისა გამო აქა მიიღებდა მახლობელსა საქმისა და მომ-ხსენებელთა აქავე ულოცავდენ ცისკარსა და მწუხრსა. მეორესა დიდ-სა ოთახში, რომელსაცა აქვნდა სიგრძე 6 საჟენი და იყო მდიდრათვე დაფენილი, მიირთმევდა სადილსა.

დედოფლისა სადგომნი უმეტეს იყვნენ მორთულნი მშვენიერად და ძვირ-ფასად,—გარემო-ოთახებისა, თახჩებისა, იდვნენ მრავალნი სხვათა და სხვათა ნაკვეთთა ჩინურნი ჭურჭელნი და ვერცხლეულნი მრავლად. ზემოისა სახლისა ნაჭერნი სადგურნი იყვნენ 22 და ქვე-მოსა სავლისა, სადგურად მსახურთა და მხლებელთა პირთა 22 ვე, ქეშიქთა ანუ მეფის მცველთათვის ცალკედ ნაშენსა სახლში იყო და-ნიშნული ექვსი ოთახი. მეფისა ქეშიქნი ყოველ დღე იყოფოდნენ 25, მეფის კარის ხარჯითა და ულუფითა, გარდა სასახლის მხლებელთა, გარე სასახლისა სასახლისავე ოჯახნი დღე ყოველ მიიღებდენ ხორცსა, პურსა და ღვინოსა, და მარხვისა დღეთა ნაცვლად ხორცისა, ლო-ბიოსა, სისირსა და სხვათა სამარხოთა,—სახლსა ჩემსა აქვნდა და-ნიშნული დღე-ყოველ ერთი ლიტრა ხორცი, ერთი თუნგი ღვი-ნო, 4 ჯიგარი და 3 ლავაში.—ესე იყო მიზეზი, რომელ შემდ-გომად მეფობისა პაპასა ჩემსა მღვდელსა ონისიმეს დაუნიშნა იმ-პერატორმან ალექსანდრე პირველმან ციციანოვისა წარდგენითა

200 მანეთი და იღებდა მას დღედმდე გარდაცვალებისა 1817 წელსა[10]).

## XXII

ხოლო ზრდილსა სიყრმით მართლ-მადიდებლობისა მშობელთაგან უყვარდა ტრფიალებითა ეკლესიისა დღესასწაულნი, დღეთა რომელთამე, ვითარცა თვით იტყოდა, ქვეყანისა ცად გარდამქცეველნი. ესრეთ ქრისტეს სიყვარულითა დამთვრალი მეფე იხარებდა და იშვებდა სულითა, ოდეს დაესწრებოდა თვით ეკლესიისა ტაძრისა დღესასწაულთა, ესევე ტრფიალი სულისა წმინდათადმი ხატთა, მოღვაწეთა მათთა გამომაცხადებელთა და პირველ-სახისადმი აღმწევნელთა იყო მიზეზი, რო-

[10]) აჰა ნამდვილი მოწმობისა პირი: „ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი ხელის თხოვნისა-მებრ მოხუცებულისა საქართველოსა სამეფოს-კარის ეკკლესიისა მღვდლის ონისიმესა, ვჰმოწმობთ, რომ ეს ხსენებული მღვდელი პირველად ხლებია განსვენებულსა მეფესა თეიმურაზ მეორესა და შემდგომად განსვენებულსა მეფესა გიორგის, და ნიადაგ ჰქონდა ამას მეფეთაგან წელიწადში პური კოდი ორმოცი, და ფული ვერცხლისა თუმანი ოცი. რომელსაც დანიშნული ესე რიცხვი პურისა და ფულისა მიეცემოდა მიუცილებლად: პური სოფელზედ და ფული თვით მეფეთაგან ხელდახელ, გარდა სხვათა შესაწევნელთა ნივთთა, 2 იანვარს 1804 წელსა, კათოლიკოს პატრიარხი ყოველის საქართველოისა ანტონი.

არხიმანდრიტი ლოდბარი გერასიმე.

არხიმანდრიტი და წევრი დიკასტრიისა ტრიფილე. (მეორე სვეტზედ)

თავადი ორბელიანი იოანე.

თავადი ბარათოვი ზაალ.

თავადი იოანე ჩოლაყაევი.

თავადი ორბელიანი გიორგი.

თავადი ესტატე ციციანოვი.

თავადი სულხან თუმანოვი.

მოწმობისა ამის ძალითა და კნიაზის ციციანოვის წარდგინებითა მიეცა მას ონისიმეს 20 თუმანი პენსია.

მელ შემდგომად წირვისა თჳსისა ჰსცემდა ხატთა, ამბორსა უყოფდა მათ დიდებით მათ ზედა, ღჳთისა მადლისა მქონთა, შუბლსა და თვალთა და ოდესმე მაღლად დასვენებულთა ხატთა, ერთსა წვერსა ყავარჯენისა გრძელისა, რომელსაცა მიართმევდენ მეფესა დასაყრდნობელად, ემთხვეოდა თჳთ, და მეორესა წვერსა შეასხებდა კრძალვითა თჳთ ხატსა წმიდასა.

ესე მრავალთა, არა განმგეთა სარწმუნოებითისა მისისა მხურვალებასა, ეჩვენებოდა საქმედ უმჯერად. ესრეთსავე მაგალითსა შეუდგა შვილიცა მისი მიხაილ და დღე ყოველ ჰხედვიდი ესრეთ მლოცველად და ამბორის მყოფელად წმიდათა ხატთა.

დღეთა ამათთჳს დღესასწაულითა, ზედაშედ ღვინო მეფისა და სასაბაზოდამ მეფისა სეფის-კვერი მიერთმეოდა მღვდელთა და მწირველთა ეკკლესიათა მათ, სადაცა იქმნებოდა თჳთ მეფე მედღესასწაულეთა შორის მლოცველად, ეგრეთვე სანთელი და საკმეველიცა, —ძველისა აქამომდე ადგილ-ადგილ დაშთენილისა ქართველთა ჩვეულებისა გამო.

## XXIII

განმახლებელმან წმიდის გიორგის•ეკკლესიისა, აღშენებულისა სვიმონ ზანიშინისაგან, დასდვა იგი კარის ეკკლესიად, მას შინა დაასვენა დროშა თჳსი და შეჰსწირა ბარძიმ-ფეშხუმი ვეცხლისა შემდეგისა ზედა წარწერითა: აქ შენ მოწამეთა შორის მხნესა და ღვაწლით შემოსილსა, უძლეველს მთავარ-მოწამესა წმიდისა გიორგის შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ბარძიმი: ესე ყოვლად უღირსმან და ცოდვილმან ბატონისშვილმან გიორგიმ, რათა მეოხ მექმნა საშინელსა მას მეორედ მოსვლასა ქრისტესა მეფისასა. ამინ. 1768, ქრისტეს აქეთ ჩღჲჱ, მისხალი ტ.

ესრეთივე ზედა-წარწერა არის ფეშხუმზედ, რომლისაცა წონა არის დანიშნული: ,,რ-ა. მისხალი‘‘. ბარძიმ-ფეშხუმი ესე დღესაცა ჰგიეს

ეკკლესიასა ამას შინა, წოდებულსა დღემდე ჯვრის საყდრად. კვირასა და დღესასწაულისა დღეთა შინა, მოსმენამდე საღმრთოისა ლიტურღიისა, არა რასა მიირთმევდა. შემდგომად წირვისა მოართმევდენ ეკკლესიასა მასვე სეფის-კვერსა და ზედაშესა. ესრეთ იყო ჩვეულება ძველთა ქართველთა და მრავალთა შორის ჰგიეს ესევე დღემდეცა მრავალთათვის. ვიტყვი—,,მრავალთათვის" ამისთვის, რომელ შესრულა რეცა ევროპიის ჩვეულებათა და განათლებულად საგონებელთა არღა დაიცვეს კანონი ესე მერყეობისაგამო სარწმუნოებასა ზედა.

## XXIV

არიან განკვირვებასა, რად დასუსტდა მორწმუნოება ესე რუსეთისა მართლ-მადიდებელთა შორის და რად მოედვა სენი ესე ქართველთა ყრმათა. გონებისა განკვირვებასა მათსა ვეცინი. ნუ უკვე ვერ ხედვენ მიზეზსა? მთავრობა რუსეთისა აღირჩევს ზედა მხედველად და მასწავლებლად მართლ-მადიდებელთა სასწავლოთათვის კაცთა არა მართლ-მადიდებელისა სარწმუნოებისა, მერყევთა ქრისტიანობასა ზედა, არცა ლიზოთა, არცა შატობრიანთა, რომელნიცა ფილოსოფიითა არა ქრისტიანობენ ანუ ქრისტიანობითა არა ფილოსოფოსობენ, და გონებისა მაღლისა მოარულობითა. ისტორიათა შინა-მსოფლიოთა: და ეკკლესიისა დაწვლილებითა პირუთნელებითა ძიებითა არა ხედვენ სარწმუნოებისა ნათელსა.—ესენი და მათგან აღზრდილნი ყრმანი, წარმკითხველნი ბუნებითის ისტორიისა, ჰგონებენ საღმრთოისა წერილსა არა რაობასა. არა ჰყავსთ ჩამგონებელნი და მთქმელნი, რომელ მეცნიერებისა ნამვდილ თვალით მხედველთა არა რაი უთქვამსთ (კუვიესა სტეფანესა და ესე ვითარითა) წინაალმდეგ არცა მოსეს წერილთაზედა და არცა სახარებისა მცნებათა და დოღმატთა ზედა. ვასილი დიდი და ორიგენი და გრიგორი ნაზიანზელი და სხვანიცა ღრმად იყვნენ მცოდნენი ბუნებისა დროთა მისულვით. მეცა ვარ წარმკითხველი ახალთა წერილთა ბუნებისა გამო მეძიებელთა და ვერსად ვერ ვჰპოვე რაიმე

ჭაზრი ყოვლადი და მტკიცე, და მარღვეველი სახარებისა.—რენანიო?
იტყვიან. ესე რენანი დიდად სუსტი მტერის ქრისტესი—სხვანი ნუ-
მეცოთ მწერალნი ვითარცა შლეიერმახერი და შემდგომელნი მისნი,
უმეტეს ღირსნი არიან ყურადღებისა გარნა გონიერად და აუჩქარებ-
ლად გამომეძიებელნი წერილთა მათთა შესწუხდებას, რად ჰსთქვა ესე
და ესეო.

გარნა ესე ყოველი სათნო და არს სათნო გონებისა და მეცნიე-
რებისა, ღვთისა შემოქმედისა და ღვთისა სოფლისა მხსნელისა საჭი-
როა სიმტკიცისათვის თვით სარწმუნოებისა. უფროირე ნათლად გან-
ბრწყინდება ქრისტიანობა, უმეტეს დამტკიცდება იგი კაცთა ნათესა-
ვისათვის, ვითარცა იყო შემდგომად არიოზისა, შემდგომად იულია-
ნესისა მდევნელისა, შემდგომად მეფეთა ხატთა მბრძოლთა, შემდგო-
მად ფრანცუზთა მწერალთა ქრისტეს სახარებისა და ჯვარისა რეცა კაცთა
გონებისათვის და საკდემელთა რათმე, რობეს პიერისაგან დამარხულთა
მიწასა შინა: ნუ ივიწყებენ იოანე მახარებელისა სიტყვათა: ,,ნათელი
ბნელსა შინა ჰსჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია''.

## XXV

დიდად დატკბებოდის მეფის-მე მამათ ცხოვრებისა კითხვითა
უდაბნოთა შინა საღილის და ვახშმისა ჟამსა ძმათა სატრაპეზოსა-
თა, რაოდენ ჯერმე განმამეორებინა სიტყვა ანტონი დიდის მეგვი-
პტელისა; მეტყოდა მოძღვარი ჩემი მღვდელ-მონაზონი გაიოზ, მო-
ხუცი გარდაიცვალა ტფილისს 1864 წელსა: „თევზი მოიძინებს,
ოდეს აღმოიყვანს მას წყლიდამ: ესრეთვე მეუდაბნოე უძლურებს,
ოდეს შევალს სოფელსა და ჰგიებს ქალაქთა შინა: ვისწრაფოთ და
ვიბრუნდეთ მთათადმი ჩვენთა სამონაზონოთა ვითარცა თევზნი წყალ-
თადმი“ —მეფე განამხნევებდა თვით მეუდაბნოეთა კეთილ-მსახურე-
ბითა თვისითა. მარხულობითა თვისითა აჩვენებდა მარხულობისა სი-
მტკიცესა; ლოცვითა თვისითა ამრჩობლებდა ლოცვასა და ვედრება-

სა მათისა ღვთისადმი; ცრემლსა თჳსსა შეართებდა ცრემლსა მათსა და სარწმუნოებითა თჳსითა განამტკიცებდა მორწმუნოებასა მათსა: ვითარცა მერცხალი უდაბნოსი, შესრული ბუდესა შინა თჳსსა, გალობდა ღვთისა გალობასა. ვინ იტყვის უცოდველად ბოროტსა მეუდაბნოეთათვის: არიანო უსარგებლონი: ყრმანი ჩვენნი, თავადთა აზნაურთა და გლეხთა ჰსწავლობდენ აქა წერასა, კითხვასა, გალობასა, გრამატიკასა, რიტორიკასა, ფილოსოფიასა და ღვთის მეტყველებასა; აქა ისახებიან ობოლნი და გლახაკნი; აქა იკურნებიან სნეულნი; აქა ივსებიან მშიერნი; აქა სნეულნი სულითა მიიღებიან სამრთელესა; აქა მწუხარენი, ვითარცა სასნეულოსა, ნუგეშ იცემებიან და ჰპოვებენ სიხარულსა, და შვებასა, რომელსაცა ხშირად დავნატრით სოფლისა მდიდარნი და ნეტარად საგონებელნი. ბრძოლის ყამსა, სიტყვითა და ჯვარითა შველიან ქვეყანასა; სიმშილისა დროსა გვიძღვნიან პურსა და ღვინოსა, საკლავსა და ცხენსა, ურემსა და მეურმეთა. — ნუ უმე კვალად იტყვის ვინმე უსარგებლობასა მათსა ქვეყანისათვის. მეუდაბნოენი სხულთ მხოლოდ არა წმინდათა, მრუშთა, მპარავთა, მტაცებელთა, მეშფოთეთა, რომელთაცა ჰსდევნიან იგინი თჳსითა ცხოვრებითა, ეპისტოლეებითა და ქადაგებითა. ქმნის ბოროტსა მათი, ვითარცა ქმნასა ღვთისა: ვითარცა ცუდთა მოხსნათა უფლისა თჳსისა კეთილისა; ვითარცა ჰსჯულის გარდამავალსა მსაჯულის ჭეშმარიტისა. მეუდაბნოეთა შეყენებულთა სამხოლოთა შინა, არა რაი აქვსთ საკუთრებად. სიმდიდრე მათი არა არის დაფარული ჩვენგან; საუნჯე მათი არა არის ჩვენთვის უხილავი, ესე ყოველი შემოდის ჩვენკენ, ვითარცა ნაკადნი წყარონი, ყოველგან მომდინარე. ნათელი სწავლისა მათისა, მოიფინების ჩვენდა, ვითარცა შუქი მზისა. ნაყოფი ნაშრომთა მათთა ჩვენთვის არის უშურველი. რომელი არა განსწავლეს მათ? რომელი არა განაძღეს მათ? ვინ არა განკურნეს? მისრული მათდა სამკურნალოდ? რომელსა დაუხშეს კარი სტუმართ-მოყვარებისა, უცხოთ შეწყნარებისა, მტერთა სიყვარულისა? მოძულენი ქრისტესნი და ეკლესიისა წესდებისა ჰსდე-

მენით; იგემდით და ირიცხვენდით კადნიერად მოუბარნი წინააღმდეგ ქრისტეს სახარებისა[11]).

---

[11]) დროთა ამათ იყვნენ გამოჩენილად და ბრწყინავდნენ ვითარცა მნათობნი უდაბნოთა.

ს ა ბ ა ბერი მწირი, მოსული დავით გარესჯას, იმერეთით საყვარელი მეფის ძის გიორგისა, მხნე სულითა და ხორცითა. ესე იყო ნათლია ანუ მიმრქმელი მეფის ძის მიხაილისა.

ს ე რ ა პ ი ო ნ, ნათვსავით იმერელი. 22 წლისამ დაუტევა სოფელი და ისწავა მორჩილმან უდაბნოისა ნათლის მცემელისა, წერა და კითხვა. მეფემან თეიმურაზ უბოძა წინამძღვრობა და 120 წლისა გარდაიცვალა 1762 წელსა მოღვაწებასა მისსა ამსგავსებდნენ ძველთა თეთაიდისა და პალესტინისა მეუდაბნოეთა.

დღესა ერთსა ბერი სნეული მიიცვალებოდა და მოისურვებდა წინამძღვრისა თვისისა ნახვასა. მოახსენეს ესე სერაპიონს, და ამან არ განუტევა კითხვა ლოცვანთა და ბერი გარდაიცვალა, იქმნა დრტვინვა ძმათა, მაშინ შევიდა სენაკსა მას გარდაცვლილისა ბერისა და ხმა მაღლად უბრძანა ბერსა. „ს ა ხ ე ლ ი თ ა უ ფ ლ ი ს ა თ ა ა ღ ზ დ ე გ ი“. აღდგენილსა მკვდრეთით, აღუთქვა, კვალად სიცოცხლე ერთსა წელსა. ესე მომითხრა მე მოხუცმან მღვდელმან ლაზარემ საგარეჯოელმანო,—მეტყოდა მე მეფის ძე მიხაილ.

გ ა ბ რ ი ე ლ ნათლის მცემლის უდაბნოისა მოღვაწე. ამათ 1779 წელსა უანდერძა მეფის ძეს გიორგის ხატი სასწაულთ-მომქმედი ღვთის-მშობლისა ოქროთ მოჭედილ. ესე ხატი შემდგომად მეფისა გიორგისა აქვნდა მეფის ძეს მიხაილს. ვის დარჩა ესე შემდგომად მიხაილისა არ ვიცი.

გ ე ე ნ ა დ ი 140 წლისა მწირი ბერი ნათლის-მცემლისა გვარით თულაშვილი, დიდი მოღვაწე. კვირის-კვირადმდე მმარხველი, სალთ-ხუცეს ყოფილი დავით ერისთვისა. 60 წელი არ ენახა სოფელი, არც არავის ეჩვენებოდა მოსრულთა მონასტერსა შინა, გარდა ოდესმე ეპისკოპოსთა და მეფეთა მუნ მოსრულთა, გარდაიცვალა 1721 წელსა.

ი ლ ა რ ი ო ნ ხევსურელი, კაცი მართალი და წრფელი, მღვდელ-მონაზონი. 80 წლისა მიიცვალა დავით გარესჯას.

დ ა ნ ი ე ლ ბერი, მოწაფე სერაპიონისა, 4 წლიდამ უდაბნოს შესრული.

# XXVI

ზერმენთ სინა მთისა წინამძღვარნი ძველადვე ეაჯებოდენ მეფესა, მისცენ და შთააბარონ ეკკლესია გუმბეთიანი აბანოისა, ტფილის გზასა ზედა დაფუძნებული და სომეხთაგან თურქთა დროსა 1728 მიტაცებული ფაშისაგან და მისთა კარის-კაცთა, მოსყიდვითა. მეფემან ირაკლი მეორემან ვერ აღასრულა ესე, რათა არა აწყენინოს სომეხთა მომავალთა ტფილისად, საჭიროთა ვაჭრობისათვის. მეფე გიორგისა ჟამსა დანიშნეს, როგორცა ჰსჩანს საქმიდამ, მეფისა გიორგისა ეშიკაღაბაშა ასლან ყაფლანი-შვილი და სხვანი მდივან-ბეგნი განსახილველად საქმისა. საქმისა განხილვისა დროსა ცნობილმან კათოლიკოსმან სომეხთა ლუკა და ეჩმიაწინისა კრებულითა, მოსწერეს მეფესა წერილი და თხოვა ვედრებითა არა მოელოსთ სომეხთა ეკკლესია, რომელსაცა ჰფლობენ ადრიდგან სომეხნი, შესწუხდა მეფე და უნებდა რათამე და როგორმე დააკმაყოფილონ ზერმენთა წინამძღვარი. გარნა საქმე ესე ცხადად აღმოჩნდა სასარგებლოდ ზერმენთა, რომელ მეფემან ბრძანა წარუგლინოს საქმე და მოხსენებმდივან-ბეგთა მარქარ კარდაპეტის ხელითა და ინებოს თვით კათოლიკოსმან ლუკამ ჰქმნას განჩინება სამართლიერი. მისრულმან მარქარ კარდაპეტმან განუმარტა დავა ზერმენთა. დაგვიანდა პასუხი და

---

გ ა ბ რ ი ე ლ ბერი, მოწაფე სერაპიონისავე, 120 წლისა, პირველად, დოდოს მონასტერსა ყოფილი, მოკლეს ლეკთა 1802 წელსა, ამან იმარხვა 40 დღე. რათა ჰპოვოს ხატი ტვიაფებისა წმინდის ანტონის მარტო მყოფის მონასტერს.

ვ ე ნ ე დ ი ქ ტ ე ფალვლეწნის შვილი, მოკლული ოსთაგან.

თ ო მ ა გარსევანა შვილი წინამძღვარი დავით გარესჯისა, ამას წაართო წინამძღვრობა დავით ბატონის შვილმან, და მისცა ილარიონ ზებუჩრიშვილსა, და გარდაიცვალა 1802 წელსა 120 წლისა; მასწავლებელი მრავალთა თავადთა და აზნაურთა.

გარდასწყვეტა კათოლიკოზისა; მეფე გიორგი გარდაიცვალა და დამ-თა ეკკლესია დღემდე სომეხთა.

## XXVII

ამავე დროსა წინათ გარდაცვალებისა მეფისა იყო დაწყობილი და ათონისა მთისა წინა-მძღვართაგან დაქცეულისა შაბაზისა დრო-დგან 40 მოწამეთა ეკკლესიისა. ეკკლესია ესე იყო თვით იგი, რო-მელსაც მოიხსენებს ცხოვრება წმიდისა მოწამისა აბოსი. ეკკლესი-ისა ადგილსა დანაქცევთა ამათ, ედავებოდა თბილისელი თათარი... კეზიროვი, მეფესა უნებდა მიცემა მათი ათონისა მთისა მამათათვის; გარნა სიკვდილმან უსწრო მეფესა და ვერ გადაწყდა საქმე და სა-ჩივარი. რუსთა მთავრობისა დროსა 1840 წელსა სენატისა უქაზი-თა ჩაბარდა კეზიროვთა და ესენი ფლობენ ადგილსა მას და აღშე-ნებულთა მას ზედა სავაჭროთა დუქანთა დღედმდე.

## XXVIII

ყაენის მოსვლის წინათ თბილისს მეფის-ძესა გიორგის მი-ენდვა ქიზიყის ჯარისა შეყრა. წარგზავნილმან სიღნაღს, ჰსცნო და-ბარება იმერეთიდამ იმერთა ჯარისა. დედოფალსა დარეჯანს არა ენე-ბა, რათა მეფის-ძისა გიორგისა დროშა პირველობდეს სამეფოში. მეფის-ძეს თანა-ახლდეს ჟამთა ამათ ქიზიყისა მოურავი ზაქარია ან-დრონიკა-შვილი და ცოლის-ძმა მეფის-ძისა რევაზ ანდრონიკა-შვილი, რომელსაცა მეფემან ირაკლი დედოფლისა დარეჯანისა რჩევითა, აღ-რეკე მოუღო ქიზიყისა მოურაობა და მიუბოძა ზაქარიასა, რომელ-საცა ჰყვანდა ცოლად ასული მეფისა ირაკლისა ელენე. ესრეთ არა კმაყოფილმან რევაზ და მარადის მდრტვინავმან მეფეზედ, თუმცა შეუყარა ჯარი ქიზიყისა, გარნა არა ჰსურდა შეერთებულ-იყო მეფი-სა ჯართან, თბილისსა შეკრებილსა.—„უშველოს ზაქარია მოურავ-მან, იტყოდა რევაზ, ქვეყანასა; როცა გაუჭირდათ მაშინ მომიგო-

ნეს?“ მეფის-ძეს გიორგის არა ჰქონდა ბრძანება ირაკლისა არცა ჯარისა შეკრებისა და არცა მოსვლისა თბილისად. ესე ნამდვილი არის და არც საეჭვო. იოანე მალხაზის-ძე ანდრონიკოვი (ღენერალ ლეიტენანტი დღესაც ცოცხალია) ხშირად მოიგონებს საქმესა ამას და ვიცი ესე მისგანაც პირუთნევლობით.—რევაზ განვიდა მტკვრისა პირის-პირ ალსტაფისა და დაუსხდა ყარაბალის და შამშადილისა საქონელსა, რომელნიცა მოჰყვანდათ ქართლსა დასახიზნავად; მოსტაცა იგი და წარიყვანა კახეთსა და ვითარცა იავარი განუწილა ქიზიყელთა. მეფემან ჰსცნო ესე და იწყინა, გარნა არ იყო დრო საქმისა განხილვისა, სპარსთა განვლეს ხიდი გატეხილი და მიახლოვდებოდნენ თბილისსა. ზაქარია მოურავმან კაცმან მხნემან და არა ეგოდენ ძლიერმან ხმითა და ღირსებითა ვითარცა რევაზ, მარტყოფის სოფლიდამ ქიზიყამდე შეკრებილითა ჯარითა 600 კაცითა მოვიდა თბილისს. რევაზ და მეფის-ძე გიორგი დარჩნენ ქიზიყსა, — და ჰსცნეს მხოლოდ დამარცხება იმერთა ჯარისა, უნიჭობა ზაქარია მოურავისა, აღება სპარსთა თბილისისა და გაქცევა მეფისა კაიშაურსა.

მეფის-ძე გიორგი მწუხარებდა უფრო ამისთვის, რომელ აბრალებდნენ მას მოღალატობასა და ვერცა გამოაცხადებდა მამისა თვისისა რიდითა მას, რომელ არა ჰქონდა უფლება ჯარის შეყრისა უბრძანებლად. ეგონათ რომელ იმერეთისა ჯარი და ქართლისა ეკმოდა სპარსთა დასამარცხებლად, ესევე იყო მიზეზი, რომელ დღეინდელად დღემდე ქიზიყელნი ვერ მოიხსენებენ კეთილად მეფესა გიორგის, რომელსაცა ჰსწამობენ, მტრობით ვითომც მამისა, ესრეთ სუსტად მოქცევასა გაჭირვებისა დღეებში.

## XXIX

1786 წელსა აგვისტოს 8, ვითარცა ჰსჩანს ოქმიდამ აზნაურის მიქელოვისა, იყო დუშეთს. აქა ესტუმრა არაგვისა განმგესა მეფის-

ძეს ალმასხანსა ანუ ვახტანგსა და აღვიდა ალევისა მთასა დღესა 16 აგვისტოს დღესასწაულობისათვის დღისა ღვთისა-დედისა მიძინებისა. აქვე დიდისა მზადებითა, ვითარცა ქრისტიანე მიიღო მან წმიდა საიდუმლო, და შესწირა ვეცხლისა დიდი თასი ზედა წარწერითა: „მეფის-ძის გიორგისა ვარ მისს. ნე.“ დაჰყო აქა მთასა მაღალსა დღე სამი. აქედამ მიიწვიეს ერისთავსა და იყო კორინთასა, ქარჩოხსა მთასა ღომისა, სადაც შეჰსწირა ძველად აღშენებულსა წმიდისა გიორგისა სახელზედ ეკლესიასა ჩარექა ვერცხლისა და დაჰსდვა მუნ თაყვანის-საცემლად ჯვარი ვეცხლისა ზედა წარწერითა: „ჯვარო პატიოსანო იყავი მფარველ მეფის-ძისა გიორგისა.“

მუნით ჰსთხოვეს ვაიშაურისა მთათა შინა ძველად მკვიდრთა საქონლითა და ძველადვე დეკანოზთა და სამღვდელოთა მის ეკლესიისა, არაგვისა მხრით, ზურდულთა: ესრეთ არაგვისა ხეობითა მოვიდა ანანურსა და აქედამ შევიდა ყინვანის გზითა ფშავსა და ხევსურეთსა. ხევსურეთისა სამზღვარზედ მოეგებნენ ქისტნი მრავლად ძღვენითა. ლაშას-ჯვარსა მიართვა ვეცხლით მოჭედილი ხატი წმიდის გიორგისა. აქედამ გარდავლო მთა ბორბალოსა და მივიდა თიანეთს, მერეთ ერწოსა, სადაცა უმასპინძლეს თავადთა ტუსიანთა მას, ვითარცა ადგილთა მათ მებატონეთა; განვლო ღამე ერთი ნიკორნსა და სიონისა ეკლესიისა ზღუდეთა შინა მოილოცა სათვალავი წმიდისა მოწამისა მეფისა არჩილისა პირველისა. ამა გზით წარმოვლო ბოდავსა და შეჰსწირა ხატი წმიდისავე გიორგისა ბოდავისა ეკლესიასა ძველად აღშენებულსა მაღალსა მთასა ზედა.

მუნით მოვიდა ბულაჩაურსა და მიიღეს თავადთა ხიმშიანთა. აქედამ გამოვლო მდინარე არაგვისა და მოვიდა მცხეთასა. აქა გამოეთხოვა ძმათა თვისთა მეორისა დედიდგან ალმაზხანს და კათოლიკოზსა ანტონის და მივიდა თბილისად.

## XXX

1788 წელსა მოვიდა მეორედ მეფის-ძე გიორგი დუშეთსა და

თანა-ჰყვა მას წილკნელი ამბროსი, კაცი სათნო და კეთილი, არა და-ხელოვნებული ჰსწავლათა შინა, გარნა ყოვლად ტკბილი, დუმილის-მოყვარე და მშვიდი. მეფის-ძესა მამისა თვისისა თანხმობითა და მინდობითა უნებდა, ქრისტიანობისა გამო მთათა შინა, გარდასვლა გობსა და ვიდრე დარიალამდე, სადაცა იყო სამზღვარი ქართველთა. მას აქ ახლდნენ ლალა თვისი სვიმონ მაყა-შვილი, სასახლის მღვდელი ონისიმე იოსელიანი, დავით ხუცესი ნათლის-მცემლისა თბილისის ეკკლესიისა, თავადი ბარძიმ ხიმშია-შვილი, მამა მის ხიმშია-შვილისა, რომელმანცა ჰსცა ხანჯალი და მოჰკლა ღენერალი ლაზარევი, თავადი იოანე ანდრონიკა-შვილი.

დუშეთიდამ დარიალამდე სვლა მეფის-ძისა, იყო სლვა მოციქულთა. ყოველთა ნიშთა და წმიდათა ხატთა თაყვანის-საცემლათა ადგილთა ზედა, მოვიდოდნენ და გალობდნენ პარაკლისსა, და დაასვენებდენ ჯვართა, მიუბოძებდენ ბავრაყთა და ადიდებდენ მაცხოვრისა სახელსა. სადაცა იყოფოდა ეკკლესია-შერყეული, აკურთხევდენ, და შერყეულთა შინა შევიდოდნენ და ისადგურებდენ მუნ, სადაცა ძველადვე აქვნდათ მემკვიდრეთა მუნ ხატნი ანუ ნიშნებნი ანუ ხატისა ტყეებნი. მეფის-ძე უძღვნიდა ხატთა და ჯვართა ადგილთა ამათ, პატივ-ცემულთა კრისაგან. წილკნელი ამბროსი უკურთხევდა ბავრაყთა და ჰსხურებითა აიზმისა განსწმედდა ადგილთა, და მკვიდრთა დასახლებულთა გარემო თაყვანის-ცემულთა მათგან ადგილთა. თვით მკვიდრნი ადგილთა ამათ შინა მცხოვრებნი, უძღვნიდენ ცხვართა, ძროხათა და თხათა, ერბოსა და ყველსა სამასპინძლოდ ქრისტეს სახელისა მქადაგებელთა. მგალობელნი იტყოდენ გალობათა ძილის-პირთაგან და სტუმრობისა დროსა თვით მცხოვრებნი იმღერდენ სიმღერათა თვისთა მათითა წესითა.

დეკანოზთა ერისა მათგან დადგენილთა, მიეცემოდა მათგან უფლება. რათა იცვიდენ ადგილსა პატივითა, ხატთა, ჯვართა, ბავრაყთა, და სხვათა შეწირულობათა. მეფის-ძე მხიარულობდა განთესისა გამო ქრისტიანობისა ნიშანთა, ძველადგან არა შერყეულთა. ეპისკოპოსი

ამბროსი იხარებდა სულისა მხიარულებითა ქრისტეს-მიერ. მკვიდრნი მთიულნი დღესასწაულობენ დღესა ამას დღისა ხატთა თვისთა. ენკენობას, (თავთა შინა მათთა და გულთა შინა მათთა) მხლებელნი მათნი ეკვირვებოდენ ესრეთითა ადგილთა გზითა და ღონითა და სამშუალობითა ქრისტიანობისა დამკვიდრებისა თავთა შინა მათთა და გულთა შინა მათთა. დღესა ერთსა განისწავებოდნენ მაცხოვრებანი ადგილთა ამათ ქრისტეს-მიერ ზნეობითა, ესრეთ მსუმბუქად და ადვილად, განსაკვირვებლად დიდთა სოფლისა ამის მეცნთა პლატონთა, სოკრატთა, და არისტოტელთა. ესრეთ შეიტანეს მთათა ამათ ჰსწავლა მაცხოვრისა მეფეთა მირიან, ვახტანგ, არჩილ, დავით აღმაშენებელმან, დედოფალმან თამარ, ლაშამან გიორგი და შემდგომთა მათთა.

უკუ-ქცეული მუნით მეფის-ძე მოვიდა დუშეთის გზით მუხრანსა; მუნ ეწვია წილკნელსა ამბროსის და აქედამ წარვიდა თბილისსა.

გოშპარ კობიაშვილი, მოხუცი, 112 წლისა, გარდაცვალებული 1864 წელსა, იტყოდა: ,,მახსოვს დღე ესე მეფის-ძის გიორგის მობრძანება არაგვზედ; ყმაწვილი ვიყავ და მამსახურებდენ მათ თავადთა, რომელნიც ახლდნენ მას ბოდორნისა დღესასწაულსა. ამბროსი წილკნელი ბრძანდებოდა მუნ მწირველიო და იტყოდენ კაცნი და ქალნი მრავლად, არ იამა ბატონიშვილს ალმასხანს მეფის-ძის გიორგის არაგვზედ მოსვლაო. ყმაწვილობისა გამო ჩემისა, მათი შინაური ამბავი ჯერ არა ვიცოდიაო; ეს კი კარგად და ცოცხლად მახსოვსო, რომ ათამდის ყმაწვილნი კაცნი მოვედეთ არაგვისა ჭალასა ბოდორნის მირში და დავიჭირეთ თოფით მოკლულნი ხოხობნი და მივართვით ბატონსაო. დროთა ამათ მრავლად იყო ხოხობი ჭალებში გაღმა და გამოღმა არაგვისა. იმ დროს როდესაც გულ-ხეთქებით ავედით ბოდორნასა და მივართვით ხოხობებიო, მამა მთავარმან ბოდორნისა მოხუცმან ბესარიონ... მიართვა ცოცხალი ორაგული აქვე არაგვში ბოდორნისა მირში დაჭერილი და მეფის ძემან უბოძა ფული, საჩუქარი, და ჩვენ ყმაწვილებს გვეწყინა, რადგანაც არა გამოგვივიდა წყალობა რამე.“

# XXXI

ოდეს მეფემან ირაკლი დაადგინა შვილნი თვისნი სხვათა და სხვათა ადგილთა ზედა საქართველოსა სამეფოსა, და მისცა განსაგებელად არაგვი-შვილსა თვისსა ალმას-ხანს, — მაშინ უმცროსი მე ირაკლისა ფარნაოზ ჯერეთ 15 წლისა დარჩა უადგილოდ. მეფემან ბრძანა, რათა დროდმდე იყოს და ჰსცხოვრებდეს ესეც დუშეთს ძმისა მისისა ალმას-ხანისათანა. ესრეთითა ბრძანებითა წარვიდა იგი დუშეთს და ალმასხან ადრევე ცნობილი ესრეთისა მეფისა განჩინებისა გამო, შეჰსწყუხდა და ოდეს მოვიდა დუშეთს ფარნაოზ, მან ძმამან იგი არ მიიღო. თანა მხლებელთა უქადეს თოფის გავარდნა და აზნაურნი არაგვისა, შთაგონებულნი ალმასხანისაგან, იტყოდენ სიტყვათა მკვახეთა. ამისთვის მასვე დღესა უკუმოიქცა ფარნაოზ და მოვიდა ტინის გზით მჭადის-ჯვარსა და ისადგურა რამდენსამე კვირასა სახლსა დისა თვისისა მეფის ასულისა ქეთევანისა მეუღლისა თავადის იოანე მუხრანის-ბატონისა. მეფე ირაკლიმ ჰსცნო ესე და დიდად შეჰსწყუხნა. დედოფალი დარეჯან მრისხანებდა შვილზედ და უნებდათ მეფესა და დედოფალსა გამოდევნა არაგვიდამ ალმას-ხანისა; მაშინ ჭაბუა ორბელიანისა რჩევითა შევიდნენ შუა მდგომელობასა კათოლიკოსი ანტონი და თვით მეფის-ძე მემკვიდრე გიორგი და მათთან მხლებელი დეკანოზი სიონისა იოანე ოსეს-ძე. ორნივე ესენი წარვიდნენ მუხრანისა გზით დუშეთსა, წარიყვანეს თვისთანა მეფის-ძე ფარნაოზ და დროებით დაასადგურეს ალმას-ხანთან, ექვსსა დღესა შექცევით განატარეს მუნ დრო სიყვარულისა. აზნაურთა დამშვიდებისათვის და ნიშნად ჭეშმარიტისა კავშირისა შეჰფიცეს ყოველთა ბოდორნისა ეკკლესიასა შინა დღესა 8 სეკტემბერს, რომელსაცა არის დღესასწაულიცა თვით ტაძრისა ამის გუმბეთიანისა, მაღალსა ბრძვასა ზედა. აქა სწირა თვით კათოლიკოზმან ანტონი და გარემო ეკკლესიისა დიდისა სერისა დაგებითა თავადთა და აზნაურთა არაგვისა მხიარულებ-

დენ მემკვიდრე გიორგი და ძმანი მისნი. გარნა ივარნაოჩმან თვით არ ინება მუნ დგომა და შემდგომად 6 თთვისა მივიდა მამისა სახლსა თფილისადვე.

## XXXII

წინათ აღა-მაჰმადხანისა თბილისს, მოვიდა ელჩად ჩიათ-ხანი, რომელმანცა მოითხოვა მეფის ირაკლისაგან, რათა წარუვლინოს თვალი მეფისა ნადირშაჰისაგან ნაქონი, უკუაგდოს რუსეთისა, აღიაროს მფარველად, ვითარცა ძველად სპარსეთი და მისცეს მძევლები. შეჰსწუხნა მეფე ირაკლი მოხუცი. ჰქმნა რჩევა და გამოკითხვა მსლებელთ კარის კაცთა. მეფის-ძე გიორგი, ვითარცა მემკვიდრე წარდგა წინაშე მეფისა და მოახსენა: წარავლინოს მძევლად ძე მისი დავით და თვითცა წარვალს შვილითა უკეთუ ჰსურს; წარდგებს ყაენთანა, გამოჰსთხოვს წყალობასა რათა არა წარახდინოს ქვეყანა. დაუტოვებს შვილსა თვისსა მუნ მასთან მძევლად და თვით უკუ-იქცევა. ესრეთი ჰაზრი მისი იწყინა დიდად დედოფალმან დარეჯანმან, რომელსაცა ეშინოდა არა მოვიდეს სპარსთა ჯარითა და არ გამეფდეს სპარსთა ძალითა ჯერეთ სიცოცხლისავე მისისა მამისა დროსა. მეფემან უბრძანა უარი და სხვათაცა არ მოიწონეს ჰაზრი ესე მეფისა ძისა გიორგისა, ვითარცა წინააღმდეგი რუსეთისა თანა შეკრულისა ტრაქტატისა 1783 წელსა.

მეფემან ბრძანა უარი მასზედა რაიცა მოახსენა ელჩმან ყაენისა, და მიუგეს პასუხად მას ყაენისა ელჩსა: „მრავალ ჯერ ვართ მოტყუებული სპარსთაგან, მრავლად მათგან ტანჯულნი; სარწმუნოებას ჩვენი ვერ დაგვაკავშირებს სპარსეთსა; მიმიცია სიტყვა და წერილითი პირობა ვიყო კავშირითა მტკიცითა შეკრული რუსეთისა ხელმწიფესთან, რომელიც არის ერთისა სარწმუნოებისა ჩემთანა მქონი, ერთისა ეკკლესიისა შვილი, ერთისა ხმითა მადიდებელი ღვთისა. თვით სპარსეთმაც იცის ესე აღრითვე და წინა მოადგილეთა ვე-

ქილთა (ყაენთა მართველთა, რომელნიცა ნადირშაჰის შემდეგ იტყ-ცებდენ ხმითა სპარსეთისა ტახტითა და არა ნამდვილთა ყაენთა სპარსეთისა) მე მყავს გვერდით ჯარი ჩემი და ჯარი რუსეთისა. მანამ ერეკლიდამ აქ მოვა ჯარი ყაენისა, ჯარი რუსეთისა უფრო ადრე შემოვა თფილისს." ესრეთი იყო რჩევა და პასუხი მეფისა ელჩისადმი აღა-მაჰმად ხანისა.

## XXXIII

ოდეს განჯაზედ გაილაშქრა მეფემან ირაკლი, მაშინ მეფის ძე გიორგი განაგებდა სამეფოსა. დიდად ბეჯითად აშველებდა ურმებსა, ტყვია-წამალსა და კაცთა ცხენოსანთა. იტყვიან დამსწრენი, — განა-კვირვა სარდალნი და თვით მეფეო. აქვნდა მიწერ-მოწერა ვალერიან ზუბოვთან, რომლისა თხოვნითა წერილითა 30 სეკტემბერსა 1796 წელსა № 367 (ზანაკითა თეუსალათის მდინარეზედ) მოუმზადა რუსთა ჯარისათვის პური და საკლავი. დაბრუნებულმან განჯით მეფემან მიუძღვნა დიდი მადლობა და ბრძანა სახალხოდ; „შვილი ჩემი გიორგი დიდი მეფე იქნებაო“. ამასვე წელსა გარდაცვალებისა გამო ნოემბერსა იმპერატრიცასი ეკატერინასი ბრძანებითა მეფისა ირაკლისა 23 დეკემბრით ჩაიცვა თვით შავი და დასდვა გლოვა 40 დღით საუფლის-წულოთა თვისთა და სამეფოსა თვისსა,

## XXXIV

გარდაიცვალა მეფე ირაკლი თელავსა 11 იანვარს 1789 წელსა. დროსა ამას მემკვიდრესა პირმშოსა მისსა მისსა გიორგის აც-ნობეს ქსე ბორჩალოს და ყაზახს სადაცა იყო წარსული თათრებისა ელჩისა სანივრისაგამო. აქავე მოულოცეს მას მეფობა დიდთა თავადთა და მოხელეთა ქართლისა და კახეთისა. 22 თებერვალსა მიბრძანდა მეფე თელავს და თან ახლდა 130 თავადი და აზნაური ქართლისა და კახეთისა. იტირა მეფემ მამა გარდაახდევინა პანაშვი-

და მღვდელ-მთავართა მუნ მყოფთა ბოდბელს იოანეს, რუსთველსა სტეფანეს და ნინოწმინდელსა მისაილს. შემდეგ შევიდა დედოფალთან დარეჯანთან, თვისსა დედინაცვალთან და მოახსენა სიტყვანი გლოვისა; მერეთ უბრძანა მღვდელ-მთავართ. და კარის კაცთა დაჰს-დგან ეკლესიაში საწიგნე და მასზედ ჯვარი, სახარება და ფიცისა ფურცელი. აქავე ეკლესიასა შინა ესვენა გვამი ირაკლისა და შეჰფიცეს მას წერილითა ვითარცა მეფესა და სჯულიერსა მემკვიდრესა, დამტკიცებულსა პირმშოობითა და რუსეთისაგანცა,—ძალითა არა, იტყოდა მეფე: ვისაც სურს ჰფიცონ და აღმიარონ ერთგულად მეფედ.

მეფის ძე ბაგრატ, განაგებდა საქმეს ამას. ჰფიცეს მღვდელ-მთავართა და თავადთა და აზნაურთა. დარეჯან დედოფალი, ცხადად არა აღიარებდა მას მეფედ: მე მინდა, იტყოდა იგი, მეფობა, ვითარცა ეკატერინა იყო დედოფლად რუსეთში. მეფემ ჰსცნო ესე და არა ათხოვა ყური. ფარნაოზ ძე მეფისა ირაკლისა აპირებდა ხმლითა მიხდომასა, გარნა მეფემან შეუთვალა ტუქსვა და უბრძანა დუმილი. მივიდა მეფესთან ამბავი, რეცა ამილახვარი დედოფლისა ყორღანიშვილი გაბედვითა იტყოდა უჯეროთა სიტყვათა მეფისათვის. განრისხდა მეფე და ინება შეპყრობა მისი. აცნობეს ყორღანაშვილსა ოსეფას და დაიმალა დედოფალთან. მოახსენა მეფესა მიმალვა მისი მუნ. მაშინ ბრძანა: რა ვჰქმნა, გამოვათრევინო დედოფლისა სადგომიდგან მყრალი ყორღანაშვილი, შესწუხდება დედა-ჩემი, მოხუცი განრისხდება და იტყვიან მეფე გიორგი ნერონი არისო: დედა შეურაცხჰყო, უტევეთ, იყოს მუნ პყრობილად.

დედოფალმან მიუგზავნა მეფესა ქლეკთერი სიტყვითა: ეკლესიაში მოხსენებითა შემდეგ მეფისა მე მომახსენონ. შესწუხდა მეფე და ბრძანა მოახსენონ დედოფალსა: მეწაღე და ცოლი მისი, მეჭუდე და ცოლი მისი ერთნი არიან ქორწინებითა: არა შეიძლებს მათი დაშორება, და ნუ აშფოთებს ერსა მას და თვისსა თავსა უსამართლოითა თხოვითა. ჰსდუმნა დედოფალმან და დაწყნარდენ დრო-

თა შფოთისა, დღეთა ამათ იყო ჭირი დიდი ქალაქსა ტფილისსა და გარემო სოფლებთა.

## XXXV

მეფის ძენი იულონ, ვახტანგ და მირიან მარტისა თთვესა მივიდნენ თელავსავე და შეჰფიცეს არა სიწრფელითა. თვით დედოფალიცა დარეჯან, კათოლიკოსისა ჩაგონებითა, ჴელდასხა შედაკლდა. ჭირი დაჰსცხრა და ამისთვის შემდგომად 40 დღისა წასვლისა გვამი მცხეთას დასასაფლავებლად და თვით მობრძანდა ქალაქსა თბილისსა, სადაც არღა იყო ჭირი, დაბინავდა მუნ. შემდგომად ერთისა კვირისა მობრძანდა დედოფალიცა დარეჯან და დასდგა ავლაბრისა სასახლესა, რომელსაცა აწ ეწოდების ფერის-ცვალებისა მონასტერი.

დედოფალი დარეჯან და შვილნი მისნი, არა მოსურნენი მეფისა გიორგისა, მეცადინებდენ იდუმალ რათა სიტყვითა და საქმითა აღავსონ შფოთი, ამბოხი, ურჩება და უწესოება და გარემოსდევან მეფისა გიორგისა ტახტსა ცეცხლი და სისხლი განსაფრცხებლად მეფისა, გარნა ბუნებითა და სიბრძნითა აუჩქარებელისა.

გამოსთქვეს სიმღერანი, რომელსაცა შინა ცრემლითა და გოდებითა იქებოდა ჰრაკლი და იგლოვებოდა მეფობა ახალი, არღა რეცა მქონისა ძალისა, ჭკუისა და გონებისა. ესრეთისავე ჰაზრითა დედოფლისა დარეჯანისა და შვილთა მისთა სურვილითა დაიწერა და განითესა ქართლსა და კახეთსა მრავლად გადაწერილი, გლოვისა ესე სიტყვა, არა საწყენად მეფისა გიორგისა დაწერილი.

მეფემან გიორგი ჰსცნო ესე და რათა აღცხვინოს მოხსარულნი მწერლობისა ამის, თვით ინება ქონვა მისი და აქვსონის მისსა სოლომან ლიონიძეს უბოძა საკაბე მაუდისა და სასხალუხე ფარჩისა, მაშინ ქალაქისა ქუჩებსა სამწუხაროდ მეფისა მტერთა იწყეს შემდეგი სიმღერა ორ მუხლიანი:

„ვისთჳსაც ვჰსწერე; ისი მტერად მომექცა;
ვინცა ვლანძღე ის მეგობრად მომექცა.“

აჰა თვით გლოკისა სიტყვა:

მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ჰერკულესს, ნეტარებისა ღირსისა.

„დღეს ქვეყანა აღსული გულის წყრომისა ტახტსა ზედა, ცხებული სისხლითა ცესარიისა, დიდისა ეკატერინასითა დღეს იცხებს ვითარმედ უფასოსა სისხლსა სახსარსა იბერიელთ გვარისასა. დღეს ციურთა საკვირველება, მემშურნე ექმნა ქვეყანასა საკვირველისა. ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება; ერთა გვირგვინი, მხედართ მთავართა სარდლობა და თვით მპყრობელთა სახელმწიფო ზრდილობა.

„დიდნო მფლობელნო, დიდნო იმპერატორნო, ჰსტიროდეთ ახლა ქვეყანისა დიდებასა, ჰსტიროდეთ სახლს უავგუსტესსა თქვენსა, შეჰრაცხეთ ცუდად სოფლისა დიდება, ისმინეთ ესე საკვირველად სასმინარი: მოკვდა ჰერკულეს! უძლეველი მეფეთა და მზესა ქვეშე იხილეთ, რამეთუ ყოველი ამაო.

„თქვენ მტირალნო ნათესავნო ქართლოსიანნო, სარკინზოსთაგან უძლეველნო მხედარნო, გიძღოდათ მეფე მოსეებრ ისრაილთა, გესმოდათ ხმაი პატრონისა თქვენისა მახარებლად თქვენდა ჩყო ბიბლიას; არა მოაკლდესო მთავარი იუდასაგან, იუდას ლომი, სახლსა სადავითოსა, ზარის სახდელად მტერთა თქვენთა მყირვალი დღემდე ლაშქვრიდა სამთა იმპერიათა: ოსმანთა, სპარსთა და კავკასიისა ერთა დღეს გაილაშქრა ციურთა ურიცხვთა ზედა, ერთმან მარტომან უძლეველმან რაინდმან: მკლავი ჰერკულესი მკლავის ახილქესითურთ იყვნეს ძლიერნი ქვეყანისანი; მოკვდა, ესე უკვდავი მეფე პატრონი თქვენი ციურთა ძალთა, უკვდავი ძალითა ჰსძლევდა და განვლო სამყარონი ცათა.

„თუმცა დააკლდით საზოგადოსა მამასა და სასოვარსა მეფესა და პატრონსა, გარნა კმა იყოს ესე დიდებად თქვენდა, და ვიდრემდის

იყო იგი და ასწიქაოდ, აქა აღიდა სახელი, აღიდა გვარი თვისი, აღიდა სიმხნე თქვენი ქართველთა ცამდე და აღვიდა ანგელთა ღვთისათანა. გარნა აქაცა და შენ ცოცხალ არს იგი, რად სტირით, ძენო ობოლნო, მამისაგან!

„შენ შესაკრებელო, სახლო იბერიელთა ნათესავთაო, — ტაძარო ათორმეტის სკიპტრისაო, რად სტირი სადავითოვო სახლო, დიდის მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო; თეიმურაზ პირველისაგან ამაღლებულო სახლო, წმიდის ქეთევან დედოფლისაგან სისხლით ცხებულო სახლო, სადაც ხმა იყო სიხარულისა და ცხოვრებისა? ჰყავნ ჰაყოფილი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ, და დედოფალი თამარ მეფის ირაკლის შობაზედ იხარებდნენ: რომლისაცა საწოლში მეფის ირაკლის სადღესასწაულო შობა იდიდებოდა; და სადა სასხრად ქართველთა მეფე ირაკლი, ლომი იუდასი დავითის სახლში იზრდებოდა, რომელშიაც ჩვეულება იყო ტაძრობისა; სადაც ხმა ისმოდა დავითის ქნარისა აქამდისინ შენ მეჯლიშში. მეფის ირაკლის სახსოვარი ყმაწვილ-კაცობა ქვეყანას აკვირვებდა, რომლისაცა სიჭაბუკე ქვეყანასა მლიერსა სჩაგრავდა. აქამდის შენს მეჯლიშში მეფის ირაკლის ტახტზედ ჯდომა ისილვებოდა, იმისი ხელწიფური დარბაისელთა ხუმრობა მიმოითქმოდა, მეფის ირაკლის მრავალ-საგალობელი სადღეგრძელო ისმოდა.

„რად სტირი სადავითოვო სახლო? თუ ოსმანთა დაიპყრეს საყდარი, მეფობისა შენისა საკვირველი წმიდა, ღვთის მეფე ირაკლი სამართლით ბრძანდებოდეს, რომელიც ხერთვისის დამპყრობილისა და ასპინძის მტრისა სისხლში გამოცთომილისა ხმლით ხვანთქარს სპარსეთისა ხელმწიფეს ქარიმხანთან საჩივარი მოსწერინა: მეფე ირაკლი სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო. ქარიმ-ხანი ეტყოდა: მეფე ირაკლი ასეთი რამ ბრძანდებოდა, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო“. მაშინვე უძლეველობისა ნიშნად სახელმწიფო ხმალი მოართვა.

„რად სტირი სადავითოვო სახლო? თუ სპარსთა დაიპყრეს შე-

ნი უმაღლესი ტახტი, შენგან წინაპართა შობილი, მეფე მარადვანდელი, მეფე ირაკლი ცოცხლებდის საუკუნოდ. რომელმაც საქართველო ნადირ-შაისაგან გამოიხსნა და ფათალიხანი ავშარის მეფე აზათხან ათა-სის ერთმა წარიქცია, რომლისაცა დიდება, მეორეს ალექსანდრეს პრუსიის მეფემ ფრიდერიკოს მეორემ დააწერა: ევროპაში მე ვარო და აზიაში ჰერაკლეს უძლეველი საქართველოს გიორგიანთ მე-ფეო.

,,რად სტირი სადავითოვო სახლო? ვინემდის ახალი მოსე ის-რაილთა მეფე ირაკლი საქართველოს მხედრობას წინ-უძღვის, და სა-ქართველოს რად ვამბობ? ამ სახელოვანსა სახელს დიდის რუსიიდამ გამოჰყავს ლაშქარი, ციმბირიდამ მოჰყავს სამხედრო გუნდი. ვის შეუძ-ლიან შენი დამდაბლება, როდესაც მეფის ირაკლის ბედნიერი დრო-შა გაიშლება დაღისტნელნი ლაშქრად მორბიან, ოვსნი და ჩერქეზნი მეფის ირაკლის წინ-სისხლის დათხევას ხალისობენ.

,,რად სტირი სადავითოვო სახლო? რომელსაც მეფის ირაკლის ბედნიერის ტახტზედ ჯდომა გეღირსოს ყოველს წინა-საუკუნეზედ უფრო დიდი, ამაღლდი, უფროს განბედნიერდი, ცანი ქუხილით გრგვინ-ვიდენ მალსა შენსა, სფერა ქვეყანისა გეორწოდა ფერხთა ქვეშე. მაგრამ ვაი თუ დიდება ესე შენი ღერკულეს მეფეს საფლავად მიეცვალოს? ვაი თუ საქართველოს საფარველად გადასხურული მეფის ირაკლის ბედ-ნიერის დროშის კალთები აგვეხსდა? ვაი თუ ის უმაღლესი თავი, რო-მელიც იაკობის კიბედ ზეცას მისდგომოდა და მზესა ქვეშე ქვეყანა-ზედ არ ეტეოდა, საფლავისა სიღრმეში დაეფაროს.

,,ის ძლიერი თვალები, რომლისაც ზეით ახედვა ცებს აჭვრეტდა, და ღვთაების საყდარს მიედგმოდა, რომელიც სამსჯავროსა ზედა აბრაამისასა განკვირვებით მდგომარე მუხასა ქვეშე სამებას ისტუმრებ-და, რომლისაცა დახედვა ქვეყანასა განხსნიდა და უფსკრულში ღვთის საკვირველობასა უყურებდა. სფერა ქვეყანისა, ერთ გუგაში გარე შეიც-ვა და ცასა და ქვეყანასა ორს ფურცლად კითხულობდა, — ვაი თუ სა-ბედავად დაეურულოს? ვაი თუ უძლეველი ხელები, რომლისაც ხმლის

გადაზედ დადება, სიკვდილს მასრობლობდა ტრფიალი სატკივრად გულზედ დაკრეფილ იყოს?

„კაი თუ ის მაღალი და ზეცისა ანგელოსთან სამწიგნობრო სახელი მეფე ირაკლი, რომელიცა ცისა კალთებზედ იწერებოდა, და ქვეყნის მპყრობელთა ხელმწიფეთა ფხიზლად აძინებდა და მძინარეთა საშიშრად ესიზმრებოდა ამ სადღესასწაულოს სახელისა მოხსენებასა, საქართველოს ეკკლესიები მოჰკლებოდეს?

„მაგრამ ცა და ქვეყანა მეფისა ირაკლისა მახსოვარნი არიან; მზე და მთოვარე იმისი ბედნიერის ლაშქრობაში ხანდაზმულნი არიან. დღისით მზე იყო მეწინარე სადრი და ღამე მთოვარე, ესენი მეფის ირაკლის გამარჯვებულს დროშას წინ უძღოდენ; სისხლით მტერთათა შეღებილი მთა და მინდორი მეფესა ირაკლის მოუთხრობენ: კის შეუძლიან დავიწყება? კის მოსვლია კეისართაგან ტახტი, გვირგვინი, პორფირი და ბაგრაგი.

„მაგრამ ხელმწიფევ! რად გიხაროდა შენი ხელმწიფედ ცხებულება, თუ კი სამკვიდროსა ზეთს იცხებდა? რად გინდოდა სახელმწიფო პორფირი, თუ კი დასამიწებელს სუდარას გარეს მოიხვევდი? რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა, თუ კი სკიპტრის-მპყრობელთა ხელთა გულზედ დაიკრეფდი? რად გინდოდა ქვეყნის მაჩრდილებელი დროშა, თუ კი მტერზედ გარდასხურვილსა შენისა შიშისა ფარდასა ახდიდი? რად გინდოდა სახელმწიფო ტახტი, თუ კი დასამიწებელს საფლავს იშენებდი?

„იგლოვდი ქვეყანავ, რომელიცა უძვირ-ფასესითა სპეკალითა ამდიდრებ სიტყვიერთა, გარნა სიმდიდრე გრძნობათა და საცნაურთა მეფე ირაკლი, შენს სიღრმეში დაჰფარე; განკრთი, განცვიფრდი, სტიროდე ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკვლავთაცა აბრამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ირაკლის უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა; დაბნელდი მზევ, რომელსაცა გაქვს მოსასწავებელი. დაბნელებული ჭირის-უფლება, რომ მზე მიწიერი, ლამიანის ქართლისა მეფე ირაკლი შენს ბრწყინვალებას ველარ ჰხედავს.

„ზეციერნო ძალნო! აქამდის თქვენი დღესასწაულობით მასპინძელი, ახალ-ქვეყნისა საღმთო სტუმარი, მეფე ირაკლი გესტუმრათ. თუმცა სამეფოსა დიდებითა ვეღარ ნახავთ, საფლავისა ტუსალი გევედრებათ, მარამ თქვენ, როგორც თავის ბებიის ქეთევან დედოფლის სისხლი ისე შეიწყნარეთ, ისე ისტუმრეთ, როგორც დიდსა კონსტანტინეს, ისე მიეგებენით.

„მაღალო და ძლიერო ღმერთო, დავაგლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა, პატრონსა, საზოგადოსა მამასა, ძლიერსა და მხნესა მამა-კაცსა: ჩვენ ვსტირით და მეფე ირაკლი ერისთვის განმგებელი, ხელი მზრდელი ობოლთა, მკლავი მომგერებელი მტერთა და გვამი შრომისა მოყვარე მის საფლავში ირღვევა. შენ გევედრებით, იესოს სისხლით ცხებულსა მეფის ირაკლის კაცთ-მოყვარეს სულსა ნუ შეაწუხებ, და მისგან დაობლებულსა საქართველოს მოხედე.

„სად დაჭხედ, მზეო, სამეფოთა სიოსათა და პანგრატით გვარითაო, რომლისა დისკოსა ნათელს-იღებდნენ გონიერნი? სად არის, ხელმწიფევ, შენი ხელმწიფური განგება? რად შემოიხსენ ხმალი, რომლისაცა სადღესასწაულო გამარჯვებას რიცხვით ხსოვნას ასცილდა? რად შემოსწყვერ სახელოვანსა დროშას, რომლისაცა ჭაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა, და მესისხლოდ განწირულის ზორტებით ცის კალთებს ეხუბებოდა და ღერგულესის მეფის უძლეველობის სტამბა ზეცას იბეჭდებოდა?

„რად ადიდე სახლი უმაღლესი, თუ კი საუკუნოდ დასცლიდი? რად მიეც სიმაღლე დედოფლობისა შენს უმაღლესს ფერცხალს, თუ ასე დაჭსჩაგრავდი? რად გაწყინა დედოფლის დარეჯანის დიდებულმა სამშობლომ? რად მოსტაცე დიდება დადიანის ოჯახსა? რად ადიდე შენს უმაღლესს ტახტზედ? და თუ ადიდე რად დაამიწე? რად უღალატე ხელმწიფეს ქმრითა და შვილებითა ბედნიერს? რად ატირებ? რად დააქვრივე უწყალოვ? რად მოუკალ ხელმწიფე ქმარი უწყალოვ? რად ამიწებ კეისართაგან გვირგვინსა შენსა უმაღლესსა თავსა? რად გი-

წყდა უქმად ეგე ძლიერნი ხელები, რომლითაცა თავებს შემაღლე-ბულს გამარამიდ მიერინებელნი სიცოცხლეს მისტაცებდი? რად ასწა-ველე საყვარელს ქალებსა საქალო გრძალულებსა, თუ კი თავ მოხდიოდ ატირებდი?

„რად გაათამამე გული ლომებრთა მემკვიდრეთა, თუ კი სიმ-ყარე უძლეველი მოუმლებოდა? რად გაასწავლე ზრდილობა მხედრო-ბისა ვაჟ-კაცობითურთ, თუ შენს წინ სისხლსა არ დაუგამძღვრისებ-დი? ჩემ გულისად, შენგან მოწყალებითა გაზრდილი, შენის გარის ბატონ-ყმობის ტკბილი სოლომონ აქამდის რად მაცოცხლე, თუ ასე ობლად დამაგდებდი? ხელმწიფევ! რად დაგვიკარგავს ხელმწიფე-თაგან სამეურველი ზრდილობა, ამ დუმილ-მატყუარ-სატუმელის სასხლეში? რა ამბავია უჩვეველის ხმის შემაღლებისა? რას ნიშნავდა ამისთანა უბე-დური სალამი? გარდმოხედე ხელმწიფურად შენს მეჯლიშში მგის-ხეთ დარბაისელთ სასხლოვანით სარდლებისა.

„ხელმწიფევ! ვიცით, რომ საქართველოს სამეფო მეფის ირა-კლის ტახტზედ ასვლით გულ-ამაყნი არიან. ქვეყანას უბედურად, სო-ლომონის გული მწუხარებამ ვერ შესცვალა, არც დაიმარცხა! ჩემი სიამაყე პირველად სიმართლე, და შეკრულ მეფის ირაკლის სიმართ-ლე იყო. მეფის ირაკლის ცოცხალს ვუყურებდი. მტერი და განსაც-დელი სათამაშოდ მიმაჩნდა. ახლა იმისი მტრის გული დაიხარბოს, როგორც მეფის ირაკლის სიკვდილით სოლომონის გული დაიმწა-რა. იმისი ტკბილი ბატონ-ყმობა მიტირი, თუ თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენანებას, რომელიც თავისის უმაღლესის ხელით მომწერა და სოფლიდან აღარ დასცალდა.

„ხელმწიფევ, დედოფალო და მეფის ძეო! გვიმეტებთ მეფის ირაკლის დაუვიწყებლობას, სიმართლეს და გამარჯვებას, რომლითაც მოწყალება მოიღეთ: ან მომაკვლევინეთ და მეფის ირაკლის უმაღ-ლესის ცხედრის ფერხთად დამდებით, რომ იმისი სანატრელი მე-ბრ ჩემს გულზედ იდოს; მეფის ირაკლის ძლიერი ტახტი ჩემ გულ-ზედ ირღვევოდეს. ჩემთვის ის დღე იქნება, რომ დღე და ღამე არ

და თხუთმეტი ათასი სახსოვარის მეფეს ნიადაგ მარტოკა გახლდი ხოლმე. იქ ბატონ-ყმობა სადღა იყო. იქ გამოუკვლელი ბატონ-ყმობის სიკეთე როგორღა დარჩებოდა. უღრმესად ივიქრეთ უმაღლესო, და ისე შემიბრალეთ:

„ან აქ ქვეყნიდგან დამკარგეთ, რომ სადაც მეფის ირაკლის სახლობაზედ თვალი დამრჩენია, სადაც იმისი გამარჯვებული დრო-შისათვის მიმსახურია, თუ სადმე იმის წინ სისხლი დამიქცევია, სადაც მეფის ირაკლის ბედნიერი სალამი შემყვარებია, და იმის სა-ხსოვრად მეჯლიშში, ჩემთვის ულირსის ხელმწიფურის ალერსით, ჩემგან სიმღერობა წყვარებია, და თუ სადმე სახელმწიფოს მასლაათით მიმსახურნია, ის ადგილები აღარ ვნახო და ამ ცეცხლებით არ და-ვიწვა.

„ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევ ირაკლი! ვის მიეცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტახტისა უზო-მო ტრფიალება? ვის დრომდის ვემსახურო? ვინ მეიყვარო? ვისთვის მოვკვდე? ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზარასხვად გასრმწარებულმან,"

# XXXVI

წელსა მეოთხესა შემდგომად გამეფებისა მოსდა ამბოხი. ძმათა-გან მეფისა გიორგისა მეორისა დედისა იულონ, გამეფებული ქართ-ლისა, ალიარებდა უფლებასა თვისსა მეფობისა ტახტისათვის. ან-დერძის გამო მეფისა ირაკლისა, ვახტანგ ანუ ალმას-ხან (ორ სა-ხელოვანი) არაგვისა განმგე, ჰგონებდა თავსა თვისსა არა დამოკი-დებულად მეფისაგან, ვითარცა ბატონი და ერისთავი მხედართა წესი-თა არაგვისა. მირიან განსტუმრდა მარტყოფსა და ფარნაოზ სურამსა. ალექსანდრე ილტოდა სპარსეთსა და შეჰყვედრა ყეენსა, რეცა მტე-რი რუსეთისა, ანდერძისა ძალითა ნამდვილ-ხელმოწერილითა მეფისა ირაკლისაგან ორისავე დღითა წინათ სიკვდილისა, თხოვნისა მებრ

დედოფლისა.—ჯერ იყო, რათა ემეფა პირველად პირმშოსა ძესა
მისსა გიორგის, შემდეგ ძმასა მისსა იულონს, შემდეგ ამისა ძმა-
სა მისსა მირიანს, მერეთ ვახტანგსა, მერეთ ალექსანდრეს და მე-
რეთვე ფარნაოზს. შემდგომად ფარნაოზისა მეფობითი უფლება
გარდავიდოდა მეფის გიორგის შვილზედ დავითზედ, მერედ იოა-
ნეზედ, ბაგრატზედ, თეიმურაზზედ, მიხაილ და სხვა. შემდეგ ამათი-
სა მოვიდოდა ჯერი მეფობისა იულონის შვილზედ და შვილთა ზე-
და შემდგომთა მისთა ძმათა და სხვანი.—ერთმან უგვანმა ანდერძ-
მან, დაწერილმან ყორღანა-შვილისა ოსეფასაგან, აღჰსძრა შფოთი
ძმათა შორის. მეფე გიორგი იძულებულ იყო მოსვლადმდე რუსე-
თისა ჯარისა, მიეღო ღონე დამშვიდებისათვის ქვეყნისა. მლიერი
ხელითა განაგებდა საქმეთა კეთილად მინდობითა ღვთისადმი, ვი-
თარცა ხშირად იტყოდა თვით. მოითხოვა ავარიისა ხანიდამ 3,000
ლეკი ფასითა ნაქირნი. ესენი დააყენა მცველად ქალაქისა ავლაბარსა
და მეტეხისა ხიდსა გარეთ. დღესა ერთსა ბელადი მათი მურად,
მარადის მეფესთან მყოფი და ერთ-გული ეტყოდა მეფესა: „ბატო-
ნო მეფევ, თქვენი ძმები მეცადინებენ მომისყიდონ მეცა და ჯარიცა
და გიღალატოთ თქვენ.“ განრისხდა მეფე და დიდისა ხმითა ბრძა-
ნა შეპყრობა ტუსაღად დედოფლისა დედი-ნაცვლისა თვისისა, სა-
დაცა იქმნებოდა რჩევა ესე ღალატობისა. ხმამან მეფისა მქუხავისა,
შეაძრწუნნა თვით მხლებელნი მეფისა. გარნა ღვთის მოშიში მეფე
შედგა და შეაყენა მსჯავრი თვისი. მაშინ ბრძანა მეფემან: „კმარა!
მოახსენით დედოფალსა! დააწყნაროს ღელვა შფოთისა, შეჰკივლა მე-
ფემან, წარვედ ელევთერ! და თბილელსა არსენის აუწყე სიტყვა ჩემი
და ერთად მასთან მოახსენეთ დედასა ჩემსა, ნუ გამოშიყვანს მოთ-
მინებიდამ; შეიბრალოს ქვეყანა, ქრისტიანობა და ებრძოლებოდეს მეცა
ვითარცა მეფე და პატრონი ქვეყნისა, რომელსაცა მაქვს ვალი ზრუნ-
ვისა და სამართლისა მეფობისა გამო, ზეგარდამო მონიჭებულისა
ჩემდა.“ წარვიდენ და მოახსენეს დედოფალსა, რომელმანცა მოიხსა-
და ბოდიში, ვითარცა შეშინებულმან ნამდვილ, და ითხოვა მხოლოდ,

რათა შვილთა მისთა და ძმათა თვისთა განუსვენოს და დააკმაყოფილოს სარჩოთი და პატივ-ცემითა ღირსებითითა. მოისმინა მეფემან ესე ყოველი და ბრძანა: „მადლობა ღმერთსა, რომ დამაცხრო სიტყვამან დედისა ჩემისა." ახლა ვიზრუნოთ ძმათა თვის ჩემთა,— ჰსთქვა მეფემან. დაიბარა შვილნი თვისნი დავით და იოანე. უბრძანა მათ, რათა ქართლისა ჯარითა ხვალვე წარვიდეთ სურამისაკენ და გამაგრებულსა სურამისა ციხეში ფარნაოზს, გამოუცხადეთ და მოვიდეს და იყოს მორჩილებით,—და თუ არა ჰქმნას, აიღეთ უთოფოთ ციხე, გამოიყვანეთ და დასთხარეთ თვალები. ესრეთ სურამისა ციხესა შემოადგნენ მაისის 20 და შეუგზავნეს ამირეჯიბი დავით მოციქულად ფარნაოზს. შეშინებული გამოვიდა ციხიდამ და წარვიდა ქსანზედ ცოლეულთან, მიმცემი სიტყვისა არღა შფოთობისა პირის-პირ მეფისა და მოსულის მეფესთან მალე ქალაქსა-თბილისსა. სამ თვეს ტრიალებდა ფარნაოზ სურამისა გარემშემო და აქა შეიკრებდა ჯარსა და ლეკთაცა მიიწოდებდა ახალციხის მხარეთგან. მე თვით მინახავს მცირე ოქმი სურამს ნაბოძები ფარნაოზისაგან, სადაცა იწოდებოდა ბეჭედითა სმულითი: მეფე ფარნაოზ, და სხვა ბეჭედი შემდეგითა წარწერითა: დედოფალი ანნა. ესე ამბავი ბეჭედისა მოვახსენე ფარნაოზს 1844 წელსა ს.-პ. ბ. და იცინოდა კურთხეული ამისათვის: ჩემო პლატონ, მიბრძანა მან: „დროება მრავალს რასმე ათქმევინებს კაცსა!"

**1803** ანგლიისა სასახლეში პეტერღოფს, შეყრილნი მეფის ძენი და მეფეთა ასულნი მიუთხრობდენ სადმე წარსულთა დროთა შემთხვევათა. მუნ იყო დროსა ამას სიმამრი მეფისა გიორგისა გიორგი ციციშვილი (ხათა გოგიად წოდებული) და ოდეს იტყოდეს ამბოხისა და მეფობისა დაცემისა მიზეზთა; მაშინ ვიეთნიმე ბრალსა დიდსა მიაწერდნენ ფარნაოზსაცა მეფის-ძესა, ძმათა შორის უნცროსსა, რომელიცა ემბდავე ტახტსა და მეფობასა საუბედუროდ ქვეყნისა. მაშინ გიორგი ციციშვილი იტყოდა: რას ჩააცივდით თქვენ კურთხეულნო ფარნაოზს? რას ბრალს ჰსდებთ მას: ფარნაოზი ეტყო-

და მას: მამის ჩემის ანდერძითა, ჩემ უნდა ვიმეფო ოდესმე;—მე ჩემი წილი ესლა მინდა ვიმეფო!—ესრეთ სიცილით მოიგონებდენ საქმეთა წარსრულთა ქართველნი და მხიარულობითა განსხვავებდენ მეფობისა ღირსებათა თჳსთა და პატივის დაკარგვისა სიმწარესა!

## XXXVII.

შფოთისა დღეთა ამათ მიჰგვარეს და მიულოცეს მეფესა გიორგის თელავსა 8 წლისა მოზრდილი შვილის-შვილი მეფის-ძისა იოანესი გიორგი 12 მარტსა, მიმსგავსებულად იყო გაგზავნილი თვით მეფის-ძისა იოანესაგან, რომელიცა იყო დროთა ამათცა სანკტ-პეტერბურღსა თჳსისა სიმამრთან ბაჰრამ წერეთელთან და არა ქალაქსა თბილისსა,—აზნაური გიორგი ოვეცხელაური. (მეთევან მეუღლე მეფის-ძის იოანესი გარდაიცვალა ს. პ. ბ. 10 მარტსა 1823 წელსა). მაშინ მეფემან ინება და განუსხლა ჩამორთმეული ადრევე ერისთავთაგან ქსანზედ ისროლის ციხისა მოურავისა საშვილის-შვილოდ. ბოძებული უქმი 13 აპრილსა 1798 წელსა, დღესაცა აქვსთ მემკვიდრეთ მისთა. უქმსა ამას შინა მოიხსენებს მეფე შვილის-შვილსა გიორგის: „წყალობითა ღმრთისათა ჩვენ მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი, და შვილნი ჩემნი დავით, იოანე, ბაგრატ თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ და შვილის-შვილნი გიორგი.......“ რადგანაც დიდად უყვარდა წიგნი „გიორგი ნოსულისა“ ამისთჳს ბრძანა უწოდონ ასულად ახალ-შობილსა „გიორგი“ და ისურვა მიმქმელად რომელ (წმინდისა ემბაზისად, ექმნას გამადლებელი წინა-მძღვარი იგორითისა)—ესე ყოველი მხამის თვით გაბრიელ ფეიქრულიშვილმან, მოკვდა 1837 წელსა თბილისს, რომელიცა იყო ძმა არქიეპისკოპოზისა დოსითეოსისა (ქართლ. კათალიკოსი დიმიტრი).

ლეკთა ჯარმან დაწყვეს თბილისსა 4 თვესა. მათ ქმედულებ

უმეტესად ბეჭრი, ახალი. თვითო ჩელი ტან-საცმელი და მეეძგესისა თვისა, მოსადღეგრძელებელსა რუსის ჯარისა დაბარებულისა მოსვლის დროსა უნდა მისცემოდათ თვითოსა კაცსა თვეში 30 მანეთი. იტყვიან მოსიყვარნი, მასპინძლობანი დროთა ამით, რომელ ლეკნი ჰსტამბოლის ქალაქის მეხოგრებთა ქუდთა, ოდესმე იდუმალ და ოდესმე ცხადად;—გარნა იყვნენ მორჩილნი ბელადისა და ემინოდათ მისისა სამართლისა. უკანასკნელთა დროთა ჰაჯი-ულისა თვეებსა, გიორგი ციციშვილმან მეფისა ბრძანებითა წარიყვანა 500 კაცი ლეკი ყარსისაკენ მოსასხილველად ვითამცა სამძღვარსა, ჰსცნეს ესე თათართა და ოსმალთა და განემზადნენ ძალისად, მოეგებნენ ჯარსა ჯარითა, ოდეს შეიდა ყარსისა სოფელში ბრძანა აკლება. სოფლისა ავალდაკუსსისა სადაცა იყვნენ 200 მეკომური მცხოვრებნი და ყაჯარნი უმეტესი ლეკი თათარნი და მეტეკლ სომეხნი, დამესა კრთას აიკლეს სოფელი. ხარვსხმეულნი, ოქრო და ვერცხლი იშოვეს ათასისა თუმნისა; ცხენი და ჯორი მრავალი, ცხვარი და ძროხა მრავალმრავალი; დღესა მესამესა დაბრუნებულსა ლეკისა ჯარსა და მათსა სარდალსა გიორგი ციციშვილსა მოუწოდნენ 700 ოსმალონი; და დაეკსნენ მძინვარეთა და ჰქმნეს დიდი მუსრვა ლეკთა. გიორგი ციციშვილი ჯარით ვერცხლი გამოიქცა და დაუტევნეს მარტოკაცნი ლეკნი სივად ბანაკად დაბანაკებულნი. დამტვრნეს ფეხით ტყვეები და მათ ჰსწყვიტეს მრავალთ თავნი გიორგის ოსმალთა ქალაქი მიუწოდებენ და დაატყვევეს იავარი მათი, გარდა ფულისა და ნივთთა, რომელნიც ეს ემოგის სარდალსა. მეფემ ჰსცნა ესე დიდად შესწუხდა. გიგანარა ძიება ესე?—უბრძანა განრისხებულმა სმითა მეფემან—შერთულნი, მოსხენ თვითოსა ლეკის თავში უმრავლესი თვითოსა რასა და ეს 500 ლეკი ერთს დღეს მოაკვლევინა თავი, რა მაგდა ამითი? გიორგიმ მეფემ მაშინ უბრძანა მასვე სარდალსა გაისტუმროს ლეკთა დანარჩენი ჯარი, ამას მიუცა თვითოეულს ღირსებისამებრ ქუდი, ჯამაგირი და ბელადს მისცა უბოძა თოფში კეთილი წყვილი დამბაჩა, ხმალი, ავი ფარსი ოქროსა ტან-საცმელი

ცმელი და ერთიცა ცხენი იაბო. რუსთა ჯარი მოსულიყო დუშეთსა, ვითარცა აცნობეს ესე მეფესა და არღა ეშინოდათ მტერთაგან, რომელთაცა აღერებდენ იდუმალ განფანტულნი მეფისა ძმანი ქართლისა და კახეთისა მხრით.

## XXXVIII

აღსავსებათ მოთხრობათა ამათ მეფისა გიორგისათვის, ვსთხოვე მოხუცსა ბარბარე ოთარ ქობულის მეუღლესა და ომან ხერხეულიძის ქალსა, მაცნობეს წერილით, რაიცა იცის დამსწრე დროთა მათთა, ქალი ომან ხერხეულიძისა მდივნისა, რომელმანცა აღსწერა ცხოვრება მეფისა ირაკლისა (ციციანოვისა თხოვნითა 1804 წელსა) და თვით გასწავლული ქართულად მრავალთა წიგნთა წარკითხვითა მწერს შემდეგსა: „მეფე გიორგი და თამარ ბატონის-შვილი მეფისა ირაკლისა შვილები იყვნენ, აბაშიძის ქალის ბატონი რძლობაში და შემდგომ შეირთო მეფობაში დადიანის ქალი დარეჯან. მისგან მრავალი შვილი მიეცა მეფესა, მაგრამ გიორგისთანა არც ერთი იყვნენ. სახით მშვენიერნი და ტანადი მაღალი და ბრგე სანახავი, ჭკუით და სახით საქებელი, კაცობით ცნობილი. ბევრგან სწერია იმის გამარჯვებაები ოსმალეთზედა. იყო დიდი მლოცავი და მარხვის შემნახავი და მემარხულე, ყოვლის ბიწიერებისა მოშორებული. უყვარდა მდიდარი სადილი, თუმცა სძრახამდნენ, რომ ვითომც ბევრს საჭმელს მიირთმევსო, მაგრამ ჩემი ქმარი ფიცით ამბობდა, რომელიც სადილად სულ იმის სახლში იყო, რომ რაც ერთის კაცის სამყოფია, მეტს არ მიირთმევსო; მაგრამ გრძლად უყვარს რომ სადილი ეშალოს და ღვინოს უფრო მომეტებულსაო. მაგრამ ისრეთს ღვინოს მიირთმევდა, რომ ეხლა სადღა იშოება იმისთანა ღვინო. იმითი სასმელის ღვინოს ვენახი უნდა აბეჩხარი ყოფილიყო, ე. ი. დაუბარავი და პატივი დაუყრელი, ამისთვის რომ ძალიან ცოტა გამოვიდოდა და კარგი. უცხვებოდა ხუთი რიგი პური: მურასა, საგარეჯო, შო-

თი, პირ-გაჭრილი პური და კაკალა პური. ამ პურის ხორბალი იყო მოტანილი ბაიდრიდამ, სადაც უკეთესია ყველაზედ. მაქარა აზნაური მიშნიაშვილი იყო მეგოდრე და იმას ებარა ხორბალიცა და ხაბაზებიცა და გამომცხვარიცა პურიცა. ამ მაქარას ხიზანი ისხდნენ და თითით არჩევდნენ ხორბალსა; მერე დაღერღდნენ და ქერქს გადააძრობდნენ და ასე დაიფქოდა. მეც ბევრჯელ მიჭამია ეს პური, რომ ეხლა მახსოვს იმისი სიკეთე. მე მყავნდა დედიდა გლახა მალიკოვის ცოლი, ეს იყო ნაზირი მეფის გიორგისა. როდესაც ნაზირის თავდგომით სადილს მიირთმევდა, მეფე მერე ყოველისა საჭმლიდამ და ყველა პურიდამ ნაზირის სახლში მოიტანდნენ. მაგრამ რა ქება ვთქვა იმ საჭმლებისა.

„მართალია ბლომახნეები არ იყო, მაგრამ ჩინებულათ მასალით და გემრიელათ გაკეთებულები იყო და არ შეიძლებოდა იმათი სადილი, რომ შემწვარი ხბო არ ყოფილიყო. ეს ხბოც განგებ გასუქებული უნდა ყოფილიყო. გააგრძელებდა სადილს, და რომ არ გაცივებულიყო ყველას ლავაში ეფარა, მერე ლავაშ ქვეშ შეჰყოფდა ხელსა და ყველა საჭმლიდგან თითოს ან ორს ლუკმას აიღებდა და ვინც სუფრაზედ დარბაისელნი ისხდნენ თითო თითოთ უბოძებდა ვისაც უფრო სწყალობდა. და ეს იყო დიდი მოწყალება და იამებოდათ და მერმე მოისვენებდნენ, და როდესაც გაიღვიძებდა, სამეფო საქმეს განაგებდა და ვახშამს არ მიირთმევდა. ეს იყო დიდი ფაქიზობის მოყვარული, ასე რომ ზომაზე მომეტებული საფენს და ჴახლს აწვალებდა ბევრის ბერტყვითა და დაგვითა, ყულუხჩებს დღეში ათ ჯერ ხელს დაბანინებდა. როდესაც ფული შემოვიდოდა ჴამეფოდამ, ვინ გაუბედავდა რომ გაურეცხელი მიერთმევინათ.

„ხაზინადარი მეფისა იყო ქაიხოსრო სუმბათოვი. ის სულ იმ საქმეში იყო, რომ ჯერ თეთრის მიწით გახეხდა და მერე საპნით და ისე მიართმევდა. ჩემა ქმარმა მითხრა: ბატონმა მაინდომა აბანოში წასვლა. ფარეშებმა ჩაალაგეს აბანოს იარაღიო, მე და იოსებ მელიქოვსაც გვიბრძანა წაყოლაო და ეს დიდი წყალობა იყო; შემოდითო,

მაგრამ როგორ მიგვეკარებოდითო, მეაბასოემ რამდენ რიგად აბარა და ის ემსახურებოდაო. ბატონის გამოსვლის დროს იოსებ მელიქოვი ადრე გამოვიდაო, ეგონა რომ იმსახურებდაო. გაბრაზდა ბატონი და თვითონ ჩაიცვა; სარტყელი უნდა შემოერტყაო, მოვიდა ეს იოსებ და სარტყელი ხელში აიღო რომ მიართვასო. უბრძანა: რომ შენი ტა-ნისამოსი შენ ჩაიცვი ყველაო და ახლა ჩემი სარტყელი აიღე გა-მოხვლებითაო. დაუძახა ფარეშსა: წაიღე ეხლავ ქვა მაბი და მტკვარ-ში გადააგდეო. თუ არ გადაგიგდია თუოვიო თავს მოგჭრი. ეს იყო მშვენიერი ნარგიზი თითქმის მალი. თავისაც დავსწერე და ეხლაც ვსწერ. დიდი მლოცავი იყო და მისთვის დიდად ეწუხებოდა, რომ დავით ბატონიშვილი არ იქცეოდა ისე, როგორც მამასა ამებოდა. (მეფის სისხლის ღვინის ქება რო დავსწერე ის ღვინო იყო ზემო ხოდაშნის ზვარისა, რომელიცა რუსებმა გაჰყიდეს და ერთმა გამ-ყრელიძემ იყიდა.) თუ გნებავს ესეც დაწერე, რომ მეფეს ერეკლეს პირველს ცოლთან გიორგი და თამარი ყვანდა ორივ მშვენიერები. მე გამიგონია თქმა ბატონის-შვილისაგან, ჩემს დას თამარს ისე-თი მშვენიერი თვალები ჰქონდაო, რომ ადამის გარდა ღმერთს იმის-თანა თვალები არავისათვის გამოუმეტნიაო და არც მიუცაო. რად-განაც დავით მემკვიდრე რუსეთში იყო გაზდილი, მარხვას სჭამდა და სარწმუნოებაზედ სუსტად იყო. გაუგზავნა მეფემ მოციქულად ელიაზარ მდივანი ფალავანდის შვილი და ელეუთერი[12]) და შეუთვა-ლა, თუ ჩემი სიამოვნება გინდაო, მარხვის ჭამაზედ ხელი აიღეო, და ეკლესიაში ხშირად იარეო. იმან შემოუთვალა: რაც მე მწამს, ის შენ გაგიწყრესო და შენ რაც გწამს მე გამიწყრესო. ამ სიტყვას ვერ უბედავდა ელიაზარ მეფესა, მაგრამ მალით ათქმევინა. მაშინ

---

[12]) ელევთერი გვარით ხუკაკიშვილი, ანუ მერედ ზურაბაშვილად წოდებული, იყო მღვდელი ჟამსა მეფისა გიორგისსა, რომელმანცა გააზნა-ურაცა, შვილი მისი მღვდელი არის მონათლული მეფის ძის მიხაილისაგან, იყო საყვარელი მეფისა ირაკლისაცა სიტყვა-ნიჭიერებისა გამო, მოკვდა 1825 წ.

ბრძანა ფსალმუნი ესე: „დადგა იგი ყოველსა გზასა და ბოროტი
მას არა მოეწყინა“; დადუმდა და აღარაფერი ბძანა. დილის რვა სა-
საათიდამ მოჰყვებოდა და ორს საათს ილოცავდა; რომელსაცა ხატს
სამთხვევლად ვერ შესწვდებოდა, ჯოხის თავს მიადებდა, ამას ემ-
თხვეოდა. ათს საათზედ პირის ბანას მოჰყვებოდა. დაიბანდა ხელებს
ათის ვერცხლის გულითა, მასუკან სურნელის საპნითა. არშიყი იყო
თავის ხელებისა, რადგანაც მშვენიერი ხელები ჰქონდა. თორმეტს
საათზედ გაბრძანდებოდა და შემოესხვეოდნენ დარბაისელნი და აგრე-
თვე მოარზენი და საქმობდა სამ საათამდის. მეოთხეზედ სადილს
მიირთმევდა. სამი საათი ბრძანდებოდა სადილზედ და ვახშამს არ
მიირთმევდა. ღვთის-მშობლის მიცვალების დღეს წირვაზედ ბრძან-
დებოდა მეტეხში და მეტეხის დეკანოზმან ასე სულხანოვმან სთხოვა
სადილზედ იმის სახლში მიბრძანება. მეფემაც აღუთქვა და ესეც უბრ-
ძანა: დღეს შენი სადილის მოტანა ასე უნდა იყოს: ბოლოდამ მოჰყევი
საჭმელების მოტანას. ისეც აღასრულეს: პირველად მიიტანეს უვე-
ლი, მერმე შემწვარი და ფლავით გაათავეს. როდესაც მეფე ირაკლი
გარდაიცვალა მაშინვე უბრძანა მეფემ გიორგიმ თავის საყვარელს
ალექსანდრეს ეშკაღაბაშს მაყაშვილს სტოლი დადგი, ქაღალდი, სა-
წერ-კალამი ვეერთ მოუდგით და ყველამ ხელი მოაწეროსო ჩემს
მეფობაზედ და მერმე მრისხანედ შეუძახა ვინც არ მოაწერს კარგად
დაისწავლე და ან არ დამალო. ყველამ ხელი მოაწერა არ ვიცი, შია-
შით თუ სიყვარულით. ბევრი შეშინდა, რომ არ იამათ ამისი მე-
ფობა და ამისთვის მეფის ირაკლის ნაახლი მოხელენი თითონ
აღარ იახლა და ზოგს ძმა, ზოგს შვილი გამოართო და ისინი ახლე-
დნენ. ვისაც რაც წყალობა ჰქონდა განწესებული ულუფა თუ ჯამა-
გირი არავისთვის არ მოუშლია და დიდ რიგიანად მეფობდა, თუ
სნეული არ ყოფილიყო. ძმები მტრობდნენ, რადგანაც რომ ერთის
დედის შვილები არ იყვნენ ამისთვის. მირიან ბატონის-შვილმან მო-
ინდომა, რომ მეფე გიორგი მეფობიდამ გამოეყვანოს და თავის ძმა
იულონ დასვას მეფეთა; დარეჯან დედოფალს ჰსთხოვა შვილმა მი-

რიანმა, რომ კახეთში უნდა წამობრძანდეთო, იქ უნდა გავამეფოთ იულონ და გიორგი დავითხოვოთო. დედოფალი არ ეთანხმა და არ წაჰყვა. ეს შეიტყო მეფემ და ბრძანა: მე რომ ვარო და ისე მტრობენო, ჩემს შვილებს სულ დახოცვენო. დაწერა პავლე ხელმწიფესთან და მიართო ქართლი და კახეთი და როგორც ეწერა ეს ყველას ცნობილი აქვსთ. გაატანა ეს წიგნი გარსევან ჭავჭავაძესა, ელიაზარ ფალავანდის შვილსა და გიორგი ავალოვსა. მაინც სამეფო არავინ იყო და ჩემს ყმაწვილობაში გამიგონია დარბაისელთაგან, რომ მეფობა არავის არ შეუძლიაო, იოანე ბატონიშვილის მეტისათვის; ამისთვის რომ კაი კაც-კაცი იყო და ბუნებითი ჭკუაც დიდი ჰქონდა, ისე რომ არც ძმებს და არც ბიძებს იმდენი სამეფო საქმე და ქვეყნის მოვლა არ შეუძლიათო.

„პლატონ! ეს დავსწერე ამის მეტი არა ვიცოდი რა და შენ გაასწორე, თორემ წინ და უკან არის დაწერილი. მამა ჩემი იყო ლაშქარ-ნივისი, მეფის ირაკლის, მაგრამ რადგანაც კი კაი მწერალი იყო წერაში იხმარებოდნენ მეფეები. როდესაც უკანი მოკვდა და ქართლში კახეთიდამ გადავსახლდით, ჩვენს მამულში, იქ იულონ ბატონის-შვილს ახლდა ერთი წელიწადი. იულონ საერისთოში იყო მეფე? ერისთავიანთ წაართვა და შვილს მისცა. იულონს არაფერს სარჩოს აძლევდა და წამოვიდა მეფეს გიორგისთან. პირველს ნახვაშივე უბრძანა: ოსან მდივანო, შენ მოახსენე ჩემს ძმას იულონსაო, რომ ქართლის გორის ციხე დავიჭიროთო: ქართლი ჩვენი შეიქმნებაო. არა შენი ჭირიმე, მოახსენა, ეგ მტრისაგან გახლავსო: თორემ ქართლში ბევრი გორის ციხეზედ უკეთესი ციხეებიაო, მაშ კარგი, და წერილით მომახსენე მამის ჩემისაგან რაც წყალობა გქონდაო, დაწერა და მიართო, ყველა უბოძა, ჯამაგირიც და ულუფაც ექვსი ლიტრა ხორცის ბარათიცა ყასაბს რიზაულიაზედ.

პლატონ! ჩემი ქმრისაც ეს უნდა დაწერო, რომ ქობულაანთ ჰქონიათ მამა-პაპით კახეთის მდივნობა, ჩემი მამამთილი დავით მდივანი იყო. მთელი კახეთის განძვე და საყვარელი მეფის ირაკლისა, და

იქაც ხომ დაჰწერე რომ მამის ნახლები აღარავინ იახლა მეფემა. ამისთვის უბრძანა: დავით მდივანო! შენ შინ მოისვენე და შენი შვილი მაახლე და ახლა დავამტკიცებ მდივნობასაო. იმანაც ახლა უნცროსი შვილი ჩემი ქმარი ოთარი. ისიც სუ დაგვავიწყდება რომ გახეთის მდივნობა რა იყო. რუსების სენატრობა ჰგონიათ,[13]) მაგრამ მარტო არა გახეთიდამ, რაც სამეფო შემოსავალი იყო ასის თავი მდივნებისა იყო, და სამეფო სოფლებიდამ თითო მსახური უნდა ხლებოდათ... „ვნეფის ზარბარე ქობულოვისა“.

## XXXIX

განჯის-ხანი და მეფის-ძე გიორგი იყვნენ მეგობარნი. განჯის-ხანი, აღზრდილი თბილისსა, ხშირად მყოფი სასახლეში არ ივიწყებდა მეფისა მის მფარველისა: ამისათვის მამისავე დროს აქვნდა მოუწყვეტელი მიწერ-მოწერა მასთან. დროსა მას, როდესაც მოუძღვა აღა-მაჰმად-ხანს ასაღებად თბილისისა, დაიცვა მან ტოლოტმან რეცა მეგობრობა: და არ გადასწვევინა სასახლე მცირედი, სადგური მეფისა მის: გამეფებისა დღეებსა, სცნა რა მან სიკვდილი ირაკლისა, მოსწერა წერილი ნუგეშინის-ცემითი, აზიელთა მთავართა ჩვეულებრივი: მეფემან გიორგი მიუგო პასუხი, გარნა არა ეგოდენ ტკბილი, რომელსაც მოელოდა მისგან ხანი.—ხანსა ეშინოდა მეფის-ძისა მარადის; ელოდა დაცემასა განჯაზედ ჯარითა, ამისთვის ხანმა, მოგებისათვის მეფისა გულისა, საშიშისა მეზობლისა, არა მისცა წყენასა, კვალად მოჰსწერა წერილი, წარმოგზავნა ორი შეკმაზული მმი-

[13]) მდივან ბეგობა იყო ვითარცა რუსთა შორის სენატორობა, მდივანსა აქვნდა საქმის გარდაწყვეტისა და სოფლებთა მოვლისა ძალი. იქმოდა ყოველსავე და პასუხს უგებდა მხოლოდ მეფესა, იყო ნამდვილ განმგე სამეფოთა საქმეთა, მცველი ქვეყნისა ჰაზრითა, რჩევითა და მოქმედებითა; თანა მზრახველი მეფისა. იყო ძალითა და მნიშვნელობითა ესევე რუსთა შორის ნამდვილი Государственный совѣтникъ და არა член. Госуд. совѣта.

შედ ცხენი, 20 ჯორი, 40 აქლემი, 4 ძვირფასი შალი და ერთი თოფი ინგლისის მაუდი,—ითხოვა განასლება მეგობრობისა და მიტევება ბრალისა, დროთა წარსულთა.—მეფემან მისწერა მადლობა და აუწყა გამოცხადებით, რომელ რუსთა ხელმწიფე მფარველია მისი, და იტყოდა, ვისაც ჰსურს მეგობრობა ჩემი, უნდა ჰსურდეს მას კავშირიცა რუსთა ხელმწიფისა და მფარველობა მისი. ესე იყო უკანასკნელი ხანთან წერილი; მას ხანთან რომელიც შემდეგ მეფისა მოიკლა რუსთაგან თვით განჯის ციხესა 1803 წელსა.

## XL

8 აპრილსა 1798 წელსა წარავლინა შვილი თვისი და მემკვიდრე დავით და მეფის-ძე შვილივე თვისი იოანე კახეთსა აღსაწერად კომლეულად მცხოვრებთა სოფელთა შინა. მათ ახლდა დეკანოზი იოანე ოსეს-ძე, ეგნატე იოსელიანი და დავით დიაკონი მარტყოფისა, ვითარცა მწერალნი. აღწერეს ამათ და მოართვეს სია მკვიდრთა, რიცხვი სახლთა, საეკკლესიოთა და საბატონოთა ყმათა. მასვე დროსა წარგზავნა აღსაწერად სომხეთისა მოოხრებულისა ესაე ბეგთა ბეგის შვილი, სულხან და დიმიტრი თუმანის შვილი (პირველი სომეხი და მეორე ქართველი) და ეშიყ ასლან ყაფლანის-შვილი. ივნისის თთვესა მოერთო მეფესა სიანი და აღმოჩნდა 42,000 კომლი კახეთისა და თათრებისა ელითა; 2,600 სომხითისა;—მაშინ ბრძანა მეფემან: შეჰსწერდეს კომლზედ ექვსი შაური ფულად აღსაშენებლად სასახლისა, მეფის სადგურად თბილისს. რიცხვითა ამით შეგროვდებოდა საკმაო ფული, იეფობისა გამო შენობისა მასალათა. ქართლი დაშთა აღუწერელად და რადგან მეფესა მოერია უძლურება და განუმრავლდა შფოთი ძმათაგან და იქმნა აღრეულობა, ვერღა მოაყვანა ესე აზრი აღსრულებასა. მოგროვებული კახეთსა და სომხითსა ფული ბრძანა მოხმარდეს ეკკლესიათა. ჯერ ავაშენოთ სახლი ღვთისა, ბრძანებდა მეფე, მერმე ვიზრუნოთ სადგურისათვის

ჩვენთა. მაშინ დააკეთეს მრავლად ბარძიმნი და ფეშხუმნი და მიი-
ნიჭეს მათ სოფლის ეკკლესიათა, სადაცა არღა იყვნენ ესრეთნი სა-
ხმარნი ნივთნი.—მოჭედეს მერედ გამრცვილნი წმინდანი ხატნი; შე-
ამზადეს შესამოსელნი საეკკლესიონი და მოისყიდეს წიგნნი დაბე-
ჭდილნი, სადაც აგულებდნენ მათ სახლსა შინა კერძოთა. ელევთერი,
იოსებ სასახლის დეკანოზი, სოლომონ დეკანოზი ანჩის-ხატისა,
ალექსი შვილი იერომონახი იოსტონ და სხვანი იყვნენ განსაგებე-
ლად საქმეთა ამათ დანიშნულნი. დედოფალი და მეფის რძალი და
ქალი სასახლისა, მხლებელნი მათნი გამდელნი და გამდელთ მოახ-
ლენი ჰკერვიდენ დღე და ღამე შესამოსელთა. მეფე ამხნევებდა მათ
და მღვდელნი, მომლოდენი მეფისა წყალობისა, მხიარულებდენ და
აკურთხევდენ ქრისტეს მოყვარეებასა მისსა, თბილისსა შინა არ დარ-
ჩა სახლი არცა სომხისა, სადაცა არ იკერებოდნენ ოლარნი, საბუხ-
რები, დაფარნანი, ფილონნი და სტიხარნი ფარჩათა მაღლისა ფასი-
სა და დაბალთა სოფელთა შინა მოსახმართა. ოქრო-მჭედელნი თბი-
ლისისა და თავად მათთა სიონის გაბრიილ ბასხაროვი დააშურებდა
ბარძიმ-ფეშხუმისა და ჯვართა კეთებაზედ.—მრავალნი ესმარებოდენ
მეფისა კარისა ულუფასა ღვინითა, ხორცითა და პურითა, და მრა-
ვალნი არ მიიღებდენ ფულითა სასყიდელსა. ქრისტეს ეკკლესიისა
დიდებამან, ესრეთ აღსძრა გულნი ხელოსანთა, რომელ თავადნი და
აზნაურნი შეუდგნენ მეფისა მაგალითსა და აღსასრულებლად მეფისა
სურვილისა თვით თვისთა ეკკლესიათა განამშვენებდენ სამკაულითა
და აღავსებდენ მათთა ნაკლეულობათა. რვა თთვეს იყო ესრეთი მუ-
შაობა. „დაფაცურდაო, მეტყოდა დეკანოზი ანჩის-ხატისა დიმიტრი
ალექსის შვილი მესხიევი: მრთელი სამეფო ამას ღვთივ-მოსწონსა
საქმესა ზედა. დიდი მეფე იყო გიორგი, მამაშვილობამ, მეტყოდა
იგი მრისხანედ: ტყუიან და სცოდვენ მგმობელნი მისნი. მეორე
დავით აღმაშენებელი იქმნებოდა იგი, უკეთუ მისცემოდაო მას სი-
ცოცხლე. სიკვდილი მისი უბედურება იყო ქვეყნისა. მისის ლოცვი-
თა და ცრემლითა, პურს ჰსჭამს დღეს ქვეყანა, ასე იცოდე და ასე

იცოდნენ ყოველთა ვითარმედ" იტყოდა მრისხანითა სახითა.—ნამდვილ ვიტყვი მეცა მიხედვითა მის ცხოვრებისა, რომელ შეიქმნა იგი ძირად ნედლისა ხისა, რომელმანცა დაჰკარგა მტერი, გარნა ვითარმედ აღმოაცენნა ახლად და განახლდა იგი. საამოდ თვალთა და ნაყოფისა მოცემად. ხმა მისი იყო ხმა ეკლესიისა და კვერთხი მისი კვერთხ-მოსესი განედლებულისა, აღყვავებულისა და ნაყოფის გამომცემისა.

## XLI

მეფესა გიორგის ბორჩალოს ყირიყულოში ქისტყუმრა და ქმას-ჯინძლა განჯის მოლა, აჯიმაჭმადილა, მცოდნე არაბთა წერილისა და მაჰმადის სარწმუნოებისა. შეიქმნა ზარი მას ზედ, ვითარ იტყვიან ქრისტიანენი მას ზედ უშვერისა თქმასა. „ღმერთი იშვა მუცლისაგან ქალწულისა"? მეფის-ძემან უპასუხა: ადვილად და მსუბუქად გჰგონებ თქმასა ამას მაღალსა, და რეცა მიუწთომელისა გონებისათვის. კაცთა გვაქვს თვალი. მიხედე აღმოსავლეთისა და იხილე რაოდენ შორის არს მთა იგი პირის-პირი;—და გჰგონებ იყოს აქედამ დღის სავალი; მიხედე დასავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთისა — ვითარი შორის ხედავს თვალი მინდორთა ვრცელთა და მთათა გარემოდებულთა. აღიხილე ზეცად და განიცადე სივრცე ვარსკვლავთა სადგურისა. თვალმან შენმან მცირედმან დაიტია სიდიდე და არა გიკვირს. რად გიკვირს ესე რომელ ღმერთმან ინება და ვერ ჰპოვა შესაძლებელად დატევნილიყო მუცელსა შინა ქალწულისასა? ყოვლის შემძლებელსა ცისა და ქვეყნისა შემოქმედსა, ნუთუ არა შეეძლო ექმნა მუცელი ქალწულისა უვრცელეს ცისა? სადაც ინებებს ღმერთი ჰსცვლის და ჰსძლევს ბუნებისა წესსა, ვითარცა მისგანვე დაწესებულისა და დამტკიცებულისა. მსმენელმან მოლამან ჰსდუმნა. ესრეთი იყო ღმრთოგანკაცებულისა საიდუმლოსა ამის განმარტება, და რაიცა შეიძლება ადვილ გაგონება დაახლოებით ჰაზრისა ესრეთ მაღლისა გონებისათვის კაცისა.

## XLII

უკვდავებისათჳს სულისა იტყოდა ტკბილისა მოთხრობითა შემდეგსა: მიხედე სხეულისა წევრისა უძლებობას და შეამგზავსე გონებასა, რომელიცა არის თვალი სულისა. სხეული არის მდებარე ანუ მომრავი ერთსავე და მასვე ადგილსა სულისავე შეწევნითა, ხოლო თვით სული ერთსავე და მასვე დროს არის აქა, მივა ინდოეთს, მოივლის საფრანგეთსა, განვლის ჩინეთსა, ჰფრინავს ცისა სამყაროსა და არს ერთსა და მასვე დროსა აქაცა და იქაცა. რომელსა დაბადებულსა აქვს ძალი ესე მიმოსვლითი? მხოლოდ სული კაცისა ღვთისაგან ჩაბერვილი იქმს ამასა; მას მხოლოდ აქვს მიცემული ნიჭი ესე ყოველგან მყოფობისა, მას ვერ იჭერს ვერცა სიზრქე ზღუდეთა და კედელთა, ვერცა სიმაღლე ცისა სივრცისა, ვერცა სიღრმე მიწისა, ვერც გარესკნელი უკანასკნელთა ქვეყნისა სამზღვართა. შეზღუდვილი თვით სხეულისა ბადითა, ვითარცა ტყვე პყრობილი, არის თავისუფალი ბუნებითა და ჰფრინავს გონებითა, ვითარცა ჰსურს. ესრეთისა ძალისა მქონი განქარდება? არა, იგი განძლიერდება, შეიქნება უმეტეს მოარბინალი, უადვილეს მფრინავი, უმხნესად ცხოველი, უმეტეს ნათლად მხედველი და განმსჯელი, როდესაც განშორდება სხეულსა, შემავიწროებელსა მისსა და დამაბრკოლებელსა. ეს არის ერთი და დიდი დამტკიცება სულის-უკვდაობისა. მაცხოვარმანი თვით გვიჩვენა აღდგომისა შემდეგ თვისისა მკვდრეთით, რაი არს სული, ოდეს არღა ამის სოფლისა სხეული და სული ესე იგი კაცი სხეულისა და სულისა მქონი აღვიდოდა ცად და შთავიდოდა ქვესკნელთა ქვეყანისა, და განვიდა კართა ხშულთა და ეჩვენებოდა მოწაფეთა და სხვათაცა მრავალთა.

## XLIII

დროსა ამას მოახსენეს მეფესა, მეფის ძენი დავით და იოანე დიდად დაახლოვდნენ იულონსა და ალმას-ხანსაო, ძმათა მეფისა და

მეტოქთა მისთა. უწყოდა მეფემან, რომელ ესრეთი მათი მათთანა დაახლოება არის სავნო თვით შვილთათვის თვისთა „შვილსა ჩემსა დავითს, შეაცთუნენ გულარძნილნი ძმანი ჩემნი, იტყოდა მეფე, და ვერცა იგი, და ვერცა შვილი ჩემი იოანე ნაყოფს კეთილს ვერ იხილვენ მეგობრობითა მათთანა". —მტერნი მათისა მამისა, როგორ შეიქმნებიან შვილთა მისთა მყვარებელნი. —ავი ნიშანია ეს, —იტყოდა ვითარმედ მეფე, ოდეს ღმერთი ჰსჯის მამასა ვითარცა მე, —მაშინ წინაღუდგენს შვილთაცა მისთა. ჩემს სახლს დასცემენ ესენი ესრეთითა მამისადმი მოქცევითა. მეფის-ძე იოანე ოდესმე ეახლებოდა მამასა და იამებოდაცა მას მისი ნახვა. გარნა მეფის-ძე დავით მემკვიდრე არც ერთ გზის არ ნახავდა მამასა, გარდა დროთა მათ, როდესაც თვით მეფე დაიბარებდა მას საქმეთა თვის. —მეფე განრისხებული მასზედ ხსნილისა ჭამისათვის მარხვის დღეთა და არა მომსმენი ხშირად წირვისა და ლოცვისა წესისამებრ მართლ-მადიდებელისა ეკკლესიისა, ჰსთხოვდა ხშირად საიდუმლოდ ჰშთააგონოს დავით სიყვარული ქრისტესი და ეკკლესიისა. მეფესა დიდად უყვარდა შვილი თვისი დავით, ყოველთა შვილთა და ძმათა შორის უუგონიერესი, ცქვიტი, ფსიზელი და მარჯვე სიტყვითა და საქმითა. მეფის-ძენი ორნივე დავით და იოანე იყვნენ გონიერნი, მხნენი და საქმისა კაცნი: თვით ირაკლისთან დიდად თამამად და თავის-უფლად შევიდოდნენ და დიდად უყვარდენ ესენი პაპასა მათსა. ყოველთვის ორთავეს გვერდით მოისვამდა თუმცა დავით მამასა მათსა გიორგის არ ნახავდა ხოლმე. სხვანი შვილნი მეფისა იყვნენ არა ეგოდენ ვარგისნი და არც სამეფოდ აღზრდილნი, ვითარცა ორნი ზემორე ხსენებულნი.

## XLIV

დავით მოსრული რუსეთით, ვერ იქცეოდა სურვილისამებრ მამისა. ამისთვის ჰსწყუხდა ურწმუნოებისათვის მისისა წესისამებრ წმი-

დისა ეკკლესიისა. აჰა საუბარი მისთვის მეფისა პატრთან, რომელიცა ახლდა მას ვითარცა მეგობარი და მახლობელი:

პატრო ნიკოლა! სადაა ესლა დიდი სარდალი ბონაპარტე? ებრძვის რუსთა და კეისარსა, მოასხსენა პატრმან. ესენი ცდილობენ დაიცვან ფრანგისტანში ქრისტიანობა. არღაა მუნ აგერ მრავალი წელიწადია არცა წირვა, არცა ლოცვა, არც ქორწინება; არც მღვდელი და ეპისკოპოზი; 25 მილიონი წარაართად არიან გარდაქცეულნი, ვინ ჰქმნა ესე? უკეთურთა მწერალთა ვოლტერმან და სხვათა, მეფევ!

მეფე: ვოლტერი? მეგობარი ჩემის შვილისა დავითისი, ჩემის მემკვიდრისა. ვაი შენ გიორგის, რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეისწავლა მისი ურჯულო ჰსწავლა; მოიტანა აქა მისი სახე, რომელიც სამართლად დავსწვი ცეცხლსა. ღმერთი წარუმართებს რუსთა და კეისარსაცა. თვით მაცხოვარი ჩემი შეეწევა მათ. ქრისტეს გარეთ რაღაა კაცი? უკეთესსა ვინ გვასწავებს. მეორე არიოს ყოფილა, უნდა იყოს ის შეჩვენებული.

პატრი: წმინდისა პაპისა ლოცვითა ვერ გაიმარჯვებს მტერი.

მეფე: ეკკლესიასა ქრისტესსა ჩემო, პატრო! ვერა ჰსძლევს ბჭე ჯოჯოხეთისა.

პატრი: მრავალი უნახავსთ დევნა ქრისტიანეთა.

მეფე: დიოკლეტიანემან, ნერონმან, ივლიანემ და სხვათა ვერ ჰსძლიეს ქრისტესსა, რას იქმს ვოლტერი ბოროტითა სიტყვებითა! თვით ბონაპარტე რაღა, პატრო?

პატრი: დიდად მორწმუნე კათოლიკეა, გარნა აღზრდილი ფრანგისტანში, კორსიკანელი თუ არა, ქრისტიანე არ იქმნება. ჰფიქრობს აღადგინოს ტრაპეზი ქრისტესი. პატივ-ჰსცემს დიდად პაპასა წმინდასა.

მეფე: ღმერთმან წარუმართოს და დაუთრგუნოს მტერნი და განუბნიოს იგინი. ჩვენ ვლოცულობთ მათთვის.

პატრი: აგერ 8 წელია, რაც უკეთურთა ფრანგისტანელთა დაფლეს მიწაში ჯვარი და სახარება ქრისტესი.

მეფე: წყეულიმც არის მათი სახელი. ღმერთო და მაცხოვარო ჩემო, შენ აპატიე შვილსა ჩემსა დავითს დანაშაული მისი. ნუ ჰკითხავს მას. შენ მოაქციე ჭეშმარიტსა გზაზედ და დაამკვიდრე შენსა სიყვარულზედ. ამინ, ამინ.—რა იქმნება მეფე არა მორწმუნე ქრისტესი, მოძულე ღვთისა დედისა, წმიდათა და წამებულთა. ვაი შენს მეფესა გიორგის. მამაშვილობასა პატრო, შეაყვარე ქრისტე შვილსა ჩემსა, გამოიყვანე ცოდვიდამ; ამცნე, შენ უფრო დაგიჯერებს.—თუ არა ვერ იმეფებს, დაჰკარგავს ტახტსა და სამეფოსა ღვთის-მშობლისა წილ-ხდომილსა. ქრისტიანობითა გვაქვს პატივი და დიდება ქსრეო, ჩემო პატრო, ჩემო მეგობარო. ვალიცა გაქვს, ქრისტესთვის სიტყვასა იტყოდე, განმხნევდი. მეც მაამე და მცნებაცა ქრისტესი აღასრულე. მოიმე ცხოვარი წყმენდული და შეაერთე ქრისტეს სამწყსოსა.

პატრი საყვარელი იყო დავითისაცა მემკვიდრისა, უამბო ყოველი დავითს. ნამდვილი ვერ ვჰსცან კაცთა მედროვეთაგან. მეფეთათანა საუბარი სიფთხილითა უნდაო, მეტყოდა ხშირად მეფისავე ექიმი იოანე იოსების ძე ყარაევი, მომთხრობი ამბავთა ამათ და თვით სარწმუნოებით კათოლიკე: თვით მამა შენი ეგნატი მიჩნეული მეფისაგან, მამაო ჩვენოს თქმით შევიდოდა მასთანაო.

## XLV

1800 წელსა აღდგომის დღეს, წაბრძანდა მეფე სიონის საკათედრო ეკკლესიაში. მუნ იყვნენ შეკრებილნი შუაღამესა ღენერალები რუსთა ლაზარევი და კავალენსკი, მინისტრი რეზიდენტი რუსეთისა და მეფის მოხელენი. ცისკრის წესი და წირვა დღისა ამის გარდაიხადა კათოლიკოზმან ანტონი, რომელსაც ჰყუანდნენ თანამმწირველად არსენი თბილელი და მიხაილ ნინო წმინდელი, დროთა ამათ თბილისსა მცხოვრები, და სხვანიცა სამღვდელონი.

ოდეს შემობრძანდა მეფე ეკკლესიად და მოიკითხა რუსთა ჯა-

რისა უფროსნი, წინათ ცისკრის დაწყებისა ჩვეულებისა-მებრ თვით ალანთო სანთელი კელეპტარი ყვითლისა სანთლისა წინაშე სიონის ღვთის-მშობლისა ხატისა და მაშინ მოულოდინებლად ერთაგანი ხმა ჰყო ძლიერად: ღვთის-მშობელო, ქრისტე აღსდგა!—ესრეთი აქვნდა ტრფიალება ქრისტეს სიყვარულისა მორწმუნესა მეფესა, და ესრეთ მან მისმან ხმისა ბგერამან, რეცა ზეგარდმო მოღებულმან, შეარყიენა გონება და სხეული მუნ მყოფთა. ჰგონებდენ, მეტყოდა მუნ მყოფი დროთა ამათ ბიძა ჩემი გენერალ-მაიორი ზაქარია იოსელიანი 86 წლისა ს. პ. ბ. გარდაცვლილი 1865 წელსა, თვით ხმა ისმა ღვთისაო! შეძრწუნებული, ვითარცა საყვირისა ხმით, დღესაც ვჰსძრწი და ვლმობიერებ დღესასწაულთა თვის ქრისტეს ეკკლესიისა, ესრეთ ბრწყინვალედ თვით მეფისაგან გარდასხდილსა.

დღეს ამას მრავალი სატრაპეზო დარიგდა ქალაქისა მცხოვრებთა უძლებელთა თვის, ქვრივთა და ობოლთა. წირვისა შემდგომად კათოლიკოსი და თანამწირველნი მიბრძანდენ მეფისა სადგურსა და მუნ განისხნილეს ერთად ქალთა და კაცთა, მეფემან, დედოფალმან მარიამ, მეფის ძეთა და რუსისა გენერალთა და მხლებელთა მათთა.

## XLVI

თთვეში ერთხელ უყვარდა აბანოში წასვლა, სახელდობრ სიონის აბანოს, რომელსაცა მაშინ ეწოდებოდა სამშაბათისა,—რადგანაც დედა-კაცთათვის იყო დღე ესე დანიშნული.—მოუმზადებოდნენ დიდისა მზადებითა და ჩრდილოეთის მხრით პატარა აუზი დღედმდე მყოფი, იყო მისთვის დანიშნული.—ბანვის დროს ერთს საათსა განატარებდა დუმილისა ლოცვითა დედისადმი ღვთისა, რომლისადცა ხატი იყო მკელად მეფეთაგან შეწირული. მეაბანოე თათარი მაშადი, დღესაც ცოცხალი 98 წლისა, ახლდა მას და უყვარდა მეფესა ალერსითა მასთან თათრულად საუბარი. აბანოს შემდგომად, ჩაცმულს მეფეს მიერთმეოდა შაქრიანი წყალ ღვინო: ეს სიყრმიდ-

განვე აქვნდა მას ჩვეულებად და ბრძანებდა ნადირ-შაჰ-ყაენმა ასწავლა ესე პაპასა ჩემსა თეიმურაზსა და მე მისგან მაქვს გაგონილი. ესრეთ იტყოდა მაშადი, მადიდებელი მეფისა და კურთხევით მომხსენებელი მისი. მეფობისა პირველსა ორსა წელსა მიბრძანდებოდა აბანოსა ცხენითა და მესამესა წელსა, ვითარცა სნეულსა, მიიყვანდნენ ტრახტევანითა. ტრახტევანითვე მიბრძანდებოდა ხარების ეკკლესიასა, სადაც ხშირად უყვარდა მოსმენა წირვისა, და თაყვანის-ცემა და ჭვრეტა წმიდისა ხარებისა ხატისა,—რომისა ქალაქსა ნახატისა, და მუნთ მოსვენებულისა ტაძრისა ხატად თბილისსა ლათინთა ეკკლესიასა. ხატსა ამას აწერა ქვემოთა ლათინურად წელიწადი ეკკლესიისა მის აღშენებისა და გამოძიებით დღესაც დაშთენილისა ქვასა ზედა წარწერითა ჰსჩანს 1714 წელსა.

## XLVII

მეფესა არ უყვარდა სიარული და შექცევა ბაღებში.—მხოლოდ პატივისცემისათვის მისა თვისისა დავითისა, სამეფოისა თვისისა მემკვიდრისა,—ეწვია მას ბაღში, სადაცა ქართველთა და რუსთა წესითა ჰქმნა სადილი დიდი და მიიწვია რუსისა ღენერალი, ჯარისა თბილისს მოსულისა აფიცერნი და ჩინებულნი ჯარისა და ქალაქისა. მუზიკა რუსული და ქართული და მომღერალნი ამხიარულებდენ შეკრებილთა. კათოლიკოსი და ეპისკოპოზნი და სამღვდელონიცა იყვნენ მუნ მიწვეულნი,—ქალნი არა.

ბაღი იყო ორთა-ჭალას. შემდგომად მეფის-მისა, მიეცა იგი დოსითეოზს არხიეპისკოპოზს გვარით ფიცხელაურსა, და შემდგომად ამისცა შეისყიდა იგი სომეხმან თბილისელმან მოქალაქემან ტერ-შმოვანოვმა;—დღესაც მემკვიდრეთა მისთა უპყრიესთ იგი სავაჭროდ და არა სალხინოდ, ესრეთი ცვალებადი არის სოფელი ესე და ყოველივე სოფლისა.

## XLVIII

მუხრანის მოხილვისა დროსა, მტკვარისა ციხიდამ ეკვირებოდა ადგილთა მშვენიერებასა, ქსნისა ერთის მხრით და არაგვისა მეორით მდინარეობასა, ვენახთა სიმრავლესა, მინდორთა მრავლითა სავსეთა, ეკკლესიათა და კოშკთა და ნაშენობათა ძველთა და ახალთა ადგილ-ადგილ თვალ-საჩენდა მდებარეთა. დიდად დამტკბარსა ესრეთითა ხილვითა მეფის-ძესა, მუხრანის ბატონმან იოანე სიძემან თვისმან, გარნა არ საყვარელმან, მოახსენა: ეს რასაც ხედავთ ქსნიდამ არაგვამდინ და იმ მთიდამ ამ მთამდე ჩემიაო. მაშინ, მსწრაფლ უბრძანა მეფის-ძემან: ნუ, ნუ, მუხრანის ბატონო, ნუ ბრძანებ მაგას, ეგ გვარი თქვა სატანამ, მოახსენა მაცხოვარს: ესე ყოველი ჩემიაო, მოგცემ შენ სამეფოსა მას, უკეთუ თაყვანის-მცემო? ნუ ვიქადით სახელითა ჩვენითა; „არა ჩვენ, არა ჩვენ, არამედ სახელსა შენსა ეც პატივი.“ მხლებელთა გაეღიმათ. მუხრანის ბატონმა ჰსდუმა და სხვათა მეცნთა კაცთა და წილკნელმან ამბროსი გაიკვირვეს მარჯვე პასუხი წმინდისა სახარებიდამ მარჯვედვე და თვისსა დროსა სათქმელად მოღებული.

დასამტკიცებლად მუხრანის ბატონისა, თვით ბრძანა ქებითი სიტყვა: მუხრანისათვის სამთავროისა. „დიდი საუფლის-წულო შეხვდათ მუხრანისა ბატონთა. მეფეთა ტომთა, იტყოდა მეფე. მუხრანის ბატონი ჭეშმარიტად არის მთავარი მდიდრად მქონი პურისა, ღვინისა, საკლავისა, ტყისა და ნადირთა. მეტადრე ორაგულთა, მცურავთა მარჯვნივ და მარცხნივ მისისა სახლისა. არაგვი და ქსანი,—ორი აქვნან ორაგულისა, თევზთა ბატონისა მდინარე მუხრანის ბატონისა; 1,200 კომლის ბატონსა და ვითარცა მემარჯვენესა ემორჩილების 6,000 მეომარი. ეპისკოპოსი წილკნელი და წინამძღვარი შიო მღვიმისა მისთვის ილოცვენ. ძვალნი წმინდისა შიოსი და საფლავი წმიდისა ესე წილკნელისა, აქვნან მას საფარვე-

ლად. აი, ბატონო მუხრანის ბატონო, სიმდიდრე თქვენი, სიქადუ-ლი და სასოება მტკიცე.—ორნივე ესენი არიან ეკკლესიისა სვეტნი და მეფეთა გვირგვინისა სამკაულნი.

ამასვე დროსა პირველსა წელიწადსა მეორედ ქორწინებისა მე-ფის-ძისა და მან მისმან მეფის ასულმან ქეთევან მიიპატიჟა მუხრა-ნისა რძალი თვისი მარიამ, მიღებული დიდის პატივით და თქვს-მეტით ქალით დიდთა გვართაგან, დასხდებოდა, ვითარცა მათ, ეგ-რეთვე მეფის-ძესა გიორგის, ცოლის-ძმასა თვისსა. მომთხრობი ამ-ბავთა ამათ ზაალ გურამის-შვილის ცოლი ნინა, დღესაც ცოცხალი, თვით იყო დამსწრე წვეულებისა და დაასახელა შვიდნი ქალნი საჩე-ნად მორთულნი, მშვენიერებითა ბრწყინავენი, ტკბილად მოუბარნი, სარეცელად მეროკველნი. ესენი იყვნენ: პაატა ციცის შვილის ქალი სოფიო გასათხოვარი 13 წლისა; თუმანიშვილის ცოლი ქეთევან დიდად კეკლუცი; მაყაშვილის ქალი ნინო, 14 წლისა დანიშნული...... ანდრონიკას-შვილზედ, გარნა გათხოვებაზედ გარდაცვლილი, საყვა-რელი მეფის-ძისა გიორგისა, რომელსაც დიდად ეალერსებოდა თვით მეფე ირაკლი; თინათინ ქალი ამილახვრისა ამირინდოსი, გასათხო-ვარი და დედა-მისი თამარ მშვენიერი და მეფეთა ალერსი; ელენე და მისივე, თინათინი ცოლი ახლად ჯვარდაწერილისა მას ზედა აბაში-ძისა დავითისა; ბარბარე ყაფლანის-შვილი; ელისაბედ ბარათაშვილის ცოლი, სიტყვა მარჯვე, და ზომათ მთქმელი შესაქცევათ მრავალთა.

ათი დღე დაჰყვეს მუნ;—კარგებით იყო სავსე მუხრანის გა-რემონი. 300 კაცი შეჭურვილი ახლდნენ სტუმრად. წვეულება ესე იყო ენკენისთვის 8 რიცხვსა თვესა მას, რომელსაც არის დღესას-წაული ტაძრისა აღშენებულისა ღვთის მშობლის შობის სახელზედ; დაჰპატიჟა თვით წილკნელმან, ჰქმნა სახელოვანი სტუმრობა და მუ-ნითგან, კურთხევითა მღვდელ-მთავრისა ამბროსისა წარვიდენ მცხე-თისა გზით ქვემო ავჭალას და მივიდნენ მეფის-ძე გიორგი და მე-უღლე მისი მარიამ ქალნი და კაცნი მხლებელნი მათნი და ისადგუ-რეს მუნ 4 დღე და, აქ მასპინძლობდა მათ ზაალ გურამიშვილი,

მეფის ძის განსაკუთრებით ერთგული და ცოლი მისი ნინო ანდრონიკაანთ ქალი. ნათესავი პირველისა მეფის-ძის ცოლისა ქეთევანისა და მამთხრობი ამბავთა ამათ. ამისაგანვე ვსცან მრავალნი ამბავნი, აქ მოჴსენებული მეფისათვის. თვით მოხუცი 103 წლისა ვერ მივებდა პასუხსა უსმენელობისა გამო ყურთა მისთა შეკითხვათა ჩემთა; ამისთვის გარდასცემს მას, შვილის-შვილი მისი კნეინა ოლგა ჭავჭავაძისა, ქალი თ. თადეოზ გურამოვისა და ცოლი თავ. ილიასი ქართველთა პოეტისა, ჩაბერვითა მაღლად მოხუცისა ყურთა და ესრეთ მეტყოდა პასუხსა და მომითხრობდა ძლიერად, გონიერად და სრულითა მეხსიერებითა. არისო წელსა შინა ამბავი ჩემგან ნახულისა, იტყოდა მოხუცი, და ამბავი გაგონილისა ჩემგანვე. მეისტორიე ფრთხილად უნდა სწერდესო.

## XLIX

მოგზაურობის ამის დროსა შემდგომად ოთხისა თვისა 1787 წელსა ვიხილე ერთი მისგან მეფის-ძისა მიწერილი ბრძანება მთიულეთის მოხელეთადმი; ბრძანებითა ამით უბრძანებს, რომ სამ კობია შვილსა მოურავსა მთიულეთისასა, განდევნილის მათგან, დამორჩილდნენ;—მხოლოდ სამის სანამ ცოცხალი იყოს და მისისა ძმათა და სახლის კაცთა ხელი არ ჰქონდეს თქვენთანაო. ოქმი ესე იწყებს: „ბატონის შვილი გიორგი, ლეონ, იულონ, ვახტანგ და თეიმურაზ. (ეს სახელი კათალიკოზისა ანტონისა ერის კაცობაში) გიბრძანებთ მთიულეთის მოხელენო და ერთობით მთიულნო დიდნო და მცირენო“ და სხვანი, იანვარს 21. (1784 წელსა).

ავჭალას მოახსენეს გლეხთა მის დროის მწუხარებით, წვითა და დაგვითა პურის ჭამისათვის მათგან. მეფემან უპასუხა: „პური თქვენი, რომელსაც ჰსჭამთო არის პური ნამდვილი: კაცი ერთითა შრომითა უნდა იკვებებოდესო, ძილი თქვენი უფრო ტკბილია, მხიარულებაც უფრო შვებითია და სხეული უფრო მტკიცე. ადვილად შეე-

ყანაზედ ნაშოვნი და მოპოებული, არის უგემო, ვითარცა საჭმელი უმარილო“.

## L

დროსა ამას ლეკთა აქვნდათ შეკრული ზედაძნის მთა-ტყიანი, მეფემან მოუწოდა ქიზიყელნი, რათა მიუხდენ მუნ მთისა წვერსა და მოუშალონ მათ შინა სადგური მათი. 300 კაცი ქიზიყისა, მოურავი ზაქარია ენდრონიკა-შვილი წარვიდენ და იხილეს სიმაგრე მათი ციხესა და გალავანი კოშკიანსა ზედა-ძნისა ადრევე გაუქმებულსა უდაბნოსა. ჰსცნეს ესე ლეკთა 600 კაცთა მუნ მარადის დაბუდებულთა და გარდმოუდგნენ ციხისა და გალავნებისა კერძოთაგან. ქიზიყელთა ვაჟკაცთა ვერ გაბედეს მისვლა იერიშითა: იყვნენ უცნობნი ადგილისა და არა ჰგონებდენ ესრეთ მიუალად. სირცხვილეულნი უკუ იქცნენ და წარვიდენ თვის-თვისად. მაშინ შეწუხებულმან მეფემან ამოიოხრა და უბრძანა ზაალ გურამის-შვილსა და მაყა-შვილსა ოხვრითა: მეუბნებიან ნუ მიიშვილებ რუსთაო!

ეს მთა ზედა-ძნისა არაგვისა პირზედა დამყარებული პირისპირ მცხეთისა და ღართის-კარისა ანუ ძველად კანონიერად ქართლისა-კარისა, იყო კლდედ და კარად დაღესტანისა, და აქედამ დაეცემოდიან ლეკნი ღართის-კარსა და ტაცებით ტყვეთა,—განვლიდენ ქართლსა და ავიდოდნენ ახალციხეს. დაბრუნებული მუნით, აქავე მოვიდიან და დაბინავდებიან უშიშრად. ესრეთ მდგომარეობასა იყო საქართველო დროთაგან მეფისა ვახტანგისა 1710-გან, როგორცა ჰსჩანს წერილიდგანაცა, და ვიდრე 1817-დმდე, ამა წელიწადიდამ შეწუხდა ლეკი და შევიდა თვისთა კლდეთა შინა და ხეობათა, სადაცა ეწია მას ძალი რუსეთისა და შემდგომად გრძელ-ჟამითისა ბრძოლისა დაამორჩილა და დაამშვიდა, დაიმონა და შეართა ვალად ქართველთა ვაჭრობითა, მათთანა მუშაკობითა და არს საიმედო, რომელ იქმს ერთობასაცა სარწმუნოებითსა დანერგვითა მათ შორის

ქრისტიანობისა, გარდა რომლისა არა არს არცა სარწმუნოება, არც მოქალაქობა და არცა კაცობრიობა.

## LI

მოახსენეს მეფის-ძესა წიგნისათვის ამილახვარისა, დაბეჭდილისა რუსეთსა. ინება მეფის-ძემან თარგმნილისა ქართულად წარკითხვა. ჰსთხოვა მთარგმნელსა მისსა, წარაკითხოს მას იგი. მთარგმნელმან პეტრე უიზლიარელმან კიტიევმან მოახსენა არა ქონვა მისი ქართულად. თარგმნილი მივართვი მეფესაო. მეფის-ძემან ვერ გაბედა თხოვნა მისი და უბრძანა პეტრეს ხელ-ახლად ჰსთარგმნოს ქართულად. მაშინ გადმოიღო ქართულად არა მთელი წიგნი, არამედ 14 ადგილი საგიობელი მეფის ირაკლისა და სხვანი ქებითნი სიტყვანი მეფის-ძისა გიორგისათვის. უბრძანა მადლობა მას, გარნა ირაკლი მცნობელმან, რომელ დაარღვია ბრძანება მისი, რათა არა ვისთვისმე ეჩვენებინა იგი, გაუწყრა მას და განაძო თვილისით. ესრეთი იყო კავშირი შორის მამისა და შვილისა. მტერთა განიხარეს და განძლიერდნენ წინააღმდეგნი და მტოქნი გიორგისა!—ესენი რავდენიმე წიგნისა ამის ფურცელნი ცუდათ ნათარგმნი და სომეხთა ენისადმი-ქცეულნი მეცა მინახვიან. ჰსჩანს იყო მთარგმნელი სომეხი, ვნახე და წარვიკითხე ნიკოლოზ დაკითის-ძეს ჩუბინოვისა წიგნთა საცავსა. ვჰგონებ გამოსთხოვა შემდეგ იგი ამას მთავარმან მეგრელიისა დავით ლეონის-ძემან დადიანმან,—დიდათ მოყვარემან ქართულთა მწიგნობრობისა.

ამას შინა რვეულსა იდვა სხვაცა ფურცელი ლურჯ ქაღალდზედ ნაწერი, რომლითაცა ჰსთხოვა მეფესა მისცეს ნება ორისა თვითა წარვიდეს ეჩმიაწინსა სანახავად დროთა ამათ სომეხთა კათოლიკოზისა ლუკასი. მეფე ირაკლი უწერს მას ფურცელზედა უარსა დროთა გარემოებათა გამო: იქმითა დაწერილსა, უარის პასუხსა უზის პატარა ბეჭედი მეფისა ირაკლისა.

## LII

ოდეს ქსნის ერისთავთა დაჰკარგეს რწმუნება მეფისა და არღა მიენდობოდა ერთ-გულობითსა მათსა სიტყვასა, და აქვნდათ მარადის დაახლოება ლეკთა ბელადთა თანა, დაღესტანით ახალციხედ მიმავალთა და ახალციხით დაღესტანისავე უკუ-ქცეულსა, მაშინ მეფემან ირაკლიმ განიზრახა მოღება მათგან ქსნის ხეობისა და სრულად აღჴოცა ქსნის საერისთავოსი. ესე უნებდა მას ერისთობისათვის მეფობისა და სიმტკიცისათვის ერთ მთავრობისა. დაასუსტოს თუმთა მთავარნი ანუ სრულიად აღჴოცნას იგინი, მაგალითითა მით, რომელიცა დიდის სიბრძნით ჰქმნა მეფემან თეიმურაზ, ოდეს განაქარვა სამუდამოდ ერისთავობა არაგვისა. შეგროვილთა მეფისა სასახლეში მისა მდივან-ბეგთა განიხილეს საქმე და ორ-გულება, რომელთაცა შეჰსწამებდნენ ერისთავთა, ქაბუა ორბელიანმან და იოსებ თუმანის-შვილმან და სხვათა. სძლეს სხვათა და განაჩინეს სრულიად უკუნითი უკუნისამდე მოეღოს მათ საერისთავო. სიმტკიცისათვის და შეცვალებისათვის ესრეთისა განჩინებისა იქმნა გრება, დაიწერა მეგლის წერა და მოსწერდა ხელი დაესვათ ბეჭედნი მეფისა და სამეფოისა სახლისა წევრთა, კათოლიკოზისა და მღვდელ-მთავართა რჩევით. კირილე მთავარ ეპისკოპოსმან მისცა ხმა მიემატოს მეგლის წერას ესეცა: იყავნ კრული თვით მეფეცა, რომელმანცა გახსნას შერულება ესე და ჰსცვალოს განჩინება“.

მეფის-ძესა გიორგის არა უნებდა არცა ხელის-მოწერა, ბეჭდის დასმა. აქედამ სცნეს პირველად ჰაზრი მეფის-ძისა, რათა ჰყვანდეს შემდეგთა დროთათვის განდევნილნი ერისთავნი თანა-შემწედ პირის-პირ მეორისა დედისაგან ძმათა, რომელნიცა ჰსძულობდეს მას. იწყინა მეფემან; დაიბარა შვილი თვისი, ჰყვედრა მას ურჩება გამოცხადებული და უბრძანა დასვას ბეჭედი. მეფის-ძე მორჩილ-ექმნას მას, გარნა გაიმეგობრა ერის-თავნი და მთის მკვიდრნი, რომელთაცა

ჰსურდათ ერის-თავნი თჳსნი გალაღებულნი მათგან. ესე სიყვარული მათ შორის დაჰსცხრა და განქარდა მაშინ ოდესცა ერისთავმან რევაზ 1800 წელსა შეირთო ცოლად ანასტასია, ქალი ირაკლისა და ოდეს ფარნაოზ მეფის-ძემან იდუმალად მამისა თჳსისა მიიყვანა ცოლად ანნა ქალი ყულარაღასისა ერის-თავისა.

## LIII

ესრეთივე იყო მოქცევა მის მეფის-ძისა გიორგისა, ოდეს მეფემან ირაკლი დასწვა მოღალატენი მისნი პაატა ბაგრატიონი, თაქთაქის შვილი და დასჭრა ფერხთა ძარღვნი ამილახვარსა ალექსანდრესა. მეფის-ძეს გიორგის არ ენება ასრულება ესე ვითარისა სასტიკისა განჩინებისა. მოქმედებითა ამით აჩვენა ქართველთა ერსა გულ-ჩვილობა თჳსი და ესე იყო მიზეზი, რომელ თჳთ ალექსანდრე ამილახვარმან რუსეთსა წარსულმან დაბეჭდა წიგნი რუსულად.

და მას შინა მგმობელი მეფისა ირაკლისა, ადიდებდა მეფის ძისა გიორგისა და აღსწერდა მას კაცად კეთილად, ბრძნად და სათნოებათა მრავალ მექონად.—მეფესა მოახსენეს წიგნისა ამისთვის დაბეჭდვისა და მან მისწერა იმპერატრიცასა ცუდ-კაცობა დაჰსჯილისა ამილახვარისა. რუსეთმან სურვილისა-მებრ მეფისა აღკრძალა წიგნი იგი და აცნობა მეფესა, რათა მით განუსვენოს მას, იგი იყო ნათესავი ათანასი თბილელისა და ესევე იყო მიზეზი არა მოსვლისა საქართველოდ ათანასისა, დაშთომილისა რუსეთსა და მუნ მოსკოვს გარდაცვლილისა.

## LIV

1783 წელსა იწყეს საეკკლესიოთა წერილთა ბეჭვდა ქ. თბილისს, მაშინ მოახსენეს მეფესა, რათა რუსთა წესით შემდგომად სიტყვათა: „დროისა კეთილ-მორწმუნისა მეფისა ირაკლი მეორისა და დედოფლისა დარეჯანისა“ დაემატოს ესეცა „და მემკვიდრისა მათი-

სა მეფის-ძის გიორგისსა“. სურვილისამებრ თჳთ მეფის-ძისა და განსასვენებლად ძმათა, რომელნიცა მარადის განიზრახვიდენ მეფობისა მიტაცებასა. იწყინა ესე მეფემან და უბრძანა სტამბისა ზედამხედველსა...... არღა მოახსენებდეს მას ესრეთსა უშვერსა მოხსენებასა. კათოლიკოზმან ანტონი ჴსტუქსა გაჟერაშვილი მღვდელი და აბრამ ურიათ-ყოფილი და...... მღვდელიკე.... მბეჭდავნი წიგნთა. დაბეჭდილნი რამდენნიმე დაწყებითნი ფურცელნი, მოითხოვა და ბძანა მისცეს ცეცხლსა და არღა იქმნეს ესე. ტრიფილე არხიდიაკონსა ებრძანა კათოლიკოზისა პირითა საყვედური დიდი და მოძღვარმან მეფისა ზაქარია სულხანის-შვილმან მბეჭდავმანვე გამოუცხადა მას ტრიფილეს ბრალის მიტევება გაბედისათვის ბეჭდვისა და დასტამბის რისამე,—არ ნება-რთულისა მეფისაგან თვით კათოლიკოზისა. ერთი ესრეთი ფურცელი ვნახე დავით რექტორისა წიგნებში“ გამსყიდავი რავდენთამე მისთა წიგნთა.—არ ვიცი სად მიეფარა ეს ფურცელი დასამტკიცებლად ესრეთისა ჩემის მოთხრობისა,

## LV

დღესა მესამესა შემდგომად შერთვისა მეფის-ძისაგან მარიამ გიორგი ციცი-შვილის ქალისა, წარვიდა მეფე ირაკლი და ნახა რძალი თვისი სავსე მშვენიერებითა, ჯერეთ ყმაწვილი 14 წლისა. მეფემან მიართვა პირის სანახავად ხატი ღვთის-მშობლისა, ამბარჯა ძვირფასი, თვალებითა, მარგალიტითა და იაგუნდებითა მორთული, რომელიცა ჴფასობდა იტყვიან ას თუმნათა, ქარხანა ზეთის სახდელი მტკვრის ხიდის გაღმა, მეტეხისა ძირში ავლაბრისა გზისა მარჯვნითა...... მასვე დღესა, მეფისავე მუნ ყოფნასა მიბრძანდა დედინაცვალი და დედოფალი დარეჯან, და ამანაც პირის-სანახავად უბოძა რძალსა თვისსა მეწკვი ოქროსი და გულ-საკიდი ამბარჯა საკაბე მძიმისა ფარჩისა, შალი ინდოეთისა, კრიანოსელი 70 მარგალიტისა და 30 იაგუნდის თვალი.

არა გამოჩენილი ქორწილი მეფის-ძისა მოითხოვდა, რათა არა გამოჩენილიცა ყოფილიყო მიღება სასახლესა შინა ახლისა რძლისა. ამისთვის თვითოეულად მივიდოდნენ და წარდგებოდნენ სასახლისა კაცნი, თავადნი და აზნაურნი და თვით კათოლიკოზი და სამღვდელონი თბილისელნი; დროთა ამათ თბილელი ათანასი მიჰხადა და მიართვა მყობადსა თვისსა დედოფალსა ხატი ღვთის-მშობლისა ვეცხლით მოჭედილი, დაუჯდომელი, დაბეჭდილი ქაიხოსრო მეფის დროსა 1709 წელსა თბილისს, დალოცა და აკურთხა იგი ჰარაკლისისა გარდასვლითა მუნვე სახლსა; ესრეთი იყო მველადვე ჩვეულება თბილელთაგან, რადგანაც თბილელნი დამხოველნი თვისითა ეპარხიებითა იყვნენ მველადვე სადედოფლოთ დანიშნულნი. მაშინ შეჰსწირა თვით დედოფალმან სიონისა ეკკლესიასა ბარძიმ-ფეშხუმი; აქვნდა, შთასმული სამი დიდი ალმასი გარემო გამოკვეთილისა მაცხოვრისა ხატისა. ესე დაიკარგა თბილისსა აღების დღესა 1795 წელსა. ისაკ კანდელაკმან სიონისა, კაცმან მრავალთა საეკკლესიოთა წიგნთა და გულანთა აღმწერელმან მიართვა თვისგან დაწერილი მშვენიერად ხუცურად დაუჯდომელი და ჰარაკლისი ღვთისა დედისა. თავსა ასატია ღვთის-მშობლის ხატი და შთაურთო მუნ 18 სახე ღვთისავე დედისა ქებათა გამომეტყველი, თანახმად 9 ხმისა დაუჯდომელისა საგალობელთა და ესოდენისავე ხმისა ჰარაკლისისა საგალობელთა; დასასრული წიგნისა ჰწერს ესე: „ისაკ ხუცესმან სიონისა მივართვი წიგნი ესე მეფის-რძალსა მარიამს მეუღლესა პირმშოისა მეფის-ძისა გიორგისა. ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს. ქორონიკონსა 1783.“

მხატვრობანი მუნ მშვენიერად ნახატნი ოქროსა და ვერცხლისა ვარაყითა განაბრწყინებდენ თვით წიგნსა, სალოცავად მეფის რძლისათვის მომზადებულისა, დასასრულსავე წიგნისა ჰწერს ესე: „ღვთისა დედაო მადიდე სულით მხატვარი სახეთა შენთა ნიკოლოზ.“ — გამოვიძიე ვინაობა მხატვრისა ამის და ვჰსცან, რომელ იყო იგი თავადი ნიკოლოზ აფხაზი, კნიაზად ხმობილი, რუსეთისაც მეფი-

საგან სხვათა-თანა დესპანთა წარგზავნილი, მამა ბრძნისა და მხნე-ობითა გამოჩენილისა ღენერალ-მაიორისა ივან ნიკოლაიჩისა (გარ-დაცვალა ხოლერითა გროდნენის ღუბერნიასა მიმოვალი კნიაზისა პასკევიჩისა მიწოდებითა ვარშავას 1831 წელსა) და ორთა სხვათა ძმათა უშვილოდ ამოწყვეტილთა. ესე ნიკოლოზ მარხია სიონისა საკათედროსა ეკკლესიასა, ვითარცა მიამბო თვით შვილმან მისმან ივანე ნიკოლოზის ძემან, რომელმაცა პირველად გამამგზავრა რუსე-თად სწავლისათვის.

ხატი ესე აქვნდა მეფის-ძესა მიხაილსა; ხოლო დაუჯდომე-ლი იგი დედოფალსა მარიამსა, რომელმანცა თვით მიჩვენა მე მო-სვლას 1835 წელსა დაბრუნებულისა რუსეთიდამ საქართველოსა, მასვე დროსა მასთანავე გარდმოვსწერე ზედა წარწერა წიგნისა. ვის აქვნან აწ ესენი და რომელთა მემკვიდრეთაგანთა მისთა; არა ვუწყი. —

LVI

თბილელი მიტროპოლიტი გერმანე, მოხუცი და ღირსი კაცი აღზრდილი სიყრმიდგან იოანე მანგლელისაგან შეიქმნა ავად. მეფის-ძე გიორგი მიბრძანდა და ნახა მწოლარე სიკვდილისა საწოლსა. თა-ნა-ჰყვა მას იკონომოსი და დეკანოზი სიონისა ოსესი-ძე[14]). რომე-ლიცა მოხუცებისა გამო დაუძლურებისა თვით გერმანესსა, განაგებ-და ეპარხიასა მისსა. ნახვამან მეფის ძისა და საუბარმან მისმან წმინ-დათათვის ეკკლესიისა და თვით წმინდასა გერმანესა, რომლისაცა სახელად იწოდებოდა იგი, მიიყვანა სნეული ესრეთსა მდგომარეო-ბასა, რომელ შეიქმნა უკეთ და განმხნობილი იტყოდა: ბატონის-შვილო! სიტყვა თქვენი ზეცით მეტყველი, შემექმნა მე სამკურნა-ლოდ; ვხედავ თავსა ჩემსა, ცოდვილსა გვალად მისრულად სოფელსა

14) ოდესმე ოსეს შვილად წოდებული.

ამას, რათა სინანული ბრალთა ჩემთათვის განგრძელდეს და ვეღირ-სო დიდებასა მას ქრისტესსა, რომელსაცა თქვენ მომითხრობთ მე. ცოდვილითა ჩემითა პირითა, მადლობას მოგახსენებ და კურთხევას მოგართმევ: მადლი იესოსი, ყოვლისა ცოდვათაგან მხსნელისა, იყოს თქვენზედა და თქვენსა სახლზედ. ამინ, ამინ."

მეფის-ძემან იტირა, ემთხვია მოხუცისა ხელსა. დამწერე ჯვა-რი, ეკკლესიისა ქრისტესისა მწყემსო, ჰსთქვა მეფის-ძემან. მაშინ წარმოჰსთქვა: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისა-თა. მეორესა დღესა დილით წარუყვლინა კაცი მოკითხვისა; მოუვი-და პასუხად სრულიად უკეთესობისა მისისა და სიმრთელისა ამ-ბავი; განიხარა და კვალად წირვისა შემდგომად მიბრძანდა და წა-რიყვანა შვილი თვისი მიხაილ ჯერეთ ათამდინ წლისა. მოახ-სენეს გერმანეს მიბრძანება მეფის-ძისა და მეფის-ძის-ძისა; ად-გა თვით საწოლით და ქურქ-ჩოდებული, მიეგება სენაკისა კარ-სა. განკვირდა მეფე და მაღალის ხმით ბრძანა: კურთხეულ-არს ღმერთი მამათა ჩვენთა. (ესრეთი თქმა ხშირად იცოდა მე-ფის-ძემან ქრისტეს-მოყვარემან.) იოანე დეკანოზმან ჰასუხ უგო: მადლი უფლისა თანა უყოს მარადის მადლითა ქრისტესითა სავსე კაცსა. მაშინ მეფის-ძემან მიიყვანა შვილი თვისი მიხაილ და სთხოვა აკურთხოს იგი. გერმანემ დასდვა ხელი თავზედ და ოდესაც აღირებ-და კურთხევისა სიტყვისა წარმოთქმასა, უბრძანა მეფემან, მამამან დაიჩოქოს; მსწრაფლ დაიჩოქა და მაშინ ჰსთქვა: „წმინდამან სამება-მან გაკურთხოს შენ. მადლი უფლისა და ღვთისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყოს შენთანა. ჯვარი მისი საჭურველად გექმნას შენ: იხილვიდე კეთილსა მარადის ქრისტეს სიყვარულითა. დღე გრძელი მოგენიჭოს."—ესე ამბავი თვით მიხაილმა მიამბო ს. ჳ. ბ., ოდეს ვსადგურობდი მასთან 2 წელიწადსა (1843 და 1844) და იტყოდა ქრისტეს მოყვარე და მოხუცი 64 წლისა: „მე კიდევ ვიცოცხლებ: გერმანესაგან ღირსისა კაცისა, ვარ ნაკურთხი." მომაგონდა ესე მი-სი თქმულობა ოდეს წარვიკითხე წერილი მოწერილი ჩემდა გარდა-

ცვალებულისათვის მისაილისა, რომელსაცა აქვნდა 82 წელი 1861 წელსა, 21 აპრილს, და უმეტესად დღემდე კარ შეკრთომილი, ოდეს გამოვიძიე წერილიდგან; რომელ თვით გერმანეცა, მაკურთხებელი მისი, იყო 82 წლისა, გარდასრული ამიერ სოფლით სამყოფოსა საუკუნოსა.

## LVII

1778 წელსა წარვიდა ზაფხულისა თთვეთა თვეს ტრიალეთი-საკენ და აქედამ გარდავიდა 300 კაცითა, და დაიბანაკა თავფარავანის ტბის პირზედ. ჰსცნო ესე ფაშამან ახალქალაქისა, მივიდა და არ ეს-ტუმრა მეფის-ძესა გიორგისა. მე გიახლით გიმასპინძლოთ ჩემს ქვეყანასა, ჰრქვა ფაშამან. ესრეთ დიდისა პატივითა მიღებული გიორგი იყო წვეული თფკესა ერთსა თურქთა წესითა. თანა-ახლდა მას თავადი იოანე ანდრონიკა-შვილი, ეგნატე იოსელიანი, თურქის-ტანი-შვილი დავით, ბარათაშვილი ასლან და სხვანი. მღვდელნი ყოველ დღე სასახლისა ულოცავდენ ჩვეულებითა ცისკარსა და მწუხრსა და ოდესმე აღასრულებდენ წირვასაცა ნაკურთხსა კარავში, რომელსაცა არა მოიშორებდა თავისაგან გიორგი მოგზაურობისა დროსაცა. — ძველნი სამესხოისა ქართველნი დროთა ამათ გათათრებულნი ქალნი და კაცნი, — დიდისა ღმობიერებითა ისმენდნენ ლოცვასა და ვედრებასა სიტყვათა მათსა ენასა ზედა, მათგან არ დავიწყებულსა ვიდრე დღეინდელად დღედ. ერთი მათ შორის იპოებოდა უმაწვილი ლეკი, რომელსაცა მეფის-ძე უალერსებდა; მოახსენეს, რომელ არა უვის მას არცა მამა და არცა დედა და არს ობლად დარჩომილი და გამოიკვებებოდა ყამადლოდ სხვათაგან. მეფის-ძემან — ითხოვა იგი, მისცეს მას, უბოძა ცხენი და წამოიყვანა 10 წლისა თვისად. შემდეგ 20 წლისა მონათლეს იგი, იყო მიმქმელად თვით მეფის რძალი ელენე, მეუღლე მეფის-ძისა და მემკვიდრისა, და ჰსცხოვრებდა მასთან ს. ფ. ბ. და მუნ გარდაიცვალა 1845 წელსა დამტოვებელი

შვილთა. მას ერქვა სახელად სვიმონ. გვარი მისი არ მახსოვს. ესე მიამბო თვით მეფის ასულმან ელენე, ემბაზით მიმქმელმან ჩემმან 1809 წელსა, ოდეს მისულმან პირველად რუსეთსა, ვიხილე იგი 1831 წელსა,

თავფარავანით გადმოვლო მთა სატცაინო და მოვიდა ქართლსა; აქედამ შეიწყვია მროველმან ეპისკოპოსმან რუისისა; განვლო მტკვარი ტივით, დაჰყო მასთან სამი დღე. აქედამ ამილახვარმან ოთარ ისტუმრა ტივით ოთარ-შენსა, მისგან დაგვირგვინებულსა სოფელსა და სასახლესა. მოსრული გორს მანვე მიიწვია ამილახვარმან, ვითარცა გორის მოურავმან. აქედამ ღამისთევით განატარა გორის-ჯვრის ეკკლესიაში მწუხრი, ცისკარი და წირვა.—ამასვე დღესა დაწინდეს მისსა ქალსა ზედა მეფის-ძე თეიმურაზ, რომელსაცა არა ჰსურდა იგი ცოლად მიზეზისათვის მის, რომელ იყო პირველ დანიშნული მის ძმაზედ მემკვიდრეზედ დავით, რომელმანცა მამისა არა უთანხმოებით შეირთო ცოლად სომხეთა აზიმელიქის სვიმონის ქალი. შემდეგ ორის დღისა მთაზედ ყოფნისა, მეფე შეიქმნა ავად, და წარმოვიდა მუნითა არა ცხენით. დასვეს ტივზედ და ესე მოიყვანეს ქალაქს თბილისს. ტკბილია ტივზედ ჯდომა და სიარული მტკვრისა გზითა. კნიაზმან გიორგი გაგარინმან აწ ღოფმეისტერმან, მოინდომა წამოსვლა გორიდამ თბილისს და ვიარეთ ამ გზით მე და მან 1851 წელსა სეკდემბრის თთვეში.—დილით წამოსული მოვედით სა. გომს და მეორესა დღესა 8 რიცხვსა, ქალაქსა თბილისსა. ტივზედ მჯდომელნი თავისუფლად და დაუბრკოლებლივ ვიკითხავდით წიგნთა და ვსწერდით. ესე ჰქმნა მან, რათა შეაჩვიოს ქართველნი ტივითა ჩამოსვლასა ქართლით თბილისად, მსგავსითა მით. რომელ ტიროლში მდინარითა აზარ, მოვლენან ესრეთ ტივითავე მუნხენში. ესრეთმან მგზავრობამან მიჰსცა საგანი კომედიისა მწერალსა ანტონოვსა და დაჰსწერა ტივით სიარული. გ. კორანცოვმან, დამბადებელმან ქართულისა თეატრისა და დააჯილდოვა მწერალი და შვილო თვისად ყოველივე დასაბეჭდავად წასაგებელი.

## LVIII

ამბოხთა დიდთა დამაცხრომელი მეფე, არა დასცხრებოდა მო-წერ-მოწერითა ყოველგან. დესპანსა თვისსა თავადს გარსევან ჭავ-ჭავაძეს უბრძანა წერილითა აცნობებდეს მხოლოდ მას და არა სხვა-თა მოქმედებათა თვისთა რუსეთისა კარზედ. აჰა ერთი ესე წე-რილთაგანი საცნობელად რუსეთისა გარემოებათათვის სპარსეთისა მხრით.

„მის ბრწყინვალებასა თავადს, ჩვენს სარწმუნო მეგობარს.— რომლისაც ჩვენს საყულიერს სამეფო ტახტზედ ალყვედით, მაგათს დიდებულებასაც მოვახსენეთ და უგანათლებულეს კნიაზსაც [15]) და შენც მოგწერეთ და ბრწყინვალე გრაფს გუდოვიჩს გამოვუგზავნეთ ლინიაზედ, მარამ იქ აღარ ბრძანებულიყო და არ ვიცით ის წერი-ლები რა იქმნა და შემდგომად მისსა კვალად მაგათ დიდებულებასაც მოვახსენეთ და უგანათლებულესს კნიაზსაც და შენც მოგწერეთ და ჩვენს შვილს დავითთან გამოვაგზავნინეთ წიგნები და გზაზედ ა-სცდენოდათ ისიცა და არ ვიცი რა იქმნა [16]) ახლა ამას გწერთ კიდევ; და აქაური ამბავიც ასე ესცან, რომ ბაბახანის ბიძა სულეიმან სარ-დარი თავრიზს მოვიდა და თითონ ბაბახანიც წამოსულა ზემოთ ადრი-ბეჯანისაკენ და იმისი კაცით ჩვენთან გამოგზავნილი ნასახჩი-ბაში თბილისს ქალაქში მოვიდა და დღეს რომ ამ თვის კზ, კვი-რა დღე არის კაცნი გამოგზავნეთ, დავიბარეთ ქიზიყს, ჩვენც აქ ჩა-ვალთ და ვნახავთ ამას და რაც ამბავი იქმნება იმის სრულის ამბა-ვითაც და სხვა ამბავითაც შენს მოყვარეს კნიაზ ავალოვს [17]) გი-

---

[15]) ესე უგანათლებულესი უნდა იყოს, მგონი ბეზბოროდკო, კანცლერი.

[16]) დავით მემკვიდრე ლინიაზედ იყო ამ დროს სამსახურში.

[17]) ესე იყო თვით გიორგი ავალავი მოსკოვს გარდაცვლილი: დეი-

ორგის გამოვისტუმრებთ მსწრაფლის სიარულით და ყველას მაშინ ჰსცნობთ და თქვენი ღონის-ძიება რაც არის ახლავე უნდა ეცადოთ. გიორგი [18])."

## LIX

ჯერეთ მეფისა ირაკლისავე დროსა 1787 წელსა კათოლიკოსმან ანტონი მეორემან, რჩევითა და საზოგადოისა ბერთა და მღვდელთა თხოვითა, ინება შეგროვება, განხილვა და დამოწმება გრამატთა და ოქმებთა დაძველებულთა. ტრიფილე არხიმანდრიტი, ისაკ მწერალი და მწიგნობარი სიონის საკათედროისა თფილისის ტაძრისა, სოლომონ დეკანოზი ანჩისხატისა და ძმა მისი ალექსი დაინიშნენ განსახილველად მცხეთის ეკლესიისა გუჯრებისა. — ძველნი და დროთაგან გამქრალისა მელნითა ნაწერნი და ძნელად წარსაკითხნი შეწირულობათა ყმისა და მამულისა გუჯარნი, წარიკითხეს და გარდაწერეს კერძო-წიგნად ხუცურად, უმეტ-ნაკლებოდ და გარკვევით. კათოლიკოსმან ანტონი მიართვა ესე მამასა თვისსა და სთხოვა ინებოს და განსაახლებლად დაძველებულთა ასვას თვითეულსა სამეფო თვისი ბეჭედი. მეფემან ირაკლი, განმხილველმან წიგნისა ამის, არა ინება დამტკიცებას მათი ბეჭდითა თვისითა: მრავალი მათთაგანთა გუჯრებთა ყმანი და მამულნი დროთა დროთ ანუ იყვნენ სხვათადმი გარდაცემულნი, ანუ სრულიად დაკარგულნი და სხვათა მფლობელობაში შესულნი. ხოლო სხვანი საეჭოდ და სადაოდ მისაღებელნი. დასაცხრომელად კათოლიკოზისა თხოვათა, ბრძანა სახალხოდ და ყოველთათვის გასაგონად: როგორც ყორანსა არ დავამტკიცებ, ისე

---

სტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ჩინითა, და ცოლის ძმა გარსევან ჭავჭავაძისა.

[18]) ნამდვილსა ამას მეფის ქაღალდსა არ ჰქონდა რიცხვი წლისა და თვისა. მხოლოდ ჭავჭავაძის ხელითა არის დანიშნული რიცხვი დროისა, ოდეს მისვლია მას პეტერბურღს ე. ი. 5 აგვისტოს, 1798 წელსა.

ამათ ბეჭედს ჩემს არ დავასვამო, ესრეთ დაშთა წიგნი ესე მიუღებელად და შეუწყნარებლად, რომელსაცა უწოდეს სახელად და დღესაც ეწოდების: „რაორტაგი“ [19]) კათოლიკოსმან ანტონი განუმეორა თხოვნა ესე მეფესა გიორგის ძმასა თვისსა. მეფემან უბრძანა დაუმატოს მას წიგნი იგი წარსაკითხავად. მამა-ჩემი ეგნატი, მიწოდებული მეფისაგან, სამსა დღესა უკითხავდა მას და დიდის ყურისგდებითა მოისმენდა ძველთა წერილთა. 300-მდე მათგანი წარუკითხა მეფეს და ბრძანა: „მიერთოს ბატონს კათოლიკოზსა და მოხსენდეს, რომ კურთხეულისა მამისა ჩემისა სწორე ჭაზრსა ამა წიგნზედ მე ვერ შევსცვალი და ნურცა ეწყინება, რომ ბეჭედს ჩემსა ვერ იხილვენ წიგნისა ამისა მუხლნი. ესრეთ დაბოლოვდა მეცადინება კეთილი თავით თვისით კათოლიკოზისა, შეკრებისათვის ერთად გრამატთა და გუჯართა, გარნა უაზრო და სავანოდ მართა დაავათ გამო, რომელნიცა აღდგებოდენ, უკეთუ დამტკიცდებოდა წიგნი ესე.

## LX.

მასვე დროსა კათოლიკოზსა უნებდა საკათოლიკოზოისა მცხეთის პალატისა განახლება და ოდეს გამოსთხოვდა მისთვის ნებასა და ბრძანებასა, მეფემან უბრძანა აშენდეს სახლი მეორისა შესავალისა დიდსა კართან, დაჭშთესო შეუსებელად ძველთა მეფეთაცა და კათოლიკოსთაცა პალატნი დაქცეულნი: ვეცდებიო, ბრძანა მეფემან, ორივე ერთად და ერთს დროსა განვაახლო ეგრეთ, ვითარცა იყვნენო.

მაშინ კათოლიკოსმან ანტონი აღაშენა თვისად სახლი აგურითა ქვით-კირისა, რომელიცა დღესა ჰგიეს; ხოლო პალატნი სამეფონი და საკათოლიკოსონი დაჰშთენ განუახლებელად გარდაცვალებისა გამო მეფისა. შენობანი ესენი თლილისა ქვითა ნაგებნი წინათ აღე-

---

[19]) სომხურის ენის ლექსითა.

ქსანდრე მეფისა, მცხეთის განმაახლებელისა დაჳსცა სრულიად, ექ-სარხოსად ყოფილმან და აწ პეტრბურღისა მიტროპოლიტად ისი-დორემან. მათთან იყო მარანი ჩაკირულისა ქვევრებითა მიდგმულთა. ამათგანიცა რომელიმე ამოიღეს და გარდიტანეს, რომელნიმე დაამ-ტვრიეს და რომელნიმე დაშთენ მიწასა. სასახლეთა ადგილი შემატა გალავანსა და თვით კედელნი წინა პირნი ქვით ნაშენნი, დაშთენ ზღუდედ გალავანისა: მოუდგეს მხოლოდ თავთა მათთა რიყის ქვი-თა ნაშენთა სათოფურნი, ვითარცა აქვნდათ სხვათაცა ზღუდეთა. რად არა ვსთქვა თვისსა დროსა ესე? მოვახსენე 1858 წელსა არა ერთ გზის და მერეც შფოთითაცა მას, ისტორიისა და ქვეყნისა სი-ძველეთა უმეცარსა და არა მიიღო აზრი ჩემი. იყო კაცი თჳთ-ნება და იდუმალ არა მოყვარე ქართველთა პირმოთნე დროებმდე და მე-ქონი თვისებათა მათ, რომლითაც ხტყვიან ქოსათათვის: იყო ქო-სა.

ესრეთ მიეფარა პალატთა მათ კვალი სიძველისა მხოლოდ ერ-თისა კუთხისა დასავლეთისა მხარეს, ფასადი დანაშთენი ზედ წარ-წერილებით ხუცურად, რომელსა შინა მოიხსენების ქრისტეფორე კათოლიკოსი, გამოხატა და დასტამბა ფრანცუზთა მოგზაურმან დიუ-ბოამან. ამან კაცმან, მოსრულმან შორით, ვითარცა სამარიტელმან, გამოხატვითა ამით, დაიცვა დაუკარგველობა შემდეგთა ჟამთათვის საკათალიკოზოისა პალატისა, დანაშთენისა მცირედისა ზემოისა სა-დგომისა ფანჯრისა მშვენიერად ნაკვეთისა, და ექმნა მოწამედ სი-ტყვასა ჩემსა მოკლეს პალატისათვის ძველისა მცხეთისა.

## LXI

1798 წელსა უბრძანა შვილსა თვისსა ბაგრატს ისადგუროს თელავს და აქედამ განაგებდეს ზემო კახეთისა საქმეთა; მიანდო მას მასვე დროსა გამაგრება ციხისა შილდისა, ლალის ყურისა და სხვა-თა ლეკთათვის დაღესტანით გამოსვლელთა ხურობათა, წარუვლინა

ამისთვის მან 600 ლიტრა თოფის წამალი და ჩამოსხმული სათოფე და სადამბაჩე ტყვია 300 ლიტრა. ოქმით მიწერილითა მისდა მეფისაგან, მიეცა მეფის-ძეს ბაგრატს სრული ნება თავადთა ურჩთა შეპყრობისა და უკეთუ არ დამორჩილდეს ვინმე და შეეხიზნოს ლეკთა, ვითარცა ორგულსა მოექცეს:—ესრეთმან ბრძანებამან ძლიერმა მეფისა, დაუმორჩილნა ძლიერნი, გამოცხადებულნი მტერნი; ვერცა ერთმან თავადთაგან ვერ ჰბედა მიდგომა მეფის ძმათა განზრახვათა, მოსურნეთა რათა აუშფოთონ თავადნი მეფესა.—მეფისა ბრძანებითა, თვით ყოველ, მოხსენდებოდა მისგან მდგომარეობა კახეთისა დაწვრილებით საქმეთა; ვითარცა ლეკთა მისთა, ეგრეთვე თავადთა გამო, რომელთაცა ჰგონებდა არა სრულიად ერთგულად.

ქალაქთური, გამოგზავნილი თელავს მეფისაგან, ჰმოძღვრიდა ეპისკოპოსთა და წინამძღვართა სიფრთხილით ყოფნასა; თავადთა და სოფლისა მოთავეთა კაცთა მშვიდობით ყოფნასა და არა გარევასა არა რომელსამე მეფისა წინააღმდეგსა საქმესა.

ესრეთ ძმათა მეფისა, კახეთისა თავადთა თანა მოყვრობითა დაკავშირებულთა, ვერ ჰპოვეს ვერც ერთი თვისისა ჰაზრისა კაცი დიდად მრიდებელი თვით საუბრისაგანაცა მეფესა ზედა და მისსა განმგეობასა ზედა.

## LXII

### დროთა ამათ თელავსავე ყოფნისა მეფემან გიორგიმ მისწერა გარსევანს შემდეგი წერილი.

„ბრწყინვალეო თავადო, მანდატურთ უხუცესო გარსევან!

„ამას წინათ ერთი ჩვენი ყმა მოქალაქე ილასკარ ასტრახანს მომკვდარა და იმას ასტრახანში ერთი ქარვასლა და ზოგიერთი რამ საქონელი დარჩომია და იმას თავის მემკვიდრე ჰყავს და არც კურთხეულმან მეფემ მამა ჩვენმა ინება მისის მემკვიდრისაგან გამორთ-

მეფა და ახლა ამა საქმეზედ მისს მაღალ-მსვლელობას ღენერალ მაიორს სერგეი ლაზარიჩსაც მოვსწერეთ და შენც ამა საქმეზედ მეჯითად გაისარჯე, რომ ერთი ბრძანება მოსწერითო ასტრახანში; ის ქარვასლა და მისი საქონელიც სრულიად იმას მიაბარონ, რომ როდესაც იმისი მემკვიდრე გამოვგზავნოთ; ამაზედ შენს გარჯას ნუ დააყენებ და ასრე აღასრულე და შემდგომად შენსა ამბავს და წიგნს ნუ დაგვაკლებ.

სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი.

წელსა ჩღჟ აგვისტოს ლ.

თელავს.

## LXIII

გამეფობისა შემდგომად მეფესა მოერთვა წერილი რუსეთით გარსევან ჭავჭავაძისა. წერილითა ამით აცნობებს სამეფოისა რეგალიითა წარმოვლენასა იმპერატორისა პავლესაგან. მაშინ მეფემან მისწერა მას გარსევანს თელავიდამ შემდეგი წერილი:

„ბრწყინვალეო თავადო მანდატურთ უხუცეს გარსევან!

„შენის ბრწყინვალებისაგან მოწერილი წიგნი მოგვივიდა და რომელიც უმაღლესის კარიდამ ჩვენზედ მოსასვლელი მოწყალება გიბრძანებდა, ყოველივე შენის წერილით გვცანით და შემდგომი რაც მაგათის დიდებულების წინაშე ჩვენი მოხსენება არის, ყოველივე წერილით მოგვიხსენებია და თვისაც თვითეულად მოგვიწერია და რომელიც შენს წინაპართა და შენს აქამომდე ნამსახურობასა და ერთგულობასა შეეფერებოდეს, ყოველს საქმეზედ ასე გაისარჯე ჩვენთვის და ქვეყნისა ჩვენისათვის და მოიმედენიც ასე ვართ, რომ რასაც აქამომდე გარჯილხართ ჩვენის ერთგულობისა და შენის მშობლის ქვეყნისათვის, ახლა ერთისა წილ ათას წილ გაირჯები. ვიცით, რომ ყოვლის სასიკეთოსა და ჩვენისა და ჩვენის ქვეყნის წარ-

სამატებელს საქმეს ეცდებით; ამაზედ ჩვენგან გახსმობა აღარ გეჭირება და ახლა შენ იცი, როგორც ყოვლის საქმის ადრე და მალე დაუყოვნებლად სისრულეს ეცდები და ყოველსავე საქმისა სრულსა პასუხსა ადრე გვაცნობებ და შემდგომად ყოვლისავე შენის მშვიდობის ამბავსაც.

მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი.[20])

ოკტომბრის ია, წელსა ჩღჟ.

თელავს.

## LXIV

1800 წელს ჩამოვიდა დაღესტნიდამ ნურ მაჰმად 2000 კაცითა — მარტყოფის მთის ხეობითა, განვლო საგურამო, გავიდა არაგვის და შევიდა ტირიფონისა გზითა ქართლსა და დაეცა სოფელსა საქაშეთსა ძილით წირვის ჟამსა კვირა დღეს. მებატონენი სოფლისა ამის თავადნი დიასამიძენი და გლეხნი, მტრის მოულოდებელნი იყვნენ ეკკლესიაში. ესრეთითა დაცემითა წარიტაცეს ტყვენი კაცნი და ქალნი და მათთან ცოლი დიმიტრისა და დიასამიძისა თინათინ, შემდეგ იყო ესე ცოლი მუხრანის-ბატონისა ბაგრატისა და დედა ქაიხოსროსი გარდაცვალებულისა 1862 წელსა, — ბარბარე ხმილასხვრის გიორგის ცოლი და მღვდელი ილარიონ. — პურითა, ქრითა, ერბოთი და საგზლით აღჭურვებული ნურ მაჰმად წარვიდა და დადგა მტკვრისა პირსა დოღალაურისა ფოლოს. მდევარი ქართველი წინ დაუხვდა და შეაყენა. 300 კაცი, რუსთა ჯარისა ქვევითისა, სურამს მყოფი, გამოუდგა და მისცეს ცეცხლი; — მრავალი დახოცეს, ტყვენი გამოიხსნეს და მრავლად იგდეს თოფი და ხმალი; — თვით მღვდელი ილარიონ ლეკისა ცხენისა და თოფის მშოვნელი უკუ იქცა თო-

[20]) ესე ნამდვილი წერილი აქვს დღეს უგანათლებულესსა კნიაზს ირაკლის მეფის-ძის ალექსანდრეს შვილს.

თჳისსა ბინაზედ. ლეკი, რომელსა ჰუჯეგ ზურგით ცხენსა, იტყო-და ილარიონ, მოკლა შტიკით სალდათმან მას დროსა, როდესაც შე-ხვდო ცხენი მტკვარსა. ცხენი შედგა, ლეკი წყალმა წაიღო და ამოიღო თოფი ლეკისა და მომცა მე.—მივარდა მხიარულმან ხელ-თა საკოცნელად, გარნა სალდათმა არ მიმიშვა და გამაგონა ლეკისა ცხენითა და თოფითა წასვლა შინა სახლად ჩემდა.

## LXV

იტყოდა ილარიონ, დროთა ამათ მხნე იყო სალდათი რუსი-სათ, უშიშარი მტრისა; მცირედითა რიცხვითა ადვილ დამამარცხე-ბელი მრავალთა. გუნდთა და წესდებით მისრული მტერზედ, დაჰცემ-და ზარსა თჳით უმხნესთა და გულოვანთა გუნდთა. დიდად პატივს ჰსცემდნენ სალდათნი და აფიცარნი მათნი ქართველთა ვაჟკაცობისა-თვის. თუმცა მცირედნი იქმნებოდნენ ქართველნი მტერთა ოსრები-სა გამო ქვეყნისა, გარნა გმირულად იბრძოდენ და უხაროდათ რუს-თა ჯართა, ოდეს გვერდით მარჯვნივ და მარცხნივ მიუძღოდენ მას. ერთი იყო დევნა მტერთაგან ქრისტეს სახელისა ქართველთა ქვეყ-ნისა, რომელსაცა უწოდებდა მამა ჩემი ეგნატი, ქალაქად ღვთისა გა-რემოდ ზღვისა ქრისტესისა სახელითა, დაფუძნებულსა კლდესა ზე-და, ვითარ შერყეოდა მას მტერი? მცველნი ზღვისა ამის იქმნენ მართლ-მადიდებელნი ქართველნი და ერთ სარწმუნოებისა მათისა რუსნი, მოსრულნი ჩრდილოეთით დასაცველად სამხრეთისა, სადაცა ჰყვავობდა სე იგი მართმადიდებლობისა, დანერგული ძველადვე. მო-ნასტერნი ქართველთა ვითარცა სასწავლებელნი, მოჰფენდნენ ჰსწავ-ლისა ნათელსა, მისცემდენ სათნოებათა ნაყოფსა, სიმშვიდესა, სი-წმიდესა, მტერთა სიყვარულსა; ყოვლად სამეფო ქართველთა ვითარ-ცა მაბრძოლი სარწმუნოებისათჳს და ქვეყნისათვის ქრისტეს მოსა-ხელისა თჳით უდაბნოსა შინა ჰპოებდა ვაჟკაცთა მწერლობითა, რჩე-ვითა, გმირთა გონებითა და ხმლითა, გვარითა და ტომობითა, გან-

ვლეს საუკუნეთა და გამოიცადნეს მხნეობა მტერთა თანა მარადის ბრძოლთა. ვინ იყო მეუდაბნოეთაგანი დიდი ანუ მცირე, რომელსაცა არა ჰყოლოდა მოკლული სარწმუნოებისათვის მახლობელი? მოწამეობისა გჳრგჳნი განაშვენებდენ მამა-პაპის სახლთა მათთა, სისხლი დანთხეული მათთა ძმათა, მამათა და დედათა, შვილთა და რძალთა, ვითარცა აიაზმა ესხურებოდა მინდორთა და მთათა მათთა. ესრეთ ძვალთა ზედა წამებულთა, ვითარცა ეკკლესიათა ზედა სადგურობდენ თვითოეულნი. ესე არის მიზეზი; რომელ ღმერთმან დაიცვა ქვეყანა დაღუპვისაგან, მოკლენითა დროთა ამათ უკანასკნელთა რუსთა ჯვარითა ერთ მორწმუნისა და მეფისა გიორგისა ყოვლად მორწმუნისა, რათა ხელითა მისითა წმინდითა გარდაჰხსცემს მოწამეთა სისხლითა განწმენდილი სამეფო და ერი თჳსი შემდეგთა დროთათვის.—აქა ვიტყვი თქმულსა სიტყვასა სომხეთა კათოლიკოზისა ნერსესისა. 1809 წელსა, მივიდა იგი ვითარცა არხიეპისკოპოსი სომხეთა საქართველოსა შინა განთესილთა და ისტუმრა ელისბარმან ერისთვის შვილმან ყულარ აღასმან. შეჰსჩივლა ამან მას მდგომარეობა თჳსი ჩამორთმევისა გამო საერისთაოსი ქსნისა მეფისა ირაკლისაგან და შემდეგ რუსთა მთავრობისაგანაც. საქებელად სახლისა თჳსისა მიუთხრა ნერსესს გმირობა და მხნეობა მრავალთა და სამსახური მათი საქვეყნოდ და დანთხეულ სისხლისა მეფეთათვის და მოუთხრა ამბავი ოსითა ერისთავსა სასახლისა მოწამეთა შალვასა და ელისბარისა, რომელნიცა აღიარა ეკკლესიამან მოწამედ, დაუნიშნა დღე დღესასწაულად და მარხიან იკორთისა მონასტერსა. ნერსესმან მცნობელმან ერეთისა მოთხრობისა, უპასუხა ელიაზარსა: ნუ გეშინის წამებულთა გამო არ მოგეღებათ ქსანი და ქვეყანა თქვენი. ამიერიდგან იყვენით დარწმუნებულნი, რომელ თქვენია პირა მამა-პაპისა, იტყვის წინასწარმეტყველი: ღმერთმან გარდამოიხილა ზეციით და იხილა ძენი მოკლულთანი.—და სხვასა ადგილსა იტყვის: არა ვიხილე მართალი დაგდებული არცა შვილი მისი მთხოველ პურისა.

## LXVI

შემდგომად სამისა თთვისსა ნურ-მაჰმად გამოვიდა ახალციხიდამ, განვლო მტკვარსა კასპიის სოფლის პირდაპირ. მდევარი საკმაო ვერ შეკრიბეს ქართველთა; ამისთვის უშიშრად მთა-მთა მავალი მუხრანის გვერდზედ მივიდა საგურამოს და აქედამ აპირებდა დაღესტანში მისვლას. აცნობეს კახთა და დევნა უყვეს ცხენოსანითა ჯარითა. 1200 ქართველი დაუხვდა ივრისა პირსა და მეტად მამაცად მოექცნენ ქართველნი, დაავრევინეს ტყვეები, დაუხოცეს ცხენები და მოკლეს 64 ლეკი. თვით ნურ-მაჰმად გადარჩა და გაქცეული სირცხვილეული შევიდა დაღესტანსა და ამიერითგან ველარ ბედავდა მოსვლას და არცა ლეკები უჯერებდენ. მეფის-ძე მირიან, ძმა გიორგი მეფისა იყო თავად და წინამძღვრად ქართველთ მდევარისა. მეტყოდა თვით მირიან, „ასამდინ თოფი ლეკისა კაშოვნინე ქართველთაო. 30 სპილენძის ალთაფა მარტყოფელთა წაიღესო, დიდი დავლა გვქონდაო და დიდი მხიარულება გავწიეთ მარტყოფშიაო, ორი კაცი მოგვიკლეს და ექვსნი დაიჭრნენო მსუბუქად; მეტათ ქალაჩუნათ იყვნენ ლეკნიო."

ოდეს მოხსენდა მეფესა გამარჯვება ესე, მასვე დღესა მივიდა კაცი ქართლიდამ და მოახსენეს სხვაცა დამარცხება ლეკისა. 300 ლეკი, ახალციხიდამ მოსრული მთა-მთა, დაეცა ქართლში სოფელს ნახისა. მეფის-ძემან იოანე, დროსა ამას მუნ მყოფმან, ჰსდევნა. მოეწია საციციანოს ხეობაში ხვედურეთისა ახლოს, და მძინარეთა შემოერტყა. იპრიანა ღმერთმანო,—და ასი ლეკი წაგვივიდაო: სხვანი დაიყლიტენო,—მიამბო ესე მეფის ასულის მარიამის შვილმან თავადმან ნიკოლოზ ციციშვილმან, თვით სოფლის ქართლისა მებატონემან და აწ არღა ცოცხალმან.

ძმათაგან და გარეთა მტერთაგან შეწუხებული მეფე არცა ჰხე-დავდა ქვეყანასა მტკიცედ დაშინაკებულად. ამისთვის მოინდომა და თუმცა დიდის ღელვითა, გარნა გაბედა და მისწერა დესპანთა თვის-თა, რუსეთისაგან განმზადებულთა შემდგომი წერილითი დარიგება და ჰაზრი თვისი უკანასკნელი და გარდაწყვეტილებითი:

„წელსა ჩღყთ, სეკტემბრის ზ ჩვენ მიერ მიცემულნი მათისა იმპერატორების დიდებულების წინაშე წარსაყენებელნი ჰაზრნი მოხ-სენებანი, რომელიცა ჩვენგან წარგლინებულთა ჩვენს ერთგულთა ყმა-თა უფალთა დესპანთა მოგეცათ:

„უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელონი ჩემი უზა-კველითა და ქრისტიანებრითა ჭეშმარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუ-სეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულს ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერიდგან დაიდვას სამეფო ქარ-თლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისა და წესითა მით, ვითარცა სხვა-ნი იგი რუსეთის შინა პყრობილი პროვინციანი ჰსარგებლობენ.

შემდგომად მსხვერპლებისა ყოვლად უმდაბლესად წარუდგინეთ იმპერატორსა დიდსა რუსეთისასა, რათა ჟამსა მისგან საქართველო-სა სრულსა ძალსა და ნებასა შინა თვისსა მიღებისასა განამხნოს პუნკტრა ამას შინა თხოვილი ჩემის ყოვლად უმოწყალესითა აღ-თქმითა წერილითა ვითარმედ სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ ამეფოს მემკვიდრითი მემკვიდრე ვითარცა წი-ნაპარნი ჩემნი.

ისეთივე ითხოვეთ ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისაგან ყოვლად უმდაბლესად თქვენ მიერ მირთმეულითა წერილითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა შინა საშესაბამო აგარაკნი ჩემთვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ, რომლისაცა ბოძება იქმნების ჩემთვის უმწვერვალესის შეკრულობის ნიშნად.

ეგრეთვე ითხოვეთ ჯამაგირისაცა ჩვენთვის, საშესაბამოსა ხმითა, უკეთუ ჰაზრი ესე არ მიღებულ იქმნას, მაშინ ყოველი დამოკიდებულება ჩვენი იქმნების დახსნილი თვინიერ ურთიერთისადმი შეზობლურისა ქცევისა. მეფე სრულიად საქართველოსი გიორგი. [21])

წერილისა ამის ძალითა იმპერატორმან პავლემ დაუნიშნა მეფეთა და მეფის-ძეთა სოფელნი და ყმანი და მამულნი რუსეთისა გუბერნიათა შინა. თვით დესპანსა გარსევან ჭავჭავაძესაცა უბოძა მამულები. გარნა აქტი ესრეთი ხელმოწერილი თვით იმპერატორისაგან არ აღასრულა და არც ბოძებამან ამან მიიღო ძალი აღსრულებისა, გარდაცვალებისა გამო თვით იმპერატორისა. ესე მიამბეს შვილმან გარსევანისა ღენერალ ლეიტენანტმან ალექსანდრე ჭავჭავაძემან და მეფის ძეთა.

დიდად ჰსწყალობდა ქართველთა იმპერატორი პავლე. აქა თბილისის არხივში მინახავს მისგან კნორინგთან მთავარმართებელთან მოწერილი წერილი ნამდვილი, რომლითაცა უბრძანებს წარუდგინოს სია დიდთა ქართველთა გვამთა დ~ ღირსთა რათა უბოძოს მათ ღრაფობა, ბარონობა და რომელთამე ორდენიცა ანდრიისა.

## LXVIII

დესპანთა ამათ მეცადინებითა შეჰსდგა და დამტკიცდა ტრაკტატი მიღებული იმპერატორისა პავლესაგან.

---

[21]) თვით ნამდვილზედ არის მოწერილი მეფისავე ხელითა: თ ა ვ ა დ ს გ ა რ ს ე ვ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს, დესპანნი ამა წერილისა აღმასრულებელნი

აქა თვით აზრნი და მუხლნი ტრაკტატისა ამის, რომელიცა იპოვება დაბეჭდილსა ფრანციზულად წიგნსა შინა როტიერსა.

1799 წელსა, 23 ნოემბერსა, შედგა ახალი ტრაქტატი შორის პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფისა შემდეგი:

1.

მისი დიდებულება იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა მიიღებს ტიტულსა „მეფე საქართველოისა და შემდეგნი მისნი და მემკვიდრენი“ —

2.

ძე მეფისა გიორგისა დავით ტიტულსა „განმგე საქართველოისა“ და გარდავალს ესე შთამამავლობით პირმშოდამ პირმშომდის.

3.

საქართველოისა ერი და მუნ მსახლობელნი 12 წლისა განგრძნობასა, არ გაიღიბებენ არა რა ხარჯსა, რათა დაეწყვნენ თვისსა მდგომარეობასა შემდეგ ესოდენთა ბრძოლათა. განმგე საქართველოისა მიიღებს რუსეთიდამ 12 წელსა მისთვის და სამეფოისა სახლისა წესთათვის 20,000 თუმანს (200,000).

4.

მადანი ოქროსი და ვერცხლისა ახტალას და მისხანს (მიშხანს), შევა რუსთა განმგებაში და იმითი აივსება ზემო თქმული ჯამი ფულისა.

---

იყვნენ: თავადნი გარსევან ჭავჭავაძე, ელიაზარ ფალავანდი-შვილი და გიორგი ავალოვი.

ელიაზარ ძე იესესი იყო სტატსკი სოვეტნიკი, მოკვდა 65 წელსა უშვილოდ თბილისს 1821 წელსა და დასაფლავდა ქაშვეთის ეკლესიასა, ღენერალი ერმალოვი იტყოდა მისთვის Его портретъ нада посадить въ золотую раму. Онъ былъ человѣкъ рѣдкихъ достоинствъ.

5.

6,000 რუსისა ქვეითი ჯარი სრულის კომპლექტითა იდგება საქართველოში. ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად ამა ქვეითისა ჯარისათვის.

6.

ქართველნი შეაგროვებენ ჯარსა ესოდენსა, რაოდენიც საჭირო იქმნების დასაცველად სამზღვრებისა.

7.

რუსნი წარგზავნიან ინჟინერთა თვისთა აღსაშენებლად და განსაახლებლად ციხეთა მათ ადგილთა ზედა, სადაცა დაინახვება საჭიროდ.

8.

ფულსა, მოჭრილსა თბილისში იქმნება ერთის მხარეს ღერბი რუსეთისა და მეორეს საქართველოისა.

9.

საზრდო რუსეთისა ჯარისათვის მიიყიდების იმავე ფასითა, რომელიცა იქმნება დანიშნული ადგილობრივთა მცხოვრებთათვის.

10.

როდესაც მოხდება აღწერა ხალხისა, უნდა იქმნას კომლეულად და არა თვითო სულად [22]). რუსეთისა მხრით, როსტომ ჩინაღრაძე.

საქართველოისა მხრით ავალოვი, ფალავანდოვი.

---

[22]) წიგნი დაბადებისა, პირველი ნეშტთა თავი 21. მეორე მეფეთა თავი 24. ქართველთა მეფენი მოშიშნი ღვთისა ბრძანებისა, ერიდებოდნენ სულობით მცხოვრებთა აღწერასა.

## LXIX

ტრაქტატსა ამას შეუდგნენ განმარტებაებები ვრცლად, რომელთაცა ეწოდება დიპლომატიისა ევროპისა ენითა ნოტანი და დაიწერა ესენი თვით დესპანთაგან, შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა გიორგისა. აჰა თვით ნოტანი ესე ნამდვილნი:

1

პყრობილებისამებრ ჰაზრისა პირველისა მის პუნკტისა, რომელიცა მოცემულ იქმნა ჩვენგან ვიდრე სიკვდილამდე მისისა სიმაღლისა მეფისა საქართველოისა ხელმწიფისა ჩვენისა სახელითავე მისითა მაღლისა მინისტრისადმი, რომელიცა ბრძანებისამებრ მისისა[23]) იმპერატორობისა დიდებულებისაგან წარგზავნილ იქმნა საქართველოსა შინა წერილებითა. ამისთვის გვაქვს ჩვენ პატივად ქვეშევრდომობით მოხსენება ამისა, რომელ დიდ შემძლებელნი საქართველოისანი სამღვდელონი და სეროანი ერნი, ყოველნივე მოსწრაფე არიან და სურსთ ყოფად ერთა ამითა მოქმედებითა სამარადისოსა შინა მონებასა მაღალ განდიდებულისა იმპერიისა რუსეთისასა, და შეკრულ-ჰყოფენ თავსა თჳსსა ამით; რომელ წმინდათა აღასრულონ ყოველივე იგი, რაიკესაცა აღასრულებენ მონანი მისნი, და არა უარ-ჰყონ არა რომელიმე სჯული, და ბრძანება რაოდენცა სამეფოსა მისგან იქმნების შესაძლო, და მცნობელცა იყვნენ ყოვლისა რუსეთისა იმპერატორისა თჳსად მთამომავლობითად ხელმწიფედ, და თვით მპყრობელად; და ესრეთ ვინაიდგან ზემო დანიშნულნი ნოტანი იგი, და სხვანიცა პუნკტნი ყოველნი მისის იმპერატორობისა დიდებულებისაგან პირველვე მაღალ-მნებებელობით განხილულ იქმნა, და სამეფო იგი საუკუნო ჟამობით მონად ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროს ტახტისად მიღებულ-იქმნა, ამისთვის ამის შედგომილებისამებრ

[23]) აქა თვით ჭავჭავაძეს დაურთავს ლექსი: ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი ს ა.

ყოვლად უმონებრივერად ვითხოვთ მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩვენისაგან, რათა დამტკიცებულ-ჰყოს მიღება სამეფოსა მის დღესასწაულობითითა დამტკიცებითა ორითავე მხრით საიმპერატოროსა აკტსა შინა, რომელსაცა შინა ყამსა იქმნენ იგინი იმედოვანად ამისა, რომელ ვითარცა თვით ეგრეთვე შემდგომნი ამისნი მემკვიდრენი ჰპყრობენ მათ მარადის მამობრივის კეთილ-მხედველობასა შინა, და საკუთრად იქმნებიანცა მღვწელ კეთილ-დღეობათათვის მათ ერთსა, რომელთაცა ნებით თვისით მისცეს თავი თვისი საუკუნოსა მონებასა, და ესრეთვე მიენიჭოსთ მათ ყოველივე წესი, სარგებლობა და ჩინებულება ესე ვითარი, რომლითაცა ძველნი ყმანი მისის იმპერატორებისა დიდებულებისანი სარგებლობენ, და დაუცველ იქმნას, ვითარცა სამეფო, ეგრეთვე სამზღვარნი მისნი ყოველთა მეზობელთა მათ მტერთ თავ-დასხმისაგან, და ვნებისა, და ყოველთა მათთა წინააღმდგომობათაგან და განუწესებს ყოველსა მას მსახურებასა ესე გვარსა, რომელსაცა შემძლებელიიქმნენ ახლისამებრ მონებისა თვისისა ტვირთვად, დაცვად და აღსრულებად.

2

პუნკტსა ამას შინა კვალადცა აწ დამტკიცებულ ვჰყოფთ, და ყოვლითურთ განვრცელებით მივიღებთ ამას, რომელ რომელიცა კეთილ-ნებებულ იქმნას მისის იმპერატორებითის დიდებულებისაგან, და დანიშნულ მმართველად საქართველოსა სამეფოსად ერთად რომელიმე მეფის-ძეთაგანი, იგი იწოდებოდეს იმპერატორისა მოადგილედ[23]), და იხსენიებოდეს მეფედ საქართველოსად, და მიეცეს მას

[24]) თანახმად ტრაქტატისა, და წერილისაცა მეფისა გიორგისა, დესპანთადმი მიწერისა: რ ა თ ა ს ა ხ ლ ს ა შ ი ნ ა ჩ ე მ ს ა ა რ ა ა ღ ა ყ ე ნ ო ს მ ე ფ ო ბ ა. ე. ი. რათა არა გაუქმდეს მეფობა ანუ მოადგილეობა ხელმწიფე იმპერატორისა მეფეთა გვარშია; ესე უნებდა ამა წესითა ვითარცა ძველადცა იწოდებოდა საქართველო ვ ა ლ ი ს ტ ა ნ ა დ ს პ ა რ ს თ ა ყ ა ე ნ ე ბ ი ს ა და თვით მეფესა საქართველოისას უწოდებდენ ყაენნი ვ ა ლ ი გ უ რ ჯ ი ს ტ ა ნ ი ს ა.

თანაშემწედ მარადის მუნ მყოფად ერთი, რომელიმე დიდის რუსეთის დიდ-შემძლებელთაგანი, რათა მან მმართველობასა შინა მისსა განუ-მარტოს მას მისდამი მიცემული იმპერატორებითნი ჰსჯულნი ბრძანებანი, და სხვანიცა ესე გვარნი, და რათა თვინიერ თანახმობისა მისისა, მან იმპერატორის მოადგილემან, და მუნ მეფედ წოდებულ-მან არა რომელითამე სახითა თვით თავით თჳსით-არა კადნიერ იქმნეს განწესებად რომელისამე ჰსჯულისა, ბრძანებისა და რიგთა. და რათა არა მოაწეროს ხელი მან მხოლოდ თვინიერ ხელმოწერისა მისდამი განწესებულისა მის თანაშემწისა, ამისთვის ჯერ-არს რათა თვითოეულთა მათ ბრძანებათა ანუ თუ განწესებასა ზედა სჯულიერისა ძალისა მქონთასა პირველად მოაწეროს ხელი დიდის რუსეთის დიდ-შემძლებელმან. მან, რომელმანვე დაიგდოს ზემორე ადგილი ხელ-მოწერისათვის მეფისა მის, და ამას მოხსენებასა ვიკადნიერებთ ყოვლად უმონებრივეთითა სახითა—ამისთვის, რომელ პირველსა ამას შეხდომილებასა შინა მიუცილებლად საჭირო არს, რათა ამით გან-მხიარულებულ, და განმხნობილ-იქმნენ ერნი იგი, ვიდრე პირველ განჩვევამდე. და ამას მეფესა აქვნდეს მხოლოდ სახელი მეფობისა, და სხვებრ ყოველსა ჩვენ, ვითარცა სარწმუნონი მონანი მივანდობთ უდიდებულესობისა კეთილ-მონებებელობისა, და ვითხოვთ, რათა მო-გვეტეოს უკეთუ ჰყავთ მეტნი და უადგილონი წინადადებანი ვითარცა ახლად იმპერატორსა სრულიად რუსეთისა ტახტისა ქვეშევრდომილებისა ჩვენისათვის კადნიერ ქმნილთა.

ესე კვალადვე განხილვებასა შინა საჭიროდ აჩვენების, რათა სხვანიცა მგნებურნი თავადნი და აზნაურნი მნებებელობითა ყოვლად უდიდებულესისათჳ განწესებულ იქმნეს სხვა-და-სხვათა სასამართლოთა შინა ადგილთა და მათ შორის იგინი იყვნენ პირველნი, და მეორენი შემდგომნი მათნი რუსეთის მოხელეთაგანი თანამდებობითითა ამით შეკრულებითა, და ყოველსავე მას რაოდენ გზის სათანადო იქმნების მათ სასამართლოთა ადგილთაგან, მოხსენებად არს ჯერ-არს, რათა მხოლოდ ერთისა იმპერატორისა მოადგილესა მას,

და მეფესა მოახსენებდენ, არამედ ფრთავე ზემოთქმულთა მათ გვამთა, რომელთადმიცა ჯერ-არსვე რათა ყოველსავე მოახსენებდენ უმცირესნი ადგილნი უპირველესთა, და ყოველნი თანამდებ არიან მოხსენებად სრულისადმი შეკრულებისა. ხოლო სიმცირისათვის ადგილთა საქართველოისა დავსდებთ ესრეთ, რომელ საკმაო იქმნების ხუთნი სასამართლონი ადგილნი, რომელთაგანიცა პირველი იწოდებოდის ესრეთ ვითარცა კეთილ მნებელ იქმნების სოვეტად, ანუ დეპარტამენტად სენატისა, სადაც ჯერ-არს, რათა იმყოფებოდეს ზემოხსენებული იგი მოადგილე, ანუ მეფე, და შემდგომად მიცემული მისდა თანაშემწე დიდის რუსეთისა დიდ-შემძლებელთაგანი, და სამნი მუნებურთა თავადთა და აზნაურთაგანი. მუნვე სათანადო არს რათა იმყოფებოდეს უპირველესი მეფე რუსეთისა მუნ მყოფთაგანისა მხედრობისა, რომელიცა შეკრულ არს უფროო მათა კერძოთა ღვწისადმი და სხვანიცა მოხელენი, ვითარცა ქართველნი, ეგრეთვე დიდისა რუსეთისაგანი წერილით მცოდნენი განწესებულ იქმნენ ეგოდენი რაოდენიცა განხილვისამებრ საჭირო იქმნების.

მეორე ადგილი, რომელიც სათანადო არს, რათა იყოს ბრძანებასა ქვეშე პირველისასა, ჯერ-არს, რათა იწოდებოდეს სამეფოსა მართველობად, რომლისაგანცა სხვანი იგი სამთა მათ პროვინციათა შინა მყოფნი განიყოფებიან თვითოეულად, და მათ ყოველთავე ეწოდებოდეს უიეზდნი.—ანუ თუ ვითარცა კეთილმნებებელ იქმნეს ვინაიდგან სიმცირისათვის სამპყრობელოსა სამეფოსა მას საქართველოისა. ესენი ყოვლითურთ საკმაო იქმნებიან, ამად რომელ უკეთუ რომლისადმიცა მაცხოვრებისა გარეგან სატახტოსა მის ქალაქისა მოუნდეს დამჭირნეობა მიუცილებელად, და წარმოვიდეს რომელთამე საჩივრითა სატახტოსა მას ქალაქსა შინა თფილისსა, ამისთვის არა-არს ადგილი ესე ვითარი რომელიცა განშორებით მდებარე იყოს უფროეს ოთხისა დღისა სავალისა.

3

ქალაქსა შინა თფილისს ჯერ-არს, რათა განწესდეს წესი პოლიციისა, და განიწესოს ერთი მუნებურთა ჩინებულთაგანი ობერ-პოლიცმაისტრად, და მას მიეცეს თანაშემწედ ერთი დიდის რუსეთისა ხარისხისა მქონებელი ვინმე, ამად რომელ მუნებერთა მათ ერთათვის დიდად საჭირო არს ესე, რათა მით ღარიბნი მუნ მოსახლენი შემძლებელ იყვნენ ქალაქსა მას შინა განსვენებით ცხოვრებად, და რათა გლეხთა მათ მაჰქონდესთ სახმარნი ნივთნი ქალაქთათვის თვინიერ ყოვლისა სხვათაგან შევიწროებისა, და რათავე იმოქმედონ თვითოეულმან თავისუფლებით ხელოვნება თვისი, და არა ესრეთ ვითარცა არს აწვის ჩვეულება, რომელ რომელიცა არს ძლიერ, მას აქვს სავაჭროსა მას შინა ყოველივე მძლავრება, და მოსახელეთადმი ჰყოფს შევიწროებასა.

თვით მასვე ქალაქსა შინა თფილისსა სათანადო არს, რათა განწესდეს კვალადცა ერთი სასამართლო, და იწოდებოდეს სლოვესნად, სადაც ჯერ არს, რათა იყოს პირველად მსაჯულად ერთი ქართველთა აზნაურთაგანი, და მეორე მუნებურთა ვაჭართაგანი, და მესამე ასნაფთაგანი ვინმე, რათა მათ, ოდესაც შესვდეთ საქმე, სიტყვით საჩივარი მაშინ განარჩიონ, განსამართლონ, და გარდასწყვიტონ, თვით მასვე დღესა, რომელსაცა შინა მოჩივარი მივალს საჩივრითა თვისითა და უკეთუ არ ექმნების მათ ძალი, რათა განისამართლონ, და სიყვარულითა შეარიგონ, მაშინ წარიგზავნონ ორივე იგი სამეფოსა მმართველობასა, ანუ თუ პოლიციასა შინა განხილვისა-მებრ საქმეთასა.

4

მქონებელთა საქართველოსა შინა ვაჭრობისათა მეზობელთა მათ ერთადმი განეწესოს სახელმწიფოსა შემოსავალთა სარგებლობისათვის ბაჟნი, რომელთაცა შინა პირველ დელექტორად ჯერ-არს რათა იყოს შთამომავლობით საქართველოსა თავადთაგანი, და ორნი შემდგომნი მისნი იყვნენ ერთი მუნებურთა აზნაურთაგანი, და ერთი

დიდის რუსეთისაგანი, და ესე საბაჟო იყოს თბილისსა შინა და მათთაგან სამზღვართა ზედა მთის ერთა სპარსთა, და თურქთასა დაინიშნოდეს სამყოფად თვითოეული ქართველთა მოხელეთაგანი, და თვითოეული რუსთაგანი, და თუ რომელთა სამზღვართა ზედა ჯერ-არს დადგენა მათი და აგრეთვე იმერეთის მხრით ვიდრემდისცა არ იქმნების უკანასკნელისა დესპანისა წარგზავნა პორტისადმი, და სახელობით განწესება ფორპოსტთა მანდამდის ჩვენ აწ თქმად არა ძალ-გვიძს მათ განწესებათათვის. და ესრეთ ოდესცა მოვიწევთ ჩვენ მუნ სათანადო არს რათა ესრეთ გზის დამტკიცებით იქმნეს საუკუნოდ თანხმობით განწესება ადგილთა მათ სადაცა ჯერ-არს დაყენება რათა არა ვლონ მუნ ვაჭართა საქონლითა თჳსითა, და სადაცა ჯერ-არს რათა მუნ აქუნდეს თავისუფლებითა სვლა, რომელ ამით სახით მიეცნენ ერთ-გზის სამზღვართა ზედა ბაჟი, და მიიღონ ბილეთი, და მიიტანონ იგი თბილისსა, ანუ თუ რომელსამე უეზდის სასამართლოსა შინა, რომელ მეორეთ აღარ გარდაიხადონ ბაჟი იგი. ხოლო უკეთუ როგორმე მოულოდნელად, და უმეცრებით გამოატარებს, რომელსამე საქონელსა მათ ადგილთა ზედა, და სამზღვართა ზედა, სადაცა დაყენებულ იქმნების სლვა ვაჭართა, მაშინ ვიდრემდისცა დაეჩვეოდნენ, თუ რომელთა ადგილთა ჯერ-არს სვლა საქონლითა ამის პირველისა შეხდომისა-მებრ, არა მიადგეს მათ არა რომელიმე დასჯა და გამოერთვას ბაჟი იგი თბილისს შინა, ხოლო ვინაიდგან სამეფო საქართველოსი აწ შეერთებულ იქმნა იმპერიისათანა ყოვლისა რუსეთისა და მუნებრივნი მცხოვრებნი იქმნენ ყმათა ყოვლად უავგუსტესისა მონარხისად, მაშინ სადამე ამის შედგომისამებრ უბრძანოს ვისდამიცა ჯერ-არს რათა მომტანელთა საქონლისათა მოზდოკსა შინა ქართველთა და სხვათაცა ვაჭართა საქართველოზე მოსულთა, და მუნ საქართველოსა შინა გარდამხდელთა განწესებულისა ბაჟისათა, მეორედ მოზდოკსა შინა არღა გამოერთვას და ეგრეთვე მოზდოკით საქართველოსა შინა მისრულთა, ვინადგან თანამდებ არიან განსრულნი თბილისით; და ეგრეთვე მრავალნი ვა-

ჭარნი მისის დიდებულებისა, და აწ ჩვენის ყოვლად მოწყალის ხელმწიფისა მონანი რუსნი, ქართველნი, სომეხნი და სხვანი, რომელნიცა გამოვლიან რა ყიზლარსა, მოზდოკსა და სხვათაცა ადგილთა და მოიწევიან რა ორთა შორის, მაშინ არა თუ მხოლოდ აძლევენ მათ განწესებულთა მათთა მისაცემელთა საქონელთა ზედა. არამედ ესეცა ფრიად ხშირად იქმნების, რომელ ისინი მომწყურნობითა ნივთ მოყვარებისათა, მოაკლებენ მათ ყოვლსავე ნაქონებსა თვისსა და ამისთვის ვრაცხ თანამდებად ჩვენდა მოხსენებასა ამას, რომელ პირველსა ამას წინა მოსვლასა რომელსამე დიდ შემძლებელობისასა, რომელიცა რაოდენსამე ჟამსა დაინიშნვის სამყოფად საქართველოსა შინა მუნებურთა განწესებულებათათვის, მისდამი სახმარი არს, რათა მუნ განვლასა შინა ჰქმნას მათდამო ესე, იგი თვისთადმი მტკიცე განწესებულება ამა საქმეთა თვის, და შემდგომად ამისა მცირესა შინა ჟამსა შესაძლო არს, რათა იგი მცირედ სარაცხნი ერნი ძველთაგან დამონებულნი საქართველოთა მეფეთაგან ფრიად სუბუქად მოყვანილ იქმნენ კვალადცა თანამდებობითა მორჩილებასა და მონებასა შინა და რათავე საშვალ მოზდოკისა და საქართველოსა სადაცა არს საჭირო, განწესდეს რაოდენიმე ფორპოსტნი, და დაიყენოს სამეფონი გამანდნი.

არა მცირედრე ვრაცხთ თანამდებობადვე ჩვენდა ყოვლად ქვეშევრდომობითისა ამას მოხსენებისა, რომელ თვითოეულნი მეფისძეთაგანნი, თავადნი, აზნაურნი და სამღვდელონი ართმევენ გამოსაღებთა განმვლელთა მათ, რომელნიც ვაჭარნი გაივლიან სამფლობელოთა მათ ზედა ანუ ადგილის ფასთა მსგავსად ბაჟთა. და ესე სათანადო არს რათა იქმნეს დაყენებული, ამად რომელ ვაჭართ ფარდამხდელი ერთ გზის ბაჟისა საქართველოსა შინა შემდგომად სადაცა განვრცელებულ არს სამპყრობელო ჩვენის ყოვლად ავგუსტესისა, ხელმწიფისა სათანადო არს რათა მუნ იყვნენ თავისუფლად მეორედ გამოსაღებთაგან ბაჟთასა; კვალად მათ სრულ-ჰყოფისათვის ვსდნიერ ვიქმნებით შეერთებად მოხსენებისა ამის, რომელ საზოგადოდ მო-

ბირებისათვის ვითარცა ქართველთა უგრეთვე მეზობელთა მათთა ვაჭართაცა განვრცელებისადმი ბაჟთასა, და განმხნობისათვის მათისა, არა კეთილ-ნებულ იქმნების განწესებას ამისა, რათა დებულებათა ებრ ათჳმანის პორტიისათა აღიღებდეს სამი ასსაზედა, დაფასებისა ებრ ხაქონლისა; და უკეთუ რომელიმე ვაჭართაგანი დაფარვისა სახით იქმნების მომტანელ რომლისამე ნივთისა საქართველოსა შინა, რომლისა ნივთისა დამფარველთა, მაშინ გადახდესთ ესრეთ, რომელ გამოერთჳას მას ორი წილი ნაცვლად ერთისა, რათა ამით სუბუქითა დასჯითა უმეტეს ადრე მოიქცეს ერი ახლად შემოსრული მაღლისა მის იმპერატორებითისა დიდებულებისა მონებასა შინა, და თვით ესევე ჰყოს ამას შინა, რომელ-მოიქცნენ მამულსავე შინა მოსახელეთადმი, და შესაძლო იქმნებისცა, რათა გამგონებლობითა თვისითა განავრცონ ვაჭრობა თვისი ბასრას, ბაღდადს და უშორეს ინდიასა შინა.

5

აწ ჩვენ სუსტითა ჩვენითა განზრახვითა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმორჩილესად წინ წარმოდგინებად ამისა, რომელ ადგილნი ანუ სამპყრობილენი საკუთარნი მეფის ძეთა, თავადთა და აზნაურთანი ყოველივე იგი შემდგომადცა მათდამი იქმნენ დაშთომილნ ვითარცა ჰსჯულიერნი მათი საკუთარნი, ხოლო უკეთუ რომლისამე მათგანისა ძალითა, ანუ თუ სხვათა რომელთამე უჯეროთა სახით, ადგილნი მიმძლავრებისა ებრ, მაშინ იგი სამართლით სათანადო არს, რათა განრჩეულ იქმნეს და მიეცეს იგინი პატრონთა თჳსთა რომელთადმიცა ეშესაბამების სწორედრე მიცემა: და ესრედ მრავალნი ადგილნი მდებარენი სამზღვართა ზედა მთის ერთასა სპარსეთისა, თურქთა და სხვათასა, რომელიცა არიან მპყრობელობასა ქვეშე მეფის ძეთა, თავადთა და აზნაურთა, და სამღვდელოთა ერთასა გვეჩვენების ჩვენ დაცვისათვის სახელმწიფოსათა უშიშრობასა შინა უმჯობესად, რათა ესე ვითარნი ადგილნი მათგან გამორთმეულ იქმნენ

და ნაცვლად მათსა მიეცესთ მათ სხვა შინაგან საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა, და იგი ადგილნი დაშთეს სახელმწიფოდ სადაცა კეთილ განსილულებით იქმნეს აღშენებულ სიმაგრენი გაბრთხილებისათვის მეზობელთასა და ამითიცა განერებიან მრავალნი ტყუილსა ცილის წამებასა, და შესმენასა ვითამცა და მათ აქვნდესთ დაფარული შეერთებულება ორგულთანა, ხოლო რომელნიმე თქმულთა მათ ადგილთა მქონებელთაგანი შესაძლო არს რათა დაშთეს მასვე ადგილსა თვისსა ჩინებულისა მოქმედებისა მათისა, და შესაბამად დაფიცებისათვის, და დამორჩილებისათვის თვისისა ჴსჯულიერისა ხელმწიფისადმი, და განეწესოსცა წლიწადობით ჯამაგირი: რათა ამით მყოფნი მუნ ვითარცა მცოდნენი ძალისა და მდგომარეობისა თვისთა მეზობელთასა, შემძლებელ იყვნენ რათა აჩვენონ სარგებლობა.

6

ქრივთა დედოფალთა, ეგრეთვე ქრივთაცა მეფის რძალთაცა, და მეფის ასულთა, რომელნიცა არ არიან გათხოვილ და წელთა თვისთა შემგზავსებით არა ძალ-უძსთ განქორწინებად, ყოვლად მოწყალებით ებოძოსთ შესაბამი გვარისა თვისისა უფლება რუსეთს, ანუ ქვეყანასა შინა თვისსა, და მათნი საკუთარნი ადგილნი ჩვეულებისად იქაურთა წესთასა სოფელნი და სხვანიცა შემოსავალნი მიღებულ იქმნეს სასარგებლოდ უდიდებულესისა კარისადმი, ხოლო მამაკაცთა მათ მეფის-ძეთა, ძმისწულთა, და ძმის-ძეთა მეფისა სახლისათა, ყოველთა მათ, რომელთაცა სურთრა თვისის სიმრთელის ძალით, ანუ მოხუცებულებისა გამო დაშთებიან ქვეყანასა შინა თვისსა ისარგებლონ საკუთარითა თვისითა ადგილითა. ხოლო იგინი, რომელნიცა თვინიერ იჭვსა მიღებენ სურვილსა, და მოიწყვიან და შეუვრდებიან ფერხთა ესე ვითარისა თვისისა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისათა მიღებულ იქმნენ მსახურებასა შინა და ნაცვლად მუნებურთა მათ ნაქონებთა თვისთა მიენიჭოსთ რაივეეცა კეთილ-ნებებულ იქმნეს, და თქმულნი აღირაცხოს სახემწიფოდ.

7

სამღვდელოთა თვის კითარცა არს უპყრველესე აწ საქართვე-ლოსა შინა სამღვდელოთა ერთა შორის ძე მეფისა ირაკლისა ან-ტონი, რომელსაცა აქვსთ ძველისა იქაურთა განწესებისა ებრ ტი-ტულად კათოლიკოსობა, კურთხეულ არს ხელმწიფობასა შინა ნე-ტარ ხსენებულისა იმპერატრიცასა პატივსა შინა არხიეპისკოპოსისა ცარსკისელოს და მუნ წარგზავნილ იქმნა განრიგებისათვის მუნებურ-თა სამღვდელოთა წესთასა, ეგრეთვე დაშთეს იგი მასვე თანამდებო-ბასა, და სახელსა შინა,—თანასწორადვე სხვანიცა ეპარხიათა შინა თვისთა მყოფნი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, და იღუმენ-ნი, პროტოპოპნი, მღვდელნი და დიაკონნი. და სხვანიცა ეკკლესი-ისა მოსამსახურენი თვითოეულნი წოდებისა ებრ თვისისა და ად-გილთა მათთა სახელდობით, თუ ვითარნი, და რაოდენი არიან იგი-ნი მიუცილებელად მუნ მიწევნისა ჩვენისა ებრ, ყოვლად მონებრივ-თა სახითა ჰყოფთ მოხსენებასა. და ვინაიდგან განსვენებული იგი უგანათლებულესი მეფე, და სამეფო მისი ითხოვდენ, რათა მიეღოთ სამოქალაქონი, და პოლიტიკებრნი ჰსჯულნი, ამისთვის ჩვენცა მი-ვილებთ კადნიერებასა, და ამისთვისვე ვითხოვთ დიდისა ჩვენისა ხელმწიფისაგან, რათა მიეცეს ბრძანება უდიდებულესისა უწმინდესსა სინოდსა, რომელ წარმოგზავნოს ჩვენთანა, ანუ შემდგომად ჩვენსა ერთი სამღვდელო ვინმე რუსეთისა საიმპერატორობისგან მცირეს ყამობით არხიმანდრიტი ანუ იღუმენი, კაცი მდაბალი და მყუდრო, რათა აჩვენოსთ მათ განწესებულებანი აქაურნი საკუთარნი დღესასწა-ულობათათვის საუქმოთა, და სხვათაცა სახელმწიფოთა დღესასწაუ-ლობითთა დღეთა.

ხოლო მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, და ეპისკოპოსნი არა მქონებელნი ეპარხიისანი უკეთუ გამოჩნდეს ადგილი მათთვის, არამედ დაშთომილად, და უქმად, მაშინ მოხსენებისა ებრ მუნებურ-თა მათ სამღვდელოთა, და ჩვენგან კეთილ ნებებულ იქმნების რათა

იგი დაიდგინოს მუნ ეგრეთვე არხიმანდრიტი და იღუმენი ოდესაცა მათგან თხოვილ იქმნების, ეგრეთვე მიტროპოლიტთა, არხიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა, რომელნიც ეგებიან უადგილოდ ყოვლად მოწყალებით ებოძოსთ მცირედი ულუფა საზრდო განსადიდებელად ყოვლად უავღუსტესისა სახელისა. და ვითხოვთ რომელ ყოველნივე იგი სამღვდელოთა წესნი იყვნენ შეწყნარებულ, და პატივცემულ ღირსებისა ებრ ხარისხისა მათისა თანასწორად სხვათა ხარისხისა მექონთა რუსეთისათა ვინათგან ქვეშევრდომილ ქმნილი იგი სამეფოთვისისა ნებითა შეერთდა საიმპერატოროსა.

8.

და მათთანავე წინა წარმოვიდგენთ ძველთა ჩვეულებათა საქართველოსათა, რომელიცა მუნ ჰგიეს თვით დაწყებითგან მათით ესე რომე უფროსლა თვითოეულთა მეფის ძეთა, და თავადთა ყოვლად სამღვდელოთა საქართველოსათა ჰყავს აზნაურნი საკუთრად, რომელთაგანთაც მათ აქვსთ მიწა მიცემული, რომელსაცა ზედა არიან გლეხნი დასახლებულნი, და მუნ ჰცხოვრებენ იგინი და არა რომელსამე შეიწროებასა მიმღებლობენ მათთა ვადათაგან; ხოლო ჟამსა ბრძოლისასა წინააღდგომად მტერთა ყოველივე სრულებით თვითოეულად მასთან წარვლენ ბრძოლასა შინა და ეგრეთვე ჟამსა ნადირობისასა; და თუ ჟამსა მასპინძლობისასა მათთანავე იმყოფებიან სრულებით, და სახლთა შინა მათთა ვითარცა აზნაურნი ერთბამად მათთანა ერთსა ზედა ტრაპეზსა განსცხრებიან და ოდეს რომელიმე მათგანი არღა ინებებს უმეტეს ყოფად უფალთა მათთანა, მაშინ ვითარცა აზნაური დაუტევებს მიწასა მათსა და სოფელსა და წარვალს თვისით სახლეულობით სხვისადმი, რომელიცა თვინიერ ყოვლისა ნაკლულევანებისა თვისადმი მიიღებს და მისცემს მასვე უპირატესობასა ვითარიცა აქვნდა პირველ მისა ჟამადმდე, და ამისთვის ყოვლად უმონებრივესად წინ წარმოდგომილ ვჰყოფთ მათ აზნაურთა, რომელიცა ყოვლისავე შინა საზოგადოდ გამოსადეგნი არიან და

უფროსად სამხედროსა შინა სამსახურსა, რომელსაცა შინა არიან დაჩვეულ და ესე არა კეთილ ნებებულ იქმნებისა, რათა ყოველივე იგი ჩამოერთვათ ყოველთა მათ მებატონეთა და აღირაცხენ იგინი საე-როთა აზნაურთა წესთა შინა, და ნაცვლად ჩამორთმეულთა მათ მი-ეცესთ თანასწორივე სამკვიდრებელი; იგინი ხმარებულ იქმნენ ღვთი-სა შინა უდიდებულესისა მსახურებისასა.

9

ხოლო რაიცა შეეხების თქმად მადნისათვის საქართველოსა შინა მყოფთა, რომელიცა არს ოქროისა, ვერცხლისა და სხვათა ნივთთა ესე არს რომელ წინა-წარუდგენთ ნებასა ქვეშე მისის იმპე-რატორების დიდებულებისასა, რათა გამოცხადებით მუშაკობისათვის მათისა ებრძანოსთ წარმოსვლა განსწავლულთა კაცთა, და მუშანი გამოცდილნი იპოებიან სამეფოსა მას შინა საკმაო რიცხვნი, რომე-ლიცა შესაძლო არს რათა მოიხმარებოდენ სამუდამოდ თეთრის მი-ცემითა.

10

ვითარცა მეოთხესა პუნკტსა შინა მორთმეულსა ჩვენგან სა-ხელსა ზედა მეფისა და ყოვლისა საქართველოსა სამეფოსა უმაღ-ლესის მისის იმპერატორობის მინისტრისადმი ნოტი, იყო ესე რომელ ვითხოვეთ ჩვენ სამყოფად საქართველოსა შინა ექვსი ათასი კაცი მაღალ დიდებულის რუსეთის იმპერატორის მხედრობა, ესრეთ-ვე აწცა კადნიერი ვიქმნებით ყოლად უმორჩილესად მოხსენებად, რომელ აწინდელისა ამის მდგომარეობისამებრ პირველსა ამას შეხ-დომილებასა შინა რიცხვი მხედრობისა საჭირო არს[25]) ვითარცა საზოგადოსა განსვენებისათვის ეგრეთვე დამყუდროებისათვის აღ-შფოთებულებათა ჩვენთა მეზობელთასა, ხოლო შემდგომად ოდესცა

---

[25]) იგივე თუ უმე ესი მიუწერია, მიუწერია თვით გარსევან ჭავჭავაძეს, რათა არა დაუმძიმონ რუსთა მფარველობითი კავშირი.

განწესებულ იქმნების მუნ შესაბამი მყუდროება, და ყოველივე მოი-ყვანების შესაბამობასა შინა, მაშინ თუ რაოდენიცა რიცხვი მხედრო-ბათა ჯერ-არს, ამას მივანდობთ სრულებით განსილულობასა მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რომელიცა შესაძლო იქმნებისცა, რათა სახელდებით საიმპერატოროსა აქტსა შინა დაინიშნოს, და უკეთუ კეთილ-ნებებულ იქმნების, რათა ზემოხსენებულისა ამის მდგო-მარეობისათვის აწ მყოფსა მას საქართველოსა შინა მხედრობასა მოემატოს, მაშინ ყოვლად ქვეშევრდომობით ვითხოვთ, რათა უკუნ-ქცევისათვის სიძვირეთასა მოსყიდვასა შინა პრავიანტისასა, ებრძა-ნოს მუნ მყოფსა რუსეთისა მხედართ მთავარსა განმზადება მათი კეთილ-ყამიერად მუნ მყოფისა ბაზრის ფასისაებრ.

## 11

რაოდენიცა შეეხების დაწყებასა განსწავლულისა მხედრობისასა საქართველოს ერთასა, რომელნიცა შეკრებად შესაძლო არს ესე, არს, რომელ ჩვენ მოხსენებად არა რა ძალგვიძს, და ოდესცა წარიგზავ-ნების უდიდებულესისა მისის იმპერატორების უმაღლესის კარისაგან რომელიმე გვამი საქართველოსა შინა, და იგი ჰყოფს მუნებურისა ერისა სამხედროსა აღწერასა, მაშინ დროსა მას წოდებული მეფედ ითხოვს, რაოდენცა სახმარ არს მოხმარებასა შინა მსახურებისასა ერთბამად რუსეთისა ძლევა შემოსილისა მხედრობისათა, და სადაცა იგინი თანამდებ იქმნებიან წარსვლად, და მსახურებად მისის იმპე-რატორების დიდებულებისა, თვისისა ყოვლად მოწყალისა, და შთა-მამავლობით ხელმწიფისადმი უმწვერვალესითა ძალითა მსახურებისა თვისისათა, ეგრეთვე განწესებულისა ჯარისაცა შესაძლო არს ოდეს-მე აღმსუბუქებისათვის რუსეთის საიმპერატოროსა მხედრობასა მო-ხმარება მარტოდ, განხილულ იქმნების საკმაოდ აღსრულებისათვის საქმისა და ეგრეთვე საზღვართა ზედა მოსახლეთა არა ძვირად შე-ხვდების თავ-დასხმა და ოსრება მტერთაგან სხვა და სხვათა; და ამის დაყენებისათვის არა კეთილ-ნებებულ იქმნებისა, რათა მუნ უფროსად

მყოფად დანიშნულსა ებრძანოს, რომელ ყოველთა მათ, რომელთაცა მალ-უმსთ მსახურებს საჭურველითა აიძულოსთ მათ რათა იქონიონ იგინი, და ამით საკუთრად თვისთა დაცვათა თავს იყვნენ შემძლებელ მარადის მზაყოფად:

აწ ჩვენ ჩვენითა სუსტითა განზრახვითა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმორჩილესად წინ წარდგინებად ამისა, რომელ მყოფნი გლეხნი სხვა და სხვა სამფლობელოსა ტყვედ წარყვანილნი, ანუ განშენებულნი სხვა და სხვა მიზეზით სპარსეთს, ანუ თუ თურქს, თვისსავე მამულსა მოქცეულ არა სათნო იქმნებისა, რათა საკუთრითა მაღლის მონარხობითისა მოწყალებისათა ებრძანოსთ სახალხოდ გამოცხადებას ამისი საქართველოსა რომელ ყოველნი, რომელნიცა მოიქცევიან პირველსავე თვისსა სამკვიდრებელსა აქამდე განშორებულნი, იგინი დაშთენ თავისუფლად, და აღირჩიონ წადილისამებრ თვისისა საცხოვრებელი ადგილი, რომლისადმიცა ენებოს აღრიცხვა თავის თვისისა სახელსა ზედა სახელმწიფოსა, ანუ სხვისა უფლებისა ქვეშე და რომელიცა მსგავსიერითა სურვილითა თვისითა, სადაცა იქმნების აღწერილი საცხოვრებლად იგინი მუნ სამარადისოდ დაშთებიან თვინიერ უცხოს ქვეყნის კაცთა, რომელთადმიცა თავისუფლად მყოფობა ესე, არა შეხებით, რომელნიცა დაშთებიან პირველთა მებრ თავისუფლად, მას ჟამამდის ყოველივე აღიწერებოდნენ, და ესე არა მიეხდებისთ ესე ვითარისა მოწყალებისათა, რომელ არცა ერთი მათგანი არ დაშთებიან, და ყოველივე კვალადცა მოსურნე იქმნებიან, რათა მოიწივნენ სამკვიდრებელსა შინა თვისსა, და მისგან ექმნების სამეფოსა მას არა მცირე სარგებლობა.

ესრედვე ყოვლად ქვეშე ვრდომებით წინა-დადებულ ვყოფთ გლეხთათვის საქართველოსათა, რომელნიცა იმყოფებიან სამფლობელოსა შინა თვისსა მებატონეთასა, რომელთადმიცა გლეხნი იგი მეელადვე მუნებურითა სჯულითა ვერ განშორდებიან ესრეთ, რათა იგინი აიყარნენ, მისგან და მივიდნენ მეორისადმი. და ეგრეთვე მებატონენი იგი ვერ მიიღებენ მათ, და ვჰგონებთ ესე იქმნების შემ-

სგავსებული წესთადმი მაღალ დიდებულისა ყოვლისა რუსეთისა სა-
იმპერატორისათა, რათა ვითარცა აწ სამეფო საქართველოსი შეერ-
თებულ იქმნება ამის იმპერიისთანა და ამისთვისცა კადნიერ ვიქმნე-
ბით ყოვლად უმდაბლესად თხოვნად ამისა, რომელ მიეცით ბრძანე-
ბა უდიდებულესობისა, ვითარცა წარადგმდრე; ეგრეთვე შემდგომად-
ცა იგი გლეხნი, და კაჭარნი, რომელნიცა იჩვენებიან მიწერილად,
რომლისადმი მებატონისად ან თუ ქალაქისად მუნვე სამეფოსა შინა
დარჩეს და დაეყენოს, რათა მუნიდგან არა წარსულ იქმნას თვისისა
სურვილისა-მებრ სხვისადმი და რათა არცა განმოსასხლებულად შემ-
ძლებელ იყვნენ რუსეთისა შინა, ესრეთვე მსგავსად ამისა დაყენებულ
იქმნეს, რათა გლეხნი რუსეთისანიცა არა ვიდოდეს, და ესე დაემა-
ლოსით მათ აღთქმითა საშინელისა, და ფიცხელისა დასჯისათა.

ესრეთვე ვიდრე ამ დრომდე იყო საქართველოსა შინა ჩვეულე-
ბა, რომელ მუნებურნი მებატონენი გლეხთათვის ჰყიდნენ ვინ რო-
გორ რაოდენსაცა ინებებდა, და ამისთვის არაკეთილ-ნებებულ იქმნე-
ბისა, რომ ესე ვითარი მსყიდველობა აწ დაყენებულ იქმნეს და ებრ-
ძანოსთ, რათა განყიდონ არა სხვა გვარ, არამედ ერთბამად სახლე-
ულობით, და უძრავით მამულით თვისითა, უკეთუ აქვსთ მათ; და
ეგრეთვე არა მიჰყიდოს თუ არ ქართველთა და დიდის რუსეთის მე-
ბატონეთა და ეგრეთვე ტყვენი, რომელთაცა თურქთა, სპარსთა და
სხვათაგან ერთა საჭურველითა სახელმწიფოსათა ბრძოლასა შინა
გამოხსნილ იქმნებიან, მათდამი მოიქცნენ ესრეთ, ვითარცა ეს გვარ-
სა შემთხვევასა შინა იტყვიან რუსეთისა ტყვეთადმი, და რომელნიც
ესე გვართაგან გამოხსნილ იქმნების ვისგანმე, და პირველი იგი მე-
ბატონე მისი ინებებს მისა თვისადმი კვალად მიღებასა, მაშინ იგი
თანამდებ იქმნების, რათა უკუ ზღოს დახარჯული იგი ფული გა-
მოხსნასა ზედა, და ამის წინა-აღმდგომსა შემთხვევასა შინა სათა-
ნადო არს რათა დაშთეს უფლებასა ქვეშე მისსა, რომელმანცა გა-
მოიხსნა, და ექმნეს ნება მისყიდვად ამისა სხვათადმი შინაგან სა-
მეფოსა შინა, და არა მეზობელთა უცხო ქვეყნისა კაცთადმი.

13

ვითარცა მეფის ძეთა და ძის-ძეთა მეფის ფამილიისათა, რომელიცა მდგომარეობასა შინა თვისსა პირველისა მებრ დაშთებიან ეგრეთვე თავადნი და აზნაურნი, ექმნესთ სარგებლობა ყოვლითა ამით პატივითა და ჩინებულებითა, რომლითაცა სარგებლობენ აზნაურნი რუსეთისა იმპერიისანი, და მიიღონ ეგევრივე სახელსა ზედა თვისსა დრამატა და ღირსებისათვის დიპლომი, და იმპერატორისა მსახურებასა შინა მიღებულსა ჩინისათვის პატენტი, ეგრეთვე სამღვდელოთა წესთა მქონეთა ეპარხიისა და მონასტერთა აქვნდეს იგივე პატივი, ვითარცაღა სარგებლობენ რუსეთისა სამღვდელონი ერნი.

14

ვაჭართა, მედუქნეთა და ხელოსანთა ერთა აქვნდეს იგივე სარგებლობა კომერციასა შინა, ესე იგი სრულსა ვაჭრობასა შინა, და შემატება მოძრავითა და უძრავითა საქონლითა თვისითა, თვით რაიცაღ აქვსთ სარგებლობა მისი სხვათა ამათ იმპერიათა შინა მყოფთა; ხოლო ძველთაგან მოყვანილნი შეიწროებისაგან მტერთა მათ მეზობელთასა სიღარიბესა შინა, რომელთაცა არა მცირედი მიუღიეს შეიწრება მათგან მათ პირველსა შეხდომილებასა შორის აემსუბუქოს რომელსამე განწესებულებასა პირის პირ ზემოხსენებულისა მის რუსეთის მემკვიდრეთა:

15

ყოველივე სახელმწიფონი სათხოვარნი აწინდელნი ან თუ შემდგომნი, და ეგრეთვე სხვათა მებატონეთა გლეხთა გამოსაღებნი სხვა და სხვანი სახელმწიფოდ თვინიერ რომელისამე საჭიროსა სახმარისა მხედრობათასა წარუდგენთ დიდსა მონარხობასა განხილულობასა, და ყოვლად მოწყალებისა მნებებელობისა ჩვენისა ხელმწიფისა იმპერატორებისასა, რათა მიეცესთ თავისუფლება, რაოდენცა დროსა

კეთილ ნებებულ იქმნების, და ესრეთვე ებრძანოსთ მებატონეთა ურნე-ბისა ებრ ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა ჴსეჳულთა ზედა განიწესე-ბის რიცხვი მათ მხედრობათა, რომელთაგანიცა შესაძლო არს, რა-თა განსწავლულთა აფიცართაგან, და რიადოვისაგანთა ისწავლონ სა-მხედრო ეგზერციცია, და დისციპლინი, გარნა ჩვენ კადნიერ ვიქმნე-ბით თხოვნად მისის იმპერატორების დიდებულებისაგან სახელსა ზედ ყოვლისა საქართველოსა ერთასა, რომელთაცა თვისისა ნებით შთავრდომილ ჰყვეს თავი თვის მონებასა მას. რათა ყოვლად მოწ-ყალებით თავისუფლად ეგნენ იგინი მსუბუქ გონებობისა ებრ მათის რეკრუტისა მოკრებისაგან და ეგრეთვე არა იხმარებოდენ იგინი მსა-ხურებასა შინა ამას მხარესა აქეთ კავკასიისა მთისასა, ესე იგი შვე-იცარიასა, პრუსიასა სამზღვართა ზედა, სადაცა დაუჩვეველის ერის ძლით თვინიერ დიდისა შრომისა იგინი მსახურებისა განგრძობად არა შემძლებელ არიან, და იხმარებოდენ იგი მხედრობანი შეერთე-ბით მათთანა, რომელნიცა იმყოფებოდნ საქართველოსა შინა რუსე-თის პოლკთა თანა უდიდებულესისა მსახურებასა შინა მხარესა მას წინა აღდგომად ყოველთა მეზობელთა მათ მტერთა თათართა, სპარს-თა და მთის ერთა და ეგრეთვე გამოზრდათათვის შინაგან სამეფო-სა პიკეტთა და ყარაულთა და ეგრეთვე ყოვლად უმონებრივესად კა-დნიერ ვიქმნებით თხოვად ამისა, რომელ შემოსრულნი ამას ახლად მოკრებულსა მხედრობასა შინა თავადთა, და აზნაურთა ძენი ყოვ-ლად მოწყალებით მიღებულ იქმნენ ობერ და უნდერ ოფიცრობის ჩინით და უკეთუ რომელიმე მეფის ფამილისაგანი მამაკაცისა ანუ დედათაგანისა ძენი მასვე რიცხვსა შინა მსახურებისასა მოსურნე იქმნებიან შემოსვლად, და უიჭოიცა ჰყოფენ ამას, მაშინ იგინი ყო-ვლად მოწყალებით პატივის-ცემისათვის გვართა მათთასა მიღებულ იქმნესი შტაბ-აფიცრობისა ჩინითა, და მიღებისა ებრ შტაბ-ობერ-უნდერ ოფიცარნი ქართველთაგანი, რომელნიცა მხედრობასა შინა იქმნებიან მსახურად მათ მოემატებოდეს ჩინი განწესებისა ებრ იმ-პერიისა ამისა, ხოლო ჯარის კაცთა ყოვლად მაღლისა მონარხობი-

თისა მოწყალებისაგან დაენიშნოს, რაოდენიმე დრო მსახურებისა, რათა მათ კეთილ-ყამიერად იცოდნენ, რომელ მსახურონ რა 10 ანუ 15 წელსა მისის იმპერატორების დიდებულებასა წინააღმდგომად მტერთა რუსეთისა, და ქრისტიანობისა სახელისათა. ესე იგი პირის-პირ სპარსთა, თურქთა, ლეკთა და სხვათა ესე კითართა, შემდგომ შემძლებელ იქმნებიან, რათა მოიქცნენ სახლად თვისად, და წინაშე ერთ ქვეყნიერთა ერთა თვისთა თანა განადიდონ ქ̃ა მისის უმაღლესის დიდებულების მსახურებითა, ერთგულებისათა, და აღავსებს მათ მონებრივისა ქვეშევრდომობით, ტახტისადმი ყოვლისა რუსეთისა, და ამით არა თუ მხოლოდ შემძლებელ იქმნებიან. ყამისაებრ რათა განამრავლონ რიცხვი კაცთა სამხედროთა, არამედ ესე დაადგინებს მათ მხიარულებით წარსულად უკეთუ ებრძანების თვით ვიდრე სამზღვარამდე ინდიისა. ხოლო უკეთუ მდგომარეობა საქმისა მოითხოვს, რომელ შემდგომად მოკრებისა საქართველოსა რეგულისა ჯარისა, ანუ კვალადვე თუ შემდგომად დამკვიდრებასა კვალადცა შემოკრებისა რაოდენთამე ქართველთა განუსწავლელთა ჯართასა, მაშინ შესაძლო არს რათა მუნ მყოფმან მეფემან აუწყოს ესე ხელმწიფისა მოადგილესა და სამღვდელოთა, რათა ემსგავსონ ამას მინა დიდისა მონარხისა სიმდაბლით მიქცევასა, და სამზღვარ უდონ მოკრებასა მას თვისთაგან გამოსაღებთასა, და მუშაკობასა მსახურებისა მათისასა, რათა ამით მოწყალებითა მოყვანებულ იქმნენ იგინი სრულს გლეხკაცობის მდგომარეობასა შინა.

16

ყოველთა სასამართლოთა პირველთა და უკანასკნელთა ადგილთა შინა გამგეთა და მოხელეთა ქართველთა, და რუსთა ღირსებისა და თანამდებობისა მათისა ებრ განეწესოსთ შესაბამი ულუფა მუნ მოკრეფილისა სახელმწიფოსა შემოსავლისაგან, ხოლო ესრეთვე უმცირესთა მოხელეთაცა მიეცეს ულუფა მისვე შემოსავლისაგან განწესებულისა სამეფოსა მისგან და განსრულთა სახელოსა მისგან, და ნებით თვისით მუნ დაშთობილთა.

17

ვითარცა მრავალ გვარნი კნიაზნი, და აზნაურთაგანი საქართველოსათა იმყოფებოდენ აქამდე მსახურებასა შინა კართა ზედა მეფისათა და სხვათაცა ადგილსა შინა სამეფოთასა, და აქვნდათ სხვა და სხვანი ადგილნი სამოხელონი, რომლითაცა სარგებლობენ თანამდებობით პატივითა, და მსახურებდენ მეფესა და ქვეყანასა თვისსა გულსმოდგინებით და ერთგულობით, ამისთვის უკეთუ მათგანთა რომელთა აწ მოხუცებისა გამო წელთასა და ანუ სხვათარე მიზეზითა კვალადცა მსახურებასა შინა არა ინებონ შესვლა, არა კეთილ-ნებებულ იქმნებისა, რათა პატივ ეცესთ პირველთა მათთა მსახურებათა, და მოხუცებულებასა, და რათა დაშთენ პირველსავე მას პატივსა შინა, და მიეცესთ მათ პატივი თანად-სწორად მათ თავადთა, და აზნაურთადმი, რომელნიცა დიდებულებისა მისის იმპერატორების მსახურებასა შინა იმყოფებიან.

18

მოყვანებისათვის მყოფთა მუნ უშიშოებისა მდგომარეობასა შინა, პირველ საქმედ ვრაცხავთ ამას, რათა მივიღოთ სახმარი გათხილება მეზობელთა მათ ჭარელთაგან, რომელნიცა შთამამავლობით თვისით არიან მკვლელნი კახეთისაგანნი და ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს აწცა კახეთისა, ვარნა მათ შეურაცხ-ჰყვეს სჯული ქრისტიანობისა, და ემორჩილებიან მახმადის სჯულსა, და საშვალ მათსა არს დასახლებულნი ლეკნიცა; ესე ერნი არცაღა მცირედ არიან საშიში და არც რიცხვითა არიან უმეტეს სამა ათასიდგან ვიდრე ოთხი ათასადმდე: ვარნა ვნება მათგან არს ესე პირველის-მებრ, რომელ კახეთსა ზედა არიან დიდად მახლობელ და ცხოვრებენ პირის-პირ თვით კახეთისა სამფლობელოსა ქალაქისა, ქისიყისა, და საშვალ მათსა არს მდინარე ალაზანი, რომელსაცა შინა გამოდიან ცხენიანნი და ქვეითნი, მარადის მდგომარეობენ ერთი მე-

ორისაგან ქვევითისაგან ერთის დღის სავალის და ადგილსა მას შო-რა თვინიერ მოხსენებულისა მის წყლისა არა რომელიმე მთა და ბორცვი არ იპოვების ესრეთ, რომელ თვით მძიმითა ურმითა მსუბუ-ქად შეიძლების სვლა. ესე ჭარელნი არიან ესრეთნი, რა იყონ სა-შინელ საქართველოსათვის, არამედ წარმოდგომილ არიან შესავედ-რებელად, და სადგურად ყოველთა ლეკთა ავაზაკთა და თვით ომარ-ხან ჭავარისისაცა ესრეთ, რომელ ოდესცა იგინი განიზრახვენ მო-რბევასა საქართველოსა მიწათასა, მაშინ მოიწვევიან ჭარელთადმი და მიიღებენ თავისადმი მოსყიდვით მათგან საგზალთა; და ყოველივე სა-ხმართთა ნივთთა, და თვით მათცა თვისთან შეიერთებენ, და ამით განიმრავლებენ ჯართა თვისთა, და წარიყვანენ მათგან გზის-მცოდნე-თა, და ყველა უგზოთა, რომელთაცა მახლობლად მოსახლეობითა უწ-ყიან; სადა ანუ თუ რომელსაცა ადგილსა სცხოვრებენ ქართველნი გაუფრთხილებელად, და მოულოდებელად თავ-დასხმისა მის მტერ-თასა, და ესე არა უცნაურ არს, რომელ უგანასვენელი იგი შემოსვ-ლა ომარხანისა საქართველოსა შინა იყო იმათზედ გამოვლით, და მხედრობაცა მათი იყო მასთან. ესე თვით მცირე სამყოფი ჭარელ-თა მოქმედების უმეტეს ამასცა, რომელ შემწყნარებლობას ორგულთა ქართველთა სამართლით სასიკვდილოდ დასასჯელთა და სხვათაცა, და ეგრეთვე ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიცა წარმოვლენ საქართველო-სა შინა მორბევისა, და აოხრებისათვის ოსმალოს მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწევიან ჭარელთადმი, და მუნითგან სწორედ მივ-ლენ ახალციხეს.

19

ხსნისათვის ამის სუსტისა და უპატიოსა ერისაგან ვითხოვთ ყოვლად მოწყალისაგან რათა მოგვეცეს ნება ჩვენ, რომელ წარვიდეთ სამკვიდროსა შინა მათთა და ავყაროთ იგინი, და დავჭყოთ სხვათა-და-სხვათა შინა ადგილთა საქართველოსა მოსახლეთა შორის, და-რწმუნებულ-ვყოთ, რომელ შეერთებით ყოვლად უძლეველთა იმისის

იმპერატორების მჴედრობათა თანა, ამას აღვასრულებთ მსუბუქად დროსა ზამთრისასა, და ადგილთა მათთა დავასახლებთ ქრისტიანებთა ნებით თვისით მოსურნეთა, რომელთაგანიცა თვინიერ იჭვისა მოიპოვების მრავალნი მოსურნენი; ამის მიზეზისათვის, რომელ ადგილი იგი არს ნაყოფიერ, სადაცა მოდის პური მრავალ გვარი და უმჯობესი სხვათაგან, და ბრინჯი, და ესრეთვე ხილი, და აბრეშუმის ხე, რომლისაგანაც ხელოსანი საკმაონი რაცხვით აკეთებენ აბრეშუმსა, და ესეცა შესაძლო არს, რათა თვით, მათ ჴუარელთა აღკირ-ესხათ და დაწყნარებულ იქმნენ, გარნა ვინაიდგან დიდი ხნიდგან შთაცვივდენ მახმადის სჯულსა შინა, ამისთვის, ვრაცხთ უმჯობესს ვითარცა ზემო ვსთქვით, რათა განიყვნენ სხვა და სხვათა შინა ადგილთა, რომელ ვნებისა რაიმე მათგან ყოფად შესაძლო იყოს, არა არს იჭვი ამას შინა, რომელ, ოდესცა მიიწევის მთადმი ზამთარისა დროსა შინა რუსეთისა, და საქართველოსა მჴედრობა, რაოდენიც წარივლინების კეთილ-განჯისამებრ, მაშინ იგი ყოველივე და თვით უპირატესნიცა მათნი არა დაუტევებენ ამას, რომელ არა ჰყონ აღთქმა ფიცისა, ამისთვის, რომელ იქმნენ იგინი მონად ქართველთა უკეთუ მხოლოდ მიეცესთ მათ ნება; რათა დაშთენ იგინი ადგილთა შინა თვისთა, გარნა ესე პირობა რომელიცა არა ერთ გზის მათგან ქმნილ-არს, არამედ დიახ მცირედ აღუსრულებიათ, და უფროსღა ყოველთა თვის გარდასდომილან რჩევისამებრ ზემოთქმულთა მეზობელთასა, თურქთასა, და ამისთვის ვითარცა არა მოსანდობელთა არს საჭირო რათა გამოყვანილ იქმნენ და დაესახლენ სხვა და სხვასა შინა ადგილსა; ხოლო რომელნიმე უმეტესნი მათ ერთა კეთილ-ნებებულ იქმნეს წარმოგზავნად უმაღლესისა კარისადმი, ესრეთ რომელ გამოვლონ მათ მოზდოკსა და ყიზლარსა ზედა, და განიხილონ მდებარენი იგი ადგილნი. და უკეთუ მოეწონოსთ მათ იგი ერით თვისით დასახლდენ მუნ, და ამასზედა უკეთუ თანახმა იქმნებიან იგინი; ჩვენ ვითარცა მონანი იმისის იმპერატორების დიდებულებისანი ნოტსა ამას ვჰყოფთ მოხსენებასა, რომელ შემძლებელ იქმნებიან ფრიად მცირესა

ჟამსა, რათა ჰქმნა კეთილი. ზაოდი აზრუმულისა, ვინადგან ჩვენ რომელ ქრი ესე ამის საქმისადმი უფროსღა გამოსადეგი არი ან ვიდრეღა სხვანი.

20

„ხოლო ჩვენ ვითარცა ახლად შემოსრულნი დიდისა იმისის იმპერატორებითის დიდებულისა მონებას შინა, შესაძლო არს, რომელ უცნობელობითა რუსეთისა განწესებულებისა და ჩვეულებისათა საკუთრად ქვეშევრდომობითა ჩვენითა ვსთქვათ რაიმე ნამეტნავი და უშესაბამო ამის ყოვლად უმონებრივესად ვითხოვთ შთამომავლობითა ჩვენის დიდისა ხელმწიფისა იმპერატორისან, რათა მოგვეტეოს ჩვენ მისითა სარწმუნოთა მონათა, რომელნიც შემოსრულნი აღსრულებასა შინა ყოვლად მოწყალებით აღთქმულისა მმართველობისა უდიდებულესისა ჰსჯულთა ყოვლით თუით ვრაცხთ საქმედ, რათა ვაჩვენოთ მოსწრაფება ჩვენი თვით საქმით. ხოლო პირველსა ამას შეხდომილებასა შინა არავისგან არს შესაძლო ყოვლივე განრჩევით გამოცხადებად, და უფროსღა ჩვენგან თქმად, თუ ვითარ არს სარგებლობა სახელმწიფოსა, და ესე გვარივე ყოველთათვის სახმართა სამეფოსა საქართველოსათა აწ ქვეშე კურთხეულისა იმისის იმპერატორების დიდებულების მპყრობელობისა შეერთებული იმპერიასთან ყოვლისა რუსეთისა. ხოლო ოდეს მივიწვევით ადგილთა მათ მისის დიდებულების კარისაგან წარმოგზავნილი თუით, მაშინ უცილებელად ნაკლულევანებას ჩვენგან მოხსენებულთასა შევასრულებთ, დამთომილსა მუნ ნამესნიკისა ანუ მეფისათა რუსეთისა უფროსად მყოფისადმი არა დაუტევებთ; ყოველთა მათ ნაკლულევანებათა, ვინადგან მყოფნი ადგილთა მათ შინა უფროს სუბუქად შესაძლო არს დანიშვნად მისიცა რაიმეცა იქმნების ნაკლულევანება, და სხვებრ ვითხოვთ რათა ყოვლივე ესე ღირს იქმნეს მადლისა მონარხობისა მისის იმპერატორობითის დიდებულებისაგან კეთილ-განხილვასა [26]."

[26]) ნოტანი ესენი, ელიაზარ ფალავანდის-შვილის ნაწერნი აქვნან დღეს უგანათლებულესსა ირაკლის, მეფის ძის ალექსანდრეს-ძესა.

ესეთი იყო დაწყობილება ქვეყანისა სურვილისა-მებრ თვით მეფისა. მეფის-ძეთა დავით და იოანე განიხილეს და დაამტკიცეს წესდებანი ესენი. თავადთა ვითარცა თანამზრახველთა მეფისა (უიმათოთ არა რასა საქმესა საქვეყნოსა არა იჭერდნენ მეფენი, რეცა ფეოდალთა მთავარნი) მიიღეს და დაინახეს კეთილად მფარველობა რუსეთისა, კანონთა ზედა ამათ დაფუძნებული მხოლოდ მეფის ირაკლისაძენი იულონ, ვახტანგ, ანუ იგივე ალმასხან, მირიან და ფარნაოზ, — მრისხანებდენ მათთვის ვითარცა დასაღუპავთათვის ქვეყანისა. მეფისძე ალექსანდრე ადრევე იყო ლტოლვილი სპარსეთსა და მუნით ექადოდა, სპარსთა ძალითა, მათ დარღვევასა.

პირი ესრეთისა წესდებისა წარუვლინეს იმერეთის მეფესა და მთავართა, კათოლიკოზსა ანტონის და რავდენთამე მღვდელ-მთავართა. ამათ ესე ვერ მიიღეს სიამოვნით, თუმცა პასუხი ქაღალდით არ აცნობეს, გარნა მოუსმათ მაშინვე სიტყვით უსაფუძვლობა საქმისა. ვიეთნიმე იტყოდენ „ქართველნი სტყუვდებიანო; ვიეთნიმე ერთმანეთს ღალატობენო და სხვანი იტყოდენ: ვითარცა წყალ-წაღებულნი ხავსს ეჭიდებიანო.

ძმათა მეფისა აცნობეს ესე ქსნისა არაგვისა და კახეთისა მცხოვრებთა. განთესეს ყოველგან ჰაზრი ესე, რომელ დასაღუპავად მეფისა ირაკლისა ოჯახისა, ჰქმნეს ესეო; განსწყვიდეს ვითარცა გაცემულთა, ქვეყანა და მეფობაო და მოელიანო სასყიდელსა განსყიდულისასაო, — სახარებისა სიტყვიდან იტყოდენ ესრეთ მტერნი მეფისა გიორგისა და მოხელეთა მისთა ძლივანთა და დესპანთა!

## LXX

### მოვიდეთ პირველისადმი საგნისა.

ჰსცნო პეტერბურღის იმპერატორმან პავლე აღსვლა საქართველოს ტახტზედ მეფისა გიორგისა. გარსევან ჭავჭავაძემან აუწყა მინისტერსა, რომელ გვირგვინი სამეფო ბოძებული იმპერატრიცისა

ეკატერინა მეორისაგან ირაკლისადმი, დაიდგრა თბილისის გაოხრე-ბისა და მისა სპარსთაგან, მაშინ ბრძანა იმპერატორმან პავლე უქმნან სხვა გვირგვინი და წარმოუდგინეს კოვალენსკის ხელითა[27]) და თვით ჭავჭავაძისა თანა მოსვლითა თბილისს სამეფონი ნიშანნი. აჰა წერილიცა ვიკტორ კოჩუბეისა მეფისადმი 22 აპრილს, 1799 წელ-სა წამოგზავნილი:

უგანათლებულესო მეფეო,

ჩემო პატივის-საცემო კეთილ-მოსურნეო!

„განსაკუთრებითითა სიამოვნითა ვჰგზავნი უმაღლესობისადმი თქვენისა, ყოვლად უმაღლესისა მისის იმპერატორებითის დიდებულე-ბისა, ჩემისა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა გრამატასა, სხვათა თანა იწვევს ტიტულისა ნიშნებითა დასამყარებელად თქვენისა, ტახტ-სა ზედა სამეფოსა და შემდეგ თქვენსა უგანათლებულესისა მემკვი-დრისა თქვენისა. ნიშანნი ესენი მოგერთმევათ უმაღლესობასა თქვენ-სა დანიშნულისა კარსა, ზედა თქვენისა მინისტრისა მიერ მისის იმ-პერატორებითის დიდებულებისა უფლისა სტატსკის სოვეტნიკის კოვალენსკისა, რომლისა დასწრებითა აღსრულდება ყოველივე სიწ-მინდით წეს-დება მეფობასა ზედა დამტკიცებისა. მასთანავე ერთად მომგზავრობს სრულისა უფლებისა მქონე მინისტრი თქვენი თავა-დი გარსევან ჭავჭავაძე, რომელმანცა ისურვა რათა იქმნეს თანამზია-რი ესრეთისა მხიარულებითისა თქვენთვის შემთხვევისა. ამასთან მო-ვალეობად ჩემდა მივიღებ, წერილთა გამო თქვენთა მისის უგანათ-ლებულებისადმი განსვენებულისა კანცლერისა კნიაზის ბეზბოროდ-კისადმი, მოგერთვათ პასუხი, რომელ ყოველთა თხოვათა თქვენთა ზედა სიკვდილადმდე თვისისა გამოითხოვა მისის იმპერატორები-

27) ესე კოვალენსკი 1803 წელსა კნიაზმან ციციანოვმან დიდის შე-ურაცხებითა განდევნა თბილისიდამ რუსეთად.

თის დიდებულებისა კეთილ-ნებობა, ამათ გამო ვაცნობეცა ნოტა მინისტრსა თქვენსა და მე არღა ვრაცხ საჭიროდ განვამეორო. გულის სიწრფელითა მოვილოცავ, თქვენო უმაღლესობავ, მიღებისა გამო მათ, მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალებისა ხელმწიფისა, მოწყალებათა, გარწმუნებ, რომელ განსაკუთრებითისა მისის დიდებულებისა ყოვლად მოწყალებისა ხელმწიფისა, მოწყალებათა, გარწმუნებ, რომელ განსაკუთრებითისა მისის დიდებულებისა თქვენდამო განწყობილებისა გამო შემდეგცა არა მოკლებით მოწყალებათა. დასამტკიცებელად ამისა საჭიროდ ვჰხედავ მოვასხსენო უმაღლესობასა თქვენსა, რომელ ყოვლად ქვეშევრდომობითითა ჰაზრისა თქვენისა წარმოდგენითა, რათა არღა განაგრძობდეთ შემდეგთა დროთათვის თქვენ მიერ საპირად მიწერ-მოწერათა შესამზღვართა მეზობელთა ზედა დადგინებულთა მოხელეთადმი, მისი იმპერატორებითი დიდებულება მოანდობს თქვენსა ნებასა, უფროირე ამისთვის, რომელ ყოველნივე მიწერ-მოწერანი თქვენი შეიძლება იქმნებოდეს მინისტრისა მიერ მისის დიდებულებისა, რომელიცა იმყოფება თქვენთან.—უკანასკნელ სურვილითა ვჰმოწმობ საუწყებელად თქვენის უმაღლესობისა, რომელ დესპანი თქვენი კნიაზი გარსევან ჭავჭავაძე ყოველსავე დროსა ყოფნისა მისისა აქა, იქცეოდა სახითა მით, რომლისათვისცა მისის იმპერატორისა დიდებულებისა იქმნა ღირსი პატივისცემისა. ამასთან დამამტკიცებელი სიისა ნივთთა წარმოვლენითა მისის იმპერატორებითისა დიდებულებისა ბრძანებითა,—ვჰგიე უმაღლესობისა თქვენისა მარადის კეთილ-მოსურნე და მზა მსახურებისა.

ღრაფი ვიკტორ კოჩუბეი [28]).
ს.-პეტერბურღით, აპრილის 22 დღესა.
1799 წელსა.

აგვისტოს 10-ს, 1799 წელსა, შემოვიდნენ ტფილისსა კოვა-

[28]) აჰა პირი წერილისა ამის რუსულად, რომლისაცა ნამდვილი აქვს დღეს ირაკლი მეფის ძის ალექსანდრის ძეს.

ლენსკი და თვით გარსევან ჭავჭავაძე; წარდგნენ წინაშე მეფისა, მიულოცეს წყალობაები და დანიშნეს დღე დაფიცებისა და წყალობითა გამოცხადებისა. 1 დეკემბერს სასახლიდამ ანჩის-ხატისა ეკლესიადმდე იყო დადგენილი ჯარი ორპირად და შუა მათსა განვლეს მეფემან, დედოფალმან და ყოველთა, ღენერალი ლაზარევი განაგებდა ჯარსა. კათოლიკოსი ანტონი, მთავარ ეპისკოპოსი იუსტინე, არსენი თბილელი, იოანე ბოდბელი, სტეფანე რუსთველი იყვნენ მას დღეს ანჩისხატის ეკლესიასა შინა მწირველნი. აქა დაესწრენ ყოველნივე კარის კაცნი, სარდალნი და მოხელენი, თვით დედოფალი მარიამ, მეფის სახლის-ძენი, რძალნი და ასულნი, რომელნიცა გარდა დედოფლისა დარეჯანისა იმყოფებოდეს თბილისს. თვით მეფე გიორგი და დედოფალი მარიამ თხოვითა კოვალინსკისა წარდგენ წინაშე საწიგნისა, წარიკითხეს ფიცითი აღთქმა. რუსეთის იმპერატორისა ერთგულობასა ზედა, მოაწერეს ხელი მაშინ კათოლიკოსმან ანტონი დაადგა მეფესა გვირგვინი, გარდაიკიდა თვით ლენტი წმინდისა ანდრიისა. იპყრა ხელსა სკიპტრა, შემოირტყა ხმალი, გარემოიდვა ყარყუმის პორფირი და დასჯდა ტახტსა მორთულსა. თვით დედოფალმან დაიკიდა ორდენი პირველისა ხარისხისა ეკატერინასი და ვარსკვლავი ორდენისა; ჩაიცვა კაბა ძვირფასი გორნოსტაით გარემოდებული, დაიდგა თავსა ჯიღა გვირგვინისა ძვირფასი. მასვე დროსა მემკვიდრემა დავით მიიღო 1-ლი ხარისხი ანნას ორდენისა. ოდეს არხიდიაკონმან დომენტი და მგალობელთა იწყეს ხელმწიფე იმპერატორისა და მეფის გიორგისა მრავალჟამიერისა გალობა, მაშინ იქმნა ნარიყალიდამ სროლა ზარბაზანთა. ესრეთ დამტკიცებული რუსეთისაგან მეფედ საქართველოისა მეფე გიორგი, და მემკვიდრე დავით წარვიდენ სასახლესა ქვეითად; ეკლესიიდამ სასახლედმდე ორპირად იდგა ჯარი რუსისა და იკროდა მუზიკა. მცხოვრებნი თბილისისა უძღოდენ ზურნითა, დაფითა და საყვირითა. ყოველნივე ეხაროდენ მეფესა განმხიარულებულსა რუსთა ძალითა. მეფე ქრისტიანი ადიდებდა მეფესა ერთ მორწმუნესა, მართლ-მადიდებლობისა მი-

საყრდნობელსა. აწ განისვენა გულმან ჩემმან, უბრძანა მეფემან ქვთიმის მოძღვარსა თვისსა: მივის მცველად მეფობისა იმპერატორი მართლ-მადიდებელით. მისრულთა სისახლესა, ულოცვიდენ სარდალნი და მოხელენი ტრიფილემან მწიგნობარმან წარსთქვა იამბიკოქებითი [29]). ხელ-ჯოხიანმან თავადმან გიორგი ერისთოვმან მოახსენა სიტყვაკე ქებითი [30]). მეფემან გიორგიმ უბოძა თვითოსა სალდათსა ორი აბაზი და მასვე დღესა თვითვე უბოძა სადილად, მარხვისა დღეთა გამო, ერთი ურემი დოში და ზურგიელი და ერთი ურემი ღვინო; ათი კოდი სისირი და მრავლად წნილი კომბოსტოსი.

მეორესა დღესა მინისტერმან რუსეთისა კოვალენსკიმ მოითხოვა რათა ფიცითისა აღთქმასა ზედა მოაწერონ ხელი სარდალთა და კარისკაცთა, კათოლიკოსმან და მღვდელთ-მთავართა, ჰქმნეს ქსეყოველთა თანახმად ბრძანებისა მეფისა, ჯერეთ 26 ნოემბერსა ამასვე წელსა, თფილისს ჯარი რუსისა და ღენარალ ლაზარევი იყვნენ მცველად მეფისა და სატახტოისა ქალაქისა. ვჰგონებ ამავე დროსა

---

[29]) ტრიფილი, დიდი მწიგნობარი, გარდამწერავი მრავალთა წიგნთა, მეგობარი გერასიმე ლოდბარისა, რომელიცა ნიშნავს „სული მგალობელი" მოკვდა 1808 წელსა და დაასაფლავა დომენტიმ ნათლის მცემლის მონასტერსა.

თვით გ ე რ ა ს ი მ ე იყო გურული გვარით ანთაძე. ამან და ძმამან მისმან ოთარ და შვილმან მისმან გიორგი, შემოიტანეს იმერული ეკკლესიური გალობა საქართველოს, ესენი მეფემან ირაკლი მოიხმო თბილისად და კათოლიკოსმან ანტონი პირველმან უბოძა შათ მამული სოფელსა ალიანში, და ესრეთ დაასახლა იგინი აქა. გერასიმე გარდაიცვალა 1805 წ.

[30]) ესე სიტყვა ქართულად ვერ დაიბეჭდა თვისსა დროსა; და მე ვსთარგმნე რუსულად და დავბეჭდე 1846 წელსა (**Закавк. вѣстникъ № 1 за 1846 годъ.** რომლისა რედაქტორი ვიყავ მე) ესევე დავბეჭდე მეორედ იკორთისა მონასტრისა აღწერაში, დაბეჭდილსა ცალკე წიგნად: **Описаніе Икортскаго въ карталинск. монастырь. Тифлисъ 1865 года** და ჟურნალში საქართველოს სასულიერო მახარებელში.

იმპერატორმან პავლე უბოძა კათოლიკოსს ანტონის თეთრი ბარტ-ყუქი ანუ კუნკული შემკული ძვირფასად სურათით ქერუბინებითა.

## LXXI

მტერნი მოისპნენ და იდუმალ დრტვინვიდნენ; მაშინ გაიქცა ალექსანდრე მეორედ სპარსეთსა და ბაბასხანის შვილსა აბაზ მირზას და სარდარს მისსა სულეიმანის ქასლა ყარაბაღსა. აქა იდგა ჯარი სპარსეთისა და ერევნის ხანისა მაჰმად ხანის დასაპყრობად საქართველოისა. მეფემან აცნობა ესე რუსეთსა და ესე იყო მიზეზი, რომელ მოვიდა თფილისს სხვაცა პოლკი რუსეთისა, რომელსაცა განაგებდა ღენერალი გულიაკოვი. ხოლო თავათ და განაგებდ უძველთა საქმეთა, შემდგომად მეფისა განმხნევებულისა, რუსთა ჯარისა მასთან ყოფნითა, ნაცვლად მოწოდებულისა რუსეთად კოვალენსკისა, იყო ღენერალი ლაზარევი.

სპარსთა, დრონი ამათ, აღრეულთა თვისსა ქვეყანასა შინა, ვერ იგდეს დრო საქართველოდ შემოსვლისა, და რუსთა განდევნისა. ბაბასხანი განმზადებული ჯარებითა უკუ-იქცა ხოლოთ დანარჩენითა, რათა ჰსძლიოს მეამბოხესა ძმასა თვისსა ჰუსეინხანს, გაყენებულსა ქვემო სპარსეთსა. ესრეთ უკუ-ქცეულმან შეიპყრა ძმა თვისი, დასთხარა მას თვალნი და საქართველოსა მიეცა დრო განმტკიცებისა რუსთა ჯარისა მფარველობითა.

## LXXII

ამასვე დროსა მოვიდა იბრაიმ ბეგი ახალ-ციხის ფაშისაგან გამოგზავნილი თხოვნით, რათა მეფე შევიდეს ხონთქარის ხელმწის მფარველობასა და აღუთქმიდა ახალ-ციხისა და სრულიად სამცხისაცა შეერთებასა სამეფოსათანა მეფისა, ვითარცა იყო ძველად. მეფემან იწყინა და უბრძანა სრულიად უარი. რუსეთისათვის გზისა გა-

საკეთებლად დარიალიდამ იყვნენ გაგზავნილნი შანშე ერისთვის შვილი, გლახა ბაბანას შვილი და ნაცვალი ქალაქისა მიკირტუმა სურგუნა-შვილი. მაშინ ჩერქეზულმან კაცმან სიტყვა-მარჯვემან და ახალციხის ფაშის მახლობელმან მოახსენა მეფესა: ბატონო მეფევ და კარის-კაცნო დარბაისელნო: რომ ალებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთა თვისსა დროსა დახშვასა მისსა? დახშვა კარისა ამის, უბრძანა მეფემან, იქმნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა: ამისთვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ჰხედავთ, იქმნება თვით მცველად კარისა; რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ.

## LXXIII

რუსეთის ჯარს მოუძღვა ღენერალ-მაიორი ლაზარევი სახელით ივან პეტროვიჩი. ოდეს იხილა მან მინისტერი რუსეთისა კოვალენსკი დაახლოვებულად მეფისა, შეჰსწუხდა შურითა და არ ალასრულებდა არა რომელსამე მისსა ბრძანებასა და არც თვით მეფისა სურვილსა. სულგრძელებითა სავსე მეფე მეცადინებდა ჰქმნას ყოველივე სათნოდ მისსა, უგზავნიდა საჩუქართა მას და დედოფალიცა მარიამ უმაწვილესა 20 წლის ცოლსა მისსა ქსენია სტეფანოვნასა და ოსულსა, მეფის ასულნი მივიდოდნენ სანახავად და დროისა გასატარებლად მისის ცოლისა, და ესე გულ-გრილად მოექცეოდა მათ. 24 ნოემბერსა ეყოლა ცოლსა ქალი, მეფემან თვით ინება ექმნას მას მიმქმელად. უბრძანა განეცხადონ სურვილი ესე მეფისა თვით ლაზარევსა და ცოლსა მისსა. გარნა ცოლი მისი დეკემბერსა გარდაიცვალა და ქალსა ახალშობილსა ექმნა მიმქმელად არა მეფე, არამედ დედოფალი მარიამ და უწოდეს სახელად ალექსანდრა, რომელიცა საუბედუროდ მამისა, ხასიათით დაუწყნარებელისა, მოკვდა 7 დეკემბერს.

მრავლად მეცადინებდა მეფე მისსა პატივის-ცემასა. ბრძანა და-

ასაფლავონ გვამნი ცოლისა და ქალისა მისისა სიონის ეკკლესია-სა; აღასრულონ ყოველივე სათხოვარი მისი მსწრაფლ და დაუყოვ-ნებლივ. რაოდენიცა მეფე მეცადინებდა მისსა დაკმაებასა, ეგოდენ დე-ნარალი უჩვენებდა უსიამოვნებასა მეფესა და მხლებელთა მისთა. გა-მოიყვანა მოთმინებიდამ მხლებელნი მეფისა დარჩია მელიქი, სულხან თუმანიშვილი ქალაქის მოურავი და თვით მინისტერი კოვალენსკი. ვერ აიტანა ვერავინ სულ-გრძელი მეფე გიორგი.

მეფეს უნებდა წარვლენა რუსისა ჯარიდამ 400 კაცისა გორსა, დასასუსტებლად მის მეფის-ძისა იულონისა განძლიერებულისა. ურ-ჩებამან ლაზარევისა ვერ მოიყვანა აღსრულებასა ესრეთი ჯაჭრი მე-ფისა დასამშვიდებლად აღრეულებისა. უნებდა მეფესა ჩამორთმევა საუფლისწულოებისა, რომლითაცა იყო დაგლეჯილი სამეფო, თვით სალდათნი ჯარისა ჰსწუხდენ ღენერალისა თვისისა უგვანობასა და სიფიცხლესა და რადგანაც ქცეოდენ სალდათნი, ამისთვის გამოსცა მეფემან ბრძანება ფიცხელი, ყოველგან შეუკრან გზა გაქცეულთა სალ-დათთა.

მემარჩულე მეფე ურმობითა უგზავნიდა ჯარსა მართ-მადიდე-ბელსა ღომსა. ფურგონსა და ღვინოსა, ლაზარევი ყველასა იწუნებ-და. მხოლოდ მეფე ყოველსავე მოითმენდა და უბრძანებდა: „არა რაი აწყინონ გულ-ფიცხელსა, გარნა საჭიროსა ღენერალსა: არც წყენითა მისითა, აწყენინოთ ლინიაზედ კორონისა და ამისით თვით უმაღ-ლესისა იმპერატორისა გვამსა. მომდურავსა ღენერალსა, მიუჩინა შვი-ლი თვისი მეფის-ძე იოანე, და ვერცა ამან დაამშვიდა ამბოხი და მეშფოთე და მოუსვენებელი გული მისი.

ესოდენი აქვნდა სულ-გრძელება მეფესა, რომელ არ მიხედა ლა-ზარევისა აღშფოთებასა და თვით დაესწრო ცოლისა მისისა დასაფლავებაზედ თვით სიონის ეკკლესიასა შინა და უბრძანა სა-სახლის კაცთაცა პატივი-ეცენ და ნუგეშად მისსა მივიდნენ და დაესწრნენ მუნ. დღისა ამისთვისცა ვალად უბოძა სალდათთა მი-სისა ჯარისა თევზითა და პურითა ხორაგი მარხვისა დღეთა გამო

დეკემბრისა თთვეში. მეფისა თხოვითა თვით კათოლიკოსმან ანტონიმ აუგო ანდერძი გარდაცვალებულსა ცოლსა მისსა ქსენიასა. ვერცა ამით, ვერცა მრავალგვარითა ალერსითა, ვერ მოიგო მეფემან გული განფიცხებულისა ლაზარევისა. ესე მისი გულ-ფიცხელობა იყო მიზეზი, რომელ 1803 წელსა, მოკლა უბედურად ღენერალი ესე დედოფლისა მარიამისა მხლებელისა ნიკოლოზ ხიმშიაშვილისაგან.

ეს ლაზარევი მოკლა არა დედოფლისაგან, რომელსაცა მიაწერეს ესე, და არც ჯიბრაილისაგან დროსა მას, რომლისაც ლაზარევმან ციციანოვის ბრძანებითა შემოარტყა ჯარი დედოფლისა სასახლესა და შევიდა თვით ლაზარევი გამოსაყვანად მისსა, იყო დილა და 8 საათი დილისა, დედოფალმან მოითხოვა დრო და მოთმინება: „შვილებსა წვრილებსა სძინავთო." ლაზარევმან ეს თხოვა არ მიიღო, გაბედა და სტაცა ხელსა და მრისხანედ უთხრა: ესლავ გამოდითო! ჯარი ვერ მოგიცდისთ დიდ-ხანსაო, მაშინ, მუნ მყოფმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი, დასცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა, და თვით ხიმშიაშვილი მეორეს ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდამ და გაიქცა ახალ-ციხეს და მუნ მოკვდა 1807 წელსა.

შეესივნენ ჯარის-კაცნი და გამოიტანეს მოკლულისა ღენერლისა გვამი, თვით დედოფალი დაჭრა ხმლითა მკლავში სომეხმან...... ყაჭყაჭაშვილმან პოლიციის კაპიტანმან, ჩასვეს ტახტრევანსა იგი და შვილი მისი მეფის-ძე ხუთის წლისა ირაკლი და წარიყვანეს რუსეთად, და დაასადგურეს ნოვგოროდს. მოკვლა ლაზარევისა ხიმშიაშვილისაგან ცნობილი სხვათაგანცა მრავალთა, თვით მიამბო დედოფალმან მარიამ.

## LXXIV

1797 წელსა გაჩნდა ჭირი თბილისის ქალაქსა. მცხოვრებნი დაიხიზნენ და მოედვნენ სოფლებსა. განსრულთა სოფლებად, გან-

თესეს მომსვრელი სენი ქართლისა და კახეთისა. მეფე ირაკლი, დედოფალი დარეჯან წარვიდენ კახეთსა; მეფის-ძე გიორგი და მეფის რძალი განვიდენ ავჭალასა და შეჰკრეს იგი ყოვლის გზით. ესე დრო იყო სეკდემბრის თთვესა და განსრულთა ქალაქიდამ ადგილთა ჰპოვეს ბინა ტყეთა შინა, მთის ძირთა და ხეობათა ახლო თბილისისა. დიდი იყო დროთა ამათ ტყვეობა და ჯაფა დიდთა და მცირეთა, ობოლთა და ქვრივთა, მონასტერნი და უდაბნონი, რომელთაცა წინ უძღოდა ევთიმი მოძღვარი მეფისა [31]) მოუშველნენ განზნე-

---

[31]) ევთიმი, შემდგომად სერაპიონისა წინამძღვარი ნათლის-მცემლისა მონასტრისა გვარით მჭედელა-შვილი, ყმა თავადის გარსევან ჭავჭავაძისა, ანუ მისის მამისა სულხანისა, წინანდლისა სოფლიდამ. შევიდა ბერობასა მეფის ირაკლისა დროსავე და იყო საყვარელი თვით ირაკლისა მეფისა, გარდაიცვალა შემდგომად მეფისა გიორგისა.—ევთიმი იყო დიდი მოღვაწე მეუდაბნოე, სიწმინდით სავსე. გამოსული მონასტრით მისასვლელად ხაშმისა სოფელსა, წარიტაცეს ლეკთა ტყვედ. მასთანავე წარიყვანეს სხვაცა ბერი ამფილოქე, ესე ამფილოქე ტანით მაღალი, გრძელ-წვერი და მხნე სხეულითა, ლეკთა მიიღეს პატივითა: ჰგონებდენ მას თავად მონასტერისა და ძვირფასად საგონებელად. ამისთვის შესვეს იგი ცხენსა და პატივითა მიჰყვანდათ, ევთიმი ტანით მცირედი, არა სახიერი და სუსტი, მიჰყვანდათ ქვეითად და იტყოდენ მისთვის უპატიოდ: მაგისთვის რას მოგვცემენო შემდგომად ერთისა თვისა ჰსცნეს ლეკთა, რომელ ევთიმის გამოსახსნელად წარუვლინა მეფემან გიორგი ოც-და-ათი თუმანი და მეორისა ბერისათვის ოთხი თუმანი: ლეკთა მოიხადეს ბოდიში და ესრეთ პატივით მოიყვანეს თვისსა უდაბნოსა.

შემდგომა ევთიმისა იქმნა წინამძღვრად დომენტი შანშეს-შვილი გვარით დავითის-შვილი ბაგრატიონი. იყო არხიდიაკონად კათოლიკოზისა, ოდეს მეფემან გიორგი მიიღო სამეფო რეგალია.

წინათ ამისა და ამის დროსაცა, იტყვის დღესაცა ცოცხალი ნათლის-მცემლის წინამძღვარად ყოფილი არხიმანდრიტი იოანე ჯორჯაძე 78 წლისა, იყოო ნათლის-მცემლის უდაბნოში 8 გადამდგარი არხიმანდრიტი, 18 მღვდელ-მონაზონი, 6 არხიდიაკონი და 30 მსახური დმ მორჩილნიო.

თვით დავით გარეჯისა მონასტერში, რომელსაცა ეწოდებოდა ლავ-

ულთა პურითა და ღვინითა, საჭმლითა და საქონლითა, მეუდაბნოე-თა ხელსი გარდაიქცეს ხელად ღვთისა და განგებულებისა მისისა.

---

რა, იყვნენ და 1799 წელსა 3 გადამდგარი მოხუცებისა გამო ეპისკოპოსნი: დანიელ მანგლელი, ტიმოთე ნეკრესელი და კონიფანტე მოქული იმერელი; 6 არქიმანდრიტნი; 28 მღვდელ-მონაზონნი; 14 არქიდიაკონნი და 60-მდინ მსახურნი. წმინდის დოდოს უდაბნო, თუმცა იყო დროსა ამას ცარიელი. გარნა წირვა-ლოცვა იყო ხოლმე სიახლოისა გამო გარესჯისა ლავრასთან. 1011 დასუსტდა გარესჯა თუმცა მოღვაწენი ღირსნი არ აკლდა და არცა მწიგნობარნი. აჰა ერთი წერილთაგანი. რომლისა ნამდვილი მე მაქვს მოწერილი მემკვიდრის მეუღლისა ელენესთან.

უგანათლებულესსა საქართველოს მეფის სძალს

უმოწყალეს ხელმწიფასა.

მდაბლად თაყვანის მცემელნი და მმადლობელნი, მლოცველნი ღვთისადმი დღეგრძელობისა თქვენისანი. ვინადგან ჩვეულხარ მოწყალებისა ულონოთა და გლახაკთასა კეთილ გონიერებითა. აწ ჩვენ მდაბალთა და უღირსთადმი განცხადნა მოწყალება უგანათლებულესობისა თქვენისა, მცნებისათვის საუფლოისა და ბრძანებისა ძველსა და ახალსა თეატრსა კვალად „მიეცით მოწყალება და აჰა ყოველივე თქვენი წმინდა არს“ და კვალად „რომელი ჰსწყალობდეს გლახაკსა, ავასხებს ღმერთსა,“ და კვლად იტყვის: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი.“ ამათსა აღმასრულებელსა, ღმერთმან აღგისრულოს თქვენც. აღნათქვამი თვისი. თქვენებრთა გვამთათვის განმზადებული სიხარულითა წმინდათა თანა ამინ, და ამას საწუთოსა შინაცა აღგისრულოსთ ყოველი სათხოველი გულისა ნებისაებრ თქვენისა. ესე ვუწყით დამტკიცებით ნამდვილ, რომელ ყოველივე საწადი, თქვენი. ნებაცა ღვთისა იქმნების.

თქვენი მოწყალება ფილონი და ერთი თუმანი თეთრი გვებოძა, რომლისათვისცა კუალადცა ფრიადსა მადლობასა აღგიარებთ.

თქვენს უგანათლებულესობის მარად მლოცველი მდაბალნი და უღირსნი ერთობით წმინდასა დავით გარესჯისა მონასტრის სავსება.

აპრილს კვ.

წელსა ჩყია.

მეუდაბნოენი და მემხოლოენი, შთამოსრულნი მათგან თჳისის უყაუ-თა, გამოსრულნი კლდეთა ნაპრალთაგან, ვითარცა მერცხალნი ბუდე-თაგან თჳისთა. ექმნებოდენ მსასურად და ნუგეშინის-მცემელად ლტო-ლვილთა სახლთაგან თჳისთა, ვითარცა ანგელოსნი მფარველნი, ეხ-ვენებოდენ იგინი მათ მოვლენილად ღვთისაგან. ლოცვა და ვედრება მათი, განწმენდდა ქრისტიანეთა გონებასა და განამხნევდა მას, რა-თა უმღოს განსაცდელსა. ესე მიამბო დედამან ჩემმან, ლტოლვილ-მან სახლობითა დროთა ამათ კახეთად; სადაცა მიმართეს საფარველ-სა მეფის-ასულისა ბარბარესა მეუღლისა კახთა თავადისა სვიმონ ენდრონიკა-შვილისა სოფლის ველჯინსა, კაცისა გარდამატებულად მდი-დრისა ყმითა და მამულითა, მებატონისა 400 კომლის კაცისა.

## LXXV

ოდეს მეფე ირაკლი მწუხარე გარდაიცვალა თელავსა, ჭირი ესე იყო მიზეზი, რომელ მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით გარდაიტანეს გუამი მეფისა მცხეთასა დასასაფლავებელად. არაგვისა პირსა დადებული კუბო მეფისა მიიღეს მცხეთელთა და დაასაფლა-ვეს და კახნი აღარ გასრულნი არაგვსა უკუ-იქცნენ კახეთად. გამე-ფებულმან მეფემან გიორგი 1798 წელსა მოინება რათა ძველთა ჩვე-ულებათა გამო მოსთხოვონ სომეხთა კათოლიკოსისა ლუკას მოს-ვენება ლახვრისა. წარგზავნეს კაცნი და მოჰჴსცეს იგი გარნა სიფ-რთხილითა დიდითა და შიშითა, რათა ქართველთა მეფემან არ მი-ითვისოს თჳსად საუნჯე ესე ეჩმიაწინისა. კართაპეტმან გიორგი ოშაკანმან და ათთა სხვათა მოასვენეს და დაასვენეს იგი პირველ სიონისა საკათედროსა ეკკლესიასა ნუგეშად ერისა. დღისით დაშ-თებოდა აქა და ღამით მიასვენებდენ ვანქისა სომეხთა ეკკლესიაში. ინება ღმერთმან და განქარდა ჭირი. მეფე ვერ ბედავდა შესვლას ქა-ლაქად და ლახვრის მომტანნი ეჩქარებოდნენ წასვლასა, მოვიდა ბრძანება მეფისა, რათა დაშთეს იგი თბილის მოსვლადმდე მისსა.

სომეხნი ჰსთხოვდენ ქალაქის მელიქსა დარჩიას უშველოს მათ ეს-რეისა გაჭირვებაში. ამან დაალონა მელიქი, მოქალაქენი სომეხნი თბილისელნი და თვით პართაპეტი მათი თბილისისა, დროთა ამათ ეპისკოპოსი ოჰანეზ თვით წარვიდა მეფესთან და ევედრებოდა რა-თა ინებოს დაუბრუნოს ლაშქარი ეჩმიაწინისა. მეფემან დაარწმუნა იგი, რომელ არა რაი აქვს ბოროტი გულსა შინა განზრახვა ლაშქრისა-თვის წმიდისა და უბრძანეს პატივითა ჯვაროვანითა, საჩუქრისა ბო-ძებითა და მადლობისა წერილის მიწერითა კათოლიკოსისადმი წა-რუვლინოს თვისსა ადგილსა, მაშინ, ოდესცა თვით და სახლობა მისი ნახვენ მას, ილოცვენ და ემთხვევიან. ეპისკოპოსმან ოჰანეზ მოსულმან მოიტანა ერთი ამბავი სამწუხარო სომეხთათვის, რო-მელნიცა დიდად ამბოხებდნენ, თუმცა ვერა ჰბედავენ ცხადად თავისა გამოდებასა მეფისა რიდითა. დღედა და ღამე ჰსწუხდა მელიქი შეს-რული თვითცა დიდსა ეჭვსა, თუმცა არწმუნებდა ყოველთა, რომელ მეფე არ ინებებს ლაშქრისა მიტაცებასა. კათოლიკოზი ანტონი, თხოვილი სომეხთაგან, რათა ინებოს და მოსთხოვოს მეფესა ძმასა თვისსა და თხოვნა მათი ლაშქრისა, უარ-ჰყოფითა შეამდგომლობასა რათა არა აწყენინოს მეფესა. ამისთვის მიმართეს არსენი თბილელ-სა და მანცა ვერ ჰბედა მისვლა მეფესთან, რომელსაცა ვერ ჰსწყა-ლობდა. დაღონებულთა და მოთმინებისაგან დალეულთა მიმართეს ევთიმის მეფის მოძღვარისა და ესე მოქალაქეთა თხოვნითა განღვი-ძებული წარვიდა და მოახსენა ვედრება ეჩმიაწინელთა მამათა, ლაშქრი-სა მომსვენებელთა. მეფე განრისხდა და უბრძანა ევთიმის: უბრძანოს მელიქსა ჰშთაგონება პართაპეტისა, რათა შეიცადოს ერთიცა კვირა. შეურწუნებულმან *) მელიქმან მიჰსწერა მეფესა წერილი თავისსა თვი-სისა განსამართლებელი, აღუწერა ეჩმიაწინელთა მოუთმენლობა და სულ-ჰსწრაფობა მათი და დაარწმუნა მეფე, რომელ მარადის ეცინის

---

*) მელიქსა ამას ძარჩია ბებუთაშვილსა კ უ ზ ი ა ნ მ ე ლ ი ქ ა დ უწო-დებდენ დიდსა კუზისა გამო. მოკვდა 1836 წელსა.

მათ მათსა მიუნდობელობასა, რომელსაცა შეაჩვიეს სომეხნი მზაკვართა და მეტყუართა სპარსთა.

სწრაფად განვიდა ხმა ყოველგან, რომელ მეფე გიორგი იდებს თვისდა ლაშქარსა, შეიპყრეს ექვსნი მარჯვენი კაცნი სომეხთაგანი და ორი ერევნელი თათარი ვაჭარი და შეითქვნენ იდუმალ წარიღონ ლაშქარი ქრმიაწინსა. მელიქმან დარჩიამ ჴსცნო ესე, შეჴსწუხდა ფრიად; მისცა საპყრობილესა შეთქმულნი შეამბოხენი და უჩინა მცველად ლაშქრისა ქართველნი და სომეხნი აზნაურშვილნი, და მასვე დროსა აცნობა მეფესაცა გიორგის ამბავი ესე.—ესე იწყინა მეფემან მეორესა დღესა ქალაქისაკენ განმზადებულმან ტივითა, რომელიცა ელოდა მას მტკვრისა პირსა ავჭალას და უბრძანა თვით დასაჯონ შეამბოხენი ქალაქისა ლაშქრისა გამო ვითარცა სურს და ელოდეს მას. 15 აგვისტოს დღესა მიცვალებისა ღვთისა დედისა დღესასწაულსა, მობრძანდა თბილისს სახლობით, შევიდა პირდაპირ სიონის ეკკლესიასა და მოისმინა საღმთო ლიტურღია, მუნ სადაც ესვენა ლაშქარიცა საშუალ ეკკლესიისა წინაშე ამბიონისა. შემდგომად წირვისა მივიდა ლაშქართან, თაყვანის-ჰსცა, ემთხვია დიდისა ღმობიერებითა, ილოცა მხურვალებითა და მასვე დროსა ჰსთქვა ქადაგება დეკანოზმა სიონისა იოანე ოსეს-ძემან, მცოდნემან სომხურისაცა ენისა მწიგნობრობითა.

მეორესა დღესა უნებდა განემგზავრებინა, ლაშქარი სომეხთა კათოლიკოზისადმი საჩუქრებითა, გარნა მოახსენეს ჯარისა გამოჩენა ახლო თბილისს. მეფემან ბრძანა შეაყენონ ლაშქრის წარვლენა. მხოლოდ მისწერა წერილი ოქევატორს ქრმიაწინსა, გაუგზავნა იაგუნდის ბეჭედი და აღუთქმიდა ლაშქარსა. დროსა მას მოერთვა მეფესა გიორგის ქრმიაწინიდამ წერილი შემდეგი, რომლისა ნამდვილი მაქვს მე სომხურად, დაწერილი 29 იანვარს 1800 წ. [33])

ბატონო მეფევ! თქვენმა უმაღლესობამ 1798 წლისა ითხოვა

[33]) აჰა პირი თვით ნამდვილისა (35 აკლია).

წმინდა ლახვარი განსაკუთრებულად ჭირისა და უწმინდესმან პატრიარქმან ჩვენმან აღიღეს იგი საშინელისა მის ადგილისაგან ნოემბრისა თთვესა დაწყებითსა რიცხვებში ხელითა საყვარელისა ძმისა ჩვენისა იოანე არქიეპისკოპოსისა და ოდეს მოაწია მან თქვენთადმდე, ქრისტეს მოწყალებითა განქარდა ჭირი. წარსულთა დროთა ჟამსა სულ განათლებულისა მეფისა მამისა თქვენისაცა რავდენჯერმე იყო წარმოვლენილი იგი და შემდგომად ჭირისა განქარვებისაცა უკუ ქცეულიცა მსწრაფლ ჩვენკენ. ამისთვის თქვენის უმაღლესობისადმი ჯერ იყო რათა ენება დაბრუნება მისი ლახვრისა შემდგომად განქარვებისა მის ჭირისა. თუმც რავდენჯერმე მოიწერა თქვენის უმაღლესობისადმი სულ-განათლებულმან პატრიარქმან, და თქვენ აღუთქმიდით და არა უგზავნიდით ესრეთ, რომელ აღსრულდაცა თვით კათოლიკოზი. ჩვენ დაშთომილნი ობლად, მწუხარედ და შემუსრული გულითა, გვეჭირებიან ვითარცა წმინდა ლახვარი, ეგრეთვე მცველი მისი ძმა ჩვენი ოჰანეზ არხიეპისკოპოსი, რომელმანცა ჩინებულად იცის უცხოთა ქვეყანათა ენები და სიტყვა ნიჭებული დიდ სახმარია წმიდისა ამის სადგურისათვის და ჩვენთვისაცა გაჭირებულთა დროთა ამათ გამო აგერ წელიწადი და სამი თთვეა რაც მოდიან მლოცველნი შორის ქვეყნებიდგან და ვერ მხედველნი წმინდისა ლახვრისა ტირიან და უკუნ იქცევიან. დღითი დღეთ განიფინების ხმა ყოველგან, რომელ წმინდა ლახვარი დატყვევდა თბილისსა. ესრეთისანბავის მიზეზად არა ხართ თქვენ, თქვენო უმაღლესობავ: ამისათვის, რომელ არა ეთანხმება მეგობრობასა და მიყვარებულობასა თქვენსა, რომელნიცა მამა-პაპათაგან თქვენთა გაქვსთ მოცემულნი ერთადმი ჰაოსიანთა და წმინდისა ეჩმიაწინისა. ამისთვის მე მწუხარე მოხუცი მინას ეპისკოპოსი და კრება სულიერი წმინდისა მონასტრისა ეპისკოპოსნი, ბერნი, და სხვანი ძმანი ვედრებითა და ცრემლითა გთხოვთ თქვენ ჯვარ-გვირგვინოსანსა, სიყვარულისათვის ქრისტესისა, ნუ დაგვიტევებთ ნურცა ჩვენ, ნურცა სახლსა ჩვენსა უნუგეშოდ. სასიხარულოდ ჩვენდა გვიბრუნეთ წმინდა ლახვარი იოანე

ეპისკოპოსითურთ, რომელიცა ესოდენსა დროსა ტყუეობასა შინა არიან. ესრეთ აღსრულებისა თხოვისა ჩუენისა, ყოვლად ძლიერი ღმერთი წყალობითა აღასრულებს თქუენსაცა თხოვნასა და დაგიცვამსთ თქუენ და შვილთა თქუენთა მშვიდობითა და კეთილ-ცხოვრებითითა მფარველობითა. იყვენით სიმრთელით, დიდებულო მეფევ, სადიდებლად მეფეთ მეფისა ქრისტესსა და სასიხარულოდ მორწმუნეთა, და ნუგეშად გულისა კეთილად მავედრებელისა თქუენისა ღვთისადმი უმდაბლესი მინას არხიეპისკოპოსი, მსახური ნათელ-მოსილისა წმინდა ეჩმიაწინისა ტახტისა, 1800 წელსა, 29 იანვარსა.“

ლახვარი ესე წარუკლიანეს, წარუკლიანეს იმედის წერილი დაუ-ფარველობისა საუნჯისა ამის წმიდისა ეჩმიაწინისათვის.

ესრეთ დასცხრა დროებით ყოველივე ამბოხი ლახვრისა გამო, რომლითაცა გონებენ, განიგმირა უფალი ჯუარსა ზედა, ხოლო მე ვიტყვი მისთვის მასვე, რასაც იტყვიან სომხთა მეისტორიენი და თვით ჩამჩიანი თვისისა წიგნისა ტომსა მეორესა, გვერდსა 344, წერილთა ამათთაგან სჩანს, რომელ ლახვარი ესე იყო თვით, იგი, რომლითაცა განიგმირა დავით დვინელი 693 წელსა და არა ქრისტესი, ვრცლად დავსწერე მას ზედა რუსულად წიგნსა ჩემსა Жизнь святыхъ Грузинской церкви. Тифлисъ 1850 года.

შეიმეცნონ ესეცა მათ, რომელნიცა ზღაპრობით უწოდებენ მას ლახვრად ქრისტესსა: ოდეს ჰპოვეს ჯუარი ქრისტესი და ლურსმანნი იერუსალიმისა, მწერალთა მედროეთა და თვალით მხილველთა, აღირიცხესა ნივთნი ნაპოვნი მიწისა ქვეშე და რიცხვთა ამათ შორის არა არს მოხსენებული ლახვარი და გარდა ამისა არცა ერთი ძველთა მწერალთაგანი არა მოიხსენებენ ლახვარსა ამას ლახვრად ქრისტესა. ხოლო მწერალნი სომხთა და თვით ჩამჩიანი აღწერენ ლახვარსა ამას ვითარცა მას, რომლითაცა განიგმირა და მოიკლა წმიდა დავით დვინელი და არა თუ ქრისტე.

მრავალი რამე აქვსთ სომხთა ეკკლესიასა, მიღებული წესდება და არა ჭეშმარიტი წმინდათათვის მოთხრობა. არა არის განსაკვირვე-

ლი! ესრეთ განბნეულთა სომეხთა არ შეუძლიათ სხვად ყოფა, ეძიებენ საგნითა მრავალთა დამტკიცებასა და ვერ დაუკავშირებიათ, რადგანაც არ არის მათ შორის ერთობა არცა ეკკლესიისა,—ერთისა მეორისაგან დაშორებულისა, არცა ხალხთა ერთობისა, რადგანაც არა აქვსთ დგომა ერთის სამეფოსა და ანუ ქვეყანასა. დაკავშირებისათვის ქართველთა თანა სომეხთა მეფემან გიორგიმ მისცა ნება ვართაპეთსა მათსა, რათა იორდანეზედ განსვლა მათი იყოს ერთობით ქართველთა თანა, ესე იყო მეფობასა მისსა ორსა წელსა. შემდგომაცა 1803 წლამდენ კნიაზმან ციციანოვმან განმგემან საქართველოისმან სომეხთა მოძულემან ბრძანა რათა სომეხნი არა აღირეოდენ ქართველთა მართლ-მადიდებელთა თანა და ამისთვის სრულიად განაშორა იგინი.

## LXXVI

ამავე დროსა გარდაიცვალა სომეხთა კათოლიკოსი ლუკა. აცნობეს ესე მეფესა გიორგის იოსებ მიშაარბაშისა ხელითა, რომელიცა იყო მამა ვასილისა ბებუთოვისა ღენერალ ოტინფანტერისა ჩინისა გარდაცვალებულისა 1859 წელსა. ამავე წერილითა უბრძანებდა მეფე სომეხთა ეჩმიაწინისა (კრებასა ძველთა მეფეთა ჩვეულებითა ქართველნი დაამტკიცებდენ მათსა კათოლიკოსსა) აღირჩიონ იოსებ არღუთაშვილი რუსეთსა მყოფი. აქა ნამდვილი წერილი სომხურად და თვით თარგმნილი ქართულად, ვითარცა წარუკითხეს მეფესა გიორგის. ესე თვით მამის ჩემისაგან იყო თარგმნილი და მისგანვე დაწერილი ქართულად.

„ნათელ აღგებულისა სასწაულ აღდგომულისა საყდრისა წმინდისა ეჩმიაწინისა მსახურთა სამღვდელოთა მოწესეთა. კრებულთა ძმათა, ესე იგი ეპისკოპოსთა, მოძღვართა და მოწესეთაგან დიდისა წადილისა ქრისტეს მიერ ლოცვა და კურთხევა უხვ-მოწყალება და დამცველობითი მადლი, და წმიდათა ამათ ნაწილთა შეწევნა მოგხსენდესთ, ყოვლად უპატიოსნესო, უმაღლესო მეფეო ყოვლისა საქართველოი-

სად გიორგი, იყავნ კურთხევა წმინდისა ამის საყდრისა მეთაურისულთა და ყოველთა სასულიერთა თქვენთა ზედა, იცოდეს კეთილ მსახურებამან თქვენმან, რომელ დასწერს ბრძენი სოლომონ: ვითარმედ გული მეფეთაჲ ხელთა შინა ღმრთისათა და რომლისა მიერ კერძოსა ენებოს, მიერ მიმსდრიკოს. ეგრეთვე თქვენისა უმაღლესობისა გული მინებებ-ლობას ჩვენ მტირალთა და მგლოვართა თვის ნუგეშინისცემისა; ვინაიდგან უმაღლესობა თქვენი დამდაბლებულა ჩვენდამდე და გებოძებინათ ჩვენ უმეცართა მონათათვის წერილი სიყვარულისა და მოწყალებისა ხელითა სარწმუნოთა თქვენისა მარიმქარბაშისა იოსებისთა და ტერ-არაქილ დეკანოზისათა; რომელიცა ჩვენ წერილი იგი თავსა ზედა ჩვენსა მივიღეთ და სიხარულით წარვიკითხეთ და ნუგეშინის ცემა იგი მიცვალებისათვის სანატრელისა მამათ მთავრისა ჩვენისა უფლისა ლუკა უწმინდესისა კათოლიკოსისა, და ფრიად ნუგეშინის ცემულ ვიქმენით, და ვითარმედ ნიშნათ ჩვენისა სიყვარულისა და ნიშნად თქვენისა მწყ-ხარებისა გებოძებინათ მშვენიერი ხათისზი გარდასახურავი, რომელიცა დიდის მადლობით მივიღეთ და მისთვის საკურებულოდ წავსთქვის კურთხევა თქვენისათვის უმაღლესობისა; რომლისათვის ვსთხოვეთ და კვალად ვთხოვთ, რათა მეუფემან მეუფეთამან, და უფალმან უფლებათა-მან მოგანიჭოს თქვენ ცხოვრება გრძელი და ნაცვლად ამა ჩვენდამო ბოძებულისა ნიჭისა, მოგანიჭოს ნიჭი საუკუნო, მარადის კურთხევითა და განძლიერებითა თქვენითა და გეოსით საშინელ მტერთა ზედა ჯვარისა თვისისათა. ხოლო რომელიცა სულიერისა მამისა იოსებ არხიეპისკოპოსისათვის გებრძანად კათოლიკოსად წმინდისა ამის საყდრისა, ეგრეთ ვითარცა მამათ-მთავრისა სიყვარულისა არხიეპისკოპოსისა მისისა თუმცა მოგეწერათ, სამართლად ფრიად კეთილ-არს ბრძანება თქვენი და თან ხმაობა არს ნებისა ჩვენისა. ვინაიდგან ორ-გზის ვიქნებით ჩვენ კრება წმინდასა ამას შინა ტაძარსა გამორჩევისათვის კათოლიკოსისა, და მას შინა აღვრიცხეთ დიდ-პატივით იოსებ არხიეპისკოპოსი და ღირსად ვსაჯედ საჯედ მპყრობელად წმიდისა ამის საყდრისა. გარნა შემდგომად შეშინებულთა რაოდენთამე სა-

შინელთა მიზეზთათა, ვერლარა ვიკადნიერეთ ჩაწერად მეჯვალამასში-ნა; მაგრამ შემდგომად თქვენის ბრძანებისა, შევმზადეთ მეჯვალამა იოსებ არხიეპისკოპოსისათვისცა და კონსტანტინოპოლის პატრიარხისა დანიელისათანა. ესეცა ჩავსწერეთ ვითარცა დავვეწერა მინას კართაპეტისთვისცა, აწ ჭეშმარიტებით ჯერ არს თქმა, რომ იოსებ არხიეპისკოპოსი არს კრებული წმინდისა ამის საყდრისა, და ეჩმიაწინისათვის მრავალსა შინა წელსა მრავალ-გზის შემატებული და ყოველთაგან აქ მოწონებული არის მაგისი კათოლიკოსობა. რომ არა აქვს ყოვლითურთ ნაკლებობა რაიმე არც კეთილის მოქმედებითა, არცა ასაკითა და არცა გვაროვნებითა; მაშა კურთხეულმან გვარმან ჩვენმან მოუწოდონ მას და დაპატიჟონ კათოლიკოსობა ეგეთუ მასცა არა აქვნდეს შიში რაიმე განსაცდელნი არა მიზეზად, მოვიდეს, იხილოს, მობრძანდეს, მიიღოს ჩვენი საჭურჩინებო და სანებებელო და შესაწყნარებელი არის."

„უვანასენელ გევედრებით, რომ ქრისტეს შემხები წმიდა ლახვარი ჩვენ ოჯახს კართაპეტითურთ გვიბოძოთ."

მლოცველნი თქვენნი ქვემო ალმბეჭდველნი

მინას, გრიგორ, სიმონ ალექსანდრე ლოც- იოაკიმ არხი-
არქიეპ. ათურავალ; ვის დამწყებით; ეპისკოპოსი
სტეფან არხი- ასტვა- ანდრია, ბარსილ, თადეოზ.
ეპისკოპოსი წატურ

1801 წელსა, იანვრის კთ, ეჩმიაწინინს.

პასუხად ქართლის თხოვისა ლახვრისათვის, აცნობა მეფეებმან რომელ წარიღებს მას ახლად დანიშნული ოქვეარტერი იოსებ ეჩმიაწინს, რომელსაცა ელოდდენ ქალაქსა თბილისს, რუსეთისა გზით ვერცა ამან იოსებ, არ მნახავმან თვისისა ტახტისა, ვერცა სხვათა, — ვერ წაიღეს ლახვარი იგი. მხოლოდ შემდეგ გარდაცვალებისა მეფისა, მინისტერმან რუსეთისა კოვალენსკიმ სომეხთა თხოვითა უბრძანა ანუ ურჩიეა წარვლენა მისი ეჩმიაწინს.

## LXXVII

ვითარცა მეფეთა ტომი და მეფის-ძე და მეფე, იყო მეფე გიორგი ღირსებითა აღსავსე. მრისხანე ბოროტთათვის, მძლავრი ამათთვის და მეშფოთთა, მდევნელი მდევნელთა, მცემელი მცემელთა; მასვე დროსა ტკბილი კაცთადმი ტკბილთა, მშვიდი მშვიდობისა მოყვარეთადმი, აუწქარებელი მყუდროთადმი, ნუგეშინის მცემელი მწუხარეთადმი, ობოლთა და ქვრივთა შემწყალებელი; მცირედთათანა იყო მცირე, მდაბალთა თანა მდაბალი; მღვდელთა პატივის-მცემელი, დიდთა კაცთა-თანა ყოვლად დიდებული, მეტადრე მაშინ, როდესაცა როგორმე განარისხებენ მას ანუ მომატებულითა და განუზომელად თქმულითა სიტყვითა ანუ უკადრისითა ლექსითა, ანუ უზდელობითა. მოკლედ და ძრიელად უბრძანებდა სიტყვასა მდაბალთა კაცთა მოჩივართა; ღიმილითა მოისმენდა მათთა თქმათა ოდესმე უჯეროთა და უგონოდ მოხსენებულთა. რისხვასა მისსა ესე ვითართა თვის შეამეცნებინებდა მათ დაფიქრებულისა და უპასუხოისა დუმილითა იყო ვითარცა ლომი, რომელიცა არაოდეს არა იცვლის პირისა სახესა თვისსა საპატიოსსა მეფურსა და დიდებულსა. დიდთა საგანთა ზედა საღმრთოთა ზედა საქვეყნოთა მაუბარი, ხშირად გარდავიდოდა შესაქცევთა, გარნა არა უმჯეროთა, საქმეთა ზედა და ოდეს სრულყოფდა თქმასა და მოთხრობასა, თვითვე ბრძანებდა ლექსად ძველადვე თქმულსა სიტყვასა: „აი ჩემო მანასივო, ხან ასე და ხან ისეო.“ მეფის-ძე მიხაილ, შვილი მისი. ხშირად მეტყოდა ამასვე და მიბრძანა ძალი მისი: თეიმურაზ მეორესა მეფესა ახლდა ბერი მანასე სახელით და მას ზედმე უბრძანებდა ამასაო ლექსად, ვითარცა თვით მოლექსე.

მცოდნე ზეპირად ქებათა დღისა რომელიცა აღწერა ვასილი დიდმან და გარდამოიღეს ქართულად ე. საუკუნესა, და ეგრეთვე ეპისტოლეთა მისთა, რომლისა სრული თარგმანი გვაქვს გაიოზის ასტრახანის არხიეპისკოპოსისა,—ხშირად მოიგონებდა მაღალთა და დიდ-

თა ვასილისა ოქროპირისათა: „ყოველივე მოვალსო თვისსა დროსსაო, ქსე მისწერა ოლიმპიას ვასილმან [34]) ყვავილი გაზაფხულისა, ქარი ზაფხულისა, ნაყოფი ხილისა შემოდგომასა; ხოლო ნაყოფი ზამთრისა არს საუბარი მასვე დროსაო, ბრძანებდა მეფე, მისწერა ვასილმან ხუმრობითა, დაცინებითი და შექცევითი სიტყვა ეპისტ. 267.) კომბოსტოსათვის, რომლისა სადმე ჭამითა განიკურნა სნეულებისაგან, გარყვნილი ცხოვრებითა და არაწმინდებითა განმგე (ვგონებ, პონტოის) ანტიპატრე.

დიდად ხშირად ეტყოდა და განუმარტებდა განმარტებითისა ფსალმუნიდგან იოანე ოქროპირისა სიტყვასა: „აღმოსთქვას გულმან ჩემმან სიტყვა კეთილი: „აღმოსთქუს გულმან სიტყვა ე. ი. რათა იცოხვნიდეს ვითარცა საჭმელსა სიტყვასა კეთილსა ოდეს ვსჭამთ, ვხარშამთ საჭმელსა და რომელიცა ჰსჭამს ანუ მიიღებს საზრდოდ სულისა საღმრთოსა, მასვე ამოიცოხნის ე. ი. აღმოსთქვას [35]) ესე ვპოვე ლათინურსა ენასა ზედა დაბეჭდილი და მუნ სწერია*) (

)—ნუ ვიქმნებით უმადლონი ღვთისა, ეტყოდა მონოზონთა და კარის-კაცთა, რათა არა მიიღოთ უკედრებითი სიტყვა მოსე წინასწარ-მეტყველისა: ისრაილმან სჭამა, განძღა, განსუქდა და კრა წიხლი მას, რომელსაცა უყვარდა (მეორე სჯკ 32. 15) ზეპირად, ტკბილად და ნელად ესაუბრებოდა უდაბნოისა მეხოლოეთა და ეტყოდა წმიდათა თვის, მოწამეთათვის, მემარხულეთა თვის, წერილთაგან, რომელნიცა წარეკითხს ყურად-ღებითა და ახსოვდა მეხსიერებითა ძლიერითა. ვასიანე მწერლისა თქმათა, მაქსიმე აღსარებელისა და იოანე კლემაქსისა საინაიტელისა მოძღვრებათა წარმოსთქვამდა ესრეთითა ძალითა და ესოდენ მადლია-

34) ეპისტოლე 13.

35) ფსალმუნთა განმარტება 145.

*) აქ დედანში აკლია.

ჩად, რომელ მსმენელთა აღატირებდა და ადინებდა ცრემლთა. თვით მოძღვარი მისი და მეგობარი, წინამძღვარი ნათლის-მცემლისა უდაბნოისა ექვთიმი. უწოდებდა სულიერსა თვისსა მოწაფეს მეფის-ძეს გიორგის, მოძღვრად თვისსა. განკვირვებასა შინა შეყვანილი ექვთიმი ღირსი, მოახსენებდა პატივად მეფის მოძღვრებათა სიტყვასა მოხსენებულსა იესოისადმი იოანე წინამორბედისაგან: მე შენგან ველი ნათლის-ღებასა, და შენ მთხოვ რათა ნათელი გცე შენ?

ვითარცა მიწა წვიმითა დამთვრალი და განპოხილი, ეგრეთ იყო მეფე გიორგი, იტყოდა მამა ჩემი ეგნატი, საღმრთოთა წერილებითა დაუნჯებული და ვითარცა რიტორი მათთა აზრთა და თქმათა წარმომთქმელი.

## LXXVIII

სტეფანესა რუსთველსა (არხიეპისკოპოსსა) ახსოვდა წარმოთქმული მეფისა გიორგისაგან სიტყვა ოქროპირისა ღირსებისათვის კაცთა გონებისა. მე მოვიძიე ნამდვილი თქმა ესე ოქროპირისა წერილისაგან, მიწერილითა ანტიოქელთა მცხოვრებთადმი (სწავლა 2.) და აზრთა მიხედვითა, თვით სტეფანესაგან თქმულთა, დავსწერე აქა მკითხველთა საცნობლად:

„მრავალნი პირუტყვთაგანნი სჩანან უმეტეს კაცისა: ლომი ძლიერებითა, ცხენი სიმწრაფლითა, არწივი ფრინვითა, გარნა კაცმან დაიმორჩილა ცხენი თვისად მოსახმარად. ხოლო არწივი? კაცმან მოიძია საშუალობა და ღონე შესაყენებლად მფრინველთა, კაცთა აქვსთ თვისნი ფრთენი, დიახ! დიახ, მე მაქვს ფრთა ერთი უმსწრაფლესი არწივთა ფრთისა, რომლითაცა აღვიწევი არა ათსა სტადიონსა, არცა ოცსა სტადიონსა, არცა ცადმდე მხოლოდ, არამედ უმაღლეს ცისა ადგილადმდე, სადაცა სუფევს ქრისტე მარჯვენით ღვთისა.“

ერთსა და მასვე უკეთუ ვიტყვით ორ გზის და სამ გზის, იტყოდა მეფე, საჭიროებისათვის, რათა არა დამავიწყდეს აზრი და

იყოს უმეტეს სრულად და მტკიცედ გონებასა ზედა დანერგულად. იტყვის ოქროპირიო კაცისა ანუ გვამისა სხეულსა ჭკუა არს რათა აქუნდეს თავი, ხესა ძირი, მდინარესა წყარონი, საუბარსა დაწყებითი რაიმე საგანი."

თქვენ-სართო, იტყოდა მეფის-ძე გიორგი ოქროპირისა სიტყვასა, მიკრულნი რეცა ბაგეთადმი ჩემდა და ვითარცა მერცხალთა ბარტყნი, მიაგებებთ ბუდიდგან ნისკარტსა, რათა მიმიღოთ მსწრაფლ მისგან საზრდელი.

დღესა ერთსა, საუბრისა დროსა მათთვის, რომელთაცა სურდათ სიკვდილი მეფისა ანუ მოკვლა მისი, ღიმილითა წარმოიტყოდა იოანე ოქროპირისავე სიტყვასა: „დღესაცა აპოებიან იეზაბელისა გვარისანი. იროდიადი კვალად განცობდა, როკავს და მოითხოვს თავსა იოანესსა." ესე სიტყვა იყო თქმული არა დარეჯან დედოფალზედ, დედი-ნაცვლისა თვისისა. ბრძანებდა მას მეფის-ეულისათვის დედოფლისაგან მიჩნეულისა, და თითქმის სასახლისა მბრძანებლისა. მიბრძანა ესე არა ერთ გზის მეფის-ძემან მისაილ.

## LXXIX

მეფის-ძემან თეიმურაზ მომითხრა, მეფისაგან გიორგისა მამისა თვისისა არა ერთ გზის გაგონილი თქმითა და არა წარკითხვითა სიტყვა იოანე ოქროპირისავე ღამითისა ლოცვისათვის და სიტყვა ესე მაღალი ჰპოვე საქმე მოციქულთა განმარტებაში (სწავლა 26) და მოვიღებ აქა საცნობელად მკითხველთა: ღამე არა არს დაწესებული, რათა განატარებდენ მას სრულიად ძილითა და განსვენებითა, ხელოსანი, ვაჭარნი და მსყიდველნი და თვით ეკკლესია ღვთისა, განიღვიძებენ შუაღამესა. განიღვიძე შენცა ვითარცა ეკკლესია ღვთისა; განიხილე წყობა ვარსკვლავთა, ღუმილი ყოვლადი აერისა და წესი ქმნულებათა, ღამისა ჟამსა სული კაცისა არს უმეტეს განწმენდილი, მსუბუქი და მოცლილი. აღიწევის მაღლად გონებითა თავისუფლად. სიბ-

ნელე ღამისა და სიღრმე დუმილისა შეიყვანს ფიქრსა და მსჯელობასა. უკეთუ აღიხილავ ცად, ვარსკვლავებითა მორთულად, ვარსკვლავებითა, რომელნიცა არიან ცისა თვალნი, მიეცემი დიდსა სიხარულსა და დატკბები შვებითა, ოდეს აღიწია აზრი შენი და გონება ღვთისადმი. მისედე კაცთა, რომელნიცა დღისით კივიან, როკვენ, იცინიან, ბოროტობენ, მტაცებლობენ და იქმონენ მრავალთა უგვანთა და უკეთურებათა, — არა რაითა არა განირჩევიან მათგან, რომელნიცა მდებარებენ საფლავთა შინა; და მაშინ შეურაცხ-ყოფ სოფლისა ამასა ამაოსა ამბოხებასა. მოვალს ძალი და ესე ამით აგონებსთ რა არიან: ძილის სახვა სიკვდილისა, სახე და მსგავსება არარისა. — განვედ ქუჩასა და იხილე რომელ არღა ისმის არავისი ხმა, მიხედე სახლსა შენსა; ყოველნივე მწოლარებენ ვითარცა საფლავთ შინა ესე ყოველი განაღვიძებს სულსა და გაგონებსა სოფლისა ამის არარაობასა...... ღამისა ჟამსა მღვიძარებენ: მცენარენი, და ესრეთვე სული შენი, უმეტეს მცენარეთა რეცა მოშვინავთა, მიიღებს ზეცისა ცვარს."

სოფრონ არხიმანდრიტი, არაგვის ერისთავის-შვილი აღზრდილი ნათლის-მცემლისა მონასტერსა, მოიგონებდა მეფისა სიტყვათაგან ვასილი დიდისა, ბრძანებასა ევთიმესთვის წინამძღვარისა, რომელიცა იყო მდაბალთა გვართაგანი, გარნა მაღლად მაღალთა ზედა გვაროვანთა მდგომარე მონაზონებისა სიწმიდითა და ღირსებითა: „კაცი დიდებული და გამოჩენილი, გარნა არა მქონი ჩინებულთა მამა-პაპათა არა ემსგავსების წყლისა ნაკადთა, რომელნიცა განდიდდებიან მაშინ, ოდეს შეიერთებენ სხვათა წყლისა ნაკადთა; ესრეთი კაცი მიემსგავსების წყაროსა, რომელიცა თავით თვისით მოდის და თვით არის გემოვანი კეთილი და სასმელი..... იტყვიანო, არა ხარ დიდისა გვარისაო და არცა დიდებული: მიუგე; შენ ხარ ნაცარი და მტვერი; არა ხარ უმეტესი აბრაამისა მამისა ჩვენისა, რომელიცა ესრეთ იწოდებოდა." ამა სოფრონისა თანა მყოფი, დროსა ამბავისა ამის მოთხრობისა, ბერმან სერაპიონ (მოკლული ლეკთაგან 1855 წელსა

მონასტერსა დავით გარეჯისა უდაბნოისა). გაცმან მცოდნემან ძვე-ლისა და ახლისა ფილოსოფიისაცა დაუმატა ესე: მე ვიყავ 18 წლისა ჯერეთ მორჩილად, ოდეს მეფე მობრძანდა დავით გარესჯას დიდისა ამალითა და ინება, რათა სატრაპეზოსა სადილსა ჟამსა წარეკითხათ ექვსთა დღისა რაიმე. წინამძღვარმან მიბრძანა გამორჩევა წიგნისა, ვითარცა მე თვით დავინახამდი ღირსად, რათა მოესმინა მეფესა. აღვდგ მკითხველთა სადგურსა და წარვიკითხე სრულიად მეცხრე სწავლა ვასილისა დაბადებისათვის ქვეყანისა ცხოველთა და თვით კაცისა. ოდეს დავასრულებდი კითხვასა, შევსცვალე, ხმა ჩემი და ვიტყოდი წიგნისა ამისა დასასრულსა ამასა: „ესრეთ მწუხრი ესე და დრომლისა და სულისა, გვიბრძანებს დუმილსა, შევსდგეთ და მივცეთ შესვენებასა საუბარი ჩვენი...... წარვედით აწ სისარულითა, აქა, შეკრებილნო მეგობარნო ქრისტესნო, და ნაცვლად საზრდოთა მდიდართა, და საჭმელთა მრავალ-გვართა, განაშვენეთ და განწმიდეთ ტრაპეზი თქვენი სიტყვათა ჩემთა განსვენებითა. ესე იყო, ვგონებო, 1794 წელსა წინათ აღა-მამად ხანისაგან ტფილისის აოხრებისა, დღესა სუთშაბათსა, დღესასწაულსა თვით დავით გარესჯელისსა ამაღლებისა სწორსა. მეორესა დღესა შემდგომად წირვისა დილითისა და პარაკლისისა გამოეთხოვა ძმათა და წარვიდა მტკვრისა მხრით ბორჩალოს და თანა უმლოდენ ყაზახისა და ბორჩალოს თათარნი.

პირველი იყო ჩემგან მეფისა-მის ნახვაო და ჭეშმარიტად ვიტყვი დღედმდე მომხსენებელი მისი. ვეკვირვები მისსა ღრმად სწავლათა სამღვრთოთა წიგნთა შინა, წმიდათა მამათა წერილთა დახელოვნებასა მისსა, ბრძნად მსჯელსა. ტკბილად და რიტორულებ მოუბარსა, ნამდვილ, მეფესა ტანითა ახოვანითა, ჭკუითა, ზრდილობითა, მოთმინებითა, აუჩქარებლობითა, დიდსა მორწმუნესა, ქრისტეს ეკლესიისა მოყვარესა და ვიტყვი მონაზონთათვის მაგალითსა.

კითხვა ჩემი დიდად მოეწონა მეფესაო;—გამომკითხა ვინაობა ჩემი, სადაობაი, წელი ცხოვრებისა და წელი უდაბნოსა შინა შესვ-

ლისა. ერთისა კვირისა შემდეგ შემაყენეს ბერად; მიკურთხეს ჩო-ხაო და მიწოდეს სახელად ნაცვლად სვიმონისა სერაპიონი, სახელი წინამძღვრისა ჩემისაო, რომელმანცა მაღალითა სიწმინდითა განატა-რა ქვეყნიერი ესე ცხოვრებისა სარბიელი.

## LXXX

დროსა გამეფებისა მეფე გიორგი მწუხარე ქალაქისა თბილი-სისა გაოხრებისა გამო სპარსთაგან და მცხოვრებთა თვის, რომელ-ნიცა კვალად შემოვიდოდნენ თვისთა სახლთა გარდამწვართა მისწე-რა თხოვითა წერილი სომეხთა კათოლიკოზსა ლუკას, რათა ასეს-ხონ მას ფული კათოლიკოსმან მოართვა სესხად ათასი თუმანი, და ფული ესე განაწილა მათზედ, რომელნიცა იყვნენ მოკლებულნი ღონეზედ აღშენებისათვის ანუ განახლებისათვის სახლთა თვისთა:— ქალაქი თბილისი, მეცადინებისა მელიქისა დარჩიასათა აძლევდა ამა დროსა, სამეფოდ დღეში 18 მანეთსა, ვითარცა მიამბო ღენერალ-ან ვასილი იოსების-ძემ ბებუთოვმან, დიდი მოღვაწე ქალაქისა გა-ნახლებაზე, არა ზოგავდა არარასა ობოლთა, ქვრივთა და შეუძლე-ბელთათვის. ჯიბე მისი, იტყოდნენ მხლებელნი მისნი, არის შიოს მარანიო.“

დღესა ერთსა მეფე ბრძანდებოდა ჩარდახზედ სასახლისა თვი-სისა წმიდისა გიორგისა ეკკლესიის გვერდზედ და იხილა მუნ ყმა-წვილი 15 წლისა, რომელიცა სდგას შორს და უმზერის მეფესა, მეფემან მაღალის ხმით ჰკითხა მას, ვინა ხარ ყმაწვილო? იგი წარ-სდგა მსწრაფლ და მოახსენა: ვარ შვილი სიონის კანდელაკისა იო-ანესი...... ოჰ, უბრძანა მეფემან, მოკლულისა სპარსთაგან, წამებუ-ლისა ქრისტესთვის, შენ ხარ შვილი ჩემის ნათლის-დედისა. მოდი, მოდი, რა გქვიან სახელი? გაბრიელ, შენი ჭირიმე,—მოდი დაჯექ‘ სადა დგეხარ ეხლა? მეზობლისა სახლში;—მაშინ შევიდა ოთახში‘ გამოიტანა თვით პატარა თალათინისა ყუთი ამოიღო ჯიბიდან გასაღები,

გაალო ყუთი და ლურჯის ქისიდამ თვით თავის ხელითა იწყო თვლა აბაზებისა, ოც-და-ათის მანეთის აბაზი მიბოძა. და რადგანაც არ მქონდა ხელსახოცი, თვით ამოიღო მისისავე, ყუთიდამ ქაღალდი ლურჯი და ნახევარ თაბახში გახვია და მიბრძანა: მიუტანე ეს ფული ჩემსა ნათლი-დედასა, დედასა შენსა და უთხარ ეხლავ, ეხლავ გაიახლოს სახლი სადგურად ობოლთა. ამა ფულითა დროთა მათ, მეტყოდა სიონის დეკანოზი გაბრიელ ქართველოვი, გარდაცვლილი 1866 წელსა აღვაშენეთ სახლიო, რადგანაც იყო დიდი იეფობა მასალისა, მუშისა, კალატოზისა და აგურისა.

## LXXXI

მეფის ძმან და მემკვიდრემან დავით რუსეთსა ყოფნისა დროსა გაიცნა და მოინება შერთვა ცოლად, რომლისადასცა ტატისჩევის ქალისა. მობრუნებულმან საქართველოდ, იწყო მიწერ-მოწერა წერილთა გარსევან ჭავჭავაძის ძესთან და ვარლამ მიტროპოლიტთან ერისთვის შვილთან. დროთა ამას. პ. ბ. ჩლენად სინოდისა მცხოვრებთან. მეფესა გიორგის დიდად სურდა შერთვა ქალისა მისთა რუსთა გვარისა და აჩქარებდა საქმისა ამის დაბოლოებასა, რა მაგალითითა ამით დაკავშირდეს რუსეთთან თვით და ერი დაუმალველად, ერთი ესე ვითართა წერილთაგანი ნამდვილი, რომელიცა მე მაქვს არის მოწერილი მეფის ძეს დავითთან ვარლამისა: აჰა პირი ნამდვილიდამ ამ 1-ლისა ამის წერილისა.

„მათს უგანათლებულესობას. მეფისძეს და საქართველოს მემკვიდრეს დავითს, ჩემს მოწყალე ხელმწიფეს!

ქვეშვრდომით თაყვანის მცემელი, მათს მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.

ხელმწიფევო ჩემო! თქვენი წიგნი მებოძა. და როგორც მმართებდა ისე ვიხარე თქვენის მშვიდობის ამბის სმენისათვის, ბატონის მეფის წიგნი მივართვი, და მათს უმაღლესობას მოვახსენე, და თქვენც

მოგახსენებ: ტატიშჩოები ჭეშმარიტს პასუხს ითხოვენ, ამისთვის რომ ბევრნი თხოულობენ, და გათხოება უნდათ. და თქვენ ბრძანებას ელიან.

აქაური ამბავი ეს არის, ევროპაში დიდი ბრძოლაა. სუვოროვსა შვეიცარიაში საშინელ მთაში უღალშის და უვალს ადგილებშიდ, რომ ის იმპერატორის ღენერალთ ცხენები დაუგვიანეს და ოთხი დღე იქ მოუხდა დგომა; იმ დღეებში საშინელი ქუხილი, ელვა, მძაფრი წვიმა თურმე იყო და იმ დროს ფრანცუზნი განეწყვნენ და დიდს სიმხნით და მღიერებით იმ საშინელის ადგილიდგან გამოვიდა სუვოროვი, მოკლედ მოგახსენებ, სუვოროვი ასე სწერს ხელმწიფეს, ახლა რომ მოვიგონებთ იმ დღეს, ჩვენი სული შეძრწუნდება ხოლმეო. ხელმწიფის შვილი კონსტანტინე პავლოვიჩიც იქ ყოფილიყო. და ამისთვის ხელმწიფეშ სუვოროვს ღენერალის მუსობ უბოძა, და თავისი შვილი ცესარევიჩად გამოაცხადა. კნიაზ პეტრე ბაგრატიონიც დიან კარგა გაისარჯა და კიდეც დასჭრეს. ბუნაპარტეშ ჯვარი მისირში დააგდო და თითონ ფრანციაში მივიდა.

სხვებრ ბეჭედრები მოწყალეო ხელმწიფეო, არ დამივიწყო, მოსა ერთგული თქვენის უგანათლებულესობისაგანა ერთგული არხიერი ვარლამ.

გუმბრის 18 წელსა 1799.

რავდენისამე წლითა წინათ.

## LXXXII

წერილისა ამის ვარლამ მიტროპოლიტისა რომელიცა იქმნა 1811 ექსარხად საქართველოისა, გარსევან ჭავჭავაძემან აცნობა მეფესა მიწერილი პეტერბურღსა ამბავი დავითისათვის მემკვიდრისა, დანიშნულისა ოთარ ამილახვრისა ქალზედ ელენეზედ, მეფე, მოსურნე რძლად ტატიშჩევისა ქალისა, სწერს სხვათა შორის შემდეგსა პასუხსა, ჯერეთ მეფის ძეობაში და მემკვიდრობაში.

„მათ ბრწყინვალებას

ჩემს საკუთარს მეგობარს,

რა აქედგან თქვენი ბრწყინვალება წავიდა, მას უკან თქვენი წიგნი არ მოგვსვლიან და თქვენი ამბავი გარჩევით არ გვისმენია და თქვენმა გონებამ უწყის, რომ თქვენის წიგნის დაგვიანება და ამბავის უცნობელობა დიდად მოგვაწყენს, და ვინც წამოვიდეს თქვენს წიგნსა და ამბავს არ უნდა დაგვაკლებდეთ ხოლმე, მშვიდობა არის ღვთის მოწყალებით პეტერბურღს რომ მისვიდეთ იქ დიას კარგისაგან ურჩეულესი იშოვება თეთრი კაპლი, რომელსაც ანადიინი ქვიან. ამისი სამი ანუ ოთხი სტოლის კოვზის ოდენი უნდა გვიშოვნოთ და კაის ჭურჭლით და თქვენის ბეჭდით უნდა ფოშტით გამოგზავნოთ, ან ასეთიათ კაცის ხელითა, რომ აქ ჩვენ მოგვივიდეს; მაგრამ დიას კარგისაგან პირველი და ურჩეულესი უნდა იყოს, რომ ცუდი არ იყოს და ვიცით ცუდს არ გამოგვიგზავნით და ამას გარდა, სიცოცხლის წამალი რომ ჰქვიან იმ წამლისაც თორმეტი მინა გვიშოვნეთ და ესეც თქვენის ბეჭდით დაბეჭდილები და კაის კაცის ხელით გამოგვიგზავნეთ, რომ უეჭველად აქ ჩვენ მოგვივიდეს და ის ორივ კი ჩვენთვის საჭირო არის და ამისთვის გთხოვთ და ვიცით თქვენც გამოიმეტებთ და კიდეც იშოვნით და მაგიერს თქვენს რგებას და სიამოვნებას ჩვენც ვეცდებით: ჩვენთვის დოხტურისაც გამოეგზავნა ცხოვრება არსებისა ჰქვიან, რომელიცა რომ მათს დიდებულებას უთარგმნინებია ის წამალი და იმისი ორი რიგი თურმე იქმნება, ერთი დიას კარგისაგან გვიშოვნოთ იმ ცხოვრება არსების წამლისა და თორმეტი წვრილის მინებით იქმნება და ესეცა და ეს ზემოხსენებული თეთრი კაპლიცა ოთხი სტოლის კოვზი გვიშოვნოთ და გამოგვიგზავნოთ და ასეთს კაცს გამოუგზავნეთ ამ ჩვენი მხრისაკენ, რომ საეჭვო არა იყოს რა და აქ ჩვენ მშვიდობით და უნაკლულოდ მოგვივიდეს და შემდგომად თქვენს სიკეთეს, ამბავს და წიგნს ნუ დაგვაკლებთ, რომელიც ჩვენთვის ნიადაგს სასიამოვნო სასმენელი

არის. დავითის ცოლის შერთვა და ქორწილის ამბავი გკითხავთ, იოანე ფეტიაშვილმა გვიამბო და თქვენსა გულსა ამაზედ სარწმუნო ბრძანდებოდეს, რომ იგი დავითს არც ცოლი შეერთოს, არც ქორწილი ექმნას და ვისზედაც დავითისაგან შერთვის ეჭვი არის არც დავითისაგან იმისი შერთვა იქმნეს და დიდი სიცრუე და ტყუილიც არის და დაჯერებულიც ბრძანდებოდეთ, ამაზედ ასე შორს არის დავით აქედგან პეტერბურღი შორ არის ისე ის საქმე. და უჩვენოთ ხომ ჯერ დაიჭერდა დავით ამ საქმესა და ჩვენგან სარწმუნო იქმენ, რომ სიცრუისა და ჭორის ამბავის მეტი არაფერი არ არის, და თქვენვე დიახ კარგათ იცით, რომ ტყუილის მეტი არა არის რა და გთხოვთ შენგან დაუვიწყებელნი ვიყვნეთ ყოველს საქმეში.

თქვენის ბრწყინვალების საკუთარი მეგობარი საქართველოს მეფის ირაკლის პირმშო ძე გიორგი

წელსა ჩღჟდ. მარტის კტ.

თფილისსა.

იმერეთის საქმითა რაღა გესვეწო ამის მეტი; ახლა შენ იცი, რომ ის საქონელი არ დაგვეკარგოს. შენი ალალი თეთრი რომ მომცე შენის ჯიბიდგან, ესრე იქმნება.

## LXXXIII

1799 წელსა მეფის-ძე და მემკვიდრე დავით, ურჩი მამისა, თვით-ნება და მგონებელი ბრძნად თვისისა, უმეტეს მამისა, ვითარცა მხილველი რუსეთისა,—შევიდა განსაცდელსა ძნელსა. სიხარბემან ფულისა და ნივთთა და მოლოდებამან, სნეულებისა გამო მამისა თვისისა უკურნებელისა, მეფობისა, რომლისა ძალითა ადვილად დახსნიდა ქორწინებასა,—აქნმევინა ესე, რომ არღა ინება შერთვა დანიშნულისა მასზედა ელენეს ამილახვრის სარდლისა ოთარის ქალისა, არცა ტატიშჩევის ქალისა რუსეთს, და შეირთო სურვილი-

სამებრ მამისა სვიმონ, აღად წოდებულისა აბი მელიქის ქალი სამფერუან, რომელსაცა ნათელ-სცემს მართლ-მადიდებლისა ეკკლესიის წესითა *) და უწოდეს სახელად ელენე.—ქალსა ამას აქვნდა ფულად 8,000 მანეთი, ფული დროთა ამათ დიდ-ძალი და ესოდენისავე ფულისა ნივთნი და სამკაულნი. მეფე თვით დაესწრა რძლისა თვისისა მირონ-ცხებასა სასახლისა წმიდის გიორგის ეკკლესიასა შინა. თანაშემწეთა აღსრულებისათვის ესრეთისა საქმისა იოანე ანდრონიკაშვილსა, რომელიცა ასწავებდა მას ქალსა ადრევე ქართულსა წერასა და საუბარსა, უბრძანებდა მეფე იდუმალ დაახლოვონ მისდა შვილი მისი დავით.

დღესა მესამესა შემდგომად ქორწილისა მეფემან, რათა მტერთა არა მისცეს მეტად მიზეზი დღესასწაულობისა, დასუსტებისათვის მეფობითისა ღირსებისა,—თვით წარვიდა, ნახა რძალი თვისი, ამბორს უყო, და აკურთხა და უბოძა პირის სანახავად ქარვასლა სახასო ქ. თბილისს და სოფელი გურჯაანი სახასო ყმებითა და მამულითა და ოქმისა ბოძებითა, მასვე დღესა მეფისაგან დამტკიცებულითა. გონებდა მეფე, რომელ ესრეთითა ქორწინებითა ძე მისი დავით გამოვიდოდა ცოდვიდამ და განუტევებდა ბაყალ აკეტიქას ქალსა, შეყვარებულსა ადრითვე, რომელიცა შემდეგ წაიყვანა რუსეთსაცა და მუნ მოკვდა. მტერთა სდუმნეს. გარნა, თვით დავით მოსული გონებასა, შევიდა სინანულსა, არცა თავის გვარი დობისა, არცა სიძველე და ჩინებულება გვარისავე, არცა კავშირი რაიმე დიდკაცობათა ქვეყანისა, არცა მეფობითი აღზრდა აზრითა და ქცევითა,—არა აქვნდა მეფის რძალსა და მემკვიდრისა ცოლსა სადედოფლოდ ბაგრატიონის ტახტისათვის მომზადებულისა, მეფემან განსა-

*) მონათლვა კანონისა ებრ ანტიოქიისა კრებისა სომეხთა და მირონცხება იყო წმ. გიორგის სასახლის ეკკლესიაში. თვით მეფე სკამზედ მჯდომი დაესწრო მუნ. ნათლიად ანუ მიმქმელად იყო თავადი დავით თარხნის შვილი მიმბაში. ესე ამბავი მითხრა შვილმან მისმან ვითარცა მამისაგან გაგონილი ლენ. ლეიტენანტმან. იოსებ თარხანოემან. პლ. იოსელიანი.

დიდებლად გვარისა მისისა, მიუბოძა მისსა გვარსა თავადობისა ღირსება [36]) გარნა რასა ეგმაობოდა ესე სომეხთა ქალსა, რომლისა მოყვარენი და ნათესავნი იყვნეს გაჭარნი და დაბლისა ხელობისანი, დაიცა ერთი მისივე მეფის რძლისა, სასჳლად მაია სომხადვე დამთუნილი, ყვანდა ცოლად მოქალაქესა თბილისელსა... გულასპოვას გაჭარსა. ამილახვარი ოთარ, ეცინოდა მეფის სახლსა დაწუნებისათვის მისისა ქალისა, შეიძულა ოთარმან იუსტინე მთავარ ეპისკოპოსი, რომელსაცა პატივს სცემდა მეფის რძალი ელენე და სწყალობდაცა დიდად [37]). ამისთვის მეფემან ინება და შერთო უმცროსსა, პირვე-

---

[36]) მამა მისი ალა ანუ სვიმონ ცხოვრებდა ასტრახანსა და ვაჭრობდა შვილთა შეწევნითა. შვილნი ესე იყვნენ ზურაბ, სვიმონ, დავით და იოანე, თუმცა უხაროდათ მეფისთანა მოყვრობა და გვარის შოვნა, გარნა შესწუხდენ ასე მდიდრად გათხოვებისა გამო დისა თვისისა, შევარდნენ ვალში და დასუსტდნენ ქონებითა. აჰა ერთი წერილთაგანი სვიმონისაგან მამისა ჩემისადმი მოწერილი 19 მარტსა 1800 წელსა, შემდეგ ჯვარის წერისა, რომელიცა იქმნა 1799 წელსა.

[37]) აქა ვიტყვი რავდენთამე მთავარ-ეპისკოპოსთათვის, რაიცა გავიგონე მეფის-ძის მიხაილასაგან.

1.) კ ი რ ი ლ ე, გვარით ციცი-შვილი, ბიძა გიორგი სარდლისა სიმამრისა თვით მეფის გიორგისა. დროსა დომენტის ტყვეობისასა ოსმალოსა, მიანდვეს მას კათოლიკოსობა. ოდეს მოვიდნენ ოსმალნი ასაკლებელად მცხეთისა და სხვათა ეკკლესიისა საუნჯეთა, ჰსცემეს მას მრავლად რათა აჩვენოს მას სამკაულნი და თაბმბალითა დააყრევინეს ფერხთა ფრჩხილები. შემდგომად დაბრუნებისა დომენტისა სტამბოლიდამ ჩააბარა მან კათოლიკოზობა და თვით იწყო ცხოვრება მარტივისა ბერისა. იყო მცოდნე სპარსულისა და თათრულისა, საყვარელი მეფისა, ნასწავლი მჭერმეტყვი და სიტყვა მარჯვე, მიწერ-მოწერა მისი ანასტასიასთან (წიგნმან ამან არ მოაწია ჩვენამდე) მეფისა ირაკლისა დედი-ნაცვალთან, მოწმობს მის სიბრძნესა. იტყოდა სადმე, მეფისა ვახტანგისა დაი ნათესავი მისი მასწავებდა დიაკვნობისა დროსა კმევასაო. რავდენჯერმე აღიყვანეს ხარისხსა და გამოძიესო დროთა ამბოხისა გამო. გარდაიცვალა 90 წლისა 1774 წელსა. მის შემდეგ იყვნენ.

ლისა ცოლიდამ, შვილსა თჳისსა თეიმურაზს თვით მეფის რძალი ელენე იყოფოდა გარდაცვალებამდე მეფისა თვისა ქმართან არა პატივცემულად მისგან და შემდეგ გარდაცვალებისა განაძიაცა თვისგან და გონებდა გაშვებასა. იწყო საქმემან კონსისტორიაში და არღარა გამეფებულმან მიიღო საქართველოსა კონსისტორიიდან, კათოლიკოსის გარდაწყვეტილებითი უარი დასხნისათვის ქორწინებისა. დავით წარვიდა რუსეთს 1803 წელსა და მეფის რძალი ელენე, ბრძანებათა იმპერატორისა ალექსანდრესა, მივიდა პეტერბურღსა 1810 წელსა და გარდაიცვალა მუნ 1836 წელსა. თვით ელენე მეფის რძალი და მემკვიდრის ცოლი იყო ემბაზით მიმქმელი ჩემი, ამისთვის ვიცნობდი მოკლედ მას, მოარული მასთან 4 წელსა ს. პ. ბ. (1831—1835); იყო პატიოსნებითა სავსე, მოშიში ღვთისა, მორწმუნე ქრისტიანე, არნა არა დამტევებელი სრულიად რომელთა სარწმუნოებისა: საუბარი მისი, მიქცეული სომხურად, არა იყო დიდ კაცური ქართული; ქცევა არა ქართველთა დიდთა გვარისა ქალთა ჩვეულებრივი; არა მოყვარე მეფისა სახლისა წევრთა და არცა მათგან ყვარებული;—უნებდა მას დასაფლავება თვისი... სოფელსა*)... მდე-

2.) ტ ი მ ო თ ე.

3.) ი ო ს ი ფ ყაფლანის-შვილი, ძმა დავით სარდალისა.

4.) ბ ე ს ა რ ი ო ნ გოსტაშაბის-შვილი, ალმასხან ბატონის შვილის ნათლია (ძმა დავით სარდლისა) რომელიცა კიტრისა ჭამითა დაირჩო და განითქო: ეშმაკებმა დაარჩვესო.

5.) პ ა ი ს ი ო ს გარსევანა-შვილი, ნამღვდელავი, რომელსაცა, ჰსწამებდენ ფრანგობასა;—მეფე გიორგი არ მიენდებოდა მას ფრანგობისათვის.

6.) ი ო ა ნ ე ქარუმიძე, ონოფრე ბერის-შვილი, კაცისა დიდად წმიდისა და მოღვაწისა, გარესჯას გარდაიყვანეს წილკნიდამ.

7.) ი უ ს ტ ი ნ ე მალალა-შვილი, უკანასკნელი, გარდაიყვანეს რუისიდამ.

*) მგონია პულკოვო ერქვა სოფელსა ამას. მუნ არის ეკკლესია ბორცვსა ზედა. აქა უნებდა დასაფლავება.

პ. ი.

ბარეთა პეტერბურღით ცარსკი სელოსა, ამისთვის მოჭედა მან მკუ-რუვისა ოქროთი ხატი ღვთის მშობლისა და ამკობინებდა მას მრავლითა თვალითა და მარგალიტითა და ნებავდა დადებულიყო ხატი იგი თვით მასვე ეკლესიასა კრძალვით მისდა დანიშნულთა. მიბძანა და გავუკეთე რუსულად და ქართულად ზედ წარწერა. წარმოსულმან რუსეთიდამ, ვერ ვსცან, სადა დადვა ხატი ესე; რადგანაცა თვით დასაფლავდა ნევსკის მონასტერსა.

აქა ორიცა მისი წერილი, მოწერილი მამისა ჩემისადმი:

მაღალ ღირსო, უფალო ეგნატი, წელსა ჩყიგ ღვინობისთვის კვ. სანკტ-პეტერბურღით.

ჩემო სულიერო მამავ!

მერმეთ ჩემს მაკურთხეველ მარჯვენას ამბორის მოვახსენებ და თქვენ მშვიდობას და თქვენის ცოლშვილის ღმერთსა ვთხოვ. ვიცით რომ ჩემსა ამბავს იკითხავთ, ესრეთ იცოდე ჩემი ამბავი. მარიამობის თოთხმეტს აქეთ, მე ჩემს ძმა დავითთან ვარ. თავისის ხასების რჩევითა ისრე ინება ჩემმა ქმარმა. ახლა კი დიდად სწუხს და დიდათაც მეხვეწება რომ შეურიგდე, მაგრამ არ ურიგდები. ამ დღით მოციქულების გზავნით და წიგნების წერით ილაჯი აღარა მაქვს, მაგრამ მე არ ვერიდები, ღვთითაც, თუ ხელმწიფე მშვიდობით მობძანდება, ღვთით ჩემი საქმე ყველა კარგათ მოხდება. ამას კი თვისი ხასები ვერარას უშველიან. ესრეთ იცოდე ჩემი ამბავი. ამაზედ მეტს ვერას მოგწერ, მერეთ გთხოვ, ჩემო ეგნატი, დიდათაც დამიმადლებ: ეგ ჩემი ოცი თუმანი ბატონიშვილს თეკლეს გამოართვი, და დუქნების ქირა ვანელ გეურქას მიეცი მანდ და იმას აქ ვეული აქვს არტემ ბუღდანიჩთან, ის მე აქ მომცემს თავისის ანგარიშით, როგორც მანეთი გადის. ხომ იცი და მომიწერია კიდეც მე, რომ აქ ვალი მქონდა ოთხასი თუმანი, ზოგი მივეცი და ზოგი კიდეც დარჩა მისაცემი. კიდევაც ამას გეხვეწები რომ დუქნების ქირა

და ეგ ოცი თუმანი გამოართო და გეურქას მისცე და საჩქაროდ მოაწერინო, რომ მე აქ არტემ ბუღდანოვიჩისაგან მამბარდეს. ამას მაგისი თეთრი აქვს აქ და მალეც მამცემს. ამას გარდა კიდევ ამას გეხვეწები, რომ გიორგის ბეგასშვილს სტეფანეს ეგ ჩემი თამასუქი და გიორგის თამასუქი გამოართო და გამოგზავნო.

ორკეცი ფასი მიეცი ფოშტის და არ დაიკარგება. თუ სტეფანეს სახლში გავლილის თვეების ქირაც გამოართვი, ისიც გამოგზავნე. ახლა შენ იცი როგორ გაირჯები ჩემს მამულებზედა გურჯანზედ ან ქარვასლაზედ როგორც კაის ფასსათ გასცემთ. ამ იანვარში უნდა ეცადოთ რომ კაის ფასსათ მიიცეს, რომ არ დავიღუპო. ჩემი სიცოცხლე მაგაზედ კიდია თუ ცოტად გაიცემა აქაც ის იფიქრე იმ ანგარიშით მომეცემა და მეტად გაიცემა იმის ანგარიშით მომეცემა. ესრე იფიქრე ამაზედ მეტს ვერას მოგწერ. მაგაზედ ეცადეთ რომ სამ-ასამდინ ეგება ავიდეს მაგისი იჯარა, რომ არ დამღუპოთ. თუ ესრეთ არა საუკუნოდ დავიღუპები, მინისტერი მისწერს კასილიევს გურჯაანისთვის და ქარვასლისთვის, ახლა თქვენ იცით როგორც კარგათ მოსწერთ და ან მოაწერინებთ კასილიევს: იმის ცოლს ჩემ მაგიერ შეეხვეწე რომ კარგათ მოაწერინოს თავის ქმარს: მასუკან მე ვიცი როგორც გემსახურები. ასრე არწმუნე, ეგ რომ ეცადოს კარგათ მოწერას, ახლა შენ იცი როგორც გაირჯები მეტადრე ქარვასლაზედ, რომ ცოტას ფასითა არ გასცეთ და არ დამღუპოთ საუკუნოდ. თქვენი ქრისტეს გულისთვის ჩემი სიცოცხლე ხომ იცი მაგაზედ კიდია; ახლა შენ იცი; ამაზედ მეტს ვეღარას მოგწერ ახლა და ამის იქით სხვას წერილით მოგწერ ჩემს ამბავს:

თქვენი მშვიდობის მოსურნე მეფის რძალი ელენე:

მაღალ ღირსო უფალო მღვდელო ეგნატი ონისიმოვიჩ!

ჩემო სულის მამავ!

მერმეთ დიდი ხანია თქვენი ამბავი არა შემიტყვია. მგონია რომ მემდურებით. ჯვარი გეთხოვენა არ გამოგიგზავნეთ. შენც იცი რომ ერთი დღე შესვენება არა მქონია მწუხარებისა გამო ჩემის მეუღლისაგან: ცოცხალი იყო მტანჯავდა; მკვდარი უარესად მტანჯავს. მგონია რომ შენც შეიტყობდი გაჭკაჭოვის ჩივილსა, აქ მინისტრისათვის მოეწერა ერმალოვს; რომელიცა იმის პასუხი მოუა. ახლა იქ მნება კიდევ სასამართლოდ შეიქმნას. ჩემთვის დიდად საჭიროა, რომელს წელიწადში დაიკარგა ან რომელს ჩისლოში ერთ თით ქაღალდზე დაწიშნე და გამომიგზავნე, რომ ჩემთვის დიდად საჭირო არის ამინდა ლითვინოვისაგან მოწმობა მოვატანინო. საჩქაროდ მომწერე. მათ გარდა გაჭკაჭოვმა რომ წიგნი მომცა ის წიგნიც გამომიგზავნე. მე რომ ასი თუმნის თამასუქზედ ხელი მოვუწერე თავდებობისა, მანამ იმან ხელ-წერილი არ მოგცა მე ხომ არ ვუწერდი. მას უკან იმან ერთი წიგნი მომცა, რომ თუ იმ ასი თუმნის თამასუქს თეთრს მე ვინმე მთხოვდა იმის ყიზლარის ვენახი უნდა გაყიდულიყო და იმ თამასუქის ფული იქიდამ უნდა მისცემოდა. თუმცა იმ წიგნის პირიც მე მაქვს. ის რომ შენ გედავებოდა შენს საჭიროდ გამოგიგზავნე, იმისი ასლი ვინც ის გადიღო თარიღი დავიწყებია· თუ ქრისტიანი ხარ, ეს ჩემი თხოვნა საჩქაროდ ფოშტით მიბოძე; რომ მალე ლითვინოვისაგან მოწმობა მოვიტანო. ის ციხეში დასმას უპირებდა და მე დავიხსენ და ახლა ამის მაგიერია რომ მიჩივის. ღვთის ძალით მაგის სიმტყუნე მალე გამოჩნდა. სხვა რაღა გეხვეწო, ჩემი სათხოვარი შეისმინე; სხვა იყავ მშვიდობით.

თქვენის მშვიდობის ამბის მოსურნე ელენე.

დიდათ ავათ ვარ. ეს წიგნი ავათ-მყოფმა დავსწერე. ამ საჭიროებისათვის თორემ არ შემეძლო წერა.

დეკემბრის ი-ს, წელსა ჩყვ-ს.

## LXXXIV

თვით მეფის-მე დავით ქართლისა ქორწინებითა ჰგონებდა დაკავშირებასა სომეხთა მდიდართა, ქართველთა-თანა, და მოყვანასა მათსა ერთობისადმი ეკკლესიისა, გარნა შესცდა. სომეხნი განბნეულნი სპარსეთისა, ოსმალისა და სხვათა ადგილთა არიან ყოვლად დაცემულნი ზნეობითა;—უქონელნი მამულისა არიან, უქონელნი სიყვარულისა თვით კეთილის მოქმედთადმი მამისა; დამვიწყებელნი თვისისა ენისა და მოსაუბრენი სხვათა ზედა ენასა, რომელთა იგინი ემორჩილებიან, ვერ სცნობენ რასათვის არს მშვენიერება ლექსთა და აზრთა გამოხატვისა; არა უწყიან, რა უყვარდეს, ვინ უყვარდეს; რად უყვარდეს, რას ეტრფოდეს: განკარდნილნი ერთობისაგან სარწმუნოებისა აღმოსავლეთისა და კვალად შეხიზნული ლათინთა, ეკკლესიისა არა უწყიან თვითცა რასა შინა მდგომარეობს მათი ეკკლესიის ღირსება. მილიონიდგან განბნეულისა სომეხთაგან ერისა კნინღა ნახევარი წარიტაცეს ლათინთა; დანაშთენი ერთ ნახევარნი დაცინებულნი ყველგან, გინებულნი სპარსთა და თურქთაგან, არიან სრულად ცივად მხედველნი გულ-გრილნი, სახლი მათი სხვათა ადგილზედ, კაჭრობა მათი უცხოსა ნათესავთან, მეგობრობა სიცრუითა, შესაძინებელად რისამე; ვერსად განიზრახვენ მეფობასა თვისსა, ვერ ვისთან იტყვიან მეფეთა თვით ტახტისათვის; თვით მწერლობა მათი, ლათინთა მოძღვართაგა ნამუშავები, არის მათთვის ანუ ვერ გასაგონი, ანუ საკნოდ მათის ეკკლესიისა მისაღები. სომეხთა ეკკლესიისათვის იტყოდა ბესარიონ კათოლიკოსი,—სირცხვილიც არის ვისაუბროთ და რადა ეკკლესია ესე და რა ღირსება უნდა აქვნდეს მას, სადაცა ორი დიდი ეკკლესია აღმოსავლეთისა და დასავლეთისა საუბრობს, და მესამეცა ეკკლესია დიდი ლუტერისა ჰყვავის მეტობითა მათვე ორთა დიდთა ეკკლესიათა, თვით გონიერნი სომეხნი ხშირად სადმე მოიხსენებდენ ანუ მართლისა გულითა ან ცბიერობით

თავთა თვისთათვის: ნუ უკვე ვინცა საჯინიბოსა შინა დაიბადებოდა, არის იგი ცხენი? ესრეთ სძაგთ სხვათა-თანა თქმა, რომელ არს იგი სომეხი.

## LXXXV

მეფის-ძესა გიორგის არ უყვარდა სომეხნი, ვითარცა დამკარგველი მველადვე მეფობისა, ვითარცა არღა მქონნი მამულისა და განბნეულნი ქვეყნად, ვითარცა ენისა არღა მქონნი და სხვათა ენათა ზედა ცუდად მოუბარნი, ვითარცა განბნეულნი ადრითვე მართლ-მადიდებელის ეკკლესიიდამ, ერი ესე ახალ ისრაილად წოდებულ იქმნა, ვაჭარი მსყიდავი, ცრუ, მტყუანი, უპირო და უპური, ერთგული მისი ვისგანაც აქვს გამოსარჩენი და რომელიცა მას შეიყიდვის ანუ ფულითა, ანუ პატივითა, ანუ სხვითა საჩუქრითა. დავით აღმაშენებელი, რომელმანცა შემოიხიზნა იგინი და დაასახლნა გორსა, თვით ინანაო და ოდეს იხილა გარყვნილი თესლი, მეფობისა დამკარგველი,—კრებისა კანონთა შინა, რომელიცა იქმნა ქალაქსა მცხეთას მის დროს, იტყვის სხვათა შორის: რათა ერი მისი ქრისტიანე იყოს მოძულე ცოდვისა მის სოდომელთა, რომელმანცა წარწყმიდნა ბაბილონი და რომელმანცა დაუკარგა მეფობა სომეხთა. თამარისაცა დროსა ქართველნი. გონებდეს ერთობითა სარწმუნოებისა, მოეყვანათ სულისა ერთობასაცა ქართველთა თანა.

აზრსა ამას გამოხატავს მოლექსე დედოფლისა თამარისა შავთელი... ოდეს იტყვის:

სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ მჩქეფენი,
ღმერთმან არ ღირს-ჰყო უფლებათასა.

(მუხლი 85)

## LXXXVI

მეფის-ძე გიორგი ხშირად იტყოდა ორგულობითა მოქცევასა

ყორღანიშვილისაგან, აღწერილისა გასუშტისაგან. მწუხარისა ხმითა მოუთხრობდა, ვითარ განსცა მან მეფე სვიმონ და შთააგდო თურქთა ტყვეობასა, და ვითარცა მემკვიდრემან მისმან ამოწყვიტა ყოვლადი გვარი ყორღანაშვილთა დიდითა მცირემდინ, და ვითარცა ერთისა ყრმისაგან, მამასთან გაბარებულ ისა კვალად გაბევრდა გვარი ყორღანაშვილისას მილასურის-გამო, დარეჯან დედოფალი იტყოდა შემდეგსა: გაიგონე რა გიამბო! დღესა ერთსა გროვამან ათასმან მგელთა მშიერთა, ვერ ჰპოვა საზრდელი, ერთმან მათგანმან ჰპოვა მძოვრი მინდორსა.—წარვიდა და აცნობა ძმათა მგელთა. შეშინებულთა მგელთა და ფრთხილთა გაგზავნეს ერთი გამბედავი თვისგან ცნობოს რა არის ეს მძოვრი მყრალი უმაგალითოო უჩვეული მათდა. მისულმან მგელმან იხილა მძოვრი, დასუნა და ნახა მძოვრი კაცისა მყრლალი; უკუმოიქცა და უამბო: ეს მძოვრი ყორღანაშვილისა არისო. გაქცნენ მგელნი და მოერიდნენ მძოვრსა ცუდსა.

## LXXXVII

სომეხთა შეაწერდა ხარჯსა ოდესმე მძიმედ; და ოდეს გაახსენებდენ შეუძლებლობასა მათსა, მაშინ ეტყოდა: გაიგონე რა გიამბო! სომეხსა შეარჩინე ერთი ბისტი; ერთს თვეზედ გახდის ერთ თუმნად. ერთსა ბისტსა, როგორ? ბატონო მეფევო? ჩვენვე, იტყოდა მეფე, მოგვატყუებს და ჩვენითვე გამდიდრდება.

## LXXXVIII

ვითარცა მართლ-მადიდებლობისა მოყვარე, ერთობისათვის ეკკლესიისა, მრავლად მეცადინებდა მათს მოქცევას. არა ჰსძაგდა ეკკლესია მათი, არცა წესი მათისა გალობისა.—მოქცევა მათი საჭიროა, ეტყოდა რუსეთისაცა ელჩსა კოვალენსკისა, ქვეყნისათვის. ადვილად გამცემი ქვეყნისა სომეხი, ერთს გროშზე გაჰყიდის მეფესა

და მეფობასა. აქა და სხვათაცა ქვეყანაში არა აქვს რა შესატკივარი გულსა, არცა კოშკი მამა-პაპათა, არცა ციხე ძველი, არცა ხმალი, წინაპართა, არც დროშა, არც მატური მეფეთა. დღესაც მოსაცთუნებლად სპარსთა და თურქთა, სადაცა არიან განბნეულნი მათნი რომელნივე, მარადის მოვისყიდით ჯამუშად სომხთა უნებურთა, და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომხთა. ასეა მათი ბუნება. დიდად სავნოა ჩემის სამეფოსათვის თესლი ესე განბნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოითა ნათესაობითა.—ვითარცა ვაჭარნი, საჭირონი არიან. ქვეყნისა მცხოვრებნი დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი; არა მეომარნი, მხდალნი და მაყურებელნი საწუთროისა, სადა და ოდეს დაედგნენ და ვისა მიემხრონ: ოსმალსა ანუ ყიზილბაშსა. თვით უპატივცემულესი მათ შორის ჩემს კარზედ, პატივს სცემს ფულსა და გამოსარჩენსა. ეს არის მათი ღმერთი და მას თაყვანსა ჰცემს. ეკკლესია სომხთა არის ანახეთქი რაიმე ძველად დაწყობილისა შენობისა; ნეშტი გოდლისა დაცემულისა, რომელიცა ჯერეთ არ იყო შესრულებული.— დროთა მათ ოდეს სომხნი განვარდნენ ერთობისაგან მართლ-მადიდებლობისა ე. ი. რომაელთა და ბერძენთა ანუ აღმოსავლეთისა და დასავლეთისა,—დიდნი ეკკლესიის სვეტნი ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგორი ღვთის მეტყველი და სხვანი აწყობდენ ეკკლესიასა 318 წლიდამ განთავისუფლებულსა დევნისაგან იმპერატორთა და წარმართთაგან.—ეკკლესიასა მიეცემოდა წესი და რიგი, მშვენიერება და სამკაული შენობათა გარე და შინაგან; მოიძიებდენ ძველად მოციქულთათა დროთაგან მიღებულთა კანონთა და მცნება დღესასწაულთათვის! აღიწერებოდენ მოთხრობანი მოწამეთა და ღირსთა და სხვანი,—ესე ყოველი იყო მიზეზი, რომელ სომხთა ეკკლესია დაშთენილი გარე ერთობისა დიდ ეკკლესიათა თანა მღვდლისა, ვითარცა შვილი უძღები ჰრბის ველსა ბრმად და უპატრონოდ, უპყრია წესდება ძველისა დაუფუძნებელისა ჯერეთ ეკკლესიისა, ე. ი. შობა და ნათლის-ღება დღესა ერთსა, მარხვათა დღენი ნებსითნი და მო-

ვალდებითნი; და ბეჭედი მღვდელ-მთავართ ხელთა-ზედა, ვითარცა აქვნდათ არიოზელთა ოდესმე; უცოდოთა ზედა შეწირვა, სამწმინდაოსისა ზედა გალობის დამატება: „რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის.“ ლიტურღია არცა ვასილისა, არცა ოქროპირ ა. არცა გრიგორისა ღვთის-მეტყველისა, დიდსა შაბათსა განსხნილება თევზით და ქრ-ბოთი, ერთის სიტყვით აღარ ესმათ ხმა და სწავლა აღსარებათა, რომლითაცა დაფუძნდა ეკკლესია მსოფლიო ქ. ი. აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. განშორებულმან ქრისტიანობისა დედა-ქალაქთა,— რომსა, კონსტანტინოპოლს, ანტიოქიას, ალექსანდრიას და იერუსალიმსა. სომხითმა არღა ისმინა რამე, და ვითარცა ყრუ, დაშთა ბრმად მჯდომი შორის ორთა: სამეფოთა სპარსეთისა და საქართველოისა. შემდეგ განბნეულმან პირსა ქვეყნისასა, ვითარცა ახალთა ისრაილთა, არღარა მიიღეს მათი და მხოლოდ დროთი დროთ დასუსტებისა გამო თვით საბერძნეთისა,—წარიტაცეს ლათინთა მისირში, ლიბანსა, ტურციასა და თვით ევროპიის ნაწილებშიაცა, სადაცა იგინი შეიხიზნეს პაპისა მოსავთა. დღესაცა ჰგალობს შარავანთა შინა თვისთა ქ. ი. საგალობელთა გალობასა და შეურაცყოფასა ხალკიდონისა კრებისა კანონთა; უწოდებს მას მგელთა ხროვად; ფლავიანეს მოწამესა გონებს მწვალებელად; ადიდებს და აღიარებს წმიდა დიოსკორესა და ევტიქისა. და რად? თვით სომეხთა ეკკლესიამან არა უწყის. მაგინებელი ხალკიდონისა კრებისა, აღიარებს სწავლათა და დოღმატთა, მუნ დამტკიცებულთა: აღმსარებელი წმიდა დიოსკორესა და ევტიქიასა,—არა აღიარებს დღეს მათთა წვალებათა. რომელთათვისცა განიდევნენ იგინი და შეჩვენდნენ.—ესე ვითარნი უწესობანი აქვს სომეხთა ეკკლესიასა, - ობლად, გარყუდ დაშთენილსა და მტერთა მათ შინაგანთა (ნახევარ სომეხთა ქ. ი. გაფრანგებულთა) და გარეგანთაგან დაჩაგრულსა და დაცინებულსა სიმცირისა გამო სარწმუნოებისა მათისა აღმსარებელთა. თვით რაცა ესე არის განბნეული, მივანტული სხვათა და სხვათა ქვეყნისა კერძოთა, არა მქონი მამულისა და დედა ქალაქისა; არცა კათედრის

ერთობისა. სხვა არის კათოლიკოსი ეჩმიაწინისა, სხვა არის კონსტანტინოპოლისა და სხვა მისისა ადგილისა, რომელნიცა ერთი მეორესა არა მორჩილებენ და არცა ვისგანმე დამოკიდებიან. კატეხიზმოსა ანუ სისტემაცა ღვთის-მეტყველებისა მათისა ეკკლესიისა არს კათოლიკეთაგან შედგენილი რომისა ეკკლესიისა წესდებითა, და საკუთარი რაიცა აქვსთ, ანუ რუსთაგან შედგენილი, ანუ არა სრულიად და ნათლად გამომეძიებელი მათთა დოღმატთა.

## LXXXIX

მეფემან გიორგი გამეფებისა შემდგომად მისწერა წერილი მეფეთა ჩამომავალსა, კასტანგ მეფისა შვილსა, გიორგი ალექსანდრეს ძეს გრუზინსკის, რომლითაც ევედრებოდა მიჰსცეს და დაუბრუნოს ქვეყანისა ჯვარი წმიდისა ნინასი. წერილი ესე იყო მესამე, მიწერილთა შორის მეფეთაგან თეიმურაზისა და ირაკლისა. კაჭარსა სომეხსა მიმავალსა ასტრახანს, გაატანა იგი და უბრძანა გარდასცეს მუნით ნიჟნი ნოვგოროდსა, სადაცა სადგურობდა თვით გიორგი ალექსანდრეს ძე. კოპიო წერილისა ამის, დაწერილისა მამისა ჩემისა ხელითა, არის ესე: უგანათლებულესო და დიდებულო ძმად და ბიძად საგულებელო გიორგი თანა-მოსახელეო ჩემო, (ესე ლექსი თვით მეფესა ჩაერთო)! ღმერთმან მამათა ჩვენთა, ინება და მომცა ტახტი ქართველთა მეფობისა, გაოხრებულისა მტერთაგან, აკლია ახალი რაიმე წყალობა, სასოება და ნუგეში. პაპისა და მამისა ჩემისა თხოვითა დაკურთაკ ვედრებასა ჩემსა: მოანიჭეთ ჯვარი წმიდისა ნინასი,—საუნჯე ქართველთა ქართველთავე; ჰქმენით სახელი და საჩუქარითა ამით ეკკლესია წმიდა ჩვენი. განსვენებულმან გიორგი პაპამან თქვენმან მოსცა ხატი ძვირფასი ღვთის-მშობლისა სიონისა და გვაქვს სიქადულად. ნუ მიხედავთ დროთა წარსულთა და ოჯახისა შფოთსა: თუ ინებებთ და თვით მობრძანდებით, როგორც იწერება გაიოს ასტრახანიდგან, დიდად მოხარული ვიქმნები, ვეცდები

გასიამოვნო და გაამო ვითარცა ძმასა მამამან და ბიძასა ძმის-წულმან. ინებოს ღმერთმან ეს აღასრულდეს მობრძანებამდე თქვენისა, ინებეთ ბოძება სატისა, აკურთხეთ მით კვალი გზისა თქვენისა რუსეთი ქვეყანასა ჩვენსა და განუსვენეთ ესრეთ დიდსა დროითა მოლოდინსა. ველით პასუხსა მეცა და სამღვდელო და საერო და ერიც. მოკითხვას მოვახსენებ სახლობასა თქვენსა, სისხლსა და ხორცსა ჩემსა, ამბავი ჩვენის ქვეყნისა მტერთაგან შევიწროებულისა, თქვენც მოგეხსენებათ. რუსეთი თუ არ შეგვეწია უჭირს საქრისტიანოსა. მაქვს მიწერ-მოწერა რუსეთის ხელმწიფესთან. სპარსთა ველარ ვენდობით. თურქნი ავის თვალით გვიყურებენ. ლეკი ვერ დასცხრა ავაზაკობისაგან, შინაურის მტერის არ მეშინიან. არიან მჩხავანი კატანი. როინ გედევნის შვილს უბრძანე მოსვენებით იყოს: ნუ განდიერობს, გაიოზიც უმადური არის სადმე მისი. იმას ნურას ერწმუნებით. თქვენი ერთ-გული ძმა და მეგობარი გიორგი.

ივნისის 10 დღესა
1798 წელსა.

მეფე
გიორგი

ეს წერილი იყო უკანასკნელი მეფეთაგან ჯვარისათვის წმიდის ნინასი. მეფის-მეთა მირიან, ფარნაოზ და სხვათა მიამზეს, რომელ მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა წერილი პავლე იმპერატორთან მისაწერი, და წერილი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული, რომლითაცა ევედრებოდა მას გამოსთხოვოს იგი უსამართლოდ დამპატრონებულთა ჯვარისა, უკეთუ თხოვითა ამითაცა არა ეშველებოდა საქმესა, მაშინ აპირებდა ექმნა კრება სამღვდელოთა და კრებისა განაჩენისა ძალითა მოეთხოვნა საუნჯე ქვეყნისა. ექადოდნენ შეჩვენებითისა განჩინებითისა წარვლენასა. ესე და მორიდება რუსთა იყო მიზეზი, რომელ გიორგი ალექსანდრეს-მე დაეჯერა და წარუვლინა იმპერატორსა პავლეს (ალექსანდრეს) და ამან შემდგომ გარდაცვალები-

სა მეფის გიორგისა წარუვლინა საქართველოსავე 1801 წელსა და დაიდვა საფარველად ქრისა სიონისა თბილისს ეკლესიასა შინა.

თაყვანის საცემლად ჯვარისა ამის წარვიდოდნენ ქართველთა მღვდელთ-მთავარნი მოსკოვიდამ ნიჟნი ნოვოგოროდშია ს. ლისტოვოს: პაფნოტი არხიეპისკოპოსი ხოზიაშვილი [38]). იოანე მიტროპოლიტი მროველ მყოფელი, ნიკოლოზ თბილელი, ზენონ ალავერდელი და სხვანი. კათალიკოსი იმერეთისა მაქსიმე დიდად მოსურნე ჯვარისა ხილვისა წარვიდა მოსკოვით და თაყვანი-ჰსცა მას. მცირედიცა ნაწილი მისი, წარმოიღო, მითხრა არხიმანდრიტმან გენათისა მოხუცმან სვიმონ წულუკიძემან.—ესე მიამბო, მეტყოდა, ჯერეთ ყმაწვილსა სოფრონიოს ნიკორ წმინდელმან წულუკიძემანვე გვარად, არხიეპისკოპოსად იმერეთისა გარდაცვალებულმან 1844 წელსა მე-

---

[37]) პ ა ფ ნ ო ტ ი არქიეპისკოპოსი მოქვისა (სამურძაყანოს ანუ აფხაზიასა) გვარით ხოზიაშვილი, ძე მეკონდახისა და თვითცა იცოდა ხელობა ესე. 24 წლიდგან შედგა ბერად და ახლდა კათოლიკოსსა ანტონის დიაკვნად. შემდგომად გარდაცვალებისა გიორგი მეფისა, ბატონის შვილის იოანეს თხოვითა 1802 წელსა აკურთხეს იგი არხიმანდრიტად თირის მონასტრისა, დიდ ლიახვზედ, შემდგომად გარდავიდა მეგრელიაში დედოფალს ნინასთან, რომლისა ქმარმან დადიანმან გრიგორი წარავლინა დესპანად რუსეთსა. ჯილდოდ ესრეთისა დესპანობისა მიუბოძეს არქიეპისკოპოსობა მოქვისა. 1811 გარდაჰყვა დედოფალს ნინას რუსეთსა და დაშთა რუსეთსავე მოსკოვის ჩუდოვის მონასტერში: აქა გარდაიცვალა 1823 წელსა 50 წლისა და მუნვე დაეფლა. მოსკოვისა არქიეპისკოპოსსა ავგისტინეს დიდად არ უყვარდა იგი მეშურნეობითა, რამეთუ დიდად პატივ სცემდენ მას მოსკოვისა მცხოვრებნი. იყო კაცი მოხუმარი, მხიარული, პურადი და ყოველთადმი სიყვარულითა აღსავსე. მთავარმან საქართველოისა ციციანოვმან წარგზავნა იგი კაიშაურისა მთიულთა დასამშვიდებელად. აქა იტყოდა თვით, 40 ხანჯლითა მჩხვლიტესო და დამიფარაო სიკვდილისაგან და სირცხვილისა მეფის-ძემან ფარნაოზ. 1815 მოვიდა დროებით თბილისსა და ექსარხოსმან ვარლამ ქსნის ერისთვის შვილმან არ აწირვინა სიონში მტერობითა. ესე იწყინა მან და ჰყვედრიდა მას ესრეთსა მისდამი მოქცევასა, ოდეს მოვიდა თვით მოსკოვსა. სადაცა გარდაიცვალაცა, ვითარცა გადაყენებული ექსარხოსობიდამ.

ფისა გიორგისა. ნინისაგან, მეუღლისა გრიგორი დადიანისა ასულისა, ვიცი ესეცა, რომელ მოსკოვისა მიტროპოლიტსა პლატონს, მოუწადინა ხილვა ჯვარისა ამის, დროსა ხილვა ჯვარისა ენება იმპერატრიცა ეკატერინესსა და ოდეს უჩვენეს იგი მას მოსკოვს ერჩივა მეპატრონეთათვის წარგზავნა მისი საქართველოდვე, მიეცათ მათცა პირობა და ვერ გაიმეტესო შემდეგ. ეს ამბავი ვიცი იონა მროველ მიტროპოლიტისაგანაო შემდეგ დღეთა დაგვირგვინებისა ალექსანდრე პირველისა. ოდეს წარვდეგით მიტროპოლიტთან პლატონთან, მე და ძმა ბაგრატ, მეტყოდა მეფის-ძე მისაილ, მოგვილოცა ჩვენ ჯვარისა წარგზავნა ხელმწიფისა ალექსანდრისაგან საქართველოდ, დიდად იამა მასცა ესრეთ სიყვარულითი მიხედვა იმპერატორისა ქართველთადმი.

## XC

მფარველობა რუსეთისა, 1783 წლიდგან დამტკიცებული ტრაქტატითა, აქვნდა იმედათ პირისპირ სპარსთა. ამისთვის სწერდა წერილითა ელჩსა თვისსა გარსევან ჭავჭავაძეს და მათ არწმუნებდა რუსეთსა თვისსა ერთ-გულებას. გარსევან ჭავჭავაძე, სათნო და საიმედო მეფისა გიორგისაგანცა ჰსძულობდენ მას, მეშურნეობითა რავდენნიმე პირნი კარის-კაცნი; გარნა ვერ გაბედავდნენ მეფესთან რასამე მათზედ უშვერისა თქმასა. ელიაზარ ფალავანდოვსა ჰსურდა დანიშნულიყო ნაცვლად მისსა რუსეთისა კარზედ: მოახსენეს ესე მეფესა და დიდად შორს დაიჭირა. ერთ-გულობაზედა გარსევანისა სრულიად იყო მეფე დარწმუნებული. და მისისა შვილისა ალექსანდრესაგან ვიცი არა ერთგზის თქმულად, რომელ მამა-ჩემი გარსევან იყო შემადგენელი ტრაქტატისა მის, რომლითაცა შეეკრა რუსეთსა მეფე გიორგი 1799 წელსა. მამასა ჩემსაო, მეტყოდა ალექსანდრე, ჰსძაგდენ მეფისა ძმანიო და თუმცა არ უყვარდა მეფე გიორგი, სუსტად დროთა ამათთვის გასაჭირთა საგონებელი ძმათაგან, გარნა

დიდად ესვიდა, ვითარცა კაცსა სვინდისიანსა, ქვეყნისათვის მზრუნველსა და გონიერსა ჭაზრითა და მოქმედებითა. ორმოცამდის მეფის წერილი, რომელნიც აქვნდნენ ალექსანდრესა, მიწერილი მამისა მისისადმი, დიდად მოწმობენ მეფისა გონიერებასა და სამეფოისა თვისისა დაწყებასა და განგებასა." წერილნი ესენი აღარა არიან შემდგომად აოხრებისა წინანდალს მისისა სახლისა ლეკთაგან, რომელნიცა 1854 წელსა დაუწვეს სახლი და წარასხეს სახლობა ჭავჭავაძისა. ხშირად განმხნევდებოდა მეფისაგან, რათა ჭპატრონობდეს მისსა სამკვიდრებელსა კახეთსა დრომდე შესრულებისა საქმეთა რუსეთისათანა. მეფემან დღესა ერთსა უბრძანა ავალის-შვილსა; ეცადე, იყო ერთ-გულად სიძისა შენისა გარსევანისათო. შემეწიე მეცა და ნუ დამზოგავ, თუ ვიქმნები საჭირო შენთვის. გარსევან ჩვენთვის ჭინასულობს რუსეთში და ჩვენ მისთვის ვიჭინასულოდ აქა. იმას იქ არა უჭირს რა შვილი მისი ალექსანდრე, ნათლული იმპერატრიცა ალექსანდრასი და კეთილად აღზრდილი, შვილია ჩემიცა და გამოსადეგი ქვეყნისათვის. მოუწერია გვზავნიო საქართველოდ, დიდად მიამება მისი ნახვა.—ეს ამბავი მიამბო თვით გიორგი ავალი-შვილმან მოსკოვს. იყო მეგობარი მამისა ჩემისა, და აქვნდა მასთან მიწერ-მოწერა სიკვდილადმდე და იამა ჩემი ნახვა, ჩემთან საუბარი და გაცნობა. იყო თვით მწერალი და გადმომღები რუსულითა ქართულად წიგნთა მრავალთა. ამავე დროსა ვნახე პირველად და უკანასკნელად მასთან სანახავად შემოსული გიორგი ალექსანდრეს-ძე გრუზინსკი, რომელმანცა მიართვა ჯვარი წმიდის ნინასი იმპერატორსა პავლეს, ალექსანდრეს და კონსტანტინე პატრონის-შვილს, ძე იმერთა მეფისა დავითისა,—მეფისა ირაკლისაგან იმერეთით განდევნილისა.

## XCI

მოუთმენლად ელოდა მეფე გარსევანისა წერილთა. მეფე გიორგი ეტყოდა დავით თარხნის-შვილსა: როდესაც მოვიდოდა მისი

წერილი, შეჰყრიდა მდივან-ბეგთა ეგნატი თუმანის შვილსა, თეიმურაზ ციციშვილსა და მდივანთა, რომელთა შორის იყო ერავ ბეგთაბეგიშვილი, სომეხი და დიმიტრი (ქართველი) თუმანის-შვილი, მოლექსე. ესრეთმან მლოდებიდგან მარადის მეფისაგან, გარსევანის წერილთა მიღებასა, მიაწერდეს სხვანი მიუხდომელობასა და შიშსა განცემითისა გარსევანისაგან. მეფე ფრთხილი და მღვიძარე საქმეთა შინა, არასა ჰგონებდა ცუდად ელჩისათვის თვისისა და ამისთვის ოდესმე დროთი-დროთ შეჰყვანდა სირცხვილსა და კდემაში, გარსევანისა მტერთა სურდათ, მეფისა მიმალულთა წინააღმდეგთა, დაეშორებინათ გარსევან მეფისაგან, რომლისაცა გული ვერ გაიგრილეს მასზედ, ვერცა კარის-კაცთა, ვერცა ძმათა, ცუდად მისთვის მოსაუბრეებმა, ვერც დედოფალმან დარეჯან, რომელიცა ჰსწყალობდა მას წყალობითა გამო მეფისა ირაკლისა და ჰგონებდა, რომელ შერჩებოდა მას და შვილთა მისთა ერთ გულად დროთა შფოთისა და ანბოხთა, რომლითაცა ამწარებდა მეფესა გიორგის. გარსევან, უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა, მეტის მნახავი და უკეთ მზრახველი, იყო მტკიცედ და შეურყეველად თვისსა მოვალეობასა ზედა. ჰაზრი მისი იყო ემსახურნა მამულისათვის, ჰფიქრობდა მეფისათვის და დამშვიდებისათვის აღრეულთა ქართველთა, მოკლედ იცნობდა მეფის ძმათა და შვილთა; ოდესმე ასმენდა მათ და ამხილებდა. თვით დედოფალსა დარეჯანს, მწყალობელსა თვისსა, მოჰსწერა წერილი მკვახე სადმე შფოთათვის დაუცხრომელთა და დიდად არა მოეწონა არცა ანდერძი მეფისა ირაკლისა, არცა მეცადინებდა თვით დედოფლისა, რათა აღვიდეს ტახტსა და მეფობდეს მაგალითისა მებრ ეკატერინასსა. წერილისა ამის პირი თვით გარსევანმა წარუდგინა მეფესა და ოდეს ჰსცნო ესე დედოფალმან, დიდად იწყინა და დააბრალა პირმოთნეობასა. მხლებელნი დედოფლისა ეცინოდნენ გარსევანსა, ჰყვედრიდენ მას და ოდესმე ურიგოდცა მოიხსენებდენ.

დროდ არხივი რუსეთისა გამოაჩენს, რაოდენს მაღლად იდგა გარსევან გონიერებითა და საქმითა სხვათა ზედა ქართველთა, რაიცა

მე ვიცი არხივისა საქმეთაგან, რომელთაცა მე აღმწერელი მეფისა ცხოვრებისა არა შევეხები—ვიტყვი გარსევნისათვის, რომელ დროთა ამათ იყო იგი სვეტად მტკიცედ მეფობისა, ერთ-გულად მეფისა და მამულისა. მგმობელი მის ჰსცოდავს.

## XCII

გამეფებულმან გიორგი, მრავლად მწუხარემან ძმათაგან მეფობისათვის, ჰსცნო სიტყვა, თქმული მღვდლისა იოსებ თურქი-ტანის შვილისაგან საცინელად მეფეზედ: ეს აბაზიც ყალბია!—მეფემან მეორეს დღესა დაიბარა მღვდელი, მოიკითხა, გამოჰკითხა ამბავი ქალაქისა და უბძანა მიუტანოს და მიართოს ოქმი რავდენთამე კომლთა კაცთა, ბოძებულთა წინათ მეფეთაგან, რათა დაამტკიცოს მანც ვითარცა ახალმან მეფემან,—ჩვეულებითისა წერითა, მეორესა დღესა მიართვა ოქმი, აიღო მეფემან ოქმი და უკუაგდო ცეცხლსა, რომელიცა ეთებოდა ბუხარში, და დაუმატა სიტყვა მისივე მღვდლისაგანვე თქმული: ეს აბაზიც ყალბიაო! მრავალნი მრავლად ბოროტად ანუ უშვერად განმარტებენ მეფისა ესრეთსა მოქმედებასა. საქმე ესე იქმნა საჰსჯულად ღვთისა, უშვერად მეფისა მოხსენებულისა. რა უწესობაა ესე დროთა მისედვით? ნუ უკვე სხვებრი ჰსჯულისა მებრ სასჯელი, განკიცხვისათვის მეფისა იქმნებოდა უმეტეს მსუბუქი? განისილონ ესე მკითხველთა და მსმენელთა.

შემდეგ რავდენისამე ჟამისა მასვე მეფესა შეეწყალა მღვდელი იგი თურქისტანიშვილი ხუმარი და ადრითვე მეფესთან დაახლოებული და უბოძა ახალისა ოქმითა ყმანი და მამულნი ძველსა წერილში მოხსენებულნი.—მაშინ მღვდელმან გამხიარულებულმან მოახსენა სიტყვა ფსალმუნისა: „წყალობასა და სამართალსა გაქებდენ შენ, უფალო.“

მღვდელი ეს ღრმად მოხუცი გარდაიცვალა 1820 წელსა თბი-

ლისს, და მარადის კეთილად მომხსენებელი მეფისა აკურთხევდა მეფობასა მისსა და შვილთა მისთა.

## XCIII

ოკტომბრის თვეს სვეტი ცხოველობისა დღესასწაულობისა გამო მიბრძანდა მეფე ქ. მცხეთას, ჩამოხდა ცხენიდამ და იხილა კაცი ცხენოსანი, რომელიცა მოაჭენებდა შორით მცხეთისაკენ.—მოახსენეს მეფესა, მუხრან ბატონი მობძანდებაო. შემოსხურებისა აიაზმისა შევიდა დიდსა ეკკლესიასა და ხმითა მაღლითა წარმოსთქვა: სვეტო ცხოველო! შენ მიაგე მტერთა ჩემთა; შენდა დამიცს ყოველი სასოება ჩემი.—იწყეს მწუხრი და შემდგომად მწუხრისა მოვიდა კაცი და მოახსენეს: ცხენიდამ გადმოვარდა და გარდაიცვალა მუხრანის ბატონიო! შესწუხდნენ მეფე და კათოლიკოსი, დაიწერეს პირჯვარნი და ევედრებოდნენ ქსრეთსა უეცარსა ამბავსა.

კაცთა მოსრულთა და მოამბეთა მოახსენეს: ფონთხელას, რომ გამოსცილდა ბატონი იოანე მუხრანის ბატონი, დაიძახეს მდევარიო. 50 კაცითა მხლებლითა, გამოუდგნენ ლეკთა არაგვის პირზედ მიმალულთა და ოდეს მიახლოვდნენ, დაუწყეს თოფთა სროლა, უკუქცეულთა არაგვისაკენ მდინარისა გზითა. მაშინ დაბრუნებული მუხრანის ბატონი გადმოვარდა ცხენიდამ, წვეთითაო გნებული, და მსწრაფლ განუტევა სული.—მუხრანის ბატონმა არა იცოდა მიბრძანება მეფისა მცხეთასა და არცა გონებდა ჯერეთ მეფისა ნახვასა, რომელიცა მას არა სწყალობდა. მან სცნო ესე უკუნქცეულისა კაცისაგან, რომელიცა წინათ იყო გამოგზავნილი მოსამზადებლად ბინისა მისთვის მცხეთას. ზოგთა მიაწერეს ესე უმეცარი და მოულოდებელი სიკვდილი, ძლიერსა წყენასა, მოულოდინებლად მეფისა მიბრძანებისა გამო მცხეთას, ზოგთა მეფისაგან წყევითა წართქმულთა სიტყვასა და ზოგთა დაღალვა დევნისა გამო ლეკთა დასისა და კი-

თარცა ბრგესა, სისხლ ჭარბსა კაცსა, მარადის ეშინოდის სადმე დამბლისა.

მასვე დროსა არღა მოასვენეს მცხეთას გვამი, წაასვენეს იგი მუხრანსა; თვით მეფემან მისწერა, სამძიმრისა წერილი დასა თვისა, მეუღლესა მისსა ქეთევანს და შემდგომად სამისა დღისა მოიტანეს გვამი და დაასაფლავეს მცხეთას, ვითარცა საძვალეთსა მათსა. მუხრან ბატონობა უბოძა და დაუმტკიცა შვილსა მისსა კონსტანტინეს.

შეწუხებული მეფე სამეფოსათვის დაუწყნარებელისა შინა შფოთთაგან და მტერთა ლეკთაგან გაქელვისაგან. —ჰფიქრობდა და განიზრახვიდა რუსეთისადმი ქვეყნისა გარდაცემასა. პატრმან ნიკოლა გვარით რუტილიანომ „(ესე განაძიეს ქართლით მინისტრის ბრძანებითა 22 ნოემბერს 1801 წელსა.) მოახსენა მეფესა: ევროპისა მეფეთა ვერ უძლებს სამეფო შენი ტკბილი. წესდება მათი და ჩვეულება იქმნება სამძიმო თქვენთვის, დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნების დაცინებული და საკიცხველი უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყნისა მოყვანილი, შექმნის ერსა მტრად და მდევნელად, და მაწუხებლად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, გარდაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყნისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარჯთა რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაისყიდებიან ბარაბანით და მკვდარნი თქვენი დაიმარხებიან მუსიკითა.“

დღესაცა სიტყვასა ამას პატრისაგან თქმულსა მოიგონებენ თბილისისა მცხოვრებნი. ოდეს მუსიკითა უძღვიან საფლავამდე მიცვალებულთა.

ჩემო პატრო! უპასუხა მეფემან, დავსუსტდით, გაქრება ქრისტიანობა აქ ურუსოდ. მეტად მოგვერია მტერი და რა მტერი! ქრისტესი. თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა ვერ ვინ დაიცვამს სა-

ქრისტიანოსა. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედ ბრძანებლობისა. რა ვქმნა ვის მივმართო? რა პასუხი გავსცე ქრისტესა! ვერ წავიწყმედ სულსა. შევსწირავ ცოლშვილსა და შეუდგები ქრისტესა და ჯვარისა თაყვანის მცემელად მოვიყვან მწედ ქვეყანასა. ესე იყო სურვილი ძველთა მამა-პაპათა ჩემთა: და ესე იყო ჭაზრი მამისა ჩემისა და მეც დავადგრები მასზედ, ჩემი პირობაები რუსეთისა მეფესთან,—საკეთილონი არიან ქვეყნისათვის.“

მაშინ ათანასი ჯვარის მამისამან, რომელიცა შემდეგ იქმნა პატრიარქად იერუსალიმისა, დასამტკიცებლად პატრისა რჩევითა, ბრძანა: მოიტანონ დაბადება და წარიკითხონ ისაია წინასწარმეტყველისა თავი 3 და იხილონ რას იტყვის ღმერთი წინასწარმეტყველისა პირითა ერისათვის, რომელიცა ესრეთ დამოკიდება უცხოსა ნათესავისა უფლებასა. ეგნატი იოსელიანმან, ჯერეთ ერისკაცმან და მამამან ჩემმან, წარიკითხა იგი.

ეჰა მეფე უფალი საბაოთ მოსპოვლეს იერუსალიმისაგან და იუდისაგან ძალსა დაურდნობელსა, პურისა ძალსა და წყალისა ძალსა, გმირსა და მძლესა, და მსაჯულსა და მდიდარსა და წინასწარმეტყველსა და მოაზრესა და მოხუცებულსა და ერგასისა თავსა და საჩინოსა თანამზრახველსა, და ბრძენსა ხუროდ მოძღვარსა და გულის ხმიერსა მოძღვარსა მხსნელსა. დავადგენ ჭაბუკთა მთავრად მათთა, და ყრმათა უფლად მათთა......... ყრმასა დაუდგენ რათა უბრძოდეს მოხუცსა და დრკუსა კაცსა მეწინააღმდეგესა კაცისა პატიოსანისა......... შეიპყრას კაცმან ძმა თვისი ანუ სახლეული მამისა თვისისა, მეტყველმან: შესამოსელი გააქვს, იყავ ჩვენდა წინამძღვარად და ჭამადი ჩემი მანახე ვითარცა გენებოს. და პასუხად რქვას დღეთა ამათ: არა ვიქმნები თქვენდა წინამძღვარად. არცა არს სახლსა ჩემსა პური, არცა სასმელი რამეთუ დატევებული იქმნა იერუსალიმი და იუდა დაეცა, რამეთუ ენანი მათნი და ქცევა მათი არიან წინა-აღმდეგ უფლისა და აღაშფოთებენ ღვთისა დიდების თვალთა ..... ერო ჩემო, კაცნი, რომელიცა მთავრობენ შენზედა მაცთურებენ შენ, დაგკარქვენ

გზისა შენისა გვალოსა.....დროთა ამათ უღმთო მოუღებს სამკაულთა, და სარკეთა და შემოსავს საგლოველსა სამოსსა, მოხსნის სარტყელთა, მოხდის ქუდთა და ქაჩლად სახილველ ჰყოფს თავისა მათისა თხემთა: განმსწორებს მთ მიწასთან, სწუხნა მეფე, ამოიოხრა და ბრძანა: „ღმერთო დაგვიფარე; ღმერთო დაგვიცვე; ღვთისა დედაო, ნუ მიგვცემ ჩვენ კაცობრივსა განძრახვასა, არამედ წილ ხდომილთა შენთა გვიქმენ პატრონი და მფარველი; ევთიმისა წინამძღვარსა და მოძღვარსა მოასხსენეს ესე ამბავი. მოვიდა მონასტრიდამ და კვალად განამხნევებდა მეფესა, რათა არა ჰსცვალოს ჰაზრი თვისი პირველი და მისცეს სამეფო რუსეთისა ხელმწიფეთა მფარველობასა. დამყარდა მეფე ჱისსა რჩევაზედ და ჰსთქვა: სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ გარდა მისთა ხელმწიფეთა."

## XCIV

შემდეგ გარდაცვალებისა მეფისა რუსთა დაივიწყეს ევთიმი, ჰყვანდათ უპატიოდ და ვერცა დაიცვეს დევნათაგან, რომელნიცა აღუდგინეს მას ძმათა. გაგზავნილმან ჩინოვნიკმან საჩივართა გამო მასზედ მრავალ საყიო და უპატიო ჰყო, ჰსტუქსა უშვერად, მოიხსენა მწარედ და განაჩინა განშორება მისი წინამძღვრობისაგან უდაბნოისა. ევთიმი არ იგლოვდა ესრეთსა განჩინებასა, მოიხსენებდა პატრონსა და ათანასისა სიტყვათა და იტყოდა: ჭეშმარიტად ღირს არს მუშაკი სასყიდლისა; მომეგო მე ჯერისაებრ. სოფელსა შინა მყოფსა, მომხვდა მე სოფლისა მათრახი, ღმერთო ჩემო. ნუ მიმცემ მე უმეტესსა სასჯელსა; მოქმედება ჩემი და მეცადინება რუსთა მოყვანისა არა იყო ორგულება ქვეყნისა.

1844 წელსა ს.-პეტერბურღსა, ყოფნასა ჩემსა მეფის ძემან ფარნაოზ არა კმაყოფილმან, რომელ არ კადრე ჩემგან დაბეჭდილისა მუნ ისტორიასა ეკკლესიასა მეფე,—გიორგი მიმცემი რუსეთისადმი საქართველოისა, მიბრძანა: ჩემო პლატონ, მეფე გიორგი და ძმა

ჩემი არა არის საგიობელი შენგან. შენ ჰხადი მას მიმცემელად ქვეყნისა. არა? იგი ვერ გასცემდა ქვეყანასა; ვერ განსყიდდა მას; ვერ შეექმნებოდა ორგული ტახტსა და სკიპტრასა. შეიმცნე სიტყვანი ესე ჩემნი და თვით დაამტკიცე, ვითარცა მეისტორიემან, ჰაზრი შენი. — სიტყვათა ამათ ზედა მე ვსდუმნე: ვიხილე რომელ, მრისხანედ მიბრძანა ესე...

## XCV

მეორესა დღესა შემდგომად მეფისა ირაკლისა გარდაცვალებისა, მეფემან გიორგი ბორჩალოდამ მიუწოდა ჩოლაყაშვილსა დავით ჯიმშერისა-შვილსა, კაცსა სიტყვა მარჯვესა და კვალად ატტიკურად მწერალსა და უბრძანა ოქმისა ზედა წარწერა ბეჭედსა მისსა მეფობისა. დღისა მეორისა თვისა უქმნა მას წარწერა ბეჭდისა ოქმთა და ბრძანებათა თვის შემდეგი: სიმდაბლით გარდამოსრულსა იესოს ვაქებ ღმერთ ჰკაცსა სრულსა. მუნიდგანვე წარმოგზავნა კაცი თბილისს და ოქრო მჭედელსა კოსტას... ამოაჭრევინეს ვერცხლზედ. მიერთვა მეფეს თელავს და მოეწონა. ამა ბეჭდით გამოვიდა პირველი ოქმი მეფისა, რომლითაცა მეფემან გიორგი მიართვა ძღვენად თელავისა კარის ეკკლესიასა ორი კომლი კაცი მათის მამულითა და ზვარითა. მასვე დროსა უქმნეს დედოფლობისა ბეჭედი მეუღლესა მისსა მარიამს მარტივითა ზედა წარწერითა: „დედოფალი მარიამ.“

## XCVI

მოსრულსა ქალაქად თბილისად მეფესა ეახლნენ თბილისისავე მცხოვრებნი თავადნი, აზნაურნი და სამღვდელონი, რომელთაცა მოსვლადმდე მისსა დაეფიცათ ერთ-გულობათა ზედა სასახლისა ეკკლესიასა, რომელიცა იყო ნაკურთხი კვართისა საუფლოისა სახელ-

ზედა. დიდად ერთ-გულად შერჩნენ მეფესა იოანე ჯანდიერიშვილი, რომელსაც უბოძა მოურაობა კაკაბეთისა და იყო მასთან თან-შეზ-დილი.—შემდეგ უბოძა ბორჩალო და ქთვლისი. შემდეგ მისსა იყვ-ნენ ერთგულადვე და თავ-გამოდებულად პაატა ჭავჭავაძე და სვიმონ ჯანდიერის-შვილი, როცა უბოძა მოურაობა ველის ცისისა.

მასვე დროთა თავადთა და აზნაურთა ცოლნი მიულოცავდნენ დედოფალსა მარიამს. მეორესა დღესა წარდგნენ სომეხთა ვართაპე-ტი ვანქისა ოჰანეზ, სამღვდელოითა, მელიქი ქალაქისა და სხვანი მოხელენი ქალაქისავე. კათოლიკოსმან და არსენი თბილელმან და რუსთველმან სტეფანემ სწირეს სიონის ეკლესიასა, თანა დასწრე-ბითა მეფისა დედოფლითა, სამეფოისა სახლისა წევრთა და ქალთა წარჩინებულთა და დიდებულთა; გარდაიხადეს პანაშვიდი გარდაცვა-ლებულის ირაკლისათვის. მეფე სტიროდა და ვითარცა აქვნდა ჩვე-ულება ცრემლითა მოისმენა წირვისა, იტყოდნენ ვიეთნიმე არა კეთი-ლთა სიტყვათა მეფისათვის, რეცა სასილველად მგლოვარისა. გარნა მეფე იყო ნამდვილი კეთილ-მსახური და მორწმუნე, მოვიდა ღმრთო-ბიერებასა და გამოვიდა ეკლესიიდამ მწუხარე.

## XCVII

მეორესა დღესა მიბრძანდა მუხრან-ბატონი იოანე, წარსდგა მე-ფესთან და მეფემან ცნობილმან, რომელ არა არის მისგან კმაყოფი-ლი და არცა მისდა კერძოდ, არამედ ძმათადმი უმეტეს განწყობილი, —უბრძანე სიტყვანი ტკბილნი და დიდად დაწყნარებითა,—იყოს მისდა ერთ-გული მოვალეობისა მებრ მისისა მეფისადმი. მუხრანის ბატონმა აღიარა ნამდვილი მოვალეობა თვისი და დაამტკიცა ფიცი-თა, რომლითაცა მასვე დღესა თფილისსა მოსვლისა მისცა ფიცითი ერთგულობა სხვათა შორის. მეუღლესა მისსა მეფისა ირაკლისა ასულსა ქეთევანსა, აქვნდა დიდი რიდი მისიცაო მეფისა მისსა სა-ხლზედ მაიკვიანებულისაო, მეტყოდა მოხუცი გიორგი ერისთავი,—

მოჰყვა თან ქმარსა თვისსა მუხრანის ბატონსა იოანეს; წარვიდა და წარდგენ პირველად დედოფალთან და შეუგზავნა კაცი მოკითხვისა მეფესა. მეფე თვით მიბრძანდა და ნახა დაი თვისი, ორნივე სტიროდენ და ორთავე ატირეს მუნ მყოფნი ქალნი და კაცნი, ესრეთ ამა დროთაგან უკანასკნელადმდე ქმარიცა და ცოლიცა იყვნენ მარადის დუმილითა, ფრთხილნი არა აწყინონ რა მეფესა, თუმცა გულითა არ აქვნდათ მეფისა სიყვარული,—იტყოდა იგივე ერისთავი გიორგი.

## XCVIII

მასვე დღეს წარუგზავნა ეპისტოლენი მონასტერთა და უდაბნოთა, რათა უწირონ გარდაცვალებულსა მეფესა, წესისაებრ ეკკლესიისა ორმოცი და წლის წირვა და აღუთქვაცა სანუგეშოდ ძმათა თვისთა დროსა საწირავი ესრეთი ოქმი, მიწერილი ეპისტოლედ მეფისაგან ბეჭედ დასმული, სახელსა ზედა ათანასი შიო მღვიმელისა წოდებითა ხოლო და არა ნამდვილ წინამძღვრობითა, მაქვს მეცა. აჰა პირი მისი:

„შიო მღვიმისა წინამძღვარო ათანასი და უდაბნოისა მამაო! ინებეთ გარდაცვალებულსა მეფისა ერეკლისათვის შვიდისა, ორმოცისა,—და წლის წირვა გარდაიხადეთ, თვისსა დროსა ეს ჩვენი ოქმი წარმოგვიდგინეთ, რომ ძმათა სანუგეშო აღვასრულოთ, წელსა 1798 აპრილის 30 დღესა.

მეფე
გიორგი

ესე ათანასი იქმნა შემდეგ არქიმანდრიტად; იყო კაცი განსწავლული ანტონისაგან პირველისა კათოლიკოსისა; გვარით მიქელის-

შვილი კახელი. 1802 გვალად შევიდა შიო მღვიმეში ლეკთა შიში-თა გაოხრებულსა. 1803 ოდეს მოეგება მემკვიდრესა დავითს ქ. მცხეთას ფებერვლისა 19 ჰსთხოვა თანა წარუგეს მას რუსეთსა ათა-ნასი; მასვე დღესა თანა ჰყვა მას და წარიყვანა რუსეთსა კერძო დია-კონად მომზადებული შიო მღვიმეს ზაქარია იოსელიანი, ბიძა ჩემი, გარდაცვალებული ღენერალ-მაიორის ჩინითა 1865 ს.-პ. ბ. თვით ათანასი უკუ-მოიქცა მუნით და დასაფლავდა კახეთს.

## XCIX

დღესა მას, ოდესცა იქმნა დაფიცება თავადთა და აზნაურთა და ფიცითსა ფურცელზედ ხელის მოწერა მეფისა ერთ-გულობაზედ, მა-შინ დავით რექთორმან თელავისა სემენარიისა შემდგომ წირვის აღ-სრულებისა მოახსენა მეფესა იამბიკოდ ლექსი წარკითხვით. თვით რექტორმან წარსთქვა ესე და მერეთ იგალობა რვათა თვისთა მო-წაფეთა თავადთა ჯერეთ ყრმათა. კიდურ წერილობა ანუ აკრო-სტი-ხი იამბიკოთა იყო: „მეფეს გიორგის უგალობს რეკტორი დავით.“

მეფემან პატივი-ჰსცა მას მადლობითა და ამცნო ერთ-გულობი-სა მოვალეობა მეფისადმი: „ცხებულიაო მეფე ღვთისაგან; პატივ-მცემელი მეფისა, პატივ-იცემების ღვთისაგანაო. ორ-გული მეფისა არ იქმნების არაოდეს ერთ-გული ღვთისა—თვალი მეფისა არს თვა-ლი ღვთისა; გული მეფისა ხელთა-შინა უფლისათა—მეფე, რომე-ლიცა, ვიტყვი ამას უეჭველად,—მიენდობა ღმერთსა, მტკიცედ იქმ-ნება თვისსა ტახტზედ და იკურთხევა ღვთისაგან, ვინ უნდა მყვან-დეს ღმერთზედ მეტი პატრონად მფარველი მე მეფესა, რომელზე-დაც დამიძს სასოება ჩემი.“

ვიეთამე ლექსთა ამათ-თვის წართქმულთა დავით რეკტორისა-გან, ჰგმეს იგი დედოფლისა დარეჯანისა მხლებელთა და შვილმან მისმან ფარნაოზ მუნ მყოფმან თელავს აიგდეს მასხარად. მეფემან ჰსცნო ესე და ბრძანა: დედოფალი დედა ჩემია,—ვალი მაქვს დუმი-

ლისა. ხოლო სხვათა კადნიერად მოუბართა, პასუხს უგებს მეფე გიორგი"—იტყოდა თავისა თვისისათვის.

# C

მასვე დღეს ხოდაშნის წინა-მძღვარი იოანიკე ბერძენი, თაზოს ჭაღარაკელი და მხნე და მეომარი და ამისთვის პატივ-ცემული გარდა-ცვალებულისა მეფისაგან, მოვიდა თელავსა და მოართვა სეფის-კვე-რი. განმხიარებულმა მეფემა მიიღო ხელთაგან მისთა კურთხევა და ჩვეულებისა მეფისა შემდგომად სიტყვათა: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა თვით იტყოდა და ბრძანა: „ამინ" ხმითა დიდითა.

მიიწვია წინამძღვარი სადილად და ესაუბრა მრავლად ბრძოლა-თათვის მისგან ნახულთა პირის-პირ ლეკთა. 25 წელიწადს სადმე იმყოფებოდა კახეთსა და იყო ყოვლად ქართველი. მამაო იოანიკე, უბრ-ძანა მეფემან, იყავ ერთგული ჩემიცა, ვითარცა იყავ მამისა ჩემისა, არა ვინ გამოგიცვალოს გული ჩემზედა; ნუ მიეტაცინები მტერთა ჩემთა:

მწუხრისა შემდგომად წარვიდა იოანიკე და იხილა დედოფალი დარეჯან ძაძითა მოსილი და მგლოვარე მეფისათვის. დედოფალმან უბრძანა ყვედრებად საგონებელი სიტყვა დავიწყებისათვის მეფისა გარდაცვალებულისა წყალობითა; და იგი იმართლებდა თავსა და მო-ახსენებდა სიტყვათა შესაბამთა, ერთ-გული მეფისა ირაკლისა ჩემისა მწყალობელისა, იტყოდა იოანიკე, ვარ ერთ-გული პირმშოისა მისისა შვილისა: ბატონო დედოფალო, ნუ ამღვრევთ მეფობასა, მოგახსენებთ ერთ-გულობით; მეფობა არის პირმშოისა შვილისა, ესრეთ ყოფი-ლა და არის ყოველგან, როგორც გნებავსთ უმცროსი ძმა იქმნეს მე-ფედ და უფროსსა წაერთვას.—მტერი გარეგანი კარსა გადგიან და ახლა აპირებ, მტერობა და შფოთი შინაცა დამალონ:—ესენი მარჩე-ბელნი არიან ცუდნი კაცნი. ინებეთ და დატუქსეთ იგინი.—საუბარ-სა მისსა ზედა იყო დუმილი ქალთა და კაცთა. დედოფლის მეინა-

ხეთა და თვით დედოფალმან არა ბრძანა არა რაიმე წინა-აღმდეგი მეფისა გიორგისათვის.

## CI

1798 წელსა ივლისის თვეში ნიქოზის ეპისკოპოსმან ათანასი, ჰგონებენ, იმერელმან უბრძანა დაუსვენოს ეკკლესიაში ძელი ჭეშმარიტი,—სიდიდით განთქმული ყოველგან, რათა დაათვიცოს ამირეჯიბნი თავადნი და მოდავენი მათნი მოსაზღვრენი. აღიღეს ტრაპეზიდან ძელი ჭეშმარიტი ესე ოქროსა ბუდეში ჩადებული მკლავისა სიგრძე და ალავერდისა ძელისა ჭეშმარიტისა მიხედვით ორგზის და დაასვენეს გარე ეკკლესიისა საწიგნესა ზედა. შემდგომად ფიცისა და შფოთისა შორის გლეხთა და თავადთა დაივიწყეს ეკკლესიისა მცველთა აღება ძელისა ჭეშმარიტისა საწიგნოდამ და დაკრძალვა ტრაპეზთა ზედა. მწუხრისა შემდეგ ჰსცნეს, რომელ საუნჯე ესე არღა არცა საწიგნეზედა და არცა ტრაპეზზედა. მოახსენეს მღვდელ-მთავარსა, შეუდგა მრავლად ძიება, გარნა ვერ ჰპოვეს იგი. ჰსცნო ესე კათოლიკოსმან და აცნობა მეფესა გიორგის: იწყეს ახლად ძიება; წარგზავნეს კაცი იმერეთად და ჰსთხოვეს წერეთელთა და აბაშიძეთა მოიძიონ მათ ღვთის პატივისათვის და წმიდისა ეკკლესიისა, რომელთაგანცა საუკუნოებითა დაცული აწ მათთა მიზეზთა გამო მიეფარა, ჰსწამებდენ მიტაცებასა მისსა წერეთელისა და აბაშიძისა გლეხთა, მუნ ფიცისა დროსა მყოფთა და მათთაგან მოპარვასა. მეფემან მწუხარემან დაკარგვისათვის ქსრეთისა ქვეყნისა სიმდიდრისა, ბრძანა გამოდევნონ მღვდელ-მთავარი კათედრიდამ. გამოიყვანეს მუნით და წარუდგინეს ექსორიად ნათლის-მცემლისა უდაბნოსა გარესჯასა.

ძვირფასად შემკულსა ჯვარსა აქვნდა წარწერა ოქროსა უკანა ფიცარზედ შემდეგისა ჰაზრისა: „მე დედოფალმან რუსუდან, ავაზაკთაგან გამარცვილი ძელი ჭეშმარიტი კვალად შევამკევ სულისა ჩემი-

სა სასახლეთ." ესე მიამბო სვიმონ არქიმანდრიტმან წულუკიძემან გელათისა წინამძღვარმან (1847 წელსა). იტყვიანო დღესაც აბაშიძიანთ აქვსთ მაღლად სიწმიდე ესეო; რომელთა იგულისხმებდა აბაშიძიანთა მომთხრობი ამბავისა ამისა არა მახსოვს.

შემდგომად ნიქოზელისა ათანასისა გადევნისა, იშუამდგომლეს მიეცეს მას ეპარხია დიონოსის იღუმენსა[38]) გვარით არა აზნაურთაგანსა, მეფემან ბრძანა უარი და განმარტა, რომელ სამეფოისათვის მისისა სარგებლობისათვის საჭიროა გვარით განთქმულისა კაცისა, დანიშნა და ინება მიეცეს ეპარხია ესე სხვასა, რომელსაცა ექმნება ხმა დიდი და კავშირი. „ბრძანა მეფემან სამღვდელ-მთავრო ადგილი

---

[38]) ესე დ ი ო ნ ო ს ი იყო თაედთა ციციანთა ყმა სოფლისა ხვედურეთიდამ. ახლდა მეფის-ძეს იულონს: ამისავე თხოვნითა უბოძა იღუმენობა მას კათოლიკოსმან ანტონი. შემდგომად წარსვლისა რუსეთად იულონისა დაშთა უადგილოდ და იყოფოდა მეფის ასულთან მარიამთან ს. ქარელს. ამან დიონოსიმ მეფის ასულისა მარიამისა თხოვითა დაასაფლავა ყინცვისის წმიდის ნიკოლოზის გაუქმებულისა მონასტერსა მძოვრეთისა ხეობაში მეფის-ძის იულონისა ძე ლევან, რომელიცა დარჩა საქართველოს, ებრძოდა რუსთა და მოიკლა ზაკვით და მოსყიდვით ოსისაგან, მისდა და მისთანა ყოფილისა. ესე იყო 1810 ანუ 1811 წელსა. ესე ლეონ იყო უფროსი შვილი იულონისა მხნე, გამბედავი და გულადი; ათსა წელსა მდევნელი ბედისა და ვერ ღირსებული ბედის მოღალატისა.—მეფენი არა ადვილად უბოძებდენ გლეხთა და აზნაურთაგანსა კათედრათა სამღვდელ-მთავროთა. მარადის მოიძიებდენ თავადთა სახლთაგან, დამოკიდებულთა დიდ-ოჯახობით დიდთა კაცთა თანა, უფრო პურადთა, უხვთა, გამცემთა და კარისა მექონთა გამოჩენილისა პატივად მაღალისა ხარისხისა. ესე იყო მიზეზი, რომელ ძველადვე ითქვა ლექსად სიტყვა ეპისკოპოსთათვის არა ღირსთა გვართაგან და ოდესმე ვერ შეფერებულთა ერისაგან ნაკლულევანობათა გამო მათთა. აჰა შაირი, თქმული გ(?) საგინაშვილისაგან:

თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, წინა-მძღვრის შვილი მროველი,
ან გლეხი-კაცი ნიქოზლად, ცოდნა იცოდეს ყოველი,
ან ბეზირგანი მდიდარი, ქიორელი და გლოველი,
ან კარგი დარბაისელი, მახაბელ წინ-წყაროელი.

არის ერთი ქვეყნისათვის მისაყრდნობელი სვეტი დიონოსი არს ღირსი და მეუდაბნოე, და არა მცოდნე საეროთა საქმეთა. ეპისკოპოსი უნდა იყოს სარდალი ქვეყნისა, ძლიერი საქმითა და მორჩილებასა შინა მომყვანი დიდთა და მცირედთა, ჯერეთ ესრეთი გვინდანან კაცნი; დამშვიდებისა დროთათვის მეუდაბნოენი და მოღვაწენიცა ადვილად განაგებდენ ეკკლესიათა.“

ამისთვის არა დანიშნა მან ნიქოზელად არა-ვინ და ელოდა, რათა ჰპოვოს კაცი ღირსი მღვდელ-მთავრობისა; მოვიგონე დიდი საფრანგეთის ორატორი და მქადაგებელი, რომელსა დიდმან ლუდოვიკე XIV არ გამოუთხოვა რომისა პაპას კარდინალობა, რადგანაც არა აქვნდა ღირსება დიდთა გვართაგან შთამომავალთა და არცა უბოძა მას პარიჟისა კათედრა: რადგანაც არ იყო დიდთა გვართა შვილი. დროთა მიხედვით განმართლდებიან მეფე და მსლებელნი მისნი ჭაზრნი და მოქმედებანი მათნი.

შემდგომად მეფისა გიორგისა, ძემან მისმან დავით 1802 წელსა უკუ-აქცია თვისსა კათედრად ათანასი, რომელიცა გარდაიცვალა მუნვე ნიქოზსა და დასაფლავდა მუნვე ეკკლესიასა 1810 წელსა; შემდგომად მისსა კათედრა ესე გაუქმდა და აწ არის სოფლისა ეკკლესიად.

## CII

მეფის-ძე ილიაჲ იქმნა დიდად შეწუხებული სნეულებისა გამო სახადისა: მკურნალთა გამოაცხადეს სნეული უკურნებელად, მოახსენეს მეფესა და მან ბრძანა: მივენდოთ ღმერთსა და წმინდასა იოანე მანგლელსა; გახსენით საფლავი მისი და ამთხვიეთ სნეული შვილი ჩემი მეოხისა ჩემისა ძვალთა. აღასრულეს სურვილი მეფისა შემდგომად ჰერაკლისისა და ოდეს თბილისის სიონის ეკკლესიასა ამოღებული ლუსკუმიდამ თითითა ძვალი წმინდისა დაჰსდვეს პირსა და თვალთა სნეულისა, მასვე ჟამსა, გასაოცებლად თვით მხილველთა, განიკურნა

ხნეული იგი. იხარებდა მეფე, დღესასწაულებდა სამღვდელონი, იშვებდენ ვარის ვაცნი, განცვიფრდებოდნენ ქალაქის მცხოვრებნი, ეკვირვებოდენ მაჯ-მადიანი დაკრძალული. გვამი წმინდისა ლუსკუმასა შინა მდებარე კვალადცა მეორესა წელიწადსა განაღეს მისვე ბრძანებითა სნეულებისა გამო სიბერისა შვილისა ძისისა მეფის ასულის თამარისა, რომელმანცა მიიღო კურნება პირველის-მებრ მსწრაფლი და საკვირველი ვაცთათვის და თვით მკურნალთათვის არა მართლ მადიდებელთა. ესენი იყვნენ ოსეფა ყარაევი ფრანგი, თათული ექიმი სომეხთა სარწმუნოებისა და პეტრონი ნიკოლა და შემდეგი მისი ფილიპე, ათანასი ჯვარის მამისამან, დროთა ამათ აქა მყოფმან, მახლობელმან მეფისა და შემდეგ პატრიარქად იერუსალიმისა დადგინებულმან,— აღსწერა ორივე ესე საოცარი ამბავი და სასიქადულოდ ქრისტეს ეკკლესიისა წარუვლინა მოხსენება იერუსალიმსა პატრიარქს. ესე მიამბო იოროთეოს თაბორისა მიტროპოლიტმან და აწ დღე. ანტიოხიის პატრიარხმან 1849 წელსა დროსა ყოფნისა ჩემისა კონსტანტინოპოლეს სტუმრად მასთან მისსა მონასტერსა სალივისა ჭკალაკსა. დიდად გამაკვირვა მოთხრობამან ათანასისაგან აღწერილმან; ვერ ვპოვე თვით ეპისტოლე ესე მუნ, სახმარი ჩვენ ქართველთა ისტორიისათვის. ხშირად და განცვიფრებით მესმოდა საუბარი ამისა შემთხვევისათვის. იოკიმე ეპისკოპოსისაგან ახტალისა, ბრძნისა ვგორიიდამ და ვითარმედ შეყვარებულისა მეფისაგან გიორგისა, რომლისა დროსაცა იყო დღისათვის ლუსკუმასა შინა ძვალთ ამათ წმინდისა და კრძალვისა დეკანოზმან და მეცნიერმან იოანე იოსე-შვილმან წარმოსთქვა სიტყვა ქადაგებითი: „საკვირველ არს ღმერთი წმინდათა შორის მისთა“ და უკანასკნელ ჰრქვა მეფესა: მეფევ კეთილ-მორწმუნეო, იხარებდე სულითა, განიფრთხვე გონებითა, იშვებდინ გულითა; აჰა ძე შენი რომელიცა მოგანიჭა შენ წმინდამან:

„აჰა სასწაული დროთა ჩვენთა, აჰა უღირსებისაგან ჩვენისა ღირსებად მომყვანებელი ნიში სასწაულისა, ვჰგალობდეთ გალობათაგან სიონისათა და ვჰსვამდეთ წყაროთაგან დაბეჭდილისა და ვჰსჭამდეთ

მტილისაგან შეღობილისა და მტკიცედ დაცულისა, ჩვენთანა არს ღმერთი, ჰსცანით წარმართთა და იძლიოდენ, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ."

განმხიარულებულმან მეფემან, მხნედ და მაღლისა ხმითა ჩვეულებისა-მებრ მისისა მოხდენილისა სახითა ვითარცა მარადის იყოფოდა მეფე ბრგე და მაღალი ძლიერისა ბაგეთა ბგერითა პასუხ-უგო მქადაგებელისა: „ჭეშმარიტად, მამაო, საკვირველ არს ღმერთი წმინდათა შორის მისთა. შევიქმენით ღირსი ღვთისა წყალობისა, ზეგარდამო მოხედვისა და კურთხევისა, იკურთხოს სახელი მისი". ამა შემთხვევისათვის შეჰსწირა მეფემან ხატი წმინდისა ვერცხლით მოჭედილი და ოქროთ ცურვილი ზედა წარწერითა: განკურნებისათვის შვილისა ჩემისა... შემოგწირე წმინდი იოანე მანგლელო სულთა ჩვენთა მეოხი ხატი სახისა შენისა, წელსა 1799 თვესა აპრილის 7. ხატი ესე დაიკარგა 1804 წელსა სიონისა მხატვრობათა განახლებისა დროსა კნიაზ ციციანოვისა ბრძანებითა, ვითარცა მიამბო დეკანოზმა სიონის გაბრიელ ქართველოვმან, გარდაცვალებულმან 1866 წელსა.

## CIII

მეფესა გიორგის დიდად უყვარდა კოვალენსკი, რეზიდენტი და მინისტრი რუსეთისა თბილისში. იყო კაცი ტკბილი, სათნო და ნამდვილ ერთ-გული მეფისა, შეჩვეული ქართველთა წესთა, ამანვე მოართვა მას სამეფო რეგალია ანუ ნიშანი მეფობითნი პეტერბურღიდამ თბილისსა წარმოვლენილი პავლე იმპერატორისაგან: გვირგვინი, ხმალი, პორფირი, სკიპტრა, ტრონი, დროშა და I ხარისხისა წმინდისა ეკატერინასი დედოფალსა მარიამს. ამისთვის აჩუქა და მიუბოძა მას ბაღი ყაბახისა თავსა ჩრდილოეთით მდებარე. რომელიცა ძველად ეკუთნოდა ისე მეფესა და რომელსაცა შინა თვით ისე ვითარცა მაჰმადის სარწმუნოებისა მქონი, ჰმარხია. აწ ბაღსა ამას ეწოდების ბაღი ინჟენერთა. ვითარ მოეღო მას ესე ციციანოვისა დროთა, რომელ-

მანცა განამია იგი საქართველოდამ ვითარცა ბოროტ მომხმარებელი თავისისა წოდებისა,—არა ვუწყი. მხოლოდ მახსოვს ცოლი მისი, მოხუცი ქვრივი მოარული ხშირად მემკვიდრისა დავითისა მეუღლისათანა ელენე მეფისა რძალთან 1831 და 1832 წელთა შინა ქ. ს-პ. ბ.

## CIV

მახსოვს მე სალდათი ერთი სახელით თეოდორე, რომელიცა იყო დანიშნული მეფის კარზედ ყარაულად ანუ ორდინარცად. ესე ესრეთ შეიყვარა მეფემან, რომ ინება ყოველთვის მისი თავისთან ყოფნა. კოვალენსკის სთხოვა, რათა, გამოყვანილი პოლკიდამ, ახლდეს მეფესა. ესე ვერ იკისრა თვით მინისტერმან და ჰსთხოვა ღენერალსა ლაზარევსა და რადგან ამანაცა ვერ გაბედა დაუკითხავად ლინიაზედ თვისისა უფროსისა. მაშინ იყო კნორინგი, ამისთვის უარი მოახსენეს მეფესა. შემდეგ თვით მეფემან მისწერა წერილი და მან მოსცა ბრძანება ახლოს, ვითარცა სალდათი ორდინარცი და არა ვითარცა კერძო პირი. ჰსურდა მეფესა ებოძებინა მისთვის აზნაურობითი ღირსება, სახლისა ადგილი ქალაქსა და მიბარება საჭურჭლისა თვისისა. თეოდორე იყო ყმაწვილი-კაცი 29 წლისა, ტამბოველი და მალე შეისწავა ქართულიცა ენა; იყო ცქვიტი და ფთხილი. შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა, 1824 წელსა ვხედავდი მას ხშირად ანჩის-ხატისა უბანში მცხოვრებად მოხუცად; შემოვიდოდა წმინდისა გიორგის კარისა ეკკლესიასა და აღანთებდა სანთელსა ხატისა წინაშე, და მარადის დაუკლებლივ მოახსენებინებდა კვეთისა დროსა შესრული სამკვეთლოსა მეფესა გიორგის და დაადებინებდა მოხსენებითსა ნაკვეთსა ცრემლით და ვედრებით ღვთისადმი. ქართულიცა იცოდა მიქცევით რუსულის გამოთქმისა 1831 წლიწადიდამ, დროთაგან წარსულისა ჩემისა რუსეთად სასწავლებელში, ვეღარსადა ვნახე იგი და ვერცა გამოვიკითხე სადაობა მისი. წყალობასა არა მოაკლებდნენ მას ძველნი კაცნი მეფობისა ნეშტნი დავით მინბაში, სოლომონ მეითარი და დიმიტრი თარ-

ხნის-შვილნი, დავით და გიორგი თუმანის-შვილნი, შანშე ერისთვის-შვილი, მეფის ასული თეკლა, ზურაბ ყაფლანის-შვილი, მუხრანის-ბატონი კონსტანტინე, თავადი იოანე აფხაზი [39]) და სხვანი, მეფობისა ჟამსა მცნობნი მისნი. დიდად უყვარდა იოანე ეპისკოპოზსა, ავალიანსა, რომელიცა მეფის დროსა იხილვიდა მას ხარებისა ეკ-

[39]) თავადსა იოანე აფხაზის-შვილსა, კარდანახელსა, მეფისა გიორგისაგან მიჩნეულსა და პატივ-ცემულსა, ხშირად წარმოათქმევინებდა ლექსთა ძველად გოჩასაგან თქმულთა, ოდეს დაესწრობოდა თბილისს და ეახლებოდა მეფეს.

1.

ზანთქმულა პირველ ბრძენთაგან, სიდარბაისლე მესხისა,
ომი და შებმა კახელთა, მოსანდომია არ სხვისა,
ჩუქება პირველ კარგობა, ქართველთა არ ეძრახვისა,
არიან ზრდილნი იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა.

2.

მთიულნი ცხენსა მოგპარვენ, თუ თვალი დაიხუჭია,
მიბრძანდი საციციანოს, მოგართვან ბატის კუჭია.
საამილახვრო ბიჭები, მკერდ-ზრქელნი, შიგნით ფუჭია,
დოიანთ ბარათიანთა, ხმალზედ აცვდებათ მუჭია.

მეფე ათქმევინებდა ამას გასამხნევებელად კახთა ომისა და ბრძოლისათვის, მიამება, როცა შენ წარმოსთქვამ ლექსთა ამათო, მიბრძანებდა მეფეო; მსუქნათ იტყვი ხოლმეო და მადიანად.—ესე მოთხრობა თვით იოანე აფხაზისაგან მაქვს გაგონილი ჩემსა სიყრმეში. იყო მეგობარი და მწყალობელი მამისა ჩემისა და ხშირად ვხედავდი მას თბილისს მოხუცებულად მავალსა. იყო 78 წლისა და გარდაიცვალა 1829 წლისა შემდეგ. დაესწრო ალამაშად-ხანისა ომში თბილისის აღების დროსა 1795 წელსა. ვითარცა კეთილ-მორწმუნემან კაცმან 1797 წლიდამ შესწირა ნათლის-მცემლისა უდაბნოსა ყოველ-წლივ ზედაშედ და ნუგეშად ძმათა-მოღვაწეთა თვითო ურემი ღვინო, შვილი მისი განაგრძობს შეწირულობასა ამას დღეინდელად დღედმდე.

კლესიასა, სადაცა მიჰყვებოდა მეფესა გიორგის წირვისა მოსასმენად, და სადაცა მამა ეპისკოპოზისა ამის იყო დროთა მათ მღვდელი სა-რებისა ეკკლესიისა ფრანგთაგან მოღებულისა მეფის თეიმურაზ მე-ორისაგან (1755 წელსა).

## CV

თბილისის აოხრების დროსა გაუქმდა სტამბაცა სამეფოისა პალატისა. მეფემან გიორგი ბრძანა განახლება მისი: კვალად იწყეს სასხლისა სტამბისა შენება, დაიბარეს ქაღალდი ოსმალოდამ ასაღ-ტანის გზით და სპარსეთის სამზღვრიდამ: შეუდგნენ ასოთა ჩა-მოსხმასა, დაზგების კეთებასა, დამბეჭდავთა შეკრებასა. შფოთთა თბილისსა, ქართლსა და კახეთსა შინა აღდგენილთა ძმათაგან მეფი-სა, დაგვიანებამან ქაღალდისა, მოუცლელობამან თვით მეფისა სნეულებისაგან, რომელიცა მოერია მას და განუძლიერდებოდა დღე ყოველ, დააბრკოლეს საქმე: სტამბა დაშთა უქმად და მბეჭდავ-ნი უსაქმოდ. მეფემან ვერ იგდო დრო, რათა შესდგომოდა საქმესა ამას და სიკვდილმან მეფისა მოუღო ბოლო წიგნთა-ბეჭდვისა ჰაზრ-სა მისსა. ამ სტამბაში დაიბეჭდა შემდეგ მხედრულისა მოკლე სა-ქართველოს ისტორია, რომელსაც ეწოდა ნარკვევი ქმნილი ბატო-ნის-შვილისა დავითისაგან და მერეთ ღენერალისა კნორინგისაგან მეფობისა გაუქმებისა-გამო განცხადება ქართველთადმი.

## CVI

მეფე, მზრუნველი მონასტერთათვის, მეცადინებდა რათა ძველ-თა წესთა ზედა ყოფილიყვნენ მამანი და ძმანი მათნი. 1800 წელ-სა ფებერვლისა 7 ჰსწერს მეფე შვილს თვისსა იოანეს შემდეგსა ბძა-ნებასა: წინამძღვარი იკორთისა მონასტრისა ჩვენს მეზობლებზედ ეკკლესიისა მამულებსა არ გვანებებენო. მიჰრძანდი და შეიტყე სა-

დაო: გამამძიებელიც მანდ მობძანდება და ოქმებსაც და მეფეთა წე-რილებსაც განაასლებას. გალავანიც დაქცეულა, უბრძანე სასასო გლეხ-თა შენობაზედ გაისარჯნენ, რადგანაც მათი სალოცავი არის. გამა-ლიილ შეეწეუსებიათ და წინამძღვარობაზედ ხელს იღებს, გამოცვლა ამისი არ იქმნება, საჭირო კაცი არის ესე და დიდად მცდელი. ეცა-დე დაამშვიდო".—მეფის ძმან იოანე სრულ ჰყო ესე საქმე და გა-ნუსვენა წინამძღვარსა მადლობითა აღვსილმან გამალიელმან მოართვა მეფეს ხატი ღვთის-მშობლისა, შემკული მეფისა ირაკლისა მის ვა-ხტანგისაგან შობილისა პირველისა ცოლიდამ და გარდაცვალებულისა უშვილოდ [40]) აქ სათქმელია ესეცა საცნობელად შემდეგთათვის.

---

[40]) ესე ვ ა ხ ტ ა ნ გ იყო პირმშო ძე მეფისა ირაკლისა, პირველისა ცოლიდამ განდევნილისა და მომკვდარისა 1744 წელსა. ამას მოჰგვარეს ცო-ლად ქეთევან დაი კოსტანტინე მუხრან ბატონისა რომელიცა იყო დანიშნ-ული მესამესა წელსა ცხოვრებისა თვისისა, და ვითარცა მშვენიერსა ზრდიდა თვით თამარ დედოფალი, დედა ირაკლისა. დასწერეს ჯვარი ოდეს შეიქმნა ქალი 13 წლისა და თვით ვახტანგ იყო 16 წლისა. ამავე წელსა შეეყარა ყვავილი და მორჩენილი სენისაგან, წარიყვანეს აბანოდ შემდგომად 40 დღისა. ესრეთმან გაუფრთხილებელმან ბანვამან, შეაქცია და გარდაიცვალა თფილისს. მეფე ირაკლი მიეცა დიდსა შეწუხებასა და თეიმურაზ მეფე მამა ირაკლისა, ესრედ შესწუხდა, რომ დაჰკრა თავი კუბოსა და გაიტეხა, და-ასაფლავეს მცხეთას. მეშვიდესა დღესა ოდეს ჩვეულებისა მებრ მიუტირეს ცოლსა ქეთევანს, მაშინ იხილა ცხენი ქმრისა და მტირალი მივიდა ცხენთან და ცხენისა კისერსა შემოახვია თმა თავისა თვისისა გრძელი და მშვენიერი —ქეთევან დარჩა ქვრივად და შემდეგ როდესაც ეყოლა მეფეს ირაკლის შვილი მესამისა ცოლიდამ უწოდეს თხოვისა მებრ ქვრივსა რძლისა ქეთევანისა, სახელი ქმრისა მისისა ვახტანგ ალმასხანად წოდებული. ამან იშვილა იგი და ჰსცხოვრებდა მასთან—1803 წელსა გარდაჰყვა რუსეთს და ჰლექობისა სენითა გარდაიცვალა 1808 წელსა ს. პ. ბ.

ვახტანგ პირმშოსა. მეტყოდა მეფის ძე მიხაილ, მიუჩინეს ლალად გივი გურამიშვილი, კაცი ზრდილი და ვაჟკაცობითა გამოჩენილი ოდეს ზრდიდა იგი მას, დღესა ერთსა შეეშინა ცოცხალისა თევზისა. გივი გან-რისხდა და ჰრქვა: „როგორი შვილი ხარ მამისა! აღილე თევზი ეხლავე,

იკორთისა ანუ ვირშისა მონასტერი მთავარ ანგელოსთა, სამარხი წმინდათა მოწამეთა ესრე იყო მეტად მიჩნეული, რომელ მეფენი უნიშნავდენ განმგედ წინამძღვარსა, მაშინაც, ოდეს ერისთავთა ეპყრათ ქსანი და ჯერეთ არ ჰქონდათ მათ ჩამორთმეული ერისთაობა ქსნისა. არ არის დიდი ხანი ვჰსცან რომელ დავით ჯორჯაძე წინათ გამალიელისა იყო სადმე წინამძღვრად მუნ დანიშნული, თვით იგი დავით, რომელსაც მისცეს შემდგომად ბოდბელობა. ამავე მონასტრისა მამა მთავარი განაგებდა ქსანზედ ორთა სხვათა მონასტერთა, ესე იგი ლარგვისისა და ალევისა. ესე უკანასკნელი დავით აღმაშენებელისა დროთაგან იყო საზღვარი არაგვისა და ქსნისა საერისთავოთა. აქა ვიტყვი მამა მთავრობისა მნიშვნელობასაცა. მამა მთავარი მარადის იქმნებოდა ერისკაცთაგანი და მოვალეობა მისი იყო მეტად განგოუმა და მამული მონასტრისა და ეზრუნვა ეკკლესიისა უნჯთათჳს. ჭმართებს მწერალსა და მკითხველსა არა აღრიოს მნიშვნელობა ესრეთისა წოდებისა ლექსისა თანა „პატრიარხი.“ რომელთაცა ნიშნავს მასვე და ითარგმანების ბერძნულიდამ ესრეთ: „მამა მთავრად“, მეფემან გიორგი რუსეთის მხრით განღებული კარი და ჭართალისა ჩააბარა მეფის ძეს ვახტანგსა და უბრძანა არა ვითარცა მამამან, არამედ ვითარცა მეფემან ბრძანებელმან, იყოს მზად და ფხიზლად, — რათა არა აწყინონ რუსთა ჯართა გზაზედ და აძლიონ ყოველივე შემწეობა ურმითა და ცხენითა და კაცითა ყოველთავე მუნით მიმავალთა და მომავალთა. ესრეთი ბრძანება მეფისა მეფისძისადმი მსწრაფელ განითქვა, და თვით ვახტანგ ანუ ალმასხან, სუსტი სულოთა, დამორჩილდა დამორჩილებითა თვისითა, და დასდვა შიში და დუმილი მხლებელთა თვისთა ზედა. მეშფოთი არაგვი, დაუცხრომელი

---

ესრეთ შეაჩვია უშიშოებასა და სიყრმითგანვე გულოვნობასა მეფეთათვის საჭიროსა.

ხატი, მისი ნაქონი აქვნდა მეფის ძეს მიხაილის და შემდგომად გარდაცვალებისა მისისა ხვდა წილად მეფის ძის ბაგრატის ძეს ალექსანდრეს და აქვსთ სახლობასა მისსა აქა ქ. თფილისს.

და გაუმაძღარი ომითა, ვითარცა დღესაცა ძველიდგან იმღერის არაგვისა კაცი დაჩუმდა, და იყო მოლოდებასა, მზაკვარსა იგდოს დრო მარჯვე და მიუდგნენ ერთგულობითა მეფის ძეს იულონსა, რომელიცა იდუმალ არა დასცხრებოდა წინააღმდეგობითა მეფისადმი, და ჰგონებდა გამეფებასა ვითარცა უფროსი, შვილი ირაკლისა მეორისა ცოლიდამ. მაშინ მეფემან მოიწადინა თვით წარსვლა არაგვზედ და ქსანზედ ჯაზრით მით, რათა გამოდევნოს იულონ და ვასტანგიცა. სნეულობამან არ მისცა დრო თავისუფალი და ვერ შეასრულა ჯაზრი თვისი დასამშვიდებელად სამეფოისა.

## CVII

ვასტანგ მეფის ძე აღმასრულებელი მეფისა ბრძანებათა, უგზავნიდა შემოდგომას და გაზაფხულს ხევის ბერთა ფშავიდამ ხევსურამდინ, თრუსოს ხეობამდინ, სვეიდამ და მთიულეთიდამ; და მეფე მადლობელი ძღვენთა მათგან მორთმეულთათვის, მოძღვრებდა იყვნენ ერთგულად მეფისა და არა დაივიწყონ მათ მოვალეობა მათი. მეფე მეცადინებდა რუსთა სიყვარულსა და აგონებდა მათ შეწევნასა, რომელსაცა მოელის მათითა მოყვანითა მტერთა ზედა საქრისტიანოთა. ქსრეთისა ჯაზრისა განფენისათვის მთათა შინა ავად რუსთათვის მოსაუბართა,—ორგზის წარავლინა მთებთა შორის პაფნუტი არქიმანდრიტი. ეს პაფნუტი იყო თვით იგი, რომელიცა შემდგომად კნიაზმან ციციანოვმან შეგზავნა მთათა შინა დასამშვიდებელად, და კაიშაურსა აღშფოთებულთა მთიულთა ჰსცეს 40 გზის თუმცა ნელიად ხანჯალი და უბრძანებდნენ მას რუსისა ერთგულსა და ქვეყნისა ორგულსა, შეჯდეს ვირსა მიგვრილსა მისდა საკიცხველად. ამ დროსა მივედ მე მუნ კაიშაურსაო, მიბრძანა მეფის ძემან ფარნაოზ, დევნულმან რუსთაგან და ვიხსენ იგი განსაცდელისაგან და დავაბრუნე ანანურისაკენ. ეს პაფნუტი იქმნა შემდეგ არქიეპისკოპოსი და გარდაიცვალა მოსკოვს 1823 წელსა.

## CVIII

ამავე დროსა მიეწერა მეფისა ბრძანება მეფის ძეს ვახტანგს, რათა დაწესებული 1 იანვარს 1774 წელსა ირაკლისავე დროსა მორიგეთა კანონნი აღსრულდებოდეს ეგრეთვე ფიცხელად, ვითარცა მამისა მისისა მეფობასა. ამავე ბრძანებითა, დასდვა მას ვალად მეფემან შეჰყაროს, ვითარცა ჯარისა მისისა მოხელენი სალთ-ხუცესი, ამილახვარი, ბოქაულთ-ხუცესი ეგრეთვე, მოურავნი, ხევის ბერნი და სხვანი და გამოუცხადოს მათ ესრეთი მოვალეობა მათი. ესრეთმან მეფისა ბრძანებამან დიდად შეაშინა მეფის ძეცა და თვით ჩვენცაო, იტყოდნენ მოხუცნი დუშეთში ჩემთან დაახლოებული გოშპარ კობიაშვილი და იასე ყარანგოზიშვილი, რომელთაგან პირველი გარდაიცვალა 112 წლისა 1862 წელსა და მეორე 87 წლისა 1864 წელსა.

## CIX

1809 წელსა გაჩნდა ჭირი ქალაქს. შემოიტანეს ესე ახალციხისა მხრით: რუსთა ჯარისა შეფთა და თვით კოვალენსკიმან ჰსთხოვეს მეფესა, მიიღოს ზომა და ღონე კარანტინებისა. მეფემან წერილით უწყებულმან, წერილითავე აცნობა; ყარანთინსა უნდა ყარაულებიო და ძნელია შოვნა ესოდენთა ყარაულისა რიცხვთა, რომ ვერვინ შემოვიდეს მუნით აქეთ ჩემსა სამეფოშიაო. ამისთვის კმარა ესე ზომაო. მე მივჰსწერე ახალციხისა ფაშასა გამოუცხადოს ვაჭართა ყოველგან აქეთ მავალთა: თუ შემოვა ვინმე ჩემს სამძღვრებში, არავის მივიღებთო, სავაჭროსა წავართმევთო და თვით მასცა თოფსა ვჰკრენო". გაიცინეს შეფთა ესრეთსა პასუხზედ; გარნა მეფემან ჰქმნა ესე; აცნობა ფაშასა ბრძანება თვისი და ნამდვილ აღარავინ შემოვიდა და ექვს თვეზედ ჭირიც გაჰქრა და შემდეგ ვაჭრობაცა კვალად

გაიმართა. იტყვიან მომსწრენი დღეთა ამათ მწარეთა: მართლად ერთ-მან კაცმან ვერ გაბედა შემოსვლა სოფლებშიაცაო; მიწერილი ბრძანება ესრეთ აღსრულდა მტკიცედ, რომელ არავინ უნახავთ არავის მისრული სამძღვრებისა სოფლებშიც კაცი ოსმალთა ადგილებიდამ. გაგზავნილთა ამ სოფლებში კაცთა აზნაურთა მოხელეთა აღსრულებისათვის ბრძანებისა, მოახსენეს მეფესა: „ვხედავთ მხოლოდ ლეკთა გუნდ-გუნდათ მიმავალთ. შორით ტყისა და მთებს გზებითა ანუ ახალციხეს, ანუ მუნით დაღესტანსა. „ამავე დროსა მოართვეს მეფესა და წარუდგინეს 4 სალდათი გაქცეული თფილისიდამ ახალციხისაკენ. ესენი დაეჭირათ წალკისსა თავსა გარდასავალსა მთაში. მიცემულნი სამჯავროსა, რუსთა წესითა, იპატივა მეფემან და ინება არღა დასჯა მათი. მორჩილ ექნა ღენერალი ლაზარევი და თვით მოახსენა მას მადლობა მათთვის.—მეტად ფიცხელად ეკიდებიან, ეგ კურთხეულნი სალდათთაო. ბრძანა მეფემან და უპასუხა ესრეთისა სიტყვისათვის სიმამრმან მისმან სარდალმან გიორგი ციცი-შვილმან: „ამისთვის იმარჯვებენ რუსნი, რომ ესრეთ დიდსა მორჩილებაში ჰყვანან.“

სასნეულო ჭირიანთათვის გამართეს თვით რუსთა ვერაზედ ლურჯ მონასტრისა გვერდით. სახლად აუშენეს 4 წნელის დიდი სახლი, გარედამ და შინიდამ ლესულნი გაჯითა და ზევით ჭერი ფიცრითა დახურვილი. აპრილიდამ აგვისტომდინ იყო ესე. მზრუნველობა სნეულთა სანოვაგისა და საწოლისა, მიანდვეს ქალაქისა მელიქსა ბებუთოვს და ერთსა სომეხსა, აღალოს, ოსმალოდამ მოსულსა, ჭირნახადსა.

## CX

მავნე და გულოვანი, გმირ ვაჟკაცობისა და პატივ-ცემული მეფისა ირაკლისაგან ზაალ ყაფლანის-შვილი,—ობლად ვითარცა თვით იტყოდა დაშთენილი, შემდეგ მეფისა ირაკლისა, წარვიდა სოფლად

და გოდებდა მუნ ქვეყნისათვის აღწყულისა.—ოდეს გამეფებული მეფე გიორგი თელავრად მობრძანდა თბილისს და მოითხოვა სიონის ეკკლესიაში ფიცი თავადთა და აზნაურთაგან, მაშინ ერთგული მამულისა და მეფობისა ზაალ მოვიდა თბილისსა და ჰფიცა მას ერთგულობა და წარვიდა მოხუცი 84 წლისა სოფლადვე. ვითარცა მოხუცი და აღარ სახმარი ომთათვის და ბრძოლათათვის, ჰგონებდა თავსა თვისსა უსარგებლოდ ქვეყნისათვის და არცაღა მოელოდა შემდგომად ირაკლისა ხმალთა ტრიალსა ვისგანმე, სიტყვისა მებრ შემდეგ თქმულისა ვითარცა გიორგი დიმიტრისძისა ქართულად ნამედვილი ზურაბის-ძისა ორბელისა:

„მამული ვერღა იხილავს ირაკლის II ხმალსა მღელვარესა,
დიდება ივერიისა მას-თან მარხია სამარესა“.

მეფე გიორგი დამფასებელი ზაალის გმირობისა, ჰსწუხდა, მისსა უნახაობასა. მაშინვე წარავლინა გოგია ბარათაშვილი, ხელჯო-სიანი და უბრძანა ჰსთხოვოს ჩამოსვლა ქალაქად. ზაალმან მოსულმან თბილისად, იხილა მეფე და ტირილით მოიგონა გარდაცვალებულისა მეფისა მასთან ალერსი, ვითარცა მეგობრული მასთან, მეფემა ჰსცა ნუგეში, აღუთქვა სიყვარული და დაჰპირდა სამსახურთა მისთა დაუვიწყებლობა, დროსა ამას მუნ მყოფმან მეფემან სარდალმან იოანე ორბელიანმან, აღიმაღლა ხმა და ვითარცა სარდალმან, ჰრქვა მას: „გმირად გსახავენ ზაალ: და იყავცა ვიცით ესე; პატივი არ მიგელების არავისაგანო“ მაშინ ზაალმან, შინაურთა დავებითა მამულთა-გამო დამდურებულმან და ადრევე სიყვარულისა ერთობითა არ შეკრულმან, პასუხ-უგო გმირად სათქმელი: „ჩემი სამსახური მაშინ იყო, როდესაც ხმალი მეფისა წინ მიძღოდა, ესლა მოხუცი და სნეული რიღას გამოსადეგი ვარ. აბა სარდალო! მეფეს და ქვეყანასა გვიჩვენე ხმალი შენი ლესული და გვათქმევინე გმირობაცა შენი.“

სარდალს იოანეს ეწყინა და მეფესა გაეღიმა და იამა: იცოდნენ სარდლისა იოანესი არა ვაჟკაცობა და ნეტარებითა მოიხსენებოდენ მამისა მისსა, სარდალსა დავით, მხნესა და გულოვანსა, ნამდ-

ვილ დიდკაცსა და მეფეთთანა შელაღებულსა. ზაალ გმირთა-გმირი, გარდაიცვალა 1808 წელსა და დასაფლავდა სიონის თბილისს ეკკლესიასა, სიკვდილამდე იყო დაუვიწყებელი ანახანუმ დედოფალსა და ყოველ წლივ წარვიდოდა მცხეთას და გარდაუხდიდა მას პანაშვიდს [41].

## CXI

დღესა ერთსა მეფესთან გარისხებულსა, ძმათაგან თვისთა შფოთთა გამო, შეიყვანეს წვრილნი შვილნი მისნი: ოქროპირ და ირაკლი. გამდელთა მათთა დაუსვეს იგინი ახლოს მეფისა დაფიქრებულისა. ლალა მეფის-მისა ილიასი დავით აბაშიძე და გოგია ბარათა-

---

[41]) ესე ანახანუმ იყო მეორე ცოლი თეიმურაზ მეორისა, ასული ბარათაანთი, ქვრივი ქაიხოსრო ციციშვილისა, ოდეს მოკვდა ცოლი თამარ, მეექვსესა თვესა შეირთო იგი მშვენიერებისა გამო. ჰსძულდათ ირაკლის და ანნას ვითარცა დედინაცვალი და არ უნებდათ ხილვა მისი, რადგანაც ეცვათ ჯერეთ შავი გლოვისა. შემდგომად რავდენიმე ჟამისა, მივიდა ირაკლი სანახავად მისისა. დედოფალი ანახანუმ, რათა არა ეჩვენოს მას უხდელად, მოირთო ვითარცა დედოფალი, ყელსა და თმათა, ხელთა და გულსა მოიფინა თვალი და მარგალიტი, წამოისხა ხამი ანუ ფლევრი ინდოეთისა ნაქსოვი და ამით რეცა იფარვიდა და მალვიდა მათ სამკაულთა. ესრეთ ეჩვენა ირაკლის და ესრეთვე მეფის ასულს ანნას. იყო დიდი მორწმუნე და ქრისტეს მოყვარე. მრავლად შეამკო ეკკლესიანი ქართლსა და კახეთსა. დიდად ზრუნვიდა მონასტერთათვის შემდგომად სიკვდილისა თეიმურაზისა რუსეთს, ჰსცხოვრებდა თფილისს და უკანასკნელთა ცხოვრებისა თვისისა წელთა, იკურთხა ჩოხა სამონაზნო და იტირა მრავლად, მუნ მყოფნი და დამსწრენი კურთხევისა: დედოფალი დარეჯან და სასახლისა ქალნი. ჩოხა უკურთხა კათოლიკოსმან ანტონი პირველმან ნათლის მცემლისა ეკკლესიასა შინა პირის-პირს სასახლისა. გარდაიცვალა შემდგომად რვისა დღისა გარდაცვალებიდგან თვით კათოლიკოსისა ანტონისა. სიკვდილი ანტონისა, ჩვეულებისა მებრ ქართველთა ჩასძახეს მომაკვდავსა ანახანუმს: დაასაფლავეს მცხეთისა ეკკლესიასა მეფეთა სამარხოსა.

შვილი უალერსებდენ ყმაწვილთა. ესრეთსა ალერსსა შეუდგა თქმა წყობითი „იწილო-ბიწილოსი“ სავსებისათვის მოთხრობისა ამის მართლივ დავსწერ ამასაც აქავე: იწილო, ბიწილო, შროშანო გვრიტინო, ალსო მალსო, ჩიტმა გნასო, შენი ფესვი ფესმანდუკი, აბდა უბდა გადასკუპდა, აჯექ მაჯექ, მეფევ ჩაჯექ.

ჩვეულებისამებრ ქართველთა, იტყოდენ ამას რავდენჯერმე და დაასწავლიდენ ყრმათა განმახვილებისათვის და დალესისათვის მეხსიერებისა ეგრეთვე ძლიერისა, მტკიცისა და წყობითისა ლექსთა და სიტყვათა, წარმოთქმისათვის.

დროსა ამას, როდესაც მეფე დუმილითა დაღრმობილი, ტრფიალებდა შვილთა სიყვარულითა, შევიდა მეფესთან მემკვიდრე მისი დავით. ამას გამოჰკითხა ქვეყნისა საქმენი და რავდენისამე მოხსენებისა საქმეთათვის უპასუხა დიდად მკვახედ. დავითს არ იამა ესე და დაფიქრებული გამოეთხოვა მამასა და გამოვიდა, მოვიდა დავით და შევიდა იოანე ძმა მისი, მეფემან შესჩივლა დავითისაგან უჯერონი მოხსენებანი და უბრძანა სიფრთხილით მოქცევა: „ქვეყნისა გაოხრებულისა მეფე ვარ, დიდი ჭკუა გვინდა ამისთანა დროებაშიო. უფროსნი შვილნი ხართ ჩემიო და უნდა მეცა მპატრონებდეთო“. რაი იყო საგანი ესე მათის საუბრისა, არღა დასხსოვნებოდა გოგია ბარათაშვილსა, გარდაცვალებულსა 1850 წელსა, რომელმანცა მომითხრა ამბავი ესე.

მეორესა დღესა განვიდა ხმა ქალაქში: მეფე იწილო-ბიწილოს შეექცევაო. ჰსცნო ესე მეფემან, გარნა არ განრისხდა, შვილებსა დასდვა ეჭვი და ჰსდუმნა.—დედოფალმან მარიამ შეიტყო ესე და შესჩივლა მამასა თვისსა გოგიას. აჩქარებული გოგია დაამშვიდა თვით მეფემან სიძემან მისმან და უბრძანა დუმილი. ამავე დროს შევიდნენ მეფესთან სარდალი იოანე, ალექსანდრე მაყაშვილი, ელიზბარ ფალავანდიშვილი და მელიქი ქალაქისა დარჩია, თანა შეჰყვა ამათ წირვის შემდგომად მღვდელი ონისიმე იოსელიანი და მიართვა მეფესა ზეფის-კვერი. მაშინ უბრძანა შეიყვანონ მასთან ყმაწვილები ილია, ოქ-

როპირი და ირაკლი, „გოგიავ" ბრძანა მეფემან—თუ გიყვარდე, შეაქციე უმაწვილები იწილო-ბიწილოთი, დაჯსხედით ონისიმესთან: მაგასაც ეცოდინება „იწილო-ბიწილო" ამათ უნებ და ეჩვენებინა, რომელ მეფობისა საქმეთაცა განვაგებო და ალერსაც უმაწვილებთან დროს უპოვნიო.

ესრეთითა მოქცევითა ამხილა და არცხვინა დამცინებელნი. განვიდა კვალად ხმა ყოველგან და მიჩუმდენ ენანი, ბოროტისა მეფეზედ მეტყველნი.

## CXII

ამბავსა ამას დაურთო ანბავი მანვე გოგია ბარათაშვილმან.— ქალაქი ამ დროს დამშეული იყო და პური ვერ მოდიოდა ადვილად ამ ქალაქშიაო. მეფესა გაეგზავნა ემიყარბაში გიორგი ციციშვილი და მალხაზ ამირეჯიბი და ნაზირ კათოლიკოზისა ნიკოლოზ ელიოზისშვილი და ბორჩალოში გაგზავნა თითქო განგებ შეთქმითა. ერთს დღეს შემოიტანეს თბილისში 320 ურემი ქართლიდამ და 400 ყაზახ-ბორჩალოდამ. გაივსო ბაზარი პურითა, ჩამოვარდა სიაფე და გაიძღო ქალაქმა კუჭი. მცხოვრებნი თბილისელნი ადიდებდენ მეფესა და ჰგონებდენ მაგიებელთა მისთა. მარილიც შემცირებული იყო და ამისთვის წარგზავნა პავლე მელიქიშვილი და ქალაქისა ნაცვალი სურგუნაშვილი ყულფისაკენ, რომელთაცა წარიღეს ბრძანება მეფისა ყაზახისა და ბორჩალოსა სულთნებთან. ესენი წარუძღვნენ და მოიტანეს ერთს თვეზედ 200 ურემი და 700 აქლემებითა მარილი. „მრავლად დიდად ბეჯითად მეფობდა", იტყოდა იგი გოგია—„მაგრამ ძმები და მხლებელნი მათნი აშფოთებდნენო, ძრწოდენ ყოველნივე, მეფისაგან იშიშოდენ ძლიერ, მაგრამ არ დასცხრებოდენ ხოლმე; მიკვირს ეხლაცა მოთმინება და სულ-გრძელება მეფისაო, უმაწვილი ვიყავი, ხმა არა მქონდა დიდ-კაცებშიაო, მაგრამ მესმოდა კარგად ყოველივე და ბევრჯერ დავფიქრდები ეხლაც და ვი-

ტყვი: რათ სჩადიოდნენ ასეო, რა კაცნი იყვნენო, რას ემიებდნენო? სამგლე გოჭივით ატეხილი იყო დიდი და პატარაო! მართლად იტყვიანო: ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველად ჭკუას წაართმევსო და იმ დროს აღარავინ იყო რიგიანი კაცი, აღარც სარდალი, აღარც სალთხუცესი, აღარც მწერალი, აღარც მდივან-ბეგი და აღარც მღვდელ-მთავარი. ჭეშმარიტად ვიტყვი მხოლოდ ამას, რომ მეფე გიორგი თვით იყო სწორეთ ჭკვიანი, თვით სარდალი, თვით მსაჯული და თვით მღვდელ-მთავარიო.

ამბავი ესე მიამბო თვით გოგიამან,—არა ვუწოდებ გიორგი, რადგან ამა სახელით „გოგია" იგი იყო ცნობილი, როდესაც 1847 წელსა მიჩვენა მან ბირთვისისა ციხე დაწყლულებით და ვიყავი მასთან სტუმრად. ერთსა ღამესა. ოხვრით მითხრა მან: ესრეთისა სიმაგრისა მქონე ქვეყანა, და რამდენი ამისთანა არიან სომხეთისაკენ! როგორ უნდა წამხდარიყო. ჭეშმარიტად ცოდვის მოგვევლინაო და მტერმან ასე გაგვაქროო! ჭეშმარიტია თქმულება მისი ესე უკანასკნელი და აქა მოსმენის მეისტორიე წახდენისა მიზეზსა წინასწარმეტყველისა პირითა მასვე იტყვის ღმერთი, განმგე მეფეთა და მეფობისა: წარვედი და არქუ, ურბრმანსა ღმერთმან ისაისა ერსა ჩემსა ისრაილსა: „არა ვიყო მე წინამძღვრად ერისა ჩემისა: რამეთუ ენანი მისნი უსჯულოებენ და უფლისა მიმართ ურწმუნოებენ".

ნუ დამცინებენ თქმასა ამას მკითხველნი შრომისა ამის ჩემისა, მიიღონ ჰაზრი ესე ანუ თქმულად ტაციტისაგან, რომელიცა ვითარცა წარმართი ესრეთვე ემიებდა რომელთამე დაცემისა მიზეზთა; ანუ თქმულად მეისტორიეს დეისტისა, ანუ თქმულად ბოსვეტისაგან და მიშლესაგან, ისტორიისა ფილოსოფიურად მწერალთა, მე ვიტყვი წინასწარ-მეტყველისაგან თქმულისა: მიიღონ სარწმუნოებაზედ შერყევთა ანუ ურწმუნოთა, ჰაზრი მისი ვითარცა თქმული კაცისაგან გონიერისა, მამულისა ფეხისა მოყვარისა, შორს მხედველისა, დაწყლულებით ყოველისავე გამომემიებელისა, მთრთოლარისა სამეფოისა და მეფეთა თვის, თავ-განწირულისა, რათა არა გამქრალიყო, სარწმუ-

ნოება მტკიცე აბრაამისა, ვარსკვლავი იზრაილისა, ძალი და ძლიერება დავითისა, სიბრძნე და მართლ-მსაჯულება სოლომონისა. აქა ქალად ვსდუმებ, უძლურება და დუმილი კალმისა ჩემისა განაღვიძონ და არაუბრონ სხვათა...

## CXIII

1799 წელსა მოვიდა ელჩი ყაენისა და წერილი მისი, მეგობრული, ჰსთხოვა მეფესა არ დაარღვიონ კავშირი ძველთა საქართველოისა მეფეთა ერანის ყაენთანა, რათა არა დაივიწყოს წყალობები, რომლითაცა სავსე იყო საქართველო, რათა რუსთა არა სცე და ბედი თვისი: ყაენი აღუთქმიდა მფარველობასა თვისსა საქართველოსა კალისტანზედა სარწმუნოებისა მათისა არა დევნასა უფლებასა სახანოებათა ზედა ერევნისა, განჯისა და ყარაბაღისა, ვითარცა იყო მეფისა ირაკლისა დროსა და უკეთუ ისაჭიროებს მეფე ჯარისაცა გამოგზავნასა 600 კაცისა ყაენისა ხარჯითა დასაცველად გზათა, რომელნიცა აქუნდნენ საკლელად ლეკთა ქვეყანისა ამაოხრებელთა.—მეფემან მიიღო ელჩი პატივითა და მაშინვე მისწერა წერილი, რომლითაცა დაუმალველად გამოცხადებულად ახლით არა საჭიროებს ქვეყნისა დასაცველად მინდობით და მიმართვით რუსთა ხელმწიფისადმი, მისწერა მეფემან: ირანი შეგვექმნა მდევნელად და მტერად ჩვენდა დაივიწყა სისხლი მეფეთა ქართველთა ჯარისა დაღვრილისა ავღანისტანსა; ირანმან აწყვიტა ერი და გააოხრა სამეფო ჩვენი, ირანმა აღძრა ლეკი ასაკლებად ჩვენდა, ერთი სარწმუნოება რუსთა ხელმწიფეთა თანა მაიმედებს ქვეყანისა დამშვიდებასა, დარღვევა მათთან კავშირისა არ შემიძლიან და ვერც შევირცხვენ პირსა და ვერც გავსტეხავ სიტყვასა მიცემულსა"

ყოველივე სასულიერონი და საერონი გვამნი თხოულობენ რუსეთისა ხელმწიფისა მფარველობასა, პასუხითა ამით წერილითითა წარვიდა ელჩი, მაშინ ყაენმან მოსწერა წერილი ყარაბაღისა, განჯი-

სა და შაჰ-მირზნისა ხანთა დასაპყრობად საქართველოსა, იქონიონ მზად საგზალი და იყოლიონ ჯარი. მეფისძე ალექსანდრე დროთა ამათ იყო თავრიზსა და იმედეულობდნენ შეწევნითა მისითა, შემოვიდნენ ქართლსა განჯის გზით და ფულითა ნაქირავნითა ლეკთა ჯარითა შემოვიდნენ კახეთსა, გაარდაგდონ ტახტიდან მეფე გიორგი, შეუკრან და გაამაგრონ გზები რუსეთისა მხრით და გაამეფონ ალექსანდრე, ანუ უფროს ძმა მისი იულონ. მეფისძეს ახლდენ ქართველთაგანი: ზაქარია ხერხეულიძე, ადამ ბებურაშვილი, როსტომ საგინაშვილი, თადია ჩოლაყაშვილი და სხვანი. ხანმან ყარაბაღისა აცნობა ესე მეფესა გიორგის და თვით მეფემან დამყარებულმან რუსთა იმედსა ზედა, არ მისცა პასუხი ხანსა, თუმცა მეგობარსა თვისსა, ჰუსეინ-ბეგი ყარაბაღისა, ელჩად გამოგზავნილი ევედრებოდა მეფესა, უბოძოს წერილი ხანსა და მეფე უბრძანებდა: „რუსთა ჯარი ექვსისა დღისა სავალზედ შორ არს ჩემგან. დაბარება და მოსვლა მათი აქ ადვილია, ესრეთ აცნობე ხანსა. მე წერილსა ვერ მიჰსწერ; არცა არის რიგი და უკითხავად რუსთა ხელმწიფისა მქონდეს მიწერ-მოწერა. ზაკვითსა მოქმედებასა ინანებს ირანი, არ შერჩება ყაენთა თბილისის აოხრება, და სისხლი მცხოვრებთა დაღვრილი აქა. ირანმა წაგვასხდინა: რუსეთი გარდაუხდის მაგიერს ირანს. უწერილოს მისულმან ელჩმან, რომელიცა მოვიდა უწერილოდ მეფისაგან, განარისხნა ხანი ყარაბაღისა და მოიყვანა განცვიფრებასა ესრეთი მეფისა მასთან მოქცევა. აცნობა ესეცა ყაენსა და აღუთქვა მზა ყოფნა თვისი შეერთებისათვის მისისა ყაენისა ჯართან შესასვლელად საქართველოსა და დასასჯელად გაამაყებულისა მეფისა. ორის თვის შემდეგ, ჰსცნო ყარაბაღისა ხანმან და თვით ყაენმან რუსთა ჯარისა შემოსვლად თბილისს.

## CXIV

ამასვე დროსა იგდეს ხელსა თადია ჩოლაყაშვილთან მოწერილი წერილი თვით მეფის-ძის ალექსანდრესაგან და ესრეთვე იოანე ბოდ-

ბელთან, მაყაშვილთან, რომელმანცა მიმალა, თუმცა სცნო მეფემან: ერთი ესრეთი წერილი მიიღო იდუმალ ორგულმან მეფისა ჩოლაყაშვილმან და ბრძანა მეფემან შეიპყრან იგი და მისცენ სამსჯავროსა. პყრობილმან და შეშინებულმან გამოაცხადა წერილიცა მიწერილი ბოდბელთან და ორთა სხვათა თავადთადმი და მეფემან ნაცვლად სასჯელისა, რადგანაც ჩოლაყაშვილი იყო სიძე მეფისა მის ალექსანდრესი, ბრძანა სინანულისათვის მათისა მოსცენ ფიცითი წინაშე კარის ეკლესიის ხატისა თელავსა, სიტყვა წერილითი ერთ-გულობისათვის მეფისა გიორგისა და ეგმაოსცა მათ ესე. გულ-ტკივნეულმან მეფემან და გულჩვილმან, უბრძანა იყვნენ დამნაშავენი სიფრთხილით ებრალებოდესთ ცოლშვილნი თვისნი, ვითარცა ებრალვის თვით მეფესა იგინი, არა ღირსნი სიბრალულისა და შეწყალებისა. იოანე ბოდბელს მისწერა საყვედურითი წერილი ესრეთისა სიტყვებითა, რომელ მოიყვანა ძრწოლასა და შიშსა, ყოვლადი კახეთი ორგული მეფისა და გამტეხი ფიცისა არდა მწყემსი ეკლესიისა-მისწერა კათოლიკოსმან ანტონი, სიტყვა და თქმა მეფისა თვით გაიგეთ ესრეთითა მოქცევითა თავსა შენსა ხირისიდგან შენისა.—ნუ მიმიყვან იქამდინ აღვასრულო იგივე სასჯელი, რომლითაც დაისაჯა ორგული მეფისა კათოლიკოსი დისამიძე, შეკრთომილი ბოდბელი, თვით მოვიდა ქალაქსა, წარდგა მეფესთან და მოითხოვა ბოდიში და მიტევება ბრალისა: მისწერა ბარათი თვით ძმასა მისსა მეფის-ძეს ალექსანდრეს, რომელამანცა მოსწერა წერილი უქმად და ყურ-უგდებლად დარჩენილი, ამით დასცხრა კახეთი და შეშინდა ქართლი. სიმტკიცემან მეფისა მიაჩუმა ბორგვანი მრავალთა, იდუმალ მუშაკთა პირის-პირ მეფისა ამბავი მიამბო მეფის-ძემან თეიმურაზ ერთსა და მასვე დღეს, ოდეს მესაუბრებოდა ს. პ. ბ. ხატისა გამო კარის ეკლესიისა ღვთისა-მშობლისა, რომელიცა აქვნდ? მას ს. პ, ბ. და რომელიცა შემდგომად გარდაცვალებისა მისისა აქვნდაცა კვალად მეუღლესა მისსა მეფის რძალს ელენეს, და აწ მეფის-ძეს იოანეს შვილის-შვილს იოანესვე. დიდად შინაურად შეჩვეული მასთან მოვაქსენებდი ხშირად სიტყვასა:

ბატონის შვილო! ხატი ეგე ტაძრისა ჰსწუხს ტყუეობასა თვისსა, ტაძრისაგან თვისისა დაშორებასა და უცხოებასა შინა მწირობასა. ამის მადლი, მეტყოდა, შემეწიოს, მე როგორ მოვიშორებ მას მანამ ცოცხალი ვარ. ჩემი რჩევა, ბატონის-შვილო, მოვახსენეთ წარგზავნოთ თელავსა; არ დავუკარგოთ საუნჯე ქვეყანასა და თვისსა ადგილსა ფასი ხატისაა მაგისა, იცის ქვეყანამან, რომელსაცა იგი ეკუთვნის და რომელმანცა იგი ჰქმნა და შეამზადა. ზედა წარწერა ხატისა ამის არა მაქვს და მახსოვს ზეპირ ნამდვილ, რომელი იყო შემკული კართა მეფისა ლეონისაგან. დედოფალიცა თინათინ მეუღლე მისი იყო მუნ მოხსენებული [42])

## CXV

მოთხრობასა ზემორესა დაუმატა მეფის-ძემან თეიმურაზმან შემდეგი: როდესაც მე თვით შემდგომად მეფისა გარდაცვალებისა წარვედი სპარსეთსა, მაშინ მეფის-ძე ალექსანდრე დიდად მყვედრიდა მეფისა მამისა ჩემისა ესრეთ მოქცევასა. წერილთა შინა მისგან მოწერილთა, მოიხსენებდა მეფესა უშვერად და უკადრისად და სწყევდა მას. სიტყვანი ესე მოსწყვლიდენ ჩემსა გულსა და მაშინ ვჰსცან მტერობა მისი მამისა ჩემისა სახლისათვის და ბოროტი განზრახვა მისი ძმათათვის ჩემთა.—შემძაგდა მეფის-ძე ალექსანდრე და ვნახე თვით სპარსელთა ქცევა, ბილწი ჭაზრი, მათი უსაფუძლო განმგე-

---

[42]) ხატი ესე, შემდგომად გარდაცვალებისა მეფის რძლისა ელენესსა, მეუღლის მეფის-ძის თეიმურაზისა, წარმოიგზავნა თფილისს დასასვენებლად თელავისა მეფეთა კარისა-ეკკლესიისა 1866 წელსა. იოანე ბატონის-შვილის-შვილმან იოანე გრიგორის-ძემან გამოითხოვა იგი და მიიღო თვისად საკუთრებად, ვითარცა სახლისა მისისა საუნჯე. ძვირ-ფასითა მინაქრისა ხელოვნებითა არის ესე შემკული. რიგი იყო ვითარცა ტაძრისა ხატი, ყოფილიყო დასვენებული თელავს, თვისსავე ტაძარსა შინა თაყვანის საცემლად ქრისტეანეთა, კახეთისა მხარისა ქართველთა.

ბლობისათვის და საომრად ვჰსცან იგინი არა რაისა მცოდნენი, ყეე-ნისაგან დაშორებულნი, ვერ-გამბედავნი სიტყვასა თვისსა მეფესათან და ჰსწორიცა სასარგებლოისა ჰაზრისა არ-გამომთქმელნი. დიდად მკვიდრად მდგომარეობა ირანისა, მეფეთა კარისა, და მოვიხსენებდი პაპისა ჩემისა კარსა და თვით მამისა ჩემისა, ყოვლად მეფურისა, დიდებულისა, განცხრომითისა, მხიარულებითისა, სამართლიერისა და კარვის ტახტისა მდიდართა, მოკლებულთა, სნეულთა, მშიერთა, ობოლთა, ქვრივთა და პყრობილთათვის. ეხლაც ვეკვირვი, მიხედვით სპარსეთისა და სხვათაც ევროპისა მეფეთა, ჩემთაგან ნახულისა სე-ინისა პირამდინ, მამისა ჩემისა სიმაღლესა და ბრწყინვალებასა, ეხლა ვხედავ, რომელ ქრისტიანობა არის სამკაული მეფეთა და მასზედ დაფუძნებული მეფობა და განმგეობა ქვეყნისა არის სჩინო, ტკბილი, სამართლიერი და უცთომელი.—აი, ჩემო პლატონ, მიბრძანებდა მე-ფის-მე—რითაცა იყო დიდი კარისა მამისა ჩემისა,—იყო ქრისტეს მოყვარე ყოვლად და ამისთვის იყო მეფე პირველი, თუმცა მტერ-თაგან გარეულთა და შინაურთა შეიწროებული.

## CXVI

დიდად ეხაროდა ქართველთა ერისა ჩვეულებასა, ოდესცა აღდგომისა დღესა მიერთმეოდა ვეცხლის სინზედ, მილოცვით დღესასწაულსა, სხვათა შორის საპასექოდ მომზადებულთა სანოვაგეთა თავი ღორისა მოუხარშავი და მოსახარშავად გამზადებული. კურთხეულმან კასილი, ბრძანებდა მეფე, გახსნა ჭამა ღორის ხორცისა, აკურთხა და განსწმიდა რასაცა მოსე მცნებითა თვისითა უწოდებს ბილწად თქმული, ესე თუმცა არსად ჰსწერია ბრძენთა და ქართველთა წერილებში, გარნა საზოგადოდ ზეპირ თქმულობით, მიაწერენ დიდსა კასილს, დიდმან კასილი შემოიღო ესე, რათა ჭამითა ღორის ხორცისა და აშორონ პურით ქრისტიანენი და რათა მოქცეულნი ქრისტიანედ და

მიმალულნი ურიაობასა ჰურიანი, ადვილად განირჩეოდნენ, ესრეთი არის სადმე განმარტებული დოსითეოს ნეკრესელისაგან.

ესე დოსითეოს იყო გვარით ჩერქეზი-შვილი, კახელი კაცი, ღვთის-მეტყველი და ფილოსოფოსი, მეფესა ირაკლის მეორესა უნებდა ებოძა მისთვის კათოლიკოსობა შემდგომად ანტონისა პირ-ველისა, გარნა არა ჰქმნა მეფის-ძემან გიორგი და მიუბოძა შვილსა თვისსა ანტონის. იცოდა კარგად სომხური, იყო კოჭლი დაბადებით. გარდაიცვალა 1789 წელსა. მას შეუდგა ნეკრესელად ამბროსი.

## CXVII

თელავიდამ მოსრულსა დავით რეკტორსა, თელავისა სემინა-რიისა შემდგომად გაიოსისა მოძღვარსა, უბრძანა მეფემან დასხდოს ქალაქსა თბილისსა სასწავლებელთა, რომელნიც იყვნენ დროსა ამას. ნათლისმცემლის ეკკლესიისა: კალოუბნისა, სიონისა, ქაშვეთისა, მე-ტეხისა და ანჩისხატისა. ასწავებდენ აქ წერასა, კითხვასა, გალობასა, ღრამატიკას, კატეხიზმოს ანტონი კათოლიკოსისა სისტემათა, ძვე-ლთა სამოფოთა ისტორიისა და სხვანი. მოსრულთა ჰასაკსა შინა კერძოდ და არა ყოველგან ასწავებდენ ძველსა და ახალსა ფილო-სოფიასა და ღვთის-მეტყველებასა ანტონისაგანვე შედგენილსა. მო-წაფენი დროთა ამათ იყვნენ ოთხასამდინ, ვითარცა იტყოდენ თვა-ლით მხილულნი მოხუცნი. მაისის თვესა მეფე მიბრძანდა კალოუბანსა და იხილა მოწაფენი ეფრემ ღვდლისა კალოუბნელისა: თვით-თვით-ვულს უბრძანა წაიკითხოს დავითნი, ჰარაკლიტონი, ჟამნი ხუცურად: აგალობნა იგინი და თვითცა გალობდა წირვისა და მწუხრისა სა-გალობელთა. დიდად განმხიარულდა მეფე, იხილა რა ყრმანი მადლიანად ვითარცა სადმე თვით ბრძანა მეფემან,—მკითხველთ უბოძა: თვითო-აბაზი და ამცნო ყრმათა, რათა ეშინოდესთ მათ ღვთისაგან და შე-იქმნებიან ბრძენნი და შვილნი ეკკლესიისანი, დასაწყისი სიბრძნისა არს შიში უფლისა, ხშირად ბრძანებდა მეფე, ესე მიამბო თვით მო-

ხუცმან იოანე, ვიკარმან საქართველოს ეპისკოპოსმან ავალიანმან, მეუნ დამსწრემან დროსა ამას. ამასთანავე დაუმატა ესეცა: ფეული თეთრი, რომელიცა მუშაობდა დროთა ამათ ქალაქსა, და რომელიცა მიერთმეოდა მეფესა, ყოველთვის ჩაჰყრიდნენ ადუღებულს ნაცრიანს წყალში და ესრეთ ფეულსა განწმენდილსა და ჩირქიდამ მოშორებულსა, მიართმევდენ მეფესა.—ჯიბე მისი იყო შიოს მარხანიო ე. ი. უხვი და მოწყალე მოკლებულთა თვის და მარადის უკლებელი ფეულისა. დიდად უყვარდა განსვენებულსა იოანეს მოგონება მეფისა გიორგისა, —იყო კაცი წმიდა, ფაქიზი და მართალი,—მოძულე არა წმინდებისა, არცა ერთი ძმა, არც ერთი შვილი არ იყო, ეგოდენ წმინდა და ღირსი და გონიერი ვითარცა გიორგი, ვითარცა მზე ბრწყინვალე და ვითარცა მთვარე სიდიდით სჯარბობს ვარსკლავთა, ეგრეთ მანათობელად ჰსჩდა მეფე გიორგი შორის ძმათა და შვილთა თვისთაო.

## CXVIII

დიდად ჰსძაგდა ალთაფისა დანახვა, და ბრძანებდა სადმე: არ ეკადრება ქრისტიანესა მისი ქონვა, რადგანაც არის ნიშანი მაჰმადიანობისა. სპარსნი ალთაფასა ხატვენ მაჰმადისა გვერდზედ, იტყოდა მეფე, და ცხონებასა თვისსა მოელიან ალთაფისაგან განწმენდითა:—ძმანი მისნი ეცინოდენ ამისთვის მეფესა და ჰგონებდენ უშვერად თქმასა მისგან ალთაფისათვის. დროთა ამათ, თათრობისა დასასუსტებლად, იტყოდა მეფე სიტყვასა ამას, ვერ-მხედველნი შორით არა მოიწონებდენ მეფისა ჰაზრსა და გამგენი თქმულობისა მისისა, ნაცვლად ალთაფისა მაჰმადისა სიმკოლოისა, ხმარობდენ სპილენძისა თუნგსა ძველთა ქართველთა ერისა ჩვეულებითა.

## CXIX

მეფე ყოვლის ღონისძიებითა მეცადინებდა, დაესუსტებინა და

განექარვა სპარსთა წესნი და ჩვეულებანი, როსტომ მეფისა დროთ-გან ქართველთა შორის შემოტანილნი და დამკვიდრებულნი. განამ-ტკიცეთ კაცნი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, უბრძანებდა ხშირად მღვდელთ მთავართა და არსენის თფილელსა, არა დიდად მისგან პატივ-ცემულსა, — შეაყვარეთ ერსა ჩემსა ქრისტე: — განათესეთ მცნე-ბანი მაცხოვრისა, სიმტკიცე სარწმუნოებისა სიმტკიცე მეფობისა და ბედნიერებისა. მორწმუნე მეფე და მორწმუნე ერი მეგობარი არიან ღვთისა და შვილნი მაღლისანი, დაცულნი ქრისტიანობითისა სიწმი-დისა, დაიცვებიან განსაცდელთაგან. მწყემსსა კეთილსა არა წარუ-წყმდების სამწყსო სულიერი, მოსავი ჯვარისა არა სადა დაეცემის." ვიყნეთ მტკიცედ სახარებისა სიტყვათა ზედა; დავემყარნეთ სარწმუ-ნოებისა კლდესა ზედა, ვსასოებდეთ და მივენდოთ ღმერთსა და იგი დაგვიცვამს. ნუ ჰგონებთ მტკიცედ საქმესა, თუ ღმერთი არ წარ-მართებს მას. მოიხსენეთ რუსთველისა სიტყვანი:

განგებასა ვერ ვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების". (192.)
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისი მტერია (1382.) მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა" (981.)

დაუხსენ, სხვანი სხვად ფიქრობდენ, ჩვენ, ჩვენო მოძღვარნო, უბრძანა ევთიმის თვისსა საყვარელსა ჩვენებურად ვიფიქროთ. როგორც გვიწირავს ისე ვსწიროთ. შოთამაც არა სთქვა ლექსად;

„ზოგთა აქვსთ საღმთო სისხლი დაშვრებისა აღმა ფრენითა,
ყულაჲ ზოგთა ქვეყნისთ ბუნება, კეგლუცათ ზედა ფრენითა„. (29.)

# CXX

სიყრმიდამ გასწავლული სამღრთოთა და საეროთა წერილითა, უყვარდა დიდად კითხვა ვეფხვის ტყაოსნისა, ზეპირად ძველ-დროთა ჩვეულებრივთა წერით, წარმოთქმიდა ოცდა-ათსა და მეტად მუხლთა; ეტრფოდა ლექსთა წყობასა და გულ-მხიარულებით გასაგონად, ტკბილად აბოლებდა შოთასა ტკბილთა ნათქვამთა. კათოლიკოზსა

ანტონის პირველსა, რომელსაცა არა ჰსწყალობდა სიყრმიდგანვე, ვითარ-ცა კაცსა პაპისაგან მისისა თეიმურაზისა შეძულებულსა, მოიხსენებდა არა კეთილად. რადგან ვერ ჰსცნო ღირსება შოთასი, რადგანაც დღესა ერთისა 80 დაბეჭდილი წიგნი ვასტანგ მეფისავე დროსა შთაასყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთა-თვის, მომწამვლე-ლი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა. დიდად ეკვირვებოდა ეს-რეთსა ბრძნისა კაცისაგან მოქმედებასა. „წიგნი შოთასი, იტყოდა მეფე, არის მახვილი სახმარი თვისისა დროსა. გონიერი მოიხმარებს და უგუნური მითვე საჭურველითა თავსა თვისსა განიგმირავს. ღვი-ნო არის სამკურნალო და უგუნური გარდააქცევს საწამლავად, სა-ლოთავად, სიმდიდრე არის ნიჭი ღვთისა: ერთი მოიხმარებს კეთი-ლად და მეორე წარსაწყმედელად თავისა თვისისა, ნუუმე ცეცხლი მათბობელი და დამწველი, არის რამე საგმობელი? ბატონი კათო-ლიკოსი, არა ჩემგან საკიცხველი შეიქმნა მართლად სამრასისად მწე-რალთაგან. შოთას თქმული ატკბობენ სულსა, ასუქებენ გონებასა, ამაღლებენ გრძნობასა, ავრცელებენ გულსა, ამხიარულებენ კაცსა; დი-დებულ ყოფენ ქართველთა ენასა, ამუსიკებენ ქალთა და კაცთა, თუმ-ცა ჯერ არის ბევრთა თვის დაწერილი, გარნა არა უხმარი ბევრთა-თვისცა მწერალთა სახედ მწერლობისა ლექსთა ხმათა შეწყობისა-თვის, ასოთა დანაკვეთობისათვის, აჰა ერთი ესე გვარი ლექსთა-განი:

„ლაშქარნი და დიდებულნი მოდრკეს, მდაბლად ეთაყვანნეს,
მოახსენეს: მიწად ვექმნეთ, ვითარცა მიწად მიგვიყვანნეს.
მორჩილ ქმნილნი დაგვადიდნეს, ურჩნი მკვდართა დაგვაგვანეს,
მტერთა მკლავნი შეაბუნტეს, გულნი ჩვენნი აგულვანნეს, (1684.)

ხშირად იტყოდა ეთიმისათვის მოძღვარისა თვისისა, რომელ-საცა არა უყვარდა ლექსთა კითხვა მსოფლიოთა შოთას თქმული:

ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი.
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა ზედი,

კით ზღაპარი ასე ესმის, უბედობა თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უმს კითა მტრედი. (1219.)

## CXXI

1799 წელსა, თთვესა ნოემბერსა 26 შემოვიდა თბილისს ჯარი რუსისა ე. ი. პოლკი ლაზარევისა, მეფის-ძენი დავით და იოანე წინა უძღოდენ მას დარიალის გზით. მეფის-ძე ალმასხან ანუ კახტანგ, უნებლიეთ მიეგება ანანურსა და თან ჰყვა 30 აზნაური კარისა თვისისა კაცნი და მოხელენი. გოშპარ, დიმიტრი და დურმიშხან კობიაშვილნი; გლახა ჭილაშვილი და გრიგორ ყარანგოზისშვილი პირველობდენ მათ შორის [43]). გონიერთა ქართველთა უხაროდათ რუსთა ჯარისა შემოსვლა, ვითარცა ერთ მორწმუნისა ერისაგან ელოდნენ ქვეყნისა დაცვასა. მეამბოხენი და მეფისა იდუმალ წინააღმდეგნი იტყოდენ სხვად: განმარტებდენ ბოროტად და ჰგონებდენ მეფობისა და სამეფოისა ღატაკად, მეფემან წინათ-ცნობილმან მოუმზადა 4,000 კოდი პური, რომელიც ეშიკაღაბაშმან თამაზ ორბელიანმან, და სვიმონ ანდრონიკაშვილმან მეფისა სიძემან მოატანინეს ურმებითა. სადგურად ჯარისა დაუნიშნეს საბურთალო, ახლოს მტკვარისა. 12 ხაბაზნი აცხობდნენ ჯარისათვის პურსა თბილისსა და გოდრებით, ურმებით მიჰქონდათ. მესამეს დღესა სალდათთა თვით იწყეს ცხობა პურისა ფეჩში მომყავრად: ვერ იამათ ჩვენებურად მცხვარი პური. დილმისა მოურავნი დღე ყოველ უზიდავდენ შეშასა... მას-

---

[43]) გოშპარ, დიმიტრი და დურმიშხან კობიაშვილნი და გრიგოლ ყარანგოზის შვილი 1803 წელსა იყვნენ აშფოთებულისა არაგვისა წინამძღომელნი 1803 წელსა. მერეთ შეიპყრეს რუსთა და დაბორკილნი დაატუსალეს ანანურისა ციხეში. აღდგომისა დღესა ესენი გადმოცვივდენ მაღლისა კოშკიდამ და ივლტოდენ მთიულეთისა მთებში. ფეხ-მოტეხილი გოშპარ იბრძოდა პირის-პირ რუსთა. უკანასკნელ შემოირიგეს და დამშვიდებულნი ცხოვრებდენ სახლთა შინა თვისთა.

ვე დროსა მიეწერა ფიცხელი ბრძანება ნინია სუმბათი-შვილსა ნათლუხის მოურავსა. კომლზედ სამოურაობასა მისის შეჰწერდეს თვითო ურემი შეშა რუსის ჯარისათვის და მომზადდეს ესე დეკემბრისა თვისა-თვისით 1800 წლისა. მეფე განვიდა ცხენითა საბურთალოსა: მიბრძანდა და ნახა; დაირა, მუზიკა, გამოეჩინა ჯარი; ღენერალმან მოართვა ლაპორტი რუსულად და ქართულად დაწერილი—მიასხლოვდა მეფე და უბრძანა მაღლის ხმითა: „გამარჯვება ქრისტეს-მოყვარესა მხედრობასა“, მაშინ შესძახა ჯარმან: სიმრთელე მეფისა, რუსთა ჩვეულებითა.—ვეცდები ღენერალო, არ დავაკლო არა რაი ჯარსა; რასაც მოითხოვთ აღვასრულებთ. ესე იყო დილით, რავდენიმე ხანი კაცნი დააყენეს თბილისსა, სადაცა შემოვიდა ჯარი მუზიკითა, და წინა უძღოდა 15,000 კაცი მცხოვრებთაგანი და იყო ცისიდამ სროლა ზარბაზანთა და რეკა ზართა.

ამავე დღესა სადამოზედ კვალად წაბრძანდა მეფე სანახავად მათის ბანაკისა, და ისიამოვნა დიდად სალდათთა ჩილკა, თავისუფლად, კარგათ ჩაცმულთა და მომღერალთა. სიმღერანი მათი ბოხისა ხმითა, ყიჟინითა, ცქრიტად წარმოთქმული, მოიყვანდა მეფესა განცვიფრებაში.—„გმირული მღერაა, რუსთა სიმღერაო; სარდალო, უბრძანა იოანე ორბელიანსა, მსნე უნდა იყვნეთ ახლა ესეცა და მრწამს, რომ ადვილად შეგვიშინებს და მოერეკეიან ჩვენთა მტერთა; ამათ ვერ დაუდგება ვერც ლეკი, ვერც სპარსი და ოსმალო, ჩვენის ქრისტეს ძალითა, განსვენებით ვიქმნებით ამიერიდგანაო, მაცხოვარო! შენ შეგვეწიე,—წარმოსთქვა მეფემან ქუდ-მოხდითა. შემდგომად ათისა დღისა ინება მეფემან, მოსმენა რუსულად წირვისა. მოვიდა ბატალიონის მღვდელი და მგალობელნი სალდათნი სასახლისა წმინდის გიორგის ეკკლესიისა. ყოველივე იყო რუსულად. დიდად მოეწონა მეფესა წირვისა წესი, მგალობელთა მოიყვანეს მეფე ღმრთიერებასა და ბრძანა: „უცხოთ ჰსცოდნიათ გალობა“.—მოხსენებისა დროსა იმპერატორისა და სახლეულთა მისთა მღვდელმან მოიხსენია მხოლოდ მეფე და დედოფალი. მემკვიდრემან დავით იწყინა ესე

და ჰყვედრა მღვდელთა რუსულის ენისა მცოდნეთა ზაქარია სოლომონსა, იოსებ წინამძღვარის შვილსა, და იოანე ქართველოვსა [44]) დავიწყებისათვის მისისა, ოდეს მისცემდენ იგინი რუსისა მღვდელსა წირვისათვის დარიგებასა.—შემდგომად წირვისა მეფემან მიიწვია ღენერალი და მღვდელი თვისთანა სადილად და მგალობელთა რუსთა სალდათთა თვით, თვისის ჯიბიდამ მათთან მოღებული უბოძა 4 მანეთი ფულად წვრილის აბაზებისა.

## CXXII

მომწონებელი რუსეთისა ჯართა წყობისა, ჰგონებდა წარევლინა შვილი თვისი უფროსი პირ-მშო მეორისა ცოლიდამ მიხაილ იმპერატორისა პავლესადმი. დროსა ამას იყო ესე, ვითარცა თვით მიამბო, 17 წლისა დაიბარა კავალენსკი, რეზიდენტი და უბრძანა მომზადება შესაბამისა წერილისა ნოემბრის თვის 8 დღესასწაულსა მთავარ-ანგელოსისა მიხაილისასა, წარიგზავნა წერილი ესე; გარნა მასვე წელსა გარდაიცვალა მეფე გიორგი და ორის თვისა შემდეგ თვით იმპერატორიცა პავლე. ამისთვის დაჰშთა ჰაზრი ესე და განზრახვა უქმად. მეფის-ძე მიხაილ, თვით ბრძანებითა დედოფლისა დედისა წარვიდა რუსეთად და არღა მხილველი სამშობლოისა ქვეყნისა, გარდაიცვალა 82 წლისა ქალწულებითისა ცხოვრებითა 2 ნოემბერს 1861 წელსა და დასაფლავდა ოქროპირის ეკკლესიას, ალექ-

---

[44]) ამათ ესწავათ რუსული ასტრახანში. იოსებ წინამძღვრის-შვილი იყო მოძღვრად, საქართველოისა განმგეისა კნიაზის ციციანოვისა და გარდაიცვალა მოხუცი 1827 წელსა. იოანე ქართველოვი იყო მასწავლებლად თფილისის საკეთილ-შობილოსა სასწავლებელსა, რომელიცა გამართა კნიაზმან ციციანოვმან 1803 წელსა და გარდაიცვალა 1816 წელსა. ზაქარია სიდამონიშვილი, კახელი გადაჰყვა მეფის-ძეს მიხაილს და რადგან ორჯერ მიიღო საჩუქრად ჯვარი ოქროსი, ეწოდა მას: „ორ-ჯვარა დეკანოზი" მოკვდა მოხუცი 1834 წელსა თელავს უკუ-მოქცეული რუსეთით.

სანდრე ნევსკის მონასტერსა; სამარხოსა ძმათა და ნათესავთა თვისთა.

## CXXIII

დიდ-მარხვის 5 კვირიაკესა, მწუხრად მიბრძანდა მეტეხსა, დღე-სასწაულობისა გამო ტაძრისა დაუჯდომლობისა. მოიხილა ადგილი. გარემო ტაძრისა და ძველნი ნეშტნი ძველთა მეფეთა სახლისა. თვით ამოწმებდა სამირკველთა დანაშთენთა იმ-გარგლივ კლდოვანისა მის ადგილისა, რომელზედაცა ვახტანგ გორგასლანისა დროდგან როსტომ მეფისა დრომდე 455—1630 იყო სასახლე საქართველოისა მეფეთა, და თვით ეკკლესია ვითარცა კარის-საყდარი.

ბრძანა და განაჩინა დაფუძნება მუნ სახლისა და განწმედა ადგილისა მცხოვრებთაგან, რომელთაცა აქვნდათ მუსადგურად დროებითად მიცემული, ანუ ეკკლესიის მსახური, ანუ ეკკლესიის ყმითა, ანუ სასახლისადმი მიწერილთა მოხელეთა და მხლებელთა.

განსაკვირვებლად მეფისა და ქალაქისა მცხოვრებთა, პასექისა შემდგომად, ოდეს განსწმედდენ ადგილსა აღშენებისათვის ჯვრით ახლო ეკკლესიისა 300 ჯანანდრისა ადლისა სიგრძეზედ მტკვრისა მხარეს, პლანისამებრ ანუ სახისა ხატულისა მეფესთან მყოფისა ნემეცისა დეიტრიხისა (?) დაეცა მეხი თვით ადგილსა მას. შეშინებულმან მეფემან შეაყენა შენობა მუნ თავისთა სასახლის. მცხოვრებნი ტფილისისა მორწმუნენი და ურწმუნონი, ბუნების-მეტყველნი და ღვთის-მეტყველნი, თვისებრ სხვად და სხვად განმარტებდენ ესრეთსა შემთხვევასა. თვით მეფე მიეცა შიშსა და ოცნებასა.—ბნელი იგი რაღაცა საიდუმლობითი კაცთა ბუნებისა, ჰშთაუხდა გონებასა და სულსა მისსა და მორჩილმან მარადის უხილავისა ხელისა, ხელითა ხილულითა ეძებდა მარადის სამკურნალოსა მოწყალებითა, რომლისაცა იწყო გაცემა უხვად ქვრივთა, ობოლთა და გლახაკთადმი. მაშინ

შიშმა ღვთისა დაამატა ლოცვასა, ლოცვა ვედრებასა, ვედრება და ცრემლთა ლოცვითთა, ცრემლნი.

## CXXIV

დღესა ერთსა მოახსენეს მეფესა, იტყოდა იოანე მღვდელი ბეგთაბეგიშვილი, უხვებამან თქვენმან და გაცემამან გამოლია საგანძური თქვენი. მეფემან უბრძანა პასუხად: „უხვსა მეფესა არა მოაკლდება საუნჯე, ვითარცა შიოს მარანსაო. მოწყალება,—კარიაო სასუფეველისა გამღები. მოწყალესა კაცსა მოციქული პავლე შეადარებს თვით ღმერთსა“.

## CXXV

ჯერეთ მეფისა ირაკლისავე დროსა აქვნდა შეტყობილი, რომელ რუსთა მეცნიერებათა აკადემიისა კალენდარში, მოიხსენებდენ საქართველოსა მეფეთა სახლისა წევრთაცა დროდგან ოდეს საქართველოს მეფემან ირაკლი აღიარა ტრაქტატითი (1783 წ.) ვასსალობა რუსეთისა და სამეფოცა საქართველოისა დაიდვა კალისტახათ რუსეთისა, მარადის აცნობებდენ ახალთა დაბადებულთა თვისი დამცველთათვისი. ესე იყო მიზეზი, რომელ მეფისა გიორგისა შემდგომად მიჴსწერეს, რათა მეფისა რძალი ელენე, მეუღლე მემკვიდრისა ჩაეწერათ 1801 წლის კალენდარში. პასუხად ესე ვითარისა წერილისა ჴსწერს მამასა ჩემსა ეგნატის ძმა მეფის რძლისა ელენესი თავადი სვიმონ აბა-მელიქი, შემდეგსა: ჩემო უსაყვარელესო მოწყალეო უფალო ნათლიავ![14]) ამ ჩემს ჯავრს ასე შემოკლებით მოგახსენებ,

---

14) უწოდებს ნათლიად, რადგანაც ძმა ჩემი ქრისტეფორე გარდაცვლილი 1808 წელსა და თვით მეცა მისის დისა მეფის რძლის ელენესაგან ვართ მონათლულნი.

ღმერთი არ წამწყმედავს და ჩემს უდიდეს სასურველით ხილვას მაღირსებს, რაც შენი სიკეთე და ღვაწლი არის ჩემზედ და ჩემს ოჯახზედ, რომ ვარ სარწმუნო ჩემს გულში ჩამარხული და ჩამკვიდრებული არის. დიდათ მინდა რომ შევიძლო წიგნის მოწერა; დავწერო და მოვახსენო, იცოდე, რომ ასე ვიცი, მაგრამ რა ვქმნა არც დაწერა შემიძლიან და არც წერილით მოხსენება, თუ ღმერთი მაღირსებს თქვენს ხილვას, მაშინ მოგხსენდებათ.

თქვენს ნათლიდედას ჩემს სიცოცხლეს ასე მოვახსენებ: ყოველნი წამქბულნი უზომისი და უდიდესი ტანჯვის მიღებით, ღირსებულნი მეფობასა. ასრეთვე ეგზომი შენი ჭირი და ნაღველი, რაც გვაგიწევია ღმერთი და ჩვენი მრავლად მოწყალე წმინდა გიორგი გვაღირსებს სააქავო სოფლის სიხარულს და ბედნიერებას და საიქაოსაც სარწმუნობას რომ უმოწყალეოთ არ დაგვაგდებს.

ჩემი ხელმწიფე შვილის სახელისა კალენდარში ჩაწერინება გიბრძანებიათ, ამ წლისა ადრიდგანვე დაბეჭდილი გამოსული გახლავთ, რომ ამას აღარა ეწამლება-რა ათის მარცვლის და ოცისათვის აღარ დაბეჭდავენ. ღვთით მეორე მამავალის წლისა იქნება ღვთით სხვა უკეთესს და უდიდეს გვარათ ჩაიწეროს.

სხვა ამბავი აქ ჩვენთვის არა კეთილი და არცა მშვიდობა და სიხარული ღვთით და წმინდის გიორგის შეწევნით—მანდედამ მოველით ჩვენს სიხარულსა, ნუგეშსა და ბედნიერებასა. დავშთები ჩემის უსაყვარელეს მოწყალის ხელმწიფის მონა თავადი სვიმონ აბამელიქოვი.

ქ. მათს უგანათლებულობასა ჩემს უდიდეს სასურველს და სანახავ სანატრელს მეფის რძალსა კლენეს ლამაზ პირს კოცნას მოვახსენებ“.

წელსა 1801

იანვრის..... ქ. ასტრახანს.

# CXXVI

მეფის გიორგისა სიცოცხლისავე დროსა ძმა მეფის რძლისა ზურაბ ჰსწერს ქ. ასტრახანიდგან შემდეგსა წერილსა მამასა ჩემსა:

ჩემო ხელმწიფევ ეგნატი!
უფალო ნათლიავ!

ამას წინა ფოშტით კნიაზმან მაგათს უგანათლებულესობას არზა მოართვა და მცირე ხანს დაცლა ჰსთხოვა იმ ნივთისა: ეს ნუ მამიკვდება და შენმა მზემა ყოვლის ცდით ვცდილობთ, რომ ამ შენობის ცოტა რომ გაკეთება დავანახოთ ქვეყანასა და მერე სახელმწიფო ხაზინიდამ თეთრი ავიღოთ პირველად მაგათს უგანათლებულებას ვაახლებთ, ამაზედ ხათრიჯამი იყავით და ნუ სწუხართ [45]).

ამ თვის 23 მაგათ უგანათლებულებობას კნიაზისათვის ბაბახანის შვილის თავრიზისა მოსვლა ებრძანა, აქაც ბევრის ამბავს აჭორებენ ბაბა-ხანისასა, ღმერთმან ქნას, რომ ამათი დიდებულებიდამ სამხედრო წარმოევლინოს ჩვენს ხელმწიფეს. კამერგერი-გრაფი მუსინ-პუშკინი მოვიდა პეტერბურღიდამ კოეწი? გუბერნატორთან კორინღთან მიდის. ასე მოგახსენებენ, რომ ოსეთის გზა უნდა დასწრიგონ, ორი დღის მოსული არის, ჯერ კნიაზს არ უნახავს: თუმცა უნდოდა, რომ მაშინვე ენახა, მაგრამ თავის შეუძლებლობისა მიზეზით ვერ ნახა, მერე ასეთს ყოფაში ბძანდება, რომ შეგებრალებათ და დღისით შენობისა მიზეზით ადგება გავა საღამომდინ ოსტა-

---

[45]) ძმანი მეფის რძლისა ჰპირდებოდენ ფულისა გამოგზავნასა, ნაცვალ გებითა წოდებისათვის თავადობისა, ოდეს მამა მათი სვიმონ ალა წარვიდა რუსეთად დიდისა საუნჯითა თვალთა და მარგალიტთა ნადის-შაისაგან ნაქონთა იმპერატრიცამან ეკატერინა ანუ იმპერატორმან პავლე შეისყიდეს და უბოძეს მამული პოლშისა მხარესა და თვით წოდებისაგამო მათისა, მეფისა წერილსა შინა, თავადად დარჩნენცა კნიაზად რუსეთისა.

ტებს თავს ადგა, ძალიან ბეჯითად ვამუშავებთ იმ ზემო ჭაზრის მიზეზით [46]).

ჩვენს ხელმწიფეს ბატონის რძლისათვის მეფისაგან სოფლის ბოძება ებძანა: ღმერთმან ბედნიერებაში მოახმაროს, ვიცი, ესეც შენი გარიგებული იქნება [47]).

ბატონის შვილისაგან გამოგზავნილი არესაშვილი მარტიროზა აქ მოსული. ამას წინათ მოგახსენე, რომ ჩვენსა ჩამოვახდინეთ, კარგის პატიჟითა მიანდო ალა ურმის ქისა ჩვენ მოგვაცემინა მაშინვე ხუთ მინალთუნიანი ჩექმა უყიდეთ და ჩავაცვით. ახლა ამბობს, რომ აქ აბრა ხანს ქორწილი მინდა ვქნაო, დანიშნული ვარო. ეს თუ რამე ქორწილისათვის მოსულა და მანდ ბატონიშვილი მოუტყუებია და აქ ჩვენ მოტყუებას გვიპირობდა, რომ ბატონის შვილმა იგისრო ახლა ჩემი თავიო. ამისი მოსვლა იყო და აქ რაგინდარა ჭორების დაყრა, რომ ბატონის შვილს სხვა საქმეზედ გამოუგზავნიაო და რასაც ამბობდნენ, როგორ შემიძლიან მოხსენება.

ამას წინათ მაუდი ბასტისეტი და ტემლავი გეთხოვნათ თეთრი მაუდი აქ არ იშოვება და მაშინვე მოსკოვს მივსწერეთ, რომ წინას ფოშტით გამოგვიგზავნონ, იმედი მაქვს ჩქარა მოგვივიდეს და ჩქარა გაახლოთ. ახლაც შლაპა ებძანა მაშინვე ვიყიდეთ კარგი შლაპა, გუშინ კვირა იყო და გუშინ წინ პრაზნიკი: იაშიკი ვერ გაუკეთებინეთ და გახლებთ [48]) ამას წინათ ას ხუთი მარცვალი ბაჯაღლოს ოქრო გამოვგზავნეთ, როდესაც მოგერთვათ გვაცოდინეთ და მე თქვენს მონას ნუ დამაგდებთ თქვენის გულისაგან.

მისს უგანათლებულესობას ჩემს ხელმწიფეს ბატონის რძალს და თქვენ ნათლი დედას სურვილით, ხელს ვაკოცებ. ქ. ბატონს მამა თქვენს, ქრისტეფორეს დედას ქრისტეფორეთ და მაიათი მრავალს

---

[46]) ვინ არის ესე კნიაზი არ ვიცი.

[47]) მეფემან გიორგიმ უბოძა პირის სანახავად თვისსა რძალსა გურჯაანი, სახასო კაცები, მახცანი სოფელი და ქარვასლა ქ. თფილისს.

[48]) შლაპა ღენერლისა მემკვიდრისა დავითისათვის.

მოკითხვას მოვახსენებ. თქვენი და დაქორწინეთ, თუ არა? [49]) მათი მონა ზურაბ სვინოის ძე აბა-მელიქოვი.

ჩემს სიძეს მირზას წიგნი ებოძებინა, იმ წიგნის პასუხს სხვას დროს მოვახსენებ. წყალობას ვითხოვ მომიკითხო და მაიაც შაქარათი, ჩვენი ეთერა სისუც მომიკითხე [50]) წელსა 1800 ივნისის 25 კასტრასანს.

## CXXVII

აპრილის თვის დღეთა შინა მოუვიდა მეფეს წერილი ომარხანი-სა ავარელისა სადაცა იყო შესიზნული მეფის ძე ალექსანდრე ომარ-ხანი. მცოდნე საქართველოსა შინა გზათა და გვალთა ამაოხრებელი სურამისა ჭალისა აბაშიძეთა სოფლისა და ასტალისა,—მელიქიანთა სადგურისა,—ჰსთხოვდა მეფესა, რათა მისცეს წილი სამეფოისა ძმასა თვისსა ალექსანდრეს; რათა კავშირისა გამო ჯერეთ მამისა დროსავე მისისა ირაკლისა ეგზავნოს საყოველ წლოდ დანიშნულისა საჩუქარი ანუ ხარჯი მას ბატონსა და ოსაქოლისა პატრონსა დიდათ მაჩნდათ სოფელი ორაქალი ესე სადგური ხანთა, შეუვალი მტერთათვის, ექვსასისა კომლისა შეჭურვილისა ლეკისა ბოლაზი და ნაყოფიერებითა თვით ომარ მდიდარი მთათა ადგილთა უსხან იყო, ბრძანებული და თავად მოთელისა დროთა ამათ დაღესტანისა.

მეფე ერიდებოდა ავარიისა ხანსა; იცოდა ძალი მისი და ხმა, რომელიცა აქ უნდა დაღესტნელთა ზედა ხანი ესე ადვილად შეჰყრი-და 2,0000 ლეკსა 6,000 ლეკს ცხენოსანი, გულხადრი მზად იყვ-ნენ ბრძანებასა ქვეშე მისსა გარდა ამისა აქვნდაცა დიდი ნაი ესაო:

---

[49]) ქრისტეფორე იყო ჩემი ძმა; მაია არის ჩემი დაი დღეს ცოცხალი; დაი რომელსაცა კითხულობს, იყო მამიდა ჩემი ფინათინ.

[50]) სიძე მირზა იყო გულასპიშვილი ბეზირგანი ტფილისისა; შაქარა იყო შვილი მისი და მაია დედა ზაქარიასი და დაი ღვიძლი მეფის რძალი ელენესი.

ბითი კავშირი ერთობისა ყარაბაღისა ხანთან, იმ დროდგან, ოდეს გამაოხრებელმან ჭალისა წარიყვანა ტყვედ ორნი დანი აბაშიძისა ქალნი და მათგან ერთი თვით ჰყვა ცოლად და მეორე მიართვა ძღვნად ყარაბაღისა ხანსა.

მეფემან მისწერა წერილი ერთი არაბულად თვით ომარ ხანსა და მეორე ძმასა თვისსა ალექსანდრეს. პირველისა წერილითა აუწყა ომარ ხანს, რომელ კავშირი მასთან მას არ დავიწყებია; ელის დროსა უკეთესსა, რათა უფრო მტკიცედ დაამყაროს იგი მასთან. დაღისტანი სიმტკიცეა ჩემიო, ჰსწერდა მეფე, უკეთუ ავარიისა ხანთა შეწევნითა და ძალითა დამშვიდდება ლეკი და არღა შემოვა თარეშ თარეშად, გუნდ-გუნდათ ასაოხრებლად სოფელთა, მე ვარ პირმშო შვილი მამისა ჩემისა, მეფედ დამტკიცებული რუსთა, სპარსთა და თურქთაგან. ძმათა ჩემთა და თვით ალექსანდრემან, არ ინებეს ჩემი მეფობა, გამექცნენ და მით აშფოთებენ ქვეყანასა, ურჩიეთ თქვენცა მას, დამემორჩილოს და მივსცემ მას სოფლებთა და ადგილთა სარჩოდ რაცა ვერ მიჰსცა მას მამამან ჩვენმან. თუ დამშვიდდება ალექსანდრე, მე და ჩემი ქვეყანა გავმდიდრდებით და მაშინ კავშირი და ერთობა თქვენთან უფრო მეტი იქმნება,—დავახლოვდებით ძველთა ჩვეულებისაებრ და სარგებლობაცა ჩვენგან ყოველთვის ექმნება დაღისტნელთა, ეხლა მდგომარეობა ქვეყნისა ცუდად არის აღრეულებისა გამო გაღარიბდა ერი ჩემი. რუსთა მფარველობისა არ უნდა ეშინოდეს არცა ძმასა ჩემსა არცა დაღისტნელთა“.

მეორითა წერილითა ძმასთან, ამცნებდა მას ტკბილად ქრისტეს სიყვარულისათვის დაჰსცხრეს, მოვიდეს მისდა და მიიღონ ყოველივე რასაცა შეიძლებს მეფე მისდა მისანიჭებლად. მისცა აღთქმითი პირობა შეფიცებითა წინაშე ძელისა ჭეშმარიტისა, ჰყოს იგი კმაყოფილი. მეფობისა დათმენა არ შეიძლება, ძმაო ალექსანდრე,—ჰსწერდა მას. დაეცემა მეფობა, უკეთუ განუყოფ მე სამეფოსა ძმათა ჩემთა. ვის უქმნია ესე და არ უნანია? ნუ ექმნები მტერი ოჯახსა და საქრისტიანოსა. დამიახლოვდე, ავარიისა ხანი: შენზედ უკეთეს შუამდგო-

მელსა მასთან კაცსა მე ვერ ვიპოვნი, — ნუ იქმნები ორგული ქვეყნისა: აჩვენე ერთგულობა მეფობასა გაოხრებულსა და ამით ადიდე შენი სახელი. ამ ჩემ წერილთან მოგივა კათოლიკოსისაცა წერილი ვედრებითი. ამბორს გიყოფ შორიდამ და გელი მალე. მომეშველე და ვიყვნეთ სიყვარულით ქვეყნისა. [51])

პასუხი წერილთა ამათ არ მოერთო მეფესა, ომარხანსა მოუკვდა დროთა ამით ცოლი აბაშიძეთა ასული და იგლოვდა, ალექსანდრე ჭარიდამ გზითა წარვიდა სპირსეთად და ელოდა მალე ლეკთა ჯარითა კახეთში შემოსვლასა.

## CXXVIII

ჩერქეზ ქირმანის ბატონმან უცმან ალექსანდრეს მეფის მის სიმამრმან და მეფეთა თანა დაახლოვებულმან ადრითგან მოართვა მეფესა გიორგის ცხენი ყაბარდოული, ორი თეთრი და ოთხი სხვისა ფერისა, ტანოვანნი და მძლიერნი დიდ სხეულოვანებისა გამო მეფისა, ვერ სადმე უძლებდნენ მას ცხენები და ამისთვის გამორჩევით, მცნობმან მოყვარემან მოართვა ძღვნად. — იამა მეფესა და მიუძღვნა ნაცვლად გებისა საჩუქარი მას და რიცხვით სახლეულობისა მისისა ქალთა ოთხი ბეჭედი ალმასისა იაგუნდ მოდებულნი თანასწორისა ფასისა და ხელოვნებისა და გულსაკიდი მარგარიტისა მეწკვი: თვით

[51]) ესე წერილი დაწერა მეფისა მდივანმან იოანე ბეგთაბეგოვმან, რომელიცა გარდაიცვალა 1838 წელსა, თვით მისგან ვიცი ესე.

მანვე მიამბო, რომელ მეფე გიორგი ხშირად მათქმევინებდაო ძველად თქმულსა სიტყვასა მოლექსისასა.

როსტომმა სთქვა, სიბერიკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდაო,
ასსა ლიტრასა რკინასა კბილ-ქვეშ შევიდებ კნატს უზამო,
ალაზანსა და იორსა დავეწაფები ყლაპს უზამო,
იქითს მთასა და აქეთსა ხელს მოუჭირებ რახტს უზამო,
თავსა გასულსა დიაცსა, მე იმას ვერას ვუზამო.

მას წარუვლინა დიდი საგზაო აზარფეშა ვერცხლისა შიგნით მოქსო-
ვილი და თოფი, რომელიცა ადრევე აქვნდა ნაჩუქრად ინგლისსას
კაჭრისაგან, თფილისს მოსულისა მეფისა ირაკლისავე დროსა.

კაცთა, საჩუქარისა მომტანთა, უბოძა ტან-საცმელი მდიდარი და
შესაბამი მათდა იარაღი და გაისტუმრა ლიახვისა ხეობითა იმავე
გზითა, რომლითაცა მოვიდნენ.—ესენი ჩააბარა მშვიდობითისა მგზა-
ვრობითისათვის იასე მაჩაბელსა, ლიახვისა ბატონსა და დავით ამი-
რეჯიბსა, იმერეთისა მესამზღვრეთა და მოყვრობით იმერეთისა და
მეგრელიისა თავადთა თანა დამოკიდებულთა ამბავი ესე მიამბო მე-
ფის-ძემან მიხაილ დამჴსწრემან საქმისა ამის. ერთი ცხენი ამათგანი
იყო თვით იგი, რომელიცა შემდგომად ლეკთა ჯარისა და ალე-
ქსანდრე მეფისა-ძისა მათა-თანა ყოფისა ომსა საგარეჯოსა ახლოს
ნიახურას დამარცხებისა წარუვლინა თვისის უნაგირითა ღენერალსა
რუსისა გულაკოვსა ძღვნად, და მიაგება ავლაბრისა თავსა ესრეთ,
ვითარცა ძლევა შეჯდომით მეფისა ცხენზედ შემოვიდა ქალაქსა და
პირდაპირ წარდგა იგი მეფესთან, სნეულებით საწოლსა ზედა მდე-
ბარესთან და მიულოცა ერთობ ქართველთა და რუსთა ჯარისაგან
გამარჯვება პირველი, და ძლიერი, სახელოვანი და საიმედო შემდეგ
დროთათვის ლეკთა ბაირაღები მოტაცებულნი მძლეველთაგან, მო-
აქვნდათ თვით ლეკთა ტყვედ შეპყრობილთა: ეგრეთვე ზურნა და
დაფი ლეკებისა. მცხოვრებნი ქალაქისა ავლაბრიდამ სასახლემდე მო-
ჰყვებოდნენ ძლევა მოსილსა ღენერალსა ზურნითა, და დაფითა და-
საურითა: მეფის ძენი იოანე და ბაგრატ,—რომელნიცა დაესწრნენ
ბრძოლასა ამას დიდსა და სახელოვანსა და რომელნიცა დააჯილდოვა
იმპერატორმან პავლე ბოძებულთა მათდა 2 ხარისხისა იოანე ერუ-
სალიმელის ორდენითა,—იდგნენ მარჯვნივ და მარცხნივ ღენერლის,
დიდი და ვრცელი დროთა ამათ მოედანი სასახლისა გაივსო მაყურ-
ებელთაგან, დედოფალი მარიამ, და მეფის ასულნი მუნ დამჴსწრენი
შეხაროდენ მძლეველთა. განმხიარულებულმან მეფის ასულმან რიფსიმემ
ადრევე მცნობმან ღენერლისა, წაიძრო თითიდამ, ვითარცა თვით

მიამბო, ბეჭედი ფირუზისა და უბოძა მას საჩუქრად, მიხედვით მაგალითისა ამის დედოფალმან უბრძანა მოხელესა თვისსა მოართვან ბეჭედი და ერთიცა სამ-იაგუნდ სმული ოქროს ბეჭედი ზეთვისითა უბოძა ღენერალსა თვით მეფემან, ოდეს ღენერალი მოვიდა და აკოცა მკერდსა, აკოცა თვით ღენერალსა შუბლზედ და უბრძანა სიტყვანი ტკბილნი მივსწერე იმპერატორსა პავლესა მხნეობა შენი: იმედი მაქვს დაგაჯილდოვოს დიდად".

აქავე იყვნენ შეკრებილნი კათოლიკოზი ანტონი, არსენი თბილელი, იუსტინე მთავარ ეპისკოპოსი და სომხთა ეპისკოპოსი ოჰანეზ თფილისისა.

ესრეთითავე დიდებითა და დღესასწაულობითა წარუძღვანე მას სახლად თვისად, რომელიცა იყო ახლოს მეფის მის დავითის სასახლისა მტკვარისა კიდესა ზედა. ესე იყო დილით 11 საათსა, დღე იყო, თუმცა ნოემბრისა თვისა, მზიანი, მშვიდი და თბილი, მიამბო მანვე მეფის ასულმან რიფსიმე.

აქავე დაუვიწყებლობისათვის ვიტყვი ამასცა, რომელ მეფემან ირაკლი იხილა შვილი თვისი ალექსანდრე, არა ვეთილად მქცევი და მოუძებნა ცოლად ქალი ქირმანის ბატონითა ყაბართოდამ. მოიყვანეს ქალი ესე თორმეტი მოახლითა 14 წლისა თფილისს წითლისა თალათინითა მშვენიერად წელ- რტყმულითა ზორტებითა, იშვიათისა მშვენიერებისა. შემდგომად ორის კვირისა ნათელ ჰსცეს მას სასახლისა ეკკლესიასა, უწოდეს სახელად ნინა. მეფის ძე ალექსანდრე ცოტად ექცეოდა სასძლოსა თვისსა და ქალმან, ჯერეთ ჯვარ-დაუწერავმან იგრძნო ობლობა თვისი და მწუხარებითა დუმილითა განატარა 6 თვე. მოწყლული გულითა დაჭლექდა და გარდაიცვალა და დასაფლავდა თფილისს, მეტეხისა ეკკლესიასა შინა.

## CXXIX

შემდგომად რუსთა და ქართლისა ჯარისაგან ნაიხურას ჯამარ-

ჯვებისა, მეფემან გიორგი სნეულად საწოლსა ზედა მდებარემან, მის-
წერა დესპანთა თვისთა შემდეგი წერილი:

„ჩვენ მაგიერად მისს ბრწყინვალებას ჭავჭავაძეს უფალსა ემია-
ლიაბაშს ყაზახის მთავარს და ამირას გარსევანს და კნიაზს ავალოვს
თანა განმზრახისა ჩვენისა გიორგის და კნიაზს ფალავანდოვს[53]) მდი-
ვანს ელიზბარს მრავალი მშვიდობითი სალამი და სიყვარული ეუწ-
ყოსთ: აქაური ამბავი აქიდგანვე თქვენც კარგად შეიტყობდით. და-
ფარულად რაოდენს საქმეს ცდილობდნენ, მოწერა აღარ ვინებეთ სა-
ქმით გამოცხადებას შეუყენეს. ბაბა-ხანის-შვილი და მისი სარდარი
როსსიისა მხედრობისა ამოსაწყვეტად და საქართველოსა დასაპყრო-
ბელად, რომ მოვიდნენ ერევანს, ალექსანდრე იმათთან მივიდა აქედ-
გან გაქცეული. იმათ იქიდგან წიგნი და კაცი მოსდიოდათ; ჯარი
შეიყარეს ამათ, მოვიდნენ, მაგრამ ღვთის-მშობლისა მოწყალებამან
განაქარვა იმათი განზრახვა, მათისა დიდებულებისაგან როსსიის მხე-
დრობის მოშველება რომ შეიტყეს ყიზილბაშთა, წავიდნენ შეშინე-
ბულნი. იქიდგან უქმათ დარჩომილი ალექსანდრე შუშის ხანთან მი-
ვიდა; ომარ-ხან დაბარებული ჰყვანდათ; ომარ-ხან რომ ჩამოვიდა
ალექსანდრე იბრაიმ-ხანის-შვილიც იმისთანა ომარ-ხანთან მივიდნენ,
დიდი ჯარი შეიყარეს; ჯარის მნახავნი კაცნი ასე ამბობდნენ: ოცდა-
ათი ათასი არისო, რომელიც გაღმიდგან გამოდიოდნენ, მაგრამ
ათასი კი მეტი იყო, ომარ-ხან, ალექსანდრე და მათთან სხვანი წა-
მოვიდნენ საგარეჯოს, მარტყოფს დამდგარ იყვნენ; აქედგან ესენი
მისულიყვნენ ვისთანაც შეთქმულობა ჰქონდათ; იმათითი როსსიის
მხედრობა ჩვენ ამოვეწყვეტენით; ომარ-ხანს და იმათ საქართველო
დაეპყრათ, მაგრამ ეს კი არ იცოდნენ, ომარ-ხანს და ჭარელნი სა-

---

53) მოხსენებულნი აქა გვარნი ავალისშვილისა და ფალავანდის-
შვილისა არიან თქმულნი რუსულისა ენისა მიბაძვით „ავალოვად“ და „ფა-
ლავანდოვად“ ესე ნამდვილი რომელიცა აქვს დღეს უგანათლებულესს
ირაკლის ალექსანდრეს-ძეს, არის დაწერილი კიკოლა დიაკვნისაგან. (იხილე
სხოლიო 6).

ქართველოს იმათ აღარ დაანებებდენ. ნიახურას რომ მოვიდა ომარ-ხან უფალნი ღენერალნი[53]) ქიზიყს მისულნი, რაოდენნისამე როსსიისა მხედრობით და ჩვენი შვილები იოანე და ბაგრატ კახეთისა მხედრობითა ნიახურას მოეწივნენ; ნოემბრის შვიდს სამი საათი დღისა დარჩომილი იყო, რომ მოეწივნენ და მყის თანა შეებნენ; სადაც ბინა ჰქონდათ და განზრახვა მისვლისა, იქ არ მიესწრათ, ქრისტეს ღვთისა და ღვთის-მშობლის მოწყალებით შეებნენ და ჰსძლეს და ფრიად მრავალი მოსწყვიდეს. ჯონგათაის თავი აქ მოგვივიდა; ომარ-ხანის დიდათ დაკოდვას ამბობენ იმათის ჯარით მოსულნი[54]). ჩვენ ახლა ამისთვის გწერთ ამ წიგნსა, ამათ ამისთანა მაგათის დიდებულების მხედრობის ამოწყვეტა როგორ და ვითმინოთ? მაგათის დიდებულების საფარველი რომ მოაკლდეს საქართველოსა, საქართველოდგან ქრისტიანობის ნათელი აღსდგება.[55]) კურთხეულის მეფის მამის ჩვენისა ანდერძიც ასე გვაქვს, თქვენც კარგათ იცით. ამ ჟამად ღვთის-მშობლის მოწყალებით მძიმეს სნეულებისაგან განვთავისუფლდით; სრულიად სიმრთელეს რომ მივიღებ ქრისტეს ღვთის მოწყალებით არაგვს ავალ, არაგვსა და საბატონიშვილოებს ჩამოვართმევ; ვიდრე ჟამადმდე დავდუმდები. მაგრამ ამათის მხრისაგან მეშინის მტერთა ჩვენთაგან შემწეობით, როსსიის მხედრობას შესცოდონ რა; ვინ იცის ამათგან მოხსენდეს რა მაგათის დიდებულების დიდებულსა კარსა. თქვენ იცოდეთ მიზეზი საქმისა ამის. ჭეშმარიტება ვიდრე აქამდისინ მრავლისაგან მრავალი დამითმენია; მაგათის დიდებულებისა და მხედრობისა მუხანათობა და მაგის უძლეველის მხედრობისა მუხანათობა და მაგის უძლეველის მხედრობისა ვნება კი ჩვენგან არ მოითმინება. ჩემი სული უნდა და-

---

53) გულიაკოვი და ლაზარევი. ესე ომი აღარ აღვწერე, რადგან რუსთაცა აქვსთ აღწერილი და ქართულადაცა არის აღწერილი.

54) ომარ-ხან დაჭრილობითა ამით მოკვდა ზაქათალას და მუნვე მეჩითში დასაფლავდა.

55) ესე იგი განქარდება.

სდვა მაგათის დიდებულებისა და მხედრობისათვის მათისა; ღვთის შემდგომად მაგათი დიდებულება არის ყოვლის მხრით ჩვენი შესავედრებელი. წელთა ჩყ. ნოემბრის იბ. ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი. უვარგობა კი არ იქმნება ასე იცოდეთ, გიორგი“ [56]).

## CXXX

დღეთა ამათ შფოთისა და ამბოხისა ძმათაგან და გარე მტერთა, მოერთვა მეფესა, ოთხთავე მართლ-მადიდებელთა პატრიარხთა კურთხევითი წერილი და ნაცვლად გებითი საჩუქრებითი და ხატები გაგზავნილთათვის საჩუქართა და შესაწირავთა, ვითარცა მოსახსენებელთა განსვენებულისა მეფისა ირაკლისა, ეგრეთვე წარსამართებლად გამეფებულისა გიორგისა. სამი ესეთი ხატთაგანი დღესცა იპოება ჩემსა სახლში და მაქვნან თაყვანის-საცემელად; ესე არის კვიპაროზისა ფიცარზედ ამოჭრილი ხატები საუფლოთა დღესასწაულთა, მეორე ჯვარი, და მესამე სადაფისა ხატი.... სხვანი ესე ვითარნი ჯვარნი და ხატნი წარავლინა მეფემა ეკკლესიათა შინა კახეთისა და ქართლისა და ჯვარნიცა მოსახმარებლად ტრაპეზთა ზედა. გამიგონია 200 თუმნისა ნივთნი ვერცხლისა და ოქროსი წარავლინა საბერძნეთსა მეფემან და ფულად 80 თუმანი, დროთა ამათთვის უფულობისა და ქვეყნისა გაოხრებისათვის ლეკთა და სპარსთაგან, არა მცირედი. ამასვე დროსა მოერთვა კონსტანტინეპოლით პატრიარხი-

---

[56]) ესე მიმატებული ესრეთ, თვით მეფესა მიეწერა. აქა იგულისხმებს მეფე, რომელ მოღება საუფლისწულოთა და არაგვისაცა ძმათაგან. უვარგისი ანუ უსარგებლო არ იქმნებაო, წერილსა ამას ნამდვილსა, რიცხვი არ უზის. მხოლოდ გარსევან ჭავჭავაძეს მეორესა გვერდზედ დაუნიშნეს რიცხვი მიღებისა 28 დეკემბერს 1800 წელსა მივიღე. დღე ესე არის დღე მეფის გარდაცვალებისა.

საგან სატი ფიცარზედ ნახატი „წყარო ცხოვრებისა“ დღესაც ჰგიეს ესე წმიდის გიორგის კარის ეკკლესიაში.

## CXXXI

მასვე დროსა პატრმან დამიანე ანკონელმან მოსრულმან რომით თბილისად მიართვა მეფესა წერილი პაპისა პიოს მეექვსისა. წერილითა ამით სთხოვდა პაპა მაგალითისა-მებრ მამისა მისისა გარდაცვალებულისა, აქვნდეს მფარველობა მღვდელთა ზედა გამოგზავნილთა მოციქულთა ქალაქიდამ საქართველოს: ჰსწერდა მადლობასა პატივის-ცემისათვის მათისა კათოლიკეთა სამწყსოისა და ეკკლესიისა განმგეთა ლათინთა ზედა ენასა დაწერილი ეპისტოლე ანუ ბულლა გარდმოიღეს ქართულად ექიმმან რომში აღზრდილმან კათოლიკემან ქართველ გვარისა შარიმანას შვილმან[57]) რომელიცა მოკვდა თბილისს 1836 წელსა. წერილი ესე ნამდვილი და თარგმნილიცა ქართულად აქვნდა დავით თუმანიშვილსა, ეგნატი თუმანისშვილისა ძმასა (გარდაიცვალა 1832 წ.) ვის დაშთა იგი არა ვუწყი.

იოანე ყარაყემან კათოლიკემან ექიმმან მეფისა გიორგისა მომითხრო ამბავი ესე და ჰსთქვა:

„დიდად იამა მეფესა, წერილი პაპისაო, და ეკითხა; რატომ არ იციან ხატითა ანუ ჯვარითა დალოცვაო? თუმცა არა ვარ პაპისა სარწმუნოებისა, გარნა მეფე ქრისტიანეო და თვით პაპა არის მღვდელთ მთავარიო, რიგად იცოდეს მეფეთა პატივიო“.

პატრი დამიანე. მიმრთმევი წერილისა შეწუხდა მეფისა ესრეთითა სიტყვათა გამო, მაშინ მეფემან განამხნო დაბრძანა ნუგეშად

[57]) ვგონებ ერქვა მას სტეფანე, ამან შეადგინა ლექსიკონი ბოტანიკური მცირე ბალახთა და მცენარეთათვის სამკურნალოთა. შემდეგ იოანე მეფის-ძემან დაურთო ესე თვისგან ქმნილსა ლექსიკონსა. ნ. დ. ჩუბინოვმან შეიტანა ლექსნი ესენი თვისსა ლექსიკონსა, რომელიცა დაბეჭდა შემდეგ დავით ჩუბინოვმან.

პატრისა აცნობონ თვისსა ენაზედ პატრსა, რომელ მეფესა დი-
დათ ეყოლება იგი პატივითა და სიყვარულითა. „არავარ თქვენისა
სარწმუნოებისა“ ბრძანა მეფემან, ვარ ორთოდოქსი (ხშირად ხმა-
რობდა ლექსსა ამას ბერძნულსა, რომელიცა 16. ნიშნავს „მართლ-
მადიდებელსა), გარნა მიყვარან პატრნი სიწმინდითისა მათისა ცხო-
ვრებისათვის, გულისა კეთილისა ქონვისათვის: ქველის-მოქმედება-
თა თვის, რომელსაცა იქონიებენ, გლახაკთა, ობოლთა და სნეულთა
მზრუნველობისათვის.—ჩემო პატრო, იყავ განსვენებით, დაახლოე-
ბით ჩემისა კარისა, შემიწიე თუ საჭიროება რაიმე გაქვნდეს. გან-
მხიარულებული პატრი წარვიდა სახლად თვისსა და შემდგომად გარ-
დაცვალებისა მისისა, მწუხარე და კურთხევით მომხსენებელი მეფი-
სა 1801 წელსა თვითცა გარდაიცვალა ქ. თფილისის.

მისსა მოადგილედ დაშთა პატრი ფილიპე, კაცი მაღლისა ხა-
თნოებისა და აღმაშენებელი ლათინთა ეკკლესიისა თფილისსა და და-
მაფუძნებელი სასწავლებლისა ყრმათა-თვის ფრანგთა, სასტუმროსა
სახლისა შესაწყნარებლად უცხოთა კაცთა და სასნეულოსა,—საკურ-
ნებელად სნეულთა უპოვართა. 1859 წელსა გარდაიცვალა 77 წლი-
სა და დასაფლავდა აღშენებულსა მისგანვე მცირესა ქვა-კუთხიანსა,
ეკკლესიასა ზოგადსა ფრანგთათვის სასაფლაოსა სოლოლაკის მთი-
საკენ, მშვენიერსა და თვალ-საჩენსა ადგილსა.

## CXXXII

სნეულობისა დროსა მოუბარმან მეფემან ინება გამოკითხვა ლე-
ქსისა „მღვდელი“-ს მნიშვნელობისა; მოახსენა იოანე ოსეს შვილ-
მან განმარტება ლექსისა, გაგონილი მზე-ჭაბუკ დომბეგისაგან ორ-
ბელიანისა [58]) რომელსაცა წარეკითხა ესე წერილთა შინა თფილი-

58) ესე მზეჭაბუკ იყო ორბელიანი (ყაფლანი-შვილი) კაცი რიტორი, მცოდნე ძველისა და ახლისა ფილოსოფიისა. განსწავლეს იგი ვინცლა ისე

სის მიტროპოლიტისა ნიკოლოზისა [59]) ლექსი „მღვდელი“ არის იგივე მღვდლისა ლექსიდგან წარმოებულიო. ქ. ი. ღვდელი ღვდელი, მღვდელი ანუ «მღვდელი» აქედგან წარმოსდგა ესეცაო, რომელ მეფენი ღვთისა ცხებულნი იყვნენ მასვე დროსა გვამნი ღვთისანიო. ქ. ი. საღმრთონიო. აქედამვე შემოვიდა ოქმულობა დიდ მეელთ ქართველთა შორის დახმარებული გლეხთაგან.

---

დიაკონმან (ვინ იყო ვერ ვსცან)—მოძღვრად მისსა იყვნენ ზაქარია სომეხთა ვართაპეტი იტალიაში აღზრდილი და ზაქარია გაბაშვილი მოძღვრად წოდებული—იყო ტანით და სახით სრულიად ეზოპე. გარდაიცვალა 1794 წელსა. მოწაფე მისი იყო მამა ჩემი ეგნატი.

[59]) მისგან დაწერილისა წიგნისა ბოლოს ჰსწერია ესეცა:

ქართული ქორონიკონი ჯდებოდა ოივ მეათოთხმეტეს მოქცევაში ვიყავით. მთავარნი ესე ასოთანი ძველადვე ქართველთ ეწერათ და არღარავინ სწავლულიყო ამისა, თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან საბა ორბელის-ძისაგან კიდე. მასცა მამისა ჩემისაგან ესწავა და მან მე მასწავა ჟამსა მას, რომელთა ინებეს ხელთაგან ჩემთა ისწავეს, არამედ ვერ სწორ ქმნილთა ჩემთასა! მას ჟამისა მეფენი და შემდგომნი მათნი მოკლედ ჰყვარობდენ ამა წერასა. მე ქართველთა, იმერელთა და კახთა მეფედ დედის ძმის-წულმან და საქართველოს მოსამართლეთ უხუცესის ორბელის-ძემან მროველ ეპისკოპოსმან, და აწ თფილელ-მიტროპოლიტმან, უღირსმან ნიკოლოზ ანბანი ესრეთ დავწერე; ტრფიალე მსწრაფლ გულის-ხმა ჰყოფს და მოსურნე ადვილ მიხვდების-ურთიერთარს დაქსელვა და გვარ-კეთილობა საჩინო მიქმნიეს, და უმეტესსა გვარსა თუ ვინ შესძინებს ჩემსავე ცხოვრებასა ვიხილე ჩემ-მიერ სწავლულის-მიერ, ვითაც სხვა თვით მოიგონოს და ჩვენსა პირველად მყოფსა შლაო არა ჯერარს. გვარი და ერთმანერთში დაქსელვა ესრეთ ხამს გულის-ხმიერისაგან სხვა და სხვა რიგად დაქსელვა ტანის სისხო ყოველთავე ჰსწორედ ჰხამს. მე თხოვებულის თვალით დავსწერე; რამეთუ ვიყავ ორმოცდა ათექვსმეტისა წლისა მის წერაშია, მხილველთაგან შენდობასა ვითხოვ, ღვთის-სიყვარულისათვის ჩემი სიმძიმე იტვირთეთ და ჰსჯული ქრისტესი აღასრულეთ. ქალაქსა დიდსა სამეფოსა შინა მოსკოვს, 1628. აგვისტოსა.

დაუკარგულობისათვის ამისსა, ესე აქა დავსდევ. ნუ მრისხვენ მკითხველნი „მეფისა ცხოვრებისა მწერალსა“.

ცა სოფლებში: „მღვდელთა და მეფეთა“ ამით იგულისხმებოდა არა უპირატესობა მღვდელთა მეფეთა ზედა, ვითარცა აწცა ჰგონებენ მრავალნი შეცდომით, არამედ ესე, რომელ თვით მეფენი იყვნენ ერთსა და მასვე დროსა მღვდელნიცა და მეფენიცა დროთა წარმართობისაცა.

მეფე გიორგი ოდესცა მოისხამდა სუფრაზედ მღვდელთა, უჩვენებდა მარადის ახლოს თვისსა ადგილსა და უბძანებდა ყოველთვის „მღვდელთა და მეფეთა!“ მაღლი ხარისხი არის მღვდელთ-მთავრობა, ბრძანა მეფემა თვით:

აქვს უფლება შეკვრისა და გახსნისაო, ესე უფლება არ მისცემია არცა ანგელოზთა და არცა მთავარ ანგელოზთაო. სამოსი მათი ბისონი არის სამოსი მეფეთა, დიდისა წმინდისა კოსტანტინე კეისრისაგან მირთმეული. ამითა აღიყვანა ეპისკოპოსი ერთსა და მასვე თვისთანა სამეფოსა პატივსა, ამისთვის გამიგონია პატრთაგანა, მრავალთა არა უწყიან, სად და რით თავდება უფლება მათი. ესე იყო მიზეზი, რომელ წმინდათა პაპათა აღიარეს თავი თვისიო უფლად და მსაჯულად მეფეთა და თავად ეკკლესიისა და მოადგილედ ქრისტესა ქვეყანაზედ.

# CXXXIII

ლეკნი მოწოდებულნი ქალაქსა მეფისა მცველად, ითხოვდენ დანიშნულსა, ჯამაგირსა თბილისის ქალაქისა შემოსავალი არა ეკმავა ამათ, ამისთვის უბრძანა მელიქსა დარჩიას შეაწეროს მოქალაქეთა და უფრორე შემძლეთა კაცთა ფული. სომეხნი დრტვინვიდენ, გარნა მისცეს საკმაოდ და არა გაწერილებისაებრ, მეფემან უბრძანა მელიქსა, გამოუცხადოს რათა სომეხთა ვაჭართა, რომელ „შემოხიზნულნი საქართველოსა დაიცვებიან ქართველთა ძალითა აქვსთ ვალი ეწეოდენ გულითა ქვეყანასა გაჭირვებისა დროსა, შეუწუხებლივ არა იქნე-

ბარს: ერბო-კვერცხისა ჭამის მოსურნემან უნდა გატეხოს კვერცხი.—გამოუცხადე მათ არ იყვნენ უმადლონი ქართველთა".

ჰგონებდა სადამე მეფე, რომელ სომეხთა შფოთისა იქნებოდა თანა-ზიარი ყორღანაშვილი ოსეფა, ამილახვარი დედოფლისა დარეჯანისა. მაშინ მოახსენეს მეფესა, რომელ თვით ყორღანაშვილმან მოსცა მელიქსა ოთხი თუმანი. ჰსდუმნა მეფემან და არა მომლოდნელმან მისგან, ესრეთისა მოქცევისა,—რათა არა აწყინოს დედოფალსა უბრძანა საიდუმლოდ მელიქსა: „გულითა ჰქმნა ესე, თუ ჩემის მოსატყუებლად? პატივ-ცემულად მეფისაგან იყვნენ მოქალაქენი გურგინბეგი სტეფანე; ფითუა-შვილი და მუნთა-შვილი. სომეხთა გვარი ემდურებოდა ამათ, ვითარცა მეფისადმი დაახლოებულთა და დამჩაგვრელთა დანაშთენთა სომეხთა.—ხშირად სადმე ეტყოდა სომეხთა თფილისელთა ფითუაშვილი უფრო მიჩნეული ძალი ქართველთა მეფისაა, ჩვენი ღონიერებაც არისო. რატომ არ ვხედავთ და არ შინჯავთ ერთის ბედნიერებაში ვართ ჩვენ სომეხნი აქა, სპარსეთისა და ოსმალოში? ესრეთ ლეკთა ჯარითა დაცული მეფე იყო მწუხარედ და მაშინ შევიდა კოვალენსკი და მიართვა წერილი იმპერატორისა პავლესი. წერილითა ამით სთხოვეს მეფესა სომეხთა მელიქსა ჯიმშიდ შახნაზაროვსა და ფრიდონ ბეგლაროვსა, სურვილისა მებრ მათისა უბოძოს ადგილი ყაზახში რათა დაასახლონ თვისნი ყმანი სომეხნი, დევნილნი სპარსთაგან ამისთვის ივლტიან ესენი პირობითაო, სწერს პავლე-დაიცვან ძალითა თვისითა სამუდამო თქვენიო, კეთილობისათვის სამეფოისა თქვენისა და სიბრალულისაგამო ვითარცა ქრისტიანეთა მივიღე მე ესენი ჩემდა ქვეშევრდომად და შოვაჩუმებ საქმესა ამას, მიიღოთ იგინი ვითარცა სტუმარნი და უბოძოთ დასასახლებელად ადგილი თხოვილი და უფლებაცა თვისთა სომეხთა ზედა, ვითარცა აქვნდათ მათ თვისსა ქვეყანასა. 3 ივნისის, 1799 წელსა „მეფემან ესე ვერ ჰქმნა და უბრძანა მინისტრისა სიძნელე საქმისა და ესეცა, რომელ თვით სომეხთა არა სურდათ მისი ბატონობა ჩემს ქვეყანაშიო. გარნა აღსასრულებელად პავლეს სურვილისა უბო-

ძა გრამატა, რომელთაცა აძლევს ლორესა, დაპირებულსა შამირალი-
სათვის კალკუტელისა სომხისა. თუ ეს შამირალა მოკვა, ანუ მისი
შვილით, მაშინ ჴსწერს მეფე, ლორეს მას მივსცემ და სამაგიერო-
სი თქვენაო.

## CXXXIV

1200 კაცსა ლეკსა მეომარსა ეძლეოდა თთვე და თთვე ჯამა-
გირი თვითოს თთვეში 30 მანეთი.—მესამესა თვესა მათისა თფი-
ლისის ყოფნისასა გაუორგულეს ძმათა იულონმა და ალექსანდრემან
ბელადი მათი. ერთგული კაცი მეფისა მივიდა და მოახსენა ესე მე-
ფესა. მეფემან არა შეამცნევინა შიში, რომელსაცა მიეცა თვით. უბრ-
ძანა ბელადსა მადლობა და სიფრთხილე. მეორესა დღეს დილით,
ახლად გაღვიძებულმან მეფემან იხილა 150 ლეკი სასახლისა თვი-
სისა წინარე მისრული და რეცა მთხოველი დაპირებული ჯამაგირი-
სა. გამობრძანდა გადმოკიდებულისა მოედნისაკენ ბალკონსა და იქი-
დამ დიდისა ზახილით უბრძანა, შედგნენ და მაშინვე მოუწოდა ქარ-
თველთა ქეშიკთა ანუ მხლებელთა. ესენი მსწრაფლ ყოველისა კუთ-
ხისა სასახლისა გამოცვივდნენ ხანჯლებითა, კეტებითა და გაყარეს
ლეკები, შეშინებულნი დროსა ამას გაფრთხილა მეფემან, არავინ
მოკლან ლეკი, იქმნა ძიება, ბელადმან გამოაცხადა ღალატი ძმათაგან
მეფისა და გარია ღალატობაში კუზიანი მელიქი, მაღაქელაშვილი და
შიო თუმანიშვილი. ძიებიდამ გამოცხადდა, რომელ სამთა უკანასკ-
ნელთა პირთა იცოდნენ ესე და შიშისათვის ძმათა მეფისა ვერ მო-
ახსენეს მეფესა, გარნა ღალატობასა შინა და ორგულებასა არა ერი-
ვნენ. ამისთვის უბრძანა ჯარიმისა გარდახდა და წაართვეს მათ 400
თუმანი ფულად და ვერცხლად. ამ ფულითა მიეცათ ჯამაგირი ლეკ-
თა და დანაშთენისა ჯამაგირისა გარდასახდელად დიდ-ძალი ვერცხლი-
სა ნივთნი საკუთარნი, დაამშლევინა და მოაჭრევინა ფულად. ლეკები
დაითხოვა, რადგან შემოდიოდა რუსისა ჯარიცა. მემანდერათ ლეკთა

იყო მოჩენილი ხიდისთაველი თომა მელვინეთხუცესისშვილი, მცოდნე კარგად ლეკურის ენისა.

ძმა თვისი იულონ დატუქსა ქათოლიკოზისა პირითა და განაძია თფილისიდამ, ნუ მამიყვანს იქამდინ, რომ სპარსითა და მეფეთა უფლებითა დავთხარო თვალები,—შეუთვალა მეფემან. მაშინ წარვიდა იულონ ქართლისაკენ. ალექსანდრე, მამისავე თვისისა დროსაგაქცეული და ახალ მეფობაში უკუ მოქცეული თფილისად და მიღებული კეთილად მეფისა გიორგისაგან, შეშინდა და კვალად გაქცა სპარსეთად.

შიო თუმანიშვილმან, მაღაქელაშვილმან და კუზიანმან მელიქმან დარჩია, მეორედ შეჰფიცეს ერთგულობაზედა და ჩამოართვეს წერილი მათ მოღნისა სომხთა ეკკლესიაში თანა-დასწრებითა მათისავე ეპისკოპოსისა ოჰანეზისა, ქალაქისა მოურავისა ევსტატი ციციშვილისა და ემკაბაშისა ასლან ორბელიანისა. ამილახვარი ყორღანაშვილი იდუმალ გარეული ამს საქმეში, არა დასაჯა მეფემან დედოფლისა გამო დედი-ნაცვალისა და ბრძანა მისთვის:

„მაგისსა ფიცსა არა მივიღებ. ეგ არის მყრალი ფასტრუქი იბჟუტავს და აყროლებს. მაგისი რიდი არავის არ უნდა ჰქონდეს, თვით მოჰკლავს თავსა თვისსა, ახლდეს დედასა ჩემსა მეფისაგან მოძულებული. არ გავერევი მისსა სისხლშია. სისხლის სისხლითა არ დაიბანენო: ვარ მეფე და ვიქონიებ მოთმინებასა და სულ გრძელებასა, რომლითაცა განშვენდებიან მეფენი ღვთისაგან დადგინებულნი მაღლად.“

# CXXXV

ჯერეთ მეფისა ერეკლესავე დროსა 1767 წ. მოახსენეს იმპერატრიცასა ეკატერინას სიმდიდრისათვის ოქროისა და ვერცხლისა და სხვათა მადნებისა საქართველოსა შინა. ღრაფმან აპოლონ მუსინ-პუშკინმან მოსთხოვა იმპერატორსა პავლეს 20 სეკდემბერს, 1799 წ.

ბრძანება წასვლისა საქართველოდ. მოსვლადმდე მისსა თფილისს მეფემან გიორგი ჰსცნო მისვლა მისი ლინიასა, უბრძანა გარსევან ჭავჭავაძეს წარმოავლინოს მუსინ-პუშკინი მასთან. მოსრულმან ასტალას განიხილა ალავერდისა მადანი და ჰპოვა, რომელ ერთისა წელიწადს მოსცა ბერძენთა მემადნეთა 445 ლიტრა, (ლიტრა 9 ფ.) და ყოველ თთვე გამოჰქონდათ 30 ლიტრა და 2000 ფუთი რუსული ტყვია. ამავე ვერცხლიდამ გამოარჩევენ ლიტრიდამ 30-მდე მისხალსა ოქროისა. 800 კაცი მუშაობდა მუნ მეფისა ხარჯითა. მეფემან გიორგი გასცა ესე იჯარით და ბერძენნი თვითოსა ლიტრისათვის აძლევდენ მეფესა 160 ფ.

18 სექტემბერს 1800 წელსა გრაფმან მუსინ პუშკინმან აცნობა იმპერატორსა პავლეს. მაშინ იმპერატორმან უბრძანა გამოსთხოვოს მეფესა, რათა პირობებითა გარდაეცეს მადანი ესე და სხვანიცა რუსთა მემადნეთა უფლებასა. მეფემან გიორგი ინება მოურიგდეს სომეხთა მოიჯარადრეთა, რომელნიცა აძლევდენ წელიწადში 12,000 მანეთსა, რათა გარდასცეს ესე თვით გრაფსა მუსინ-პუშკინსა. 8 ოკტომბერსა 1800 წელსა მოვიდა ბრძანება იმპერატორისა რათა შეიკრას პირობანი მეფესთან. გრაფმან პუშკინმან მოსწერა წერილი ლინიით მეფესა 16 ნოემბერს, 1800 წელსა, განსწავლულისა მემადნისა ქისკალდისა ხელითა და პირობებიცა:

1., გარდაეცეს რუსეთისა მადნები საქართველოისა სამეფოისა.

2., მიეცეს საუკუნოდ საჭირო მადნებთათვის, ტყე, წყალი, და ესე ვითარნი სახმარნი.

3., მიეცეს უფლება ციხეთა და სიმაგრეთა აშენებისა და მიენიჭოსთ მუშაკთათვის მემადნეთა საკმაო სახნავი მიწა პურისა მოსაყვანათ და სათიბვებიცა.

4., გარდაეცესთ მადნებიცა ისეთნი, რომელთაცა იპოვიან სადამე რუსნი.

5., ჩაყენონ მადნებში მუშაკნი იმერელნი, ქართველნი, კახელ-

ნი, ოსნი ყაზახნი, ბორჩალოელნი და სხვანი, და დაბინავებისათვის მუნ მათისა, მიეცესთ ცხოვრებისათვის შეწევნა.

6., ეძლეოდესთ პური ქართლიდამ, ყაზახ ბორჩალოდამ ფასითა და როგორც ფასობდეს ადგილობრივ.

7., უკეთუ მებატონებთა მამულებში გამოსჩნდეს მადანი, ესეცა მათ მიეცესთ პირობებითა, ამათ მეფე იყო თანახმა და აღსასრულებელად დაუდვა, თვით შემდეგნიცა პირობები:

1., დაიცვას სამუდამოდ რუსეთმან სამეფო მისი მტერთა დაცემისაგან.

2., მიეცეს მეფესა ერთ-დროებით ფული ნაცვლადი.

3., მოეცეს მადანთა დასაცველათ 3000 რუსთა ყარაული.

მაშინ მეფემან დაამტკიცა კანტრაკტი და დაუსვა მას ბეჭედი მეფისა და დედოფლისა. მოაწერეს მას ხელი გენერალმა ლაზარევმან და მღვდელმან მადნისა იოსებ წინამძღვრის შვილმან.

გრაფმან მუსინ-პუშკინმან 5 იანვარს, 1801 წელსა, წარადგინა ესე ხელმწიფესთან შემდგომად მეფისა გარდაცვალებისა და შეიცვალა ახლისა მთავრობისაგან ჭაზრიცა მეფისა და მდგომარეობაცა ქვეყნისა განმგეობითი (პოლიტიკური).

1801 წელსა მუსინ-პუშკინმან იწყო მუშაობა მადნებისა და 3 წელსა ვერა რაი ჰქმნეს. კნიაზმან ციციანოვმან 1803 წელსა იხილა ესე მძიმედ მმართებლობისათვის და უნებდა შეყენება მუშაობისა. მუსინ-პუშკინი მწუხარებითა მოკვდა თბილისს და დასაფლავდა ჯვარის-მამის ეკკლესიასა. მუშაობა შედგა ვითარცა დღეინდელად დღედმდე.

კნიაზმან მ. ს. ვორონცოვმან განიხილა ესე ადგილი და საქმეცა დაწყობილი მეელად. მეცა მიახლო თვისთან და მასთან მოგზაურობაცა ჩემი აღვსწერე და დავბეჭდე რუსულად თბილისს (1850 წელსა) და გამოძიებით გზათა ცუდთა მუნ მისასვლელად არღა ინება დროდმდე განახლებად მადანთა ამათ მუშაობისა.

# CXXXVI

დედოფალმან დარეჯან მჯდომარემან დედოფლის მარიამისთანა რძლისა თვისისა, რომელიცა მშობიერად იყო ირაკლიზედ უკანასკნელსა შვილზედ. მოახსენა მეფესა სამდურავი კარისა კაცთათვის, რომელნიცა ატარებენ ქნათა და იქმონენ ამბოხთა, იმდღესაც მოგართვი ხოხბებიო და კარისა კაცთა გაებედნათ და ეთქოთ არ მიირთოთ, მოწამლულნი იქმნებიანო. აბა რა სათქმელია და როგორ მოსათმენია? უნდა მოვკლა და ვინა? შვილი ჩემი და მეფე. შვილი ხარ ჩემი და რა პასუხი უნდა მივსცე ღმერთსა, რომ ესე ვიფიქრო? იმდურებით ჩემს შვილებზედ. რა ვქნა, აგერ ორი თვეა ,ალექსანდრე გამექცა, მიხარიან ესე? მიმართა თათარსა და მე ხელს მოუმართავ როგორმე? რომელი შვილი დავიწყევლო? რომელი შვილი მოვკლა? თქვენცა გყავსთ შვილები, რომელს გაიმეტებთ მოსაკლავად და შესამლებელად? მეფე შესწუხდა და მოვიდა ლმობიერებასა და იტყოდა დედოფლისა დასამშვიდებლათ სიტყვათა.

დედოფალი დარეჯან ჰგონებდა მეამბოხედ და აღმაშფოთებლად სამეფოისა სახლისა მაყა-შვილსა ალექსანდრეს, რომელიცა იყო დიდად მიჩნეული მეფისა გიორგისაგან და მისგან მეგობრად ხადილი. მეფემან შემდგომად ვრცელისა საუბრისა ინება და სთხოვა დედოფალსა დედინაცვალსა თვისსა, დაშთეს მათთან სადილად და განატაროს მათთან დღე. დედოფალმან პატივი-სცა და დაშთა სადილად. სადილზედ გამხიარულებულმან დარეჯან უბრძანა მეფეს. „შვილო ჩემო! 4 წლისა დამხვდი, როდესაც შემოვედ სამეფოსა სახლსა; შვილი იყავ ჩემი და მე დედა ვიყავ, არ უნდა მალე დაივიწყო წარსული დრო, და არცა ალერსი ჩემი შენდა ყმაწვილობისა დღეთა. სხვა რომ არა მქონდეს რა შენთან ამაგი ეს ხომ არის დაუვიწყებელი ჩემგა,ნ ავად შეიქმენ 4 წლისა და რა გვარითა მეცადინეობითა, მოგიარე და მოგარჩინე, არც ერთს ჩემ შვილზედ ესოდენი ამაგი

არ მიმიძღვის." მაშინ, დედოფლისა დარეჯანისა მუნ მეფესთან ყოფნისა დროსა, მოართვეს მეფესა ბრძანება იულონთან, ასხლოს ეშიკაბაშსა თვისსა ალექსანდრე მაყაშვილსა დავით აბაზაძე, რომელიცა მიდიოდა იმერეთსა წერილითა სოლომონ მეფესთან, იკითხა დედოფალმან აზრი დესპანობისა, მეფემან მრისხანედ ბრძანა პასუხად: „სოლომონ მეფესა წარუერთმევია ხატი ჩემისა სიძისა დადიანისათვის ხატი ვლაზერნისა, თუ არ უბრუნა და არ დაჰსცხრა სოლომონ, ამოვაგდებ მეფესა იმერეთიდამ." დიდი ფიცხელი მიწერა იყო ესე მეფისა გიორგისაგან, და კვალად უფიცხელესი თვით იულონთან: მე პირნი მათნი არა მაქვს და წამიკითხავს იულონის შვილთან ლუარსაბთან, რომელსაცა აქვნდა იგი. დამსწრე ამა მოთხრობისა ეგნატი იოსელიანი იტყოდა, ამოიხვრა მეფემან და მოახსენა დედოფალს დარეჯანს: „მაწუხებენ და მოთმინებიდამ გავყეევარ ამათაო".

## CXXXVII

მეფე იქმნა სნეულებითა დამძიმებული. მოახსენეს ბრძანოს გათხოვება მეფის ასულის თეკლასი. ბრძანა, დალოცა, აკურთხა და დასწერა ჯვარი ვახტანგ ყაფლანის შვილზედ, რომელიცა იყო მე თავადის დიმიტრისა, ესე ქორწილი იყო 7 სეკტემბერს, 1799 წელსა. მეფესა უყვარდა დიდად და გამორჩევით და თვისი თეკლე[60]) თვით მეფისა ასულისაგან თეკლასა გავიგონე ესე, ოდეს მობრძანებულმან ჩემსა სახლსა ინება და ნახა 1829 წელსა სნეულად მდებარე მამაჩემი ეგნატი.

„მპირდებოდა და უეჭველად დამზითევდაო, უკეთუ დაეცალა ღმერთსა მეფისათვის. ძმანი ჩემნი და დანი მართლად ჰსძულობდენო

---

60) გარდაიცვალა 11 მარტსა 1846 წელსა და დიდისა პატივითა დაასაფლავა მცხეთას უგანათლებულესმან კნიაზმან მ. ს. ვორონცოვმან.

მას,—შური მეფობისა იყო მიზეზი ესრეთისა სიძულილისაო. ვერ გავამართლებო ვერცა დედასა ჩემსა დედოფალსა დარეჯანსსაო, ვერც ძმათა და დათა ჩემთაო. კარგად ვიცი, რომ აწუხებდენ მეფესაო, უბედურება იყო მოსული ჩვენსა სახლსაზედაო, ვიყავით ღირსნი დასჯისაო და დავისაჯენითო, ვიტყვით მრავალსა ვაბრალებთ მრავალთა, ვეძებთ მიზეზთა, რომელთაგანცა რა მოხდა:“

მხოლოდ განგების საქმე გვავიწყდებაო: კურთხეულ არს ღმერთი მამათა ჩვენთაო. რუსთა მთავრობა საჭირო იყოო ქვეყნისათვის დევნილისა თათართაგან და ქრისტეს სახელის მოძულეთაგან ჴსცდებიან იგინი და სცოდვენ ღმერთსა, რომელნიცა აბრალებენ ძმასა ჩემსა გიორგის ქვეყანისა გაცემასა და სამეფოისა დაცემასა. ამას კი გაბედვით ვიტყვიო, რომ რუსეთსა არ ეკადრებოდა, რომელ დასტოვა სამეფოისა სახლისა წევრნი ულუკმოდ. არავინ იყო მთქმელი და მომხსენებელი დიდისა რუსთა ხელმწიფისა,—მიეხედნათ რა გვარად უზრუნველჰყო დიდმან პეტრე მეფე ვახტანგ, ძენი და ასულნი მისნი, თავადნი და აზნაურნი მეფისა მხლებელნი, ძნელია მამა შვილობამ ჩვენი მდგომარეობა! კვალად და კვალად იკურთხოს ღვთისა სახელიო.“

მამა ჩემი ეგნატი დიდად იყო ფრთხილი, სიტყვისა წარმოქმისა, გარნა მოსული გრძნობათა სისავსესა, ესრეთისა მეფისა ასულისა საუბარისა გამო, აღიმაღლა ხმა და მოახსენა:

„ბატონის ასულო! მესმის ყოველივე და ვიტყვი მოკლედ გოდებითსაცა ჩემსა სიტყვასა: არვინ ველოდით რუსთაგან ამას, რასაც თქვენ მიბრძანებთ., ახლა ვხედავთ რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალით სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი; მეფენი მათნი თვისთა ერთაგან დაშორებულნი და ვითარცა ტყვენი ვეზირთა ხელთა შინა, რომელთაცა უწოდებენ მინისტრებად. მიხედეთ ამათ მართალ მსაჯულებასა? გარნა კაცი დააწყობს ესრეთსა სამსაჯულოსა? აზიურთა და ძველთა ჩვენთა ჴსჯულის-დებათა ეცინიან რუსნი. განისილონ:“

რომელია უკეთესი, უმოკლეს და უმეტეს მართლ-მსაჯულებითი? ქრთამით იტყვიან. გარნა ესოდენი და ესეით მექრთამობა შესაძლებელია საქმე? რა გაეწყობა! ესრეთ კეთილად დაწესებული სამეფო, კითარცა საქართველოისა, სარწმუნოებითა, ეკკლესიებითა, მონასტრებითა, მდივან ბეგობითა, სწავლითა და ხელოვნებითა, გუთნითა, და ხვნითა, თესვითა და მკითა, პატიოსნობითა და ზრდილობითა აღსავსე, ესრეთ ბრწყინვალე სამეფოისა ტახტითა და თავად აზნაურობითა, სამღვდელოთა წესითა და საეროისა სიმდიდრითა, თოფითა, ზარბაზანითა და ხალხისა სიმხნითა და ვაჟ-კაცობითა ჩაბარდა საქმე დიდსა რუსეთისა იმპერიასა?.

„მივიღოთ ყოველივე სიმდაბლით და დავემორჩილეთ განგებისა ხელსა. ღვთისა განგებისა ხელსა ვერ ვნახავთ, განგებისა კვალსა და კმარა ესე ჩვენთვის დუმილი და კვალად დუმილი, მეფის ასულო, გვმართებს მუნ სადაცა ცხადად და ნათლად ვხედავთ ყოველსავე, მოვიხსენიოთ სიტყვა მოციქულისა იაკობისა; აბა რასა იტყვის იგი! ჩამოიღე შვილო პლატონ მიბრძანა მე მამამან მწოლარემან, სახე იგი რომთა პაპისა პიოს მერვისა, და მიართვი ბატონის-შვილსა წარიკითხოს თვით ქვე სახისა წერილი იაკობ მოციქულისა; მივართვი და წარიკითხა მამისა ჩემისა ხელითა მიწერილი სიტყვა მოციქულისა, რომელიცა ზე ამა წერილისა, იყო ნემეცურადცა ნაბეჭდი“.

„ნეტარ-არს კაცი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა; რამეთუ გამოცდილ-იქმნას და მოიღოს გვირგვინი ცხოვრებისა, რომელიცა აღუთქვა მოყვარეთა თვისთა [61])“.

დღესაცა მაქვს სახე ესე მე, დიდსა დროსა დაჭყო მეფის ასულმან თეკლე და მერეთ ფარნითა წაბრძანდა სახლად თვისად, რომელიცა დიდად ახლოს იყო სახლისაგან ჩვენისა.

---

[61]) იაკობ. 1, 12.)

# CXXXVIII

შიში იყო დიდი სპარსთაგან და ომარხანისა. შიშსა ამას დაერთო ძმათა ამბოხი. იულონ, ვახტანგ და ფარნაოზ აოჴრებდენ ქართლსა და არაგვსა, ორჯერ მოუხდენ ქალაქსა 4,000 კაცითა და უნებდათ დედისა თვისისა დარეჯანისა წაყვანა თბილისიდამ. მეფემან არ მისცა ნება დედინაცვალსა ქალაქიდამ გასვლისა. დაუყენა მცველად 800 კაცი თვისთა ჯარისა და რუსთა სალდათნი, გამგედ ყოვლისა ამის დანიშნა კოვალენსკი და მეფის ძე იოანე.

დაბარებული ჯარი რუსთა კვალად შემოვიდა, გულიაკოვი ღენერალი მას მოუძღვა 23 სეკტემბერს, მეფე თვით გაბრძანდა ტრასტეკანდით გარე ქალაქისა და მიეგება თუმცა სნეული ჯარსა და ესრეთვე შემოუძღვა ქალაქსა. იყო მეფესთან დედოფალიცა მარიამ და სხვანიცა მრავალნი ქალნი, ზარბაზანთა სროლითა ციხიდამ და ზარებისა რეკითა დაუხვდენ ქრისტეს მოყვარესა მხედრობასა, მხედრობა ესე დაბინავეს ავლაბარსა, კუკიასა და კიეთიმე როტანი ლილოსა და მარტყოფსა. შეშინდენ მეფის ძენი და განმხნევდა მეფე.

მეფემან კვალად სულ-გრძელებითა მოინება დამშვიდება ძმათა. ამისთვის უბძანა კოვალენსკის, კათოლიკოზსა და მეფის-ძეს იოანეს, დააბოლოოს საქმე ესე მეფესთან მორიგებისა. ფარნაოზ უმეტეს სხვათა ძმათა დაშთა შეურიგებლად. ამას ალექსანდრეზედ აქვნდა დიდი იმედი, რომელიცა სწერდა სპარსეთით წერილითა დედოფალსა დარეჯანს, იმერთა მეფეს სოლომონს, ძმათა: იულონს, ვახტანგს, ფარნაოზს და მირიანს, ეგრეთვე ბოდბელსა იოანეს, თამაზ ყაფლანის შვილს და სხ.

ჰგონებდენ ლეკთა ჯარსა და სპარსთა შემოსვალსა მალე საქართველოდ, გარნა რუსთა ჯარმან, საკმაოდ თფილისსა მყოფმან, შეაშინნა ყოველნივე. დარჩათ მათ იმედათ სნეულება მეფისა სასიკვდილო, ჰგონებდენ შემდეგ მისსა იულონისა გამეფებასა და რუსთა ჯარისა

დათხოვნასა. ჯერეთ მეფისა სიცოცხლისა დროსა, მტერთა მისთა განთესეს ხმა გარდაცვალებისა და ეხაროდეს დროთა ცვლილებასა. ესე იყო მიზეზი, რომელ ვერცა კოვალენსკიმ, ვერცა შემდეგ მისსა ლაზარევმა, ვერცა მეფის-ძემან იოანე, ვერ დაამშვიდეს მეფის ძენი იულონ და ფარნაოზ, უმეტეს ფარნაოზ იყო შფოთისა მიზეზი, ამისთვის რომელ მეფემან მისწერა ფიცხელი წერილი ოთარ ამილახვარსა: ჳსდევნოს ფარნაოზ და უბრძანოს სოფლისა მოხელეთა არ მიუშვან იგი არსად.

ბრძანებამან ამან ჰქმნა ესე, რომელ ფარნაოზ გაჭირებული უსარჩოობითა მოდრკა და მოსწერა რუსისა ღენერალსა ლაზარევსა, შევიდეს მისსა მდგომარეობასა და ჰქმნას მან თვით სამართალი. პასუხად მისისა წერილისა, იყო მოწოდება მისი თფილისად და დამორჩილება მეფისა.

ესრეთივე აღრეულობა იყო გასეთსა, რომელსაცა განაგებდა მეფის-ძე ბაგრატ. ესე ითხოვდა, რათა მეფემან მიაშველოს მუნ დასამშვიდებელად აღრეულობისა მეფის ძე დავით. თუმცა მეფე იყო დროთა ამათ დიდად სნეული; გარნა საქმობდა დიდად, იყო მიწერ-მოწერასა შინა ყოველგან და მხნედ და დაუღალველად ზრუნვიდა, რათა რუსთა ჯარსა აქვნდეს პური მზად თფილისსა, გორსა, თელავსა და სიღნაღსა. მახლობელნი მისნი დიდისა განკვირვებითა მოუთხრობდენ მისსა, დროთა ამათ მეცადინებასა, რათა დაეწყო საქმე ბინიანად და მტკიცეთ. მარადის საქმისა დაწყებისა წინათ და დაბოლოებისა დროსაცა ბრძანებდა სიტყვისა თვისსა და თქმასა ჩვეულებრივსა: „ქრისტეს ღვთისა მადლითა“.

## CXXXIX

ორისა კვირისა წინათ მეფისა გარდაცვალებისა, განუძლიერდა მეფესა წყალმანკი და მოუმატა ქშენა. თხოვისა დედოფლისა მარიამისა, კათალიკოზ პატრიარხმან ანტონი მისწერა ქართლისა და კახე-

თისა მღვდელ-მთავართა და მონასტრისა წინამძღვართა ილოცვიდენ მეფისა სნეულისა განკურნებისათვის, და ჰყოფდენ ვედრებასა წესისაებრ წინა ეკკლესიისა. თვით თფილისსა, დღე ყოველ ეკკლესიათა შინა იყო ვედრება. დედოფალი მარიამ მხლებელითა თვისითა ფერხშიშველი ვიდოდა ანჩის-ხატისა ეკკლესიასა, და წინაშე ხელთუქმნელისა ხატისა დაჩოქვითა, ცხარეთა ცრემლთა დინებითა, წვრილთა შვილთა ილიასი ოქროპირისა, ირაკლისა და თამარისა მუნ დასწრებითა ევედრებოდა ღმერთსა განაგრძოს დღე მეფისა დროთა ამათ მწარეთა ამბოხთა დასამშვიდებელათ საჭიროისა, იტყვიან მუნ დამსწრენი მოხუცნი: გრგვინავდა ხმა გოდებისა და ტირილისა გარემო დედოფლისა მწარედ მტირალისაო. ძნელი დღე იყო დღე ესე ცრემლთდა ვაებისაო. შემდგომად პარაკლისისა, რომელისა გარდაიხადა იუსტინე მთავარ-ეპისკოპოსმან, განბანეს ხატი და ნაბანი ხატისა, თვით ხელითა თვისითა თეთრისა მინისა ჭურჭლითა წარიღო დედოფალმან და მიართვა მეფესა. მეფემან ჩვეულებისაებრ თვისისა ცრემლითავე მიიღო, იხმია, ისხურა წყალი პირსა თვისსა და გულ-მკერდსა წარმოთქმული მხურვალედ ლოცვისა და ვედრებისა და თვით წმინდისა ხატისათვის თქმულისა ტროპარისა, რომელიცა იცოდა მტკიცედ ზეპირად მეფემან მორწმუნემან.

## CXL

მეფემან მდებარემან საწოლსა უიმედოსა განკურნებისა წყალმანკისა გამო განძლიერებულისა, ინება და სთხოვა კათალიკოზსა ანტონის განხსნას საფლავი და ლუსკუმა წმინდისა იოანე მანგლელისა.

22 დეკემბერსა, მიბრძანდა სიონსა ეკკლესიასა კათოლიკოზი ანტონი და თანა დასწრებითა იუსტინე მთავარ-ეპისკოპოსისა, იოანე ბოდბელისა მიტროპოლიტისა და სტეფანე რუსთველისა იწყეს პარაკლისისა გარდახდა. შეიკრიბენ დროსა ამას მუნ სიმრავლე ერისა

და მუშაკნი სასფლავისა განსხნისათვის, სადაცა იყო ლუსკუმა წმინდისა გვამისა. პარაკლისი ზდილობითა განგრძელდებოდა მრთელსა საათსა. ლაზარევი დარწმუნდა, რომელ მიზეზი სიონისა ეკკლესიასა შინა შეკრებისა არის აღსრულება პარაკლისისა და არა შესახები მეფობისა, გამოვიდა და წარვიდა.

ამოიღეს ლუსკუმა და ესრეთ ზდილობითა და ლოცვითა წარიღეს იგი და შეიტანეს მეფისა სასწოლსა. მეფე განმხნევდა, წარმოდგა და უბრძანა: დააჩოქონ წინაშე ლუსკუმისა. დიდითა ვედრებითა და ცრემლთა დენითა და სარწმუნოებითა ემთხვია წმინდათა ნაწილთა. დედოფალი მარიამ და მხლებელნი სტიროდენ მწარედ და ატირებდენ სხვათაცა. ღენერალი ლაზარევი თვით დაესწრო მუნ დროსა ამას და ამასცა, მწუხარესა ცოლისა და შვილისა, სიკვდილისაგამო მასვე დეკემბერსა თვესა, განუახლეს ტკივილი გულისა და ატირეს მრავლად. მაშინ მივიდა მუნ დამსწრესთან დეკანოზთან იოსებ წინა-მძღვრის შვილთან. რომელმანცა იცოდა რუსულიცა და ჰრქვა ახლა ვხედავ რომელ მეფე გიორგი მაღლად ჰსდგას ღმერთთანაო!

შემდგომად ლოცვისა, წაასვენეს ლუსკუმა წმინდისა და დასდვეს თვისსა საფლავსა დიდითა კრძალვითა და თაყვანისცემითა.

მეფე შეიქმნა უკეთ და მასვე დღესა ლაზარევმან აცნობა ამბავი ესე ღენერალსა კნორრინგსა.

## CXLI

22 დეკემბერს, სნეულმან მეფემან თვით მოინება, რათა აღასრულონ მას ზედა საიდუმლო ზეთის კურთხევისა, ამისთვის შეკრბენ სახლსა მისსა კათოლიკოსი ანტონი, მთავარ ეპისკოპოსი იუსტინე, მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი, არხიეპისკოპოსი რუსთველი სტეფანე, მიტროპოლიტი თფილელი არსენი, არხიმანდრიტი და მოძღვარი მეფისა ეკთიმი და მღვდელი სასახლისა ონისიმე იოსელიანი, მოყვარე ქრისტესი მეფე გიორგი, მდებარე ცხედრისა ზედა, ილოცვიდა

და ევედრებოდა ღმერთსა, რათა ჰსცეს მას კურნება სულიერი და ხორციელი. ცრემლთა დენითა თვალთაგან, ცოდვათათვის მტირალთა მოჰყვანდა ლმობიერებასა თვით მვედრებელთა განკურნებისათვის სნეულისა. შემდგომად სრულ-ყოფისა ზეთის კურთხევისა მოეცა შვება მეფესა მწუხარესა. განატარა ღამე მშვიდობით და დღესა მეორესა დილით, ოდეს შებრძანდა დედოფალი მარიამ სანახავად მეფისა, იხილა მეფე თვალებ შერეული და რეცა მატრიალებელი თვალთა უჩვეულოისა მისთვის სახითა; შესწუხდა და მოახსენა გაბედვით ცრემლ-მორეულმან მეფესა:

„ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ! ვის აბარებთ; თუ გვეწვია უბედურება რაიმე? დავით უნდა იყოს ამათი პატრონი? ანუ თქვენი ძმები? ანუ დედოფალი (დარეჯან არა ახსენა სახელი ქართველთა ზრდილობისა გამო)?— „ბატონო დედოფალო, გაიგონე რა გიამბო; მე ავჩენ მათ პატრონსა დიდსა და ძლიერსა“ — უბრძანა პასუხად დედოფალსა ცოლსა თვისსა: „ბარათაშვილო, გიორგი!“ მომგვარე ღენერალი, ბრძანა მეფემან მსწრაფლ, აცნობეს ღენერალსა და მივიდა მეფესთან. მეფემან სთხოვა დაწერის წერილი იმპერატორსა პავლესთან, აცნობოს უკანასკნელი დღე მისისა ცხოვრებისა, და ესეცა, რომელ ჩამიბარებია ანდერძად ცოლშვილი ჩემი და საქართველო. ეხლავ დაწერეთ წერილი ჩემ მაგიერ მოკლე; დაუწერეს წერილი მოკლე, და მოაწერა ხელი და დაასვა ბეჭედი თვისი.

ესე ამბავი მიამბო ექიმმა იოანნე ყარაევმან, მუნ დღით სალა-

მომდინ მყოფმან და ყოვლისა ამის ამბავისა მცოდნემან და თანა-დამსწრემან.—მაშინვე იოანე ყარაევი დაუმატებდა მხიარულებით და ყელ-მოღერებით სიტყვათა: „ჭსწორე მეფე იყო, უხვი, ძლიერი სიტყვით, მლოცველი, უტყუელი, წმიდა ფიქრითა, ბევრით უმეტესი მამაზედ ქცევითა, თუმცა არა სიმხნითა“.

## CXLII

შობისა დღესა 25 დეკემბერსა, დსდგეს კარავი ნაკურთხი შირის-პირ ოთახისა მისისა, დაიწყეს წირვა, თვით მეფე მწოლარე ცხედარსა დიდისა მხურვალებით ისმენდა ლიტურღიას და თვით წარკითხა დღისა ამის სამოციქულო რაოდენ შეეძლო ხმითა დიდითა სამეფოისა კილოთი, მტკიცედ ლექსთა გამოთქმითა, აზროვანად, ძლიერითა ბაგეთა ბგერითა, თანხმად მაღალთავე აზრთა და სიტყვათა თვით ზეცით გარდამომეტყველისა მოციქულისა.

ლიტურღია აღასრულა მოძღვარმან მისმან არხიმანდრიტმან ევთიმი, იოანე ნათლის-მცემლისა უდაბნოისა წინა-მძღვარმან, — და მასვე დღესა ეზიარა ცრემლითა და დიდისა ვედრებითა ღვთისადმი ხორცსა და სისხლსა ღვთისა მაცხოვრისა ჩვენისა.

მასვე დღესა წირვისა შემდგომად, მოახსენეს მეფესა ახლად მოყვანილთა ინდოეთისა ქათამთა თვის თფილისს უცხოდ რამე სანახავისა ინება რათა აჩვენოს მას. მსწრაფლ აცნობეს რუსისა სალდათსა, ქათამთა ამათ რუსეთით მომყვანსა და მოჰგვარეს მეფესა ორი მამალი და ოთხი დედალი. მუნ მხლებელთა კაცთა დაუსტვენეს და ქათამთა გაშალეს ფრთები, დაუშვეს აოყვნი, იწყეს ხმაურობა თვისებრი. განცვიფრებით მშინჯველსა მათსა მეფეს მოახსენეს ღირსება და გემოვნება ინდოეთისა ქათმის ხორცისა. ნუთუმე სჭამენ ამათსა ხორცსა? იკითხა მეფემ. დიახ მეფევ! დიდსა ხმარებაშია რუსეთში ხორცი ინდოეთისა ქათმისა. „ღმერთმან დამიფაროს მაგათის ჭამისაგან“ ბრძანა მეფემან და მაშინვე დაიწერა პირჯვარი

ხელით, რომლითაცა მარადის ჩვეულებისა-მებრ პირ-ჯვარის გამოსა-
ხვისა დროსა, ხვდებოდა ცხვირსა მისსა. ესრეთ წარიყვანა ინდოე-
თისა ქათმები რუსისა სალდათმან და აქედამ განითესა საქართველო-
ში ინდოეთისა ქათმისა სიმრავლე და ეწოდა მათ დღემდე ინდოუ-
რი. ესე მიამბო ეპისკოპოსმან ნიკიფორე ჟორჟაძემან, რომელიცა
დღესა ამას იყო დამწყრე წირვისა ვითარცა არხიდიაკონი მიტრო-
პოლიტისა იოანე ბოდბელისა. და შემდგომად გარდაიცვალა ვიკარად
ექზარხოსთა.

## CXLIII

26 სალამოს იქმნა შეყრილობა 40-ოდე კაცთა თავადთა და
აზნაურთა სარდლისა სახლში. სარდალმან იოანე ორბელიანმან სიტყვა:
„ბატონებო! ძნელსა მდგომარეობაში არის დღეს ქვეყანა ჩვენი. ბა-
ტონი მეფე უკურნებელითა სენითა მწოლარე, დღეს ანუ ხვალე მი-
იცვალების. მემკვიდრე მისი დავით გვექადის მეცა და მუხრანის
ბატონსა-შეურაცხებით განდევნასა, ჩვენისა ღირსებისაგან. მე მყვა-
ნან ნამდვილნი სარდალნიო, არა ერთხელ ბრძანა დავითმან საეროდ
და გასაგონად.—იგივე დავით ემადის ცუდად დედინაცვალსა თვის-
სა, დედოფალსა მარიამს და იგიცა მწუხარე დნება ვითარცა სანთე-
ლი და არ იცის რა ქმნას.—მგონია დამშვიდებისათვის ქვეყნისა და
ჩვენისა საკუთარისა პატივისა დასაცველად, ვისურვოთ,—დამთე-
რუსეთისა მეფობა, ნურღა გვინდა მეფედ დავით.—დროსა ამას შე-
ვიდა მუნ მუხრანის-ბატონი ჯერეთ ჭაბუკი კონსტანტინე, კაცა-
გვარ-მათამოებით სალთ-ხუცესი, გარნა გამოუცდელი; ვითარცა სარ-
დალი. მიიღეს პატივით დიდითა და დაითანხმა იგი სარდალმან იო-
ანე ორბელიანმან, ვითარცა უფროსმან უნცროსი. მუხრანის-ბატონ-
სა თანა-ახლდენ დროსა ამას: ზედგინიძე, ვითარცა ლალა ანუ მორჩე-
ველი და ერთ-გული სახლისა მისისა, და რატის-შვილი მუხრან-ბა-
ტონისავე აზნაურ-შვილი. ესენი ადრევე ჩაგონებულნი მეფის ასუ-

ლის ქეთევანისაგან, დედისა მუხრან-ბატონის კონსტანტინესსა, იტყოდენ და წარმოსთქმიდენ სიტყვათა მკვახეთა დავითისათვის. მაშინ მუნ მყოფმან მღვდელმან თურქისტანის შვილმან იოსებ გაბედვით სტუქსა რატის-შვილი და აყვედრა მას კადნიერებითა მის მეფის ძის დავითისათვის სიტყვა.—ზდილობითი საუბარიცა დაიკარგა დროთა ამათ შინაო, იტყოდა ეგნატი იოსელიანი. ვერვის გაებედა ჭეშმარიტების თქმა. სოლომონ ლიონიძე, ვითარცა ლომი გარემოცული მტერთაგან, იბრძოდა ქვეყნისათვის, მეფობისა დაუკარგველობისათვის. ლექსი „მეფე“ დადუმდა აქა? ბატონებო იყვენით ფრთხილად; ჯვარცმულისა მადლმა ილუპება ქვეყანა უშველებელად. იქით სარდლები იწვევენ, აქეთ მეფის ძენი; მელიქი და სომხობა გველურად იქცევიან. მოდით გონებასა. დაფიქრდით და შედით საქმისა ბჭობაში. დავითისა მემკვიდრისა მტერობისათვის, რათა უნდა შეექმნათ მტერი ქვეყანასა, ნამუსიანად უნდა ვიყვნეთ ქვეყანისათვის და მეფობისათვის. დასაწყობელად საქმეთა და შინა აღრეულობათა კმარა რუსნი და ტრაკტატი მეფისა გიორგისა. ღვთის-გულისათვის მოითმინეთ და სულგრძელებით და დამშვიდებით მოვილაპარაკოთ და დავაწყოთ საქმე საქვეყნო თვით დავით მემკვიდრისა სახლში.

სარდალმან არ უსმინა ლიონიძესა კაცსა მას მხოლოსა, რომელსაცა ესმოდა ყოველივე და რომელიცა ხედავდა შორსა. ხმა მისი იყო ნამდვილი ხმა ღაღადებისა უდაბნოსა შინა, ვერარაისა მოქმედი მივიდა ლიონიძე დავითთან; ესაუბრა მას და ვითარცა მეგობარსა ურჩია მრავალი რამე. დავით მერყევი ჰაზრითა და აღშფოთებული არ ისმენდა სიტყვათა ბრძნისა თვისისა მეგობრისა. მან არა ინება მიეწოდა, თვისთანა სარდალი და სხვანი პირნი საქვეყნონი; არცა აჩვენა ვითამც თავი თვისი სუსტად და მოკლებულად მეფობითისა ძალისა, ვითარცა ჯერეთ მემკვიდრე და მომლოდინე მეფობისა გვირგვინისა, ტრაქტატისა ძალითა რუსეთისა ხელმწიფესთან. ამიერითგან იტყოდა დავით, ჩემი სახლი დახშულია სარდლისათვის და მისთა მეგობართათვის. მე გავხდი მას მელიქისა სარდ-

ლად და დავანახვებ მას მალე,—ვარ ანუ არა მეფე ნამდვილი? კათალიკოსი ანტონი დროსა ამას მიბრძანდა მეფის ძეს დავითთან და ჰსთხოვა რა ჰსურს მას იმა დროისათვის, უკეთუ არღა იქმნება მამა მისი მეფე, უიმედო ცხოვრებისა? დავითმან პასუხ უგო მას: „თჳთ იცით ვინ ვარ და რა მეკუთვნის, მოვალეობა თქვენი გაქმნევინებსთ მას რაცა იქმნება საქმნელი. წინათ ვერა რას მოგახსენებ". იოანემან ძმამან დავითისა მუნ დამსწრემან დაუმატა ესეცა: „როგორ უნდა წაერთოს მეფობა დავითსა ჩემსა ძმასა არ ვიცი? არ არის პირმშო მეფისა? არ არის მემკვიდრე თჳთ რუსეთისაგან აღსარებული? როგორც მამა ჩემი გამეფდა, გამეფდება დავით შემდეგ მამისა თჳსისა. საწყენი იქმნება ესე ანუ სასიამოვნო მრავალთათვის, საქმე ესე ესრეთ მოხდება: მეფისა გიორგისა შემდეგ არის დავით მეფე საქართველოისა.

კათოლიკოსი იქცეოდა დროსაცა ამას და შემდეგცა ესრეთ, ვითარცა ეკიდებოდა მისსა ხარისხსა. ვერ ჰძლია აზრი მისი ვერცა დედოფალმან დარეჯან, ესე იგი დედამან მისმან; ვერცა ძმათა და ვერცა სხვათა მეფისა გიორგისა წინააღმდეგთა. ესრედ მტკიცედ და შეურყეველად იყო კათოლიკოზი, აღმასრულებელი მხოლოდ მოვალეობისა თჳსისა კათოლიკოზობისა.

## CXLIV

27 დეკემბერსა, დილით, მეფესა დაეკარგა მადა: არღა ინება არცა წვნიან, არცა ჩაი პატრისაგან მომზადებული, არცაღა მიიღებდა წამალსა დათულა ექიმისაგან და იოსება აქიმბაშისაგან (ყარხევისა). წყალმანკი განძლიერდა, მოაწვა გულსა და დააწყებინა ქშენა. დროთი-დროდ მოითხოვდა ალიბუხარისა წყალსა. მაშინ მოუწოდა მოძღვარსა თჳსსა წინამძღვარსა ეფთჳმის; სთხოვა უკითხოს ლოცვანი ანგელოზისა მფარველისა, აბარებდა სულსა მოძღვარსა თჳსსა, რომელსაცა ესავდა დიდად, ვითარცა კაცსა წმინდასა და ქვეყნიერად

ანგელოსად ხმობილსა მეფისაგან და ესრეთვე ცნობილსა ყოველთაგან. დილითვე, 8 საათზედ, უბრძანა წაუკითხოს დაუჯდომელი,—ღვთისა დედისა ქებანი, 9 საათსა, დილით, დასდვეს კარავი და სწირა თვით ევთიმემან და გვალად ეზიარა მეფე დიდითა ცრემლთა დენით და ვედრებითა. შემდგომად მიღებისა საღმრთოთა საიდუმლოთა, ხმითა ძლიერითავე სთქვა:

„ხორცი და სისხლი მაცხოვრისა შემიყვანს მე სასუფეველსა. ქვეყნიერსა მე ვედარასდა ვიტყვი. თვით მაცხოვარი იზრუნებს სამეფოსათვის, არღა ჩემისა. რუსთა ხელმწიფესა ვუტევებ პატრონად ქრისტიანობისა. იგი განაგებს ყოველსავე.—დედოფალო, ნუ სტირ ჩემთვის. იესო ჩემი ტკბილი, დაგატკბობს შენ და შვილთა ჩემთა. მოსავი ქრისტესი, არა სადა დაეცემის.—დიახ დედოფალო! არა სადა დაეცემის“.

საღამოსა მწუხრისა ლოცვისა, წინათ შემძიმდა მეფე. მოვიდა კათალიკოზი და იამა, ნახვა მისიცა, ნახვა მისი. მობრძანდა დედოფალი დარეჯან და იამა მოსთხოვა მას ხელი და ამბორს უყო. აკოცა დედოფალმან შუბლზედ.

„მომიტევე დანაშაული დედაო ჩემო, სთხოვე მამათაცა ჩემთა მომიტეონ ბრალი ჩემი მათთან.“ აღივსნენ თვალნი ცრემლითა გარე-მოდგომილთა მეფისა საწოლისა. შეიქმნა მსახურთა და მხლებელთა ქალთა და კაცთა გრგვინვა გულთა მწუხარეთა. „ნუ სტირიან ბრძანა მეფემან; ილოცონ ჩემთვის, რათა კეთილად და სათნოდ წარვსდგე ღმერთთან“—იწყეს მწუხრი და შეიქმნა მცირედ უკეთ დამოხედვით. წაბრძანდა დედოფალი დარეჯან, წარვიდა კათოლიკოზი. დაშთა მოძღვარი და აქიმნი თათულა, პატრი ნიკოლა და იოსებკა. ღამე ესე განვლო მეფემან დუმილითა ვითარცა მისუსტებულმან და ხშირად ნახევარ ფხიზელმან იტყოდა: „კირიელეისონ, უფალო შემიწყალე.“ მერე, „ღვთისა დედაო, მიიბარე სული ჩემი“!

## CXLV

28 დილით მეფესა, გონებისა არა დამკარგავს ულოცეს ცისკარი და მერეთ წირვაც და 11 საათსა დილით შემდგომად ზამოღლოცვისა განუტევა სული.—ვითარცა ცხოვრება მისი იყო ქრისტიანებრი, იტყოდენ ხშირად მუნ დამსწრენი ეგრეთვე აღსასრულიცა მისი იყო ქრისტიანეთა ვედრებისა გვარი: „ქრისტიანობითი აღსასრული ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი, ურცხვენელნი, მშვიდობითნი,—უფლისა მიერ თხოვილნი [62]).—ნამდვილ მიენიჭა მეფესა ქრისტეს მოყვარესა.

აცნობეს გარდაცვალება მეფისა ლაშქარებსა და სასახლისა კაცთა: წარგზავნეს კაცნი საუწყებლად ქართლისა და კახეთისა; და კურიერი მასვე დილით გაიგზავნა ს. პ. ბ. საუწყებლად იმპერატორისა პავლესსა: ლაშქარებმან აცნობა ესე წერილითაცა თვისითა ქალაქისა მელიქსა დარჩია ბებუთას შვილისა და ყოველგანცა და მისწერა საცნობელად, რომელ ყოველივე განკარგულება და ბრძანებანი,—დამტკიცებამდე მემკვიდრისა დავითისა მეფედ იმპერატორისაგან—იქნება ბეჭედ სმულნი სამთა პირთაგან ე. ი. მეფის-ძის იოანესი, ეგნატე მდივნისა თუმანის-შვილისა და ჩემისაო.

მასვე დღესა მოძღვარმან მისმან ევთიმი გამოუცხადა ანდერძი მეფისა დასაფლავებისა გამო მისისა, რომელიცა იყო დაცული ვერცხლისა კანდელსა შინა, კიდულსა წინაშე იოანე ნათლის მცემლისა ხატისა უდაბნოსა შინა იოანე ნათლის მცემლისა. წარავლინეს კაცნი და მოიტანეს ანდერძი თვით მეფისა ბეჭდითა დაბეჭდილი და მისგან დაწერილი და ხელმოწერილი. კანდელი ესე ვერცხლისა შეწირული მეფის ძის გიორგისაგან, არის დღესცა მუნ კიდულად [63])

---

[62]) ლიტურღია იოანე ოქროპირისა ანუ ვასილისა კვერექსი პირველი.

[63]) საფლავსა შინა დანიშნულსა მეფისათვის, დასაფლავდა თვით ევ-

დაზარეკმან აღრეულობისა გამო სამეფოსა, ვერ გაბედა რათა მიეცა ჯვარი უდაბნომდე. მეფის ძე ალექსანდრე მიმალული თვით დავით-გარესჯის უდაბნოსა, შემდგომად ნიახურას დამარცხებისა, ჰგონებ-და თვილისად ჯვარით მოსვლასა და უწოდდა ძმათაცა თვისთა: იულონს, ვახტანგს და ფარნაოზს ჯარებითავე. ამისთვის დაეკითხაცა კნორრინგსა. ესრეთ დაგვიანდა დასაფლავება მეფისა.

მაშინ დედოფალმან მეუღლემან მისმან, თვით რუსეთის გენერალმან და კარისა კაცთა,—არღა ინებეს აღსრულება ანდერძისა სუ-

---

თიმი მოძღვარი მისი. ზედ-წარწერა თვით-ვერცხლისა კანდელისა, ოქროთ დაფერილისა, დღემდე კიდულისა წინაშე ნათლის მცემლისა ხატისა არის შემდეგი:

„ქ. წინამძღვრობასა ევთიმისასა, ჩვენ ყოვლად უღირსმან საქართველოსა მეფის-ძემ გიორგიმ, შემოგწირე მცირე ეს შესაწირავი კანდელი ვერცხლისა, შენ სასოსა და მეოხსა ჩვენსა, ნათლის-მცემლის მონასტერს, მრავალ-მთისასა, რათა მფარველ მემქმნა მხრჩობლისავე ცხოვრებასა, შინა მეუღლით ჩემით, ძეებითა და ასულებითა წელსა ჩღპგ. მიხეილი ო."

სხვანი იტყვიან, რომელ ვერცხლისა მოსვლისა ბუშტში იყო ჩადებულიო ანდერძი მეფისაო. ხომლსა ამას აქვს ზედა-წერილი შემდეგი: „ქ. ვინადგან ყოველნი მორწმუნენი ქრისტეს-მიერნი, ქრისტეს მიმართ აღსულად მოსწრაფე არიან თვითოეულნი სიმკაცრისა-ებრ თვისისა, ამათ ხატისა მიხედულმან, ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლისა ძემან გიორგი, მეცა ვიგულის-მოდგინე შეწირვად შენდა ზეცათა მეფისა, წინა-მსრბოლო, ხომლი ვერცხლისა კეთილად-მქმნილი სახსენებელად საუკუნოდ, სულისა ჩემისა და სხეულთაცა ჩემთა სიმრთელედ და ეგრეთვე მეფის-რძლის ქეთევანისა მეუღლისა ჩემისა სადღეგრძელოდ, და ძეთა და ასულთა ჩემთათვის,—შეიწირნე ესე მცირედი წულილი ქრისტეს წინა მორბედო და შენ გვაგენ ნაცვალი ბევრ წილად მერმესა მას ცხოვრებასა და აქა სამარადისა საფარველი შენი;—და რომელმან ამის დაშლად ხელ-ჰყოს ან წარიღოს იგიმცა შეიშლების რისხვითა ღვთისათა. ნოემბრის 29, ქრისტეს აქეთ 1778 წ. მისხალი ტნა. გარესჯის ნათლის-მცემლის უდაბნოსია ესე ხომლი".

ესე მშვენიერი ხომლი სწორად გაუყვა ვისღაცა და ესრეთ ჰკიდიან მუნ ნათლის-მცემლისა ეკკლესიაში.

რვილისა-მებრ თვით მეფისა და დასდვეს, რათა მეფეთა საძვალესა შინა იქმნას გვამი მისი დასაფლავებული.

## CXLVI.

30 დეკემბერსა, გვამი მეფისა, მდიდრად კუბოსა შინა მორთული, მიასვენეს სიონსა სამღვდელ-მთავროსა ეკკლესიასა. მიცვალებულსა მიუძღოდა ჯარი რუსთა და ქართველთა, ზარბაზნები, დროშა სამეფო და ღერბი სამეფო, და იკვროდა მუზიკა საგლოველი. გარე-მოადგნენ კუბოსა რუსთა სალდათნი და ქართველთა ქეშიმნი. ყოველ დღეს გარდაიხდებოდა პანაშვიდი; მდივანბეგთა ძველთა წესითა, დაჰყარნეს ეკკლესიისა იატაკსა, საწერელნი და ყალამნი,—ნიშნად შეყენებულისა ბრძანებათა მწერლობისა; ჴელ-ჯოხიანთა სასახლისა კვერთხნი „ნიშნად გაუქმებულისა მათისა ხელობისა; მზარეულთა ქვაბი ფლავის საწურავი და ესე ვითარნი,—ნიშნად უქმთალა მათთვის ნივთთა; პირის მწდემან მეფისა ოქროსა და ვერცხლისა და სხვათა გვარისა სასმელისა ჭურჭელნი,—ნიშნად აღარ სასმართა მათთგან; მილახვარმან ძვირფასნი აღვირნი ცხენთა. თვით ადგნენ თავსა, ნივთთა ამათ მიყრილთა გუნდ გუნდად აქა იქა. ეკკლესია გალობდა პანაშვიდსა საგალობელთა. სასახლისა კარის-კაცნი იგლოვდენ მეფესა, დედოფალი მარიამ და შვილნი ჰსტიროდნენ ობოლობისა მწუხარებასა; რუსთა ჯარი დაიცვამდა ქალაქსა; ძმანი მეფისა, მტერნი მისნი, გაბნეულნი სხვათა და სხვათა სამეფოსა კერძოთა, ეხაროდენ დროთა ცვლილებისა; დედოფალი დარეჯან მწუხარებდა არა ეგოდენ მეფისა გიორგისათვის, რაოდენ შვილთა თვის თვისთა გაბნეულთა და მისთვისცა უმეტეს, რომელ არა იცოდა რა რაი, შეუდგებოდა ქვეყანასა რუსთაგან დაცულსა, მეფის ძისა დავითისაგან რუსთა იმედითა დაპყრობილსა. დავით მემკვიდრე მეფისა, გარე ქალაქისა თვისსა სასახლესა, განიზრახვიდა მეფობასა და ელოდა მეფისა დასაფლავებასა: სარდალნი და თავნი კაცნი მეფობისა,

დამთურალნი ურჩებითა დავითისადმი მემკვიდრისა, უკეთესისა მომლოდნენი, მეფეთა არღა მოსურნენი, იყვნენ დუმილსა შინა. —

მღვიძარენი დაუკარგველობისათვის მეფობისა მეფის ძენი იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ და მიხაილ, სარდალი იოანე ყაფლანის შვილი, ეგნატე იოსელიანი, შეითან თარხნიშვილი და მათ შორის უბრძნესი და ნათლად მხედველი მყობადისა და მომავალისა სოლომონ ლეონიძე, დიდი მტერი მოძული ლაზარევისა, ჰსთხოვდნენ და ევედრებოდენ დავითსა წარვიდეს ცხეთას და დაგვირგვინდეს მეფედ. დავითმან ესე არა ინება, ელოდა სამეფოთა ნიშანთა რუსეთიდან, და მიღომოსვლადმდე ბრძანებისა, მხოლოდ წოდება ნაცვლად მეფისა, რეგენტობისა ანუ სამეფოის გამგეისა. შემდგომად სამისა დღისა მემკვიდრე დავით აშფოთდა იოანე სარდალზედ და მუხრანის ბატონს კონსტანტინეზედ, რომელთაცა უგვანად მოეხსენებინათ დავით საუბარსა შინა მეფობისათვის. მაშინ წარვიდა სოლომონ ლეონიძე და მოახსენა დავითს: „დასამშვიდებლად მეფობის და აურეულობისა დასაცხრომელად, მიიღეთ ზომა მტკიცე. ჰქმენით რაცა არის საქმნელი. აჩვენეთ ძალი და ძლიერება თქვენი. გმართებსთ აქ გმირობა; დუმილი თქვენი და სისუსტე რაღა, აძლიერებს თქვენთა მეტოქეთა. „დაეც ზარი და მეხი შიშისა, მუხრანის ბატონსა და სარდალსა; ეხლავ უბრძანე დაიჭირონ მორჩილებაზედ. ნუ ჰკარგავ მეფობასა და ნუ ღუპამ ქვეყანასა. ვინ არის მოცილე მეფობისა? რუსეთმან აღრევე აღგიარა მემკვიდრედ და პირმშობითა გაქვს უფლება მიიღო კვერთხი მეფობისა.“ ესრეთ მტერნი იდუმალ მოქმედებდენ; თვით ღენერალი ლაზარევი არა მეგობრად მხადილი არ ურჩევდა რათა მიეღო წოდება მეფისა. ურჩება განდიდდებოდა; მოხელენი გაუქმდებოდნენ და თვით ზედა წარწერაცა ამილახვარისა ბეჭდისა: „მეფისა მტრისა ლახვარი, გამტკიცებ ამილახვარი.“ შეიქმნა საცინლად! თვით მხლებელნი მისნი და მრჩეველნი სუსტებოდენ. ვითარცა მოხუცებულნი, ვერსადა ჰპოვებენ კურნებასა არცა ოქმთა ზედა და ბძანებათა დავითისაგან ბეჭდილთა, არც ეკკლესიასა შინა მოხსენებულთა ადგილთა არცა მო-

ქდანთა და არცა სახლსა შინა ისმოდა ლექსი „მეფე“ დაუშთა ესე; წოდება გარდაცვალებულსა გიორგისა და ისტორიისა შემდეგთა დროთათვის საუწყებლად იგივე წოდება „მეფესა“ დამატებით „უკანასკნელსა“ . . . . . . . . . . მტერნო გისაროდენ! იწყო გლოვისა ხმამან, — ვაებამან მეფობისათვის! დაუშთა ღუთისა განგებასა რადა კეთილად ჰსცვალოს ბოროტი, ბნელი გარდააქციოს ნათლად, და წყლული ჰკურნოს.

რუსეთისა მეფეთა, მეფობისა მპყრობელთა ხვდა წილად, მოსცეს ღირსებითი მნიშვნელობა ერსა მორწმუნესა და ესე იწყო დღიდგან გარდაცვალებისა „უკანასკნელად“ წოდებულისა მეფისა გიორგი მეატცამეტისა და მომდინარებს დიდებულად, ერისა სიმრავლითა, სიმდიდრეთა და სწავლითა, ვიდრე დღეინდელად-დღედმდე.

## CXLVII

დაყუდებულმან ბერთ უბნისა კოშკსა ზედა იოანიკემან ვახმან, მობაძავმან სვიმონ დიდისა მესვეტისა, ჰსცნო გარდაცვალება მეფისა და მოსწერა დედოფალსა მარიამსა შემდეგი წერილი: სიკვდილი მეფისა ქრისტეს მოყვარისა, არის ვაება ქვეყანისა, საგლოველი ეკკლესიისაგან წმიდისა, გარნა, პატრონო დედოფალო! მიიღე ნუგეში და ირწმუნე ესე, რომელ დაახლოებული ღმერთთან, უმეტესად იქმნების მპყრობელად სამეფოსა თვისისა, ლოცვა მისი, ვითარცა კიბე იაკობისა შთამოიყვანსა ზეგარდმო კურთხევასა თქვენთა ზედა და შვილთა თქვენთა ზედა საქრისტიანოსა. შეუდეგით კვალსა მისსა ლოცვითსა; იყვენით პატრონად ობოლთა და ქვრივთა და ამით იხილავთ და იყოლებს მეფესა გიორგის, არა ვითარცა არა მყოფსა, არამედ, ვითარცა გარდასულსა ამიერ სოფლით, მას სოფელსა. ჩვენ ცოდვილნი ვერ დავივიწყებთ მოხსენებითა სახელისა მამასა და სულისა მისისა სამღვთოისა უსისხლოისა შეწირვისა დროსა. მრავალი კეთილი გვახსოვან მისგან მამათა და ძმათა მეუდაბნოეთა. კურთხევა

უფლისა იყოს თქვენთა თანა მადლი და მშვიდობა უხვად ნუ მოგაკლოს თქვენ . . . . . მდაბლი და უნდოი სულითა გლახაკი ბერი იოანიკე.

ბერი ესე იყო ჭოტორის სოფლიდგან; სიყრმიდგან ახლდა ზაქარია მოძღვარსა გაბაშვილსა და მასთანა მოისმინა ფილოსოფია და ღუთის მეტყველება. გარდაცვლილსა ზაქარიასა გარდაყოლოდა იმერეთს და მუნით მღვდელ მონოზნათ შემოსილი წარვიდა ცხოვრებად ბერთუბანსა დიდისა მოღვაწებითა. იტყვიან მისთვის და კაცისათვის წმინდისა და ღირსისა, გულთა და აზრთა გამომთარგმანებელისა. მამანი მონასტერთა ხადოდენ მას, ვითარცა ახალთა დროთა ქართველთა ეკლესიისა მნათობთა. გარდა ლოცვათა შინა მოღებულთა, თვით სადამე დღე და ღამე თხზვიდა და შეადგენდა ზეპირად გონებითა ლოცვათა და იტყოდა მათ, ესრეთ განატარა ცხოვრება თვისი და სარბიელი სოფლისა მწირობისა 1802 წლისა ღრმად მოხუცმან. ბოდბელმან იოანე, დროსა ამას ნათლის მცემლისა მონასტერსა ყოფილმან, დაასაფლავა მუნვე მისსავე სასვეტოსა. გაბრიელ მონოზონმან ნათლის მცემლისა, აღმწერელმან „ჯვარ მოსილსა“ ცრემლით წარსთქვა ქებითი მისთვის სიტყვა, რომელიცა მინახავს იოანე რუსთაველსა არქიეპისკოპოსთან. ვისა აქვს იგი დღეს, არა ვუწყი.

## CXLVIII

გარდაცვალებულისა მეფისათვის სამწუხარონი ანუ სამძიმარისა წერილნი, მრავლად სადმე მოერთვნენ დედოფალსა; მეგრელიიდამ, გურიიდამ და იმერეთიდამ. ხანთა ერევნისა, ყარაბაღისა, იბრაიდგან, ჯავათხანმან განჯისა, შაქი-შირვანისა მოართვეს მძღვენნი, რომელთაცა უწოდებდნენ ძველთავე ლექსითა „შესაწევრად.“ დღესაცა არს ადგილ-ადგილ ჩვეულება ესე ძველივე. ამასვე დროსა მოვიდა წერი-

ლი ომარხანისა, რომელსაცა ყოველ-წლივ ეძლეოდა მეფისაგან ხუთიათასი მანეთი ჯამაგირისა სახითა.

ესრეთივე წერილი მოეწერათ ახალციხისა ფაშასა, ძველთა ათაბაგთაგან გვარისა ჩამომავალთა, რომელთანაც იყო მეფე დაკავშირებული მეგობრობითითა მიწერ მოწერითა.

მოსრულთა თბილისად მიუტირეს მეფე დედოფალსა; იხილეს დავით განმგედ მეფობისა და ჯერედ არ მეფედ. სამეფო ქართველთა ეჩვენებოდათ მათ უდაბნოდ,—მოკლებულად მცხოვრებთა ხმაურობისა; მინდვრად-თვალთათვის მიუწდომელად და დასაღვეელად; გვამად კაცისა თავმოკვეთილსა; მზედ ზამთრისა არ მათბობელისა; ტყედ მაღნარისა;—ცულით დაკოდილისა და მკვდრად არ აღმავშვინავისა. მწუხარებისა ამისა დღეებში მიიღო დედოფალმან დაწერილი იმპერატორისა პავლეს, მეფე გიორგისთან მოწერილი 23 ნოემბერს 1800 წელსა, რომლითაცა უცხადებს მეფესა უსიამოვნებასა თვისსა სნეულებისა და უძლურებისა გამო თვით მეფისა. წერილი ესე წარუკითხეს დედოფალსა 14 იანვარსა.

ნეშტი მეფობისა და კარისა სამეფოისა ფიქრ მორეკილნი, ვიდოდნენ ვითარცა აჩრდილნი მთვარიანისა ღამისა. საუბარი მათი იყო ვითარცა ბგერა ზარისა, ჰაერისა მხოლოდ შემარყეველისა, საქმე მათი და წყობანი საქვეყნოთ, იყვნენ ვითარცა ქსელი ბაბაჭუისა სუსტთა ფეხთათვის გაბმულისა და ქსოვილისა, შეყრილება მათი მოსაზრეველად უმჯობესისა, დაბადებდა შფოთსა და უთანხმობასა.

საპატონი კაცნი შეირყნენ და დაეცნენ, ვითარცა სვეტნი შენობათა მძვრისაგან შერყეულნი და დაცემულნი. მაშინ ვითარცა მიძინებულთა განიღვიძეს იხილეს და იგრძნეს კალთა უბედურობა თვისა, მაშინ ოდეს მწუხარებამან, ვითარცა მახვილმან განვლო გულთა მათთა, ურჩებამან დაბადა სინანული ესე. ჭამეს კიწანი და მოიჭრეს კბილნი, სიტყვისა მებრ წინასწარმეტყველისა.

## CXLIX

რუსთა მთავრობა, რუსთა ენა, რჯული მათი დაშთა იმედად. იმედითა ამით სასოებს ქვეყანა განმტკიცდეს მშვიდობა, დაეცხროს მტერი შინა და გარე, მოუძიოს სამზღვარი თვისი ძველი, ჯერეთ თურქთაგან პყრობილი; განახლდეს ვაჭრობითი ერთობა, ვითარცა ძველად, ფინიკელთა ტვიროს და სიდონისა, ფრიგიისა და კაბადოკიისა, მისირისა და ეგვიპტისა, ლიბანისა და ბაღდადისა, ლიბიისა და ბაქტრიისა, სამარყანისა და ინდოეთისა, ბიზანტიისა და ათინისა; აყვავდეს სწავლა და ხელოვნება; დაიფუძნდეს შორ მტკიცედ ქრისტიანობა მართლმადიდებლობითი მკლავითა მტკიცითა დაცული, კვალად შეიმკოს მეფობითი გვირგვინი ქვეყანისა ვითარცა ქრისტეს ვენახისა, მეფეთა და წამებულთა ურიცხვთა სისხლთა მორწყულისა; და ესრეთ დიდებასა, სიმდიდრესა, ერთა სიმრავლესა და ქართველთა თემთა და ტომთა ერთობისა მოყვანითა განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკე მისი და მოიგონონ ძველნი სამეფოსათვის მოღვაწენი მეფენი.

## CL

დიდი იყო დროთა ამათ ამბოხისა და შფოთთა და ამასთანავე დიდი სიცილი და შექცევა დიდთა და მცირეთა არ ეგვრებოდენ ამას მრავალნი და არცა ჰგონებდენ ამას უშვერად და ჭირსა და ლხინსა აერთებდენ. ესრეთ იყო მაშინ და ესრეთვე არს დღეს. ქართველთა ერი ძველი და მრავალთა ჭირთა და შეიწროებათა მნახველნი, ადვილად მიიღებდა მწუხარებასა და ადვილად განიკურნებდა თავსა ვითარცა ჭირ-ნახადი. გავლილი ცეცხლსა, ვითარცა ბრძმედსა შინა, ოქრო იყო ნათლად და წმინდად საჩვენებელი, ქსერქსისავე დროსა 400 წლით წინათ ქრისტესა, შეაჩვია სპარსთა უფლებასა და ჰქელავ-

და მასთანა ერთად ეგვიპტისა და ატტიკისა მთათა და ბართა, ვითარცა ჰსწერს ჰეროდოტი. ხმალი ქართველთა ღელავდა ომსა და ბრძოლასა პირის-პირ მაკედონელთა დროსა გმირისა მათისა მეფისა ალექსანდრესა. შეჩვენებულნი არაბთა უფლებასა, ვერ დამორჩილდა მათ სრულითა მონებითა. მორჩილი ქრისტეს მცნებათა, იყო ურჩი ბერძენთა ანუ ბიზანტიისა იმპერატორთა, რომელნიცა იპყრობდენ ზღვისა შავისა პირთა, მოსცემდენ მეფეთა ქალთა და წარიყვანდნენ მეფისა ქალთა, თვისდა სასძლოდ. ჩინგიზი და თემურლანგი უქცევდნენ ქართველთა მეფობასა და ქართველნი კვალად განახლდებოდნენ. შეშინებულნი მტერთა და უცხო ნათესავთა ზედა დასმისაგან, კვალად განიღვიძებდენ. პოლიტიკა შაჰაბაზისა ამოფხვრისათვის ქრისტიანობისა ქართველთა შორისა, რომელთაცა მოსცემდა 200 წლისა განგრძობასა მეფეთა მაჰმადიანთა,—დაშთა უნაყოფოდ. ხმალი ქართველთა ტრიალებდა ავგანისტანისა მთებზედ, ვაჟკაცობა მათი და გმირობა განაკვირვებდა სპარსთა და ყაენთა. ყანდარი და ხორასანი, ერიდებოდა მათ, ვითარცა კავკასიისა გმირთა. თვით ყაენი მიუწოდებდა ქართველთა მეფეთა დასასჯელად მეამბოხეთა ავგანთა, თურქნი მეზობლად მოყვრულნი ქართველთა იშიშვოდენ შემოსვლასაცა შინა ქართლსა და კახეთსა შეუვალსა. ქართველთა ესრედ მრავალ საუკუნოებითა, გამოცდილთა და ცეცხლში ვითარცა პური გამომცხვართა, ვერ ერეოდა ვერცა შინაგანი, ვერცა გარეგანი მწუხარება. გაღელებული თავის-უფლებითა და განლაღებული მთებითა, ეცინოდა ბედსაცა და უბედობასაცა, ქართველთა გამოსწოვეს ტვინი სპარსთა, შეჭამეს იმპერია რომისა, ვითარცა იტყვის პლინიოს, შეჭამეს ბიზანტია და თვით დაშთა შეუჭმელად მათთვის, რომელნიცა ჰგონებდენ მათსა შეჭმასა.

მახესა დაგებულსა მტერთაგან, თვით მტერნი გაებნენ. საბრჴე შეიმუსრა და ჩვენ განვერენით,—იტყოდენ და იტყვიან ქართველნი დღემდე, წერილის სიტყვასა.

ესრეთი არს თვისება და ხასიათი ქართველთა ნათესავის, ძვე-ლისა კაცთა ნათესავთა შორის!

## CLI

მეფისძე იულონ აღირებდა თავსა თვისსა შემდგომად ძმისა თვისისა გიორგისა. დარეჯან დედოფალი სიტყვითა და საქმითა და წერილითა რუსთა ღენერალთა თანა, მეცადინებდა მისსა დადგინებასა, ამისთვის მისწერა წერილნი ქალაქისა მელიქსა დარჩიას და ოთარ ამი-ლახვარსა და კახეთსა, აღიარონ იგი მეფედ. ამასავე დროსა მოსწე-რაცა წერილი ბელოტიდამ, სადაცა სადგურებდა იგი, თვით ლაზა-რევსა. ლაზარევი ფრთხილი ჰყვედრიდა მას წერილითავე და სთხოვა კათოლიკოზსა ანტონის აღუკრძალოს ქართლისა მღვდელთა მოხსე-ნება მისი მეფედ. ამასავე დროსა 9 იანვარსა 1801 წელსა მისწერა წერილნი იულონსა, ვახტანგსა, მირიანსა და ფარნაოზს. მოვიდნენ თბილისს და მოისმინონ ბრძანება იმპერატორისა პავლესი დადგინე-ბისა გამო მეფის ძისა დავითისა განმგედ საქართველოისა და არა მეფედ: გრამატა ესე მოიტანეს ს. პ. ბურღით დესპანთა გიორგი ავალიშვილმან და ელიაზარ ფალავანდისშვილმან 8 იანვარსა. 14 იან-ვარსა წმინდისა ნინოს დღესასწაულის დღესა გამოცხადდა გრამატა ესე თბილისს და ჰსცნესცა ყოველგან, გარნა არა მიიღეს არცა ძმათა მისთა და არცა დედოფალმან დარეჯან. „რომელსაც დაიწერა გრამატა, მაშინ იმპერატორმან პავლემ არ იცოდა გარდაცვალება მეფისა გიორ-გისა“—იცოდნენ იგინი და არცა იყო ცნობილი ჯერეთ ანდერძი გან-სვენებულისა ირაკლისა, მეფის ძენი იულონი, ვახტანგ, მირიან, ფა-რნავაზ შეგროვდნენ დუშეთს, აქედამ მივიდნენ მუხრანსა და უნებდათ დაეგვირგვინებინათ მეფედ იულონ მცხეთას. ლაზარევმან, რჩევითა თვით მემკვიდრისა დავითისა წარგზავნა მუნ სალდათი 250 ამან დააბრკოლა განზრახვა მათი, ამისთვის წარვიდნენ მარტყოფისა გზით კახეთსა და მუნით ბოდბესა. აქედამ მოუწოდებდნენ ომარხანსა და

ლეკთა. მეფის ძე იოანე ჰსდევდა მათ თვისისა და რუსისა ჯარითა. ლეკნი ვერ შეერთდენ მათ და მეფის ძე ალექსანდრე, მაშფოთებელი ყაზახისა ვერარასა ზედავდა. ესე იყო მიზეზი, რომელ მეფის ძენი იულონ და ძმანი მისნი წარვიდენ დუშეთისა გზით ქართლადვე და ამბოხებდნენ მუნ. მეფის-ძემან დავით გამოსთხოვა ჯარი და აპირებდა თვით სლვასა და წარიყვანა ღენერალის ლაზარევისა დასამშვიდებლად ქართლისა და დასასჯელად მათ, რომელნიცა ღალატობდენ მას, მაშინ იულონ და ფარნაოზ გავიდნენ 18 თებერვალსა, 1801 წელსა, იმერეთსა და შეესიზნენ მეფესა სოლომონს.

გარდასვლამან მათმან იმერეთად, დაამშვიდა ქართლი მცირედ, მისცა დრო მეფის ძეთა მეფისა დასაფლავებისა, რომელიცა იქმნა 20 თებერვალს. მეფის ძე ალექსანდრე ჰგონებდა შეიწიოს მეფე სოლომონ სუსტი ძალითა, ანუ თურქნი, ანუ ლეკნი, ანუ სპარსთა ჯარი. ესე ყოველი დაშთა უნაყოფოდ. ბრძანება დავითისა მრავლად განთესილი 15 იანვრიდამ ქართლსა და კახეთსა დადგინებისა გამო მისისა განმგედ აშინებდა მრავალთა, გარნა ვერ დაუმორჩილებდა დიდთა და მცირედთა. მომლოდინე თვით რეგალიისა სამეფოსა, არა ინებდა მეფედ წოდებასა და არცა აძლევდა ნებასა ღენერალი ლაზარევი მოსვლადმდე იმპერატორისა სურვილისა და განჩინებისა. ლაზარევი სძაგდა მეფის ძეს დავითს და თვით ლაზარევს არ უყვარდა დავითი, მოძულე მისი და მაყვედრებელი მრავლად უშვერთა რომელთამე საქმეთათვის.

დროთა ამათ მოიყვანეს მარტყოფით პყრობილი სიონის დეკანოზი იოანე ოსესშვილი, ერთგული მეფის ძისა ვახტანგისა და ჰსტუქსეს დიდად, რომელ დაუტევა მოყვარეობა თვისი და ლტოლვილი დეშეთს ერეოდა ქვეყნისა ორგულობასა.

მრავლითა მეცადინებითა თვით დედოფალის დარეჯანისა, გამოიყვანეს საპყრობილით დეკანოზი იოანე და იხილა თვით დედოფალმან. ამიერიდგან არღა იქმნებოდა დედოფალი დუმილითა, ჰსწერდა ყოველგან წერილთა, მიუხდებოდა რუსთა ჯარსა, გაამეფონ იულონ

და ნუ ითხოვენ რუსთაგან დამტკიცებას იულონისა მეფედ, ამას იტ-
ყოდა და ჰსწერდა დაუცხრომელად.

დედოფალი განფიცხდა უმეტეს მაშინ, ოდესცა რუსთა ღენერა-
ლი არ აძლევდა ნებასა რათა წარსულიყო თბილისით სოფლად შვილ-
თა თვისთადმი და არცა მოუშვებდენ შვილთა მისთა დედისადმი
ჯვარით მომავალთა მისთა წასაყვანად, მხოლოდ მეფის-ძე მირიან
იყოფოდის მისთანა ოდესმე. სიტყვითა მისითა აშფოთდა კახეთი,
გადვიდნენ იულონისაკენ ბოდბელი იოანე და დიდნი თავადნი. ესენი
ითხოვდნენ რუსთა ღენარლისაგან იმპერატორის უფლებისა ქვეშე
და მოსწერესცა წერილი, რათა უმეტეს 1000 მეფე ბაგრატიონთა
გვარისა, რომელთაცა მათთან ერთად იყვნენ ქვეყნისათვის თავდადე-
ბულნი, წმიდანი და მოწამენი და რათა არ მოელისთ მათ მეფე.

განმგემან მეფობისა მიწერითა კათოლიკოსისადმი, ჩამოართვა
მღვდელ მთავრობა ამბროსი ნეკრესელს და სტუქსა ნიკოლოზ ხარ-
ჭაშნელი, მასვე დროსა შეიპყრეს და მისცეს პყრობილებასა ოთარ
ამილახვარი, ვითარცა მოურავი გორისა და ივანე ამილახვარი, არ-
ხიმანდრიტი ბარსანაფე ავალიშვილი, ნათლის მცემლის უდაბნოსა
შინა მყოფი, ელევთერი მღვდელი, იოსებ ჭავჭავაძე და თვით ალე-
ქსანდრე რექტორი თელავის სემინარიისა.

დესპანნი გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანიშვილი
წასრულნი თფილისით 20 იანვარს, 1801 წელსა და 12 სხვანი,—
დაჰშთენ ქართველთა საუბრად და გამოცანად: რა უნდა შეუდგეს ქვე-
ყნის მდგომარეობასსაო? მოლოდინი კახელთა და ქართლისა ითხოვ-
და მეფედ იულონსა ანდერძისა მებრ ირაკლისა; განმგე დავით თვის-
და სამეფოისა რეგალისა, ვითარცა ადრევე აღსარებული მემკვიდრედ
თვით რუსეთისაგან და თვით კნორინგი და ლაზარევი ცდილობდენ
დამშვიდებისათვის ქვეყნისა, გუბერნიისა განხსნასა, ყოვლადობით
რუსეთისა მმართველობისა დადგინებასა და სამეფოისა სახლისა
წევრთა კაცთა და ქალთა გარდაყვანასა რუსეთად,—დაწყნარებისათვის
და განქარვებისათვისცა ამბოხისა ქართველთაგან. ჰაზრი ესე დაბო-

ლოებითი იყო რუსთა განმგეთა აქა და მასვე ჟამსა შეუდგნენ მრავალნიცა ქართველთაგანნი, მტერნი მეფისა სახლისა.

## CLII

ესრეთსა მდგომარეობასა შინა მოსული ქვეყანა ელოდა პატრონსა, მეფის-ძენი იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე, იოანე და ბაგრატ ცილობდნენ (?) და იყვნენ. თვითოეულსა ამათგანსა ჰყვანდნენ ოც-ოცნი დიდთა კაცთაგანნი მხლებელნი. ერთი წილი განსრულთა ერთობისაგან, ერიდებოდა მეორესა; ერთი მეორესა ეცინოდა. ვიეთთამე უნებდათ მეფედ იულონ, ვიეთთამე დავით, ვიეთთამე სურდათ აღსრულებულიყო მეფისა ირაკლისა უგვანი ანდერძი, დასაღუპავად ქვეყანისა შედგენილი. ანდერძითა ამით უნდა მიჰსცემოდა მეფობა პირველად იულონსა, მერეთ ვახტანგსა, მერეთ მირიანსა მერეთ ალექსანდრესა, მერეთ უკანასკნელ შვილსა ირაკლისსა ფარნაოზს.—შემდეგ ამათსა უნდა გარდასულიყო გვირგვინი მეფობისა მეფისა გიორგისა შვილებზედ ე. ი. პირველად უნდა მისცემოდა მეფობა დავითის, მერეთ იოანეს, მერეთ ბაგრატს, მერეთ თეიმურაზს, მერეთ მიხაილს და სხვათა. შემდეგ ამათსა მეფობა უნდა გარდასრულიყო იულონისა შვილზედ, მერეთ ვახტანგისა შვილზედ და სხვა.

იტყვიან ანდერძი ესე შეადგინა ოსეფა ყორღანას შვილმანო და იყო თანახმა თვით დედოფალიცაო. დარეჯანს დედოფალსა მხოლოდ ჰსურდა დასამშვიდებლად შფოთისა თვით ემეფა, ვითარცა იყო ოდესმე რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორე. მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა ანდერძი მამისაგან დაწერილი. ამა ანდერძით ირღვეოდა ანდერძი, გამოცხადებული დარეჯან დედოფლისაგან. ესე იყო მიზეზი, რომელმანცა დაბადა შფოთი ძმათა შორის და გადაუყენა ერთგულობიდგან მრავალნი. ესრეთ, რომელ დიდისა მეცადინებითა მეფისძემან თეიმურაზ დაუახლოვა მემკვიდრესა დავითს სიმამრი თვისი

სარდალი ოთარ ამილახვარის შვილი: ესე ოთარ ადრითვე ემდურო-და მეფის ძესა დავითს, რომელიცა იყო დანიშნული მისსა ქალზედ და არღა დაიწერა მასზედ ჯვარი (იხ. LXXXII.) გარნა შემდეგ მისცა საპყრობილესცა დროებით სხვათა თანა, და ესრე იქმნა მი-ზეზად, რომელ მეფისძე თეიმურაზ, სიძე ოთარისა, გაიქცა სპარ-სეთსა და ეახლა ყეენსა.

## CLIII

უთანხმოებისა დროთა ამათ ქალაქი თბილისი ღელავდა. გაჩნ-დნენ მეამბოხენი, რომელთაც ზოგთა უნებდათ მემკვიდრე დავით, ზოგთა არც იულონ და არცა სხვანი, ზოგთა უნებდათ იქმნეს აღ-რჩევით მეფე მიუხედველად პირმშობისა; და ვიეთთამე დასაწუნარე-ბელად შფოთისა ჰსურდათ მეფედ დედოფალი დარეჯან.

იოანე სარდალი განღვიძებული სხვათაგან და დამშვიდებული მეფის ძის იოანესაგან და ალექსანდრე მაყაშვილისაგან მივიდა და წარსდგა დავით მემკვიდრესთან და მოახსენა: „ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰკარგავ მეფობასა, მიბძანე და გამოვუცხადებ რუსისა აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არ იქმს რუსის ღენერალი, ადვილია მისი აქედამ განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი. როგორც გვიმეფნია, ისევე ვიმეფოთ“. მეფის ძმან დავით, მიუთხრა ესე ამბავი ღენერალსა ლაზარევსა და მან კოვალენსკის. მათ დაიბარეს იოანე სარდალი და გამოჰკითხეს ესე. სარდალმან აღიარა, არა ბრალი თვისი, არამედ სიტყვა თვისი. მე მოვახსენე, იტყოდა სარდალი, დავითს ჩემი რჩევა დასაცველად მეფობისა, ნიშნად ერთგულობისა, ვითარცა ფიცით შეკრული მეფე-თათვის ქართველთა. რადგანაც არა ჰსურს მას დავითს მეფობა, რო-დესაც მივსცემ ფიცსა რუსეთისა იმპერატორსა, ვექმნები ერთგული და მოვჰკვდები მისთვის ერთგულობაში.—ესე იკმარეს ღენერალ-თა რუსეთისა. სარდალი იოანე ამიერიდგან უკუ-უდგა მემკვიდრესა

დავითისა. არცა გაერია არა რასამე საქმეში, არცა შევიდა იმა შეთქმულობაში, რომელიცა ჰქმნეს თავადმან დუცალ ბარათაშვილმან და სხვათა დასარღვეველად ესრეთისა შეთქმულობისა და სხვათა შფოთთა დასაწყნარებელად განეფინა საქართველოს მიწერილი ყოველგან შემდეგი ეპისტოლე:

„პატრონნო საქართველოს თავადნო და აზნაურნო! თქვენი მეჯადობა გვებოძა და მართებული ესე იყო, რადგან მეფე გიორგი მიიცვალა, აქ შემოყრილიყავით და გეტირნათ, წაგეხურათ და მერე დიდნი დიდათ შეყრილიყავით და მცირენი მცირედათ და საზოგადო ქვეყნისა კეთილ-მდგომობა გამოგვერჩიათ. ამ ჟამად ზოგიერთნი სხვანი და როსტომ ბეგთა ბეგის შვილი, ელიზბარ თუმანისშვილი და დუცალ [64]) შეგიყრიათ და რესპუბლიკის თავად გაგიკეთებიათ. აბა სად მივიდეთ. ეს თქვენის კეთილშობილებისათვის დიდად აუგია და სათაკილოა, თუმცაღა ჩვენ ქართველთა მეფე გვყოლია, მაგრამ ოდესმე საბერძნეთის ყმანი ვყოფილვართ და ოდესმე სპარსეთისა, და ახლა მეფე თეიმურაზმან, მეფემ ერეკლემ და მეფე გიორგიმ ეს ქვეყანა რუსეთის ხელმწიფეს მისცა. დაგინიყიათ, მეფის ერეკლეს ანდერძზედ დავდგეთო. მეფემ ერეკლემ დასტოვა თავისის ანდერძის დამარღვეველი მეორე ანდერძი, რომელიც მეფეს გიორგის მისცა; ეს ანდერძი გარსევანმან წაიღო მეფესთან იმპერატორთან, მოიცადეთ, ნუ აჩქარებულხართ, ნურც თქვენს სოფლებს ახდენთ, და ნურც ჩვენი პატრონის შვილების ოჯახს აქცევთ და სისხლს აგდებთ ერთი ერთმანეთში. რაც იმპერატორის ნება და ბრძანება მოვა, თქვენც იმაზედ დადეგით და ჩვენც იმის პირდაპირი ხომ იცით არავის შეუძლიან. და მერმე ერთი რამ რომ გარდამავლობა ვქმნათ და ძალით

---

[64]) როსტომ ბეგთაბეგისშვილი გარდაიცვალა 1836 წელსა, ელიზბარ თუმანისშვილი . . . . . . . წელსა და დუცალ იყო თავადი იოანე ბარათოვი, ზედ დამატებით დუცალიშვილი, ესე გარდაიცვალა 1810 წელსა.

გვაქმნევინონ, სირცხვილი იქმნება საზოგადოებისათვის, ჩვენი რჩევა არის და ახლა ნება თქვენია. იანვრის ია ქრ. ჳჟთ. [65])




[65]) ნამდვილი ესე, რომელიცა მე მაქვს არის ბეჭედ-სმულნი— ზოგიერთი ძნელი გასარჩევია და რავდენიმე მხოლოდ წარვიკითხე. გვამნი ესენი არიან:

მეფის-ძე იოანე.
მონა ღვთისა გაბრიელ.
დიმიტრი (თუმანიშვილი მდივანი).
ალექსანდრე მაყაშვილი (ეშიკაღაბაში მეფისა).
სოლომონ მეითარი (თარხნის შვილი).
ზაალ მორდალი (ბარათაშვილი, მოკლული ყმათაგან თვისთა 1810 წ.)
ვახტანგ (ორბელიანი ქმარი მეფის ასულის თეკლასი).
დავით რეკტორი (ალექსის შვილი).
ნიკოლოზ.
ფარსადან.
დავით მიმბაში, თარხნის შვილი.

## CLIV

მეფისავე გიორგისა დროთა ერის-კაცობაში და მერეთ შესული სამღვდელოსა წოდებაში ეგნატი იოსელიანი, იყო მიწერ-მოწერაში სომეხთა დავით კათოლიკოსთან. ერთმან ესე ერთა წერილთაგანმან მოაწია ჩემდა და ამისთვის დაუკარგველობისათვის დროთა წარსულთა მოთხრობისა, დაურთებ აქა მას მიწერილსა სომხურად მისგანვე თარგმნილსა ქართულად: [66])

### უწმინდესო მეუფეო

უმაკურთხეველესო უფალო!

ვინაიდგან არა არს ხელმწიფება, გარნა ღვთისაგან, ამისთვის ღვთისა განფესულ განძილურმან მპყრობელმან ხელმწიფეთა შორის იმპერატორმან და იმპერატორთა ხელმწიფემან პავლემ პირველმან აღგაგო და აგანთო შენ უწმინდესი ეგე ვინმე სანთლად მთებარედ, რომელიცა დაგადგინა არა ხვიმირსა ქვეშე დაფარულად, არამედ სასანთლესა ზედა განბრწყინვალებულად, რათა ნათობდე ყოველთა, და მით პირსა ყოვლისა ქვეყანისასა ბრწყინავდე და უსაკუთრესად ნათესავსა ზედა და ჴაიოსთასა, რომელთაცა საზოგადოდ მამად და მწყემსად იზე იწოდე. შენ ამიერიდგან ხარ. ვითარცა ქალაქი მთასა

66) ესე დავით იყო სოფლისა ენაგეთიდამ ახლოს თფილისისა მცნობი მეფის გიორგისა და მეგობარი მეფის ძისა დავითისა. ოდეს სომეხთა კათოლიკოსი იოსებ არღუთაშვილი მოსრული რუსეთით მოვიდა თფილისს და მოკვდაცა აქა 11 მარტსა, 1801 წელსა, მაშინ მეცადინობითა მეფის ძისა დავითისა და მაჰმადხან ერევნისა ხანისა დამტკიცდა კათოლიკოსად სომეხთა დავით ენაგეთელი. შემდეგ 1804 წ. განაგდეს სომეხთა და დასვეს ბრძანებითა ალექსანდრე იმპერატორისა დანიილ სტამბოლელი.

ზედა დაშენებული იმპერატორისაგან, რომლისაცა ნათელსა არა მალ-უძს დაეფაროს ვინმე; ესე ყოველი იქმნა ხელმწიფითა სულისა წმიდისა ღვთისათა, რომელმანცა ჴსცნო ფონებასა იმპერატორისასა უხილავად ვიდრემე მავალისა ფრთისა კალმითა; და ვინადგან იცის მოწყალებამან ღვთისამან, კვალად შემდგომად რისხვისა შეიწყალებს შერისხულთა. ამისთვის ჩვენ შერისხულთა მტერთაგან სიყმილითა, სრვითა და პატრონთა მამათა ჩვენთა ხელმწიფეთა მეფეთა გარდაცვალებულთაგან აღგვადგინა უხელმწიფესი და უთვით-მპყრობელესი იმპერატორი, რომელმანცა შეიწყალა და განუშვენა მემკვიდრესა აღდგინებითა და თქვენ უწმინდესისა აქა მონიჭებითა, რათა აკურთხოშენ მემკვიდრე ჩვენი ივერიელთა გვარისა, და მყოფი ივერიასა შინა მონანი მისნი და მეტა უმონაესი მონა თქვენისა უწმინდესობისა.

ეგნატი იოსელიანი.

20 აპრილსა 1801 წელსა..

თფილისით.

## CLV

დღიდგან გარდაცვალებისა მეფისა არა დაჴსცხრებოდა ღელვა აღრეულობისა ქ. თბილისს. არცა დავით მემკვიდრე, არცა შვილნი სხვანი მეფისა და არცა რუსთა ჯარისა ბრძანებელნი არა აბოლოებდენ მეფისა გვამისა დასაფლავებისა საქმესა. ლაზარევსა ბრძანებისა მომლოდინესა კნორრინგიდამ და შიშმან ძმათაგან მეფისა, რომელნიცა აგროვებდენ ჯართა დასაცემად თბილისზედ, ვერ გაებედვინა მიცემა ჯარისა რათა წარეღოთ გვამი უდაბნოდ, მოშორებულისა თბილისიდამ 60 ვერსტითა. ესე იყო მიზეზი: რომელ 20 თებერვლამდე, 1801 წლისა, ესვენა გვამი მეფისა სიონისა ეკკლესიასა და სხეულისა ხრწნილებასა იმაგრებდენ და ეშველებოდენ ყუბოსა შინა ყინულთა შთადებითა. თავადნი და აზნაურნი ქართლისა და კახეთი-

სა, მომავალნი თბილისს, მიმოვიდოდნენ კუბოდ მისსა, ჰსტიროდენ, ემთხვეოდენ ხელთა მისთა და ესალმებოდენ საუკუნოდ. უკანასკნელ, გასულმან მოთმინებიდამ მეფის-ძემან იოანე დაუდევნელობისაგამო მეფის-ძისა და მემკვიდრისა დავითისა თვით იზრუნვა და დაასრულეს უკანასკნელი ანდერძის აგება 20 თებერვალსა და მასვე დღესა წასვენება გვამისა მცხეთას. შემდგომად წირვისა და ანდერძისა გამოასვენეს ეკკლესიით კუბო მეფისა. კუბოსა ამას, რომელიცა ეპყრათ თავადთა ურჩეულესთა უძღოდენ წინა ჯვრეთ თავადნი და აზნაურნი, მათ შეუდგნენ ეკკლესიის მსახურნი ხატებითა და სანთლებითა; მერეთ ორდენნი ალექსანდრე ნეველისა და წმინდისა ანდრია პირველ წოდებულისა, ხმალი, სკიპტრა, გვირგვინი, ბაირაღი. მარჯვნივ იყო კათოლიკოსი ანტონი სამღვდელოთი და მარცხნივ იოსებ კათოლიკოსი სომეხთა თვისითა სამღვდელოთი. ბალდახინისა ქვეშე გარემო კუბოისა მიუძღოდენ მეფისძე და მემკვიდრე დავით, იოანე და ბაგრატ. დიღმის კართა გაასვენეს მიცვალებული და გარე ქალაქისა დასდვეს გვამი, ჰსთქვეს პანაშვიდი და მაშინ დაცალეს 6 ბატალიონმან თოფები და 3 პოლკის ზარბაზნითა სამ გზის ჰქმნეს სროლა. მასვე დროსა ციხის მეზარბაზნეთა ისროლეს 31 სროლა. ქაშოეთისა წინ გამოეთხოვა სამეფო ქალაქი თბილისი მეფესა თვისსა. დადუმდა ხმა საგლოველი ბარაბანთა და მუსიკისა და ხმა ზარბაზანთა. ჯარი რუსისა უკუ იქცა ქალაქად და გვამი მეფისა წარიღეს მცხეთას. ესე იყო დღე ოთხშაბათი, მესამისა დიდმარხვისა კვირისა. მეორე დღესა შემდგომად ლიტურღიისა კათოლიკოსმან ანტონი და მღვდელ მთავართა დაასაფლავეს მარცხნივ აღსავალისა კარისა. მუნ იყვნენ და დაესწრნენ მეფის ძენი იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ და ილია, თავადნი და აზნაურნი და მოხელენი მრავლად. დედოფალი და ქალნი, ქართველთა წესითა, დაშთენ თბილისს ვითარცა მგლოვარენი და მხოლოდ საღამოსა დროსა წაბრძანდნენ, მეფე გარდაიცვალა 56 წლისა შობიდგან. განმგე-

მან საქართველოის მარკის პაულუჩჩი 1812 წელსა უქმნა ტაგრუცი და დასდვა თითბრისა ფიცარზედ რუსული ზედ-წარწერა:

Здѣсь покоится царь Георгій, родившійся въ 1750 году, который взошелъ на престолъ Грузинскій изъ любви къ благу своихъ подданныхъ, желая на всегда обезпечить ихъ благосостояніе, 1799 году уступилъ Грузію Россійской Имперіи и скончался 1800 году. Дабы предать потомству память о послѣднемъ Грузинскомъ Царѣ, именемъ Его Императорскаго Величества Александра, главнокомандующій въ Грузіи Маркизъ Паулуччи соорудилъ ему сей памятникъ въ 1812 въ году.

მოხსენებული აქ წლიწადი ცხოვრებისა არის ყოვლად შეცთომილი.

## CLVI

დედოფალმან მარიამ და მგლოვარეთა შვილთა მისთა გარდაიხადეს ორმოცი. კათოლიკოსმან და მღვდელ მთავართა და ერთგულთა გარდაცვალებულისა მეფისა კვალად დაურთეს დედოფლისა ცრემლთა ცრემლნი თვისნი. მცხეთას მიბრძანდნენ დედოფალი და შვილნი, გარდა მეფისძისა დავითისა. განმგედ კალდებულებისა ამის, წესისამებრ ეკკლესიისა, იყო მეფის ძე იოანე. მარჯვე საქმეთა შინა მხოლოდ ესე მეფის-ძე შეექმნა ქვეყანასა და სახლეულობასა თვისსა, მისაყრდნობელად. მორიდებაც დიდი აქვნდა ყოველთავე ამისი. სარდალი იოანე ორბელიანი ექმნა მორჩილი და იახლაცა თვისთანა მცხეთას სახლეულობითა. ქალაქისა მცხოვრებნი ურმებითა, ცხენებითა და ქვეითით მივიდნენ მრავლად მცხეთასა და დაესწრნენ წირვისა და ორმოცისა გარდახდასა. მოიგლიჯნენ სოფლელებიდამ ქალნი

და კაცნი და ჰსტიროდენ მეფესა და ობლობასა. ოთხი ათასი და მეტი ქალი და კაცი ისტუმრა ტრაპეზითა მეფისძემან იოანე. მასპინძელნი სანოვაგითა უხვად იყვნენ თვით კათოლიკოსი ანტონი, მთავარ-ეპისკოპოსი იუსტინე, სტეფანე რუსთველი ეპისკოპოსი და არსენი თბილელი. იყო 21 თებერვალსა და დღე თბილი უტალღო და მშვიდი. წინამძღვარმან ჯვარის მონასტრისა ტრიფილე წირვის შემდგომად, ჰსთქვა ქადაგებითი სიტყვა, რომელსა შინა გამოხატა ღირსება მეფე გიორგისა, ვითარცა ნამდვილისა ქრისტიანისა წმინდისა ჰაზრითა და გონებითა, წმინდისა ცხოვრებითა განკრძალულითა და წმინდისავე ქრისტიანებრითა აღსასრულითა.

ტრაპეზისა შემდგომად წარვიდენ თვისდა მცხოვრებნი და სამეფო სახლი და დედოფალი წამობრძანდნენ თბილისად მეორესა დღესა, შემდგომად ლიტურღიისავე აღსრულებისა დილით ზედ-მობმით ცისკრისა.

## CLVII

მეფის-მე და მემკვიდრე დავით, ვითარცა რეგენტი ანუ განმგე საქართველოისა ელოდა წერილთა თვისთა, მიწერილთა იმპერატორისადმი პავლესა პასუხთა. შესული რეცა სრულსა განმგეობითსა ძალსა, იქმოდა სამართალსა, მიიღებდა მოჩივართა და უძღვიდა სამეფოსა. განრისხებულმან ვიეთთამე გვამთა ზედა ვითამცა ურჩთა, ბრძანა და მისცა საპყრობილესა სარდალი ოთარ ამილახვარი და სხვანიცა. ამათ შორის იყო თვით უუგონიერესი სოლომონ ლიონიძე. ესე თვით საპყრობილესაცა შინა არა დასცხრებოდა სიტყვითა და თქმითა გლოვითითა: „დავითმან დალუპა ოჯახი მეფეთა, გამოსჭრა ყელი მეფობასა და დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისი“. დასადუმებელად მწარედ მოუბარისა ენისა ამის ურჩივეს მემკვიდრესა დავითს, მისცეს მას შემთხვევა ლტოლვისა საპყრობილედამ. მაშინ მიუჩინეს იდუმალ კაცნი და აღუთქვეს გააპარონ იგი იმერეთსა. ეთან-

ხმა სოლომონ ლიონიძე, გამოვიდა იდუმალ ციხიდამ და წარვიდა ქუთაისს და შეეხიზნა იმერეთისა მეფესა სოლომონს.

ვუწოდებ მას, პატიოსნებისა გამო მაღლისა დროთა ამათ, ფაბრიციოდ ქართველთა, და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიისა კატონად.

## CLVIII

## შეერთების რესკრიპტი

შემდეგ ამისა 14 თებერვალსა მოვიდა რუსეთით ორი რესკრიპტი იმპერატორისა პავლესი: ერთი ქართველთა ზედა სახელზედ და ერთი სახელსა ზედა დავით მემკვიდრისა, ესრეთ ქართულად თარგმნილი მასვე დროსა: [67])

### რესკრიპტი 1.

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ პავლე პირველი იმპერატორი და თვით მპყრობელი ყოვლისა როსიისა და სხვათა.

„ადრიდ დროთაგან საქართველოისა სამეფო შეჭირვებულიყო უცხო თესლთაგან, რომელთაცა მეზობლობით განელიათ ძალა დაუცხრომელითა ბრძოლითა საკუთრითა დამცველობისა თავისა თვისისათა და განმხილველნი განულტოლველობისა შედგომილებაი აქვნდათ უმედურად. ამასთანავე შეერთდა უთანხმოება სახლსა შინა სამეფოსა

[67]) ორივე ესე რესკრიპტი მაქვს მე მამისავე ჩემისა ხელითა ნაწერი, რუსული ვერ ვპოვე. ვინ სთარგმნა ქართულად არ ვიცი. ამისთვის ისევე დავსწერე, როგორც იყო დაწერილი და არა შევეხე გასწორებასა.

სამუქაროი სრულ ყოვლად დაცემისა სამეფოსია და ამისდა იშვა ერთი ერთ-არს შორის ბრძოლა. მეფემან გიორგი ირაკლის-ძემან იხილა მოახლოვება დასასრული დღისა თვისისა. ჩინებულნი გვამნი და თვით-ერი საქართველოისა მოლტოლვილი იქმნეს საფარველსა ქვეშე ჩვენსა და არა რაიმე განიხილეს განრინებისათვის თვისისა დაუსრულებელი-საგან წარწყმედისა და დამორჩილებისადმი მტერთა თვისთა, ითხოვეს წარმოგზავნილთ მიერ ელჩთა სხვისა ძალისა მქონებელთაგან უსაშვა-ლოდ მონებაი იმპერატორისა ყოვლისა რუსეთისა ტახტისა. ამის-თვის ყურად-ვიღებთ თხოვა მათი მებრ-თან-შობილისა მოწყალებისა ჩვენისა ერთ მორწმუნეთა ერთა ზედა და სამარადისოდ ზრუნვითა სარგებლისათვის საქართველოისა ერთასა, განვსაზღრეთ ჩვენ აღსრუ-ლება სურვილისა მეფისა გიორგისა ირაკლის-ძისა და ერის თვისისა. და ამისთვის ვბრძანეთ რაოდენ დაპყრობისათვის შინაურისა დაწყნა-რებისა, ეგოდენ გარე მოზღუდვისათვის მისივე გარეგანთაგან დაცე-მათა და ვუბრძანეთ შეყვანება მხედრობისა ჩვენისა საპყრობელოსა საქართველოსა და ამით გამოუცხადებთ იმპერატორულისა ჩვენისა სიტყვითა ვითარმედ შეერთებისა ზე სამეფოსა ქართლოსისა საუკუ-ნოებითითა დროთა, მპყრობელობასა ქვეშე ჩვენსა. არა თუ ოდენ დატყვევებულ იქმნებიან (საყვარელ სიმრავლესა შინა დაცვისა ჩვენისასა განონნი მათნი) საყვარელ სარწმუნოითა ახალი ყმანი ჩვენნი სამეფო-ქართლოსი და სამფლობელონი მისნი, არამედ წარმატებულება და საკუთრად ჰსჯულიერი თვითოეული შესაბამობა, რომლისაგანცა თვი-თოეულისა დროსა დანიშნულება შედგომილება ერისა სამფლობე-ლოსაცა აქვს სარგებლობად ყოვლითა მით განონითა, რომლითაცა რუსეთისა ძველნი ყმანი წყალობითა ჩვენითა წინა-პართათა და ჩვენი-თა დატკბებოდენ თავისუფლებითა და წარმატებულებითა საქართვე-ლოსა ქვეშე ჩვენსა, სხვებრ ვგებით რწმუნებულნი ვითარმედ ესე ახალნი ყმანი ჩვენნი და შემდგომნი ძენი მათნი დაცულ იქმნებიან შეურყეველითა დარწმუნებითა ჩვენითა და მოსაყდრეთა ჩვენთაგან და ვიმედოვნებთ, რომელ იქმნებიან მცდელ ერთგულობისა ჩვენისა და

სარგებლობისა იმპერიისა ჩვენისა ყოვლისა უმაღლესისა განზრახვითა და მონარხულისა კეთილ მონებლობითა ჩვენისა. გამოცხადდა სანკტ-პეტერბურღსა შინა წელსა 1801 იანვრისა 18 დღესა. წელსა მეფობისა ჩვენისა 5 დიდისა მაგისტრობისა ჩვენისა წელსა 3.“

პავლე.

## რესკრიპტი 2.

„უფალო ღენერალ ლეიტენანტო, მეფის-ძეო დავით! წერილნი თქვენნი ოცდა ოთხით და ოცდა რვით დეკემბრით ჩვენგან მიღებულ იქმნეს. თანა ამს უწყებად უგანათლებულესობასა თქვენსა თხოვა ნეტარ ხსენებულისა მამისა თქვენისა, დიდებულთა და ერთა საქართველოსთა ჩვენდამო გამოცხადებულისა მიღებისათვის სამეფოსა საქართველოსასა საუკუნოობითსა მონებასა შინა იმპერიისა ჩვენისასა, რომლისა თვისცა გამოცხადებულ იქმნების ნება ჩვენი მდებარითა ამას უკვე წერილსა შინა გამოცხადებულითა მანიფესტითა, რომელნიცა თვის ეყვიან პატივცემულსა გვამსა თქვენსა, წარმოგზავნილითა აქად-გან სრულისა ძალისა მქონებათა საქართველოსა დესპანითა ძალ-ედვათ უწყებად თქვენდა წინადადებულთა თვის ჩვენთა, რომელთაცა შინა ჰპოებთ თქვენ საკუთარსა მტკიცედ დამტკიცებასა მზრუნველობისა ჩვენისასა თქვენდამი. ვით თქვენთვის ეგრეთვე საზოგადოდ კეთილობისათვის საქართველოისა განკუთვნითა მოწყალებითა თქვენდამი კეთილ- მონებულითა.

პავლე.

რესკრიპტი პავლესი წარიკითხეს სიონის ეკლესისა შინა. შემდგომად წირვისა აღსრულებულისა არსენი თბილელისაგან, კათოლიკოსმან ანტონი აღასრულა პარაკლისი. მუნ დაესწრნენ მეფის-ძენი დავით, იოანე, ბაგრატ, მიხაილ და სარდალნი სამეფონი და მოხელენი. მასვე დროს იმპერატორმან მოჰსწერა ღენერალსა კნორ-

რინგსა. რათა სიმტკიცისათვის ერთგულობისა, წარგზავნოს ს. პ. ბ. ქართველთაგან დეპუტანტი, დასაფიცებელად მათისა მუნ.

## CLVIX

მეფის-ძე დავით, დამთომილი განმგედ საქართველოისა ვითარცა მოადგილე იმპერატორისა, განაგრძელებდა მოქმედებასა თვისსა დაწყობისათვის ქვეყანისა. მეფის-ძენი [68]) იოანე, ბაგრატ და მისაილ წარვიდნენ რუსეთად და გზაზედ გიორგიევსკის ჰსცნეს გარდაცვალება იმპერატორისა პავლესი 11 მარტსა, 1801 წელსა. მოვიდა ამბავი ესე თბილისსა და შემოვიდაცა თბილისს დასაწყობელად საქმეთა და დასაცველად სამეფოისა საქართველოისა ღენერალი კარლე კნორრინგი 6 აპრილს, 1802 წელსა, ამან იხილა დიდი დაუბოლოებელი აღრეულობა ქართველთა და მოახსენა იმპერატორს ალექსანდრე პირველსა მდგომარეობა ქვეყნისა. ალექსანდრე მზრუნველი ქვეყანისათვის ჰგონებდა რუსთა ჯარსა შემოსვლითა შფოთთა დაცხრომასა. კნორრინგმა კვალად მოახსენა დაუცხრომელობა ამბოხთა, უსურველობა ქართველთაგან თვისთა მეფის-ძეთა და წადი-

68) წერილი მეფის-ძის მიხაილისა ს. პ.-ბურღით მამა ჩემთან, რომელიცა იყო მასწავლებელი მისი და ძმისა მისისა მეფის-ძის ილიასი.

უფალო პროთოდიაკონო ეგნატი!

მრავალი მოკითხვა მოგხსენდესთ. ჩვენ მშვიდობით გახლავართ. შენს ფილონს დიმიტრი თუმანოვი მოგიტანს. ესე მარტივი წიგნი ანუ პროსტოი არ გეწყინოსთ. თუ მეგობრად არ გრაცხდე ასე არ მოგწერდი.

თქვენი მეგობარი მეფის-ძე მიხაილი.

$1806\frac{9}{5}$

წერილსა ამას მოხსენებული თუმანისშვილი არის ძე მდივნისა იოსებისა, მოლექსე და მწერალი. გარდაიცვალა თფილისს 1821 წელსა. თვით მამა ჩემი გარდაიცვალა 77 წლისა, 22 ივლისს, 1844 წელსა.

ლი დიდთა და მცირედთა, რათა განცხადდეს საქართველოსა შინა ყოვლადი მმართველობა რუსეთისა. რუსთა დაადგინეს დავით და განსხნეს მმართველობა დროებითი, სადაცა ისხდნენ ღენერალ მაიორი ლაზარევი და თავადნი ზაალ ბარათოვი, იოანე ჩოლაყაევი, სულხან მდივანი თუმანოვი და ეგნატე მდივანი თუმანოვი. მაშინ იმპერატორმან ალექსანდრემ გამოსცა მანიფესტი ესე, მაშინვე ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდაცა. აჰა თვით ნამდვილი რუსულად და ქართულადაცა თარგმნილი:

## შეერთების მანიფესტი

| | |
|---|---|
| Божіею Милостію Мы | წყალობითა ღვთისათა ჩვენ |
| **Александръ первый** | **ალექსანდრე პირველი** |
| Императоръ и Самодержецъ Всероссійскій | იმპერატორი და თვით მპყრობელი ყოვლისა რუსეთისა |
| и прочая, и прочая, и прочая. | და სხვათა და სხვათა და სხვათა. |
| Объявляемъ всѣмъ обывателямъ царства грузинскаго, кому о томъ вѣдать надлежитъ. | განუცხადებთ ყოველთა საქართველოისა სამეფოსა შინა მყოფთა ვისდამიცა სათანადო არს ცნობად მისთვის. |
| Покровительство и Верховная власть Россійской Имперіи надъ Царствомъ Грузинскимъ всегда налагали на монарховъ Россійскихъ и долгъ защиты. | მფარველობა და უზენაესი ხელმწიფება რუსეთისა იმპერიისა სამეფოსა ზედა ქართველთასა, სდებენ მარადის ერთ მთავართა ზედა რუსიელთა, ვალსაცა ხელის აღპყრობისასა. |
| Въ 1796 г. противъ силь- | ჩღჟვ წელსა პირის-პირ მძლე- |

наго нападенія на васъ Аги Мегеметъ Хана, въ Бозѣ почивающая Великая Государыня Императрица Екатерина Алексѣевна послала часть войскъ своихъ. Столь успѣшное тогда не токмо спасеніе Царства грузинскаго, но и счастливое покореніе всѣхъ областей и народовъ отъ береговъ Каспійскаго моря до рѣкъ Куры и Аракса ограждали васъ отъ всякихъ опасностей; оставалосъ токмо внутреннымъ благоучрежденіемъ благоденствіе ваше утвердить на вѣки. Но внезапное и скоропостижное отступлеіе войскъ Россійскихъ изъ Персіи, Арменіи и изъ пределов вашихъ, изпровергли справедливое ожиданіе ваше.

Всѣ потомъ претерпенныя вами бѣдствія отъ нашествія невѣрныхъ и иноплеменныхъ народовъ, порабощеніе и увлеченіе въ плѣнъ отцовъ, матерей, женъ и дѣтей вашихъ; наконецъ раздоръ Царской фамиліи, и раздѣленіе народа между разными искателями Царскаго дос-

რად დაცემისა თქვენზედა აღამაჰმად-ხანისა ღვთისადმი განსვენებულმან დიდმან ხელმწიფვა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსანდრევნამ წარგზავნა ნაწილი მხედრობათა თვისთასა ესე ოდენ წარმართებაი, მაშინ არა თუ ოდენ განარინებდა საქართველოისა სამეფოსა, არამედ ბედნიერებითი დაპყრობა ყოველთა სამფლობელოთა და ერთა კიდურსა ზედა კასპიისა ზღვისასა მდებარეთაკიდრე მტკვრად და არეზადმდე, შეგზღუდვიდენ თქვენ ყოველთა საშიშროთა გამო; დაშთებოდა ოდენ შინაგანითა კეთილ დაწესებითა დამყარება კეთილ დღეობისა თქვენისა საუკუნოდ. გარნა მეყსეულად მსწრაფლ მოწევნითმან გამოსვლამან რუსეთისა მხედრობისამან სპარსეთით, სომხითით და საზღვრით გამო თქვენით აღმოფხვრეს სამართლიანი ლოდინინი თქვენი.

შემდგომად ყოველმან თქვენ მიერ მოთმენილმან განსაცდელმან შემოსვლათაგან ურწმუნოთა და უცხო თესლთა ერთა მას, დაქცევათაგან ქალაქთა და შენობათა და დატყვევებათაგან მამათა, დედათა, ცოლთა და შვილთა თქვენთა: უკანასკნელ უთანხმოებათაგან მეფისთა სქესთამან და განყოფათაგან ერთა შორის სხვათა და სხვათა მეფობისა

тоинства вовлекли васъ въ междоусобныя брани.

ღირსებისა მეძიებელთა. მიგზიდნეს თქვენ ურთიერთისა საბრძოლველად გარემოსნი თქვენნი.

Окружающіе васъ хищные народы готовы были напасть на Царство ваше и ненаказанно разтерзать его остатки.

წარმტაცნი ერნი იყვნენ მზა დაცემად სამეფოსა ზედა თქვენსა და დაუსჯელად განგლეჯად დაშთომითა მისთა.

Соединеніемъ всѣхъ сихъ золъ не токмо народъ, но даже и имя народа грузинскаго, храбростію прежде столь славнаго во всей Азіи, истребилось бы отъ лица земли. Стоя въ безднѣ сей, не одно-кратно призывали вы покровительство Россійское.

შეერთებითა ყოველისა მის ბოროტებისათა არა თუ ოდენ ერი, არამედ თითქმის საქართველოს სახელიცა პირველადვე გულოვნობითა დიდებული ყოველსა აზიასა შინა, აღიიგხვრებოდაცა პირისაგან ქვეყანისა. მდგომელნი უფსკრულსა ამას შინა არა ერთ-გზის უწოდდით თქვენ მფარველობასა როსსიისასა.

Вступленіе войскъ Нашихъ и пораженіе Омаръ-Хана Аварскаго пріостановили гибель вашу, устрашивъ всѣхъ хищниковъ, наполняющихъ горы Кавказскія и тѣхъ, кои раздираютъ область Персіи и Великой Арменіи; затихли крамолы по средѣ васъ, и всѣ вы единодушно и торжественно воззвали власть Россійскую управлять вами непосредственно. Мы вступивъ на Россійскій престолъ

შემოსვლათა სპათა ჩვენთა და დაწყლვამან ომარხან არავიისა შეაყენეს წარწყმენდა თქვენნი, შეაძრწუნნა ყოველნი წარმტაცნი კავკასიის მთათა აღმავსებელნი, და იგინიცა, რომელნიცა ჰკვრეხენ სამფლობელოსა სპარსეთისა და დიდისა სომხითისასა; დამყუდრდაშორის თქვენსა მიმგვირიობა და თქვენ ყოველთაცა ერთ სულობითა და დღესასწაულებითა ღაღადჰყავით, რათა ხელმწიფება რუსეთისა გმართებდესთ თქვენ უსაშვალოდ. ჩვენ აღსრულთა ყოველისა

обрѣли Царство Грузинское, присоединенное къ Россіи; о чемъ и манифестъ въ 18 день генваря 1801 г. изданъ уже былъ во всенародное извѣстіе. Вникая въ положеніе ваше, и видя что посредство и присутствіе войскъ Россійскихъ въ Грузіи и донынѣ одно удерживаетъ пролитіе крови намъ единовѣрныхъ, и конечную гибель уготованную вамъ отъ хищныхъ и неверныхъ сопредѣльныхъ вамъ народовъ, желали мы испытатъ еще, нѣтъ ли возможности возстановить первое правленіе подъ покровительствомъ Нашимъ и сохранить васъ въ спокойствіи и въ безопасности.—Но ближайшее по сему изслѣдованіе наконецъ убѣдили насъ, что разныя части народа грузинскаго равно драгоцѣнныя намъ по человѣчеству, праведно страшаться гоненія и мести того, кто изъ искателей достоинства Царскаго могъ бы достигнуть его власти полику противъ всѣхъ ихъ большая часть въ народѣ столь явно себя обонаружила.

რუსეთისა საყდარსა ზედა ვპოვეთ სამეფო საქართველოისა, შეერთებული რუსეთისა თანა; რომლისათვისცა გამოცხადება იყო უკუე იანვრის იჱ დღესა წელსა ჩყა, საყოველთაოდ ცნობისათვის. მიმწთომან მდგომარეობისა თქუენისა, ვიხილე რომელ მხოლოდ ღონიერება და ყოფნა რუსეთისა მხედრობათა საქართველოსა შინა შეაყენებენ დათხევისაგან სისხლსა ჩუენთა ერთ სარწმუნოთასა და ნამდვილისა წარწყმედისაგან, განმზადებულსა თქუენთვის სხვათა ურწმუნოთა ნათესავთაგან მესაზღვრეთა თქუენთა, და ვისურვეთ ჩუენ რათა გამოვცადოთ არსა შემლება კუალად აღდგინება პირველისა მმართებელობისა მფარველობასა ქუეშე ჩუენსა და მით დაცვა თქუენი უშიშრებასა და განსუენებასა შინა.—გარნა უახლოესმან გამოძიებამან ამისმან დაგვარწმუნეს ჩუენ, ვითარმედ სხვა და სხვა ნაწილი საქართველოსა ერისა თანასწორ უძვირფასესი ჩუენთვის კაცობრიობისა ძალით გულის შიშით და სამართლიანად დევნულებასა და ნაცვალ-გებასა მისგან, რომელიცა მეფობის ღირსების მეძიებელთა შეიძლებდაცა მიწდომასა ხელმწიფებისა მისა ვინაიდგან უფროს საქართველოს ნაწილმან ესოდენ ცხად-ჰყო თავი თვისი მოპირდაპირედ მათდა.

Одно сомѣніе и страхъ сихъ послѣдствій возродивъ безпокойства, неминуемо были бы источникомъ междоусобій и кровопролитія; сверхъ того бывшее правленіе даже и въ царствованіе Царя Иpraклія, который духомъ и достоинствомъ своимъ соединилъ все подъ власть свою, не могло утвердитъ ни внѣшней ни внутренной безопастности.

მხოლოდმან ეჭვმან და შიშმან შესადგომელთა ამათ შუა განუსვენებელობა და უცილებელად იქმნებოდაცა წყაროდ ურთიერთის შორის სისხლთ მთხეველობისა; გარდა ამისა მმართებლობამანცა მეფობასა შინა მეფის ირაკლისასა, რომელმანცა სულითა და ღირსებითა თვისითა შეაერთა ყოველი ხელმწიფებასა ქვეშე თვისსა, ვერ ხელეწიფა დამტკიცება ვერცა გარეგანის და ვერცა შინაგანის უშიშროებისა.

Напротивъ столь кратно вовлекало васъ въ бездну золъ на краю коей и нынѣ вы стоите, и въ которую по всѣмъ соображеніямъ должны вы будете низвергнуться, естли мощная рука справедливой власти отъ паденія сего васъ не удержитъ.

პირის-პირ ესოდენ გზის მიგზიდნათ თქვენ ფსკერსა შინა ბოროტებისასა, რომლისა 'კიდურსა ზედაცა დღეს სდგეხართ თქვენ, და რომელსა შინაცა ყოვლის გამოანგარიშებითა უეჭველად შთაცვივდებითცა, უკეთუ ძლიერი ხელი მართლისა ხელმწიფებისა არა შეგიპყრობსთ თქვენ დაცემისაგან ამისა.

Сила обстоятельствъ сихъ общее по сему чувство ваше и гласъ Грузинскаго народа, преклонили насъ не оставить и не предать на жертву бѣдствія языкъ единовѣрный вручившій жребій свой великодушной защитѣ Россіи. Возбужденная надежда ваша сей разъ обманута не

ძალმან გარემოებათა ამათ, ზოგად ამის ძლითგრძნობამან თქვენმან, და ხმამან საქართველოისა ერისამან, მოგვზიდნეს ჩვენ, არა დაუტეოთ და არა მივსცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთ მორწმუნეთა, მომცემელთა ხვედრისა თვისისა დიდ სულისა რუსეთისა საფარველისადმი. — განღვიძებული იმედი თქვენი არა

будетъ. Не для приращенія силъ, не для корысти, не для распространенія предѣловъ и такъ уже обширнѣйшей въ свѣтѣ Имперіи, пріемлемъ Мы на себя бремя управленія Царства Грузинскаго. Единое достоинство, единная честь и человѣчество налагаютъ на насъ священный долгъ, внявъ моленію страждущихъ въ отвращеніе ихъ скорбей учредить въ Грузіи Правленіе, которое могло бы утвердить правосудіе личную и имущественную безопасность и дать каждому защиту закона.

А по сему избравшего на генералъ-лейтенанта Кнорринга быть главно-управляющимъ по средѣ Васъ, дали Мы ему полное наставленіе открыть сіе Правленіе особеннымъ отъ имяни нашего объявленіемъ и привесть въ силу и дѣйствіе предначертанное отъ Насъ постановленіе, къисполненію пріобщая избранныхъ изъ васъ по достоинствамъ и по общей довѣренности уповаемъ, что вы ввѣряясь Прав-

იქმნების მოტყუვებული ამ გზის. არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთვისა, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთაცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიისა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებლობისასა. მხოლო პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა, მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსადევნელად შეჭირვებათა მათთა დავაწესოთ საქართველოსა შინა მმართებლობა, რომელსაცა ეძლოს-ცა დამყარება მართლ-მსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითოეულისა დაცვა ჰსჯული.

ხოლო ამისათვის გამომრჩეველმან ჩვენისა ღენერალ-ლეიტენანტის კნორრინგისა რათა იყოს უპირატეს მმართებლად თქვენ შორის, მივეცით ჩვენ მას სრული მოძღვრება გამოაცხადოს მმართებლობა ესე საკუთრად სახელითა ჩვენითა და მოიყვანოს ძალსა და მოქმედებასა შინა ჩვენ მიერ დათხზული განწესებაი, რომლის სრულის საყოფელადცა უზიარებთ თქვენ მიერ ღირსებათა და საზოგადოდ ნდობათამებრ გამორჩეულთა ვსასოებთ, ვითარმედ თქვენ მორწმუნენი მმართებ-

ленію сему несомнѣнно подъ сѣнію онаго начально спокоиствіе и безопасность обрящете а потомъ и благоденствіе и изобиліе.

Всѣ подати съ земли вашей повелѣли мы обращать въ пользу вашу, и что за содержаніемъ Правленія оставаться будетъ употреблять на возстановленіе раззеренныхъ городовъ и селеній. Каждый пребудетъ при преимуществахъ состоянія своего, при свободномъ отправленіи своей вѣры и присобственности своей не прикосновенно.

Царавичи сохранятъ удѣлы свой кромѣ отсутствующихъ; а симъ годовой доходъ съ удѣловъ ихъ ежегодно производимъ будетъ деньгами, гдѣ бы они ни обрѣтались, лишъ бы сохраняли долгъ присяги. Во взаимность сихъ великодушныхъ попеченій нашихъ о благѣ всѣхъ и каждаго изъ васъ, мы требуемъ, чтобы вы для утвержденія постоновленной надъ вами власти дали присягу въ вѣрности

ლობისა ამის უეჭველად სიგრილისა ქვეშე მის დასაბამსავე მოიპოვებთ განსვენებასა და უშიშროებასა და შემდგომად კეთილდღეობასა და უხვებასა.

ყოველნი ხარკნი თქვენისა ქვეყანისანი, ვუბრძანეთ ჩვენ რათა მიექციონ სასარგებლოდ თქვენდა და რაიცა სასარჯოდ მმართებლობისა დარჩების აღსადგინებელად დაქცეულთა ქალაქთა და შენობათა. თვითოეული დარჩების უპირატესობათა თანა-მდგომარეობისა თვისისათა, თავისუფლად და შეუხებელად სარწმუნოებისა და საკუთრისა თვისისა თან.

მეფის-ძენი დასცვენ მამულთა თვისთა გარდა განშორებულთა, და განშორებულთა მათ მიეცემისთ მამულთა თვისთა გამოსავალ ყოველ წლივ თეთრად სადაცა იქმნებიან იგინი, ოდენცა სცვიდენ ვალისა ფიცისასა.—ნაცვლად დიდსულობითთა ზრუნვათა ამათ ჩვენთვის ვითხოვთ ჩვენ თქვენგან რათამცა თქვენ დამტკიცებისათვის თქვენზედ დაწესებულისა ხელმწიფებისა ჰყოთ ფიცი ერთგულებასა ზედა ამას-თანა მდებარისა სახისა მებრ. სამღვდელოთა ვითარცა მწყემსთა სულისათა

по формѣ при семъ приложенной. Духовенство яко пастыри душевные первые должны дать примѣръ.

Наконецъ, да познаете и вы цѣну добраго правленія, да водворится между Вами миръ, правосудіе, уверенность какъ личная, такъ и имущественная, да пресѣкутся самоуправство и лютыя истязанія да обратиться каждый къ лучшимъ пользамъ своимъ и общественнымъ, свободно и невозбранно упражняясь въ земледѣліи, промыслахъ, торговлѣ, рукодѣліяхъ подъ сѣнію законовъ всѣхъ равно покровительствующихъ. Избытки и благодеиствіе ваше будетъ пріатнѣйшею и единною для нас наградою. Данъ въ престольномъ градѣ Москвѣ сентября 12 дня 1801 года.

Подлинный подписалъ собственною Его Императорскаго величества рукою такъ:

Алексанръ.

(м. п.)

პირველად შვენისთ მიცემა მაგალითისა.

უკანასკნელ რათა სცნათ თქვენ ფასი კეთილად მმართებლობისა, რათა დაეშენოს შორის თქვენსა მშვიდობა, მართლ - მსაჯულება, რწმუნება ვითარცა ნივთთა ესრეთვე საქონლისაცა, რათა მოისპოს თვით მმართებლობაი (?) და მხედრებრივი უთანხმოება, რათა იქცეოდეს თვითოეული უმჯობესთა სარგებელთა თვისთა და საზოგადოებისადმი თავისუფლად დაუბრკოლებელად, შრომის მოყვარებდეს მიწისა მუშაკობასა, განზრახვათა ვაჭრობათა და ხელთსაქმეთა შინა საგრილსა ქვეშე სჯულთა ყოველთა თანასწორ მფარველთასა. ნაშთი და კეთილდღეობა თქვენი იქმნების მხოლოდ ჯილდო ჩვენთვის. მიეცა საყდროსანსა ქალაქსა მოსკოვს სეკდემბრის იბ. დღესა ჩყა წელსა.

ნამდვილზედ ქვემო წერილ არს, საკუთარით ხელითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა ესრეთ:

ალექსანდრე.

(ადგილი ბეჭდისა.)

## CLX

მანიფესტისა ამის გამოცემისა დროსა დაესწრნენ მოსკოვსა დესპანნი, მეფის გიორგისგანვე გაგზავნილნი! გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდის შვილი. მუნვე იყვნენ 12 დეპუტატად ქართველთაგან მისრულნი თავადნი და აზნაურნი გიორგი თუმანისშვილი,[68]) გლახა ვაჩნაძე, ოთარ ქობულაშვილი, აბესალომ ბებუთოვი, გაბრიელ ხატიევიშვილი, რომელიცა ახლდა იოანე მეფისძეს, იაია ავალიშვილი, ძმა გიორგი ავალიშვილისა, გიორგი თუმანიშვილი, იოანე მაღალოვი; პავლე წინამძღვრის-შვილი, დავით ზანდუკელი, გრიგოლ ოქრომჭედლიშვილი, ნიკოლოზ ონიკოვი.

## CLXI

მასვე დროსა ამათგან ორთა გიორგი ავალისშვილმან და ელიაზარ ფალავანდისშვილმან იმპერატორისა ბრძანებითა წარმოიღეს საქართველოდ მანიფესტი ესე რათა მიართონ მემკვიდრესა დავითს I საცნობელად ქართველთა. კნორრინგმან, გასმგემან საქართველოისა გამოსცა ქართულად დაბეჭდილი თბილისს თვისი გამოცხადება ქართველთადმი შემდეგი:

„მისის იმპერატორებითისა დიდებულებისა თვით მპყრობელისა ყოვლისა როსსიისა ღენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა ინსპექციისა ინსპექტორი, უპირატეს მმართებელი საქართველოისა, ასტრახანისა მხედრობითა ღუბერნატორი, მემთავრე ასტრახანისა ღუბერნიასა შინა საქმეთაცა სამოქალაქოთა, კაზანის მუშკეტერის პოლკისა

---

[68]) ესე იყო შვილი ეგნატი თუმანისშვილისა, მოლექსე და მოყვარე ქართველთ მწერლობისა. გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკად 1837 წელსა.

შეფი და ორდენთა: წმინდისა ალექსანდრე ნეველისა, წმინდისა ანნასი პირველისა ხარისხისა, სამხედროსა წმინდისა დიდისა მოწამისა და ძლევა-მოსილისა გიორგისა მეოთხისა ხარისხისა, და მპყრობელობითისა წმინდისა იოანე იერუსალიმელისა უფროსისა ჯვარისა კავალერი განვუცხადებ ყოველთა საზოგადოდ ქართლსა და კახეთსა შინა მცხოვრებთა".

„ვიწყებ რა აღსრულებად მოყვანება უმაღლესისა ნებისა მისისა დიდებულებისა ყოვლისა როსსიისა იმპერატორისა, მაქვს მე ვალი და შეკრულება. რათა განვაწესო კვლავ ყამადმდე ტფილისსა შინა უზენაესი საქართველოისა მმართებლობა ჩემსა ქვეშე პირველ მჯდომარებისა; ხოლო ქალაქთა შინა და მაზრათა, ვითარცა სასამართლო და განმგებელობა, ეგრეთვე კეთილ-წესობაცა, რომლისა გამო, განმცემი აწ საყოველთაოდ უწყებად განწესებისა შინაგანისა საქართველო მმართველობისა, რომელიცა დამტკიცებულ არს საღრმთოთა ნებითა ხელმწიფისა იმპერატორისათა, შეკრულ ვარ მე, რათა შევზღუდო სამფლობელონი ესე გარეშეთა დაცემათა გამო, დავიცვა მცხოვრებელნი მათნი უშიშროებასა შინა თვით თავისა მათისა და ქონებისაცა, და მივაწიო ყოველთადმი დაფარვა, ჰრწმუნება და განსვენება მმართებელობითა მღვიძრითა და ძლიერისათა, მარადის განმზადებულითა, რათა მისცეს მართლ-მსაჯულება დაჩაგრულსა, შემწე ექმნეს არა ბრალეულობასა, და სამაგალითოდ ბოროტთა დაისაჯოს კანონთა გარდამავალი. ამისთვის უკვე ნუ ვინმე იკადნიეროსცა თავ-ნებად და მძლავროებითა კმაყოფიერება სამიებლისა თვისისა, არამედ თვითოეულმან წარადგინოს საჩივარი თვისი განწესებულთა მისთვის ადგილსა შინა, მსასწყებელმან უეჭველად, რომელ მიიღებს მსწრაფლსა და პირ-მიუფერებელსა სამართალსა. მოგონებანი განსაცდელთა მათ, რომელნიცა განზავებულ იყვნენ საქართველოსა შინა, წარმოადგენენ სარწმუნოსა ყოველთა მისთა მცხოვრებელთათვის თავდებობასა, რომელ იგინი სავსითა სასოებითა აღიარებენ ხელმწიფებასა განმზადებულისა მფარველობისასა, რომელიცა განზ-

დევნის მათგან უფსკრულისა ბოროტებისა მათდა გარე-რტყმულისა და ყოველთა მათთა საზღვართა ზედა განაპყრობს დაფარვასა მშვიდობისა და უშიშრობისასა, რომელ მიჩნევა საკუთრისა კეთილ-დღეობისა თვისისა აღსძრავს გულთა მათთა საუკუნოსადმი მადლობის-ცემისა და შეკრდომილებისა, და რომელ სრულიადითა მორჩილებითა განამართლებენ იგინი ზრუნვათა ნებისა კეთილ-მდგომარეობისა მათისა დამამყარებელისათა მოყვარენი მშვიდობისა და კაცობრიობისანი აიძულებულ იქმნან, რომელ მოხალისობა და შრომანი და არა მანქანებანი; უხვება მცხოვრებელთა, და არა სიგლახაკე მათი; მტკიცე და შეურყეველი სასოება სახიერებისადმი უფლისა, და არა სასოწარკვეთილება, უკანასკნელ არა მზაკვარება, სისხლისა თხევა, სულელობა, უწყალოება და არცა სიგლახაკე: არამედ წრფელ სულიერობა, კაცთ-მოყვარება და შებრალება, ქველის მოქმედებანი, რომელთაცა მებრ შვენის ქრისტიანესა ჩინებულ ყოფა, არიან წყაროდ ერთა განსვენებისა და კეთილდღეობისა. მიცემულ არს თბილისს მაისის ზ დღესა, ჩყბ წელსა."

მოწერილ არს: კნორრინგი.

## CLXII

4,000 ეგზემპლიარი გამოცხადებისა ამის და ესოდენივე რიცხვი იმპერატორისა მანიფესტისა მხოლოდ ქართულად დაბეჭდილი თბილისს მეფის გიორგისაგანვე გამართულსა სტამბაში,—განეფინა და განითესა ქართლ-კახეთისა ადგილთა,

ჰსცნეს ესე დიდთა და მცირედთა, მოხარულთა და არა მოხარულთა დროთა ცვლილებისა. ჰსცნო ყაენმან ფათალიბაშმან და სულთანმან თურქთა სულიმან, ხანთა და ფაშათა მეზობელმან. მეფე იმერეთისა სოლომონ შედგა და შესწუხდა: იწყო განმაგრება სამ-

ზღვართა თვისთა და დაკავშირებს თურქთა ფაშებთა თანა მესამზღვრეთა. დაღესტანი შესწუსდა რუსთა მეზობლობითა.

მეფის-ძენი იულონ და ფარნაოზ, მოძმენი ძმისწულისა თვისისა დავითისა, იყვნენ ქართლსა და განიზრახვიდენ რუსთა მთავრობის ურჩებასა. ვერა რაისა მქმნელნი, ვერცა იმერთა მეფისა შეწევნითა, რომელსაცა შეეხიზნენ ცოლ-შვილითა, და ვერცა აშფოთებითა, მოეცნენ რუსთა და წარვიდენ რუსეთად 1805 წელსა და აღსრულდენ ს: პ.-ბ. იულონ 23 აგვისტოს, 1816 წელსა და ფარნაოზ 30 მარტს, 1852 წელსა. მეფის-ძე ალექსანდრე გაქცეული მეფისავე დროსა სპარსეთად დაშთა მუნ; ვითარცა მიტრიდატე ქართველთა ისტორიისა სიძულილითა რუსთა მთავრობისა და დაუძინებელითა მათდამი მტერობითა, აღსრულდა თავრიზის ახლო 1844 წელსა. დედოფალი დარეჯან გარდავიდა 1804 წელსა რუსეთსა და მიღებული პატივითა იმპერატრიცასაგან გარდაიცვალა ს. პ.-ბ. 1804 წელსა და დასაფლავდა ალექსანდრე ნეველისა მონასტრისა ხარებისა ეკკლესიასა, თვით საფლავსა მას, რომელიცა იყო უქმი და ცარიელი შემდგომად გარდასვენებისა მუნით იმპერატორთა სამკალესა გვამისა იმპერატორისა პეტრე მესამისა იმპერატორისა პავლესაგან 1796 წელსა.

## CLXIII

აღსასრულებლად ქსრეთისა მანიფესტისა, განმგემან საქართველოისა კნორრინგმან, შეჰყარნა თავადნი და აზნაურნი ქართლისა და კახეთისა ქ. ტფილისს და გამოუცხადა მათ ნება იმპერატორისა. სიონის საკათედროსა ეკკლესიასა შინა ჯათოლიკოსმან ანტონიმ წარაკითხა ქართულად არხიმანდრიტსა ხვისსა ტრიფილეს. შემდგომად წარკითხვისა დაჰსდვეს საწიგნე და მასზედა დაბეჭდილი პეტერბურღსავე რუსულად და ქართულად ფიცითი აღთქმა შემდეგი:

## Клятвѣнное обѣщаніе.

Я ниже поименнованный обѣщаюсь и клянусь Всевышнимъ Богомъ Предъ святымъ его Евангеліемъ въ томъ, что хощу и долженъ Его Императорскому Величеству Великому Государю Императору Александру Павловичу Самодержцу Всероссійскому и Его Императорскаго Величества Всероскійскаго Престола наслѣднику, который назначенъ будеть, вѣрно и не лицемѣрно служить и во всемъ Височайшей его волѣ повиноваться, не щадя живота своего до послѣдней капли крови; всѣ изданные и впредъ издаваемые отъ постановленной Его Величествомъ власти узаконенія или учрежденія приниматъ съ должнымъ послушаніемъ и оныя по крайнему разумѣнію, силъ и возможности предостерегать и оборонять; возстановленное Его Императорскимъ Величествомъ въ отечествѣ моемъ спокойствіе и тишину покрайней возможности моей соблюдать

## საქართველოს რუსეთთან შეერთების ფიცითი აღთქმა

მე ქუემო სახელდებული აღვსთქუამ და ვფიცავ ყოვლისა შემძლებელითა ღმრთითა წინაშე წმინდისა სახარებისა მისისა მას შინა, ვითარმედ მნებავს და თანამაძს მათის იმპერატორების დიდებულებისა ალექსანდრე პავლოვიჩისა თვით მპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა, და მათის იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლისა რუსეთისა საყდრის მემკვიდრისა, რომელიც იქმნების დანიშნულ, ერთგულად და პირუთვნელად ვმსახურო და დავემორჩილო ყოვლესა შინა უმაღლესსა ნებასა მისსა, არა დავზოგო ცხოვრება თვისი ვიდრე უკანასკნელ წვეთად სისხლისა ყოველი მოცემული და შემდგომად მოსაცემელი მათის დიდებულების დადგინებულისა ხელმწიფებისაგან სჯულის დება ანუ განწესებაი მივიღო სათანადოითა მორჩილებითა, და მათცა უკიდურესისა გულის ხმის ყოფისა, ძალისა და შემძლებლობისა მებრ გავუფრთხილდე და მივაქციო; აღდგინებულისა მათის იმპერატორების დიდებულებისაგან მამულსა შინა ჩემსა განსვენება და მყუდროება უკიდურესისა შემძლებისამებრ ჩემისა დავიცვა და არავითარიმე მიწერ-მოწერა აღმრევლეთა-

и никакихъ сношенiй съ возмутителями отечества моего прямо или посредственно, тайно или явно не токмо дѣломъ, но внушенiями или инымъ чемъ замысломъ, дѣйствiемъ и намѣренiемъ не имѣть. О вредѣ же Его Величества интересамъ или общей пользѣ, какъ скоро увѣдаю, не токмо благовременно объявлять, но и всякими мѣрами отврашать и недопущать буду; и такимъ образомъ себя весть и поступать какъ вѣрному къ постановленной надо мною Его Императорскаго Величества власти и спокойному гражданину благопристойность и надлежитъ и какъ я предъ богомъ и судомъ Его страшнымъ въ томъ всегда отвѣтъ дать могу, въ чемъ суще мнѣ Господъ Богъ душевно и тѣлесно да поможетъ. Въ заключенiи же сей моей клятвы цѣлую слова и кресть спасителя моего Аминь.

დმი ჩემისა მამულისათა სწორედ ანუ საშუალით, საიდუმლოდ ანუ ცხადად არა თუ ოდენ საქმით არამედ მხილებითცა ანუ სხვითა რაითამე მოგონებითა, მოქმედობითა და განზრახვითა არა ვიქონიო. ხოლო ვნებასაცა მათის დიდებულების სარგებლისა ანუ საზოგადოსა შესამატისასა, ვითარცა ვსცნობ რა, არა თუ ოდენ ცხად ვყოფ აღმსთობითვე, არამედ ყოვლითა ზომითა გარე ვაქცევ და არა მივუშვებ და ესე ვითარითა ხ-ტითა მოვაქცევ თავსა, ვითარცა სარწმუნოსა მათის იმპერატორების დიდებულების ჩემზედა დადგინებულისა ხელმწიფებისადმი, და მშვიდისა მოქალაქისა კეთილშესაბამ და თანამდებ არს, და ვითარცა ჯერ მიჩნს მე წინაშე ღვთისა და საშინელისა მსჯავრისა მისისა მარადის მას შინა სიტყვის-გება, რომელსა შინაცა მწე მეყოს მე უფალი ღმერთი სულიერად და ხორციელად. დასამტკიცებელადცა ფიცისა ამის ჩემისა ამბორს ვყოფ სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვარისა ჩემისასა. ამინ.

ფიცითსა აღთქმისა ფურცელზედ, მომწერეს ხელი კათოლიკოსმან ანტონი, მთავარ-ეპისკოპოსმან იუსტეს: თბილელმან არსენი, ბოდბელმან იოინე, რუსთველმან სტეფანე, წილკნელმან გერვასი,

ნეკრესელმან ამბროსი, ნიქოზელმან ათანასი, წინამძღვარმან ნათლის-მცემლისა ეკთიმემან და სხვათა სამღვდელოთა. მათ შეუდგნენ მუ-ხრანის ბატონი კონსტანტინე, სარდალი იოანე ორბელიანი, მორდალი ზაალ ბარათაშვილი, აბელ ჩოლაყაშვილი, გიორგი ავალიშვილი, ელიაზარ ფალავანდიშვილი და სხვა.

კნორრინგი თვით დასწრო მუნ და ღენერალნი რუსთა ჯარისა ლაზარევი, გულიაკოვი, კარიაგინი და კოვალენსკიცა ადრითვე ელ-ჩად რუსეთისა ყოფილი თფილისს მეფისა კარზედ. 10,000 რუს-ეთისა ჯარი იდგა და იცავდა საქართველოსა.

1803 წელსა, აპრილის 18, წარიყვანეს რუსეთსა დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფისა გიორგისა მოკვლისაგამო ღენერალისა ლაზა-რევისა. თანა ჰყვნენ მას შვილნი: ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ, ირაკ-ლი და ქალნი ანნა და თამარ, თვით დედოფალი ვითარცა პყრობილი, დაამბინავეს კურსკის გუბერნიისა ბელგოროდის დედათა მონასტერ-ში, სადაცა დაჰყო 1811 წლამდე. მერეთ მივიდა მოსკოვს, გარდაი-ცვალა 30 მარტსა, 1851 წელსა, მოასვენეს გვამი მისი საქართვე-ლოს და დაასაფლავეს მცხეთას.

მეფის-ძე თეიმურაზ წავიდა სპარსეთსა და ახლა ყაენსა. მოიქ-ცა მუნით და წარვიდა რუსეთად 1810 და მუნ გარდაიცვალა 25 ოკდომბერსა, 1846 წელსა.

თვით მეფის-ძე და მემკვიდრე დავით და ძმა მისი ვახტანგ წარვიდნენ რუსეთად 18 თებერვალსა, 1803 წელსა. მისრულთა მცხე-თას მოეგებნენ შიომღვიმისა ბერნი და მათ უბოძა თოფი თვისი „ბელტუხა“ რათა დასდვან უდაბნოსა და გაემგზავრა. ვახტანგ გარ-დაიცვალა ს. პ.-ბ. 23 ოკტომბერსა, 1814 წელსა, ხოლო თვით და-ვით ს. პ.-ბ. 50 წლისა, 13 მაისს, 1819 წელსა.

## CLXIV

დავით, ვითარცა ღენერალ-ლეიტენანტი და სენატორი, იყო

მიწერ-მოწერასა შინა მამა ჩემთან და დავით რეკტორთან. მცოდნე რუსულისა ენისა თარგმნიდა წიგნთა ქართულად და უგზავნიდა ამათ, ვითარცა კაცთა განსწავლულთა. საქართველოისა საქმეთა შინა არღა ერეოდა, იყო მორიდებული და მომდურავიცა ქართველთა.

1819 წელსა იანვრისა 8 მოსწერა წერილი, და ესევე იყო მისგან უკანასკნელი, მწიგნობრობისა და მწერლობისა მასწავლებელ-სა თვისსა დავით რეკტორს. წერილსა ამას შინა სხვათა შორის იტყვის შემდეგსა:

„ჩემო ლალავ! ყველას მოკითხვა უბრძანეთ ვინც ჩემზედ იცო-ნის, და ვინც ჩემთვის ჰსწუხს, იმათ წაუკითხე ლუკას თავი, კგ-კზ. ვიდრე ლბ-მდის.

„ვმადლობ ღმერთსა, სუყველას მოვრჩი.“

დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.

რუსთველი.

# დაბოლოება

ღვთისა განგებასა ვერვინ შეაყენებს. განიხილონ მკითხველთა წიგნისა ამის, ვის შეეძლო ქართველთა სამეფოისა დაცვა, გარდა რუსთა. თვით რუსეთი ვითარცა კოლოსსი დიდი, ებრძოდა 70 მეტ-სა წელსა კავკასიისა მთისა მცხოვრებთა, თათრობისა გამო მათ შინა შესულისა, ქართველთა ქრისტიანობისა გამო მტერთა. განგებამან ღვთისა ქმნა ესე, რომელ რუსთა ძალითა დამშვიდდნენ მთისა მცხოვრებნი, თემნი თვით ქართველთა სამეფოისა დაგლეჯილნი და დანაწევრებულნი გაუქმნდნენ და მცხოვრებნი თემთა ამათ: იმერელნი, მეგრელნი, გურლნი, სვანნი, რაჭველნი და სამცხენი ათაბაგათა, შეიქმნენ და იწოდნენ ქართველებად.

განგება ღვთისა რუსთავე ძალითა მოიყვანს ნათესაობითსა ერთობასა ქობულეთისა, აჭარასა, ლივანასა, ჯერეთცა თურქთაგან პყრობილთა. განგება ღვთისა შეიტანს და განივენს ქრისტიანობისა ნათელსა მთათა შინა, სადაცა მკვიდრობენ ლეკნი, ჩეჩენნი, ქისტნი, ჩერქეზნი და აფხაზნი. ნათესაობითი ერთობა ქართველთა გვარისა, განმტკიცდება სარწმუნოებითითა ერთობითა მათთან. მართლ-მადიდებლობა რუსეთისა ვითარცა შუქი მზისა მაცხოველებელისა და მანათობელისა, მოჩანს ვითარცა განბნეველად მაჭმადიანობისა სიბნელისა, ბოროტისა კაცთა ნათესავისათვის და მარადის უნაყოფოისა. ესე ყოველი ხვდა წილად რუსეთსა და აღსრულდებაცა ესე ვითარი ქრისტიანობითი და მოქალაქობითი განახლება კავკასიისა, სასიქადულოდ ქვეყანისა და კაცთა ნათესავისა.

მაშინ ქვეყანა კავკასიისა სავსე ქვეყნიერითა და ზეციურითა მადლითა, უხვებითა, სიმდიდრითა და მშვენიერებითა, შეიქმნა ერთი და ყოვლადი. მცხოვრებნი ქვეყნისა ამის, შორის ორთა ზღვათა მაერთებელისა ევროპისა და აზიისა, მოიგონებენ მაცხოვრისა ნუგეშინის-ცემითსა სიტყვასა: „და იყვნენ ერთ მწყემს და ერთი სამწყსო“.

## სამეფოისა ნალარა-ხანისა პირი:

1) იოსებ ბარათაშვილი, ზედამხედველი, შემდეგ უზბაშად დადგენილი ალავერდისა და ახტალისა მადნებზედ 1809 წელსა. მოკვდა 1811 წელსა.

2) მედათვანე ივანე კოტეტისშვილი.
   დავით ოჯაჯოლაშვილი.
   ფილიპე გოცირიძე და 4 სხვანი.

3) მებუკენი: სტეფანე ნორიელი.
   შიო ბორაშვილი, დიდი ფალავანი და მოკრივე.
   ქრისტესია კავთის-ხეველი.

4) მეზურნენი: დათია ღოღოლა-შვილი.
   პაატა მისხა-შვილი.
   არუთინა ტაგრუცის შვილი და 3 სხვანი.

5) მექოსენი პავლე სოზასშვილი.
   სოლომონ . . . კუკიელი და ორი სხვანი.

6) მენაღარე დავით ირემა-შვილი
   სესია . . . . .
   როსტომ გელიაშვილი.

7) ტაბლაკი.

8) ჯიმჯიმი.

## თობხანისა მსახურნი.

1) განმგე ჯაბახანისა მეფის-ძე იოანე. 2) იოანე ქობულაშვილი. რუსთა მიიღეს იგი პოდპოლკოვნიკად.

2) ზედა მხედველი თავადი... გურამიშვილი და მის შემდეგ... ნაზარაშვილი, ხუმრობით კნიაზად წოდებული თვით ახალ მოსრულთა რუსთაგან.

3) . . . ყალამთაროვი. ესე დაესწრა ნიახურას ომშიაცა. რუსთა მიიღეს იგი არტილერიისა კაპიტნად.

4) გიორგი რემსურასშვილი, ხირსული.

## მსროლელნი.

1) ზურაბა ხიდის თაველი. ესე ცხოვრებდა მეფისძეს იოანესთან ს. პ.-ბ. მერეთ მეფისძეს ბაგრატთან. 1834 წ. მოვიდა საქართველოსა და მოკვდა ხიდისთავს 1837 წ. ღრმად მოხუცი. მაშინ შესწირა აქა თვისსა ეკკლესიასა ზარები ზედა წარწერითა.

ზურაბა ხაჩიშვილი ბოდბის ხეველი, ამას მოხუცსა მეც მოვესწარი. მოკვდა 1826 წელსა ქ. თბილისს, იყო ყმა ნათლის-მცემლის უდაბნოისა. ბ) კაპიტა... კაცი მეხუმარი და მოხუცებაშიაცა ცქვიტი. მოკვდა 1824 წელსა. გ) 40 სხვანი, რომელთა სახელნი და გვარნი დავიწყდენ დროთაგან.

ას-ოცი ხარი და კამეჩი იყო მზად ზარბაზანთათვის დანიშნული და მათი მეხრენი.

## თოფის წამლის მკეთებელნი.

1) ზედამხედველი ერასტი სოროლაშვილი, ნალეკარი, ხერთვისიდამ ტყვედ მოყვანილი 1770 წელსა. მისი თანაშემწე:

2) პეტრე . . . . ხიზაბარელი და 10 სხვანი.

წამლის კეთება არავისა ჰქონდა აღკრძალული. ყოველს

სოფელში აკეთებდენ თვისთვის სახმარსა და ჰყიდდენცა თავის-უფლად.

## ზარბი-ხანა

### ფულის მომჭრელი.

ფულსა ჰსჭრიდენ მეფისა გიორგისა დროსა ვეცხლისა აბაზი-ანსა, ორ-აბაზიანსა, ორ-მაურიანსა და ერთ-მაურიანსა, და შავი ფუ-ლიდამ ორ-ფულიანსა და ერთ-ფულიანსა.

ლეკთა გამო, რომელნიცა თხოულობდენ ჯამაგირსა, მეფემან უბოძა ვეცხლისა ბადიები და ვეცხლისა კოვზები და აქედამ მოა-ჭრევინა 700 თუმანი.

მუსინ-პუშკინისა დროსა 1800 წელსა, მასვე ზარბი-ხანაში, რომელსაც უწოდეს „მონეტნი დვორი" ახტალის მადნებიდგან გამო-ტანილისა ვეცხლისა მოჰსჭრეს სახედ და საჩვენებლად რუსთა და ქართველთა რამდენიმე ბრონძისა ფულნი, მათზედ იყვნენ გამოჩენი-ლი ერთსა მხარესა არწივი რუსეთისა და მეორესა ღერბი ქართველ-თა მეფისა. ესენი შემდგომათ წარუვლინეს რუსეთისა დიდთა კაც-თა. გარდა ამა დაწყებისა დროსა რუსთაგან ფულის-მოჭრისა, არა-რაი მოუჭრიათ 1802 წლამდე. 1802 წელსა იწყეს მოჭრა ორაბა-ზიანისა და აბაზიანისა, ესრეთვე სპილენძიდამაც ორკაპეიკიანისა და ერთ კაპეიკიანისა.

დროთა მეფობისა მისისა გვამნი, წარჩინებულნი გვარ-შთამო-ებითა საქმითა, სიტყვითა, ცხოვრებითა იყვნენ შემდეგნი.

1.) მუხრანის ბატონი იოანე სიძე მეფისა და მეუღლე ქეთე-ვან მეფის ასულისა,—მქონი ხმისა და პატივისა... სალთ-ხუცესი სასახლისა; არა ცხადად, გარნა არა მყვარებელი მეფისა, მორიდე-

ბულად მეფისა ცხოვრებისა მუხრანსა, შეშინებული მეფისაგან, რომლისაგანაც ჰგონებდა, რათა მოეღოს მას სალთ-ხუცესობა მიცემულისა მეფისა ირაკლისა მერე დავით სარდლისაგან ორბელიანისა. ესე გარდაიცვალა 1798 წელსა. მისმან შვილმან ჯერეთ 26 წლისამან კოსტანტინემან დაიმკვიდრა ადგილი მისი დამტკიცებითა თვით მეფისა გიორგისაგან და გარდაიცვალა 1843 წელსა.

2.) დავით სარდალი ყაფლანისშვილი, სიძე მეფისა გიორგისა, ქმარი დისა მისისა თამარისა ერთისა დედიდამ. ამას ჰყვანდა ცოლად... და იყო კაცი მხნე და ამან დააშენა სომხეთი მტერთაგან გაოხრებული. გარდაიცვალა 1796 წელსა.

3.) ოთარ ამილახვარი, სარდარი, სამილახვროსი და ლიახვზედ საერისთოსი. მოურავი გორისა, ქალი მისი ელენე იყო ცოლი თეიმურაზ მეფის-მის გიორგისა შვილი. გარდაიცვალა 1827 წელსა.

4.) გიორგი ციციშვილი ეშიკაღაბაში მეფისა გიორგისა. გარდაიცვალა 1850 წელსა, ღრმად მოხუცი.

5.) ლუარსაბ თარხნისშვილი, ქმარი სოფიო მეფის გიორგის ასულისა, გარდაიცვალა . . . . . წელსა.

6.) ევსტათე ციციშვილი ქალაქის მოურავი ნაშობი მეფის ირაკლისა ასულისაგან, მეგობარი კათოლიკოსისა ანტონისა მეორისა. გარდაიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდში მქონი ჩინისა Д. СТ. СОВ. კაცი წერილთაცა შინა დახელოვნებული.

7.) დავით თარხნიშვილი. მიმბაში მეფის კარზედ მყოფი. გარდაიცვალა 1847 წელსა.

8.) ნიკოლოზ ხიმშიაშვილი. რომელმანცა მოკლა ღენერალი ლაზარევი, იყო ყულუხჩი მარიამ დედოფლისა. გადავარდა ახალციხეს და მუნ მოკვდა.

9.) როინ ამირეჯიბი. დიდი მხნე და კაყკაცი. ერთგული მეფისა.

10.) ფარსადან მაჩაბელი. შინა ყმა მეფისა, ოვსთა ჯარისა მფარებელი, და ხარჯისა სასისოს მომგროვებელი.

11.) ელიაზარ ფალავანდისშვილი. რომელმანცა მოაწერა ხელი ტრაკტატზედ პავლეს იმპერატორის მეფისა.

12.) შანშე ერისთავი. შინა მეფესა ახლდა, მოკვდა 1831 წელსა.

13.) ელისბარ ერისთავი. ყულასლარი. ესე იყო სიძე იმერეთისა მეფისა სოლომონისა დიდისა. ქალი ამის ანნა იყო ცოლი მეფის-ძის ფარნაოზისა. მოკვდა . . . . წელსა.

14.) . . . . შალიკაშვილი. მხნე და კაყკაცი, მტერთა უშიშარი, გამბედავი მეომარი.—მეფე ირაკლი იტყოდა:—,,სამისა შალიკაშვილითა 500 კაცს მტერს არ შევუშინდებიო‟

15.) ზაალ ბარათაშვილი. ყმაწვილი კაცი, მაგრამ მაინც მეფე გიორგიმ ისევ უზომა გაშის ადგილ სუფრაჯობა და ემსახურებოდა.

16.) გიორგი ბარათაშვილი. ახლდა განუშორებლივ მეფესა, გარდაიცვალა 1854 წელსა.

17.) ზაზა სოლოღაშვილი. ლეკთა აიკლეს მისი სოფელი, დაასახლა გლეხნი, აღაშენა კოშკი. მიუხდა ახალციხის ფაშა რვა ასისა კაცითა; გაუმაგრდა კოშკში და მოუკლეს შვილი ფაშასა. ზაალ გამოუხდა კოშკით, მოსტაცა მოკლული შვილი და შეითრია კოშკში. ფაშა სირცხვილეული დაბრუნდა. ამას ზაზას ჰყვანდა ძმა სვიმონ რუსეთისა კარზედ ცერემონიმეისტერი.

18) ვახტანგ ყაფლანიშვილი. ანუ ორბელიანი, ქმარი თეკლას მეფის ასულისა, მოკლული კახეთს, 1812 წელსა. ამას ებარა ყარაბულასი და გარემო სოფლები და იფარვიდა საგარეჯოს, მანავს ლეკთა დაცემისაგან. უდაბნის ბოლოს დაამარცხა ერთი ბელადი და მოსჭრა თავი.

19) თამაზ ყაფლანისშვილი. ეშიკაღა-ბაში მეფისა. გაიქცა იმერეთსა და მერეთ მობრუნდა და მოკვდა თბილისს.

20) ზაალ ორბელიანი. მეომარი, თანამხედველი ირაკლისა.

21) ჭაბუა, ანუ იოანე ყაფლანისშვილი. მდივან ბეგი, ფილოსოფოსი, მოლექსე, მწერალი სამართალთა და საეროთა წერილთა. სიტყვა მჭევრი.

22) ეგნატი თუმანიშვილი მდივანი. მეფისა კაცი გონიერი, მწერალი და მწიგნობარი.

23) სოლომონ ლიონიძე. მაღალის გონების კაცი. ერთგული ქვეყნისა, დიდი მრჩეველი და უცთომელად შემეცნებელი საქმისა.

24) შიო სიდომონიძე. საყვარელი მეფისა. ამას ჩააბარა მეფემან გმემის ეკკლესია, სადაც დაუმტკიცა მამულებიცა, მოკვდა 1810 წელსა.

25) იესე დეკანოზი. იყო სასახლისა. მეფემან გიორგიმ უბოძა მას აზნაურობა, შვილი მისი ეფრემ მოხსენებული ზევით.

26) იესე იესეს შვილი. გვარით ბარათაშვილი, მსაჯულობით ხმობილი, მისსა ბეჭედზედ ესრეთ ეწერა: „ჟამი ესეცა წარვლის". აქვნდა მას სხვა ბეჭედი წარწერითა: „პირი ესეცა მტკიცე არს". მტერთა დააბეზღეს მეფესთან, რომელ ესე მსაჯულს ორი ბეჭედი აქვს და ასვამს ზოგს ქაღალდზედ ერთსა და ზოგს მეორესა. მეფემან მიიხმო და მოსთხოვა პასუხი: დიას ბატონო მეფევ! თქვენს განჩინებაზედ, ვითარცა მტკიცედ და სამართლიერად ვსდებ სიმტკიცისა ბეჭედსა და სხვათა წერილთა ზედა ადვილ დასარღვეველთა მეორესა. ორთავე ბეჭედთა ზედა წარწერითა ჰსჩანს ლექსი სახელისა მისისა „იესე" მეფემან გაიღიმა და ჰსდუმნა. იხილა, რომელ არა რაი იყო უგვანი ბეჭედთა მისთა გამო.

27) ეგნატი იოსელიანი. მწერალი მეფისა, მისგანვე მიბარებული სომხის მომღვართან სასწავლებლად ენისა და სომხურისა ენისათვის. მოხმარებული მეფისაგან, მწერალი წიგნთა. გარდაცვალებული 1843 წელსა, 77 წლისა.

28 გლახა ჭილაშვილი. მილახვარი მეფის-მისა ვახტანგისა

ანუ ალმასხანისა, აზნაურიშვილი არაგვისა. მობრუნდა რუსეთით და მოკვდა 1815 წელსა.

29) ადამ ყარანგოზას-შვილი. კაჲკაცობით ცნობილი, მოკლული ლეკთაგან ნაომსა 1801 წელსა.

30) გიორგი ყარანგოზას-შვილი. შებრძოლვილი რუსთა.

31) იესე. ძმა მისი, დიდივე კაჲკაცი.

32) გოშპარ კობიაშვილი.

33) ზაალ ტერიშვილი. მეფის კარზედ აღზრდილი და მეფისა გიორგის საყვარელი, მოკვდა 1824 წ. ბედქვანიშვილი, საკათოლიკოსო აზნაური, და სარდალი საეკკლესიო ყმათა.

34) ბეცია კობიაშვილი. მეფემან გიორგიმ მიანდო გზაზედ დარიალს დასხვედრა და გამოძღოლა რუსთა ჯარისა. თუმცა იწყინა ესე ძმამან მისმან კახტანგ, გარნა ვერ იქმნა წინა-აღმდეგი.

35) ზაალ გურამიშვილი. მისსა სახლში ქვემო ავჭალას გაატარა მეფემ სახლობით თვისით ორი ზაფხული. ცოლი მისი ნინო დღესაც ცოცხალია 104 წლისა. თვით მოკვდა 1803 წელსა.

36) იოანე კვეზერელი. არა აზნაურთაგანი, მეფის სადილზედ განუშორებელი, იყო ერთგული მეფისა, მესაუბრე, კარგი დამლოცველი, კარი მეფისა იყო მისთვის ღია მარადის.

37) იოსებ ზეიდლის შვილი. წინამძღვარი გვარით, რუსულის ენისა მცოდნე. მერეთ მოძღვარი გ. ციციანოვისა. მოკვდა 1827 წ. თვით მე გამიგონია მისგან შემდეგი ამბავი: „მოკვდა აფიცარი ლუტერანი 1801 წელსაო, არ ვიცოდი როგორ უნდა დაგვემარხაო. მიბრძანეს დაასაფლავეო. გადვიკიდე ოლარი და გავყევ მიცვალებულსაო, მოთქმით გალობისა: „არც ჩვენია, არც სხვისა, ეშმაკმან იცის ვისია“. ესრეთი ხუმრობა მრავალი იცოდა მან.

38) ზაქარია სიდომონი.

39) იასე სულხანისშვილი.

40) თეიმურაზ ციციშვილი. მდივანბეგი, დიდი ჭკვიანი კაცი, ორჯერ სტამბოლში ელჩად გაგზავნილი. მოკვდა 1802 წელსა.

41) ბარძიმ. (მოკვდა მოხუცი ღრმად 1827; ახლდა სპარსე-თსა მეფეს თეიმურაზს) და ზაზა მიმბაში ბორტოშვილები მაჩა-ბლები. ბარძიმს მეფე უწოდებდა „უმანკო ტრედი“ და ზაზას“ შე-ვარდენი“. ზაზა დაესწრა ასპინძის ომში, როდესაც მეფის-ძეს გი-ორგის არ დაუჯერა ტოტლობენმან მიშველება, მაშინ ზაზამ შე-ჰკივლა. დაანებე მაგ მ. . . . ძ. წამობრძანდით, ჩვენ შევებმით და გავიმარჯვებთო. შემდეგ რუსთა შეიპყრეს ზაზა და ბაადურ მაჩა-ბელივე და ორნივე ციხეში დაიხოცნენ 1801. ამ ზაალს უბოძა ქეხვის ციხე,—მეფის-ძემან დავით.

42) ზურაბ ფალავანდის-შვილი, მამა მიხაილისა. მეფემან გი-ორგიმ მიუჩინა რუსისა ჯარსა საგზლისა მისაცემად. მიჰსცეს პი-რდაპირ ჩინი ტიტულიარნი სოვეტნიკისა. მოკვდა მოხუცი 1819 წელსა, ანუ 1820 წელსა.

43) ნიკოლოზ ელიოზის-შვილი. ნაზირი კათოლიკოზისა ან-ტონი მეორისა. თანა ჰყვა მას რუსეთს და უკუნ ქცეული მუნით მოკვდა 1857 წელსა ღრმად მოხუცი,

1) კათოლიკოსი ანტონი. მეორე მეფის ირაკლის-ძე. უყვარ-და მეფესა, ვითარცა მამა თვისი და კაცი განკრძალული. საკვირველი სასოებიანი მწირველი. იონა მიტროპოლიტი და ექსარხოსი, ხში-რად მეტყოდა ხოლმე მისთვის, რუსეთში მისგან ვისწავლე წირ-ვაო. თვით იონა იყო დიდად სასოებიანი მწირველი. გარეგანსა ცე-რემონიასა გარდაემატებოდა მარადის ღირსებითა ცრემლთა დენითა და კრძალვითა აღსრულება საღმრთოისა ლიტურღიისა მისგან აღ-სრულება.

2) იუსტინე. მთავარ ეპისკოპოსი, მაღალაშვილი, გაზრდილი დი-დის კათოლიკოზისაგან. წირვისათვის მისისა იტყოდა, გიორგი მე-ფე: „წირვა იუსტინესი არის გარედგან რამე საჩვენებელი დიდისა საიდუმლოსი, რომელიცა არის ლიტურღია; კეთილი და პატიოსანი; მაგრამ გვავიწყებს და არა გვაგონებს ლიტურღიისა სიღრმესა. ვი-თარცა მზე ზამთრისა ანათებს და არ გვათბობს. წირვა უნდა ხვდე-

ბოდეს გულსა და არა თვალსა“. ესე ვიცი თვით მიტროპოლიტის იოანე ბოდბელისაგან, და ხშირად მეტყოდა მეფისა ამის თქმასა იმერეთისა მიტროპოლიტიცა დავით წერეთელი.

3) იესე. თბილელი ქართველთა მეფეთ ჩამომავლობა. მოკვდა განდევნილი კათედრიდამ 1813 წელსა. ესე არა უყვარდა მეფესა გიორგის.

4) ვარლაამ. შემდეგ ექსარხოსად ყოფილი, ქსნის ერისთავის-შვილი, მცოდნე ებრაულისა ენისა, დეკანოზი და მასწავლებელიცა ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე მეორისა გერასიმე პავსკი, მასწავლებელიცა ჩემი ს. პ.-ბ. ებრაულისა ენისა მეტყოდა ვარლაამისთვის 1834 წელსა, რომელმან მისისა თხოვნითა თარგმნა რუსულად ქადაგებები ვარლამისა, რომელიცა დაიბეჭდაცა. მისგანვე ვარლაამისა ესწავა მრავალთა ქართველთა ლექსთა; ებრაულის ენითა სახმარსა.

4) იოანე. ბოდბელი მაყაშვილი. ამას არ უყვარდა მეფე გიორგი და მარადის მოიხსენიებდა არა კეთილად. იყო ორგული მეფისა, თუმცა მიმალული. ძმასა მისსა ალექსანდრესთან აქვნდა იდუმალი მიწერ მოწერა. ღრმად მოხუცი გარდაიცვალა 1837 წელსა, იყო დიდი პურადი, დიდი ეკკლესიათა ძველთა განმაახლებელი. დიდად მეცადინებდა შემდგომად თვისსა ყოფილიყო ვინმე მღვდელ-მთავრად ბოდბეს და ვერვის დააჯერა. მრავალი ვიცი მისგან ძველი ამბავი და მრავალი მაქვნდა მასთან ბაასი მრავალთათვის საგანთა.

5) მიხეილ ნინოწმინდელი. არ უყვარდა მეფესა გიორგის. მოკვდა 1813 წელსა ბრმად. იყო მოწაფე ანტონი კათოლიკოსისა. ამან უქმნა სარდალსა დავით ყაფლანის-შვილსა ზედა წარწერა, ღვთისა დედისა ხატზედ:

„სიტყვისა ღვთისა დედაო, ძღვენს მცირესა გაგიბედაო,
როს აწყურ მექმენ მწედაო, მუნ შოვნით გიმკობ ზედაო?
შენდა ვითხოვ ჟამსა არ დრობით
ვინ გამკობ არა დარიდობით.“

ხატი ესე დღესაცა აქვს გნეინა ანანა ორბელიანისა, ვითარცა სამკაული და საუნჯე ოჯახისა. არის სახე ივერიისა ანუ კარის ღმრთისმშობლისა და გარემო 26 უსხედან წმიდანი ნაწილნი, ზედა წარწერებითა თვით წმიდათა მათ, რომელთაცა ნაწილნი განაშვენებენ ხატსა წმინდასა.

7) ამბროსი ნეკრესელი. ნამღვდელავი, მოკვდა თბილისს 1809 წელსა. ქალი მისი თინათინ იყო დედა ნ. ო. ფალავანდოვისა ღუბერნატორად ყოფილისა 1837 წელსა. ესე ამბროსი იყო უკანასკნელ ეპისკოპოსი ნეკრესისა, ლეკთაგან გაოხრებულისა.

8) გერვასი. წილკნელი, გვარით მაჭავარიანი, ესე ეკურთხა მეფისა გიორგისა დროსა, რომელიცა მას ვერა ჰსწყალობდა. რად? ვერ ვსცან, მოკვდა 1817 წელსა. ამის მეტი მეფის გიორგის დროს არ კურთხებულა ეპისკოპოსად.

9) . . . . მროველი.

10) ევთიმი, არხიმანდრიტი წინამძღვარი ნათლის-მცემლის უდაბნოსი, მოძღვარი მეფისა. მისი იყო ხშირად საუბარში თქმა: „ქრისტეს ღვთის მადლითა“ ესე თქმა მიიღო თვით მეფემან გიორგიმ მისგან და ხშირად ხმარობდა საუბართა შინა სამეფოისა საქმეთა გამო.

11) იოანე ქარუმიძე, სამთავნელი, მერე მთავარ ეპისკოპოსი, კაცი ნასწავლი. მოკვდა თფილისს და დაასაფლავა არსენი თფილელმან თვისსა სამეტოქოსა კვირა-ცხოვლისა ეკკლესიასა 1804 წელსა.

12) იულიოს. ურბნელი, თუხარელი. კაცი მაღალისა სათნოებისა, ღირსი ვითარცა მეუდაბნოე. მომხილველი ტრაპეზუნტისა და აღკვეცილი ახლოს მისსა ნათლის მცემლისა უდაბნოისა; წინამძღვარმან უდაბნოისა ამას უწოდა სახელი თვისი და მოვიდა ახალციხით თფილისად. იყო არქიმანდრიტად დიდისა ანტონისაგან ნაკურთხი. მანვე მიუბოძა ურბნისელობა.

13) სერაპიონ. წინამძღვარი დავით გარესჯისა.

14) ნეოფიტე. არქიმანდრიტი და წინამძღვარი მცხეთის დაუ-

ჯდომლობისა ებპდერისა, დაქცეულისა 1838 წელსა. მოკვდა უად-გილო თფილისს 1841 წ.

15) ნიკოლოზ. შუა მთისა მოძღვართ მოძღვარი, ქობულის-შვილი მოკვდა 1803 წელსა.

16) ნიკიფორე. შიო მღვიმისა, რომელიცა დაიკეტა ლეკთა გამო 1800 წ. 1802-მდე.

17) გამალიელ წინამძღვარი იკორთისა მოკვდა 1816 წელსა. არ უყვარდა ამას ვარლაამ ექსარხოსი, რადგანაც ებრძოდა ერისთვიან-თა ყმათა და მამულთათვის მკელად შეწირულთა და მისგან ექსარ-ხის მიმალულითა.

18) ათანასი. ჯვარის მამა, ბერძენი, მოკვდა პატრიარხად იე-რუსალიმისა 1834 წ.

19) ნიკიფორე. არხიდიაკონი იოანე ბოდბელისა; მერეთ არ-ხიმანდრიტი ხირსისა, მერეთ ეპისკოპოსი გორისა და ვიკარი ექ-სარხოსთა. მოკვდა 1850 წ. სნეულმან მდებარემან სარეცელსა მრა-ვლად ეცადა ენახა და მიეღო კურთხევა ექსარხისა ისიდორესი, გარ-ნა ამან არა ნახა, მტერობისა გამო მისდა და მეშურნეობისა, რო-მელ მას უმეტესსა უძღვიდენ პატივისცემასა კ. ვორონცოვი და სხვა-ნიცა.—მე თვით ვარ მოწამე ამისი და თვით ვიყავ შუამავლად რათა ენახა მას იგი.

20) . . . . . სინა-მთისა.

. . . . . . . . ათონისა.

21) იოაკიმ. ვიკარი კიპრიისა მონასტრისა, იქმნა ეპისკოპო-სად ახტალისა 1803 წელსა, მოკვდა 1829 წელსა. ამას ახლდა დია-ჩოქად ვასილი... რომელმანცა მიიღო დეკანოზობისა ხარისხი და აღაშენა ხარფუხს თფილისს ეკკლესია გუმბათიანი წმინდისა ნიკო-ლოზისა სახელზედ.

22) ტრიფილე. აღმწერელი წიგნთა, წინამძღვარი ჯვარისა მო-ნასტრისა, არაგვს გაღმა პირის-პირ მცხეთისა. მოკვდა 1818 წ.

23) იოსტოს მღვდელ-მონაზონი ანდრონიკაშვილი. კაცი ფი-

ლოსოფოსი და ერთგული მეფეთა მოკვდა ვეჯინისსა კახეთში.

24) იოანე ოსესშვილი. სიონის დეკანოზი იყო.

25) ონისიმე იოსელიანი საყვარელი მეფის გიორგისა იოსებ კათალიკოსისაგან ნაკურთხი. მამა მისი ქრისტეფორე გადმოვიდა იმერეთით წყალ-ტუმბოდგან. ორნი ძმანი მისნი დაიხოცნენ ჭარის ომში. კათოლიკოზსა ანტონის უნებდა რათა მიჰყიდოს მან მამული თვისი და ვენახი მარტყოფს „სესიაური“ სხვასა. უარისათვის გა-დაასყენა მღვდელობიდამ. მეფემან თეიმურაზ იწყინა და კვალად გახს-ნეს კრულებიდამ.

26) სოლომონ დეკანოზი ანჩის-ხატისა ალექსიევი. მწერალი და მწიგნობარი; ძე ალექსი დეკანოზისა, მწერალისავე ჩინებულისა. მოკვდა 1808 წელს, ამან 1795 წელსა ზურგით გაიტანა ხატი პი-რის მღვთისასა ქალაქიდამ; დადვა ურემსა მცხეთაში და აქედამ გა-სული არაგვსა წარვიდა თელავსა და დახიზნა მუნ იგი წინ ქეთევან დედოფლის ეკლესიასა.

27) კექერაშვილი. მარტყოფელი, მბეჭდავი წიგნთა.

28) აბრამ. გვარით ურიათყოფილი, მოუსტინედ წოდებული, მბეჭდავი წიგნთა, პატივცემული მეფისაგან; მეგობარი დავით სარდ-ლისა ორბელიანისა; მშრომელი მეტეხისა ეკლესიისა განახლებაზედ სოფელსა მეტეხს. დიდი მლოცველი და მემარხულე, და მღვდელი განკრძალული. იდგა მარტყოფს.

29) ზაქარია სულხანოვი. მბეჭდავი წიგნთა, მოძღვარი დე-დოფლისა დარეჯანისა. დაახლოვებული მეფისა გიორგისა. მოკვდა 1820 წელსა.

30) ისაკ მწიგნობარი. სიონისა თფილისს ეკლესიასთან მცხოვრები. მოკვდა 1799 წელსა. მეფემან გიორგიმ თავისის ხარ-ჯით დაასაფლავა იგი მუნვე. მეფისძემან დავით იახლა თავისთან, ოდეს მოიხილა ერევანი და განჯა, ეჩმიაწინის ეკლესიასა შინა შე-სულმან; არ დაიწერა პირჯვარი და ამით აწყინა სომეხთა ოქევარ-ტერსა ლუკას. ამან არ მიიღო მღვდელობისა ხარისხი სიმდაბლი-

სა გამო და იმავე მწიგნობრისა ანუ მკითხველისა ხარისხით აღ-სრულდა.

31) ჰარონ. მღვდელი ალექსიევი. ქახლა კათოლიკოზსა ან-ტონის მეორესა. არ უყვარდა ესე მეფეს. მოკვდა თბილისს 1827 წელსა.

32) ელევთერი. საყვარელი მეფის გიორგისა მღვდელობაში. 1827 წ. ბერი და არხიმანდრიტი. 1812 წელსა წინა უძღოდა კახეთი-სა დამამშვიდებელსა, გარნა მრავალთა თავადთა, აზნაურთა და სამ-ღვდელოთა ბოროტად და შეუწყალებელად დამსჯელსა ღენერალსა დიმიტრი ორბელიანსა. აქა შეიძაგეს იგი. შეიძაგა თვით ერმალოვ-მაცა. გარნა უყვარდა მრავალთა ჰურადობისათვის და ტკბილისა ხა-სიათისათვის. მოკვდა 1825 წელსა.

33) გოგია. დიაკვანი, საყვარელი მეფის გიორგისა. სახლობა მისი ახლდა მას და დედოფალსა მსახურებად. იყო გარკვევით ლექს-თა და აზრთა გამოხატვით მკითხველი ეკლესიისა წიგნთა. ხმა მი-სი არის, ბრძანებდა მეფე, ხმა ლოცვისა და ვედრებისა, ხმა საგა-ლობელისა ხმათა.

34) დავით. მღვდელი ჩუბინიძე, ნათლის-მცემლის ეკლესიისა აწ დაქცეულისა, და იესე დეკანოზი შვილი მისი. ამას აქვნდა მუნ სასწავლებელი, სადაცა მეცა ვსწავლობდი ქართულისა კითხვასა და წერასა ხარისა ბეჭისა ძვალზედ დროთა ჩვეულებისა გამო. 1817 გაუქმდა სასწავლებელი ესე და გადაგვიყვანეს სემენარიასა, რომელი-ცა განხსნა მასვე წელსა 1 ოკტომბერსა ექსარხოსმან თეოფილაკ-ტემ. კარგად მახსოვს დღე ესე 8 წლისა, ოდეს რეკტორმან პირ-ველმან. კიტალი კურთხევისა დროსა და სხურებისა გვიბრძანა ვუყ-რიდეთ თეოფილაქტეს უკაკილოვანთა ბალახთა.

35) ზოზისმე. ბერი დავით გარესჯელი, გამომკვეთელი სენა-კისა და კანკელისა, სიონისა გამართველი.

36) ილარიონ არხიმანდრიტი ვაჩნაძე,—მრავალი დაჴსდვა ამა-გი საბა წმიდის მონასტრისა განახლებაზედ კახეთსა.

1) დარჩია მელიქი ბებუთაშვილი, კუზიანი ტანით, და ფრთხილი საქმეში კაცი. პატივს ჰსცემდა მას მეფე გიორგი, თუმცა განარისხაცა ორგულობისა შეწამებისაგამო. მოკვდა 1827 წელსა.

2) სტეფანე გურგინბეგიშვილი, კაცი მდიდარი და დარბაისელი, მოკვდა 1808 წელსა.

3) ოსეფა ბებუთაშვილი, მიშკარბაში, მამა ვასილისა ღენერალ-ოტინფანტერიისა. ეღჩად ხმარობდა მას ეჩმიაწინსა და ერევანსა. მოკვდა 1807 წელსა.

4) ალა და დანიელ ფიითუაშვილნი, მოქალაქენი დარბაისელნი.

5) . . . . მუნთვაშვილი.

6) მიკირტუმ ოქვაშვილი, სასახლისა კიცი და მოქალაქე.

7) ალალო ოქვაშვილი, დიდი მდიდარი საკათალიკოსო ყმა.

8) რევაზ და ზაქარია ანდრონიკაშვილი; ქიზიყისა მოურავნი.

9) იოანე ანდრონიკაშვილი ეშიკაღაბაში, მემკვიდრისა მახლობელი და ერთგული გარდაიცვალა 1830 წელსა.

10) სიმონ აბაშიძე, მეფის გიორგისა მძახალი და მისგან პატივცემული.

11) სვიმონ ბებურიშვილი, დიდი და გამოჩენილი ვაჟკაცი-გმირთა გმირი. ესე გაიქცა 1803 წელსა და მივიდა თვისსა მძასთან ადამთან, რომელიცა ახლდა მეფისძეს ალექსანდრეს. დამსწრემან რუსთა თანა სპარსთა ომისა, შეიძინა სპარსნი მხდალნი. ამისთვის უიმედო მათგან გამოვიდა რუსთან და გამოიყვანაცა ძმა თვისი.

12) თადია ჩოლაყაშვილი,—გაიქცა სპარსეთსა ალექსანდრესთან და მერეთ მობრუნდა. მოკვდა 1836 წელსა, მეფე გიორგიმ მიანდო მზრუნველობა რუსთა ჯარისათვის, რომელიცა იდგა საგარეჯოში და ახლო მისსა სოფლებში.

13) უსეინოღლი სულიან, ბორჩალოელი, მეფისა მცნობი; საქმეთა შინა მრავალთა მისგან ხმარებული. შემდგომად მეფისა არ დამორჩილდა რუსთან და ივლტოდა სპარსეთად.

14) ალობეე, სულთან ყაზაყისა, მდიდარი საქონლითა, შემნა-

ხავი მეფისა გიორგისა, ცხვრისა და ძროხის არვეთა. ივლტოდა სპარსეთად.

**15)** იბრაჰიმ. სულთანი შამშადილისა, ამან აბარა მეფისა ჯორები და აქლემები.

**16)** პეტრე ლარაძე, მოლექსე და მწიგნობარი შვილი მღვდელთა ხარებისა ეკლესიისა, რომელიცა თეიმურაზ მეფემან მოუღო ფრანგთა. მოკვდა **1837** წელსა.

**17)** დავით რეკტორი ალექსიევი. მოკვდა **1825** წელსა.

**18)** ომან ხერხეულიძე, აღმწერელი მეფის ირაკლის ცხოვრებისა; მოკვდა **1805** წელსა. ახლდა იულონსა და მომდურავი მისი ეახლა მეფეს გიორგის, რომელმანცა უბოძა მდივნობა კახეთისა ოქმითა.

**19)** სტეფანე ფერმანგი, გორელი სომეხი, მოლექსე. ამან ტყვედ მოყვანილსა ლეკსა ოსაქოდელსა ასესხა ფული რვა თუმანი და გამოუგზავნა რვისა ნაცვლად ათი. ჰსცნო ესე მეფემან და იამა მეფესა.—იყო სტეფანე მოიჯარადრე ბურნუთისა და თამბაქოსი თფილისს. მრავალია მისგან დაწერილი ლექსი. მოკვდა თფილისს, **1839** წელსა. ღრმად მოხუცი.

**20)** დიმიტრი იოსებ მდივნის შვილი, გვარით თუმანისშვილი, მოლექსე. მოკვდა **1821** წელსა, ახლდა მეფის-ძეს მიხაილს. ს. პ.-ბ. მისგან დაწერილსა ლექსსა სიყვარულითსა:

„სიცოცხლეს შენგან მოკელი
უკვდავება ხარ ცხოველი.“

უქმნა დაწუნება ლექსადვე მღვდელმან ეგნატე იოსელიანმან. ამან შეუდგინეს ბასსი. მიწერ-მოწერისა ესე წიგნაკი, წარკითხული ჩემსა სიყრმეში, ვედარსად და ვერვისთან ვპოვე. დიდის გონიერებით იყო ორთავე მხრიდგან ნაწერი.—იყვნენ სიყრმით მეგობარნი და მეზობელნი სახლთა სადგურით, მეფეთა სასახლისა.

21) ბესიკი ანუ ბესარიონ გაბაშვილი, მოლექსე, მოკვდა 1793 წელსა, ამაზედ მრავალი ჰსწერია და მე არღა განვამეორე.

22) სოლომანა აბამელიქი, ბიძა მეფის რძლის ელენესი. დავით მემკვიდრის ცოლისა. მეფე გიორგი პატივს ჰსცემდა, პატივისცემისათვის თვისისა რძლისა. მოკვდა ბრძა, ღრმად მოხუცი 1823 წელსა

23) საათნავა, სომეხი, თფილისელი. ცნობილი გვამი, გამოჩენილი მოლექსე, მოკვდა 1801 წელსა, იყო მწყრალი მარტივითა საუბარისა ენითა და გარნა ჰაზრთა მკვეთრთა მქონი. მისთა თქმათა დღესცა იგავად იტყვიან ქართველნი; იყო მომღერალიცა, იყო სომეხი და ჰსძაგდა სომეხი; ამისთვის ემდუროდენ სომეხნი.

24) ოთარ ქობულიშვილი, სოფლისა კისისხევისა, დესპანი ქართველთა მოსკოვსა, ოდეს შეერთდა საქართველო რუსეთსა 1801 წელსა. გარდაიცვალა 1830 წელსა, იყო ესეცა მოლექსე სიყვარულისა და მიჯნურობისა. ლექსთა მისთა იმღერდენ ქართველთა მოსაკრავენი და მოჭიანურენი.

25) გიორგი ავალის-შვილი, ცოლის-ძმა გარსევან ჭავჭავაძისა.

26) იაია ავალი-შვილი, ძმა გიორგისა, ცოლის-ძმა გარსევან ჭავჭავაძისა. იყო დესპანად, ოდეს შეერთდა საქართველო რუსეთსა 1801 წელსა, მოკვდა კახეთს, 1837 წელსა.

27) გარსევან ჭავჭავაძე, გვამი ცნობილი.

28) პაატა ჭავჭავაძე, ამას მიანდო მეფემან ირაკლი გამოყვანა 900 ლეკისა და სარდლობაცა, იმერეთისაკენ მუნ მისრულთა ლეკთა შესაწყვენელად ქართველთა ჯარისა, ოდეს დასვეს მეფედ სოლომონ. ლეკთა აღაოხრეს იმერეთი დაიტაცეს ეკკლესიათა სამკაული და ბარძიმ-ფეშხუმი, ჰქმნეს ჭურჭლად ჭრაქისა ასანთობელად. ესე იწყინეს იმერთა და დიდად ემდურვოდეს მისსა სარდლობასა. იტყვიან დღემდე იმერელთა თფილისისა აღებისა დღესა სპარსთაგან, მაგიერი გარდუხადეს ქართველთაო: ე. ი. გაცარცვეს თფილისიო.

29) ნიკოლოზ მხატვარი აბხაზი, შვილი მისი იოანე იქმნა შემდგომად ღენერალი. დედოფალმან დარეჯან დაახატვინა ამას კანკელი ანანურისა ეკკლესიისა და სხვათაცა ეკკლესიათა, ამანვე განაახლა სიფრთხილით ანანურისა ეკკლესიისა კედელზედ დახატულნი ძველად 13 ასურელთა მამათა ხატნი. დღეს აღარა არიან ესენი.

30) იოსებ კალატოზის-შვილი, ახლდა მეფესა გიორგის და მერეთ დედოფალსა მარიამს. ამან გასცა დედოფალი, რომელსაცა უნებდა გაქცევა ქალაქიდამ თუშეთსა ანუ ფშავ-ხევსურეთსა. კნიაზმან ციციანოვმან დაჩაგრა იგი; მოკვდა 1834 წელსა. მრავლად ემდუროდა მას მეფის-ძე თეიმურაზ, როტიე გოლანდიელი ჰსწერს მისთვის თვისსა წიგნში, თუმცა ახსენებს მას გვარით და არა სახელით.

31) იოანე აბხაზი კარდანახელი, კაცი ქრისტიანე და პატივცემული, მოკვდა 1828 წელსა. ესე გაგზავნა მეფემან გიორგი თელავსა ორჯერ და გაატანა სანთლები კელაპტრები, რათა დღესა ქეთევან დედოფლისსა დაესწროს წირვისა ჟამსა მცირესა ეკკლესიასა შინა, აღშენებულსა მუნ თეიმურაზ მეფისაგან პირველისა. ესე ეკკლესია არის პირველი, ნაკურთხი ქეთევან დედოფლისა წამებულისა სახელზედ.

32) ალექსანდრე მაყაშვილი, ეშიკ-აღაბაში მეფისა გიორგისა, ძე გამდელისა მისისა სვიმონისა. გარდაიცვალა 1823 წელსა ცხენიდამ გადმოვარდნით, ოდეს მიეგებებოდა მისულსა კახეთად და მიმავალსა გომბორისა გზით ექსარხოსსა იონას. ამანვე დაასაფლავა იგი იყალთოს მონასტერსა.

33) სვიმონ მაყაშვილი, ლალა მეფისა გიორგისა, დასაფლავდა იყალთოს მონასტერსა.

34) დავით ჯიმშერის-შვილი, ჩოლაყაშვილი, დიდად ნიჭებული კაცის სიტყვითა და მწერლობითა.

35) გიორგი თუმანის-შვილი, ძე ეგნატი მდივნისა, მოყვარე მწიგნობრობისა და მწერლობისა. ამან შეკრიბა ერთ წიგნად ლექსნი ძველად თქმულნი და უწოდა ქართველთა მწერლობისა ამის საუნჯე-

სა: „მრავალ-ყვავილოვანი“ დღესცა აქვსთ იგი შვილსა მისსა ღე-ნერალ-მაიორსა ალექსანდრეს. მოკვდა 1837 წელსა.

36) იოანე აბამელიქი, ძმა მეფის რძლის ელენესი.

37) სოლომონ (სოლომონ) აბამელიქი, ბიძა მეფის რძლის ელენესი, მოკვდა 1827 წელსა.

38) მირზა აფრიამა ენაკოლოფაშვილი, სპარსეთიდამ მოსუ-ლი. მეფემან გიორგიმ სამჯერ წარავლინა ერევნის ხანთან და მუნით შირვანსა ტყვეთა ქართველთა, დამთენილთა მუნ დროსა თფილისის აოხრებისა, მოსაყვანად. 1824 წელსა.

39) შიო, მეჩანგურე, ქებული მრავალთაგან და მომღერალიცა, მოკვდა 1828 წელსა, გვემული დროთა ცვლილებისაგან, მტირალი წარსულთა ჟამთათვის მისთვის ტკბილთა და ცრემლით მოსაგონ-თა. თვით პოეტი, გოდებით ჰკრავდა ჩანგთა და აგოდებდა თვით ჩანგსა.

40) დავითა, მეთარე, წავკისელი.

41) ალაჯა, მომღერალი. სომეხი თფილისელი.

42) ალავერდა, მომღერალი, თფილისელი თათარი.

43) ნინია, დურგალი ლალიაშვილი, ჩინებული ხელოსანი.

44) გლახა კალატოზი ზაზიაშვილი, სომეხი, ამან აშენა ეკ-კლესია გუმბათიანი მარტყოფს და იქავე დაასაფლავა რუსთველმან სტეფანემ 1826 წელსა.

45) ოქრომჭედელი გაბრიელ მასხალოვი, (აწ ბასხაროვი) მისგან მრავალია ნაკეთები ბარძიმ-ფეშხუმნი, ჯვარნი და ხატნი შე-მკულნი. ალევის სამების ეკკლესიაში არის ერთი მისგან გაკეთებუ-ლი სასანთლე ვეცხლისა ბატკნად ანუ ცხვრად ნაკეთი ვეცხლისა. ესე შეუწირავს მეფისა გიორგის-ძეს იოანეს, როგორც ჰსჩანს ზე-და წარწერიდამ.

46) სამართებლების მკეთებელი ივანე ზოტიშვილი. ქალაქსა ს. პ.-ბ. გავიცან 1843 წელსა. . . . სლივიცკი მოხუცი მამა მის სლივიცკისა, რომლისაცა მეგლად სიმხნისა იმპერატორმან ნიკო-

ლოოზ უწოდა სიმაგრესა ერთსა პოლშაში „ფორტი სლივიცკისა“. ესე მოხუცი სლივიცკი იყო ზუბოვისა ადიუტანტი დერბენტსა და როდესაც იმპერატორმან პავლე დააბრუნა ჯარი რუსეთად მაშინ მო-ვიდა იგი თფილისს 1827 წელსა და მოისყიდა სამართებლები, ეგონა კიდე იყოს ხელოვნება ესე მუნ და მთხოვდა დაუბარო მას რავდენიმე. თვითოში მივე თითო აბაზიო. არცა ერთი ეკროპაში ნა-კეთი არ შეედრება თფილისისა სამართებლებსაო. ესრეთ ადვილათ იკარგება ხელოვნება?

48) ასლან ორბელიანი, ეშიკაღაბაში მეფისა, მცოდნე სპარსუ-ლისა ენისა, დასაფლავდა მთაწმინდას, ტფილისში, წელსა 1826. ერმოლოვისა თხოვითა დაამშვიდა აღრეულობა ყაზახში და არცა მი-უდგა მეფის-ძეს ალექსანდრეს, რომელთა წერილთა არ უმალავდა ერმოლოვსა. შემდგომად სპარსთა დამარცხებისა შამხორს ერმო-ლოვმან ჰკითხა ასლანს: „მითხარ გიყვარვარ თუ არაო?.. ასლანმან უპასუხა: „სარდალო, არც მყვარებიხარ და არც მიყვარხარო“.— მოიწონა ესე ჰსწორე მისი თქმა და უთხრა ერეკანსა რომ შემოვა-დგებით, მაშინ შევრიგდებითო.

49) იოანე სარდალი, ოდეს კ. ციციანოვისა დროსა წარვიდა ჯარში, მაშინ ესე და ასლანცა და სხვანი თავადნი იგდეს ტყვედ სპარსთა ფათალიშახმან, ნახა ესე იოანე და ოდეს იხილა მისსა გულზედ ვარსკვლავი ანნასი, ბოძებული იმპერატორისაგან, მაშინ ჰყვედრა მრავალი, მისწვდა თვით ვარსკვლავსა, მოგლიჯა იგი და გა-რდააგდო და უბრძანა: „ამისთვის უღალატე შენს მეფესა და ქვე-ყანასაო?.“—მოქცეული თვისად გარდაიცვალა თფილისს.

50) აბელ ჩოლაყაშვილი. მეფისაგან გიორგისა შერისხული თელავს, სადაცა მოვიდა გვ[illegible]ნ და არა უნებდა მოწერა ხელისა ფიცისა ქაღალდზედ. 1812 წელსა უღალატა რუსთა, რომელთა-ცა გაგზავნეს სიბირს, უკუ მოქცეული მოკვდა კახეთს 1838 წელსა.

51) აბელ ანდრონიკაშვილი, მიმბაში მეფის გიორგისა, ალმა-

შენებული ქოლალას ღვთაებისა გუმბათიანისა ეკკლესიისა ქაშოეთის თფილისს ეკკლესიისა ვლასისა. 1812 წელსა ბუნტისა გამო გაგზავნეს სიბირსა და უკუმოიქცა 1817 წელსა. იყო სიძე სარდლის იოანესი. მოკვდა და დაეფლა მუნვე 1835 წელსა.

52) თომა ანდრონიკაშვილი, შვილის-შვილი მეფისა მეფის ასულის ბარბარესაგან, ჯერეთ ყრმა იზრდებოდა მეფესთან. მოკვდა 1847 წელსა.

53) დავით მიმბაში თარხნიშვილი. ცოლი ამისი მაკრინა იყო ცოლის დაჲ დადიანის ლეონისა, და დედიდაი დავით უკანასკნელისა დადიანისა. გარდაიცვალა 1837 წელსა.

54) გიორგი ჩოლოყაშვილი, შერჩა მეფესა გიორგის, ვითარცა მეფის-ძის ბაგრატის ნათესავსა ცოლით, და ვერ შერჩა რუსთა რომელთაცა ულალატა 1812 წელსა, ამისთვის პყრობილი თფილისის ციხესა მოკვდა 1813 წელსა.

55) ადამ ანდრონიკაშვილი, მილახვარი მეფის გიორგისა. 1804 წელსა გაჰყვა სპარსეთსა მეფის-ძეს ალექსანდრეს. მოვიდა მუნით 1804 წელსა. მოხუცი 80 წლისა მოკვდა 1854 წელსა გეჯინში.

56) ბეცია თურქისტანიშვილი. ესე იყო მოურავად ტირძნისა სოფლისა, მეფისაგან გიორგისა დადგენილად.

ტირძნისისათვის, სადაცა იყო ეგნატი იოსელიანი ჰსწერს შემდეგსა:

„ტირძნისი ყოფილა არაგვის ერისთავის საპყრე სოფელი და მეფემ ირაკლი არაგვთან ტირძნისიცა ჩამოართვა არაგვის ერისთავთა.

„მაშინ ტირძნისი მისცა სარჩოდ ხერთვისისა ბეგსა ახალციხიდამ აქ გადმოვარდნილსა. მას ბეგს გამოართვა მეფემ ერეკლემ და მისცა სამოურაოდ დავით ვისმე აბაშიძეს, და შემდგომად აბაშიძისა, მისცა მეფემ ერეკლემ მეთოდი რაჭის ერისთავსა შემდგომად გარდაცვალებისა მეფის ირაკლისა, გამეფებულმან მეფემან გიორგიმ წა-

რგზავნა გამგედ მისს სოფლისა ბეჟია თურქისტანისშვილი და რომელსაც ახალსა დროსა მეფისა გიორგისა გამეფებისა, დავით ბატონიშვილი გადმოვიდა რუსეთით და ლაშქაროვის მაგიერ სოფელი სთხოვა მეფესა, მაშინ მეფემან დაუწერინა სიგელი ტირძნისისა რომ არის ლაშქარევისათ. მაშინ ის სოფელი მიაბარა მეფემან სიგლითურთ დავით ბატონიშვილსა. დავით ბატონიშვილმან გამგზავნა მე განმგედ მის სოფლისა და მე გამოვსცვალე ბეჟია და ვიყავ ორს წელს გამგე მისი ჩლეჩ და ჩყეთ და რაც გამოსავალი იყო სოფლიდამ ჩემს სარგოს მე ვიღებდი და საბატონოს უგზავნიდი დავით ბატონიშვილსა. მერმე მე გამომცვალა სვიმონ გაბაშვილმან წელსა 1799-სა. 1802 წელსა რუსეთით მოვიდა ნიკოლოზ ონიკოვი და ლაშქარევსა ტირძნისი მიებარებინა მისთვის, ამისთვის მან ონიკოვმან გამოჰსცვალა სვიმონ გაბაშვილი და მიიღო ონიკოვმან ტირძნისი, შემდგომად მისსა მიიბარა ლაშქარევისაგან და ონიკოვისა იოსებ დევანოზოვმან წინამძღვრის შვილმან. ამისისა მოქმედებითა გაისყიდა ტირძნისი და მიესყიდა სულხანოვს“.

57) იობ ზედგინიძე. ესე იყო მოურავი და სალთხუცესი მუხრან ბატონისა, მეფე გიორგი ჰსწყალობდა მას ვითარცა მეფეთა ერთგულსა და უბრძანებდა ყოველთვის სამოდ მისდა სიტყასა, იყო თვით მუხრან ბატონი ექცეოდა მას ვითარცა კაცსა დარბაისელსა, მოკვდა მოხუცი 1819 წელსა.

58) დიმიტრი საგინოვი. ზედამხედველი ქ. თფილისს თამბაქოს იჯარისა მეფისა გიორგისა დროსა. ნაცვლად ამისა მიეცა რუსთაგან პენსია. მოკვდა 1821 წელსა.

59) შიობ თუმანიშვილი ძე სულხანისა. მეფე ირაკლი ჰსწერს მამასა მისსა სულხანს შემდეგსა წერილსა, რომელსა შინა მოიხსენების შიობსაცა:

„ჩვენ მაგიერად თუმანოვს მდივანს სულხანს მრავალი მოკითხვა ეუწყოს. მერე შენი წარმოგზავნილი მაიორის დისწული დავით, მრავლის საქმეებისა გამო აქამომდე ვერ გამოვისტუმრეთ, რომელიც

ამ დროს ჩვენის ქვეყნის ამბის ვითარება იყო; ჩვენი წიგნები მოგვივა და ყოველსავე იმით ჰსცნობ. ამ დავითის ხელით რომ წიგნები წარმოგვეგზავნა შენის ძმის წიგნში შენი დიას შეწუხება მოგვეწერა ულუფის მოუცემლობის მიზეზად, და ჩვენ ამისთვის წარსულს ყამს ერთი წიგნი მოვსწერეთ აშტრახანს თარხან ალასვილს სტეფანეს და სამოცს თუმანს დავესესხენით, რომ მანდ შენთვის უნდა გამოეგზავნა და მაგიერი ჩვენგან მიელო, და ერთი წიგნიც იოსებ არქიერს მივსწერეთ და იმასაც ასს თუმანს დავესესხენით შენთვის მოსაცემად და ჟერეთაც არ ვიცით ჩვენის მიწერილობისა მებრ ხელი გაგიმართეს თუ არა, რადგანაც აქაური ამბავი ყოველივე ამ ახლის ყამში მოწერილი გვქონდა, რომელსაცა ჩვენის წიგნებითა ჰსცნობ; ამისათვის ამ წიგნით ამბავს აღარას მოვიწერეთ: აქაური ნაღველი ნურა გაქვს-რა, ღვთის მოწყალებით ვინცა ვინ შენიანნი არიან, ყველანი მშვიდობით იმყოფებიან და შენს შვილს შიოზს ჩვენ ფეშქაშნივიშობა უბოძეთ ქართლისა.

„წელსა 1791.

„აგვისტოს 20.

ირაკლი

ესე შიოზ იყო შემდეგ გუბერნიისა გახსნისა მიღებული რუსთა მთავრობისაგანცა, მოკვდა 1829 წელსა.

60) იოსებ მელიქიშვილი ხაზინადარი. ამას ებოძა მეფემან გიორგი ლაშქარ-ნივისობა სომხითისა და საბარათაშვილოისა მოკვდა 1830 წელსა.

61) სოლომონ ავალიშვილი, კახელი, 1800 წელსა, ოდეს რუსის ჯარი წარვიდა ყაზახსა, მაშინ წარატანა ჯარი ქართველთა 600 კაცი არაგველი სოლომონს. შვილი ამისი ივანე იყო ღენერალ-მაიორი და მოკვდა 1861 წელსა.

62) ზურაბ ყაფლანისშვილი. იყო ზედამხედველი თფილისის

ბაყისა, მოკვდა 1827 წელსა, ესე იყო მამა ღენერალ-ოტინფანტერი-
სა კ. გრიგორი ორბელიანისა.

63) გიორგი ყაფლანისშვილი. ნაზირი მეფისა, გიორგისა
მცოდნე არაბულისა, სპარსულისა და თათრულისა ენათა, მოკვდა
1810 წელსა.

64) ელიზბარ ერისთვისშვილი, ყულარაღასი. ესე გადვიდა
იმერეთსა და მუნ შეირთო ცოლად ქალი იმერთა მეფისა სოლო-
მონ დიდისა. დაახლოვებული იმერთა მეფისა დავითისა, ურჩევდა
მიწერა-მოწერასა რუსეთთან და ჰგონებდა ამით ქსნის საერისთავოისა
მოპოვებასა ჩამორთმეულსა ქართლისა მეფისაგან. მეფემან სოლო-
მონ მეორემან ჩამოართო სოფლები იმერეთსა ნაშენნი და მიუბოძა
რა იგინი მალხაზ ანდრონიკაშვილისა, რომელიცა იყო ქმარი მე-
ფის-ძის არჩილის ქალისა მარიამისა. გადმოსული იმერეთით მო-
კვდა ქართლსა 18 . . . წელსა.

65) მალხაზ ანდრონიკაშვილი, ამას ჰყვანდა ცოლად მეფის-
ძის არჩილის ქალი მარიამ და სცხოვრებდა იმერეთსა. შემდგომად
მეფისა გიორგისა ებრძოდა რუსთა, ვითარცა ერთგული იმერთა
მეფისა სოლომონისა. 1811 წელსა წარვიდა სპარსეთად და უკუ-
მოქცეული მივიდა ახალციხეს და ტრაპეზუნტსა. აქა მოკვდა მე-
ფე სოლომონ 1815 წელსა. მალხაზ მერეთ მობრუნდა კახეთსა და
მოკვდა აქა 18. . . ღენერალ ლეიტენანტი იოანე მალხაზიჩი ანდ-
რონიკოვი, დღესაცა ცოცხალი არის შვილი მისი.

66) ნინა ჩერქეზიშვილი, კაკაბეთის მოურავი. დამსწრე ნია-
ხურას ომშიაც, საყვარელი მეფისა.

67) ზაალ ენდრონიკაშვილი, სალთხუცესი მეფის-ძის იოანესი,
დიდი ერთგული მეფისა.

68) დიმიტრი ჩოლაყაშვილი, ფშავისა, ხევსურისა და თუშე-
თისა მოურავი.

69) იოსებ ჭავჭავაძე, ნაზირი მეფისა.

70) ადამ კაჩნაძე, დიდი კაჟკაცი. ამან მოკლა თოფითა ჯუ-

ნგუთაი დაღესტნელი, რომლისა თავი მოართვეს მეფესა შემდგომად ნიახურას ომისა.

71) ილია ავალიშვილი. ესე გაგზავნა მეფემან გიორგიმ ძმასთან ალექსანდრესთან ჭარსა წერილითა მასთან და ომარხანთან წინათ ნიახურის ომისა. წერილითა ამით მოუწოდებდა ძმასა დამორჩილდეს და არა შეჰკიდეს ქრისტიანეთა სისხლის ღვრისა ლეკთა შეწევნითა.

72) პაატა აბაშიძე, ქართველი ნაზირი, ამან შეიპყრა გზაზედ კაცი, ძმისაგან მეფისა ალექსანდრესაგან გაგზავნილი იმერეთსა და მოართვა მეფესა თფილისს, წერილითა ამით სთხოვდა მოსცეს ჯარი თვისი იულონს, რათა განაძეონ მეფე გიორგი მეფობიდამ და მისდა ნაცვლად დასვან იულონ. ამასვე დროსა უნიშნავდა დღესა, როდესაც უნდა შემოვიდეს ლეკთა ჯარი და განაძიონ თფილისიდამ თვით რუსნიცა, მეფისა გიორგისაგან მოყვანილნი საქართველოსა.

მეფემან აჩვენა ესე რუსისა ღენერალსა და თვით ნამდვილი უბრძანა კაცსა ძმისა თვისისა ალექსანდრესსა წერილის და მიართვას მეფესა სოლომონს.

73) გიორგი ხერხეულიძე, მეფემან წარავლინა ესე ზაალ ბარათაშვილი მდივან-ბეგი დემურჩალსალოსი, ბრძანებითა რათა ჩამოართოს მოურავობა ესე მეამბოხესა თამაზსა ყაფლანის შვილსა და მიიბაროს ზაალ ბარათაშვილმან. დარეჯან დედოფალმან იწყინა ესე და იქმნა დიდი შფოთი წინათ გარდაცვალებისა მეფისა. ამისთვის 8 იანვარს, 1801 წელსა, მოვიდა ალექსანდრე ყარაბაღით ყაზახში და აცნობა დედასა წერილით, რას მიბრძანებთო. მეფე გიორგი გარდაცვლილი 28 დეკემბერსა, ჯერეთ არ იყო დასაფლავებული.

74) გაბრიელ რატიშვილი, ამას ვითარცა ომში ნიახურას დასწრობილსა, გაატანა მეფემან წერილი, ერთი ხელმწიფე იმპერატორთან და ერთი კნორრინგთან ლისანიაზედ. წერილებითა ამით მოახსენებდა პავლეს მადლობასა ჯარისათვის და გაუგზავნა ლეკთა

ბაირაღები; და ითხოვდა რათა დაჯილდოვდენ ლაზარევი, გულიაკოვი, მეფის-ძენი იოანე და ბაგრატ და სხვანიცა. ამასვე გაატანა საკუთარი მოხსენება, ვითარცა განმგემან ჯაბახანისა, თვით მეფის-ძემან იოანემ, ღენერალ კნორრინგთან.

75) ზაზა ენდრონიკაშვილი, წასრული ს. პ.-ბ. 1800 წელსა ღესპანთა თანა, ზრუნვიდა დიდად მეფობისათვის ქართველთა, და ამისათვის არ მოეწონა მოხსენება ღენერალისა კნორრინგისა მისრულისა 1801 წელსა ს. პ.-ბ. ვითამც ქართველთა არა სურდესთ თვისი მეფე. მასვე დროსა მისწერა წერილი იოანე სარდალსა ორბელიანსა და ურჩევდა არა ქმნან ამოვარდნა მეფობისა საქართველოში. წერილი ესე იგდეს რუსთა და აღუკრძალეს მოსვლა საქართველოდ. 1818 ესე ზაზა და დოსითეოს ეპისკოპოსი ფიცხელაური წარვიდნენ ნევისა მდინარისა შესართავსა ფინის ზღვის პირსა და აქა ბანაობდენ ცურვითა; მსწრაფლ აღელდა ზღვის-პირი. დოსითეოს ცურვითა გამოვიდა წყლისა პირსა და ზაზა მოტაცებული ღელვისაგან დაიღრჩო. ვერღა აპოვეს ვერცაღა გვამი მისი. იყო წლისა 50 და სცხოვრებდა იულონ მეფის-ძესთან მისსა მწყალობელთან, რომელთაცა უყვარდა იგი, ვითარცა კაცი დიდად სიტყვა მჭევრი და აზრთა დიდთა და საფუძვლიანთა მქონი.

56) გიორგი ამილახვარი. ამას ჰყვანდა ცოლად დაი სარდლისა დავით ორბელიანისა. 1801 წელსა, იანვრის დამდეგს, იულონმან მოიტაცა ტყვედ ცოლი ესე მისი ქეთევან და მიიყვანა თვისდა სოფელსა ბელოტს. მემკვიდრე მეფის-ძე დავით აპირებდა რუსთა ჯარითა ზედა დასხმასა. მაშინ გაიქცა იმერეთსა იულონ და განთავისუფლდა დისწული მემკვიდრისა ტყვეობისაგან.

## მოხელენი მოურავად, მეფისა გიორგისა დროსა იყვნენ შემდეგნი პირნი:

### მოურავნი ქართლისა.

| | |
|---|---|
| ერასტი ამილახვარი | სოღანლუღს. |
| ქაიხოსრო სუმბათოვი მოლარეთ ხუცესი | ნავთლუღსა. |
| ბარამ გურგენიძე ნაზირი | დიდუბეში. |
| | წინწყაროს, ორსავე ავლაბარში. |
| ალექსანდრე მაყაშვილი | კუკიას. |
| ფარსადან ქარუმიძე | ახალ სოფელში. |
| გიორგი ამილახვარი | გორში. |
| ლუარსაბ ლოლაძე და გოგია ბეგიაშვილი | მეჯვრის-ხევს. |
| გოგია ბეგიაშვილი | მეჯუდაში. |
| დავით ბიბილური | სათემოს. |
| ფირან ჩერქესიშვილი | კიწნისში და ტყვიავში, ღვიდისში. |
| გოგია ფურცელაძე | პატარა ლიახვისა და ოსებისა. |
| გოგია მირზიშვილი | განათისა, არბის მინდისს. |
| ეგნატი იოსელიანი (ორჯერ) | ტირძნისში. |
| ნინია ამილახვარი | ცხინვალში და ქარელში. |
| მიმბაში ზაზა მაჩაბელი | ქელვი და აჩაბეთი. |
| ნასყიდა ზარდიაშვილი | მაღრან დოვლეთში. |
| მეგენი აბაშიძე | ალსა, სურამსა და ქეფინისხევსა. |
| ნიკოლოზ გლურჯიძე მოლარეთ ხუცესი | ხიდისთავსა. |
| დომენტი წინამძღვრიშვილი | გლურჯეთსა. |
| დავით აბაშიძე ქეშიქჩი-ბაში | ბორჯალო და შილოსოს. |

| | |
|---|---|
| შანშე ერისთვისშვილი . . . | მუღაჯერსა. |
| რევაზ ვასვასისშვილი . . . | ახატელისა თათრებისა. |
| თამაზ ორბელიანი . . . . | დემურჩასალოს. |
| ადამ ანდრონიკაშვილი . . . | კახეთში თათრებისა ქირჩხლის. |
| ოსეფა ბებუთაშვილი. მისკარბაში . . . . . . . | ბაედარსა. |
| სოლომან არღუთაშვილი . . | სარვანში. |
| საამ ბარათაშვილი . . . . | ძველს თაქლასა. |
| პაატა აბაშიძე . . . . . | ახალს თაქლასა. |
| სოლომან გაბაევი . . . . | მუღანლოსა. |
| გიორგი ციციშვილი სარდალი. | ელებისა, ქოლაგირისა, მუღანლოსა, ქოჩილისისა, აულილისა, უზუნლურისა და დისიღისა. |
| ოსეფა ყორღანაშვილი . . . | ჭასან ხოჯალისა. |
| გარსევან ჭავჭავაძე . . . . | ყაზახის თათრებისა. |
| გიორგი ციციშვილი სარდალი. | ფამბაკისა. |

## კახეთის მოურავნი:

| | |
|---|---|
| ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი . | მანავში. |
| თადია ჩოლაყაშვილი (მის ნაცვლად ვახტანგ ორბელიანი). | თვალ-საგარეჯოს, სართიჭალაში. |
| დავით მაყაშვილი . . . . | უჯარმასა. |
| ზაალ ანდრონიკაშვილი . . | ორსავე მარტყოფში. |
| გოგია ნათალიშვილი . . . | ლილოსა. |
| დიმიტრი ჩოლაყაშვილი . . | თიანეთში და მარილისში. |
| გლახა საგინოვი აზნაური . . | ქისტაური. |
| ალექსანდრე მაყაშვილი . . . | ბოჭორმას. |
| დავით და იოანე ქობულოვი . | ზემოხოდაშენსა. |
| ალექსანდრე მაყაშვილი. . . | ძველის გალავნისა თელავს. |

| | |
|---|---|
| იროდიან გურგენიძე . . . | თელავისა. |
| გიორგი კახვასისშვილი . . | კალაურსა. |
| იოსებ ჭავჭავაძე. . . . . | ირაკლის ციხისა. |
| სვირიდონ ჯანდიერისშვილი . | ქვემო ხოდაშენსა და მაშიანსა. |
| ომან ჯანდიერიშვილი . . . | ურიათ უბანსა. |
| დიმიტრი ანდრონიკაშვილი. . | კელის ციხეს. |
| დავით ჯანდიერიშვილი. . . | გურჯაანში. |
| დურმიშხან ჩოლაყაშვილი . . | პანკისში, ბასტრიონსა და ქორბალას. |
| ალათანგლო პეტრიაშვილი . . | მაღრიანში. |
| ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი. . | ლალისყურსა. |
| თამაზ ჯორჯაძე . . . . | მაჭრიანსა. |
| დიმიტრი ჯორჯაძე. . . . | ენისელსა. . . . . . |
| დავით მაყაშვილი . . . | ალდგომას. |
| გიორგი ნოდარაშვილი და ფარეშთუხუცესი ანდუყაფარ ბანცურიშვილი. . . . . | შილდას. |
| კირილე ავალიშვილი. . . . | ლომის-ციხესა. |
| დავით ჩოლაყაშვილი . . . | პეფხვის-ციხეს. |
| ლუარსაბ თარხნიშვილი . . | ფაშაანსა. |
| სვიმონ ქობულიშვილი. . . | სანავარდოს. |
| გარსევან ჭიჭნაძე . . . . | კუჭავანსა და ორსავე გავაზს. |
| სპირიდონ თარხნიშვილი . . | კანათს. |
| ლუარსაბ თარხნიშვილი. . . | აკურას. |
| ომან მაყაშვილი. . . . | ყარაჯალას პირაქეთ თათრებისა და კახეთში მცხოვრებთა. |
| დავით და ოტიანე ქობულიშვილი. | თათრებისა ყიზილ აჯილისა. |
| რევაზ ანდრონიკაშვილი სარდალი. . . . . . | ქიზიყში. |
| როსტომ ჯანდიერი ნასახლი-ბაში. | ჯიმითსა და ყანდაურას. |

ნინია ჩერქეზისშვილი . . . კაკაბეთისა.
დურმიშხან ჩოლაყაშვილი . . თუშებისა.
დიმიტრი ჩოლაყაშვილი . . ფშავისა და ხევსურებისა.

## სამღვდელო წესი

მეფისა გიორგი XIII დროსა სამღვდელო წესი იყო შემდეგი:

1) კათოლიკოსი.
2) ქართლისა მიტროპოლიტნი: სამთავროისა.
თფილისისა.
რუისისა.
3) არხიეპისკოპოსნი: წილკნისა.
მანგლისისა.
4) ეპისკოპოსნი: ურბნისისა.
სამთავისისა.
ნიქოზისა.

კახეთის მიტროპოლიტნი: ალავერდისა.
ბოდბისა.
ნინოწმინდისა.
არქიეპისკოპოსნი: რუსთავისა.
ნინოწმინდისა.
ნეკრესისა.
ეპისკოპოსნი: ხარჭაშნისა.

მეფისა დროსა იყვნენ მონასტერნი.

ქ ა რ თ ლ ი ს ა: ქვათახევისა.
შიომღვიმისა.
მეტეხისა.
იკორთისა.
ანანურისა.

ჯვარისა.
მღვიმისა.
ლარგვისისა.
ხოზისა.
ულუმბისა.
გეთსამანიისა.
თირისა.

| | |
|---|---|
| კ ა ხ ე თ ი ს ა: | 12-გან ორნი: { დავით გარესჯელისა იოანე ნათლის-მცემლისა. |
| | შუამთისა. ბოჭორმისა. { ალავერდელი განაგებდა. |
| | წ. საბასი. ხირსისა. ღვთაებისა მეჯვინისა ნათლის-მცემლისა { განიგებოდა ბოდბელისაგან. |
| ქართლის მღვდელთ-მთავარნი: | კ ა ხ ე თ ი ს ა |
| კათოლიკოსი ანტონი II. | ალავერდელი,—განმგედ თვით ანტონი. |
| მთავარ ეპისკოპოსი იოანე (მოკვდა 1802 წ.) | ბოდბელი იოანე. |
| თფილელთ არსენ. | ნინოწმინდელი მიხაილ. |
| მროველი იუსტინე. | რუსთველი სტეფანე. |
| წილკნელი იოანე (შვილი სქემოსანისა ონისიფორესი 38 წლისა ქარუმიძე.) | ნეკრესელი ამბროსი, ესე შილდას იდგა. |
| სამთავნელი გერვასი. | |
| ნაქოზელი ათანასი. | |

ნიახურისა ომში დასწრობილნი და მხნეობითა გამოჩე-ნილნი მუნ პირნი იყვნენ:

მეფის-ძენი: იოანე.
ბაგრატ.

ქართლის თავადნი: პაატა აბაშიძე ნაზირი მეფისა.
ზაალ ბარათაშვილი მდივან ბეგი.
გიორგი ხერხეულიძე.
გაბრიელ რატიშვილი.

კახეთისა: რევაზ ანდრონიკაშვილი ქიზიყის მოურავი.
ზაზა ანდრონიკაშვილი სალთხუცესი მეფის-ძის იოანესი.
იოანე ზურაბისშვილი.
ზაზა ზურაბისშვილი.
იოანე ანდრონიკაშვილი.
როსებ ჯანდიერისშვილი.
გიორგი ჯანდიერისშვილი.
ადამ ვაჩნაძე.
იოსებ ვაჩნაძე.
ასლან ონანაშვილი.
გიორგი ჩოლაყაშვილი.
დიმიტრი ჩოლაყაშვილი ფშავისა და თუშიე მოურავი.
ლუარსაბ სუმბათისშვილი მიმბაში.
ოსებ ჭავჭავაძე, ნაზირი მეფისა.
ილია ავალიშვილი.
იოანე ქობულისშვილი, პოლკოვნიკი ქართველთ თოფხანისა.
ალექსი ყალათრიშვილი, კაპიტანად წოდებული

ქართველთ ჯაბახანისა და გიორგი ჩამბურისშვილი კაპიტანივე ჯაბახანისა.

ამასვე ომში დაესწრნენ ექიმნი ქართველთა მეფისა, ფრანგნი სარწმუნოებით: ოსეფა ყარაშვილი და შვილი მისი იოანე.

## სამოხელონი მეფისა გიორგისა XIII-სა.

| | |
|---|---|
| სამხედრონი: | სარდალი. სარქარდარი. მიმბაში. პუნსედ-ბაში. უზბაში. ფანჯაბაში. დელ-ბაში. |
| სასახლისა: | სალთხუცესი. ვეზირი. მდივანი. ფეშქაშ-ნევისი. მუსტოუფი. მოლარეთ-ხუცესი. ნაზირი. სალაროს ნაზირი. მოლარე. სალაროს მუშრიბი. მუშრიბი. თუშმალი |
| სამეფოისა: | ყულაჩ-აღასი. ეშიკ-აღაბაში. ქეშიქჩი-ბაში. ქორ-იასაული. ნასახჩი-ბაში. მიჩისშქარ-ბაში. ბოქოულთხუცესი. |
| სამოქალაქონი: | მოურავი. მელიქი. მამასახლისი. ნაცვალი. ქეთხუდა თავი. ქეთხუდა მეორე. |
| სამოურავონი: | თფილისისა. ქიზიყისა. თუშისა. ხევსურეთისა. ფშავისა, სამშადილისა. ბორჩალოსი. ფამბაკისა. გორისა. თელავისა. საგარეჯოსი. სურამისა. |

# ძველი წიგნების ბეჭდვის გამო.

მე განვიძრახე ზოგიერთი ძველი ქართული წიგნების ბეჭდვა, მაგალითებრ: 1, მეფე გიორგის ცხოვრება, აღწერილი პ. იოსელიანის მიერ. 2, „კალმასობა“ ქმნილი იოანე ბატონიშვილის მიერ, (ზოგის თქმით იონე ხელაშვილის და 3, რომანი „ამირან დარეჯანიანი“ მოსე ხონელისა (XII საუკ.) ამ ჟამად დაიბეჭდა და გამოიცა ცალკე წიგნათ „მეფე გიორგის ცხოვრება“.

მე გარემოება ნებას არ მაძლევს, რომ ერთის დროს ჩემის ხარჯით ორი და სამი სხვა-და-სხვა ნაირი წიგნები ვბეჭდო, ამიტომ რომ ერთის წიგნის ხარჯი მეორე წიგნის გამოცემას უნდება, მეორესი მესამეს, მესამესი მეოთხეს და სხვა წიგნები კი რჩება დაუბეჭდავათ. დრო მიდის, ჟამი იწურვის და წიგნები კი ერთობ ცოტა ისტამბება.

ამიტომ მე გავბედე ზემოხსენებული წიგნების დასაბეჭდათ ხელის მოწერის გამართვა და საზოგადოთ განცხადება. ჩვენი ჰაზრი და თხოვნა უყურადღებოთ არ დაშთა და საქართველოს ზოგიერთის კუთხეებიდამ სრული თანაგრძნობა და ხელის მოწერაც მოგვივიდა. აქ არ შეიძლება, რომ შესაფერი მადლობა არ განუცხადო შემდეგ პირებს: მღვ. ალექსანდრე ტატუნაშვილს, ბ. სოლომონ დოლიძეს (განჯაში), ღ. ბოცვაძეს (კავკავს), ნ. რაზმაძეს (თელავში), არსენ კალანდაძეს (გორში), ლავრენტი ანტონის ძე ბერძენიშვილს (ბათუმში) და სახალხო კილოთი ლექსების მწერალს

მიხა ბოჭორიძეს, დიმიტრი პატარქალაშვილს (სამტრედიას), ო. კიკვაძეს (ჭიათურას), მწერალს თ. ხუსკივაძეს (ყვირილას), ივლიანე ხეთერელს, რომელთაც შრომა მიიღეს და ხელის მოწერა გამართეს „გიორგი მეფის ცხოვრების“ დასაბეჭდათ.

აქვე ურთავთ ყველა იმ პირთა გვარსა და სახელებს, რომელთაც ისურვეს ხსენებული წიგნის შეძენა. იმედია, რომ ესევე პირნი შემდეგის წიგნისთვისაც არ დაიზარებენ თავიანთ შრომას და დახმარებას აღმოაჩენენ. ახლა ხელის მოწერა გამართულია „კალმასობის“ გამოსაცემად.

ტფილისში ხელის მოწერა და ფულის გადაცემა შეიძლება „ივერიის“ რედაქციაში, წერა-კითხვის სამართველოში და ჩემთან. ყველა ხელის მომწერმა ფულთან თავისი გარკვეული სახელი და გვარი უნდა გვაცნობოს, რომ წიგნები გავუგზავნოთ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის, რადგანაც თითო მანათის გამოგზავნა ძნელი იქმნება, ამიტომ ვსთხოვ ჩემთ მცნობთა, მეგობართა და უცნობთა, რომ ამ საქმეში ჯეროვანი მონაწილეობა მიიღონ, ხელის-მოწერა გამართონ, რამდენიმე წიგნის ფასი ერთად შეკრიბონ და ისე გამოგზავნონ დანიშნულებისამებრ.

---

„გიორგი მეფის ცხოვრება“ დაიბეჭდა დედანზედ სიტყვის შეოთანხმებით და შედარებით. ბევრს ალაგას ჩვენ შეცდომებიც შევამჩნიეთ, მაგრამ ამას ჩვენი კალამი არ შეხებია, არსად წერტილი, მძიმეც კი არ შეგვიცვლია. მხოლოდ ჩემის ავათმყოფობის მეოხებით ერთს ფორმაში შეცდომა მოუხდა კორექტორის მსწორებელს და ერთ ალაგას ჭაბუას (ორბელიანი) მაგიერ ჯაბუაა ნახმარი.

„კალმასობაც“ ამ ზომის წიგნათ იბეჭდება, ამავე ქაღალდზედ და ასოებით. ორივე ტომი ერთად, დიმიტრი ბაქრაძის კრეტელის

წინასიტყვაობით, რომელ წინასიტყვაობას წინეთაც იყო დაბეჭდილი ხელის მოწერა მასათი ელირება.

ზ. ქ.

15 ივნისს, 1895 წ.
ქ. თფილისი.

---

„გიორგი მეფის ცხოვრებიდამ“ შემოსული ფულით დაიბეჭდება პ. იოსელიანის სხვა-და-სხვა ქართული ისტორიული წერილები. ამიტომ ვითხოვთ, რომ თუ ვისმეს რამე ნაწერები მოეპოვება იოსელიანისა, იმან დაგვითმოს და დროებით გვათხოვოს, ვიდრე დავბეჭდავთ.

---

## თფილისში.

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზი ალექსანდრე.
არქიმანდრიტი ლეონიდი.
დეკანოზი დავით ყონჩუაშვილი.
დეკანოზი სოლომონ შოშიევი.
დეკანოზი თეოდორე ხოშტარია.
მღვდელი ალექსანდრე მოლოდინაშვილი.
მღვდელი ვასილი კარბელაშვილი.
მღვდელი სეით გამრეკელი.
მღვდელი ალექსანდრე ტატუნაშვილი
მღვდელი სვიმონ რცხილაძე.
მღვდელი გიორგი ნასყიდაშვილი.
მღვდელი კალისტრატე ცინცაძე.
მღვდელი გრიგოლ მაჭარაშვილი.
მთავარი გიორგი უზნაძე.
მღვდელი ილარიონ ჯაში.

---

კნეინა ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა.
კნეინა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა.
კნეინა ნინო ლუკას ასული თარხნიშვილისა.
ანნა ნიკოლოოზის ასული გელიტაშვილისა.
ანასტასია კოტეტიშვილისა.
ნინო ბერძენიშვილისა.
მარიამ ჯირკველოვისა.

---

პლატონ ანჯაფარიძე.
იაგორ ჩხაიძე.
სვირიდონ ცქიტიშვილი.
ნიკოლოზ კალანდაძე.
შევარდენ პილია.
კოწია ნოდია.
ლავრენტი სიხარულიძე.
კონსტანტინე ნოდია.

შუშაში.

იაკობ სიმონის ძე ზედგინიძე.

სალიანში.

ივ. მის. ძე ძეგველიშვილი.
დავით არონიშიძე.
სონღულაშვილი.

ახალ ბაიაზეთში.

მიხეილ სიმონის ძე ზედგინიძე.
ანდრია სოლ. ძე გომელაური.

იალტაში.

კონ. ბერულაშვილი.
ე. ჩხარტიშვილი.
მ. ქარცივაძე.
მ. კვირიკელიძე.
ნ. კალანდაძე.
კ. კაკაბაძე.
აკაკი ლუკას ძე გაბუნია.

კავკავში.

ლ. ბოცვაძე.
ი. ლორთქიფანიძე.
კ. გვარამაძე.
ბ. ქვანგულოვი.
გ. როინიშვილი.
თ. ერ. სიდომონოვ ერისთავი.
პ. ბუკია.
ივ. ილგრიძე.
ი. ფანიაშვილი.
ი. ბეროზაშვილი.
პ. ბედევანიშვილი.
გ. ჯონჯოლაძე.
ა. ზამუკაშვილი.
ლ. ხარაძე.
ფონ. ზებედე.
ნ. მაჭავარიანი.
გ. ბარათაშვილი.
ი. ჩითაშვილი.
ი. უშვერიძე.
ილია მოსულიშვილი.

ბათუმში.

ლ. ანტონის ძე ბერძენიშვილი.
ნინო ბერძენიშვილისა.

მარიამ ჯორკველოვისა.
ლევან გედევანის ძე.
ივანე კუკულავა.
ეფრემ ზრეგბაძე.
მიხეილ ფარმაქსიჩისშვილი.
ნესტორ სიხარულიძე.
კალენიკე გოგოლაძე.
ნიკოლოზ ჯორკველოვი.
სიო ბერძენიშვილი.
ანტონ სანაია.
ერმალოზ ბერძენიშვილი.
ანდრო ყაჭიეშვილი.
ივანე მიქაძე.
ილარიონ ბერძნიშვილი.
სევასტი შავიშვილი.
დათიკო ნასრია.
ლა. გი. ბერძენიშვილი.
ალექსი სალაღია.

## ყვირილაში.

თეოფილე ხუსკივაძე.
ალექსანდრე არაბიძე.
მიხეილ გაჩეჩილაძე.
ტრიფონ ნიორაძე.
დარისპან მარაქველიძე.
მიხეილ ზარამიძე.
სერგო ჯინჭველიშვილი.
ბესარიონ კელენჯერიძე.
ილია მაღლაკელიძე.
ალექსანდრე შალამბერიძე.
იროდი ჩხიკვაძე.
ვიქტორ გაჩეჩილაძე.
ვასო არდიშვილი.
გიორგი ტყეშელაშვილი.
დიმიტრი ხუნდაძე.
სიმონ ელიაშვილი.

## გორში.

ალექსანდრე საათაშვილი.
არსენ კალანდაძე.
სემა გაბრ. ასული აფრიამოვი.
გ. ჯაფარიძე.
ანტონ მაგლატია.
მიხეილ ილურიძე.
თედო რაზიკაშვილი.
კოტე სანთლიკუდოვი
ვასილი დადიანიძე.
ვენო ამილახვარი.
მღვ. დავით კაკასიძე.
ალექსანდრე შაიშმელოვი.
ილია ფერაძე.
ბესარიონ დათიკაშვილი.
ნიკოლოზ ლომოური.

## სამტრედიაში.

მელიტონ დონაშვილი.
მელიტონ ეკ. ძე გიგენაიშვილი.
ივლიანე ნიკ. ძე ასოზაძე.
ვასილი ცინცაძე.
დარისპან ნიკ. ძე კუჭუხიძე.
დიმიტრი ბეყანის ძე ნინუა.
იოსებ გრიგორის ძე მელქაძე.
იპოლიტე ადეიშვილი.

მიხეილ ბეჟანის ძე გვაზავა.
გიორგი სვიმონის ძე სასანთარია.
დავით ანდრიას ძე გაბაშვილი.

ივანე გიორგის ძე მსხრიკაძე.
რაჟდენ მარგველაშვილი.
დიმ. გრ. ძე პატარქალაშვილი.

ქიათურაში.

თ. კიკვაძე.
ირ. დეკანოზიშვილი.
ფილიპე დარჩია.
გერასიმე ბერიძე.
ილია რატიანი.

იოსებ აბრამიძე.
დავით კაშკაშიძე.
ლ. ანდრიაძე.
ლადო ლარიბაშვილი.

სიღნაღში.

ქ. ტიმოთეს ძე ბალაშვილი.

ნიკო ძიძიკოვი.

ტყიბულაში.

ივლიანე ხეთერელი.
ვასილი მასხულია.
კონსტანტინე ცომაია.
გრიგოლ კოხერიძე.
იაგორ კოპალტაძე.
დიმიტრი ბუკია.
გიორგი ხმალაძე.
ბეჟან წერეთელი.
ბესარიონ გვახარია.

ქრისტეფორე აკალოვი.
ვლადიმერ კარ. ძე მათიკაშვილი.
კირილე ჯანიანი.
თევდორე გებელავა.
გიგო რაზმაძე.
ნესტორ ზურაბის ძე გერსამია.
ილია ანტონის ძე ღოღობერიძე.
მელქისედეკ ფრივიძე.

კერარი.

ივანე ბუტიკაშვილი.
სპირიდონ სანიკიძე.

თებრონია რამანოვისა.
ლათიკო სარჩიმელია.

---

**ხელის მოწერა უკვე გამართულია „კალმასობის“ გამოსაცემად.**